

1162/2
2006



ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი



VIII

57



ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ისტორიულ-ეთნოგრაფიული
ძიებანი

VIII

YDK 947.922: 39 (479.22)

(082) 0885

ISSN 1512-2727

წერილობითი წყაროების, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, ტოპონიმიკური, ონომასტიკური მასალისა და სპეციალური ლიტერატურის მონაცემების ანალიზის საფუძველზე კრებულში მონაწილე აეტორთა მიერ გამოკვლეულია საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის უმნიშვნელოვანესი საკითხები. გამოცემული შვიდი კრებულის ანალოგიურად რიგით მეერვე ტომიც განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ისე ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
 პროფესორი ვალერიან იონიშვილი

24 896

სარედაქტო კოლეგია:

გერონტი გასეიანი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
 დავით პავლიაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
 ავთანდილ სონდულაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
 ქეთევან ხეციშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
 ხათუნა იოსელიანი

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

კომპიუტერული უმრუნველყოფა: მარინა ბუგიაშვილი
 ლელა ჯაფარიძე

გამოცემულია ავტორთა ხარჯით

მოკან ანტონ გიულდემაზიძის ცნობაზი ქართველ მთიალთა შესახებ

რუსეთის იმპერიის შექმნის დროიდან ინგენსიური ხასიათი მიეცა მის შემადგენლობაში მოქცეული ქვეყნებისა და ხალხების მრავალმხრივ მეცნიერულ შესწავლას. ეს პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა რუსეთის საიმპერატორო აკადემიის დაარსების პერიოდიდან (1725 წ.), ხოლო შემდეგ ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ უფრო გაფართოვდა 1845 წლიდან – რუსეთის გეოგრაფიული საბოგადოების დაფუძნების დროიდან (Л.М.Сабурова, Русское географическое общество и этнографическое исследование, Сб. „Очерки истории русской этнографии, фольклористики и антропологии, Ленинград, 1997). რუსეთის აკადემიისა და გეოგრაფიული საბოგადოების ფართომასშტაბიანი კომპლექსური კვლევა-ძიების შედეგები აისახა რუსულ და ევროპულ ენებზე გამოცემულ მრავალრიცხოვან წიგნებში, სამეცნიერო კრებულებში და ჟურნალ-გაზეთებში. სამეცნიერო პროდუქციის შექმნაში მონაწილეობდნენ თავდაპირველად რუსეთის აკადემიაში მოწვეული ევროპელი სწავლები, ხოლო შემდეგ რუსი და რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ქართველები, სომხები თუ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გაერთიანებულ ყველა სხვა ქვეყანასა და რეგიონთან ერთად სამეცნიერო მუშაობა ფართოდ გაიმაღა კავკასიაშიც, რისი დამადასტურებელიცაა მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები კავკასიის ხალხთა ისტორიული წარსულის, ყოფა-ცხოვრების, გრადიციების, ფოლკლორისა და ენების შესახებ.

უცხოელ მკვლევართა და დამკვირვებელთა შორის, რომლებიც ქართველი და კავკასიელი ხალხების მრავალმხრივი შესწავლით იყვნენ დაინტერესებულნი, თვალ-

საჩინო ადგილი დაიმკვიდრა ი. გიულდენშტედტმა (1745-1781). გერმანელი სწავლული, პროფესიით ექიმი და ბუნებისმეტყველი, იყო რუსეთის საიმპერატორო აკადემიის აკადემიკოსი, ამავე აკადემიის ისტორიული და გეოგრაფიული კალენდრის რედაქტორი. რუსეთის აკადემიაში მოღვაწე მრავალ მეცნიერთან ერთად ი. გიულდენშტედტი ხელმძღვანელობდა დიდ სამეცნიერო ექსპედიციას, რომელიც მრავალი რეგიონის შესწავლას ითვალისწინებდა. აკადემიის დავალებით მან 1770-1773 წლებში იმოგზაურა სახელმწიფოს ევროპული ნაწილის სამხრეთ-აღმოსავლეთში და კავკასიაში, მოიარა ყიზლარის მხარე, ყაბარდო, ოსეთი და საქართველო.

გარდაცვალებამდე ი. გიულდენშტედტმა გამოაქვეყნა კავკასიაში მოპოვებული მასალების საფუძველზე დაწერილი მხოლოდ რამდენიმე ცალკეული გამოკვლევა. ერთ-ერთი მათგანია „Географические и исторические известия о новой пограничной линии Российской империи, проведенной между рекой Тереком и Азовским морем (с картой). ეს ნაშრომი, რომელიც გერმანულ ენაზეც არსებობს, მან გამოაქვეყნა თავისი რედაქტორით გამოცემულ ორგანოში: „Месяцеслов исторический и географический на 1779 год;“ перепечатано, „собрание сочинений, выбранных из месяцесловов на разные годы“, 1790, № 4.

როგორც მ. კოსვენი შენიშნავს, ამ სტაგიაში წარმოჩენილია კავკასიის ხაგის ორგანიზაციის ისტორია, აღწერილია ცალკეული ციხე-სიმაგრეები, გამოვლენილია ისტორიული მონაცემები, ნაჩვენებია ადგილობრივი მოსახლეობის (ყუმუხების, აფხაზების და ე. წ. „ნოღაელი თათრების“; ამ უკანასკნელში იგი გულისხმობს ბალყარლებსა და ყარაჩაელებს) იმდროინდელი მდგომარეობა (М. О. Косвен, Материалы по истории этнографического щучения Кавказа в русской науке, „Кавказский этнографический сборник“, Москва. 1956, с.285).

საქართველოსა და კავკასიის სხვა მხარეებში იმუშავდა
ულდენშტედის საექსპედიციო მუშაობის შედეგები აისა-
ხა მის გამოკვლევაში (ი. გიულდენშტედის მოგზაურობა
საქართველოში, I, თბ., 1962; II, თბ., 1964; გერმანული ტექ-
სტი ქართული თარგმანითურთ და გამოკვლევით გამოს-
ცა გ. გელაშვილმა), რომელშიც ავტორი მრავალ სხვა სა-
კითხთან ერთად განიხილავს მონაცემებს ისტორიის, ეთ-
ნოგრაფიისა და ენების შესახებაც. მისი დაკვირვებები
ერთნაირად საყურადღებო და მნიშვნელოვანია როგორც
კავკასიის ხალხთა შესახებ, ისე საქართველოს ისტორი-
ულ-ეთნოგრაფიულ კვლევასთან დაკავშირებითაც. მონა-
ცემები კავკასიის ხალხთა შესახებ განხილული მაქეს სპე-
ციალურ ნაშრომში*, რასაც აქ აღარ დაუბრუნდები. ამჯე-
რად მიზნად დავისახე მხოლოდ იმ მონაცემების ინგერ-
პრეტაცია, რაც ეხება ქართველ მთიელთა ისტორიულ-ეთ-
ნოგრაფიული შესწავლის შედეგებს.

ცნობები საქართველოს მთიანეთისა და მისი მოსახ-
ლეობის შესახებ გვხვდება მეცნიერის მიერ განვლილი
მარშრუტების აღწერილობასთან დაკავშირებით. ერთ-
ერთ ასეთ მარშრუტს წარმოადგენდა გზა ქსნის ხეობის
სოფელ ლარგვისიდან ოსეთის ქალაქ მოზდოკის მიმარ-
თულებით, რომლის აღწერილობაში ვკითხულობთ: „3
დღე მივდიოდით დაუბრკოლებლად – ლომისაზე, მლეთ-
ზე, გუდამაყარზე (ქართულ თარგმანში შეცდომაა დაშვე-
ბული – ი. გიულდენშტედმა მოიხსენია არა გუდამაყარი,
გუდამაყრის ხეობა, არამედ მთიულეთის სათავეში მდება-
რე ღუდა ანუ ღუდის ხევი) და ხევზე გავლით – თერგზე
მდებარე უკანასკნელ ქართულ სოფელ სტეფანწმინდამდე,
რომელიც არის აღვილ-სამყოფელი ყაზბეგისა, ქართველი

* იგულისხმება ვახტანგ იოთონიშვილის ნაშრომი – ი. გიულდენშტედ-
ტის ცნობები კავკასიის ხალხთა შესახებ, რაც მე-II თავის სახით
შეტანილია წიგნში – „ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან,” თბ.,
2002.

აზნაურისა, რომელსაც ერეკლე მეფისგან აქვს ეს ტექურითია, ლი ნაბოძები და განაგებს ამ სასაზღვრო სოფლებს. აქედან ოსური მხარის ტაგატას ან თაგაურის სოფელ ჩიმამდე ხუთჯერ გავედით თერგზე, რომელზედაც ახლა არც ერთი ხიდი არ იყო. სამ გემოთ მდებარე ხიდს ხევსურეთის (ქართულ თარგმანში ხევის ნაცვლად შეცდომით წერია ხევსურეთი, დედანში კი ხსენებულია ხევი – ვ.ი.) ქართველები დარაჯობენ; ორ ქვემოს კი თაგაურელი ოსები” (II, გვ. 157).

ავტორისეულ შეცდომად უნდა შეფასდეს ხევის ტერიტორიაზე მდებარე სოფელ სტეფანწმინდის (მერმინდელი ყაბბეგი) მიწნევა უკანასკნელ ქართულ სოფლად. ამ შეცდომით მკვლევარმა სტეფანწმინდა საქართველო-ოსეთის სასაზღვრო ზონაში განათავსა. როგორც ჩანს, მის-თვის უცნობი იყო, რომ სტეფანწმინდის ქვემოთ, დარიალის ხეობაში იყო და არის კიდევ რამდენიმე სოფელი; გზის მარცხენა მხარეს, შემაღლებულ აღგილას მდებარეობდა სოფელი ქობი (ამჟამად ნასოფლარი), მის ახლოს დღემდე არის შემონახული სოფელი ყდო, ხოლო გზასთან ახლოს, მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე – სოფელი გველეთი.

ხევის შესახებ ფიქსირებულ გემოთ განხილულ ცნობებთან ერთად ფრიად საყურადღებოა მეცნიერის ინფორმაცია ამ კუთხის ერთ-ერთი აღგილის შესახებ, სადაც მოხდა ერეკლე მეორისა და გენერალ ტოტლებენის შეხვედრა 1769 წელს. ამ ესოდენ მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის აღწერასთან ერთად ყურადღებას იქცევს თვით შეხვედრის აღწერასთან ერთად ყურადღება. როგორც მეცნიერი იუწყება, „ამ მხარეში თერგზე კობთან, პატარა ველზე, რომელსაც ქართველები აღის მინდორს უწოდებენ, შეხვდა მას (ტოტლებენს – ვ.ი.) ერეკლე მეუე” (II, გვ. 225).

აღნიშნული ტოპონიმი პირდაპირ კავშირშია აქ მდებარე სოფლის სახელწოდებასთან. ამ სოფელს ისტორიულად ერქვა ადო. ასე მოიხსენიება ის „გერგეტის სულთა მა-

ტიანეში”, სახელდობრ, 1439 წლით დათარიღებულ გერგეთის ტელ საყდრისშვილთა საბუთში (ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები, XV-XVIII სს. „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის”, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 247, 272). ღრითთა ვითარებაში ამ სოფელში ოსები ჩამოსახლდნენ და მას უწოდეს ნოგყაჟ, რაც ოსურად ნიშნავს ახალ სოფელს (ვალ. ითონიშვილი, ხევის ტოპონიმიკა, თბ., 1971). ცხადია, ეს სოფელი ახალმოსახლე ოსთათვის მართლაც ახალი იყო, მაგრამ მნელი სათქმელია – ტოტლებუნის იქ დაბანაკების ქამს სოფელ აღოში ოსები უკვე მოსახლეობდნენ თუ არა. ამაზე პასუხს არ გვაძლევს არც საისტორიო წყაროები და არც ხალხური გადმოცემები. დაბეჯითებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ გემონხსენებულ გერგეტელ საყდრისშვილთა საბუთის (XV ს.) ჩვენებით აღოქართველებით (მოხევეებით) დასახლებული სოფელი იყო, ხოლო ტოპონიმიკამ შემოგვინახა სოფლის მიღამოს სახელწოდება აღოს მინდორი, რაშიაც თავისთავად არეკლილია სოფლის ქართული სახელწოდებაც.

გარდა საკუთრივ ხევისა, ი. გიულდენშტედგმა თავის აღწერილობაში დააფიქსირა საარაგვოში შემავალი რამდენიმე ტერიტორიული თემის არსებობა. მათ შორის აღსანიშნავია მხარეებად სახელდებული ხადა, გარეშემო, მრევლი და გუდამაყარი (I, გვ. 267-269).

მოცემული ლოკალიზაცია არაგვის საუფლისწულოს 1774 წლის აღწერის მონაცემების შესატყვევისია (შდრ. ე. თაყაიშვილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, თბ., 1907, გვ. 428-473). ამდენად, მოგიერთი უზუსტობის მიუხედავად, ი. გიულდენშტედგის აღწერილობას ერთ-ერთი წყაროს მნიშვნელობა ენიჭება საარაგვოში შემავალი ტერიტორიული თემების ლოკალიზაციისათვან დაკავშირებით (დაწერილებით იხ. ვახტანგ ითონიშვილი, არაგვის ხეობა, თბ., 1986).

ი. გიულდენშტედტის აღწერილობაში ზოგიერთი იურიული უსტობა გამოჩნდა ქართლისა და კახეთის მთიანეთის ცალკეული კუთხეების გეოგრაფიულ განთავსებასთან დაკავშირებით. ამის მაგალითად შეიძლება დავიმოწმოთ ცნობა იმის შესახებ, თითქოს ხევსურეთი „მხარე არის მაღალ მთიანეთში, კიდევ უფრო ბევრით არაგვებ; მთლიანად ოსებითაა დასახლებული” (I, გვ. 269).

ცხადია ამ შემთხვევაში იგულისხმება არა ხევსურეთის არაგვი, არამედ მთიულეთის არაგვი, რომლის სათავეში მდებარეობს ღუდის ხევი ანუ ღუდა, რაც ხევსურეთისაგან დიდი მანძილით დაშორებული მხარეა. სხვა ადგილას თვით ი. გიულდენშტედტი არნიშნავს: „ამ პროვინციის (ავტორი ეხება შიდა ქართლს – ვ. ი.) ჩრდილოეთი ნაწილი უკავიათ ოსებით დასახლებულ მხარეებს. ამ პროვინციის მხარეებია: ოსური მხარე გუდა (ღუდა – ვ.ი.) არაგვს ბემოთ, 7 სოფლით” (I, გვ. 267).

მართებული იქნებოდა შიდა ქართლის ნაწილად ღუდის გამოყოფა ოსური მოსახლეობით და არა ოსურ მხარედ, რამდენადაც ოსების აქ დასახლება გვიანფეოდალურ ეპოქაში რეალური ჩანს (ვახტ. ითონიშვილი, არაგვის ხეობა), მაგრამ კიდევ უფრო დიდი შეცდომაა ღუდის მიჩნევა ხევსურეთად. ეს შეცდომა შეინიშნება სხვა ადგილასაც, როდესაც შიდა ქართლის შემადგენელ ტერიტორიულ ერთეულებად დასახელებულია ხალა, ხევსურეთი, გუდამაყარი, ფშავი და საერისთავო (I, გვ. 267, 269, 271). ესოდენ აღრეული ლოკალიზაციის საფუძვლად აღებულია ერთ შემთხვევაში კუთხეური, ხოლო მეორე შემთხვევაში აღმინისტრაციული სახელწოდებანი. აღმინისტრაციულ ერთეულად სახელდებულია საერისთავო, რომელშიაც შედიოდა არაგვის ხეობის ბარი და მთის კუთხეები: ჭართალი, ხანდო, გუდამაყარი, მთიულეთი (ორი თემის ხადისა და ცხავაგის გაერთიანება – ვ. ი.), ხევი და თრუსო. ამგვარი დაყოფით ლოკალიზაციის პრინციპი დარღვეულია,

ვინაიდან აქ ერთდროულად დასახელებულია საერთაშორისო კულტურული კურსი მასში შემავალი ზოგი ხეობაც. სამაგიეროდ გამორჩენილია ჭართალი, ხანდო, ხევი და ორუეო. სრულ გაუგებრობას ქმნის აქ ხევსურეთისა და ფშავის დასახულება, რომლებიც ეკუთვნიან არა ქართლის, არამედ კახეთის მთიანეთს.

ანალოგიური ხასიათის აღრევა შეინიშნება ი. გიულენშტედტის მეორე ტომშიც. მისი ავტორი თსური მხარეების არწერისას ვალაგირის მხარეში ასახელებს ჯუთას და ჩიმს (II, გვ. 61). სინამდვილეში ჯუთა ხევსურებით დასახლებული სოფელია ხევში, ხოლო სოფელი ჩიმი თსურ მხარეს კი განეკუთვნება და ჩრდილო თსეთში მდებარეობს, მაგრამ არა ვალაგირის (ალაგირის – ვ. ი.), არამედ თაგაურის ხეობაში, მდ. თერგის მარცხენა სანაპიროზე, ქვლადიკავკაზიდან 22-ე კილომეტრზე დარიალის ხეობის მიმართულებით.

მკვლევარი კიდევ უფრო ამახინჯებს სინამდვილეს, როდესაც ის ერთმანეთისაგან ვერ მიჯნავს ხევსა და ხევსურეთს, ხევის სახელწოდებად აცხადებს ხევსურეთს, უსისტემოდ ჩამოთვლის ამ ორი სხვადასხვა კუთხის სოფლებს და რაც მთავარია, ყველა მათგანს თსურ მხარეს მიაკუთვნებს (II, გვ. 63). მის მიერ აღრიცხული სოფლების ერთი ნაწილი ხევშია განლაგებული და მაშინაც მოხვევებით იყო დასახლებული. წარმოდგენილია ხევსურთა სოფლების არასრული ნუსხაც. მკვლევარს შეუმჩნეველი არ დარჩენია აგრეთვე ხევის ტერიტორიაზე ოსებით დასახლებული რამდენიმე სოფელი: ტალგათი (თოლგოთი – ვ.ი.), მნა, ნოგყაუ, კობი, უხათი და ყოველივე ამის საფუძველზე იგი განმარტავს: „ორი მოსაბღვრე მხარეა ზემო თერგზე, რომლებსაც აგრეთვე სონი და მეეევანი ჰქვიათ... ისინი მდებარეობენ თერგზე და კუმბელეის ნაკადულებზე ალპების მთებში. მოსახლეობა თავის თავს ეძახის აგრეთვე ხევსურეთს” (II, გვ. 63).

ი. გიულდენშტედტი ამგვარ შეცდომებს იმეორებს თრუქსოს ხეობის აღწერილობაშიც. მისი წარმოდგენით, საქართველოს ტერიტორიაზე, მდ. თერგის ზემო წელზე მდებარე თრუქსოს ხეობა ოსური მხარეა იმ მოგივით, რომ იმ დროისათვის იქ უკვე ოსები ცხოვრობდნენ. სინამდვილეში ეს ხეობა მაშინაც ქართული მხარე, საქართველოს ტერიტორიის განუყოფელი ნაწილი იყო, ისტორიულად წანარეთის შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო წანარები მოხევეთა წინაპრებად უნდა ვიგულოთ. შემდგომში წანარების ადგილ-სამყოფელში ქართველური მოდგმის დვალები მოსახლეობდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში დვალები თანდათანობით გაითქვიფნენ ქართულსა და ოსურ მოსახლეობაში. ყოველივე ამის შესახებ ნათქვამი მაქვს გამოქვეყნებულ თუ გამოუქვეყნებელ ნაშრომებში, მაგრამ ამჯერად აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. დამატებით აქ მხოლოდ იმას ავლინიშნავ, რომ თრუქსოს ხეობის სოფლების ჩამოთვლისას ი. გიულდენშტედტი კვლავაც ოსურ მხარეში აქცევს ხევს, ხევსურეთს და ინგუშეთის ნაწილს – არმხის ანუ ჯარიახის ხეობას (II, გვ. 65).

გერმანელმა მეცნიერმა ესოდენ დიდი არევ-დარევა შემოიტანა მთის კუთხეების აღწერილობაში, მაშინ როდესაც სწორედ არაგვისა და თერგის ხეობებზე გაიარა 1772 წელს და არ უნდა გასჭირვებოდა მათი სწორი ლოკალიზაცია. განსაკუთრებით საოცარია ის, რომ მან სტეფანწმინდა საქართველო-ოსეთის სასაბლვრო ზონის უკანასკნელ ქართულ სოფლებიდან მიიჩნია. ეს მაშინ, როდესაც ყიზლარისაკენ მიმავალი მეცნიერი, თავისი ექსპედიციით, უგზოობისა და დარიალის ხეობაში ოსების მხრიდან მოსალოდნელი თავდასხმის შიშით, მთელი ოთხი კვირის განმავლობაში ამ სოფელში იყო გაჩერებული მაშველი შეიარაღებული რაზმის მოლოდინში. ამ ხნის მანძილზე ის ცხოვრობდა ყაბბეგების ოჯახში და ქირასაც იხდიდა. მისთვის ისიც ცნობილი იყო, რომ ამ მხარეს (ხევს) განა-



გებდა ყაბბეგი (იგულისხმება ყაბიბეგ ჩოფიკაშილი სამრეკულო მინისტრის, რომელსაც ერეკლე მეორისაგან აგნაურობა ჰქონდა ბოძებული). ამ გვარის წარმომადგენელთაგან მასთან ყველაზე ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა ყაბიბეგის მვილი გაბრიელი (ალექსანდრე ყაბბეგის პაპა), როგორც მეგზური და თარჯიმანი (რუსეთის ხელისუფლების წინაშე დამსახურებისათვის შემდგომში გენერლის წოდებაში ამაღლებული). გაბრიელი თარჯიმნის მოვალეობას ასრულებდა რუსული ენის ცოდნის წყალობით. ასეთ პიროვნებასთან საქმიანი ურთიერთობის პირობებში ძნელი იქნებოდა იმის წარმოდგენა, რომ გაბრიელის მეშვეობით მკვლევარს არ სცოდნოდა სად თავდებოდა საქართველოს სამღვარი და რანაირად უნდა ყოფილიყო სტეფან-წმინდა უკანასკნელი ქართული სოფელი ხევის ტერიტორიაზე. ასევე ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩოფიკაშილებისგან და განსაკუთრებით კი გაბრიელისგან მას ვერ მიეღო სათანადო ინფორმაცია მთიანეთის კუთხეების შესახებ და ისიც კი ვერ დაედგინა, თუ სად იმყოფებოდა – ხევსურეთში, ხევში, თუ თსურ მხარეში.

საქართველოს მთიანეთის შესახებ არსებულ ცნობებს შორის საყურადღებოა ი. გიულდენშტედტის დაკვირვება რელიგიის განვითარების მდგომარეობაზედაც. მისი შეხედულებით, „რელიგია ქართულ პროვინციებში არის ბერძნულ-ქრისტიანული. მაღალ მთებში მდებარე მხარეებში, როგორიცაა თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, ხევი და სვანეთი, ის თითქმის გადავარდნილია და მოსახლეობა ცხოვრობს ყოველგვარი რელიგიისა და რელიგიური ქმედების გარეშე. მხოლოდ დიდმარხევა და კვირაობით სამუშაოზე გაუსვლელობა აქ, ისევე როგორც ქისტეთში, თხეთსა და ბასიანიაში, არის ერთადერთი ნაშთი ბერძნულ-ქრისტიანული რელიგიისა, რომელიც იქ არასოდეს ღრმად ფესვგადგმული არ ყოფილა” (II, გვ. 181).



დამკვირვებელს სწორად შეუნიშნავს, რომ ჩამომდიდრებული ვლილ მთიან კუთხეებში ქრისტიანული რელიგია „არასოდეს ღრმად ფესვგადგმული არ ყოფილა.“ მართებულად უნდა მივიჩნიოთ ის შეხედულებაც, რომ მისი იქ ყოფნის პერიოდისათვის ქრისტიანული რელიგიის როლი შესუსტებული იყო. აღნიშნული ვითარების ახსნას მკვლევარი არ იძლევა, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ მთისა და ბარის არათანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებაც მეტ-ნაკლები მასშტაბებით ხორციელდებოდა. სათანადო წყაროებიდან აშკარად ჩანს, რომ მთიანეთის მოსახლეობაში ქრისტიანობა დიდ დაბრკოლებებს ხვდებოდა, განსხვავებით ბარისაგან, სადაც ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცება ახალი იდეოლოგიის გამარჯვების საფუძველს ქმნიდა. ასეთ ვითარებაში, როდესაც მთიანეთის კუთხეებში წარმართული რწმენა-წარმოდგენები და კულტები ბევრად დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ, სამღედლოებასთან შედარებით მეტი გაელენა ჰქონდათ მოპოვებული ხევისბერ-დეკანოზებს და ეკლესიებზე მეტად ჯვარ-ხატებს ეთაყვანებოდნენ, სავსებით ლოგიკურად უნდა წარმოვიდგინოთ ქრისტიანული რელიგიის როლის შესუსტება საქართველოს სამეფოს ერთიანობის რღვევის პირობებში. მეცნიერი ისეთ დროს მოხვდა საქართველოში, როდესაც სამეფოს ერთიანობა მოშლილი იყო და ამ ერთიანობის გამომხატველი იდეოლოგიაც კარგავდა ზემოქმედების ძალას. ეს ორი ფაქტორი – მთიანეთში ქრისტიანობის გავრცელების სუსტი საფუძველები, ხოლო შემდეგ სამეფოს ერთიანობის რღვევა, საკმარისი პირობები აღმოჩნდა იმისათვის, რომ მთიანეთის მოსახლეობაში ქრისტიანობა გაფერმკრთალებულიყო.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, გადაჭარბებულად მიმაჩნია იმის მტკიცება, რომ ქრისტიანული რელიგია მთიანეთის კუთხეებში „თითქმის მთლად გადავარდნი-



ლია და მოსახლეობა ცხოვრობს ყოველგვარი რელიგიით კულტურით. სა და რელიგიური ქმედების გარეშე.” ის გარემოება, რომ მთიანეთში ქრისტიანობა ოდითგანვე ბარის დონეზე ვერ განმტკიცდა და ამის გამო აღვილად წარმოსადგენია მისი ფუნქციონირების დაქვეითება ფეოდალური სახელმწიფოს ერთიანობის მომლის პირობებში, არ გამოდგება ქრისტიანული რელიგიის მთლად გადავარდნის არგუმენტად. როგორც ი. გიულდენშტედტის დროს, ისე შემდგომ პერიოდშიც მთიანეთის კუთხეებში მოსახლეობის სულიერი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი იყო რელიგიური სინკრეტიზმი, ქართველ მთიელთა ცხოვრებაში წინაქრისტიანული რწმენა-წარმოდგენებისა და ქრისტიანული დოგმების თანაარსებობა, ხოლო ჩრდილო კავკასიის მოსახლეობაში ჯერ წარმართული, შემდეგ წარმართულ-ქრისტიანული, ხოლო გვიანფეოდალურ ხანაში წარმართულ-ქრისტიანულ-მაჰმადიანური რწმენის ფუნქციონირება.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანული რელიგიის პრიორიტეტის დონით გაუმართლებელია თვით საქართველოს მთიანეთის კუთხეების გათანაბრება. ამ მხრივ მიზანშეწონილი არ იყო არა მარგო კახეთის მთიანეთის შედარება ეკლესიების სიმრავლით და ქრისტიანული რელიგიის განვითარებით ბევრად დაწინაურებულ სვანეთთან, არამედ თვით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კუთხეების ერთ სიბრტყეზე დაყენება. როგორც ჩანს, ი. გიულდენშტედტი არ დაკვირვებია იმ გარემოებას, რომ სოციალური განვითარებისა და ქრისტიანობის გავრცელების დონით კახეთის მთიანეთი (ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი) ჩამოუვარდებოდა ქართლის მთიანეთს (ხევი, მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი, ქსანი).

ი. გიულდენშტედტის ნაშრომის მიმოხილვის დასახულს უნდა აღინიშნოს, რომ გერმანელმა მეცნიერმა უსათუოდ გარკვეული წვლილი შეიგანა საქართველოსა და კავკასიის მრავალპროფილიანი შესწავლის სფეროში.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს მთიანეთის მეცნიერების სახებ არსებული ცნობებიც, რომელთა ნაწილის გაზიარების საფუძველი არ არსებობს, მაგრამ განუხილველად დატოვებაც გაუმართლებელი იქნებოდა, რამდენადაც შეცდომების მხილებაც ისტორიოგრაფიული კვლევის ამცანას შეადგენს.

VAKHTANG ITONISHVILI

I. GIULDENSCHTED'S DATA ABOUT GEORGIAN HIGHLANDERS

Among those observer-researchers who were interested in many-sided study of Georgian and the Caucasian peoples German scientist, Academician of The Russian Imperial Academy I. Giuldenschted (1745-1781) gained an eminent place. I. Giuldenschted was one of those scientists of Imperial Academy who were leading expeditions for studying the regions of the Russian empire. In his works, based on the results of expeditions, he deals with the history and ethnography of Georgian highlanders.

His works give us an important information about the localization of Georgian mountain regions, communication system, ethnic and confessional belongings of the population, the varieties of their every-day life and religious believes. Taking into consideration inaccuracies and errors we meet in his descriptions, I. Giuldenschtet's works have a value of a primary source for the studies of mountain region of Georgia. Inaccuracies can be improved by Georgian historical sources and ethnographic data.

ეთნოგრაფიული მონაცემები ელენი ვირსალაძის შრომები

საყოველთაოდ ცნობილია ელენე ვირსალაძის დვაწ-
 ლი ქართული ფოლკლორისტიკის განვითარებაში. ამის
 დამადასტურებელია მისი მრავალრიცხოვანი და მრავალ-
 მხრივი გამოკვლევები და მის მიერვე მრავალწლიანი სა-
 კელე მუშაობის შედეგად შეკრებილი და გამომზეურებუ-
 ლი დიდალი ფოლკლორული მასალები. ქართული ფოლ-
 კლორისტიკის განვითარებაში მეცნიერის დამსახურების
 წარმოჩენა ქართული ფოლკლორის ისტორიის შესწავ-
 ლით დაინტერესებულ მეცნიერთა საპატიო მოვალეო-
 ბაა. ამჯერად კი ჩემი ყურადღება მიიცყრო იმ მასალების
 ფასეულობამ და მეცნიერულმა ინტერპრეტაციამ, რაც ეთ-
 ნოგრაფიის სფეროს განეკუთვნება. ამ მხრივ განსაკუთ-
 რებულ ყურადღებას იმსახურებს ე. ვირსალაძის ორი
 ფუნდამენტური ნაშრომი: „ქართული სამონადირეო ეპო-
 სი” და „ქართველ მთიელთა ბეპირსიგყვიერება”. პირვე-
 ლი მათგანი წარმოადგენს მონოგრაფიულ გამოკვლევას,
 ხოლო მეორე მეცნიერის მიერ მოპოვებული ფოლკლო-
 რული მასალების კრებულს შესანიშნავი გამოკვლევით
 და კომენტარებით.

ელენე ვირსალაძის პირველხარისხოვანი ნაშრომე-
 ბიდან პირველ ყოვლისა ეთნოგრაფიის ყურადღებას იქ-
 ცეს მონოგრაფია - „ქართული სამონადირეო ეპოსი”
 (თბ., 1964), რომელშიც თანმიმდევრობითაა შესწავლილი:

- 1) ქართული ხალხური სამონადირეო ტრადიციები, 2) და-
 ღუპული მონადირის სიმღერა, 3) დალის საჩუქარი,
- 4) ყურშა, 5) დალის მიერ დაღუპული მონადირე და თქმუ-
 ლება ამირანისა, 6) დალი და მის მიერ დაღუპული მონა-
 დირე მსოფლიო ეპოსის ძეგლთა უონგე, 7) ნადირთ
 ღვთაებათა შესახებ წარმოდგენები ქრისტიანობის ეპო-



ქაში და მათი ასახვა სამონადირეო ეპოსში, 8) ქართული სამონადირეო ეპოსის მხატვრული სახეები; ქართული სამონადირეო პოეზია და მრომის სიმღერები; ქართული სამონადირეო ეპოსი და საწესო პოეზია, 9) სამონადირეო ეპოსის ძეგლთა შესრულების ტრადიცია. გამოკვლევა უხვადაა ილუსტრირებული ავტორის საველე ჩანაწერებით, ნაბეჭდი და ხელნაწერი ტექსტებით.

დამოწმებული ჩამონათვალი ცხადყოფს, თუ რაოდენ დიდი სისრულითაა შესწავლილი კვლევის საგნად შერჩეული პრობლემა. ყველა ეს საკითხი განხილულია კომპლექსურად, რამდენადაც კვლევა ემყარება არა მარტო ფოლკლორულ მასალას, არამედ ეთნოგრაფიულ მონაცემებს და საისტორიო წყაროებს. ამ მხრივ ე. ვირსალაძის ნაშრომს გამორჩეული აღგილი უჭირავს ქართულ ფოლკლორისტიაში. ნაშრომის ყველა თავი იმსახურებს ეთნოგრაფიული თვალსაზრისით განხილვას, მაგრამ ამ შემთხვევაში სტატიის მოცულობის კვალობაზე ვითარებლებით მხოლოდ ბოგიერთი მათგანის შეფასებით.

ეთნოგრაფიული მასალების ინტენსიური გამოყენებითა და მეცნიერული ინტერპრეტაციით გამოირჩევა მონოგრაფიის ის ნაწილი, რომელიც გვაცნობს ქართულ ხალხურ სამონადირეო ტრადიციებს. მის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენდა ტაბუირების რთული სისტემა, რაც გულისხმობდა სავალდებულო ნორმების დაცვას, სახელობრ, ლანძღვა-გინებისა და უშვერი სიგყვების აკრძალვას, ცოლთან მორიდებას და ა. შ. თავის მხრივ სანადიროდ წასულის ცოლსაც ევალებოდა ტაბუს დაცვა (თმის გაშლა ან დაბანა, ცხიმიანის უჭმელობა და სხვ.). ნადირობისათვის დღისა და გეგის ამოსარჩევად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა მონადირეთა სიმრმებს და ბედნიერ თუ უბედურ ნიშანთა რთულ სიმბოლიკას. ნორმირებული იყო მონადირის საკვებიც, რაც გამორიცხავდა საგზლად ხორცის ან ღორის ქონის წაღებას. ის უნდა



დასჯერებოდა დედის ან ცოლის ხელით გამომუშავების „ხმელგანატებს” (მზის დაფანგული სხივების მსგავსად აჭრელებული ზედაპირით) იმის რწმენით, რომ „საწებით” (ცხიმით) მას თითქოს „კლდის ანგელოზი” უბრუნველყოფდა.

ასე მომზადებული მონადირე სამონადირო ადგილებთან მისვლისას სანთელს აანთებდა, დაილოცებოდა და „ხმელგანატებს” შეჭამდა, ხოლო შემდეგ მოკლული ნადირის გულ-ღვიძლს ნადირთ დვთაებას სწირავდა იმ მოსაბრებით, რომ „წმინდად მიჩნეული მოკლული ნადირი მონადირის განსაკუთრებული გაფრთხილებისა და პატივისცემის საგანი იყო” (ვვ. 27).

ნაშრომში ფიქსირებულია ის განსაკუთრებული დამოკიდებულება, რასაც იჩენდნენ მოკლული მტაცებელი ცხოველებისადმი. ამასთან დაკავშირებით სვანეთში სრულდებოდა ვეფხვის დატირების წესი, ხოლო ხევსურეთში მოკლული ვეფხვის შემოსვა ვაჟის ტანსაცმლით, გვერდით იარაღის დაწყობა და ასე დატირება. მკვლევარი იქვე აღნიშნავს ტაბუირების რეალობას სხვა ქვეყნების მაგალითზე და ამგვარ ჩვეულებებს ტოტემიზმის გადმონაშთებთან აკავშირებს. მისივე შეხედულებით, ამგვარ რწმენასთანაა დაკავშირებული აგრეთვე დახოცილი ნადირის რეგლამენტირების და თოფის „დასვენებისა” და „გაწმენდის” ქართული წესიც. ამ ჩვეულების მიხედვით, ნადირობაში ბედმეგი მსხვერპლი სიხარბის ტოლფასი იყო, რითაც მონადირე ნადირთ პატრონის გულისწყრომას იმსახურებდა. ე. ვირსალაძის შეხედულებით, ამგვარი შეგრძელვები ხელს უწყობდა ნადირის უმოწყალოდ განადგუნდებისაგან გადარჩენას.

24 მკვლევარი საგანგებოდ ეხება ნადირთ დვთაების ბუნებას და მათი ხალხური წარმოსახვის საკითხებს. მისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვნების საფუძველს იგი ხედავს ერთი მხრივ საქართველოს კუთხების



მცხოვრებთა წარმოდგენებში, ხოლო მეორე მხრიდან მცხოვრებთა წარმოდგენათა ეტაპობრივ განვითარებაში, რაც ეკონომიკური და სოციალური ყოფის განსხვავებულ საფეხურებთან არის დაკავშირებული. როგორც მეცნიერები ფიქრობს, სწორედ ამით აიხსნებოდა წარმოდგენათა მრავალფეროვნება საქართველოს ცალკეულ კუთხებში, რომლებშიაც ძველი და ახალი შეხედულებები, მითოლოგიური სახეები ხშირად ერთმანეთის გვერდით განაგრძობენ არსებობას. ამის შესაბამისად, ზოგიერთი წარმოდგენის მიხედვით ნადირთ ანგელოზი ანუ ნადირთ პატრიოთავისი ბუნებით გომოროფულია (ჯიხვი, არჩევი ან ირემი), რომლებიც სხვა ნადირთაგან განსაკუთრებული ნიშნებით გამოიჩინან (თეთრი ფერი, თეთრი ნიშანი შებლებე, ოქროს რქები, დაგრეხილი ან ამობურცული რქა ან ცალი რქა, ჩვეულებრივებე დიდი ბომა ან ჭრელი ტყავი...). ხალხური რწმენით, ასეთი ნიშნის მქონე ნადირის მოკვლა მონადირის დაღუპვის მომასწავებელი იყო. ამისგან განსხვავებით, ხალხში ჭარბობდა რწმენა იმისა, რომ ნადირთ პატრიოთი ლამაზი, ახალგაზრდა გრძელთმიანი ქალია, რომელიც მონადირეს პატრიონობდა იმ შემთხვევაში, თუ მონადირე მის სიყვარულს გაიზიარებდა. ასეთ შემთხვევაში მონადირე იღბლიანი ხდებოდა, მაგრამ ის ამ უპირატესობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეინარჩუნებდა, თუ მონადირე ამ საიდუმლოებას არ გაამჟღავნებდა და მითუმეტეს, თუ არც ერთ მოკვდავ ქალს არ გაეკარებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ნადირთ პატრიოთი ქალისაგან სასტიკი შურისძიება იყო მოსალოდნელი.

ხალხში გაერცელებული ეს შეხედულებები ცალკეული გარიანტების სახით მეცნიერებას დადასტურებული აქვს საქართველოს არაერთ კუთხეში. მისი ინტერპრეტაციით, ნადირთ ღვთაებად ქალის წარმოსახვა სტადიალურად უკავშირდება მატრიარქატის ეპოქას, რომლის დაშლასთან ერთად ქალღვთაების პარალელურად ნადირთ



პატრონად მამაკაცი ჩნდება, თანაც იზღუდება ქალდევნის გვების ფუნქციები და იზრდება მამაკაცური იპოსტატის არსებობის მოტივაცია. ბოგიერთი კუთხის მაგალითზე კი მკვდევარი წარმოაჩენს ნადირთ პატრონად ქალისა და ვაჟის მორიგეობით ფუნქციონირებას. ფიქსირებულია შემდგომი ვითარებაც, როდესაც სამონადირეო ღვთაებათა პანთეონი რთულდება და ნადირთ ღვთაების მთავარ ფუნქციას მამაკაცი იძენს, მაგრამ მის პარალელურად ნადირთ პატრონად ქალის არსებობაც გრძელდება. ნაშრომში სათანადოდაა ფიქსირებული აგრეთვე რწმენები ნადირის ხორცის ჭამასთან და ძვლების გადაყრის, დაწვის ან ძალებისათვის დაყრის აკრძალვასთან დაკავშირებით. ამ საკითხების კვლევაში ქართულთან ერთად დამოწმებულია კავკასიელი ხალხებისა და განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ტომების ტრადიციული ყოფის ეთნოგრაფიული პარალელებიც.

ეთნოგრაფიული მონაცემების გამოყენებითა და ანალიზით ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე მონოგრაფიის ის ნაწილი, რომელშიაც შესწავლილია რწმენა-წარმოდგენები ნადირთ ღვთაებათა შესახებ ქრისტიანობის ეპოქაში და მათი ასახვა სამონადირეო ეპოსში. მკვლევარი აღვენს იმ ტრანსფორმაციას, რაც ხალხურ წარმოსახვაში ზოგიერთმა სარწმუნოებრივმა პერსონაჟმა განიცადა. ერთ-ერთ ასეთ პერსონაჟად სახელდებულია ალი, რომელიც ქრისტიანულმა რელიგიამ მაცდელურთა კატეგორიად შერაცხა და ამით თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა წარმართული მსოფლმხედველობისადმი. არსებითი განსხვავება წარმართულსა და ქრისტიანულ შეხედულებებს შორის გამოვლინდა ნადირთ ღვთაების ფუნქციების შესრულებაში. წარმართული შეხედულებისაგან განსხვავებით, რომლის მიხედვითაც ნადირთ ღვთაება მონადირის მფარველად, ტყეში ნადირობის წესების დამცველად და ქორწინებისა და მშობიარე ქალის მფარვე-



ლადაც ითვლებოდა, ქრისტიანული წარმოდგენით ისტორიული შიშ, ტყის მავნე სულად იქცა, რომელიც აშინებს და სტან-ჯავს მონადირეს თუ მგზავრს და მელოგინე ქალისთვი-საც ვნების მომგან არსებად იქნა მიჩნეული.

ე. ვირსალაძის მიერ ჩაწერილი ხალხური მასალე-ბის მიხედვით, ალი ორია – ქალი და ეაკი, რომლებიც და-ქმად გაიაზრებიან. რწმენის თანახმად, ისინი გიანს აყენებენ როგორც ქალებს, ისე ვაჟებს. მასალებიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ დალის სახე ერთგვარად გაორე-ბული ჩანს, ვინაიდან დალის ბუნება ორგვარია. ეს ორბუ-ნებოვნება იმაში გამოიხატებოდა, რომ ხალხური (სვანუ-რი) წარმოსახვით დალი ღმერთის ფუნქციითაა აღჭურვი-ლი და ადამიანს მფარველობს, მონადირეს სიკეთესა და იღბალს ანიჭებს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ მონადირე მის კანონს არ დაარღვევს. მეორენაირი გაგებით დალი ავი არსებაა და ადამიანს აწვალებს. ამ რწმენის შესაბა-მისად ყოფაში დამკეიღლდა „ალის შელოცვის” წესი, რა-თა ესსნათ მელოგინე ქალი და გზაში მარტო დარჩენილი მგზავრი, პირველ ყოვლისა მთერალი ან ავადმყოფობით დასუსტებული ადამიანი.

მკელევარმა საგანგებო ყურადღება მიაქცია წარ-მართული რწმენის ელემენტების შერწყმას წმინდა გი-ორგის კულტთან. ნათქვამი იმით არის არგუმენტირებუ-ლი, რომ „წ. გიორგი არის ერთადერთი ქრისტიანი წმინდანი, რომლის სახელი წარმართულ ღვთაებათა გვერდით იხსენიება ქართველ მონადირეთა ხალხურ ლოცვებში” (გვ. 118). მისივე დასაბუთებით, „წ. გიორგის აბარია ნადირთ ჯოგები და მისი სურვილის გარეშე მო-ნადირე ნადირს ვერ მოკლავს” (გვ. 118). ასეთი რწმენა განაპირობებდა წმინდა გიორგისადმი გულდვიძლის შე-წირვის წესს. ამ შეხედულების ახსნას მკვლევარმა სა-ფუძვლად დაუდო ხალხური გადმოცემები, რითაც გემოხ-სენებული დებულებებია იღუსტრირებული. ამ მონაცემე-



ბის მიხედვით თვალნათლივ გამოჩნდა დალისადმი წარმოშოგი, და გიორგის მკაცრი დამოკიდებულება და აშკარა უპირატესობა, რაც გამოხატულებას პოულობდა ადამიანისადმი, კერძოდ კი მონადირისადმი მფარველობაში. დალისაგან განსხვავებით, რომელიც უმეტესად ნადირთ მფარველად გვევლინება, წმინდა გიორგი მონადირეთა ინტერესებს იცავს. დალისა და წმინდა გიორგის ფუნქციების მიხედვით მათ შორის ანგაგონიზმმა იჩინა თავი.

დალისა და წმინდა გიორგის შესახებ ხალხური რწმენის ამგვარ ტრანსფორმაციასთან დაქავშირებით მკვლევარი ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით და უხვი პარალელური მასალების ანალიზის საფუძველზე დაასკვნის: „ქართული ფოლკლორის მასალები ამტკიცებენ, რომ ქრისტიანული წმ. გიორგის კულტს საქართველოსა და კავკასიაში წინ უსწრებდა ნადირთ პატრონის მამაკაცური კორელაციის კულტები, ჯერ ნადირთ პატრონი ქალის დაღუპული ვაჟის ან საგროოს, ხოლო შემდეგ თვით ნადირთ პატრონის ფუნქციებს დაუფლებული მისი ძმის ან მეუღლის სახით. დროთა განმავლობაში უკანასკნელმა დაჩრდილა, ბოგჯერ კი სულ განდევნა ქალის ნადირთ პატრონის კულტი, მონადირეობის მთავარი ღვთაების ნიშნები მიიღო, ბოლოს კი, ასტრალიზაციის შედეგად მთვარეს დაუკავშირდა გიორგის, ჯარჯის, ჯგევეს, ჯგრაგის თუ გაუს სახელწოდებით. მის კულტში შერწყმული იყო ნადირთ პატრონის, წყლის პატრონის, ტყის სულისა და მთვარის თაყვანისცემა. როგორც ჩანს, მასში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა კლდის და მთათა კულტის ელემენტებს, რომელიც ესოდენ დამახასიათებელი იყო აბიური ნადირთ პატრონისა და ბუნების, ღვთაება არტემიდესა და კიბელის კულტებისათვის” (გვ. 125-126).

ზემოთქმულთან ერთად, ე. ვირსალაძის მიერ იღუსტრირებულია ის მონაცემები, რომლებიც წარმოაჩენენ ნადირობის როლს ქართველი ხალხის ყოფაში. ამ მხრივ

განსაკუთრებით საყურადღებოა საისტორიო წყაროების დან დამოწმებული ლოცვანი, რომლებიც გვიჩვენებენ ნა-დირობის მნიშვნელობას საოჯახო მეურნეობაში და მის როლს ადამიანის სამხედრო-სპორტულ მომზადებაში, ჯი-რითხა და ისრის სროლაში. ამ მონაცემების მიხედვით ნადირობა მხედრული აღმდებარებას და მოქნილობის, ფიზი-კური წვრთნის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა, რისი დამადასტურებელიცაა თვით ქართველ მეფე-პოეტა თხბულებანი – არჩილის „საქართველოს გნეობანი“ და თეიმურაბ მეორის „სარკე თქმულთა“.

ფეოდალური ეპოქის თხბულებათა მონაცემების, სხვადასხვა დროის ქართველ და უცხოელ დამკვირვე-ბელთა აღწერილობებისა და მონადირეობის ხალხური ტრადიციების ეთნოგრაფიული შესწავლის (ალ. რობაქიძე, ს. რეხვიაშვილი) ფონზე ე. ვირსალაძის ნაშრომი სერიო-ბული შენაძენია, რომლის გათვალისწინება მართებთ ამ საკითხის შემდგომი შესწავლით დაინტერესებულ მკვლე-ვართ.

ე. ვირსალაძის მეორე ნაშრომი - „ქართველ მთი-ელთა გეპირსიტყვიერება“ პირველ ყოვლისა ფასეულია ფოლკლორული მასალით, რაც მოიცავს მთიულეთ-გუდა-მაყრის გეპირსიტყვიერების ყველა უანრის ნიმუშებს. ამ მასალების ძირითადი ნაწილი მოძიებულია თვით მეცნიე-რის მიერ. მის მიერვე გამომზეურებულია მანამდე არსე-ბული ჩანაწერები არსებული ვარიანტების გათვალისწი-ნებით და წერილობითი წყაროების მაჩვენებლები. ნაშ-რომს ღირსებას მატებს თავმოყრილი მასალების მეცნიე-რული ინტერპრეტაცია, რაც განსახიერებულია გამოკ-ვლევაში და კომენტარებში.

გამომზეურებულ მასალებს ფოლკლორულ ძიებას-თან ერთად მნიშვნელობა ენიჭება ეთნოგრაფიული თვა-



ლსაბრისითაც, ბეპირსიგყვიერების დიდი ნაწილი თავისუფლად თავად ეთნოგრაფიული კვლევის წყაროსაც წარმოადგენს. მაგრამ ყველა მათგანის ეთნოგრაფიული ღირებულების შეფასება ერთი სტატიის ფარგლებში შეუძლებელია. ამიტომ ამჯერად სანიმუშოდ შეიძლება გამოვყოთ ზოგიერთი მათგანი, სახელდობრ ჩანაწერები მთიულეთში ოსთა და დვალთა თარეშის შესახებ.

ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, მთიულეთს ოსები და დვალები არბევდნენ და ყალანსაც აღებდნენ. ამასთან ერთად, მოთარეშებს მთიულებისათვის გამასპინძლებაც დაუკისრებიათ და თანაც გასათხოვარი ქალის ან რძლის სალოგინედ გამეტების დამამცირებელი პირობის აღსრულებით. დვალებად სახელდებული მარბიელნი მთიულეთის ყველა სოფელს იკლებდნენ და სოფელ მლეთაშიც ამ განმრახვით მოსულან. დაკისრებული მოვალეობის შესაბამისად მთიულებს ხარი დაუკლავთ და გამასპინძლებიან, მაგრამ ოჯახში ერთად მცხოვრებ 9 ძმას მათთვის ხაფანგის მოწყობა თავიდანვე განუზრახავს. დვალთა მორიგი „სტუმრობის“ მოლოდინში მათ დასაძინებლად განკუთხნილი სახლის ერთ-ერთ განყოფილებაში წინასწარ თხრილი გაუკეთებიათ და ბედ ლასტები დაუფენიათ. მასპინძლებს თქვამთ, რომ ქალი მორცხვობს, თქვენ დაიძინეთ და დამით ქალსაც მოგვირითო. შეზარხოშებული დვალები ენდნენ დაპირებას და როგორც კი ძილს მიეცნენ, მასპინძლებს ლასტების მისაბმელები დაუჭრიათ, მძინარე დვალები თხრილში ჩაუყრიათ და საჩხვლეტი იარაღით ამოუხოციათ.

მათი დახოცვა ოსებს რომ შეუტყვიათ, მათი ლაშქარი მთიულეთის ასაკლებლად წამოსულა. მეგზურად წამოუყვანიათ ოსებში გაზრდილი მთიული ბერი გაგაძე, მაგრამ ოსები მოტყუვდნენ, გაგაძემ მოსალოდნელი თავდასხმა მთიულებს აცნობა და მთიულებიც საომრად მოემზადნენ. ღიღველზე (კაიშაურის ველზე) მათ გრძელი

თხრილი გაუჭრიათ, შიგ მუხის მარგილები ჩაუსვამთ, ჟუ-
მოდან ლასტები დაუდიათ და ბელტებით გაუწყვიათ. მო-
თარეშე თხები ამ თხრილში ჩაცვენილან და მთიულებს
ასე ამოუხოციათ.

გადმოცემის ორივე ვარიანტის მიხედვით მტრის წი-
ნააღმდეგ ბრძოლის ერთნაირი ხერხი იქნა გამოყენებუ-
ლი. ეს გადმოცემები კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მო-
თარეშეთა ვინაობის გარკვევისათვის. მხედველობაში
მაქვს ხალხური ნომინაცია – დვალთა და ოსთა გააიგოვა-
ბა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მომხდარი ბრძოლის პე-
რიოდისათვის ეს ორი ეთნიკური ცნება უკვე აღრეული
იყო. დვალის და ოსის ერთად ხსენება და მათი იდენტი-
ფიკაცია განაპირობა დვალთა გაოსებამ, რაც ოსების ზე-
წოლით განხორციელდა. ისტორიულ დვალეთში ანუ ბუდე
დვალეთში ოსებმა დვალთა ასიმილაცია მოახდინეს და
ხალხმაც დვალი ოსთან გააიგოვა. ამგვარი ეთნიკური
პროცესის მაჩვენებელია სპეციალური ისტორიულ-ეთნოგ-
რაფიული გამოკვლევები, პირველ ყოვლისა ვახტანგ
ითონიშვილის შრომები, რომლებშიც მთიულური გადმო-
ცემების შინაარსიც აირეკლა. აღნიშნული ვითარება უსა-
თუოდ ზრდის ე. ვირსალაძის მიერ ფიქსირებული გადმო-
ცემების მნიშვნელობას და მათ ისტორიულ-ეთნოგრაფიუ-
ლი წყაროს ღირებულებას ანიჭებს.

ყოველივე ამასთან ერთად, მთიულეთში მოპოვე-
ბული მასალები წარმოაჩენენ ხალხურ ვერსიას იმის თა-
ობაზე, რომ ოსების თუ გაოსებული დვალების წინააღ-
მდეგ ბრძოლაში სახელმოხვეჭილი 9 ძმა გვარად ბურდუ-
ლი ყოფილა. ეს საფუძვლად დასდებია თემისაგან მინიჭე-
ბულ პრეროგატივას. სხვა მონაცემებთან ერთად ე. ვირ-
სალაძის მიერ მოპოვებული მასალების მიხედვითაც მთი-
ულებმა ბურდულებს მიაკუთვნეს დეკანობობა მთიულე-
თის ყველაზე დიდ დღესასწაულზე – ლომისობაზე და
თემში გამორჩეული უფლება ფორმულირებით: „საბურ-

დუღო კაცსა სუფრა უწევარი და ქალი უთხოვარებულებული, ლება რომლის მიხედვითაც ბურდულს შეეძლო ნებისმიერ სუფრაზე დაუპატიჟებლად დასწრება და ნებისმიერი გვარიდან ქალის ცოლად მოყვანა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან გამოჩნდა, ე. ვირსალაძემ ფოლკლორულ მასალებთან ერთად ფართოდ გამოიყენება ეთნოგრაფიული მონაცემები და საისტორიო წყაროების მაჩვენებლები. ეთნოგრაფის თვალთახედვით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეთნოგრაფიული მასალების უხვად ფიქსაციას და მის კვალიფიციურ ანალიზს. ეს არის საფუძველი იმის მტკიცებისა, რომ ე. ვირსალაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიგანა ქართული ხალხური ტრადიციების შესწავლის სფეროში და ამის შედეგად მან საპატიო ადგილი დაიმკვიდრა არა მარტო ფოლკლორისტის, არამედ ეთნოგრაფიის ისტორიაშიც.

ETHNOGRAPHICAL DATA IN THE WORKS OF ELENE VIRSALADZE

Elene Virsaladze's contribution in folklore studies is well known. She based her studies not only on folklore data but ethnographic material as well and gave adequate interpretation to the mentioned material. Among the ethnographic works of Elene Virsaladze the monograph: "Georgian Hunting Epos" (1964) attracts a special attention of an ethnologist as the problem is thoroughly investigated in the monograph. The chapter which tells us about the hunting traditions in Georgia is marked out for its intensive use of ethnographic material and scientific interpretation. One of the component parts of the Georgia hunting traditions is the complicated taboo system. According to the mentioned taboo system a hunter had to obey a certain norms. Hunter's ration was under the regulation as well. Taking of meat and pig's fat on shooting was strictly forbidden.

The investigation of the nature and folk image of the hunting deity was Elene Virsaladze's special scientific interest. At first sight hunting deity is of zoomorphic nature but people believe the diet was a beautiful woman with a long heir, who protected hunter only in the case of sexual intercourse. Comparative analysis of the Christian and Pre-Christian believes showed that some deities underwent transformation. One of such mythological personages is Ali which gained the image of a cunning creature in Christianity. Thus, expressed its negative attitude to the pagan outlook.

Together with religious believes Elene Virsaladze showed the place and role of hunting in people's economical life.

It is worth of mention that besides hunting traditions, Elene Virsaladze gathered ethnonimic legends telling us about the battles between Georgian highlanders and Osetians, showing Dvals' belonging to the Georgian ethnic group and mistaken opinion of their being Osetians.

წინაპართა ცოდნის ინფორმაცია სამყაროს შექმნისა და დასასრულის შესახებ (“უკანითი უკანისამღვევი”)

მსოფლიოს მრავალი ხალხის რწმენა-წარმოდგენებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამყაროს შექმნის თემას, რომელიც, სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ყველა ხალხისთვის უნივერსალურია სხვადასხვა თავისებურებით და ასახავს სულიერი (მითები, გადმოცემები) და მატერიალური (კულტურის ძეგლები) კულტურის სამუალებით ქაოსიდან (დემონებით დასახლებული უწესრიგო მასა ან წყლის სივრცე) კოსმოსის (პროფანული – ადამიანებით დასახლებული დედამიწა და საკრალური – ღვთაებების სამყოფელი, ზეცა) შექმნას, ძირითადად, ღვთაების ნების შესაბამისად (37, 27-93-99; 40, 219).

მართალია, საქართველოში კოსმოგონიური ხასიათის მითები არ შემორჩენილა, მაგრამ არსებობს გადმოცემები, ანდრეზები, ლექსები, რომელთა მიხედვითაც ღმერთმა შექმნა ზეცა და ხმელეთი, შემდეგ მნათობები და ვააჩინა ღვთისშვილები ცისა და ქვეყნის შეუამდებად და დევებთან საბრძოლველად, ადამიანთა საკეთილდღეოდ (37, 117; 35, 166).

ქართველებს აქვთ ერთი საინგერესო რიტუალი, რომელშიც სიმბოლური ფორმით (ბუნების მოვლენების გადმოცემა სოციალური ურთიერთობის ანალოგით) ჩადებული წინაპართა ცოლნის ინფორმაცია სამყაროს შექმნის ანუ სიბნელიდან სინათლის წარმოშობის შესახებ, თანამედროვე ფიზიკოსთა თეორიებითაც მტკიცდება.

კერძოდ, თუშეთში, ათნიგენობის დღესასწაულზე²⁷ ივლისს, საღამოს, სოფელ ქუმელაურთაში, შაფურთის გორაბე, შაფურთის წმინდა გიორგი ათნიგენა ხატისგან (ხატი წარმოადგენს ირმისა და ჯიხვის რქებით შემკულ პატარა ყორეს) ოდნავ მოშორებით, ქალები ირაზმებიან და



გზას კრავენ ჯოხებითა და შოლტებით. ხატთან ცხენოსაძე
ნი მამაკაცები ჯგუფდებიან და ერთბაშად ჭენდებიან ქა-
ლებისკენ, რათა წრე გაარღვიონ და გამარჯვებულნი გა-
ვიდნენ. ქალები შოლტებს სცემენ და ცდილობენ მამაკა-
ცები ცხენებიდან ჩამოათრიონ. დამარცხებულ კაცებს
ფერდობზე ცალი ფეხით ჩაათრევენ, ხოლო გამარჯვე-
ბულს – ანუ პირველად გასულ მხედარს “ერთი ჩხუფი”
(სუფრა, ეძლევა და სოფელი პურ-არაყ-ლუდით უმასპინ-
ძლდება.ქალები ცდილობენ, არცერთი მამაკაცი ჩაუთრე-
ველი არ დატოვონ, რადგან მათი რწმენით, ჩაუთრეველს
ხატი დაამიზებებს. ჩათრევის შემდეგ იმართება ქორ-ბე-
ლელა და ცეკვა-თამაში. ქორ-ბელელას ტექსტი ასეთია:

“დღესამ დღეობა ვისია, წმიდისი გიორგისია,
ჯვარ-ჯვარის ქრობა ვისია, წმიდისა გიორგისია,
გიორგი გალავანზედა უსარტყლო იარებოდა,
გიორგის გადმონავალზე ხე ალვად ამოდიოდა,
მაგის შემცოდე ქალ-ვაჟი უდროოდ დაშავდებოდა”

(16, 213-216).

თითქოსდა, ერთი შეხედვით, ამ რიტუალს კაეშირი
არ უნდა ჰქონდეს სამყაროს წარმოშობის თემასთან, რა-
დგან “ჩათრევის” მნიშვნელობა ნათელია – “ჩაუთრე-
ველს” ხატი დაამიზებებს, მაგრამ ჩნდება კითხვები, რო-
მელთა პასუხებიც, ვფიქრობთ, გასაგებს გახდის რიტუა-
ლის არსს.

კერძოდ, თუ მამაკაცთა “ჩათრევა” აუცილებელია
ხატის დამიზებებისგან მათ დასაცავად, რატომ ითვლება
“ჩაუთრეველი” გამარჯვებულად – ანუ, რატომ ცდილობს
მამაკაცი გამარჯვებას, ქალების წრის გარღვევას, თუ
მის ასეთ ქმედებას ხატისგან დამიზებება მოჰყება?

გარდა ამისა, უცნაურად ჩანს ქალების აქტიური (ფი-
ზიკურად ძალადობრივი) დამოკიდებულების გამოვლენა
მამაკაცებისადმი ისეთ საზოგადოებაში, რომელშიც, ჩვეუ-
ლებრივად – ყოფით ცხოვრებაში, ქალის მამაკაცისადმი



ურთიერთობა მორიდებულობით ხასიათდება. საინტერნეტო სოა, რაგომ აქვთ ქალებს, ამ, თითქმის ერთადერთ შემთხვევაში, გამონაკლისი უფლება ან მოვალეობა, გამოავლინონ ძალადობა?

აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად, უპირველესად უნდა გამოვარკვიოთ, თუ რის სიმბოლოებს განსაზღვრავდნენ:

ა) რიგუალში მონაწილე პირები (ქალები ჯოხებითა და შოლტებით, ქაცები – ცხენებით);

ბ) დორისა (27 ივლისის საღამო) და სივრცის (გორა, ფერდობი, წრე)კოორდინატები;

გ) რიგუალის გამოხატვის ფორმა (ძალადობრივი წინააღმდეგობა, ჩათრევა–გარღვევა);

დ) დღესასწაულის მახასიათებელი ტერმინები.

ცხადია, უმთავრესი თვისება, რაც ქალს ახასიათებს და რაც მას მამაკაცისებან განასხვავებს, არის დედობის უნარი. ქალი – დედა არის სიცოცხლის გამჩენი და ეს ნიშანი განაპირობებს მის დაკავშირებას ნაყოფიერებასთან სიმბოლური ფორმებით, რაც ასახულია ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში, რიგუალებში და მაგერიალურ ძეგლებშე. აღსანიშნავია, რომ ამავე საშუალებებით მამაკაციც დაკავშირებულია ნაყოფიერებასთან, თუმცა, ქალისგან არსებითად განმასხვავებელი ნიშნით – გამანაყოფიერებელი ძალით.

ქალისა და მამაკაცის მთავარი თვისება – ნაყოფიერება მათ მთავარ დანიშნულებად ითვლება ყოფაში, რაც მთელ რიგ რიგუალებშია ასახული.

ქალის ძირითად დანიშნულებად მემკვიდრის შობა რომ ითვლება, ეს კარგად ჩანს საქორწილო რიგუალებითან. დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს. უპირველესად უნდა აღვნიშნოთ, რომ პატარძალს ნეფის ოჯახში მიყვანისას კალთაში ბავშვს – ვაჟს ჩაუსვამდნენ, რაც მთხოვნელთა აბრით, იმის საწინდარი იყო, რომ პატარძალს ვა-

ეთ გაეჩინა. აღსანიშნავია, კიდევ ერთი გარემოება, ცოლილი ძოლ, ცნობილია, რომ პატარძალი მორიდებული უნდა ყოფილიყო ოჯახის წევრებისა და, განსაკუთრებით, მამაკაცების მიმართ, რაც გამოიხატებოდა, ძირითადად, უმძრახობით, რომელიც ერთიდან – რამდენიმე წელს გრძელდებოდა. გარკვეული ხნის გავლის შემდეგ, მამამთილი რაიმეს ჩუქნიდა პატარძალს, რათა მისთვის ხმა გაეცა და ეს გარკვეული დრო აუცილებლად მხოლოდ მას შემდეგ დგებოდა, როცა პატარძალი შეიღს გააჩენდა.

გარდა ამისა, არსებობდა მთელი რიგი რელიგიური დღესასწაულებისა, რომელთა დროსაც ქალები ხატებს ან რომელიმე განსაზღვრულ ღვთაებას შეიღირებას სთხოვდნენ. მაგალითად, ხევში, სოფელ ფხელშემი, კვირედვთისშვილის ხატს (წარმოადგენს თეთრი სამოსით, მიღვებით, ღილებით, ბეჭდებითა და საყურეებით შემკულ დედოფალას), მესხეთ-ჯავახეთში – ვარძიის ხატს, რაჭაში – დედაღვთისას, უშვილო ქალები შეიღირებას (ვაკის მიცემას), გამრავლებას და ჯანმრთელობას ეველრებოდნენ (14, 212-214; 15, 112-113).

“ქართლის ცხოვრების” მიხედვით, ქალის უპირველესი მოვალეობაა შვილების (დედოფლისთვის სამეფო ტახტის მემკვიდრის) გაჩენა, რაც დასტურდება მეუე ვარაბ-ბაქარის (ქართლის მეფე IV ს. 70-80-იან წლებში) მიერ, მემკვიდრის ყოლის სურვილით, პირველი ცოლის სიცოცხლეშივე მეორე ცოლის შერთვით. თუმცა, ქრისტიანული რელიგიის მიხედვით, ორცოლიანობა მიუღებელია, მემატიანე პირდაპირ არ გმობს მეფის აღნიშნულ ქმედებას დასახელებული მიზების გამო და მხოლოდ მიგვანიშნებს, რომ ეს ქორწინება იყო ერთ-ერთი, მეფის სხვა უსჯულო ქმედებათაგან – “ყოველივე იქცეოდა უსჯულოდ” (2, 136; 30, 116-117).

საინტერესოა, რომ ორცოლიანობა მემკვიდრის ყოლის მიზნით ცნობილია ქართულ ეთნოგრაფიულ სინამ-



დვილეში – საქართველოს მთის მოსახლეობის ფენტენი სოციალურ წრეშიც (31, 116-117).

რაც შეეხება, მამაკაცის, როგორც გამანაყოფიერებული ძალის დაკავშირებას ნაყოფიერებასთან, კარგად ჩანს, როგორც საქართველოს სხადასხვა კუთხეში აღმართული ქვის ფალოსის ძეგლებისა თუ შესაწირი ხის ჭლოკებისა და ღვატების და მათთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებიდან (11, 8, 152-161), ასევე, მამაკაცთა საინიციაციო რიგუალებიდან, რომელთა დროსაც, ფიზიკური გამოცდით ანდროგინული თვისებების ჩახშობის შემდეგ, მამაკაცები იძენდნენ მხოლოდ მამაკაცურ თვისებებს შვილიერებისთვის – ნაყოფიერებისთვის და მამაკაცურ ბუნებას გამოხატავდნენ სიმბოლურ-რეალური საშუალებებით, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს სვანეთში “მურყვამობის” – კოშკობის დღესასწაულისას “ადრეკილავსა” და „მელიამ ტულეფამს“ წეს-ჩვეულებანი (32, 149-154).

საინტერესოა, აგრეთვე, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დამოწმებული წეს-ჩვეულება – ქალისა და მამაკაცის ერთობლივი მონაწილეობა ნაყოფიერებისათვის კერასთან, თითქმის ნატურალურად გამოსახული სქესობრივი იმიტაციის ფორმით – “ბოსლობის” რიგუალის სახელწოდებით (6, 176; 8, 142-143). ნიშანდობლივია, აგრეთვე, რომ კერას ქალური ბუნება ჰქონდა, ხოლო ზესადგარები, რომელთაც ფალოსიანი კერპების სახე ჰქონდათ, მამაკაცებს გამოსახავდნენ და კერას ანაყოფიერებდნენ (36, 65).

საყურადღებოა, რომ ქალებს და მამაკაცებს თავიანთი სალოცავები ცალ-ცალკე ჰქონდათ და არცერთს არ ჰქონდა უფლება მეორეს სალოცავში მისვლის და რიგუალში მონაწილეობის მიღებისა.

ქალთა სალოცავებიდან აღსანიშნავია “ადგილის დედის” (ფშავში, ხევსურეთში), “ადგილის დედოფლის” – ”ადგილ ანხუ” (აფხაზეთში), “ლამზირის“ – მიწის სალოცავის



(სვანეთში), “ხთება დედამდებარის” (კახეთში, “სახლის ანგელობის” (ხევში) და სხვა სალოცავები. აღნიშნულ სალოცავთა რიტუალები სრულდებოდა ზოგი ოჯახში და ზოგი სახლს გარეთ: ველბე, მთაში, კლდებე და ყველა შემთხვევაში სოროსთან, ორმოსთან ან კედლის ხერელთან, იდუმალური სიმშვიდით, ზოგჯერ ხმის ამოუღებლად, მამაქაცთა ნაყოფიერების, ბარაქიანობისა და შშეიდობიანობისთვის (ამ სიმშვიდით გაოცებული კაცები ერთ-ერთ სიმღერაში დასცინიან კიდეც ქალებს: “პურსა სჭამენ და ღვინოს სმენ, სიმღერას არ იტყვიანო, არ ვიცი, ვისა გლოვობენ, არ ვიცი, არ იციანო”). აღნიშნულ რიტუალებში მიწა-ორმო, სორო, ხერელი მოიაზრებოდა – ქალის, ხოლო გველი – კაცის სასქესო ორგანოდ, რომელიც ფლობდა ნაყოფიერებისა და ბარაქიანობის მომგან თვალს (მზის – გამანაყოფიერებული ძალის სიმბოლოს), რომლის წართმევასაც კაცი ცდილობდა, ცხადია, არა აღნიშნულ რიტუალებში, არამედ, გველისა და კაცის ურთიერთობასთან დაკავშირებული სხვა რწმენა-წარმოდგენების მიხედვით (27, 186-206).

ქალთა სალოცავებისგან განსხვავებით, მამაქაცთა სალოცავები მდებარეობდა მთაბე, რომლითაც, სხვა ნიშნებთან ერთად – შესაბამის პოზაში მდგომი მღლცველები და მავედრებლები – წარმოიდგინება ზეცასთან კავშირი, ცისადინი მიმართვა და შეწირვა არეკლილია ტერმინი “ზედაშე”-შიც, აგრეთვე, სამეგრელოში არსებულ “ჟინიში”-ს – ზედას, ზევითურის კულტში და სხვ. (24, 76).

ამჯერად, ჩვენს მიზანს არ შეადგენს მამაქაცთა სალოცავების დაწვრილებით ჩამოთვლა, ან რიტუალთა აღწერა, რადგანაც მხოლოდ ზოგადის – საერთო მახასიათებლის – მამაქაცთა სალოცავების ზეცასთან (ზეციურ ძალებთან) კავშირის და ამით ქალთა სალოცავებისაგან მათი სივრცობრივი განვენილობის და, შესაბამისად, სიმ-

ბოლურად თვისობრივი (ქალი – მიწა, სიბნელე, კაცობრივი გეცა, სინათლე) განსხვავების აღნიშვნა გვინდოდა.

საინტერესოა, რომ რწმენა-წარმოდგენებითაც ქალი ჯერ კიდევ დაბადებამდე – მუცლად ყოფნისას უკავშირდება სამყაროს ქვედა ნაწილს, კაცი კი – ზედას. ორსულ ქალს, ისე, რომ მას არ დაენახა, თავზე მარილს დააყრიდნენ და თუ ის სხეულზე წელს ქვემოთ მოისვამდა ხელს, ფიქრობდნენ, რომ გოგო გაჩნდებოდა, თუ ბემოთ – ბიჭი (10, 24).

გლოვის დროსაც ჭირისუფლებად მხოლოდ ქალები ისხდნენ ცხედრის გარშემო, კაცები კი ჯოხზე დაყუდებულები იდგნენ (13, 150); ხმით მოგირალნიც, რომლებიც მიცვალებულის მაგივრად ლაპარაკობდნენ, მხოლოდ ქალები იყვნენ (19, 17), რაც უთუოდ ქალების მიცვალებულთა სამყაროსთან, ანუ ქვესკნელთან – შავეთთან კავშირზე მიუთითებს.

ლიფანალის დროს (სვანების რწმენით, ლიფანალის დროს მიცვალებულთა სულები ცოცხლებთან მოდიან და უმასპინძლდებიან) მხოლოდ ქალები ხატავენ მიცვალებულებთან დაკავშირებულ გამოსახულებებს, მაგალითად, ცხენიან მხედრებს (5, 67). ცნობილია, რომ რწმენა-წარმოდგენების მიხედვით მიცვალებულის სული ცხენს (სულის ცხენს) მიჰყავდა საიქიოში (30, 156-178), ისიც ცნობილია, რომ სულის ცხენს მხოლოდ კაცს დაუყენებდნენ საიქიოში გასამგზავრებლად, ქალს – არა (თუმცა, გამონაკლისიც არსებობს, რაც მოგვიანო მოვლენა უნდა იყოს), ვფიქრობთ, მარტივი მიზების გამო – ქალი ისედაც დაკავშირებული იყო საიქიოსთან – ქვესკნელთან (შავეთთან) და მას შუამავალი – დამხმარე ძალა არ სჭირდებოდა, თანაც, სულის ცხენს მიცვალებულის სული ქვესკნელში კი არა, ზეცაში, მჩესთან – სინათლეში მიჰყავდა (30, 175).

აქვე უნდა აღვნიშნოთ კოლხეთსა და აფხაზეთში ძველად არსებული მიცვალებულის ხეზე დაკრძალვის თა-

ვისებურება, რომელსაც ყურადღება მიაქცია თ. ღუდუშავათიშვილი. კერძოდ, აპოლონიოს როლოსელის და ნიკოლოზ დამასკელის ცნობით კოლხეთში გარდაცვლილ მამაკაცთა გვამებს ხარის ან კამეჩის ტყავში ახევედნენ და ხეგე პკილებდნენ, მაშინ, როდესაც ქალების გვამებს მიწას აბარებდნენ. თ. ღუდუშავათის აზრით, “აღნიშნული თავისებურებით ნათლად იკვეთება მიცვალებულის დაკრძალვის წესის ვარიაბელურობა სქესის ნიშნის მიხედვით (მამაკაცები – ქალები, ხე – მიწა), რაც კავშირს ამედავნებს უნივერსუმის ორსქესოვან გააზრებასთან (მიწა – მდედრული საწყისი, ცა-ზესკნელი – მამრული საწყისი)” (26, 34).

საყურადღებოა აფრეთვე, რომ რწმენა-წარმოდგენებით ავი, ბნელი, ქტონური ძალები უმეტესად ქალის სახეს ატარებდნენ: მაბაკეალი და წყლის დედა – სამეგრელოში, ალი – ქართლში, ღობილები – ხევსურეთში, ემბაკი, კულიანი – ფშავში, დევთ დედა – ხევში, ძიძლანი (წყლის დედა) – აფხაზეთში და სხვა (13, 165-167-198; 14, 243; 17, 241).

ცნობილია, აგრეთვე, ქალი ღვთაებები: მზექალი (ხევსურეთში), პირიმზე (მთიულეთში), ლილე (სვანეთში) და სხვები, რომლებიც ჩამავალი მზის (მზე გარეთას) – ქვესკნელის, სიბნელის ღვთაებებია, საპირისპიროდ ამომავალი მზის (მზე შინას) – ბესკნელის, სამზეოს ანუ მამაკაცური ღვთაებებია: დღე დღესინდელის (ხევსურეთში) და კვირიასი (სვანეთში) (32, 157).

ვფიქრობთ, დიდი დედა ნანას ღვთაებაც, რომელსაც ქართველები წარმოიდგენენ დედის სახით, რომელიც არ-წევს ოქროს აკვანს და ტკბილი ხმით უმღერის მწოლიარე ჩეილს “იავნანას” (39, 108), ღამის (სიბნელის) ღვთაებაა, სიმღერის ძილისმომგვრელი ფუნქციის გამო.

ამავე დროს, როგორც ვერა ბარდაველიძე აღნიშნავს, დიდი დედას სახე ასოცირებულია გაბაფხულის ბუნებასთან მისი ეპითეტების – ია და ვარდის გამო (იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო!). თითქოს შეუსაბამობაა,

დამის (სიბნელის) ღვთაება გამაფხულის (ბუნების გარღვევის ძების) ღვთაებაა, “ოქროს ქოჩრიანის” – “ოქროს ბურთის” ღედა! მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ბემოთაღნიშნულს იმის შესახებ, რომ ქალი – სიცოცხლის საწყისი (დიდი ღედა ნანას შემთხვევაში – გამაფხული) დაკავშირებულია მიწასთან, ქვესკნელთან და სიბნელესთან, მაშინ დიდი ღედა ნანა ღვთაების სახე – გამაფხულის ღამე – ია და ვარდთან (გამაფხულის ყვავილებთან) შედარებული მზის (“ოქროს ბურთის” – “ოქროს ქოჩრიანის”) ღედბ შეუსაბამო აღარ გამოჩნდება. გამაფხულზე ხომ მარტის ბუნიობის შემდეგ დღის ხანგრძლივობა (შესაბამისად, მზის ცხოველმყოფელობა) იმატებს.

გასათვალისწინებელია, აგრეთვე, ტერმინი “ღმერთის” შესახებ გამოთქმული მოსაზრებანი. კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის აზრით, “ღმერთი” – “ღორონთი” (მეგრულად) – “ღორმოთი” (ჭანურად) – “ღერმეთ” (სვანურად) მდედრობითი სქესის ღვთაებაა “თ”-“ეთ”-“თი” მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი დაბოლოებით (38, 81-82); ვერა ბარდაველიძე კი ტერმინი “ღმერთს” უკავშირებს “ღამეს” და ღამის ცის ღვთაებას (7, 166-167).

ვფიქრობთ, საფუძვლიანი მსჯელობის გამო, ორივე მოსაზრება, ავსებს რა ერთმანეთს (ივანე ჯავახიშვილი ტერმინს ხსნის ეფიმოლოგიურად, ვერა ბარდაველიძე კი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) მისაღებია, მაგრამ არა ერთმნიშვნელოვნად, რადგანაც ღმერთი არც მხოლოდ-ღამის, არც მხოლოდ მდედრობითი და არც ღამის მდედრობითი ღვთაებაა, ქართველთა წარმოლგენებით, სამყაროს შემოქმედი უზენაესი ღვთაება ღმერთი (აღმოსავლეთ საქართველოს მთაში – მორიგე ღმერთი) სრულია ბნელისა და ნათელის ერთობლიობით, რაც აისახა ტერმინებში „ღ-მერთი“, „ღ-ამე“, „ღ-ღე“, საერთო „ღ“ ძირით (ქართველები ჩვილსაც კი პირველად „ა-ღ-უს“ ათქმევინებენ, რითაც ჩვილი პირველად ღმერთს მიმარ-

თავს, უცინის და მადლობას სწირავს გაჩენისთვის), მიხედვითაც ღმერთი ერთია და ის დღეშიც არის და ღამეშიც და ღღეც და ღმერთშია, ის თავის წიაღში – ბნელში ატარებს ნათელს, რომელსაც გამოჰყოფს (შობს) სამყაროს შექმნისას („შექმნა ცა და მიწა“, „გაპყარა ნათელი და ბნელი“, „ნათელს უწოდა ღღე და ბნელს უწოდა ღამე“ (I, 1-4-5), დიდი ღედა ნანა შობს მზეს-ოქროს-ქოჩინიან ოქროს ბურთს, ხოლო მორიგე ღმერთი ქმნის მზის და მიწის ღვთაებებს – მზე ქალს ღღე//ღღესინდელს (მზის ღვთაების ორ სახელში გაიაზრება ანდროგინი ღვთაების დანაწევრება ამომავალი და ჩამავალი მზის შესაბამისად, „შინა“ და „გარეთა“ – მამრობით და მდედრობით სახეებად) (32,157) და კვირას, რომლებიც „მზის ღაბრუნვისას“ იკრიბებიან ღვთის კარზე (7, 167).

სამყაროს შექმნის შემდეგ კი ყოველდღე მეორდება ბნელისა და ნათელის ყოფითი გამოვლინების – სიბნელისა და სინათლის გაყრა ღამისა და ღღის გაყრით, თუმცა, არა უცბად-აფეთქებით, არამედ მშვიდად-ღამის გათენებით, ანუ ღამიდან ღღის გამოდინებით, რაც აისახა ტერმინებში „ღ-ამე“ და „ღ-ღე“, სადაც „ღ“ ნიშნავს გამოდენას, ღენას, ღინებას და ა.შ. (20, 182).

მართლაცდა, რა თანდათან და ღამაბად მოდის ღღე: „გაცისკრება არის უწინარესი განთიადისა, ხოლო განთიადი არს მოწევნა ნათლებისა, ხოლო რიცურაჟი აღმოჩენა ნათლებისა, რამე ნაწილი. ხოლო ალიონი რა ღამე და ღღე გაირჩეოდეს. ამათ ყოველთა ღილა ვიდრე მზის ამოსვლამდე და ვიდრე მზის აღმოსვლამდე წითელთა ღრუბელი ორიონი ეწოდების არს უწინარეს ნათლებისა“ (20, 152).

ბნელი დასადგენია, საიდან პქონდათ ქართველებს ცოდნა სამყაროს შექმნის შესახებ, მაგრამ გემოთაღნიშნული წეს-ჩვეულებანი და რწმენა-წარმოდგენები იმის (სიბნელიდან სინათლის წარმოშობის ცოდნა) თეორიულ

საფუძველს იძლევიან, რასაც თანამედროვე ფიზიკურისტი მარტინ ლისი, ჯო სილკი, კარლ გეპარი, ლაურა ერარისი და სხვები ამტკიცებენ – გალაქტიკის ჩამოყალიბება სუპერკოსმოური (სუპერმასიური) შავი ხვრელის შედეგია.

კერძოდ, ფიზიკოსმა, სტივენ ჰოუკინგმა აღმოაჩინა „შავი ხვრელების“ თეორია, რომლის მიხედვითაც, შავი ხვრელის აფეთქებით (რაც გამოიწვია საკუთარი კვაბარის – აირის შთანთქმამ) დაიწყო გაფართოება და ვარსკვლავების ამოფრქვევა- წარმოიშვა სინათლე და შეიქმნა ჩვენი სამყარო, რომელიც თანდათან ფართოვდება. საკუთარი კვაბარის შთანთქმის შემდეგ შავი ხვრელი მიყენდა და პასიურ მდგომარეობაბე გადავიდა, მაგრამ რაღაც პერიოდის შემდეგ შავი ხვრელი კვლავ ამოქმედდება, გამოსროლილი კვაბარის ენერგია ქარიშხალივით გაანადგურებს კოსმიურ ვარსკვლავებს თავის წიაღში ჩათრევით, რასაც სამყაროს შეკუმშვა და მისი დასასრული მოჰყვება. შავი ხვრელის ამოქმედება ვარსკვლავების მოძრაობასა და მასაზეა დამოკიდებული. რაც უფრო სწრაფად იმოძრავებენ და მასიურნი იქნებიან ვარსკვლავები, მით უფრო გვიან შთანთქავს მათ შავი ხვრელი. სამყაროს დასასრულის შემდეგ შეიძლება კვლავ მოხდეს აფეთქება და ისევ თავიდან დაიწყოს ყველაფერი (9, 38; 22).

ერთი რიგუალი აქვთ ფშაველებს: ახალი წლის შესახვედრად დიასახლისი ბედისკვერებს აცხობს ოჯახის წევრებისთვის და თითოეულ მათგანზე წერტილ-ხაზებით „სათავანო“ ნიშანია დასმული, რომელიც პატრონის შრომა-საქმიანობის დამახასიათებელია. კვერების გამოცხობისას ყველანი თავის ბედის კვერებს დასცექრიან, რადგანაც ვისიც გაფუვდება, ის სამბეოში იმაგებს და ბედნიერი იქნება, ვისიც ჩაითუთქება, უბედობის ნიშანია (13, 159-160).

ვფიქრობთ, ბედის კვერების გაფუებაში სამყაროს გაფართოების ცოდნაა ჩადებული.

მსგავსი რიტუალი იციან ხევსურებმაც. დიასახლებულით საახალწლო კვერებს აცხობს, ყველაზე დიდ სამეცვლეო კვერბე გამოსახულია ჯვარი, კაცი, სახნისი, ხარი, ძროხა, ცხენი, ქერის თავთავი და სხვა. სამეცვლეო კვერს გამოცხობისას უცქერიან და რომელი გამოსახულებაც აიწევს, იმ წელიწადს ის იქნება მრავალი და ღოვლათიანი. შემდეგ დიასახლისი ოჯახის ყველა წევრისთვის აცხობს ბედის კვერებს, თითოეულს თავისი ნიშანი აზის და გამოცხობის დროს ვისიც აფუვდება, ის ბედიანი და ყისმათიანი იქნება (17, 223).

საინტერესოა, აგრეთვე, ახალწელს ხატიდან დაბრუნებული მეკვლეს მოქმედება; სახლის კარებში მეკვლე დიასახლისს ხმის გაუცემლად საფუარს ჩამოართმევს, დალოცვისა და სხვა რიტუალური ქმედების ბოლოს პირში საფუარს ჩაიყენებს, მას ადამიანსა და საქონელს შეასხამს და იტყვის: „აგრემცა აყვავდით, აგრემც აფუვდითო“ (17, 224).

შესაძლებელია აგრეთვე პარალელი გავავლოთ შავი ხერელის აფეთქებასა და ვაჟის დაბადებისას ატეხილ ხმაურს შორის (ვაჟის დაბადებას თოფის სროლით აღნიშნავდნენ, ქალისას – არა), ასევე, მიცვალებულის დატირებასთან – სამეგრელოში, ადამიანის გარდაცვალებისთანავე ქალები გზოში გამოდიან და კივიან.

საყურადღებოა, აგრეთვე, ისეთი ბუნებრივი მოვლენა, როგორიცაა სიცოცხლის-ბავშვის დაბადება. ქალი ტკივილით და კივილით მშობიარობს, ჩვილი კი დაბადებისთანავე ტირის.

ყოველივე ზემოთაღნიმნულის გათვალისწინებით, ვუიქრობთ, შესაძლებელია აქსნათ შაფურთის გორაზე „ჩათრევის“ რიტუალის არსი.

უპირველესად უნდა აღვნიმნოთ, რომ სამყაროს სახე განსახილველ რიტუალში გაიაზრება ფსიქიკისათვის დამახასიათებელი ასოციაციებით და გადმოცემულია ადა-



მიანთა სოციალური ყოფიერების ენით. ბნელი ხვრელი (შეადარეთ ქალთა სალოცავების ხვრელი, ორმო, სორო) რეალიზებულია ქალების წრით, სინათლე-ვარსკვლავები – ცხენიანი კაცებით. „ჩათრევის“ რიტუალში კაცები (სინათლე) ცხენებით (ცხენი მზიური- სინათლის ცხოველია) ცდილობენ გაარღვიონ ქალთა (სიბნელის) წრე. წრეში, როგორც ჩაკეფილ სივრცეში, ტრიალებს მაგიური ძალა (შეადარეთ, შავი ხვრელის კვაბარი). წრის ამგვარი ხასიათი რიგ ყოფით ტრიალიცებში ვლინდება. კერძოდ, ავადმყოფს შელოცვისას წრეს შემოუხაბავენ ან გარს შემოუვლიან, სამძიმარზე მისულები გარს უვლიან მიცვალებულს, რათა წრის შიგნით მოექცეს ის უარყოფითი ენერგია, რაც ავადმყოფობას ან მიცვალებულს ახლავს, ზოგან (ლაზებში) კი მიცვალებულის დაგირებისას ჭირისუფალი შემოუვლის გარს რამდენჯერმე სამძიმარზე მისულებს, რათა მსგავსი გაჭირვება ააცილოს თავიდან (8, 105); ლახტის თამაშისას წრეში ჩამდგარნი იცავენ თავიანთ სარტყელებს (შეადარეთ, „ქორბედელას“ ტექსტში წმინდა გიორგის უსარტყელობა), წრეში მყოფთ პყავთ „დედა“. „დედა“ სიმბოლური სახელწოდებაა მოთამაშე ვაჟისა, რომელიც მათ იცავს და სხვა (31, 87; 8, 106-107).

ქალები ცდილობენ კაცების ჩათრევას, ყიჯინით (შეადარეთ შავი ხვრელის აფეთქებას) ურტყამენ ჯოხებს, შოლტებს. ჯოხი, შოლტი, მათრახი ქართველთა რწმენა-წარმოლგენებში და რიტუალებში წარმოადგენს ღვთაების ატრიბუტს-სიკვდილის, დასჯის ან გაცოცხლების საშუალებას (19, 56), ამ შემთხვევაში ჯოხი „ჩათრეულთათვის“-სიკვდილის, ხოლო გამარჯვებულთათვის-სიცოცხლის მიმნიჭებელია; რომელიმე (ან რამდენიმე) კაცი აუცილებლად გაარღვევს ქალთა მაგიურ წრეს (შეადარეთ შავი ხვრელიდან ვარსკლავების ამოურქევევას), გაიმარჯვებს-სიბნელეს სინათლე გამოეყოფა, რის აღსანიშნავადც, გამარჯვებული – პირველად გასული ჯილდოვდება.

საინტერესოა, რომ „ჩათრევის“ რიგუალი იწყება დამართვის
მიმდინარეობს სინათლის კლებისას, 27 ივლისის (ნაბუნი-
ობიდან – 24 ივლისიდან დღე იკლებს) საღამოს (მზის
ჩასელისას – სინათლის კლებისას), ზევიდან – ზეციური-
დან (მთა, ხატი, ჯვარი, გაძარი, ხე დათაებათა სადგომია,
ზეციურ-საკრალურ-ნათელ სამყაროსთან ადამიანთა მა-
კავშირებელია) (24, 75-76) ქვევით-მიწიურისეენ – ადამი-
ანთა სამყოფელისკენ და მთავრდება წრიული ქორბელე-
ლათი, რითაც კაცები იმეორებენ და ბაძავენ მზის-სინათ-
ლის ნატურალისტური გამოსახულების ბრუნვის ტრაქ-
ტორიას, როგორც სივრცეში (ზესკნელი-შუა სკნელი, გო-
რა – გორის ძირი), ასევე, ღრომიც (დღე-ღამე, წარსული –
აწყმო-მომავალი), რადგანაც „ჩათრევის“ რიგუალით
გამოხატავენ არა მხოლოდ წარსულს – სამყაროს შექ-
მნას, არამედ მომავალს – სამყაროს დასასრულს (რომე-
ლიც მხოლოდ მამინ დადგება, როდესაც აფეთქების შემ-
დეგ სიბნელე-შავი ხვრელი კვლავ მთანთქავს სინათლეს,
ანუ, სიმბოლურად, როდესაც ყველა კაცს „ჩაითრევენ“
მოყიფინე ქალები) და აწყოსაც – აწყოში, სამყაროს
დასასრულის ასარიდებლად ადამიანები მაგიურად მოქ-
მედებენ სამყაროზე, იმეორებენ რა მის შექმნას, რომე-
ლიმე კაცი (სინათლე) მაინც არღვევს „ჩამთრევი“ ქალე-
ბის (სიბნელის) წრეს-სინათლე იმარჯვებს.

თუმცა სიბნელე არ დამარცხებულა (შეადარეთ გა-
მოთქმა „ეშმაქს არ ძინავს“ შავი ხვრელის დროებით პა-
სიურობას), ადამიანთა ყოფაში ის მუდმივად მოქმედებს
დღე-ღამის, კეთილისა და ბოროფის დაპირისპირებულო-
ბისა და წინააღმდეგობათა გააზრებით და მათ შორის
ბრძოლის აუცილებლობით, რაც აისახა ყოფაში ქალისა
და მამაკაცის მორიდებული ურთიერთობითა და ქალის
მამაკაცისადმი სიმბოლურად დაქვემდებარებული მდგო-
მარეობით (33, 119-126), ხოლო მითებსა და ზღაპრებში სი-
უჟეტით, რომელიც მოგვითხრობს მონადირის მიერ ირ-



მის ან ირმად გადაქცეული ქალის დევნის ან მოკულურის, შესახებ და სხვა (24, 22; 34, 112).

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად დაპირისპირებულობისა, მამაკაცები აღიარებენ სამყაროს შექმნის დედურ საწყისს, რასაც გამოხატავენ „ადგილის დედის“ სალოცავით, რომელსაც მსხვერპლს სწირავენ და ევედრებიან, თუმცა, ქალების „ადგილის დედის“ სალოცავისაგან განსხვავებით, მას ამკობენ ირმისა და ხარის რქებით – ზეცასთან მაკავშირებელი საშუალებებით (13, 184-185).

გარდა ამისა, სამყაროს შექმნის დედური საწყისი გაიაზრება გამოხატვის ფორმების ერთობლივი (ქალის და კაცის) გაზიარებით ისეთ ტერმინებში, როგორიცაა: დედა-შვილი, და-ძმა, ცოლ-ქმარი, დედამთილ-მამამთილი, აგრეთვე, ძველი დროიდან წარმომავლობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ სვანურ გამოთქმაში „იუანდო“¹ „ევა-დან მოდის“ (იგივეა, რაც საქართველოს სხვადასხვა კუთხის დამახასიათებელი გამოთქმა - „მამა-პაპათვან მოგვდგამს“), რაც, უდავოდ, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ტერმინებში ასახული წარმოდგენებით ქალის არსებობა წინ უსწრებდა კაცისას.

თავის მხრივ, ქალებიც ქვეცნობიერად იზიარებდნენ რა წინაპართა ცოდნას იმის შესახებ, რომ სინათლის, ანუ სინათლის ერთადერთი წყაროს – მზის ჩაქრობით (გაქრობით) დაისადგურებდა სიბნელე (რომლის რეალურ დროებით გამოვლენასაც დამე წარმოადგენდა), მოისპობოდა სამყარო და აღიარებდნენ რა მამაკაცს სინათლის-მზის, თუმცა, დღის მზის - „მზე შინას“, ხოლო ქალს – ღამის მზის - „მზე გარეთას“ სიმბოლოდ, მონაწილეობდნენ და გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ სწორფრობა//წაწლობის რიგუალში (დამახასიათებელია ხევსურეთისა და უმავისათვის). ამ რიგუალით ორი სწორფერი//წაწალი,

¹ ონფორმაცია მოგვაწოდა ეთნოლოგმა ხათუნა იოსელიანმა.

კაცი და ქალი, სიყვარულით (სქესობრივი ურთიერთობების გარეშე) აძლიერებდა მზეს და ღამით მის ნაცვლად მაგი-ურად მოქმედებდა გარემობე (33, 119-126; 29, 315-324; 30, 135-137).

„ჩათრევის რიტუალის“ შესახებ ჩვენი მსჯელობის დამაჯერებლობისათვის, ცხადია, უნდა განვიხილოთ იმ დღესასწაულისა და იმ ხატის სახელწოდებათა ტერმინები, მათი წარმომავლობა და უუნქციები, როდესაც და სა-დაც სრულდებოდა „ჩათრევის“ რიტუალი, კერძოდ „ათნი-გენობა“ და „შაფურთის წმ. გიორგი ათნიგენა“.

ათნიგენობის საზაფხულო დღესასწაული იწყება ივ-ლისში, ერთი თვე გრძელდება სხვადასხვა სოფლის ადგი-ლობრივ ხატში და, ძირითადად, ამ ხატის სახელს ატა-რებს: თუმეთში-მთავარანგელობის ათანიგენობა, მიქელ-გაბრიელ ათნიგენა, შაფურთის წმ. გიორგი ათნიგენა (16, 208), ხევში-სპარსანგელობობა, ათანგენობა (14, 249), ფშავეში-სერობა, სამღვთობა, ათანგენობა (13, 186), რაჭა-ში-ათანგენობა (18, 70) და სხვა.

ტერმინ „ათნიგენობა“ // ათანგენობის“ წარმოშობის შესახებ სხვადასხვა ვერსია არსებობს. სერგი მაკალათი-ას ერთი ვერსიის მიხედვით „ათანიგენა“ მომდინარეობს ბერძნულიდან („ანათოს“ - უკვდავი, „გენო“ - თემი) და თემის მარადისობას ნიშნავს (18, 70), მეორე ვერსიის მი-ხედვით „ათანიგენა“ დაკავშირებულია ქართულ-აფხაზურ ღვთაება „ეინი ანთარ“ - „ამთარ“- „ანაგორითან“ (ზეციე-რი ანთარი), ირანულ „ათართან“ (ცეცხლის ღვთაება) და მცირეაზიერ „მითრასთან“ (სინათლისა და სიკეთის ღვთაება, ძლიერი მხედარი და მხედართა მფარველი) (16, 70; 12, 184-186). არსებობს ასეთი მოსაზრებაც, რომ „ათნი-გენობის“//„ათანგენობის“ სახელწოდება დაკავშირებუ-ლია ბერძენი მღვდელმთავრის ქრისტიანი ბერის ათანე-გენე სებასტიანეს სახელთან (18, 186; 25, 226).

რომელი ვერსიაც არ უნდა იყოს მართებული, მაგრა ერთი ჩვენს მსჯელობას არ ეწინააღმდეგება (თემის მარადისობის // სამყაროს მარადისობის და სინათლის, სიკეთისა და მეომარი ღვთაების გამო), თუმცა იმ მოსაზრებას უფრო ვემხრობით, რომლის მიხედვითაც ათანგენობა ქართული წარმომავლობის დღესასწაულია და უკავშირდება მეგრულ-აფხაზურ ღვთაება „ქინი ანთარ“ - ამთარს“, ამ ღვთაების ბეციურობისა და მეომრული თვისების გამო (ღვთაების თაყვანის სემისას იგი მოიხსენიება, როგორც „ბეციერი ანთარი“, „ბატონი გამარჯვებული“) (38, 83), მით უფრო, რომ ხატობა, სადაც „ჩათრევის“ რიგული სრულდება, წმ. გიორგის სახელსაც ატარებს, რომელიც დღის-სინათლის (ქართველთა რწმენით, წმ. გიორგის სალოცავი საქართველოში იმდენია, რამდენიც დღეა წელიწადში) და გველეშაპის (რომელიც, წარმოდგენებით, ყოველ დამე ყლაპავს მზეს) მკვლელი ღვთაებაა (იკონოგრაფიის მიხედვით) და რომლის წინამორბედი ქართველთ ღვთაება გიორგიც, სინათლის (თეთრი გიორგის ეპითეტის გამო), მებრძოლი და დევ-ქაჯებთან მეომარი (ხახმატის გიორგი, ლომისის გიორგი, ლაშარის ჯვრის გიორგი და სხვ.) ღვთაებაა. ვინქრობთ, აღნიშნული საერთო თვისებების-ბეციურობის, სინათლისა და მებრძოლობის გამო მიიღო შაფურთის წმ. გიორგი ათნიგენას ხატმა სინკრეტული ხასიათი ქრისტიანობამდელი (ათნიგენა) და ქრისტიანული (წმ. გიორგი) ღვთაებების გაიგივებით.

რაც შეეხება ტერმინ „შაფურთს“, ის ადგილის სახელწოდებაა და შესაძლებელია, ქალების გორას (ან მსგავსს) აღნიშნავდეს „ფურ“ ძირის გამო, „მეფურე“ სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით დიასახლისს ნიშნავს (20, 467), ცნობილია, აგრეთვე, თურსიეხის ხატი, რომელსაც ფურების ხატსაც უწოდებენ და რომელსაც შეხვეწილი დედაკაცები შვილიერებას სთხოვენ (16, 22); სავარაუდოა, რომ „თი“ ადგილის აღმნიშვნელი სუფიქსი იყ-



ოს, ხოლო „შა“-შავს ნიშნავდეს, მით უფრო, რომ მსგავსი დასახელების დღესასწაული „ქალთვორობა“ იციან თუ შეთში, თუმცა, სხვა დროს-ყველიერის შაბათს, რომელ-საც სხვადასხვა სახის რიტუალებთან ერთად ქალებისა და ვაჟების შეჯიბრი-ბრძოლა (რაც კოტორის გატაცება-წართმევით გამოიხატება) და ერთმანეთის გამურვაც (ცხადია, შავად) ახასიათებს.

საინტერესოა, რომ „ქალთვორობას“ თითქმის იგივე ატრიბუტები ახასიათებს, რაც „ჩათრევის“ რიტუალს, თუმცა, გამოხატვის განსხვავებული ფორმით, კერძოდ, უკვე აღნიშნული შეჯიბრი-ბრძოლის (სადაც კოტორი თვალის, მზის, სინათლის სიმბოლოა) და გამურვის (მური მიწის, ქვესკნელის, სიბნელის სიმბოლოა) გარდა, კბილებით იღებენ მიწაზე დაღმული წყლიანი ჯამიდან ჩხირს - „ქოს“ (ჯოხი, მოლტი „ჩათრევის“ რიტუალის ატრიბუტი-ცაა) და ბეჭედს („ჩათრევის“ რიტუალში-წრეა), ვინც მარცხდება, მას ქვაბ- საკლავით აჯარიმებენ.

აღსანიშნავია, რომ „ქალთვორობისას“ არ არის დაყოფილი ქალებისა და ვაჟების უუნქციები სინათლე-სიბნელის მიხედვით, აյ ჩანს ბრძოლა ამ უუნქციების მისათვისებლად (ვინც კოტორს დაეუფლება, ის - სინათლის, ვისაც გამურავენ, ის-სიბნელის, ვინც ჯოხს დაეუფლება, ის-ლეთაების ატრიბუტის მფლობელის, ვინც ბეჭედს აიღებს, ის-წრის მაგიური ძალის მქონის სიმბოლოდ აღიქმება), ჩათრევის რიტუალში კი უკვე განაწილებული და გათავისებული უუნქციებით მიმდინარეობს ბრძოლა ქალებსა და კაცებს მორის და, მაშასადამე, თუ „ჩათრევის“ რიტუალი სამყაროს შექმნას ასახავს, „ქალთვორობა“ სამყაროს შექმნამდელი პერიოდის ამსახველი უნდა იყოს.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი რიტუალი. თუ შეთის სოფელ ილიურთაში ხატობისას ქალები სტუმარს მიეპარებიან და თუ ის მარჯვენაზე გადაათრიეს, მასპინ-ძელმა სტუმარი ქვაბ - საკლავით უნდა გამოისყიდოს (16,



216). ვაფიქრობთ, გადათრევის მიმართულება მარჯვენამდებარებული მხრისკენ, აღმოსავლეთთან-მზესთან – სინათლესთან კავშირშია და ამ გადათრევით ქალები სინათლეს ართმევენ მასპინძელს, რაც, ერთის მხრივ, ამტკიცებს „ჩათრევის“ რიგუალში კაცების სინათლის სიმბოლოდ გააზრებას და მეორეს მხრივ, გარევეულწილად ხსნის ქართველთა სტუმარ-მასპინძლობის იმ თავისებურ წესს, რომელიც სტუმრის განსაკუთრებული პატივისცემით გამოიხატებოდა, სტუმრის ზეციურობის, სინათლის – მზესთან კავშირის გამო.

საყურადღებოა კიდევ ერთი რიგუალი, რომელშიც „ჩათრევა“ ნაყოფიერების ფუნქციის მიმნიჭებელია. კერძოდ, თუშეთში აგევრთის ხატობისას სახვეწრად მისულ უძეო მამაკაცს ბიჭები გაიტაცებენ და აგევრთის ჯერიდან ჩაათრევენ რქებით მორთულ ყორებე, იქ მას დეკანობი დაამწყალობებს და ვაჟიანობას უსურვებს (16, 221).

როგორც ვხედავთ, „ჩათრევა“ ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასაყვანი, რაღაც ძალის წართმევის და სხვა საპირისპირო ძალის მინიჭების მაგიური საშუალებაა. აგევრთის ხატობის „ჩათრევის“ დანიშნულების გათვალისწინებით, საფიქრებელია, რომ შაფურთის გორის „ჩათრეულებიც“ გამანაყოფიერებლის ფუნქციას იძენენ და სწორედ ამ მოვლენის გამო არ ამიზებებს მათ ხატი. მართალია, ჩათრეულები ნაყოფიერების ფუნქციის მიღების გამო დამარცხებულად არ მიიჩნევიან, მაგრამ დამაფიქრებელია ერთი მომენტი – აღნიშნულ რიგუალებში ჩამთრევთა სქესი განსხვავებულია. აგევრთის ხატობისას კაცები ითრევენ ძეობის მსურველს და ამ ჩათრევით აჩიარებენ მას თავიანთ მამაკაცურ ენერგიას, ცხადია, ირმის რქებიანი ყორეც, როგორც ზეციურთან მაკავშირებელი საშუალება, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ პროცესში. შაფურთის გორაზე კი ქალები ითრევენ მიწაზე, რაც გულისხმობს სინათლესთან ერთად, მათი მამაკაცური

ენერგიის ჩათრევასაც ქალურში (ქალური ენერგიის გამოყენების დიერებას კაცებისთვის), რასაც კაცები ეწინააღმდეგებიან. აქვე უნდა ითქვას ერთი გამაოგნებელი დასკვნის შესახებ, რომელიც ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა, ბრაინ საიკისმა გამოკვლევების მიხედვით გააკეთა: თანამედროვე მამაკაცის ბიოლოგიურ კოდში შემავალი „იგრეკ“ ქრომოსომა სწრაფად იმლება, არქაული სტრუქტურისა და გარემოსთან მიყენებული დაზიანების შედეგად აღდგნის უნარი არ გააჩნია, უახლოეს ასწლეულებში თავის ფუნქციას ვერ შეასრულებს – ემბრიონს მამრობით სქესს ვერ მისცემს, მისი საბოლოო სიკვდილი 125 ათასი წლის შემდეგ დადგება და დედამიწაზე მხოლოდ ქალები დარჩებიან – მამაკაცები, როგორც ბიოლოგიური სახეობა, აღარ იარსებებენ. თუმცა, გენეტიკური ინჟინერიით კაცობრიობა მაინც გაგრძელდება, ოღონდ ქალის ორგანიზმის საშუალებით და მხოლოდ ქალები დაიბადებიან (4, 9).

საფიქრებელია, რომ აღნიშნული პროგნოზი ჩვენს წინაპრებსაც ჰქონდათ გააზრებული, რადგანაც მათ სამყაროს დასასრულის ტოლფასად აღიქვეს მხოლოდ ქალების არსებობა სიბნელის დასადგურებასთან გაიგივებით, მაგრამ სანამ გამარჯვებული ჩაუთრეველია, ანუ – სინათლე მამაკაცური ენერგიით, რომელიც მზიური ცხენით გააღწევს სიბნელეს – დედაკაცურ ენერგიას, ჩვენს მოდგმას ეს საფრთხე არ ემუქრება.

ვფიქრობთ, სამყაროს შექმნა-დასასრულის შესახებ ინფორმაცია აისახა ისეთ ტერმინში, როგორიცაა „უკუნითი-უკუნისამდე“, რომელიც გაიაზრება, როგორც მარადისობა, მაგრამ ამავე დროს საზღვრავს დროს მონაკვეთს: „უკუნითიდან“ -ე.ი. იმ დროიდან, „უკუნისამდე“ -ე.ი. ისევ იმ დრომდე. სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით „უკუნითი“ ნიშნავს საუკუნოდამ, „უკუნისამდე“ - საუკუნემდე (21, 159), ამავე დროს, „უკუნი“ ნიშნავს ბნელ წყვდიადს

(21, 159), მაშასადამე, ტერმინით „უკუნითი-უკუნისამდე“ მარადისობის ათველა იწყება ბნელი წყვდიადიდაზე-და დროის განუსაზღვრელად დიდი მონაკვეთის შემდეგ კვლავ ბნელი წყვდიადით მთავრდება, რაც სრულად შეესაბამება „ჩათრევის“ რიტუალში ჩადებულ წინაპართა ცოდნის ინფორმაციას სამყაროს სიბნელიდან შექმნისა და სიბნელითვე დასასრულის შესახებ.

სამყაროს შექმნა-დასასრულის თავისებური ცოდნა ქართველებმა არა მხოლოდ რიტუალური მაგიით („ჩათრევის“ რიტუალი) ან ენობრივი მონაცემებით (ტერმინი „უკუნითი უკუნისამდე“ გადმოგვცეს, არამედ ყოფიერებაშიც ასახეს საცხოვრისით-დედაბოძიანი დარბაზით, რომელიც გაამყარეს ქალური ბუნების, სამყაროს საწყისისა და დასასრულის ამსახველი საშუალებებით-დედაბოძებით. უპირველესად, აღნიშნულის დამადასტურებელია ტერმინი „დედაბოძი“, ამასთან, საყურადღებოა, რომ დედაბოძიან დარბაზებს უმეტესწილად ორი დედაბოძი აქვთ (26, 107), რომელთაგანაც ის, რომელიც კერასთან დგას, სამყაროს საწყისს ასახავს, რადგანაც მის გემოთ, გუმბათში განთავსებულია ღიობი, რომლის პრაქტიკულ დანიშნულებას ჰაერის კონდიცირება და განათება წარმოადგენს, ხოლო სიმბოლურად, ვფიქრობთ (ხვრელის შესახებ გემოთაღნიშნული რწმენა-წარმოდგენებისა და ფიზიკოსთა თეორიების მიხედვით), სამყაროს წარმომშობ ხვრელს განასახიერებს. ნიშანდობლივია, აგრეთვე, რომ დარბაზის ეს მხარე მხოლოდ მამაკაცების (სინათლის სიმბოლოს) საცხოვრისს წარმოადგენს. მეორე დედაბოძი, რომელიც კერისგან მოშორებით დგას, ასახავს სამყაროს დასასრულს, რადგან მის გემოთ არ არის ღიობი გაჭრილი და ის დაკავშირებულია მხოლოდ მიწასთან, სიბნელესთან. პრაქტიკულად ეს მხარე წარმოადგენს ბნელ, დაბშულ სივრცეს და განკუთვნილია მხოლოდ ქალებისათვის (სიბნელის სიმბოლოსთვის).

საინტერესოა, რომ დედაბოძთა ორნამენტებიც განვითარებული სხვავდებიან აღნიშნული სიმბოლური დანიშნულების შესაბამისად. სამყაროს საწყისის აღმნიშვნელ დედაბოძე გამოყვანილია და მთავარი ადგილი უჭირავს სინათლის, ძირითადად, მზის ორნამენტებს, სხვადასხვა ფორმებში (მრავალკუთხედი, სამკუთხედი, ვარსკვლავები) ან მათთან ერთად, ხოლო სამყაროს დასასრულის ამსახველ დედაბოძე მზის გამოსახულების ნაცვლად მოცემულია ოთხკუთხედში ჩასმული ჯვარი და ზოლიანი წრე იგივე ფორმებში ან მათთან ერთად (26, 107-109).

ცნობილია, რომ ქსოვა საქართველოში ქალების საქმიანობა იყო და ქალები თავიანთ ნაწარმზე (ფარდაგებბე, ნაბდებბე და სხვა) გამოსახული ყოველი ორნამენტით, როგორც სიმბოლოთი, იმ გარევეული მოვლენის ძირითად თავისებურებას ასახავდნენ, რომელიც სხვადასხვა ფორმით არსებობდა ან შემორჩა საზოგადოების წესჩვეულებებსა და მითოლოგიაში (28, 316-317). მაგრამ, საინტერესოა, რომ ქალებმა არა მხოლოდ ორნამენტებით, არამედ ზოგადად-ფერთა კომპოზიციური შეხამებით გადმოვცეს ისეთი დიდი მოვლენა, როგორიცაა სამყაროს შექმნა. კერძოდ, ყოველი თუშერი ფარდაგის გულის ფონი, ტრადიციულად აუცილებლად შავი ფერის უნდა ყოფილიყო, მასგე განფენილი სხვადასხვა ფერისა და სახის ორნამენტებით-თეთრი გარეთა კონტურით, ხოლო ნაპირის, ანუ ჩარჩოს ფონი, ასევე, აუცილებლად თეთრი უნდა ყოფილიყო, რომელიც შეიძლებოდა ნაპირის ნაჭრელებით დამშვენებინათ (3, 69-75).

ვფიქრობთ, ფერთა ასეთი კომპოზიციით – შავი ფერის (შეადარეთ, შავი ხერელი) გარშემო თეთრი ნაპირის (შეადარეთ, შავი ხერელის გარშემო შექმნილი სინათლე) აუცილებლობა, ქალებმა ფარდაგებ ასახეს მთელი სამყარო- სიბნელიდან შექმნილი სინათლე, თავისი მრავალფროვნებით (შეადარეთ, შავი ხერელის მიერ ამოსროლი-



ლი ვარსკვლავები, შავ ფერზე თეთრ კონტურებიანი ფერის რად თრიანამენტებს).

ამასთან, საგულისხმოა ერთი მომენტიც, კერძოდ ფარდავის ქსოვისას ქალები წიწუს – ქსელის გასასწორებელ ხელსაწყოს ისე იჭერდნენ, რომ ჩაბეჭვის დროს დიდი ხმა გამოეცა, ესახელებოდათ, რაც უფრო ადრიანად-დილიდანვე და რაც უფრო შორს გაისმოდა მისი ხმა (3, 19). ვფიქრობთ, ჩაბეჭვის ხმა-ადრიანი და ძლიერი, შეიძლება შევადაროთ შავი ხერელის აფეთქების ხმას და, მაშასადამე, ხმაურიანი ტექნოლოგიით ფარდავის ქსოვა-სამყაროს შექმნას.

საინგერესოა, რომ სამყაროს შექმნამდელი პერიოდის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ყველა ქართული ბლაპარი საერთო და აუცილებელი დასაწყისით: “იყო და არა იყო რა”. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ბლაპრის ასეთი დასაწყისის შესახებ მრავალი მოსამარება არსებობს, ვფიქრობთ, ის სრულიად განსხვავებულად იხსნება. კერძოდ, “იყო” ნიშნავს, რომ “იყო რა-დაც”, მაგრამ, რადგანაც ეს რაღაც “არა იყო რა” და არა – “არაფერი”, მას ფერი უნდა ჰქონოდა (ამიტომაც იყო) და, რადგანაც, ეს “ფერიანი რაღაც”, მიუხედავად იმისა, რომ იყო, მაინც “არა იყო რა”, უნდა ყოფილიყო შავი ანუ სიბნელე, მდუმარე და უმოქმედო, ანუ შეუქმნელი სამყარო, როცა შავი ხერელი ჯერ კიდევ დუშდა და არ ჩანდა სინათლე ამოფრქვეული ვარსკვლავებით: მზით, დედამიწით და ა.შ.

რაც შეეხება ბლაპრის სიუჟეტს, ის შეიცავს მრავალუეროვან მოგონილ და არარეალურ ამბავს, ბოროტისა და კეთილის ჭიდილით, სადაც ყოველთვის სიკეთე-სინათლე იმარჯვებს. ანუ იქმნება სამყარო და იწყება ყოფითი – მიწიერი ცხოვრება, რომელიც ბლაპარში აღარ აისახება, რადგანაც ბლაპარი “ამბავად შემჭევრებულია და არა ქმნილი მყოფობით” (1, 291), რადგანაც ტერმინი “ბლაპა-

რი” ნიშნავს პირველ ზღვევას ან ბლვევას პირველისტულითი (“ზღ” – “ზღვევა” (1, 291), “პარი” “პირველივით ითქმის” (1, 615), მელოდიითა (“პარი” ამავე დროს “არს ლინი”, ხოლო “ლინი” – “რეალის საჩხარუნებელი დიდი” (1, 416) და როკვით (“კვალად პარი არს როკვა” (1, 416). ხოლო პირველ ზღვევას ან ბლვევას პირველისადმი, როგორც მაგიურ ქმედებას, ნათლად გადმოგვცემს ყველა ქართული ზღაპრის საერთო დასასრული: “ჭირი იქა ლხინი აქა, ქაფო იქა, ფქვილი აქა”, რითაც გამოთქმულია სურვილი ან მოცემულია ფაქტი ამქვეყნიური ცხოვრების – ჩვენი სამყაროს კეთილდღეობისა (ლხინით და ფქვილით), ხოლო, რადგანაც სამყაროს შექმნის შემდევ სიბნელე, მართალია, მდუმარედ, მაგრამ მაინც რჩება, მას მაგიური ქმედებით – წყევლით, “ჭირს”– განადგურებას, გაქრობას, მუდმივ მდუმარებას უსურვებენ მებლაპრეები.

რადგანაც ზღაპარი მაგიურ ძალას ფლობდა, მისი თხრობის უფლება ყველას და ყოველთვის არ ჰქონდა. ქართველთათვის ზღაპრის თხრობა საიდუმლოს განდობის თავისებურ რიტუალს წარმოადგენდა, ზამთრის გრძელ ღამეებში კერასთან ბაბუები (ოდესდაც კი სპეციალური პირი – “მეზღაპრე” ან “მევეპე”) (20, 460) შვილიშვილებს უყვებოდნენ სიკეთის-სინათლის საღილებელ საგმირო, ფანტასტიკურ ამბებს და ფარული საშუალებით გადასცემდნენ რა მათ სამყაროს შესახებ ინფორმაციას, ამავდროულად, მაგიურად მოქმედებდნენ სიბნელისა და ბოროტების წინააღმდეგ, სინათლისა და სიკეთისათვის, არა მხოლოდ სიტყვით, არამედ მოქმედებითაც, ლხინით – ცეკვა-სიმღერით (“ლინითა” და “როკვით”) და, სავარაუდოა, ფქვილის ფრქვევითაც. თუმცა, კონკრეტულ სიტუაციაში არ შემორჩენილა ფქვილით მაგიური ქმედების ასეთი ფორმა, გვაქვს მხოლოდ ზღაპრის დასასრულის მინიშნება: “ფქვილი აქა”, მაგრამ ის ცნობილია სხვა – ნა-

ყოფიერებისა და სინათლისათვის – მზისთვის განვითარებისა და საქორწინო და ამინდის რიგუალებიდან.

ამრიგად, შაფურთის გორის „ჩათრევის“ რიგუალი სხვა ზემოთაღნიშნულ მონაცემებთან ერთად სიმბოლური ფორმით (ბუნების მოვლენების არსის გადმოცემა სოციალური ურთიერთობების ანალოგით) გვაძლევს წინაპართა ცოდნის ინფორმაციას სამყაროს შექმნის-სიბნელიდან სინათლის წარმოშობის შესახებ, რომელიც თანამედროვე ფიზიკოსთა თეორიებითაც მტკიცდება.

ამასთან, წინაპართა ცოდნა ამავე საშუალებებით აჩუსტებს, რომ მთებედავად დაპირისპირებულობისა (სიბნელე-სინათლე, ქალი-კაცი), სამყარო ერთიანია (ღმერთი ერთია და სრული-ბნელისა და ნათელის ერთობლიობით), დაპირისპირებულებს შორის კავშირისა (ნაყოფიერება მიიღწევა მხოლოდ მიწისა და ცის, ქალისა და კაცის კავშირის შედეგად) და ერთიმეორისაგან გამომდინარეობის გამო (სიბნელე შობს სინათლეს), გვიჩვენებს სამყაროს სიმბოლურ სახეს (თავისი საწყისითა და დასასრულით), როგორც რიგუალური ფორმით („ჩათრევის“ რიგუალით), ასევე ენობრივი მონაცემებით (ტერმინით „უკუნითა უკუნისამდე“, ზღაპრის დასაწყისითა და დასასრულით), რეალური საცხოვრისით (ორდედაბოძიანი დარბაზით) და ქალთა ნაწარმით – ფარდაგებით (ტექნოლოგიითა და ფერთა კომპოზიციით) და აწესრიგებს სოციალურ გარემოს, ადგენს რა საბოგადოების ყოფით წეს-ჩვეულებებს განსაზღვრული სიმბოლოებით (ქალი-ნაყოფიერება, მიწა, ქვესკნელი, სიბნელე; კაცი-ნაყოფიერება, ბეცა, ბესკნელი, სინათლე), ქალებისა და კაცების მთავარი დანიშნულებისათვის – სამყაროს გადარჩენისათვის (სინათლისა და ნაყოფიერებისათვის – მამაკაცური და დედაკაცური ენერგიებით) მათი მთავარი შესაძლებლობების მიხედვით: ერთეულთათვის – სიყვარულით – სწორფრობა // წაწლობით (ერთეულთათვის, რადგანაც ამ რიგუალში სიწმინ-



დის დაცვა ყველას არ ძალუბს), ხოლო უმრავლესთან-^{უმრავლეს} ვის, ნაყოფიერებით-შვილიერებით (უმრავლესთათვის, რადგანაც გამონაკლისებიც არიან, რომელთაც ღვთაება დაქორწინებას უკრძალავს რაიმე მიზების გამო (32, 141-142), რომელსაც ქალები სიმშვიდით, უხმოდ (ქალის დაბადებას მშვიდად ხვდებიან, ქალები თავიანთ სალოცავებში ნაყოფიერებისათვის განკუთვნილ რიტუალებს ხმის ამოუღებლად ასრულებენ), ხოლო კაცები-ბრძოლით, ხმაურით (ვაჟის დაბადებას ხმაურით-თოფის სროლით ხვდებიან, კაცები მძიმე ფიზიკურ გამოცდას გადიან ინიციაციისას, რათა შეიძინონ მამაკაცური თვისება ნაყოფიერებისათვის) აღწევენ.

ქალების ხვედრი სიმშვიდეა, რადგან მათი ხმაური (რაც რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების გარდა ყოფაში გულისხმობს ცხოვრების აქტიურ წესებრძოლას სხვადასხვა ფორმებით) გაიგივებულია შავი ხვრელის მომავალ აუეთქებასთან, რომელიც სამყაროს დასასრულს გამოიწვევს (ნათქვამია: „ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვერ დააკავებსო“, ვფიქრობთ, ამ შიშმა ჩამოაყალიბა მამაკაცების ტრადიციული ურთიერთობა ქალებისადმი – მორიდება და პატივისცემა), მამაკაცების ხვედრი კი ხმაურია, რადგან ასეთი ქმედებით კაცები – სამყაროს შექმნის მთავარი ნიშანი – სინათლის სიმბოლო, თავიანთ არსებობას ამკვიდრებენ და ზემობენ – მრავალხმიან სიმღერებს გრადიციულად კაცები ასრულებენ, ქალები კი მხოლოდ ძილისპირულებს მდერიან.

ქალებს მხოლოდ რამდენიმე აუცილებელ შემთხვევაში აქვთ უფლება და, ამავე დროს, მოვალეობაც, ხმაურიანად იმოქმედონ: სიმბოლურ-მაგიური ქმედებით სამყაროს შექმნის ასახვისას („ჩათრევის“ რიტუალი, ფარდაგების ქსოვა) და ბუნებრივი მოვლენების – მშობიარობისა და გლოვის დროს, რაც ფსიქიკური ასოციაციებით გაი-

გივებულია სამყაროს შექმნა (ბავშვის დაბადება) — სასრულთან (ხიკვდილი).

„ჩათრევის“ რიტუალი მხოლოდ წარსულით არ იფარგლება, ის იძლევა ინფორმაციას მომავლის – სამყაროს შესაძლებელი დასასრულის (სიბნელის მიერ სინათლის შთანთქმა – „ჩათრევა“) შესახებ, აწყოში მაგიურად მოქმედებს სამყაროზე მისი გადარჩნისათვის და წინაპართა გამოცდილებით ქალებს ამწყალობებს, რათა „წულს წულტოლი მოუმატონ“ და მოუწოდებს: ქალებო! (არა მხოლოდ მაფურთის გორიდან), აჩინეთ ვაჟები და ისეთი მებრძოლები გაზარდეთ, რომ მათ არა თქვენი ლმობიერების, არამედ ღირსეული წინააღმდეგობის – ვაჟეაცურად ბრძოლის შედეგად გამოავლინონ მამაკაცური ბუნება - „არ ჩაგეთრევინონ“, რათა წარმართონ სამყაროს მარადიულობა და სინათლემ იჩეომოს.

და, ბოლოს, ისე ბუნებრივად და დამაჯერებლად ავსებს ჩვენს არსებობაში სიმბოლური რეალურს, უთუოდ სარწმუნოა, რომ ქალების სიმშვიდებები დამოკიდებული სამყაროს ბედი, ქალების სიმშვიდე კი მამაკაცური ენერგიის აქტიურობაზე, ისევე, როგორც შავი ხვრელის სიმშვიდე-ვარსკვლავების აქტიურობაზე. რაც უფრო სწრაფად იმოძრავებენ და მასიურნი იქნებიან ვარსკვლავები, მით უფრო დიდხანს იქნება მიუუჩებული შავი ხვრელი, არ ამოქმედდება და არ შთანთქავს მათ, და, იმედია, როგორც აქამდე, ახლაც მიაღწევს და იმოქმედებს კაცებზე ქალთა სალოცავებისადმი მავედრებელი ქალების ლოცვა მშვიდობიანობის, ბარაქიანობისა და მამაკაცთა ნაყოფიერებისათვის და ორივე ერთად-ქალიც და კაციც, რადგანაც ღმერთი ორივეშია – ბნელით და ნათლით, დედაკაცური და მამაკაცური ენერგიებით, თანასწორად და ნეტარებით აფარებენ წუთისოფლის უღელს, რათა არ ჩაიძიროს სამყარო მდუმარე წყვდიაღში და „დიდება ღმერ-



TAMAR SHARABIDZE

ANCESTORS' KNOWLEDGE ABOUT THE CREATION AND THE END OF THE UNIVERSE

The paper deals with the ritual of Tushetian festival Aten-
genoba “Chatreva”. The ritual shows the essence of natural phe-
nomenon. The author carries on the investigation by the ana-
logy of this natural phenomenon with social relations(gender
relations) and takes into consideration main and peculiar sym-
bols of woman (fertility, earth, subterranean world, darkness)
and man (fertility, heaven, upper layer, light). The author belie-
ves that the ritual shows the ancestors' knowledge about the
creation of the universe proved by the theories of modern phy-
sicists. According to the Stephen Hauking's theory about “Black
Holes” the enlargement and explosion of stars started by the ex-
plosion of the “Black Hole”. Thus, the light and our world was
created.

In the author's opinion men (light) with the help of horses
(horse a symbol of sun and light) try to break through the circle
of women (darkness). Women oppose men with shouting. The
action is compared with the explosion of a black hole. Women
are striking men with sticks, lashes. One of the men breaks the
magic circle of women (the action is compared with the explo-
sion of stars) and wins. The light is separated from the darkness.

The ritual of “Chatreva” does not belong to the past only.
It gives an information about future, the possible end of the
universe (absorption of light by darkness-“Chatreva”) and with

the help of the magic action(repetition of the act of creation) in the present tries to rescue light.

To prove the statement the author of the paper operates not only with the ethnographical material but other data expressing the creation and the end of the universe. These are mainly linguistic, folk - lore data (the beginning and the end of Georgian fairy tails), material monuments (room with tow **dedabodzi** - pillar of a central room of a peasant's house) and women's hand maid textile goods having the same colors as carpets.

წყაროები და ლიტერატურა:

1. „ბიბლია“, საქართველოს საპატიოარქოს გამოცემა, 1989.
2. „ქართლის ცხოვრება“, I, თბ., 1955.
3. ნანული აზიკური, თუშური ფარდაგი, თბ., 1999.
4. გაბ. „ალია“, №46, 25-26 აპრილი, 2006.
5. ვერა ბარდაველიძე, ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან, „მიმომხილველი“, 1, თბ., 1949.
6. ვერა ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნება, თბ., 1953.
7. ვერა ბარდაველიძე, ქართველი ტომების ასტრალურ ღვთაებათა განვითარების ერთი უძველესი საფეხურ-თაგანი (პანთეონის შემადგენელ ღვთაებათა იერარ-ქია და მათი ბუნება), მსე, გ. 10, 1959.
8. პაატა ბუხრაშვილი, საცხოვრისის ფენომენის განსაზღვრისათვის ქართველი ერის ყოფასა და კულტურაში, ეურნ. „ამირანი“, თბ., 2003.

9. ეურნ. „თბილისელები“, როგორ მუშაობდა ჯუმაშერია
ლომინაძე ბირთვული იარაღის შექმნაზე, 19-25 სექ-
ტემბერი, 2005.
10. ნათელა კაპანაძე, ბავშვის აღზრდის ქართული ხალ-
ხური ტრადიციები, თბ., 1994.
11. სერგი მაკალათია, ფალოსის კულტი საქართველოში,
ტფ., 1926.
12. სერგი მაკალათია, ღვთაება მითრას კულტი საქარ-
თველოში, საქ. მუზ. მოამბე, ტ. III, 1927.
13. სერგი მაკალათია, ფშავი, 1934.
14. სერგი მაკალათია, ხევი, 1934.
15. სერგი მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 1938.
16. სერგი მაკალათია, თუშეთი, 1983.
17. სერგი მაკალათია, ხევსურეთი, 1985.
18. სერგი მაკალათია, მთის რაჭა, თბ., 1987.
19. თინა ოჩიაური, მთიბლურთა და ხმით ნაგირალთა
ურთიერთობის საკითხისათვის, მსე, XI, 1960.
20. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I,
თბ., 1991.
21. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II,
თბ., 1993.
22. სამეცნიერო პოპულარული ფილმი: სუპერკოსმიური
შავი ხვრელები, ფილმი გახმოვანებულია „ინტერნიუს
სერვისის“ მიერ, საზოგადოებრივი მაუწყებლობის გა-
დაცემა, 2006 წ. 5 მაისი.
23. ირაკლი სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის
სიმბოლიკა, თბ., 1993.
24. ირაკლი სურგულაძე, მითოსი, კულტი, რიტუალი სა-
ქართველოში, თბ., 2003.
25. ქსე, ტ I, თბ., 1975.
26. თინათინ ღუდუშაური, XIX საუკუნის მეორე ნახევრის
გერმანული წყაროები ქართველი ხალხის სულიერი
კულტურის შესახებ, თბ., 2005.

27. თამარ შარაბიძე, ქალთა სალოცავების იდუმალურის
საქართველოში, კრ. „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძი-
ებანი“, III, თბ., 2001.
28. თამარ შარაბიძე, ქალთა საოჯახო და საზოგადოებ-
რივი მდგომარეობა საქართველოში, კრ. „ისტორი-
ულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“, IV, თბ., 2002.
29. თამარ შარაბიძე, ჯადოსნური ხალიჩა, კრ. „ისტორი-
ულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“, IV, თბ., 2002.
30. თამარ შარაბიძე, სულის, ცხენის და მზის სიმფონია, კრ.
„ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“, V, თბ., 2003.
31. თამარ შარაბიძე, ქალთა სახეები საუკუნეთა მიღმი-
დან, კრ. „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“ VI,
თბ., 2004.
32. თამარ შარაბიძე, რჩეულთა ხეედრი, კრ. „ისტორიულ-
ეთნოგრაფიული ძიებანი“, VI, თბ., 2004.
33. თამარ შარაბიძე, სწორფრობისა და წაწლობის მის-
ტერია, ჟურნ. „მნათობი“ № 9-10, 2000.
34. გ. შარაბედაშვილი, ქართული ხალხური თამაშობანი,
თბ., 1980.
35. მიხეილ ჩიქოვანი, ქართული თეოგონია, „ბერძნული
და ქართული მითოლოგიის საკითხები“, თსუ გამომ-
ცემლობა, თბ., 1971.
36. დავით ჩუბინაშვილი, ამირანის გორა, თბ., 1963.
37. მანანა ხიდაშვილი, სამყაროს სურათი არქაულ საქარ-
თველოში, თბ., 2001.
38. ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, თბ.,
1961.
39. В.В Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования
и обрядовое графическое искусство Грузинских племен,
Тб., 1957.
40. J. Fontenrose, Python, London, 1980.

საბჭოური იღეოლოგიის უმრავლება და საეკლესიო
მოძრაობა /XX ს-ის 20-30-იანი წლები/

თვითმშეცვლურ რუსეთში განხორციელებული ბურჯუაზიული რევოლუცია (1917 წ. თებერვალი) დიდ-მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული და რუსული მართლმადიდებელი ეკლესიებისათვის. პირველისათვის იმედის მიცემი იყო საპატრიარქო ინსტიტუტის აღდგენისა და საერო ხელისუფლებისაგან განთავისუფლებაში, ხოლო მეორისათვის, საუკუნოვანი მეცადინების განხორციელებისათვის – დაებრუნებინა საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალური სტატუსი. ორივე ეკლესია სხვა-დასხვა გამოვლინებით ცდილობდა ძალით წართმეული უფლების დაბრუნებას. რუსეთის ეკლესია რევოლუციის პირველივე დღეებიდან ჩადგა დროებითი მთავრბის სამსახურში – „აღსდგა დეთის ნება, რუსეთი დაადგა სახელმწიფოებრივი განვითარების ახალ გზას. ღმერთმა აკურ-თხოს ჩვენი ეკლესიის თანადგომნი“ (1,5). რაც შეეხება საქართველოს ეკლესიას, რუსული ეკლესიის თანადგომის იმედით აცხადებს ავტოკეფალიის აღდგენას და იური-დიული აქტითაც ასაბუთებს, მაგრამ ორივე ეკლესიას ის-ტორიულმა სინამდვილემ იმედი გაუცრუა: რუსეთის ეკლესიას მძიმე ბრძოლა გარდახდა სახელმწიფოსაგან გან-თავისუფლებისათვის, რაც წარუმატებლობით დასრულდა, ხოლო საქართველოს ეკლესიას კი ავტოკეფალური თვითმოწესების დადგინდების გზაზე მრავალი წინააღ-მდეგობა შეხვდა როგორც რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისაგან, ისე ახალი იდეოლოგიის მატარებელი, ახ-ლადაფეხადგმული საბჭოთა სახელმწიფოს ხელისუფლე-ბისაგან (2).

მსოფლიოში უკვე დამკვიდრებულ ახალი წყობის სა-ხელმწიფოს მისთვის შესაფერისი იდეოლოგია ესაჭიროე-



ბოდა. ფაქტიურად, ოქტომბრის რევოლუციური გადაწყვეტილების აღებისთანავე, თავისი ავტორიტეტის მსოფლიოსა და ხალხთა მასებში მოპოვება—გაძლიერებისათვის მთავრობამ დაიწყო ეკლესიური ელემენტის ათვისებისათვის ფიქრი. ამ მიმართულებით, ხელისუფლების მოქმედება და მისით გამოწვეული შემდგომი მოვლენები მკვეთრად ასტიმულირებდნენ ახალ საეკლესიო ორიენტაციას, რომელიც მთავრობას დროდადრო, მიმდინარე პროცესების შესატყვისი აქტუალური შევსება—დამატებანი და ცვლილებები შეპქონდა (3,158–159). საბჭოთა ქვეყნის ლიდერთათვის ცნობილი იყო, რომ ყოფილი იმპერიის ტრადიციული სარწმუნოება და მისი ეკლესია არა მხოლოდ რელიგიური, არამედ პოლიტიკური ინსტიტუტიც იყო და სახელმწიფული მმართველობის ერთიანი მექანიზმის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც არეგულირებდა, აძლიერებდა და აკონტროლებდა სამოქალაქო საზოგადოებას მთლიანობაში (4,287), ე.ი. საბჭოთა წყობილებას ესაჭიროებოდა არა საერთოდ ეკლესის ამობირკვა, არამედ მისი ინტერესების იდეოლოგიის გამგარებელი სასულიერო ორგანო. მხოლოდ მას შეეძლო ახალი გზების აღმოჩენა მასების საბჭოური სელიერი ენერგიით დატვირთვისათვის (5). საბჭოთა ხელისუფლებას ესაჭიროებოდა მორჩილი მასა, რათა ახალი სოციალური სისტემის განადგურება თავიდან აეცილებინა, ხოლო ამ საქმის შედეგიანი განმახორციელებელი კი უდაოდ „სახელმწიფო—ეკლესია“ შეიძლებოდა ყოფილიყო (4, 296). „ახალი რესეტის“ მთავრობამ მიზნად დაისახა თავისი პოლიტიკის შესატყვისი ახალი რელიგიის შექმნა, ანუ მართლმადიდებლური ქრისტიანობის ახალი ინტერპრეტაციის წარმოჩენა. მხოლოდ ასეთი მეთოდით სწამდათ საბჭოეთის იდეოლოგებს დასახული მიზნის მიღწევა. ჯერ კიდევ პირველი რევოლუციის პერიოდში (1905–1907 წწ.) ა. ლუნაჩარსკი რელიგიისა და სოციალიზმის ურთიერთმიმართების საკითხებე მსჯელობი-

სას შენიშნავდა – „ახალ რელიგიას არა აქვს პასტურობა ბის უფლება, დღეს ახალი რელიგია მთელი ენერგიით იკ-რებს ძალებს... ეს დიდი იმედია...“ (6;49,227).

XX საუკუნის 20–იანი წლების შუა ხანები ქვეყნი-სათვის გარდაცების დროა. სამოქალაქო ომითა და ინ-ტერვენციით გამოწვეული დანგრეული სახალხო მეურნე-ობის აღდგენა თითქმის დასრულდა. ცალკეულ ქვეყნებში დაიწყო სოციალიზმის მშენებლობის გზებისა და მეთოდე-ბის ძიება; გამოიკვეთა ამ გზაზე პირველხარისხოვანი პრაქტიკული ნაბიჯები; ყალიბდებოდა საბჭოთა რესპუ-ბლიკების ერთობლივი საქმიანობის მექანიზმი; იქმნებოდა საერთო საბჭოური ორგანოების მართვის მუშაობათა გა-მოცდილება. მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება სულიერ სფეროშიც, სადაც ვითარდება სხვადასხვა სახის ინიცია-ტივები: იქმნება რესპუბლიკური და საკავშირო საზოგა-დოებები, კავშირები, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები (7,27). ასეთ ვითარებაში, პირველხარის-ხოვანი დაგვირთვა მიიღო საეკლესიო მოძრაობამ. პირ-ველ ეტაპზე სახელმწიფო ხელისუფლება ეკლესიაში თა-ვისი პოლიტიკის ოპონიციონერი ფრთის განადგურებას მთელი აქტივობით შეუდგა – დაიწყო ე.წ. „ანგირელიგიუ-რი მოძრაობა“, რომელიც სერიოზულად აისახებოდა ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაზე, ერთგვარად ამწვავებდა ხელისუფლებასთან მასების, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობის დამოკიდებულებას. მოძრაობის აქტივისტები ადგილებზე ახორციელებდნენ ეკლესიათა მასიური დახურვის პროცესს, აბუჩად იგდებდნენ მორ-წმუნეთ, მათ გრძნობებს, შეურაცყოფნენ სიწმინდეებს. ყოველივე კი მიიჩნეოდა „რევოლუციური აქტივობის გა-მოვლინებად. ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ ვ.მ. მო-ლოტოვის ხელმოწერით ადგილობრივ პარტიულ ორგა-ნოებში დაიგზავნა საგანგებო ცირკულარები „ეკლესიათა დახურვისადმი ტაქტიკურ“ მიღებაზე (7,42). როდესაც



მთავრობამ გაიაზრა მიმდინარე პოლიტიკით მოსალენის ნელი საშიშროებანი, დაიწყო ბრუნვა ისეთი ეკლესის შექმნისათვის, რომელიც ხანგრძლივი, მაგრამ წარმატებიანი შედეგით სახელმწიფოს მშენებლობას დააჩქარებდა – „სამწუხარო ცნობილი გამოცდილება აჩვენებს, რომ რელიგიის დევნით ახლოვდება ძალაუფლების დაცემა როდესაც მმართველნი უგულვებელყოფენ ღვთაებრივ ავტორიტეტს, ხალხიც იწყებს უხექვემ გათელვას მათი ავტორიტეტისა...“ – აღნიშნავს კულტუროლოგი ლესლი ა. უაიგი (4,313).

საბჭოთა ხელისუფლება დარწმუნდა იმ რეალობასა და ისტორიულ გამოცდილებაში, რომ ნებისმიერ სამოქალაქო საზოგადოებაში უმაღლესი სამღვდელოება სარგებლობს ვეებერთელა პოლიტიკური ძალაუფლებით და ხშირ შემთხვევაში განსაბღროავს სამთავრობო კურსსაც (4,306). უკანასკნელის გამორიცხვით მთავრობა ცდილობს მისთვის სანდო სამღვდელო ელემენტის გამოყენებას და სახელმწიფო სამსახურში ჩართვას. მთავრობის ასეთმა პოლიტიკამ ეკლესიაში სერიოზული განხეთქილება გამოიწვია, რაც პირველის ინტერესებში მდგომარეობდა. 1922 წ. 20.III-ს ლ. ტროცკი პოლიტბიუროს სხდომაზე აშკარად აცხადებს ეკლესიაში არსებული ორი მიმდინარეობის შესახებ: 1. კონტრრევოლუციურ-მონარქიული იდეოლოგიის მატარებელი, 2. ბურჯუაზიულ-თანხმობითი, ანუ იგივე „საბჭოურ-ობნოვლენური“ (8,181). პირველი – საბჭოთა ხელისუფლების აშკარად მოწინააღმდეგე ფრთა იყო, მთავრობისათვის უკიდურესად საშიშ ძალას წარმოადგენდა. მის წინააღმდეგ ბრძოლაში მთავრობა ობიექტურ სამღვდელოებას უნდა დაყრდნობოდა, ისე, რომ ამ უკანასკნელის ზედმეტად აღმეცვება არ დაეშვა. ლ. ტროცკის აზრით საბჭოთა სამღვდელოება დაკისრებული მისიის შესრულებისთანავე უნდა ლიკვიდირებულიყო. მთავრობის ამ აქციით იგეგმებოდა ეკლესიის შიდა განხეთქი-

ლება, რასაც ახალი სახელმწიფოს როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური გაძლიერება უნდა მოჰყოლოდა. ცარიზმისაგან მემკვიდრეობით მიღებულ უკიდურესად სუსტ, შიდა და საგარეო ბრძოლებით განადგურებულ ეკონომიკას ფეხბე დადგომა ესაჭიროებოდა. ამ საქმის აღსრულებას კი საბჭოთა ქვეყანა საეკლესიო დიდალი განძის ამოღებით ცდილობდა. მხოლოდ ეკლესის დაქუმაცებით, სამდვდელოების დაპირისპირებითა და საეკლესიო განხეთქილებით იყო შესაძლებელი დასახული მიზნის მიღწევა.

20-იანი წლების შეა ხანებისათვის ეკლესიაში მიმდინარე საშიშმა ძერებმა რამდენიმე საეკლესიო განახლების ჯგუფი შექმნა: „ცოცხალი ეკლესია“, „საეკლესიო აღორძინება“, „ძეველ აპოსტოლური საეკლესიო თემთა კაეშირი“ და სხვ. ყოველი მათგანი პირველობის პრეტენზიას აცხადებდა განახლების მოძრაობაში და ცალ-ცალკე ცდილობდა საბჭოთა მთავრობის გულის მოგებას; მასთან თანამშრომლობით თავისთავადობის შენარჩუნებას. განახლების მოძრაობაში მიმდინარე ურთიერთდაპირისპირება სულ უფრო აბრკოლებდა ეკლესიის განახლება-აღორძინებას და ხელისუფლებას მეტ საშუალებას ამღევდა არჩევანისათვის.

მიმდინარე ბრძოლაში განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდა „ცოცხალი ეკლესია“, რომლის ფუძემდებლადაც ითვლებოდა ცარიცინელი ბერი ილიოდორი (9,3). საიდუმლო VI განყოფილების ხელმძღვანელი ე.ა. ტეჩკოვი იუწყებოდა—„...საეკლესიო განძის ამოღებამ შექმნა ანტიკონტროლევოლუციური ჯგუფი—ობნოვლენობა, რომელმაც ხელთ უნდა იგდოს საეკლესიო მმართველობა, რის შედეგადაც ეკლესია უნდა წავიდეს იმ გზით, როგორიც ჩვენ გვჭირდება“ (8,182). ასე შეიქმნა პირველი ობნოვლენური ჯგუფი, რომოელსაც გვიან ეწოდა „ცოცხალი ეკლესია“. ამით დაედო საფუძველი მართლმადიდებელ ეკლე-

სიაში განხეთქილებას და საეკლესიო აპარატის პოლიტიკური კური თრიენტაციის გარდაქმნას. ნიშანდობლივია ისიც, რომ სამღვდელოების დიდი ნაწილი ამკარად გამოხატავდა ახალი საეკლესიო კურსის აღებაზე თანხმობას, რადგან ყოველგვარი ბრძოლა საბჭოთა მთავრობასთან უკვე უნაყოფოდ მიაჩნდა – „არ ღირს ხალხის აჯანყება მთავრობის წინააღმდეგ, რადგან ყოველი ბრძოლა მასთან – უმიზნოა და უაზრო“ (10,9). ეს იყო დრო, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების შიდა და საგარეო მდგომარეობა აშკარად გამტკიცდა. ახალი ეკლესიის მიმღევრებს სწამდათ საბჭოთა წყობის დროებითობისა და მისი ბრუეუაზიულ ყაიდაზე გარდაქმნის, რომლის იდეოლოგიური საყრდენიც ეკლესია იქნებოდა, მაგრამ ეკლესიის მიერ დროებით პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა არ ნიშნავდა მისი იდეოლოგიური პოზიციის შეცვლასაც.

1922 წლიდან „ცოცხალი ეკლესია“ (ობივლენობა) აქტიურ ქმედებებზე გადავიდა: იწვევდა დამფუძნებელ კრებებს, ყრილობებს, ადგენდა წესდებებს, მუშაობის გზებს და ა.შ. წესდების მიხედვით ის აერთიანებდა მხოლოდ თეთრ სამღვდელოებას, რომლის პლატფორმაც პოლიტიკური იყო, ანუ საბჭოთა წყობის აღიარება. ფაქტიურად, „ცოცხალი ეკლესია“ თეთრი სამღვდელოების საეკლესიო–პოლიტიკურ პარტიას წარმოადგენდა. ობივლენური მიმართულების ლიდერი, მოგვიანებით საბჭოთა იდეოლოგიის გამტარებელი მიგროპოლიტი ა. ვედენსკი შენიშნავდა „... რომ გადავარჩინოთ ეკლესია, აუცილებელია ქირურგიული ოპერაცია. მხოლოდ მაშინ იქნება ეკლესიაში სიმშვიდე! (II, 22). ეკლესიის ე.წ. „განმაახლებელნი“ დროთა ვითარებაში სულ უფრო მეტ წარმატებებს აღწევდნენ, რაც შესაძლებელია შემდეგი მიზებებით აიხსნას: 1. სამღვდელოების ძირითად ნაწილს გააზრებული ჰქონდა ეკლესიის ახალი პოლიტიკური ორიენტაციის აუცილებლობა; 2. ეკლესიის განადგურების შიში; 3. აქტი-

ური პროპაგანდითი საქმიანობა სამღვდელოში შემთხვევა (12,101–102).

მართლმადიდებლობისა და ეკლესიის გადარჩენის მიზნის, „ცოცხალმა ეკლესიაშ“ გადაწყვეტა გაეწყვეტა კანონიკური კავშირი ტრადიციულ ეკლესიასთან, მაგრამ ხელისუფლებაში ნდობის მოპოვებისათვის ეს საქმარისი არ აღმოჩნდა. მათ უნდა შეეცვალათ თვით ქრისტიანული მოძღვრების ხასიათი, ისე რომ მრევლი მიეზიდათ და ამით მათზე საეკლესიო გავლენა გაეჩარდათ. აღნიშნულის მიღწევა შეიძლებოდა კომუნისტური იდეალებით ქრისტიანული მოძღვრების შევსება, რასაც ობიექტური მთელი ძალისხმევით ამუშავებდნენ და აცხადებდნენ კომუნიზმისა და ადრეული ქრისტიანობის იდეალთა თანხვედრას. ასე ჩაეყარა საფუძველი 20-იანი წლებიდან ქრისტიანული იდეოლოგიის პირველ მოდერნიზაციას (კერძოდ, 1923 წ. 29.IV–9.V-სს ობიექტურმა კრებამ საპატიო ინსტიტუტის აღდგენა 1917–1918 წლებში გამოაცხადა კონგრესოლუციურ აქტად და მიიღო რამდენიმე რეფორმა: სამღვდელოების მეორედ ქორწინების უფლება, ეპისკოპოსთა ცოლიანობის ნებართვა, ახალ საეკლესიო კალენდარზე გადასვლა), რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს ფორმირებას ემსახურებოდა.

საბჭოთა ხელისუფლება „განმაახლებელ“ ეკლესიას ვალში არ დარჩენია და მას მაშინვე დიდი უპირატესობანი მიანიჭა. საარქივო მასალებით დგინდება, რომ 1925 წლიდან ობიექტურები დაეპატრონნენ საბჭოთა ქვეყნის მრავალ ეკლესიას. მათ ეკუთვნოდათ ქვეყანაში არსებულ სამრევლოთა მესამედი. სახელმწიფომ მათ დაუკანონა კერძო სამღვდელო სკოლები, აკადემიები, უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლები (მოსკოვი, პეტროგრადი, კიევი), ურნალ-გამგეთები და სხვ. (II. 6–7).

კონგრესოლუციურ საეკლესიო ფრთასთან დაპირისპირებული „ცოცხალი ეკლესია“ ხელისუფლების ხელ-

შეწყობით სულ უფრო აშკარა წარმატებებს აღწევდა, ჭრის ლო ტრადიციული ეკლესია კი ლიკვიდაციის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, რის გამოც ეს უკანასკნელი იძულებული გახდა სახელმწიფო ხელისუფლებისადმი მორჩილება გამოეცხადებინა. 1925 წ. გადასახლებაში მყოფი მთავარეპისკოპოსი ილარიონი (ტროიცე) მიტროპოლიტ სერგის წერდა: „არ ვიცი არის თუ არა ჩვენს იერარქებს შორის ისეთი გულუბრყვილონნი, რომელთაც აქვთ ილუბიები საბჭოთა მთავრობის გადაგდებაზე, მაგრამ ვფიქრობ, რომ ყველა მათ, ვისაც სიკეთე უნდა ეკლესიისათვის ჰქმნიან აუცილებლობას, რომ ეკლესია მოეწყოს ახალ ისტორიულ პირობებში“ (II, 39–40). ეს იყო ეკლესიის მიერ იძულებითი აქტი სახელმწიფოსთან შერიგებაზე, რომელსაც იურიდიული სახე 1927 წ. მიეცა, ამის შემდგომ, უწმ. სინოდმა სცნო საბჭოთა წყობილება (12,364–365). მიუხედავად აღნიშნულისა, ტრადიციული, მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელობის წინაშე მტკიცნეულად იდგა ძირითადი საკითხი: შეენარჩუნებინათ თუ არა ეკლესიაში ერთპიროვნული მმართველობა? (პატრიარქის ინსტიტუტი – ქ.პ.), რადგან მასზე უარის თქმა ფაქტიურად ნიშნავდა ობოვლენური სინოდისათვის ძალაუფლების გადაცემას, რომელიც კანონიკური ეკლესიიდან გადახრილი მიმდინარეობა იყო, ხოლო საპატრიარქო მმართველობის შენარჩუნება კი ეკლესიაზე სახელმწიფო კონტროლის დადგენას მოასწავებდა (13,616–617).

მოვაიანებით, საბჭოთა ხელისუფლებამ ორივე საეკლესიო მიმართულების ფილტრაცია მოახდინა და ჩამოაყალიბა საბჭოთა იდეოლოგიის მაფარებელი „სანდო“ სამღვდელოთა ჯგუფი, რომელიც საბჭოთა ქვეყნის ეკლესიას ჩაუდგა სათავეში. საბჭოთა მთავრობას რევიონალური ეკლესიებისადმი უკვე განსაკუთრებული პოლიტიკა პქონდა, რომელიც კვლევის ცალკე სფეროს წარმოადგენს.

THE FORMATION OF SOVIET IDEOLOGY AND CHURCH MOVEMENT (20-30S OF XX CENTURY)

In her work she discusses 20-30s XX century which was transitional in the formation of Soviet Empire. It revealed the methods of constructing socialism. Church movement gained an initial position in this field. The methods and approaches of Soviet authority and its evolution is discussed in this work. The internal processes and disagreements which the Soviet authority led within the church is also given in this work.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საინტერნო არქივი – სსესა, ფ. 488, აღწ. საქმე 60.
2. პავლიაშვილი ქ., საქართველოს საეგზარქოსთ 1900-1917 წლებში, თბ., 1995 წ.
3. Вайскоф М., Писатель Сталин. М., 2001 г.
4. Лесли А. Уайт, Государство – церковь: его формы и функции. Антология исследований культуры, т. I, СПб, 1997 г.
5. Тойнби А.Дж., Цивилизация перед судом истории. М., 1996 г.
6. Луначарский А., Религия и социализм. СПб, ч. I, 1908 г.
7. Одинцов М.И., Государство и церковь (История взаимоотношений. 1917-1938 гг.). М., Серия: Культура и религия, № 11, 1991 г.

8. Православная энциклопедия. Русская православная церковь. М., 2000 г.
9. Газ. «Правда», 1921 г., 25.V.
10. Журн. «Жизнь и религия», № 6, 1923 г.
11. Цыпин Вл., Русская православная церковь, 1925-1938 гг. Изд. Сретенского монастыря, 1999 г.
12. Шишкин А.А., Сущность и критическая оценка «Обновленческого раскола русской православной церкви», Казань, 1970 г.
13. Регельсон Л., Трагедия Русской церкви 1917-1945 гг., Париж, 1977 г.

სოფელ მარტყოფის მოსახლეობა (XVIII საუკუნიდან დღემდე)

მოსახლეობის განვითარებისა და გამრავლების ტემპების შესწავლა სოციალურ საკითხთა შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. სტატისტიკის ისტორიზმის პრინციპით გაშუქება შესაძლებელს ქმნის შესასწავლ რეგიონში დადგინდეს მოსახლეობის განსახლებისა და ცხოვრების ნორმალური პირობებისათვის აუცილებელი ბუნებრივ-გეოგრაფიული, პოლიტიკური, მატერიალური და კულტურული ფასეულობები.

იალნოს (საგურამოდან სოფელ საცხენისის უკიდურეს საბღვრამდე მდებარე მთა) ძირში შეფენილი მარტყოფი, რომელიც ვახუშტი ბაგონიშვილის აღწერით ყოფილა "ვენახოვანი, ხილიანი და ყოვლითა შემკული... პავითა მშვენი" (2, გვ. 537) ერთ-ერთი დიდი და უძველესი სოფელია. მისი აღრინდელი სახელწოდების "აკრიანის" შეცვლა "მარტყოფით" დაკავშირებულია წმინდა მამა ანგონის სახელთან, რომელიც საქართველოში მოსულა 545 წელს ქალაქ ედისიდან. ჯუანშერი (XI ს.) მიუთითებს, რომ მამა ანგონი "დაემკვიდრა აღმოსავლეთით, ვითაროთხ მილიონ ნაპრალსა კლდისასა, შინაგან მთათა აკრინთა (1, გვ. 213). აკრინის მთები იალნოს მთის საერთო მასივის სამხრეთ-დასავლეთ კალთებს შეადგენს (11, გვ. 6). მამა ანგონეს (ასე უწოდებს მარტყოფელი ხალხი დღესაც) აქ დახვდა "ეკლესია დეთაებისა, გუმბათიანი, დიდშენი, გარ ბლუდე-გოდლოსანი, მგბავსი ციხისა, კეთილს შეენიერს ადგილს. აქ დაადგრა... მამათაგანი ანგონი და ჰყო მონასტრად ესე" (2, გვ. 537-538). წმინდა მამა "თუთ მცირედ განშორებით ქუაბსა შინა მყოფობდა მარტყოდ, და მით ეწოდა ადგილსა ამას მარტყო მყოფი და აწ მარტყოფი" (2, გვ. 537). ღვთაების მონასტრები სახელოვანი

წარსული შეუქმნა სოფელს. მოსახლეობასთან დაკავშირდება საკითხებიც მნიშვნელოვანწილად რესტავრაციულის საეპისკოპოსოს უკავშირდება.

გარე-ქახეთის სოფელი მარტყოფი დედაქალაქთან სიახლოვის გამო გარეეულ სამხედრო-სტრატეგიულ ფუნქციას ასრულებდა. თავდაპირველად კახეთის საერისთავოს, მოგვიანებით კახეთის სამთავროს და მისი სამეფოს-თვისაც სოფელი მარტყოფი და მისი მიმდებარე ტერიტორია საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვან და საამაყო საბრძოლო ისტორიას ქმნის. ამავდროულად დედაქალაქთან სიახლოვე (იხ. ფრაგმენტი საქართველოს ისტორიული რუკიდან, 1923 წ., შედგენილი შ.ს.პ. ტოპოგრაფ. ბარამიძის მიერ აკად. ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, 1991 წ.) სოფელ მარტყოფის მოსახლეობის განვითარებისათვის მყარი გარანტი ხდება.

მარტყოფს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სოფლები საცხენე და ახალსოფელი, დასავლეთით - სოფელი ნორიო, ჩრდილოეთით - იალნოს მთა და მთის ძირში შევენილი ტყე, სამხრეთ-აღმოსავლეთით - სოფელი სააკაძე, ხოლო დანარჩენი ნაწილი სამხრეთის საზღვრამდე არის მინდორი.

სოფლის ჩრდილოეთისაკენ ზრდას ხელს უშლის გეოგრაფიული პირობები. ამასთანავე XVII-XVIII სს-ში აღგიღილი აქვს ლეკთა გამუდმებულ თავდასხმებს. ამიტომ თანდათანობით ხდებოდა სოფლის დღევანდელ ტერიტორიაზე ჩამოსვლის პროცესი. წარმოგიდგენთ არქიტექტორ ბურაბ მათიაშვილის (მარტყოფული მკვიდრი) მიერ გაკეთებულ მარტყოფის სქემატურ გეგმას, რომელიც ჩვენ მარტყოფის განსახლების სტრუქტურის შესწავლის დროს გამოვაქვეყნეთ (11, გვ. 4). არქიტექტორი მიუთითებს, რომ მარტყოფის განსახლების ძირითადი სტრუქტურა არაერთგვაროვანია, ეს გამოწვეულია რელიეფური თავისებურებებითა და გარემო პირობების სხვადასხვაობით. გან-

სახლება ხდებოდა წყლის მახლობლად და ამიგომ მოსახლეობის ლეობას დაკავებული აქვს ხევებისა და მდინარეების ("რიყეების") "ტევალისა" და "ალიხევის" მიმღებარე ტერიტორია. ამიგომაა, რომ სოფელს აქვს ვიწრო (3 კმ) და წაგრძელებული (8-9 კმ) ფორმა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ მას ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით აკრაგს მთის ფერდობები, რაც ერთგვარად შემოსაბლვრავს სოფლის განვითარებას ამ მიმართულებით (11, გვ. 3).

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია, ქართული სოფლის ისტორიისათვის დამახასიათებელი ის უაქტი, რომ აღმოსავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით კი კახეთისა და გარე-კახეთის სოფლები ხეების პირად და ხეობებში მდებარეობენ (8, გვ. 7).

სოფელ მარტყოფს ჩრდილო-აღმოსავლეთით სანიგის (ტყე) მხრიდან ჩამოუდის ტევალის ხევი, ჩრდილო-დასავლეთით - ალიხევი, ტევალის აღმოსავლეთით - სირათხევი, რომლებიც ერთდება სოფლის ცენტრში ეკლესიასთან მარტყოფის ხევად. სოფლის ბოლოში ამას უერთდება კუნგატი, რომელიც ფარეჯოხიდან (საძოვარი) გამოდის და რომელშიც პატარა საკირე ხევი ჩაედინება. მარტყოფის ხევს მაკაროვიაანთ ბაღის ბოლოზე უერთდება საცხენის ხევი. ეს შენაერთი ლოჭინის ხევის მარცხენა შენაკალია (10, გვ. 66). ლოჭინის ხევი კი - მტკვრის მარცხენა შენაკალი (10, გვ. 67).

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით ტევალის ხეობაში მდებარეობს ტევალის უბანი, რომელიც პატარ-პატარა უბნებად საკმაოდ მჭიდროდ არის დასახლებული. აქცხოვრობენ შემდეგი გვარები: იობაშვილები, თვალიაშვილები, ნავრობაშვილები, ადიკაშვილები, მამუკაშვილები, მაძლარაშვილები, სალხთხუციშვილები, ჭიანაშვილები, საუაშვილები, გვარაძეები, ჯერენაშვილები, დილებაშვილები, თურქიშვილები, მეცხვარიშვილები, ბალავაძეები, ბელიანაშვილები, მათიაშვილები, სამაღაშვილები.



ჩრდილო-დასავლეთით, ტევალის მსგავსად, საჭარბეულო
დიდი უბანია აღიხევი. აქ რიყის გაღმა ოსიაანთ უბანში
ცხოვრობენ: ოსიაშვილები, მელელაშვილები, მანავლიშ-
ვილები, ივანაშვილები, სალთხუციშვილები, მამუკაშვი-
ლები; გამოღმა: ოშაყმაანთ უბანში - ოშაყმაშვილები;
მჭედლიანთ უბანში - მჭედლიშვილები, ახალკაციშვილე-
ბი, ფარსმანაშვილები, კობლიშვილები, ჯავახიშვილები;
გოგიანთ უბანში - გოგიაშვილები, ლორიაშვილები,
ბინდრიშვილები, კავთუაშვილები; ბერიძიანთ უბანში -
ბერიძიშვილები; ობოლაანთ უბანში - გელაშვილები, ობ-
ოლაშვილები, კეჟერაშვილები, იორდანაშვილები; ჯამას-
პაანთ უბანში - ჯამასპაშვილები, საათაშვილები, მამუ-
კაშვილები, თურქიშვილები, ყაიბულაშვილები.

ტევალსა და აღიხევს შორის ჩრდილოეთით არის
კანდელაკიანთ უბანი, სადაც კანდელაკების გარდა
ცხოვრობენ: ბოქოლიშვილები და მეცხვარიშვილები.

მარტყოფის ხევი, რომელსაც რიყეს უწოდებენ, სო-
ფელს ორ: გაღმა და გამოღმა მხარედ ჰყოფს. ხევის და-
სავლეთით ჩრდილოეთის მხრიდან მოყოლებული განსახ-
ლებულია შემდეგი უბნები: სტეფანიშვილებით დასახლე-
ბული სტეფანაანთ უბანი; საავადმყოფოდან (ჩრდ.) აფთია-
ქამდე (სამხრ.) და სტეფანაანთ უბნიდან (დას.) რიყემდე
(აღმ.) არის ლეკიაანთ უბანი, სადაც ლეკიშვილების გარ-
და ცხოვრობენ: კორახაშვილები, ბექაურები, ვანიშვილე-
ბი, კირეულიშვილები, ყურაშვილები, ყარსელიშვილები,
ამათ ქვემოთ ვხვდებით ტაბლიაანთ უბანს დასახლებულს
ტაბლიაშვილებით, მინესაშვილებით, ერტელიშვილებით,
ბანეთიშვილებით, ჯიქიძეებით, გულბანებით, სალთხუციშ-
ვილებითა და კარგბრეთლებით; ხიდიდან მოყოლებული
წითლობიდან ითანაურამდე არის ძამაანთ უბანი. აქ ძა-
მაშვილების გარდა ცხოვრობენ: ხუცუნაშვილები, ეპიგაშ-
ვილები, პაპალაშვილები, თუშმალიშვილები; მათ ქვემოთ
არის შინჯიკაანთ უბანი დასახლებული: შინჯიკაშვილე-



ბით, ჩუბინიძეებით, კობიაშვილებით, გვიმრაძეებით, გორდაშვილებით, კოლაშვილებით; შემდეგი უბანია მარუშაანთი, სადაც მარუშაშვილების გარდა ცხოვრობენ: კობიაშვილები, სოლოლაშვილები, ფრეწუაშვილები, მელელაშვილები, კოლაშვილები, გულიაშვილები, ლოდაშვილები, სალთხუციშვილები, ფერაშვილები, კანდელაკები; ამის ქვემთ, სოფლის უბანი დასახლებულია: შპეტიშვილებით, გუგუნაშვილებით, ფურცელაძეებით, კახაბრიშვილებით, გიუნაშვილებით, გუგუნაშვილებით, გოგოჩაშვილებით, სალთხუციშვილებით, ლუჭაშვილებით, ლოქიძეებით, რაგმაძეებით, გაგუნიშვილებით, მათიაშვილებით, ფურცელაძეებით. ესეც ერთ-ერთი დიდი უბანია და ამიტომ ცალ-ცალკე გამოყოფენ აღიკაანთ და ფურცელაძიანთ უბნებს.

მარტყოფის ხევის აღმოსავლეთ მხარეს ტევალის დასასრულიდან იწყება ჯერენაანთ უბანი, რომელიც დასახლებულია: ჯერენაშვილებით, სალთხუციშვილებით, სამჭერაშვილებითა და ბელიანაშვილებით. ხილიდან მოყოლებული უკვე შოშიაანთ უბანია, სადაც ცხოვრობენ: შოშიაშვილები, დეკანოზიშვილები, გვარაძეები, ქურთიშვილები, სალთხუციშვილები, ეპიგაშვილები, ტოტიკაშვილები, ჩინაშვილები, ბელიანაშვილები, კობიაშვილები. შემდეგ მოდის ჩიტრეკაანთ უბანი. აյ ჩიტრეკაშვილების გარდა არიან: ფოცხვერაშვილები, ფურცელაძეები, გიგაურები, ჭილაშვილები, მათიაშვილები, ილურიძეები, ტოტიკაშვილები, ბექანიშვილები, გოგნიაშვილები, გიუნაშვილები. აქაც ცალ-ცალკე მიუთითებენ: ჭილაანთ, ჩიტრეკაანთ, ბექანიაანთ და მათიაანთ უბნებს. ეს უბანი მთავრდება სოფლის გაღმა და გამოლმა მხარეების დამაკავშირებელ, მეორე, სოფლის შემოსასვლელთან უფრო ახლოს მდებარე ხილთან, სადაც ერთ მხარეს მათიაანთ უბანი სრულდება, მეორე მხარეს კი სოფლის უბანი. აქედან იწყება "ახალი დასახლება", სადაც ცხოვრობენ: ივანაშვი-

ლები, გულიაშვილები, ჯოხაძეები, რაზმაძეები, ეპიფანიშვილები, ლები, ჩიგიაშვილები, გუგუნაშვილები, ძაგანაშვილები, ოსიაშვილები. ამის ქვემოთ არის ძამაანთ უბანი. აქ სახლობენ: ძამაშვილები და ნაირაშვილები. ბოლოს კი ხახიანთ უბანია, სადაც ხახიაშვილების გარდა ცხოვრობენ: ფრეწუაშვილები, გვარაძეები, შეტიშვილები, ძამაშვილები, ჩიგრეკაშვილები, ჯერენაშვილები, სალთხუციშვილები, ხუციშვილები, ივანაშვილები, ღუჭაშვილები, რაზმაძეები, რევიშვილები, ორთოიძეები.

შეიძლება უბანთა ჩამოთვლა სოფლის შემოსასვლელიდანვე, ხახიანთ უბნიდან დაგვეწყო, მაგრამ როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჩვენ წყლის დინებას მივყევით (12, გვ. 11).

მარტყოფში მოსახლეობის განსახლება, ისე როგორც მთელ საქართველოში, პატრონიმიული ხასიათისაა. გვარში შემავალი ცალკეული პატრონიმიები (მარტყოფში "ბუდობების" სახელწოდებით) და თითქმის მთლიანად გვარები უბნებში (ზოგჯერ უბნებად) კომპაქტურად არიან დასახლებულნი.

მოსახლეობის შესწავლის ცალკეულ დეტალს და მასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს ნიუანსებს აღნათ, შემდგომი კვლევა-ძიება გამოავლენს. ამჯერად, ჩვენს ხელთ არსებული აღწერების, სხვა წერილობითი ძეგლებისა და საველე ეთნოგრაფიული მასალის შეჯერების საფუძველზე შევეცადეთ ზოგადი სურათი შეგვევმნა სოფელ მარტყოფის მოსახლეობის ისტორიიდან.

ივანე ჯავახიშვილმა XVIII საუკუნის I მეოთხედის აღწერის დავთრები გრაგნილების სახით დაგიანებული და ნაწყვეტებად შამონახული მოიძია, შეისწავლა და ორ წიგნად გამოსცა. I წიგნში მარტყოფის მოსახლეობას ეხება 3 ნაწყვეტი შემდეგი სათაურებით: 1) "ჭოტორის და ალიხევს და ჯერველანში ბაგონის ყმა (3, გვ. 21-25); 2) "შარტყოფს რუსთვლის ყმა ნორითვე" (3, გვ. 266-267); 3) "არის მარტყოფს ნორიოს ბაგონის ყმა" (3, გვ. 267).

არსებული წყაროს მიხედვით ჭოფორ-ალიხევ-ჯურია ველანში XVIII ს. I მეოთხედში ცხოვრობდნენ: ნავიშვილები, მანავლიშვილები, სამნაშვილები, თათარაშვილები, ძაგანაშვილები, ბერუკაშვილები, ქურციკაშვილები, თიან-ლიშვილები, ბარბუცაშვილები, მჭადიაშვილები, კუპრაძეები, კობლიშვილები, ბაღუაშვილები, სინჯიაშვილები, ითაშვილები, ხუროშვილები, ჯამასპასაშვილები, პაპიტაშვილები, ჩამიარაშვილები, სტეფანიშვილები, იამანიშვილები, პაპიაშვილები, კობიაშვილები, ქოქაშვილები, გამიხარეშვილები, გუგუნაშვილები, ხუჭაშვილები, სპეტიშვილები, რაჯაბაშვილები, ჩიტირეკაშვილები, სომხიშვილები, ძანანაშვილები, შოშიაშვილები, სესიაშვილები, გუბათაშვილები, კანანაშვილები, ფუნდრუკიშვილები, თურქიაშვილები, ზირიაშვილები, თვალიაშვილები, დიდებაშვილები, მუჯორები, გამიხარდიშვილები, იმერლიშვილები, ელიობიშვილები, ნანიაშვილები, ტოტიკაშვილები, ფრიდონიშვილები, შიუკაშვილები, ნასრიაშვილები, ლოთიაშვილები, კვირიაშვილები, მეხბორიშვილები, გოგილაშვილები, დაგლუჯილიშვილები, კნოგიშვილები, დალაგმულიშვილები ჯანვარანაშვილები, ქიტიაშვილები, ფაციაშვილები, ფეიქრიშვილები, ჭინჭარაშვილები, შინჯიკაშვილები, ზაბუნიშვილები, თანიაშვილები, ბადელაძეები, ვარდოშვილები, ვარსიმაშვილები, გულიდანდარაშვილები, ქვლივიძე, ლომაშვილები, შათირიშვილები, ბაღაშვილები, ხახუთაშვილები, ბაქელისშვილი.

აქვე წერია: "მახარა აყრილი", "სინჯიას ობოლი", "ბესიას ობოლი", "გიორგი მეგრელი, ობოლი", "ოქროპირი ბუბია", "ჯანია აყრილი", "იმერელი ნასყიდა, აყრილი".

"მარტყოფს რუსთაველის ყმა ნორითვე"-ში გაკეთებულია შემდეგი ჩამონათვალი: კანდელაკი სალთხუცესი, გიორგი კანდელაკისშვილი, ნაცვალი, ბერი ლაბარესშვილი, სტეფანიშვილები, ქურციკაშვილები, გვარელაშვილები, "იჩქითი გოგია", აფხაზი დათუნა, აფხაზი ბერი, მებურე

უბირი გიორგი, ღონიაშვილები, ხოსრუაშვილები, ტამარიშვილები, მუხიაშვილები, ორავეანდაშვილები, ჩოთირიძეები (გრაგნილი წყდება და გრძელდება), ჯავახიშვილები, ქურუხაშვილები, ჩაღმალაშვილები, ბუბუთაშვილები, გიგელდიშვილები, ღაღაშვილები, შვიროშვილები, მამულაშვილები, მგელიგაშვილები.

"არის მარტყოფს ნორიოს ბატონის ყმა". ამ ნაწილში ჩამოთვლილია შემდეგი გვარები: ლაზარე გოგილაშვილი, გიორგი მბარეული, ფშრინიაშვილი, ვარსიმაშვილი, იმერლიშვილები, ტატა კეჭერაშვილი, მგელია მრელიაშვილი, ჩიტიშვილი, ღელაბრიშვილი, ვარდიაშვილი, კურაგიშვილი, კუდაშვილი, მამისიმედი ჭლიკიშვილი, უერთაშვილი, ბოწოწაშვილი, ფარსმანაშვილი, ძიძიკაშვილი, კოკიტაშვილი, ცისკარაშვილი, ყურფარაშვილი, მამადაშვილი, ქოპილაშვილი, ტაბლიაშვილი, ოსიყმაშვილი, პაპაჩაშვილები, ბარევანაშვილები, ბარამიშვილი, ყრუვიშვილები, მამიაშვილები, აბრამაშვილები, ცილიკურები, ონიკაშვილები, როსტევანაშვილები, უსგარაშვილები, ტოტიასშვილი გოდერძი, ხორიაშვილები, თანიკაშვილები, ცოფერაშვილი ბურაბი, ზაქუტაშვილები, ჩაბალაშვილები, ტალიაშვილები, ანანიაშვილები.

ჩამონათვალის საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ "ჭოტორის და ალიხევს და ჯერველანში ბატონის ყმაში" გაერთიანებულია 75 გვარი და 7 სახელი "აყრილისა" და "ობოლის" სახით; "მარტყოფს რუსთველის ყმა ნორითვეში" 21 გვარი; "...მარტყოფს ნორიოს ბატონის ყმაში" კი - 42 გვარი.

აკაკი მათიაშვილმა ყურადღება მიაქცია, რომ რუსთავ-მარტყოფის ეკლესიის კეთვნილი მარტყოფელი გლეხები ნორიოელ სარუსთველო გლეხებთან ერთობლივად არიან აღწერილი, ასევე მარტყოფელი და ნორიოელი სამეფო გლეხებიც ერთადაა დავთარში მოცემული (6, გვ. 425). მკვლევარი იმოწმებს უშანები სახლთხუციშვილის ნაშრომს,

სადაც სხვა წყაროებთან ერთად განხილულია ერეკლეს-ჭეთია, ფის მიერ მარტყოფელი მწიგნობრის ქრისტეფორე კექე-რაშვილისათვის აბნაურობის ბოძებული წყალობის ოქმი, რომელიც გიორგი XIII 1799 წ. 22 დეკემბერს განუახლებია კექერაშვილ-ბადრიძეებისთვის. უბოძებია ნორიოს ხუთი კომლი ბეითალმანი მამული გოგლიანთი შინაური ჩიგიაშვილისა, კუდაანთი და ქაჩალაანთი. იქვე ვკითხულობთ "კურთხეულ მამა ჩვენს მარტყოფის ნაცვლობა ორსავ ხევი-სა თქვენთვის ებოძებინა და ჩვენც ასე დაგვიმტკიცებია და გვიბოძებია..." (საქართველოს ისტორიის ქრონიკები, ავთ. იოსელიანის რედაქციით, 1980 წ. გვ. 215). უშანგი სახლთუ-ხუციშვილი აღნიშნავს, ომ ამ "ორივე ხევში მარტყოფის-წყლის ხეობა და ნორიხევის ხეობა იგულისხმება" (9, გვ. 30). უშანგი სახლთუციშვილს აქვე მოჰყავს "პარიზის ქრო-ნიკაში" (ცხოვრება საქართველომასა (პარიზის ქრონიკა), გიული აღასანიას რედაქციით, 1980 წ. გვ. 91) დაცული ცნო-ბა 1625 წლის 25 მარგის აჯანყების შესახებ, "მოურავის პი-რობით ქართველნი შეიყარნენ, დაესხნენ მარტყოფში, ნო-რიას, ხარების დამეს ყიბილბაშთა თავსა". (9, გვ. 31) მკვლე-ვარი იქვე მიუთითებს, რომ წყაროებში დაცულ მეორე მარტყოფად "სოფლის უბანი" იგულისხმება თუ სოფელი ნო-რია, ამას, ალბათ, შემდგომი კვლევა-ძიება გამოავლენს.

XVIII ს. I მეოთხედის აღწერებში ერწოში, საცხენის-ში, მამუკაანში, მამკოდაში, თემამში, ჩრდილსა და უგოში (ახმეტის ახლოს) რუსთავ-მარტყოფის ეკლესიის კუთვნი-ლი კომლები მარტყოფის საეკლესიო მიწებზე გადმოსახ-ლებულან.

აკაკი მათიაშვილი ამ ჩამონათვალიდან ხაზგასმით აღნიშნავს: "ერწოს რუსთველის ყმა" ზაბიაშვილებს, ყუ-შიგაშვილებს, ელიოზიშვილებს; "მამკოდის რუსთაველის ყმა" დეკანოზიშვილებს, უტარნიაშვილებს, მგელიაშვი-ლებს, ხარჯიაშვილებს, ივანაშვილებს, ივანეშვილებს, ბეთლემაშვილებს, კოკობინაშვილებს, მარუშაშვილებს,



პეტრე კანდელაკიშვილს, რამაზა ფარეწაშვილს; "თექტების და ჩრდილის რუსთველის ყმა", "კირაული თამაზი"; "უტოს რუსთველის ყმა" ჭილაშვილებს (სულ 16 გვარი).

აღნიშნულ დავთორებში არსებული გვარების (სულ: 154) უმრავლესობა დღეს მარტყოფში ცხოვრობს, ზოგმა ფონეტიკური ცვლილება განიცადა, ზოგიერთი გვარ-სახელიდან კი სავარაუდოდ ახალი წარმოიშვა, უმნიშვნელო გამონაკლისი გაქრა.

სამწუხაროა, რომ გიორგი XII-ის დავალებით დავით და იოანე ბაგონიშვილების ხელმძღვანელობით 1798 წლის გამაფხულ-ბაფხულის მარტყოფელი მწიგნობრების დავით დიაკონისა და ეგნატე იოსელიანის (პლატონ იოსელიანის მამა) მონაწილეობით ჩაგარებული კახეთისა და ელის მოსახლეობის (კომლებად) აღწერის მასალები ჩვენამდე არ არის მოღწეული, პლატონ იოსელიანის ნაშრომში ვკითხულობთ "მოერთო მეფეს სიანი და აღმოჩნდა 42 ათასი კომლი კახეთისა და თათრების ელითა" (5, გვ. 66).

XIX საუკუნის პირველი აღწერის მასალები (1801-1802 წწ.) გიორგი ბოჭორიძემ 1927 წელს გამოაქვეყნა "საქართველოს არქივის" III წიგნში. მასალები შეეხება მარტყოფ-თიანეთ-ახმეტა-ყვარლისა და მისი შემოგარენის სოფლების მოსახლეობას.

"მარტყოფს, დიდხევს, რუსთველის ყმა" (4, გვ. 132) ჩამოთვლილია შემდეგი გვარები: ჭილაშვილები, სალთხუცესი, იოსებ გოგილაშვილი, ნაცვლიშვილები, დილებაშვილი გივი, მჭედლიშვილები, ფერაშვილები, მანუშაშვილები, კუმელაშვილები, ბანეთიშვილები, იორდანაშვილები, კანდელაკიშვილები, უგარნიაშვილები, ჭოგორელი გელიაშვილი (ვიორგი, დემეტრე, სვიმონ, ამბროლი), იობაშვილი აბრამი, მამამთავრიშვილი, ორეკევრაშვილები, გაიხარაშვილები, ღუდლიშვილები, ლორიაშვილები, მერელაშვილები.

აქვე მითითებულია მარტყოფის საეკლესიო მიწებზე "აქავ მსახლობელი ხიბანი" (4, გვ. 133): იმერლიშვილები,



საცხენელი ნაწილაშვილი ივანე, საცხენელი ორუჯაშვილი ლი (პააგაშვილი, გიორგი საცხენელი მეჭურჭლეშვილი გიორგი, მამკოლელი ყასბიშვილები, კახაბრიშვილები, გვარაძეები, მამკოლელი ადიკაშვილი ქიფესა, მამკოლელი ოროქანდაშვილი გოგია და ანგონი, მამკოლელი გულიაშვილი ნინია, იამანაშვილი.

ცალკეა აღწერილი "მარტყოფს, დიდხევს, სახასო" (4, გვ. 133): გუგუნაშვილები, ლუჭაშვილები, შეგებიშვილები, ძამაშვილები, ჩიტრეკაშვილები, გვარაძეები, ჩიტიაშვილები, შოშიაშვილები, კობიაშვილები, შინჯიკაშვილები, ებიტაშვილები, ტაბლიაშვილები, კექერაშვილები, ბადუაშვილები, ბერუაშვილები, ოსიყმაშვილები, გოძიაშვილები, ბინდრიშვილები, კუპრაძეები, ჯამასპაშვილები, კობლიშვილები, ტოტიკაშვილები, მანავლიშვილები, ძაგანაშვილები, ხვრიაშვილები, ბედითნაშვილები, ჯერენაშვილები, ებილაშვილები, გაგილაშვილები, თვალიაშვილები, კუქუნაშვილები ჩინაშვილები, ბექანიშვილი ბაქარია, დედალამაზაშვილები, თურქიაშვილები, ღალანაშვილები, განანაშვილები, კორახაშვილები.

აღწერაში ცალკეა ჩამონათვალი სახასო (სახაბინო, სახელმწიფო მიწებზე მცხოვრები ხიზნების "აქავ სახასო მამულში ხიბანი: მღებრიშვილები, ნასრაშვილები, გოჭურაშვილები, ბარაჩაშვილები, წერეთელაშვილები, ხუციშვილი, ჩაგვრულაშვილი, ობოლოვგია ალექსაშვილი, ძმალაბარე, პენტელაშვილი, საყვარელიძეები, ლუვიშვილები, კნოტიშვილები, ხახიაშვილები, ფაციაშვილები, იმედაშვილები, ქოქაშვილები, გოგოჩაშვილები, ხათაშვილები.

1801-1802 წწ. აღწერის მიხედვით "მარტყოფს, დიდხევს რუსთველის ყმაში" გაერთიანებულია 22 გვარი (43 კომლი); ეკლესიის "აქავ მსახლობელ ხიბანში" 11 გვარი (25 კომლი); "მარტყოფს დიდხევს, სახასოში" 39 გვარი (83 კომლი); "აქავ სახასო მამულში ხიბანში" 18 გვარი (51 კომლი), სულ: 90 გვარი (201 კომლი).



აქაკი მათიაშვილი თავის ნაშრომში "აკრიანი-მარტონი-გომიური-მარტონი-4500", წ. II (6) აქვეყნებს საქართველოს მთავარ საისტორიო არქივში მიკვლეულ ისტორიულ საბუთებს. კერძოდ, 1818 წლის "აღწერა სარუსთველო ყმათა" (სმსა, ფ. 1448, საქმე 8471, ფურც. 1-14); 1823 წლისა (სმსა, ფ. 254, საქმე 803, ფურც. 110-148); და 1848 წლის აღწერების (სმსა, ფ. 254, საქმე 1554, ფურც. 34-38; 171-172) მონაცემებს.

1818 წლის "აღწერა სარუსთველო ყმათა" საქართველოს საეკლესიო ხელისუფალთა დავალებით სტეფანე რუსთველს ჩაუტარებია (6, გვ. 432-435). მასალის მიხედვით ირკვევა, რომ "სარუსთველო ყმათა" შემადგენლობაში შესულია სოფელ მარტონიში: 29 გვარის 57 კომლი (მითითებულია კომლის უფროსების გვარ-სახელები), მამაკაცთა რაოდენობა არის 218. სამეურნეო ქონება შეადგენს შემდეგს. 57 კომლს აქვს: სახნავ-სათიბი: სარწყავი - 81 დღიური, ურწყავი - 103 დღიური, 77 ვენახი, წლიური მოსავლით 174 საპალნე და 60 ჩაფი ღვინო და 4 წისქვილი.

1823 წლის აღწერის მონაცემებით (რუსულ ენაზე) (6, გვ. 439) სოფელ მარტონიში აღწერილია 74 გვარის 184 კომლი (მათ შორის 680 მამაკაცი, 591 ქალი. 184 კომლი ფლობდა 19940 დღიურ მიწას. სახნავ-სათესად და სათიბად ვარგისი იყო 12370 დღიური).

1842 წლის მასალებით (6, გვ. 438) "სარუსთველო ყმათა" გარდა მარტონის საეკლესიო მიწებზე დასახლებული გლეხებიდან მცხეთა-სვეტიცხოველი ფლობდა 6 კომლს, ათონის ივერთა მონასტერი 4 კომლს, ალავერდის წმინდა გიორგის მონასტერი - 4 კომლს, აქვე ჩამოთვლილია 25 საბატონო კომლი (გლეხთა და მებატონეთა გვარების მითითებით).

1886 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით სოფელ მარტონიში ირიცხებოდა 751 ოჯახად მცხოვრები 4716 სული (2732 ქალი და 1984 მამაკაცი) (13).

ჩვენს საელექტრონული მასალაში დევს თბილისის მაზრის სამართლებრივი განაჩენის ფერ მარტინოვის 1900 წლის საზოგადოებრივი განაჩენის ქსეროასლი მიწის საკითხის თაობაზე. ეს ძეველი საბუთი ინახებოდა მაშინდელი მამასახლისის ილია სალთხუციშვილის სახლში, ახლანდელ საქამვილებთან. ამჯერად ეს დოკუმენტი ჩვენთვის ის მხრივაა საინტერესო, რომ მასში მითითებულია მარტინოვის მცხოვრები 727 ოჯახი. საბუთში ხელმოწერების მაგივრად ჩამოწერილია 123 გვარის 467 წარმომადგენლის გვარი და სახელი.

საბჭოთა პერიოდში მარტინოვის სასოფლო საბჭოში გაერთიანებული იყო: მარტინოვი, სოფელი სააკაძე და ვაზიანის დასახლება. სასოფლო საბჭოს მასალებით 1983 წელს: სოფელ მარტინოვში ცხოვრობდა 2016 კომლი (7107 მცხოვრებით), სოფელ სააკაძეში 117 კომლი (438 მცხოვრებით), ვაზიანის დასახლებაში 1534 კომლი (3914 მცხოვრებით). სულ მარტინოვის სასოფლო საბჭოში ირიცხებოდა 3667 ოჯახი (11459 მცხოვრებით).

ამჟამად მარტინოვის თემის საკრებულოში შედის ისევ: სოფელი მარტინოვი, სოფელი სააკაძე და ვაზიანის დასახლება. 2005 წლის მონაცემებით მარტინოვში ცხოვრობს 2416 კომლი (7290 მცხოვრებით), სააკაძეში – 102 კომლი (265 მცხოვრებით), ვაზიანში – 311 კომლი (1011 მცხოვრებით), სულ მარტინოვის თემის საკრებულოში შედის 2829 კომლი (8566 მცხოვრებით).

სოფელ მარტინოვის მოსახლეობის დღევანდელი სურათის წარმოსადგენია გთავაზობთ სოფლის საბჭოში (1990 წელს) აღებული მასალისა და დღევანდელ მარტინოვის თემის საკრებულოში (2005 წელს) აღებული მასალების შედეგად ჩვენს მიერ შედგენილ ცხრილს.

№	1990 წელი		2005 წელი	
	გვარი	კომლი	გვარი	კომლი
1	2	3	4	5
1.	აფუიაური	3	აფუიაური	3
2.	ახალკაციშვილი	21	ახალკაციშვილი	27
3.	ადიკაშვილი	23	ადიკაშვილი	32
4.	აფხაზიშვილი	1	აფხაზიშვილი	2
5.	აბრამიშვილი	2	აბრამიშვილი	3
6.	აბირამვილი	1	აბირამვილი	4
7.	ამირანაშვილი	1	ამირანაშვილი	1
8.	ბერიძიშვილი	19	ბერიძიშვილი	26
9.	ბერიაშვილი	4	ბერიაშვილი	5
10.	ბერუაშვილი	19	ბერუაშვილი	19
11.	ბოქელიშვილი	1	ბოქელიშვილი	1
12.	ბაგინოვი	1	ბაგინოვი	2
13.	ბედიანაშვილი	32	ბედიანაშვილი	44
14.	ბალავაძე	4	ბალავაძე	6
15.	ბაქელაშვილი	10	ბაქელაშვილი	10
16.	ბექაური	1	ბექაური	1
17.	ბანეთიშვილი	36	ბანეთიშვილი	42
18.	ბექანიშვილი	8	ბექანიშვილი	8

1	2	3	4	5
19.	გელიაშვილი	8	გელიაშვილი	11
20.	გოგილაძე	3	გოგილაძე	4
21.	გეგუნაშვილი	34	გეგუნაშვილი	50
22.	გვარაძე	11	გვარაძე	14
23.	გაიხარაშვილი	19	გაიხარაშვილი	20
24.	გელბანი	2	გელბანი	2
25.	გამჯაშვილი	2	გამჯაშვილი	3
26.	გიუნაშვილი	10	გიუნაშვილი	10
27.	გოჩიაშვილი	1	გოჩიაშვილი	2
28.	გოგნიაშვილი	7	გოგნიაშვილი	10
29.	გიგაური	2	გიგაური	4
30.	გელიაშვილი	11	გელიაშვილი	20
31.	გოგოჩიაშვილი	20	გოგოჩიაშვილი	30
32.	გელაშვილი	1	გელაშვილი	1
33.	გორდაშვილი	12	გორდაშვილი	12
34.	გვარინაშვილი	1	გვარინაშვილი	2
35.	გვიმრაძე	1	გვიმრაძე	1
36.	გელბანი	2	გელბანი	1
37.	დილებაშვილი	18	დილებაშვილი	24
38.	დაბუაშვილი	1	დაბუაშვილი	3

1	2	3	4	5
39.	დეკანობიშვილი	2	დეკანობიშვილი	2
40.	დორეული	1	დორეული	2
41.	ეპიგამეილი	81	ეპიგამეილი	94
42.	ელჩიევი	2	ელჩიევი	4
43.	ერტელიშვილი	1	ერტელიშვილი	1
44.	ებილაშვილი	9	ებილაშვილი	11
45.	ელბაგოვი	2	ელბაგოვი	2
46.	ეანიშვილი	1	ეანიშვილი	2
47.	ეარდიშვილი	1	ეარდიშვილი	1
48.	ბინდრიშვილი	12	ბინდრიშვილი	14
49.	ბაზუნიშვილი	14	ბაზუნიშვილი	15
50.	ბაქარიაძე	3	ბაქარიაძე	4
51.	ბამთარაძე	1	ბამთარაძე	1
52.	თურქიშვილი	12	თურქიშვილი	18
53.	თვალიაშვილი	5	თვალიაშვილი	5
54.	თაქთაქიშვილი	2	თაქთაქიშვილი	2
55.	თემმალიშვილი	8	თემმალიშვილი	4
56.	იორდანაშვილი	8	იორდანაშვილი	14
57.	ივანაშვილი	35	ივანაშვილი	43
58.	იობაშვილი	16	იობაშვილი	20


1	2	3	4	5
59.	ითაშვილი	34	ითაშვილი	40
60.	იორამაშვილი	7	იორამაშვილი	8
61.	იმედაშვილი	10	იმედაშვილი	12
62.	იმნაძე	1	იმნაძე	1
63.	ილურიძე	5	ილურიძე	5
64.	ირომაშვილი	1	ირომაშვილი	1
65.	კავთუაშვილი	6	კავთუაშვილი	12
66.	კობლიშვილი	7	კომბლიშვილი	4
67.	კექერაშვილი	17	კექერაშვილი	28
68.	კირეულიშვილი	14	კირეულიშვილი	14
69.	კახაბრიშვილი	17	კახაბრიშვილი	18
70.	კობიაშვილი	25	კობიაშვილი	23
71.	კანდელაკი	42	კანდელაკი	42
72.	კორახაშვილი	12	კორახაშვილი	9
73.	კახურაშვილი	16	კახურაშვილი	22
74.	კერაგიშვილი	2	კერაგიშვილი	2
75.	კენკაძე	1	კენკაძე	3
76.	კიკილაშვილი	1	კიკილაშვილი	1
77.	ლერსმანაშვილი	1	ლერსმანაშვილი	1
78.	ლორიაშვილი	13	ლორიაშვილი	21

1	2	3	4	5
79.	ლეკიოშვილი	27	ლეკიოშვილი	39
80.	ლაგვილავა	1	ლაგვილავა	2
81.	მამუკაშვილი	6	მამუკაშვილი	8
82.	მელელაშვილი	12	მელელაშვილი	17
83.	მანავლიშვილი	6	მანავლიშვილი	9
84.	მჭედლიშვილი	23	მჭედლიშვილი	34
85.	მიგრიაული	1	მიგრიაული	1
86.	მინესაშვილი	4	მინესაშვილი	6
87.	მეცხვარიშვილი	5	მეცხვარიშვილი	8
88.	მათიაშვილი	30	მათიაშვილი	37
89.	მაძლარაშვილი	5	მაძლარაშვილი	2
90.	მუხიაშვილი	2	მუხიაშვილი	3
91.	მეფერიშვილი	1	მეფერიშვილი	1
92.	მერაბიშვილი	1	მერაბიშვილი	4
93.	მაჭავარიანი	6	მაჭავარიანი	8
94.	მანიქაშვილი	1	მანიქაშვილი	1
95.	მარუმაშვილი	12	მარუმაშვილი	17
96.	ნიკოლიშვილი	11	ნიკოლიშვილი	16
97.	ნავდარაშვილი	1	ნავდარაშვილი	2
98.	ნაირაშვილი	5	ნაირაშვილი	5

1	2	3	4	5
99.	ნავრობამეილი	13	ნავრობამეილი	13
100.	ოსიაშეილი	52	ოსიაშეილი	75 უკრაინული ბერძნული
101.	ორჯონიშვილე	6	ორჯონიშვილე	7
102.	ოთარაშეილი	8	ოთარაშეილი	8
103.	ოშავმამეილი	46	ოშავმამეილი	58
104.	ობოლაშეილი	1	ობოლაშეილი	13
105.	ოროქანდოვი	10	ოროქანდოვი	7
106.	ოსიუმამეილი	2	ოსიუმამეილი	3
107.	ონიანი	1	ონიანი	1
108.	ოყროშაძე	1	ოყროშაძე	1
109.	პაგიუამეილი	3	პაგიუამეილი	5
110.	პაპალამეილი	4	პაპალამეილი	7
111.	პაგარიძე	1	პაგარიძე	2
112.	რაზმაძე	6	რაზმაძე	10
113.	როსგომოვი	5	როსგომოვი	1
114.	საათაშეილი	5	საათაშეილი	4
115.	სალთხულიშეილი	90	სალთხულიშეილი	118
116.	სამჭერამეილი	35	სამჭერამეილი	44
117.	სონიშეილი	1	სონიშეილი	1
118.	სომხიშეილი	3	სომხიშეილი	4

1	2	3	4	5
119.	საქამვილი	2	საქამვილი	6
120.	სამაღაშვილი	1	სამაღაშვილი	1
121.	სტეფანაშვილი	20	სტეფანაშვილი	30
122.	სოლოდაშვილი	11	სოლოდაშვილი	13
123.	სულხანიშვილი	2	სულხანიშვილი	2
124.	საბედაშვილი	1	საბედაშვილი	1
125.	გოგიკაშვილი	21	გოგიკაშვილი	21
126.	გაბლიაშვილი	12	გაბლიაშვილი	19
127.	ესგარაშვილი	3	ესგარაშვილი	5
128.	ფარსმანაშვილი	9	ფარსმანაშვილი	5
129.	ჭრეწეაშვილი	18	ჭრეწეაშვილი	23
130.	ჭეხაშვილი	1	ჭეხაშვილი	2
131.	ჭურულაძე	13	ჭურულაძე	15
132.	ჭვრაშვილი	7	ჭვრაშვილი	14
133.	ქარუმიძე	2	ქარუმიძე	4
134.	ქოთიევი	2	ქოთიევი	1
135.	ქისტაური	1	ქისტაური	1
136.	ქურთიმვილი	2	ქურთიმვილი	1
137.	ქალბაზოვი	1	ქალბაზოვი	1
138.	ქოქაშვილი	4	ქოქაშვილი	4

1	2	3	4	5
139.	ლუჭამვილი	19	ლუჭამვილი	28
140.	ყაიბულამვილი	7	ყაიბულამვილი	8
141.	ყარსელამვილი	1	ყარსელამვილი	5
142.	ყერამვილი	2	ყერამვილი	3
143.	ყარაულიმვილი	1	ყარაულიმვილი	1
144.	ყველამვილი	1	ყველამვილი	1
145.	შებაშიმვილი	1	შებაშიმვილი	1
146.	შოშიამვილი	60	შოშიამვილი	81
147.	შინჯიქამვილი	35	შინჯიქამვილი	54
148.	შპეგიმვილი	45	შპეგიმვილი	59
149.	ჩოხელი	1	ჩოხელი	1
150.	ჩინაშვილი	7	ჩინაშვილი	7
151.	ჩიგრეკამვილი	30	ჩიგრეკამვილი	46
152.	ჩიგიამვილი	16	ჩიგიამვილი	14
153.	ჩუბინიძე	8	ჩუბინიძე	11
154.	ცხვედაძე	1	ცხვედაძე	1
155.	ძამაშვილი	62	ძამაშვილი	73
156.	ძაგანამვილი	2	ძაგანამვილი	5
157.	ჯამასპამვილი	13	ჯამასპამვილი	12
158.	ჯერენამვილი	55	ჯერენამვილი	70



1	2	3	4	5
159.	ჯავახიმვილი	5	ჯავახიმვილი	9 ეროვნული სამართლის
160.	ჯიქიძე	2	ჯიქიძე	სახელმწიფო
161.	ჯამალაშვილი	4	ჯამალაშვილი	6
162.	ჯოხაძე	1	ჯოხაძე	1
163.	ჯაღათაშვილი	3	ჯაღათაშვილი	2
164.	ჯანდიერი	1	ჯანდიერი	1
165.	ჭრიკიმვილი	7	ჭრიკიმვილი	5
166.	ჭიჭიკოშვილი	5	ჭიჭიკოშვილი	7
167.	ჭიანაშვილი	1	ჭიანაშვილი	1
168.	ჭილაშვილი	17	ჭილაშვილი	20
169.	წილაური	3	წილაური	3
170.	ხელერიანი	1	ხელერიანი	1
171.	ხეციმვილი	7	ხეციმვილი	10
172.	ხახიაშვილი	32	ხახიაშვილი	41
173.	ხეცენაშვილი	10	ხეცენაშვილი	10
	1. გონაშვილი	1	1. ასათიანი	1
	2. გოდალაძე	1	2. ანასაშვილი	1
	3. გამბაროვი	2	3. ბელოძე	1
	4. ღელებაშვილი	1	4. ბიგანიშვილი	1
	5. თურქესტანიშვილი	1	5. ბაღაშვილი	1

1	2	3	4	5
	6. თეკურიძე	1	6. გომიბელიძე	1 გრიგორიანი
	7. ქეპრაძე	1	7. გილაძე	1 გილაძე
	8. ლალიძე	1	8. გორგაძე	1
	9. ლეჭავა	1	9. ელჩიშვილი	1
	10. ლილეაშვილი	1	10. ელოშვილი	1
	11. მომცემლიძე	1	11. ბითაშვილი	1
	12. მერაბოვი	1	12. თამაზაშვილი	1
	13. მჭედლიძე	1	13. თხელიძე	1
	14. მეტვრიშვილი	1	14. თარალიშვილი	1
	15. ნებიერიძე	1	15. იაშალაშვილი	1
	16. ნათინაძე	1	16. კაკაბაძე	1
	17. ნატროშვილი	1	17. კედაშვილი	1
	18. ნასიძე	1	18. კოხორეიძე	1
	19. ნაგიევი	1	19. კონტრიძე	1
	20. პაველინი	1	20. ლაბაძე	1
	21. რეხევიშვილი	1	21. მეტერნიშვილი	1
	22. სიდამონიძე	1	22. მიქელაძე	1
	23. სეხნიაშვილი	1	23. მავზარაშვილი	1
	24. სისაური	1	24. მღებრიშვილი	1
	25. ფოცხვერაშვილი	1	25. მარგაშვილი	1

1	2	3	4	5
	26. ყურფარაშვილი	1	26. ნანდომეული	1 კართველი
	27. ჩილინგაროვი	1	27. პეტრიაშვილი	1 ბეჭედისტი
			28. სამიანი	1
			29. ტაკაშვილი	1
			30. ტორაძე	1
			31. უგრეხელიძე	1
			32. ქევხიშვილი	1
			33. ქავთარაძე	1
			34. ღლონტი	1
			35. ყარყარაშვილი	1
			36. შერმადინი	1
			37. შიომეული	1
			38. ჩიკვილაძე	1
			39. ჩაფიძე	1
			40. ჩაჩავა	1
			41. ჩხიტენიძე	1
			42. ცხადიაშვილი	1
			43. ჯაში	1
			44. ხაგიაშვილი	1

თხუთმეტწლიანი (1990-2005 წწ.) შეაღედის განვითარების შეჯერების შედეგად გთავაზობთ შემდეგ ცხრილს:

1990 წელი	2005 წელი
ორივე წლის მონაცემებში არსებული გვარები (კომლების მითითებით)	გვარები, რომლებიც 2005 წლის მონაცემებში არსებული გვარები (კომლების მითითებით)
172 (1852)	27 (27)
სულ: 199 გვარი (1879 კომლი)	სულ: 216 გვარი (2410 კომლი)

2005 წლის მონაცემებით სოფელ მარგელიდან საბლვარგარეთ სამუშაოდ წასულია 92 ადამიანი.

ამ ორივე (1990 და 2005 წ.) მონაცემებით 50-ს და მეტ ოჯახს მოიცავს შემდეგი გვარები: 1) ეპიფაშვილი (81-94), 2) ოსიაშვილი (52-75), 3) სალთხუციშვილი (90-118), 4) შოშიაშვილი (60-81), 5) ძამაშვილი (62-73), 6) ჯერენაშვილი (55-70); მათ რიცხვს მხოლოდ 2005 წლის მონაცემებით ემატება: 1) გუგუნაშვილი (34-50), 2) ოშაკაშვილი (46-58), 3) შეეგიშვილი (45-59).

უნდა აღინიშნოს, რომ სოფელ მარგელ მარტინე არა მარტო გვართა რაოდენობა, არამედ თითქმის ყველა გვარში ოჯახების რიცხვი თანდათან იზრდება. მოსახლეობის ზრდის ასეთი ტემპი ქვეყნის მძიმე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების, თბილისის მძიმე ურბანიზაციული პროცესების ფონზე სოფელ მარგელისათვის სამაყოდ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ ყოველივეს დედაქალაქთან სიახლოეს ანბირობებს. ამავე დროს, სოფელი მარგელი ეთნიკურად წმინდად ქართულია.

THE POPULATION OF MARTKOPI VILLAGE

In the article we discuss the rather growth and development of Martkopi population. On the basis of clearing up the statistics by historical method we have studied necessary conditions of settling and living of the population.

The development of the population of Martkopi is closely connected with the foundation there of Daity Monastery by Saint Anton. Later Rustavi - Martkopi eparchy, fighting history.

On the basis of the field ethnography material we have discussed the districts according to the ravines. It should be noted that settling of the population in Martkopi as well as in whole Georgia is of patronymic character. Separate patronymics incoming into the family and almost the whole families are compactedly settled in districts (sometaims by districts). In Martkopi such settlements are called "Budoba".

As far as possible we have compared the facts of census of the population held by temporal or by church departments (I quarter of the XVIII cent., 1801-1802, 1818, 1823, 1842, 1900, 2005) with the field ethnography. Geographical conditions (slopes of the hill) impede growing of the village to the north.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955 წ.
2. ბაგონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973 წ.
3. ჯავახიშვილი ივანე, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წ. I, 1967 წ.

4. ბოჭორიძე გიორგი, კახეთის აღწერა 1801-1802 წლებისა, "საქართველოს არქივი", წ. II, 1927 წ.
5. იოსელიანი პლატონ, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936 წ.
6. მათიაშვილი აკაკი, აკრიანი - მარტომყოფი – მარტყოფი - 4500, წ. I, II, 1998 წ.
7. მენაბე ლევან, ძველი ქართული მწერლობის კერები, 1980 წ.
8. ჯ. რუხაძე, ან. ლეკიაშვილი, ი. ჭყონია, სოფელი აკურა, 1964 წ.
9. სახლთხუციშვილი უშანგი, ადგილისდედა ანუ რას მოგვითხრობენ ტოპონიმები, I, 1997 წ.
10. საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1987 წ.
11. ილურიძე მარიამ, სოფელი მარტყოფი (განსახლების სტრუქტურა) 1998 წ.
12. ილურიძე მარიამ, გვარები და "ბუდობები" სოფელ მარტყოფში, 1998 წ.
13. Свод статистических данных о населения Закавказского края, извлеченных из населенных списков 1886 г., 1893 г.

საველე ეთნოგრაფიული მასალები:

1. ილურიძე მარიამ, მარტყოფის ეთნოგრაფიული მასალები, 1990 წ., რვ. № 1.
2. ილურიძე მარიამ, მარტყოფის ეთნოგრაფიული მასალები, 8. მათიაშვილის ხელნაწერი, სქემები, 1996 წ.
3. ილურიძე მარიამ, მარტყოფის ეთნოგრაფიული მასალები, 2005 წ.

აღმასანდერ პეტროლის ცნობები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის შესახებ

უცხოელი მოგზაურები უძველესი დროიდანვე დიდ ინტერესს იჩინდნენ საქართველოს მიმართ. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მკვეთრად მოიმატა გერმანელ მოგზაურთა რიცხვმა და ასე გრძელდებოდა მთელი XIX საუკუნის მანძილზე. არსებული ნამრომების ანალიზის საუძველებელზე აშკარად ჩანს, რომ მათი წყაროთმცოდნებითი მნიშვნელობა მოცულობისა და ინფორმაციის სისწორის თვალსაბრინისით, მკვეთრად განსხვავდება.

მოგზაურთა ცნობები მდიდარ და მრავალმხრივ მასალას შეიცავს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო ისტორიულ-ეთნოგრაფიული, არამედ სხვა საკითხების კვლევისთვისაც. მოგზაურები სწავლობდნენ აგრეთვე საქართველოს გეოგრაფიას, გეოლოგიას, მინერალოგიას, მეცნიეროლოგიას, ბიოლოგიას, ლინგვისტიკას, და სხვა. ზოგიერთი მოგზაურისთვის ეს უკანასკნელი დარგები კვლევის ძირითადი სფეროებიც კი იყო.

უცხოელ მოგზაურთა იმ ჯგუფს, რომელთაც მეცნიერული მიზნები ამოძრავებდათ, მიეკუთვნება გერმანელი ალექსანდრე პეტცოლდი.

გეორგ პარელ ალექსანდრე პეტცოლდი დაიბადა 1810 წელს ქ. დორებდენში. იგი იყო მრავალმხრივ განათლებული პიროვნება – ექიმი, ქიმიკოსი, აგრონომი. 1846 წელს მცირე ხნით კითხულობდა ლექციებს სოფლის მეურნეობისა და ტექნოლოგიის დარგში დერპტის (ტარტუს) უნივერსიტეტში. მეცნიერული მიზნით მან მთელი ევროპა შემოიარა. 1871 წელს ა. პეტცოლდი, რუსეთში ოცდახუთწლიანი საქმიანობის შემდეგ, გერმანიაში დაბრუნდა.

ა. პეტცოლდმა კავკასიის მეფისნაცვლის დავალებით 1863-64 წლებში კავკასიაში კერძოდ საქართველოშიც



იმოგზაურა. მისი მთავარი მიზანი იყო კავკასიის საქართველო-სამეცნიერო თვალსაზრისით შესწავლა. ამასთანავე, ის იკვლევდა აღნიშნული რეგიონის გეოგრაფიულ პირობებს. ა. პეტუოლდი თვითონ იყო საქართველოს მრავალ კუთხეში – ქართლში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში და მან, ძირითადად, უმუალოდ თავისი დაკვირვებები აღწერა, თუმცა მის ნაშრომში სხვა გერმანელი ავტორების ცნობებიც მრავლად არის დამოწმებული.

ა. პეტუოლდის ნაშრომის ზუსტი სათაურია: „კავკასია ანუ ნატურ-ისტორიული, ასევე სასოფლო-სამეცნიერო გამოკვლევა“, I-II ტომი, ნაშრომი გამოქვეყნებულია 1866-67 წლებში ქ. ლაიფციგში. (6). ჩვენ მიმოვიხილავთ აღნიშნული წიგნის II ტომის იმ ნაწილს, რომელიც საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებს ეხება.

ა. პეტუოლდის ზემოთხსენებული ნაშრომი არის გერმანულ ენაზე არსებული ერთ-ერთი სრული გამოკვლევა XIX საუკუნის კავკასიის შესახებ. იგი იყენებს XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის პირველ ნახევარში გერმანულ ენაზე გამოქვეყნებულ კავკასიონლოგიურ ლიტერატურას, კერძოდ, ი. გიულდენშტედტის, ი. პერბერის, ი. ლერხის, ს. გმელინის, პ. პალასის, კ. კოხის, ე. აიძვალდის, ფ. ბოდენშტედტის, ა. პაქსტაუბენის და სხვათა ნაშრომებს. აეტორი მიმოხილავს ამ ლიტერატურას, შეაქვემდებარებს თავისი დაკვირვებები და ცალკეული კორექტივები. აქ იშვიათი გულმოდგინებითა და სისრულით არის აღწერილი ყველა ადგილი და მხარე, სადაც კი მოგზაური ყოფილა. იგი ყურადღებას უთმობს როგორც მეურნეობას, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას. ნაშრომში დიდი ადგილი უჭირავს შესაბამისი მხარეების ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მიმოხილვას, მოცემულია ქართველ მეფეთა ქრონოლოგია. ნაშრომში კარგად არის აღწერილი კავკასიის ქალაქები, მათ შორის თბილისი, რომლის აღწერა თითქმის დამოუკიდებელი იყო.



ლი გამოკვლევაა, რომელიც სტატისტიკურ მონაცემებსაც უყრდნობა. ძირითადად ყურადღება გამახვილებულია ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის შესახებ, სადაც ჩვენთვის საინტერესო მრავალი ცნობა არის წარმოდგენილი.

ახლდა და ეხმარებოდა თუ არა ა. პეტცოლდს ვინმე თავისი მოგზაურობის დროს, ამის შესახებ წიგნის შესავალში არაუერია თქმული, მხოლოდ ტექსტში არის რამდენიმე მინიშნება, რომ მოგზაურს ხმირად თან ახლდა ერთი ან რამდენიმე პიროვნება. ასე, მაგალითად, ის წერს: „ჩვეულებისამებრ დავლიერ თავადის საღლეგრძელო (იგულისხმება თავადი როსტომ წერეთელი – გ. ც.) შემდეგ მან ოთხი ჭიქით შესვა ჩემი და ჩემი ოთხი თანმხლები პირის საღლეგრძელო“¹ უცნობია ვინ იყო ეს ოთხი ადამიანი და რა მოვალეობა ეკისრებოდათ მათ. ვფიქრობთ, ერთ-ერთი თარჯიმანი იქნებოდა, რადგან ტექსტში არის ამის შესახებ რამდენიმე მინიშნება: 1) როცა ავგორი ეხება ტვირთის გადაზიდვის საშუალებებს, აღნიშნავს, რომ ყველაფერ ამაზე მას დეტალურად საუბარი არ შეუძლია, რადგან როცა, ამ სახის ტრანსპორტს ხვდებოდა, ყოველთვის თარჯიმანის გარეშე ყოფილა. 2) ზოგჯერ იმერულად ნათქვამი ფრაგა ქართველისათვის გაუგებარი ან ძნელად გასაგებია, მიუხედავად იმისა, რომ ეს მისი მშობლიური ენაა. „ქართულ ენაში ძლიერი ჩემი თარჯიმნები ასე ამბობდნენ: ამ კაცს ვერაფერს გაუგებო“. 3) თარჯიმნები მეგრელებთან მეტ გაუგებრობას აწყდებოდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ მოგზაურთა ნაშრომებში მოცემული მასალის სანდოობა ბევრად იყო დამოკიდებული ამ თარჯიმანთა ცოდნასა და კუთილსინდისიერებაზე.

¹ ტექსტი გერმანულიდან ქართულად ყველგან თარგმნილია სტატიის ავტორის მიერ.



ა. პეტცოლდი თავის ნაშრომებში შემდეგ ქართველი დურ ტომებს (Gruzinisch-georgische Volksstamm) გამოყოფს: ქართველები, იმერლები, მეგრელები და გურულები. რაც შეეხება სვანებს, ხევსურებს, თუშებს და ფშავლებს, მოსახლეობის სიმცირის გამო, მათ ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნევს, მაგრამ აქვე მიუთითებს, რომ ამ უკანასკნელთა მიმართ ეთნოგრაფიული ინტერესის უგველებელყოფა არ შეიძლება, თუმცა მათ შესახებ ნაშრომში მცირე ცნობებს ვხვდებით.

მოგბაური ამიერკავკასიას ორ ნაწილად ყოფს: დასავლეთად და აღმოსავლეთად. თვითონვე მიუთითებს და მთელ ტექსტსაც ეს კვალი ამჩნევია, რომ ის დასავლეთ ამიერკავკასიაში მდინარე რიონის მიმდებარე ტერიტორიას, აღმოსავლეთში კი – მდინარე მტკვრის გარშემო მდებარე ტერიტორიას გულისხმობს. მისივე შენიშვნით აღმოსავლეთს მდინარე არაგვის ტერიტორიებიც მიეკუთვნება, რადგან ისიც მტკვარს ერთვის. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მოგბაური მოიაზრებს აგრეთვე ე.წ. „დიდი კავკასიის“ ტერიტორიას. ამდენად, დასავლეთ ამიერკავკასიაში მას მხოლოდ დასავლეთ საქართველო აქვს გაიგივებული, აღმოსავლეთში კი აღმოსავლეთ საქართველოზე ბევრად ვრცელი ტერიტორია.

ა. პეტცოლდი ეხება მხოლოდ ამიერკავკასიის საზღვრებში მცხოვრებ ქართველებს და მიუთითებს, რომ ქართველები შავი ბლვის სანაპიროზე მეტობელი თურქების პროვინციაშიც ცხოვრობენ. როგორც აღვნიშნეთ, აფტორის მონაცემებით ქართველური ტომი რამდენიმე შტოსგან შედგება. ესენი არიან ქართველები (ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით – ა.პ., ავტორი აქ ქართველებს და მათთან ერთად კახელებსაც გულისხმობს – გ.ც.), იმერლები, მეგრელები და გურულები, რომლებიც ნაშრომში ცალ-ცალკე ხალხებად მოიაზრება, რაც არა მარტო ა. პეტცოლდის, არამედ XIX საუკუნის მრავალი მოგბაური-



სა თუ მეცნიერის ერთ-ერთ მთავარ ნაკლად ითვლებოდა, ისინი ქართველ ხალხს ერთიან ცნებად არ მიიჩნევენ. აქვე უნდა მივანიშნოთ, რომ ხშირ შემთხვევაში, ტერმინ „იმერეთში“ მთლიანად დასავლეთ საქართველოს გულისხმობენ.

გერმანელი მოგზაურის ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმ მასალას, რაც გვეხმარება საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესწავლაში. კერძოდ, აქ ვრცლადაა წარმოდგენილი ცალკეული მხარეების (რეგიონების) საზღვრები, სოფლების, ხევების, დიდი მდინარეებისა და მათი შენაკადების სახელწოდებები. ზოგიერთ შემთხვევაში, ისინი არასწორი ფორმით არის მოხსენიებული, მაგრამ უმეტესად მათი გამოცნობა ზუსტადაა შესაძლებელი. მხოლოდ ცალკეული გეოგრაფიული ტერმინი რჩება ბუნდოვანი.

საქართველოს ყველა მხარის განხილვისას, ა. პეტოლდი აღნიშნავს, რომ ეს არის ნაყოფიერი მხარე და გაკვირვებას ვერ მაღავს აქაური დაბალი ეკონომიკური მდგომარეობის გამო. გერმანელი მოგზაური კ. კოხი, ამ მხრივ, კახეთსა და გურიას გამოჰყოფს, (2, გვ. 66, ფრანგი ფაქტორის კი კახეთს). ა. პეტოლდი ეხება აგრეთვე მეურნეობის ცალკეულ დარგებს. მიწამოქმედებასთან, კერძოდ მემინდერეობასთან დაკავშირებით იგი დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის. განიხილავს მარცვლეულ კულტურებს – ხორბალს, სიმინდს, ჭვავს, ქერს, შვრიას, უეტვს დომს. აქვე წარმოადგენს ნიადაგის დამუშავებისა და მოსავლის აღების წესებს. ამ ნაწილში ავგორი ეხება სიმინდის დამუშავების დროს შრომის ორგანიზაციისა და ურთიერთდახმარების ფორმებს და აღნიშნავს, რომ ამ შრომაგევად საქმეს რამდენიმე ოჯახი კოლექტიურად ასრულებდა. ეს პროცესი ყოველთვის სიმღერის თანხლებით სრულდებოდა, რაც შრომას აადგილებდა. იშვიათად რომ ვინმეს მარტო ემუშავა ყანაში. აქვე მითითებულია,

რომ დასავლეთ საქართველოს ბარში ქალს ყანის სამუშაო
შაოების შესრულება არ უწევდა. სიმინდსაც კოლექტიუ-
რად ფშვნიდნენ. ავგორი სინანულით აღნიშნავს, რომ ეს
პროცესი აქ მექანიზმებული არ ყოფილ და საფშვნელი
მანქანები ამ რეგიონებში არ არსებობდა.

განიხილავს რა საქართველოში მევენახეობა-მეღვი-
ნეობის საკითხს, მოგბაური აღნიშნავს შემდეგს: „მრავა-
ლი საფუძველი არსებობს იმისთვის, რომლებიც გვაფიქ-
რებინებს, რომ აქ ვაგის ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი
სამშობლო მაინც უნდა ვეძიოთ“. მოგბაურის აზრით ცნო-
ბილი არაა, რომ ამიერკავკასიაში ვაგი რომელიმე ქეყ-
ნიდან შემოეფანოთ. აქვე დასძენს, რომ საქართველო,
განსაკუთრებით კი კოლხეთის დაბლობი, ცნობილია რო-
გორც ვაგის ქვეყანა, ვაგის სამშობლო უძველესი დროი-
დან. უფიქრობთ, ქართული ეთნოლოგიური მეცნიერები-
სათვის ევროპელი მოგბაურის ასეთ აღიარებას და ამ
ცნობას, რომელიც XIX საუკუნის შუა ხანებით თარიღდე-
ბა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უფრო, რომ
ევროპაში ეთნოლიგიის, როგორც მეცნიერების დარგის
ჩამოყალიბება სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება.

ა. პეტცოლდი განსაკუთრებით ხაგს უსვამს ქართუ-
ლი ვაგის ძირების სიდიდეს – სისქეს. მას თვითონ უნა-
ხავს ერთი ფუტი სისქის ვაგი, ამასთანავე მას მოპყავს
ერთი საინგერვალო ფაქტი, რომ იმერუთში (სამწევაროს
ავგორი წყაროს ვერ ასახელებს – გ. ც.). არსებობს კარი,
რომელიც მხოლოდ ორი ფიცრისგან შედგება, რომლებიც
ვაგის ძირისგანაა გაკეთებული.

მოგბაური მკვეთრად განსხვავებს და დეტალურად
აღწერს მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებულ
დასავლერ და აღმოსავლერ წეს-ჩვეულებებს, მათ მიერ
დამზადებულ ღვინოს. განსაკუთრებით საუბრობს კახური
ღვინის მაღალ ხარისხზე, თუმცა აქვე გაკვირვებას გა-
მოთქვამს დასავლეთის ცედი ღვინოების გამო. კ. კოხის

მსგავსად (2) ისიც განასხვავებს დაბლარ და მაღლარ ნახს და ამ მხრივ საქმაოდ საინტერესო მასალასაც გუთავაშობს.

ავტორის ამრით, საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობას, მაშინდელი დონის მიუხედავად, მაინც დიდი მომავალი აქვს და ფიქრობს, რომ აქაური დვინით ვაჭრობა აღრე თუ გვიან კავკასიის ეკონომიკის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წყარო გახდება. გასული საუკუნის ასეთი ოპტიმიზმი დრევანდელ პირობებში ძალგე აქტუალურია.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანელი მეცნიერის აღიარებას, რომ ხილის სხვადასხვა სახეობა აქ ველურად იზრდება და კავკასიას ხილის უმეტესი ჯიშის სამშობლოდ მიიჩნევენ. ამ თვალსაზრისს გამოთქვამს ცნობილი ბოგანიკოსი და მოგბაური კარლ კოხი. ის წერს: „მიუხედავად იმისა, რომ მცირე აგის ჩრდილოეთ სანაპირო და ამიერკავკასიის თბილი ქვეყნები, განსაკუთრებით კი საქართველო, სამართლიანად ითვლება ხილის სამშობლოდ (ქლიავის გარდა), მეხილეობა აქ მაინც საოცრად დაბალ დონეზე დგას“ (2, გვ. 99-100).

გარდა ამისა, ა. პეტცოლდის წიგნში დაწვრილებით არის აღწერილი ნიადაგის დამუშავების, გამოყენებისა და მორწყვის ხალხური წესები, განხილულია ხალხური სატრანსპორტო საშუალებები.

იმერეთში ყოფნის დროს მოგბაურს ყურადღება საცხოვრებელ სახლებზე გაუმახვილებია. პირველ რიგში, ის აღნიშნავს, რომ იმერული და ქართლური სახლები ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებულია. ქართლელის სახლი უმეტესად მიწურია და მას ბრტყელი სახურავი აქვს. იმერული სახლი კი მიწის ზევითაა და დახრილი, სწორ-კუთხოვანი სახურავი აქვს. ქართლელი სახლის შენების დროს ხის მასალას ხელმომჭირნედ იყენებს, ის უმეტესად მიწას და ქვას ხმარობს, იმერული სახლი კი

მთლიანად ხისაა, რომლის გარეგნული იერი, ასევე, შემდგარი მოწყობილობა, სხვადასხვაგავარია. ავტორი დაწვრილებით აღწერს რამდენიმე სახლის ინტერიერს. მას ზოგიერთი სახლის გეგმაც კი აქვს წარმოდგენილი. იმერეთში ხშირია აივნიანი სახლები, რომელთა შენებაში გამოვლენილია აქაურ ხელოსანთა ხელოვნება, რადგანაც სახლის წინა სვეტები, ასევე მოაჯირი, ხის ჩუქურთმებითაა შემკული, ზოგჯერ აქა-იქ მოხატულია კიდეც. სახლები უმეტესად ბოძებზე დგას და ქვევით აღგილი თავისუფალია, თუმცა მოგბაურს ისეთი სახლებიც შეხვედრია, რომლებშიც ქვემო სართულიც ამოშენებული ყოფილა, თუმცა მას საცხოვრებლად არ იყენებდნენ.

ა. პეტულლდი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე სამეურნეო ნაგებობების მრავალფეროვნებაზე. აქვე აღნიშნავს, რომ ხანდახან პირუტყვი იმავე შენობაში ჰყავთ, რომელშიც გლეხის ოჯახი ცხოვრობს, მაგალითად საცხოვრებლის ქვემო სართულში ბოგჯერ პირუტყვის სადგომს უბრალო ბლუდე გამოჰყოფს ადამიანთა საცხოვრებლისგან, ავტორი ამ ტიპის სახლის გეგმასაც კი წარმოადგენს (6, II, გვ. 24).

ბოგიერთ ოჯახს ცალკე აქვს დვინის დაყენებისთვის განკუთვნილი შენობები, რომლებიც, ავტორის ცნობით, ჩვეულებრივი ან ცოცხალი ღობითაა შემოვლებული.

მოგბაურის ყურადღებას იყიდოს ის ფაქტი, რომ დასავლური და აღმოსავლური (იმერული და ქართლური) ეზოების განლაგება და შესაბამისად, სოფლის დასახლების სტრუქტურაც განსხვავებულია. ქართლური სახლებისა და ეზოების ერთიანობა მჭიდრო, კომპაქტურად დასახლებულ სოფელს ქმნის, იმერული სახლებისა და ეზოების დაშორება კი ჩვეულებრივი მოვლენაა. თითოეულ ეზოს აქვს სახნავი და დამუშავებული მიწის ნაკვეთი, რითაც გამოწვეულია ის, რომ ასეთი ეზოებისაგან შემდგარ სოფელს დიდი ტერიტორია უჭირავს. თუმცა მოგბაურს

ისიც შეუნიშნავს, რომ იმერეთის მთიან ადგილებში კატალიტიკური თავდასხმების გამო, იძულებული ყოფილან იზოლირებულად ცხოვრების ტრადიცია დაეგმოთ და კომპაქტურად დასახლებულიყვნენ.

ა. პეტოლდის ცნობით ქართველი კაცის ძირითადი გასართობი სიმღერა და ცეკვა არის. იგი გამორჩეულად მიუთითებს იმერელთა მუსიკალური სმენის შესახებ და აღნიშნავს, რომ მათ აქვთ სიმღერის განსაკუთრებული ნიჭი და ამ ვირგუობულობას ისინი ერთ, ორ ან მრავალ-ხმიან სიმღერებში ამჟღავნებენ. მოგზაური ამ საკითხს მაშინაც ეხება, როცა ნადისა და შრომის სიმღერების საკითხს განიხილავს. იმ დროს, როცა ის იმერეთში ნადის მეშვეობით სიმინდის ყანის თოხნას შეესწრო, ირგვლივ მუშების სიმღერა ისმოდა, რადგან ეს სამუშაო იმერელი წესის მიხედვით, სიმღერის თანხლებით სრულდებოდა. მოგზაურის ცნობით, მუშები ხშირად 20, 30 ან უფრო მეტიც თოხნას ერთი ნაპირიდან იწყებენ და მეორე ნაპირისკენ მიდიან და თან მდერიან. ეს სიმღერები მრავალ-ხმიანია, რომელსაც იწყებს ერთი, შემდეგ მეორე აპყვება, მერე მესამე და ა.შ., რაც მისი აზრით, დიდებული მოსასმენი ყოფილა. სიმღერის შინაარსი ძალიან მარგივია, შეეხება თვით სამუშაოს და მის წინსვლას. მოგზაურს შეუმჩნევია, რომ რიგმი, როცა მუშები მეორე ნაპირს უახლოვდებოდნენ, თანდათან ჩქარდებოდა და რადგან ამ რიგმის მიხედვით მუშების მოძრაობაც იცვლებოდა, სამუშაოც ჩქარა სრულდებოდა. ასეა მანამ, სანამ ბოლომდე არ გავლენ, ბოლოს კი უცებ ჩერდებიან, შემდეგ მობრუნდებიან და იმავე სიმღერით იწყებენ მუშაობას. ასე გრძელდება, სანამ დღიური სამუშაო არ დამთავრდება. მოგზაური საოცრებად მიიჩნევს იმას, რომ მუშები ადრიანი დილიდან ვვიან დამემდე შეუწყვეტლივ მღერიან, თითქოს სიმღერა იმერელთა მეორე ბუნება გამხდარა (6, II გვ. 302).

ა. პეტცოლდი ეხება ქართველი ხალხის საქმიანობას და საკმაოდ აკრიტიკებს არისტოკრატ ქართველებს, რომლებიც არც სამხედრო და არც სამოქალაქო სამსახურში არიან. ისინი უმეტეს დროს თავიანთ სასახლეში უსაქმოდ ატარებენ. იშვიათია მემთხვევები, რომ ქართველი თავაღი თავისი მეურნეობისათვის თვითონ ზრუნავდეს. ამასთან დაკავშირებით იგივე ცნობებს გვაწვდის XX საუკუნის დასაწყისში ა. ლაისგი სტატიაში „ქართული ოჯახი“. იგი მიუთითებს, რომ ქართველ არისტოკრატთა მეურნეობა მთლიანად „ბიჭის“ (მოსამსახურე ბიჭის) იმედზეა“ (3).

მისასალმებელია, რომ მოგზაური ქართველს ჭკვიან და ნიჭიერ ადამიანად მიიჩნევს. მისი აზრით, ახალგაზრდობის და საერთოდ რიგითი ადამიანების აღმრდა, რეგიონში უყურადღებოდა მიგოვებული. მიუხედავად ამისა, ქართველს მშვენიერ ფიზიკურ მონაცემებთან ერთად ძლიერი გონიეროვი შესაძლებლობებიც გააჩნია, რომლებიც შემდგომ განვითარებას ელიან.

ა. პეტცოლდი გამორჩეულ ინტერესს იჩენს ბოგადად ქართველი ხალხის, კერძოდ კი ცალკეული მხარეების წარმომადგენელთა გარევნობის მიმართ, აღნიშნავს მათ დადებით და უარყოფით მხარეებს, კარგად ჩაცმისა და იარაღის გარებისადმი მათ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას. სანიმუშოდ მოვიგანთ ერთ ამონაწერს, რაც ქართველს და მის გარევნობას შეეხება: „ქართველი გარევნულად ძალიან წარმოსადეგია და, უდავოდ, ულამაზეს ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება. განად ის მაღალია და სიმეტრიული, აქვს სხეულის ნაზი ნაკვთები, მას აქვს ლამაზი ხელები, პატარა ფეხები, სწორი წელი, შავი თმა, მავი მოელვარე თვალები, შესანიშნავი კბილები და გრძელი, ხშირად მართლაც ძალიან დიდი ცხვირი, რომელიც, ისევე როგორც სახის მკაცრი ნაკვთები, ქართველის, განსაკუთრებით კი ქალების, სილამაზეს ოდნავ



ჩრდილს აყენებს. მე მეჩვენა ქართველი გოგონების ქალების დიდი მსგავსება ებრაელ ქალებთან. მამაკაცს აქვს კანისა და სახის ცოცხალი ფერი, ისეთი, როგორიც დიდი ხნით დია ცის ქვეშ მყოფი ან ღვინის მოყვარულთ აქვთ ხოლმე. ქალები თეთრი და წითელი ფერებით ძალიან იღებებიან. სხეულის მთელი აღნაგობა, ღარიბებითანაც კი კეთილშობილურია. თუ ქართველ გლეხს თავადის ტანსაცმელს ჩააცმევ, მას თავადისგან აღვილად ვერ გამოარჩევ. ქართველი თავისი ხასიათითაც საქებარია. ყველა, ვისაც ახლო ურთიერთობა ჰქონია მასთან, დამეთანხმება, რომ იგი თავისი რელიგიური რწმენის ერთგულია, ამასთანავე, ის ტოლერანტი, კეთილი, მამაცი, ცოტათი თავდაჭერილი, გელკეთილი, მხიარული და საზოგადოებისა და სტუმართმოყვარეა. მის ამ კარგ თვისებებში მალე დარწმუნდები. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ქართველს მიღრეკილება აქვს ტრაბახის, ფუფუნებისა და უზრუნველი ცხოვრებისადმი, ხმაურისა და ნადიმისადმი, უდარდელობისა და სიბარმაცისადმი“ (6, II, გვ. 25-26).

ეხება რა ქართველი ქალის მდგომარეობას, გერმანელი მოგბაური, ძირითადად მაშინდელ სურათს აღწერს. ასე მაგალითად, ის წერს: „სახლის შიდა მოწყობილობა და მასში მცხოვრები ოჯახი წმინდაა. უცხოს ნება არა აქვს შიგნით შევიდეს. მიუხედავად უდიდესი სტუმართმოყვარეობისა, ქალები უცხოსთან უკან იხევენ და შეიძლება მხოლოდ ოჯახის უფროს მამაკაცს ესაუბრო“. ა. პეტცოლდის აზრით, ამ ტრადიციას, როგორც „საერთო აღმოსავლურს“ კავკასიის სხვა ხალხებთან ერთად ქართველიც ინარჩუნებს. მხოლოდ იმ არისტოკრატ ქართველებთან, რომლებიც ევროპულ განათლებას ეგიარნენ, შეიძლება უცნობთან ოჯახის წევრი ქალებიც ვიხილოთ.

როგორც წესი, ქართველი არის მხიარული და საზოგადოების მოყვარული, მას იბიდავს ხმაური და ქეიფი, მუსიკა – სიმღერა და ცეკვა. ქართველ გლეხს გართობი-



სათვის დრო თითქმის არ რჩება. ასეთ გასართობ პლატფორმა უმეტესად ქალაქში მცხოვრები მამაკაცები დადიან. აეტორის აზრით აღმოსავლური ჩეეულებაა, რომ მამაკაცები და ქალები განცალკევებით ეძებენ თავიანთ გასართობს.

ა. პეტცოლდი ყოველთვის განსაკუთრებულად უსვამს ხაბს იმას, რომ აღმოსავლეთი ბოგადად, კერძოდ კი ამიერკავკასიაც, ძალგე კონსერვატორულია და ამას მიუთითებს თითქმის ყველა საკითხის განხილვისას. ასე მაგ: იყენებს რა ს. გმელინის ვრცელ მასალას წყლის წისქვილის შესახებ, ახალს არაფერს უმატებს და შენიშნავს რომ ს. გმელინმა ასი წლის წინათ იმოგზაურა კავკასიაში, ის დარწმუნებულია, რომ ეს მოწყობილობა დღესაც ძველი, აღრინდელი სახით იქნება წარმოდგენილი.

იმერეთის თავად-აზნაურთა განათლების დონის დახასიათებისას ა. პეტცოლდი იყენებს ე. აიპვალდის ცნობას, რომელმაც აქ მასზე 40 წლის წინათ იმოგზაურა, რომ აღრე არცერთ თავადს არ შეეძლო წერა-კითხვა, მათ ეს სირცხვილადაც კი მიაჩნდათ. მოგზაური თვლის, რომ ამ ორმოცი წლის განმავლობაში, ამ მხრივ, აქ უკათესობა თითქმის არ შეინიშნება. ყოველივე ზემოთქმულს იგი აღმოსავლეთის კონსერვატორულობით ხსნის.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ა. პეტცოლდის ნაშრომი მრავალ საყურადღებო საკითხს შეიცავს, რაც მომავალი თარგმნისა და კვლევის ობიექტს წარმოადგენს

ისევე, როგორც სხვა უცხოელი მოგზაურები, ა. პეტცოლდიც თავს ვერ აღწევს ტენდენციურობას, რომელსაც ისინი იჩენდნენ ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების მიმართ. ყველაფერ კავკასიურს ევროპულს ადარებდნენ და აკრიტიკებდნენ, მაგრამ ეს არ ამცირებს მათი ცნობების სანდოობას. ამასთანავე, ისტორიულ და ეთნოგრაფიულ წყაროებთან შედარების საფუძველზე, შესაძლებელია მათი შემოწმება.

ა. პეტცოლდმა კავკასიის მეფისნაცვლის დავალენით იმოგზაურა, რაც მკვეთრად არის ასახული მის ნაშრომში და იგი გარევეული ტენდენციურობით ხასიათდება.

ა. პეტცოლდის ნაშრომში წარმოდგენილი ბოგიერთი საკითხის შესახებ შესაძლოა ბევრი წყარო და მასალა მოგვეპოვებოდა, მაგრამ აქ მაინც შეიძლება საკმაო სიახლის პოვნა და მეცნიერული მიზნებისათვის მათი გამოყენება. პირველ რიგში, ეს ნაშრომი არის ისტორიული და ეთნოგრაფიული წყარო. აქ მოყვანილი ეთნოგრაფიული მასალა განსაკუთრებულ ყურადღებას დღევანდელ პირობებში იქცევს. იგი XIX საუკუნის 60-იანი წლების კავკასიის, კერძოდ საქართველოს შესახებ, ერთ-ერთი სრული ნაშრომია, რაც კი გერმანულენოვან ლიტერატურაში მოგვეპოვება. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს თვით ა. პეტცოლდის ნაშრომი და აგრეთვე თანამედროვე გერმანელი მეცნიერების თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ გერმანელ მოგზაურთა ნაშრომების ხელმეორედ გამოქვეყნება აუცილებელია (7). თუ გერმანელთათვის ასე მნიშვნელოვანია ამ წიგნის და საერთოდ თითქმის ყველა ცნობილი მოგზაურის ნაშრომის ხელმეორედ გამოცემა, მით უფრო საშუალია ჩვენთვის მათი თარგმნა და კომენტირება.

GULNARA ZEZCHLADSE

BERICHTE VON ALEXANDER PETZOLDT ÜBER GEORGIEN

Deutsch-georgische Beziehungen zur Erforschung des Kaukasus (nämlich von Georgien) haben eine wesentlich ältere Tradition. 1767 hatte die Monarchin Katharina II den Befehl gegeben, das ganze Russische Reich von Mitgliedern der Petersburger Akademie bereisen und beschreiben zu lassen. Auch viele deutsche Wissenschaftler waren dem Ruf der Akademie gefolgt. Attraktiv war das großzügige Angebot der zaristischen Regierung zur Erforschung unbekannter Gebiete.

Eine Schlüsselstellung bei der Erforschung des Kaukasus erlangte die 1802 wiedereröffnete Universität Dorpat, das heutige Tartu, an der die Wissenschaftler wie Fr. Parrot, M. Engelhart, H. Abich, A. Petzoldt u.a. wirkten.

Der vielseitige Arzt, Chemiker und Agronom Georg Paul Alexander Petzoldt wurde 1810 in Dresden geboren. 1846 las A. Petzoldt kurze Zeit Landwirtschaft und Technologie an der Universität Tartu. Lange wissenschaftliche Studienreisen führten ihn durch ganz Europa.

Auf Wunsch des russischen Statthalters von Kaukasien, Großfürst Michail Nikolaevič, hielt sich A. Retzoldt zur wissenschaftlichen Untersuchung auf, wohin ihn immer Neugier und Wissbegier mächtig gezogen hatte.

A. Petzoldt durchreiste in den Jahren 1863 und 1864 den Kaukasus, nach den verschiedensten Richtungen und teilte in seinem Werk "Der Kaukasus: Eine naturhistorische so wie land-und volkswirtschaftliche Studie" die Resultate seiner Beobachtungen mit.

A. Petzoldts Werk spiegelt die Vielseitigkeit des Forschers wieder, der sich nicht nur der Botanik und Geographie widmete, sondern auch ethnologische, historische und kulturgeschichtliche Informationen sammelte.

Der Reisebericht von A. Petzoldt zählt zu den klassischen Werken deutscher Reiseforschung der zweiten Hälfte des 19. Jahrhunderts.

Erforscht wurden vor allem die Georgier, eines der Hauptvölker des Kaukasus, die aber trotz aller Zeiträume ihre nationale Eigenart in Sprache und Kultur bis in unsere Tage weitgehend bewahrt haben.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ქაქ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. I, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1987.
2. ქ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. მამაცაშვილმა, “მეცნიერება”, თბილისი, 1981.
3. ა. ლაისტი, ქართული ოჯახი, გამ. “ივერია”, 1905 წ. 106.
4. М. А. Попиевков Европейские путешественники по Кавказу 1800-1830, Тбилиси, 1946.
5. E. Eichwald, Reise auf dem Caspischen Meere und in Kaukasus, unternommen in den Jahren 1825-26, B. I-II, Stuttgart und Berlin, 1834-1838.
6. A. Petzoldt, Der Kaukasus, Eine naturhistorische sorvis land- und volkswithschagliche studie, ausgeföhrt im rahre 1863 und 1864, Lapztig, 1866-1867.
7. Reisen im Kaukasus, Berichte aus dem 19. Jahrhundert, Herausgegeben und mit linem Vorwort versehen von J. Breuste und B. Malich, Leipzig, 1987.

ბიურის ღუღეშაური

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
 წვლილი ჩრდილო კავკასიის ხალხებისათვის
 სამეცნიერო კაღრების მომზადებაში**

ცნობილია, რომ ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების მრავალმხრივი ურთიერთობა შორეულ წარსულში იღებს სათავეს. ეს კავშირი ამ ხალხთა ყოფის განუყოფელი ნაწილი იყო. ქართველი კულტურა ოდითგანვე ცხოველმყოფელ გავლენას ახდენდა მეზობელი ჩრდილოკავკასიელი ხალხების საზოგადოებრივი და კულტურული განვითარების პროცესზე. ამ პრობლემებს განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი როგორც ქართველი, ისე ჩრდილოკავკასიელ საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა ნაშრომებში, მაგრამ მათი სრულად ამსახველი გამოკვლევები ჯერ არ გაგვაჩნია.

ბუნებრივია, ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების ისტორიული ვითარების კვალობაზე მათი ურთიერთობაც სხვადასხვა ღონებები იღვა და გამოვლენის ფორმების შესაბამისად განსხვავებული იყო. ამ ურთიერთობათა შინაარსი და ფორმები, მათი შემდგომი ბედიც დამოკიდებული იყო მრავალ ფაქტორზე, მათ შორის სამიმოსვლო გზებისა და ბილიკების არსებობაზე. გზები სათავეებს იღებდნენ ამიერკავკასიაში, მათ შორის პირველი რიგში საქართველოში, კვეთდნენ კავკასიონის ქედს რამდენიმე მიმართულებით სხვადასხვა გადასასვლელებისა და უღელტეხილების მემვეობით. ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების დამაკავშირებელ ამ გზა-ბილიკების შესახებ კარგად არის ცნობილი XIX საუკუნეებულ. ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების ურთიერთობა (ეკონომიკური, კულტურული) ამ საუღელტეხილო გზებით ხორციელდებოდა. განსაკუთრებული როლი ამ მხრივ არაგვის ანუ საქართველოს სამხედრო გზას ენიჭებოდა.

ბოლა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ძირითადი პრინციპია იყო. ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ღვაწლი ჩრდილო კავკასიის ხალხებისთვის სამეცნიერო კადრების მომზადებაში. ცნობილია, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რიგით მესამე (უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის (1919წ) და ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის (1928წ) – შემდეგ, რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებს შორის შეიქმნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1941 წლის 14 იანვრის დადგენილების საფუძველზე, ამავე წლის 10 თებერვალს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, აარსებდა რა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას, თავისი 1941 წლის 10 თებერვლის № 183 დადგენილებაში მიუთითებდა იმ სასიკეთო წინამდლვრების შესახებ, რომელთაც განაპირობეს აკადემიის გახსნის შესაძლებლობა და აუცილებლობა. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში შექმნილი იყო სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა ფართო ქსელი და მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცნიერ-მუშაკთა მაღალკვალიფიციური კადრები. გამომდინარე აქედან, მხედველობაში დებულობდა რა საქართველოში სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის შემდგომი განვითარების ინგერებებს და ითვალისწინებდა რა რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა ხელმძღვანელობის გაერთინებას ერთიან ხელმძღვანელ ცენტრში, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ დაარსა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია და მას გადასცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ყველა დაწესებულება, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, რომელიც საქართველოს განათლების სახალხო კომისარიაგის გამგებლობაში იმყოფებოდა, აგრეთვე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლო-

გიის ინსტიტუტი, ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, ფსიქოლოგიის ის ლაბორატორია და ყოფილი ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორია (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური არქივი, 1974 წ. საქმე № 11, ფონდი № 1, ფურცელი 9).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია მკვიდრ ნიადაგზე აღმოცენდა. იგი მომზადებული იყო იმ დიდი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცვლილებებით, რომელიც რესპუბლიკაში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ცნობილია ისიც, რომ ჯერ კიდევ 1917 წლიდან არსებობდა და ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას აწარმოებდა აკადემიის პირველი დაწესებულება – კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი. მას 1925 წლიდან უფრო გაუფართოვდა ასპარეზი და 1931 წლამდე, კიდრე გარდაიქმნებოდა კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტად, იგი ფაქტიურად ითვლებოდა „აკადემიის ფილიალად კავკასიაში“. 1933 წლის 5 ნოემბერს შეიქმნა საქართველოს განყოფილება – ამიერკავკასიის ფილიალის განყოფილება შემდეგი მძღავრიად კითარდება. იგი ამყარებს მჭიდრო კავშირებს რესპუბლიკის სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებთან. იზიდავს მაღალ-კვალიფიციურ სამეცნიერო კადრებს, იზრდება მისი შემოქმედებითი პოტენციალი და ავტორიტეტი საკავშირო აკადემიებსა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის. ამან კი განაპირობა ის, რომ დღის წესრიგში დადგა საქართველოს ფილიალიდან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალად გარდაქმნის საკითხი, რაც განხორციელებული იქნა 1935 წლის 23 მარტიდან, მას შემდეგ, რაც სადირექტივო ორგანოებმა 1935 წ. 15 მარტს მიიღეს სათანადო გადაწყვეტილება.

1941 წლის თებერვალში კი, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, საქართველოს ფილიალისა და თბილისის სა-

ხელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბაზაზე შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებში დაიწყო სამეცნიერო კაღრების ინტენსიური მომზადება არა მარტო რესპუბლიკისათვის, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქებისათვის, უპირველეს ყოვლისა, ჰუმანიგარული მეცნიერების დარგში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა გადაიქცა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთათვის ჰუმანიგარული მეცნიერების – ენათმეცნიერების, ფოლკლორისტების, ლიტერატურისმცოდნების, ისტორიკოსების, არქეოლოგების, ეთნოგრაფებისა და სხვა დარგების სპეციალისტების მომზადების სამჭედლოდ. ამას ემატება ისიც, რომ სპეციალისტების დიდი ნაწილი მეცნიერების საუკუნეებს ეუფლებიან რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებში მაძიებლობის გზითაც. საქართველოს აკადემიამ არა მარტო კარი გაუღო ჩრდილოკავკასიელი ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ხალგაბრდებს, არამედ, ამასთან ერთად გაშალა ფართო მეცნიერული მუშაობა ამ ხალხების ისტორიისა და კულტურის შესასწავლად. თავის მხრივ ჩრდილოკავკასიის ხალხების უმრავლესობა, რომელთაც მეცნიერული წრთობა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მიიღეს, იმსკეალებიან საქართველოს ისტორიისა და კულტურის ღრმა პატივისცემით და თავისი ხალხის ისტორიის, ლიტერატურისა და ყოფის შესასწავლასთან ერთად სწავლობენ და თავიანთ სამეცნიერო გამოკვლევებში აშექებენ საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ყოფის საკითხებს. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ამ ხალხების ისტორიისა და კულტურის ცოდნის გარეშე არ შეიძლება ვილაპარაკოთ ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების იმ უძ-

ველეს კეთილმებობლურ დამოკიდებულებაზე და კულტურულ ზეგავლენაზე, რომელიც არსებობდა და სრულიად ახალი ელფერი და ქღერადობა შეიძინა ჩვენს ეპოქაში.

ჩვენ ამ სტატიაში მიზნად არ ვისახავთ (და, ეს შეუძლებელიცაა) სრული სურათი წარმოვადგინოთ იმ წვლილზე, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ შეიგანა ჩრდილოკავკასიელი ხალხების სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში ეს ჩვენი შემდგომი კვლევის საგანია. ამიტომ შევაცდებით ჩრდილო კავკასიის ბოგიერთი ოლქის კონკრეტულ მაგალითზე რამდენადმე გავაშუქოთ ეს პროცესი.

ამჟამინდელი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ცენტრალურ არქივში ჩვენს მიერ შერჩევით მოკვლეულ იქნა ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების წარგზავნილთა 15 ეროვნების 110 პირადი საქმე რომელთაც გაიარეს საასპირანტო მომზადება, ან დისერტაციები დაიცვეს მაძიებლობის გზით მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის, ეკონომიკისა და სამართლის, ენათმეცნიერების, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში. ეს სამეცნიერო დაწესებულებები იმავლოთ გვევლინებიან კავკასიათმცოდნეობის ცენტრებადაც.

აღსანიშნავია, რომ აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებში დროთა განმავლობაში სულ უფრო იზრდებოდა ასპირანტებისა და მაძიებლების რიცხვი ჩრდილოკავკასიის რეგიონებიდან. აკადემიის ასპირანტურის დამთავრებისა და მაძიებლობის გზით საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვის შემდეგ ისინი ინტენსიურად სწავლობენ მშობლიური ხალხის ისტორიას, მათ ყოფასა და ფოლკლორს, იკვლევენ თავისი და ქართველი ხალხის ოდითგანვე მიმდინარე კულტურულ კავშირუ-

თიურთობის ფესვებსა და წანამძღვრებს. მათი საუკუნეების სო წარმომადგენლები ადგილებზე ეწევიან აქტიურ სამეცნიერო კვლევით მუშაობას, გვევლინებიან დგანან რა მეცნიერების მოწინავე პოზიციებზე მეცნიერების ორგანიზაციორებად. ზოგიერთი მათგანი დარჩა საქართველოში და გაშალა ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. მათ ერთ-ერთ წარმომადგენელზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

ბ. ჯიმოვი ერთ-ერთი აქტიური საზოგადო მოღვაწე გახდა ადილეს ოლქში. იგი დაიბადა 1929 წელს, ეროვნებით ადილელი, ხატაეუკაის საშუალო სკოლის დამთავრების შედეგ სწავლას აგრძელებს მაიკოპის პედ-სასწავლებელში, რომელსაც ამთავრებს 1948 წელს, 1948-1950 წწ. სწავლობდა მაიკოპის სამასწავლებლო ინსტიტუტში, ხოლო 1954-1957 წწ. დაუსწრებლად დაამთავრა კრასნოდარის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიული ფაკულტეტი. 1956 წ. დეკემბრიდან 1958 წ. აპრილამდე ხატაეუკაის შეიდწლიანი სკოლის დირექტორი იყო. შემაობდა ადილეის ოლქში რიგ საპასუხისმგებლო და ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 1960 წ. აგვისტოდან 1963 წ. ნოემბრამდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტია. მეცნიერულ ხელმძღვანელობას უწევდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი 8. ანჩაბაძე. 1963-1968 წწ. იყო ადილეის ოლქში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 1968 წ. აირჩიეს ადილეის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ისტორიის სექტორის გამგედ.

პროფ. ქ. სიხარულიძის ხელმძღვანელობით გაიარა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1959 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ადილეური ეპოსი ნართები და მისი გენებისი“. ფილოლგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ასკარ

მახმუდის ძე გადაგატლმა ამავე თემას მიუძღვნა თავისი დისერტაციაც. იგი არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის „ნართებზე“ გამოცემული აქვს 7 წიგნი. მუშაობდა აღიღეს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი იყო ფილოლ. მეცნ. კანდიდატი ნუს თურბუკის ძე გისევი (დაბად. 1935). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მან დაამთავრა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურა პროფ. გ. როგავას ხელმმთვანელობით, ხოლო 1969 წელს ამავე ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მან ამავე თემაზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურა დაამ-
თავრეს და იქვე დაიცვეს ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატის ხარისხი ადიდეს სხვა წარმომადგენლებმა –
ადიდეს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ღოცენ-
ტმა ბატირძი მახმუდის გე ბერსიონვამა (1971წ.), ამავე ინ-
სტიტუტის უფროსმა მასწავლებელმა (1959წ.) ყაბბეგ ლა-
ლუხოს ძე აუგლევმა (დაბ. 1930წ.), ყუბანის (ქ. კრასნოდა-
რის) სამედიცინო ინსტიტუტის რუსული ენის მასწავლე-
ბელმა ნინა მიშეოსტოს ასულმა ნაბოკოვამ (დაბ. 1930წ.),
მათი მეცნიერი ხელმძღვანელი იყო პროფ. გ. როგავა.
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერე-
ბის ინსტიტუტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, სა-
ქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების
ინსტიტუტში საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა ადიდეს
სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტე-
რატურის კათედრის მასწავლებელმა ასკარ აბუბოჩირო-
ვის ძე შაოვმა (დაბ. 1935წ.). აკადემიკოს გ. ციციშვილის
ხელმძღვანელობით მომზადდნენ და შოთა რუსთაველის
სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში დაიც-
ვეს საკანდიდატო დისერტაციები კურას ნუხის ასულმა პა-

რანუქმა (1984წ.), ლუბა გარუნის ასულმა პანეშმა (1968წ.), რუსლან გილიმოვის ძე მამიძმ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გ. ჩიგაიას ხელმძღვანელობით სამეცნიერო მომზადება გაიარეს და დისერტაციები დაიცვეს აღიღეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა, ამეამად 140 სამეცნიერო ნაშრომის ავტორმა, მუხრან ასლანის გე მერეტუკოვმა (1954წ.), აღიღეს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა აიდამირ ხუსენის ძე გაფესოვმა (1970წ.), ჩრდილო კავკასიის სახელმწიფო ხელოვნების მუშეუმის ფილიალის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა, ლიდა მახმუდის ასულმა სიუხოვამ (1982წ.).

იგანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის, გიორგი ჩებინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ინსტიტუტებში მომზადდა და 1990 წლამდე მბადდებოდნენ აღიღეს ავტონომიური ოლქის წარმომადგენლები. სწავლულებს, რომელთაც მიიღეს მეცნიერული წრთობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებში, დღესაც არ გაუწყვეტიათ სამეცნიერო კავშირურთიერთობა და ამჟამად არსებული ვითარების შესაძლებლობების ფარგლებში თავისი წვლილი შეაქვთ ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების ენის, ისტორიის, კოუისა და ფოლკლორის ერთობლივად კვლევის საქმეში.

როგორც ბემოთაც აღვნიშნეთ, ჩრდილოკავკასიის ხალხების ბოგიერთმა წარმომადგენელმა საქართველოში განათლების მიღებისა და სამეცნიერო სარბიელშე გამოსვლის შემდეგ სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი საქართველოს – ქართველ ხალხს. ამის ნათელი მაგალითია დარგოველი ალექსანდრე ამარის ძე მაპომეტოვის ცხოვრება და მოღვაწეობა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის უნიტეტი მეცნიერების ინსტიტუტთან მჭიდროდ არის დაკავშირებული დაღესტნური ენების დარგულისა და ლეგვიური ენების ცნობილი სპეციალისტი დარგული ა. მაპომეტოვი. იგი დაიბადა 1917 წელს დაღესტნის აულ კუბაჩში, ხელოსნის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1935 წელს შევიდა კიროვის სახელობის საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1940 წელს. 5 წელი მუშაობდა ინჟინერ-კონსტრუქტორად ჯერ ვორონეჟში (№ 16 ქარხანა), შემდეგ მოსკოვში (№ 23 ქარხანა). 1945 წლის დეკემბერში ინჟინერი ა. მაპომეტოვი ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1948 წელს. ბუნებრივია ვიკითხოთ, როგორ მოხდა ინჟინერი ენის ინსტიტუტის ასპირანტურაში? ამაზე ნათელ და ამომწურავ პასუხს იძლევა გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერის არნოლდ ჩიქობავას მიერ 1945 წლის 20 სექტემბერს ა. მაპომეტოვისათვის მიცემული დახასიათება, სადაც ვკითხულობთ: „ა. მაპომეტოვმა ამა წლის გაბაფებულზე მომმართა: ენაში მუშაობა მიზიდავს, კუბაჩურია ჩემი დედა-ენა, ენათმეცნიერება არ მისწავლიათ, მოყვარულის მთაბეჭდილება რჩებოდა; მაინც ზოგი დავალება მივეცი. წინააღმდეგ მოლოდინისა, ინჟინერ ალ. მახომეტოვის ენაზე დაკვირვების უნარი (ენის სტრუქტურაში გარკვევის აღღო) და საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება აღმოაჩნდა. კვირაში ერთხელ კონსულტაციებს იღებდა და ამ ხნის განმავლობაში პირველი მთაბეჭდილება ისე გამიმტკიცდა, რომ შესაძლებლად მიმაჩნია, გამონაკლისის წესით, განათლებით არასპეციალისტი (ინჟინერი) ალ. მაპომეტოვი დაშვებული იქნეს საასპირანტო გამოცდებბზე.“

აღსანიშნავია, რომ ალ. მაპომეტოვი დამოუკიდებლად ახერხებს საენათმეცნიერო ლიტერატურაში გარკვე-

ვას; გულმოდგინედ სწავლობს ქართულს. კულტურული ძეგლები ადამიანი ჩანს (საერთო მომზადების მიხედვით). დაღეს-ტნის ენებში სამუშაოდ მისი მიღება ასპირანტურაში შე-საძლებლად მიმაჩნია“-ო.

გამართლდა აკად. არნ. ჩიქობავას წინასწარმეტყვე-ლება. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური ფილოლოგი-ური განათლება არ ჰქონდა, ალ. მაპომეტოვმა მართლაც წარმატებით გაართვა თავი ასპირანტურაში სწავლას, ვა-დაბე ადრე (1948წ.) დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „დარგული ენის კუბაჩური ლიალექტის ძირითა-დი თავისებურებანი“. ალ. მაპომეტოვმა აღმოაჩინა მთის იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლის ფუძემდებლის პ. უსლარის უკანასკნელი მონოგრაფია „თაბასარანული ენა“, რომელიც ითვლებოდა დაკარგულად. მან ადგილზე შეამოწმა პ. უსლარის მასალა და დაურთო მონოგრაფიას ისტორიული კომენტარები, შეადარა რა ას წელზე მეტი ხნის ენობრივი მონაცემები თანამედროვე მონაცემებთან (მონოგრაფია 40 თაბახის მოცულობით გამოსცა საქარ-თველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერებამ“ (1979 წელს). ამ მონოგრაფიას გამოეხმა-ურნენ როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

ასპირანტურაში სწავლის დროს თავისუფლად დაუ-უფლა ქართულ ენას და თავისუფლად სარგებლობს ქარ-თული ლიტერატურით.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ალ. მაპომეტო-ვი ჩაირიცხა ენის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამ-შრომლად, 1950 წელს გადაყვანილ იქნა უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1986 წელს კი – წამყვან მეცნიერ თანამშრომლად. აյ მან გააგრძელა მუშაობა დაღესტნუ-რი ენების (კერძოდ, დარგული, თაბასარანული და აღუ-ლურის) სტრუქტურის საკითხებზე. 1965 წელს დაიცვა სა-დოქტორო დისერტაცია.

აღ. მაპომეტოვი 1951-1952 წლებში კითხულობდნენ დექციებს ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ასევე 1951-1953 წლებში ა.ს. პეშინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ, ხოლო 1968 წლიდან კითხულობდა დექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე როგორც რუსულ, ისე ქართულ ჯგუფებში. იყო მრავალი საკანდიდაფო და სადოქტორო დისერტაციების ოფიციალური ოპონენტი.

აღ. მაპომეტოვი კავკასიოლოგთა საკავშირო ორგანოს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწლეულის“ რედაქტიის პასუხისმგებელი მდივანი იყო ათი წლის განმავლობაში, დღიდან მისი დაარსებისა (1974 წ.). მისი მდივნობის დროს გამოვიდა „წელიწლეულის“ ათი ტომი.

აღ. მაპომეტოვი იყო აგრეთვე 1967 წლიდან 1984 წლამდე იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიის შესწავლისადმი მიძღვნილ რეგიონალურ სამეცნიერო სესიათა მუდმივი საორგანიზაციო კომიტეტის სწავლელი მდივანი, სადაც ინტენსიურად მუშაობდა ამ სესიათა ორგანიზაციული საკითხების მოსაგვარებლად.

აღ. მაპომეტოვი მთის იბერიულ-კავკასიურ ენების, კერძოდ დარგულის მაღალკვალიფიციური სპეციალისტია. მისი შრომები დარგულის, კუბაჩურისა და თაბასარანულის გრამატიკული სტრუქტურისა და ისტორიის შესახებ, რომელთა რიცხვიც 100-ზე მეტია, ფასეული წვლილია იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში. მისი მეცნიერული ნაშრომებიდან დავასახელებთ მხოლოდ მონოგრაფიებს: კუბაჩური ენა (თბილისი, 1963), თაბასარანული ენა (თბილისი, 1965), აღულური ენა (თბილისი, 1970), პ. უსლარი – დაღესტანური ენების მკვლევარი (მახაჩკალა, 1979), დარგული ენის მეპებური დიალექტი (თბილისი, 1982).

როგორც ვხედავთ, იმ არასრული მონაცემებისას შორის ხედვითაც, რომლებიც მოვიდანეთ წინამდებარე წერილში, კარგად ჩანს ქართული კულტურის ცხოველმყოფელი გავლენა ქართველი ხალხის ისტორიული მეზობლების – ჩრდილო კავკასიელი ხალხების კულტურაზე. თანამედროვე ეტაპზე ამ კულტურული გავლენის გამტარებლად კანონმდებრად გვევლინება ქართული მეცნიერების შეაბი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემია მასში შემავალი ინსტიტუტებით. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების და სხვ. ინსტიტუტები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, ფაქტობრივად გადაიქცნენ ჩრდილო კავკასიის ხალხებისათვის ჰუმანიტარულ დარგებში მეცნიერული კადრების მომზადების ძირითად კერებად და ამდენად, დიდი წვლილი შეპქონდათ და ამ ხალხთა ეროვნული სამეცნიერო ინგელიგენციის ჩამოყალიბება-განმტკიცების, მათი კულტურის შემდგომი განვითარების საქმეში.

დანართი



საქართველოს
მთავრობის
მინისტრის
მინისტრი

მონაცემები საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემაში ჩრდილო კაფების
რეგიონებიდან სამეცნიერო კადრების მომზადების შესახებ 1944-1964 წწ.

1	2	3	4	5	6
ენათმეცნიერების ინსტიტუტი					
1.	ფ. 1, ანაწ. 5 ^ა , № 267	შეკოხი ერექცე საფურის ქე	ადიდელი (კრასნოდარის მხარე)	თსკ 1956 წ.	1957-1960
2.	ფ. 1, ანაწ. 5 ^ა , № 457	მუპამედჯანოვი იუნკ აბდულის ქე	თათარი (კრასნოდარის მხარე)	თსკ 1958 წ.	1960-1963
3.	ფ. 1, ანაწ. 5 ^ა , № 502	მიქაილოვი ელდარ შიხაბედინის ქე	ავარელი (დაღესტ. ასსრ)	თსკ 1956 წ.	1956-1959

1	2	3	4	5	6
4.	ფ. 1, ანაწ. 5 ^ა , № 548	ნიბიქოვა ნინა მიშაუსტის ასული	აღიღებელი (კრასნოდარის მხარე)	შოსკოვის სახელმწ. პედ. ინსტიტ. 1956 წ.	1957-1960 ერთეული განაზოგადება
5.	ფ. 1, ანაწ. 5 ^ა , № 145	მაპომეტოვი ასლანბეგ გაუკურის ძე	ლაქი (ჩეჩენეთ- ინგუშეთის ასსრ)	თსუ 1960 წ.	1962-1965
6.	ფ. 1, ანაწ. 5 ^ა , № 92	ბაგოვი პეტრე მათეს ძე	ყაბარიდოველი (ყაბარიდო-ბალკა- რეთის ასსრ)	თსუ 1952 წ.	1956-1959
7.	ფ. 1, ანაწ. 5 ^ა , № 966	ჯოლევა ევგენია გრიგოლის ასული	ოსი (ჩიგის ოლქი)	თბ. ეცხ. ენ. ქედ. ინსტ. 1952 წ.	1953-1957
8.	ფ. 1, ანაწ. 5 ^ა , № 1003	აბრეგოვი ანიკლან ნუხის ძე	აღიღებელი (აღიღეს ავტ. ოლქი)	თსუ 1963 წ.	1964-1968
9.	ფ. 1, ანაწ. 5 ^ა , № 1029	ბერისმოვი ბათირბი შაპშედის ძე	აღიღებელი (აღიღეს ავტ. ოლქი)	თსუ 1963 წ.	1964-1968
10.	ფ. 1, ანაწ. 5 ^ა , № 1056	გამევა ნუხი ტერქემის ძე	აღიღებელი (აღიღეს ავტ. ოლქი)	თსუ 1963 წ.	1964-1968
11.	ფ. 1, ანაწ. 5 ^ა , № 15	აუტლევი ყაბბეგ ლიალუიხის ძე	ჩერქეზი (აღიღეს ავტ. ოლქი)	თსუ 1956 წ.	1956-1959

1	2	3	4	5	6
12.	ფ. 1, ანაწ. 5 ^ა , № 7	აკიტეო ალი შებანის ძე	ღამი (ღადასტნის ასსარ)	თსუ 1957 წ.	1958-1961 კარიბური გიგანტი
ა. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი					
13.	ფ. 1, ანაწ. 5 ^ა , № 272	შავესოვი აილემერეან ხესეინის ძე	აღილეველი (კრამნოლარის მხარე)	ყაბარდო- ბალყარეთ, სა- ხელმწ. უნივერ- სიტ. 1959 წ.	1960-1963
14.	ფ. 1, ანაწ. 5 ^ა , № 975	ჯიმოვი ბებ მოსოვის ძე	აღილეველი (აღილეს ავტ- ოლექი)	კრამნოლ. სახელმწ. პედ. ინსტ. 1957 წ.	1960-1963
15.	ფ. 1, ანაწ. 5 ^ა , № 10	აუზლევი პშიმაუ ულაგის ძე	აღილეველი (აღილეს ავტ- ოლექი)	როსტოკის პედ. ინსტ. 1948 წ.	1957-1960
16.	ფ. 1, ანაწ. 5 ^ა , № 42	ალიბერდოვი გლისტენშეი ჯიგარის ძე	აღილეველი (აღილეს ავტ- ოლექი)	ჩაჩნეთ- ინგაშეთის პედ. ინსტ. 1958 წ.	1960-1963
პოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი					
17.	ფ. 1, ანაწ. 5 ^ა , № 202	გადაგატლ ასკურ მაგამუდის ძე	აღილეველი (აღილეს ავტ- ოლექი)	აღილეს სახ. პედ. ინსტ. 1957 წ.	1957-1962



18.	ფ. 1, ანაწ. 5 ^ა , № 9	აუგდევება სარა მუშავის ასელი	აღილეველი (აღილეს ავტ. ოლქი)	აღილეს სახ. პედ. ინსტ. 1956 წ.	1957-1960 ეროვნული იუდიდიტური ცენტრი
19.	ფ. 1, ანაწ. 5 ^ა , № 634	სხალიახო აბუბაჩირ აღიმეშის ძე	აღილეველი (აღილეს ავტ. ოლქი)	აღილეს სახელ. უნივერს. 1957 წ.	1957-1960
20.	ფ. 1, ანაწ. 5 ^ა , № 497	მაშემოვი იური ხაჯურის ძე	ყაბარდოელი (ყაბარდო-ბალყ. ასსრ)	ლენინგრადის სახ. უნივ. 1953 წ.	1956-1959
21.	ფ. 1, ანაწ. 5 ^ა , № 87	ბერბელოვი თემირხან მუშოს ძე	ყაბარდოელი (ყაბარდო. ბალყარეთის ასსრ)	ჩრ. ოსეთის სასოფლო- სამეურნ. ინსტ. 1950 წ.	1956-1960 საკანდ. დის. და- იუდა საქ. სას-სამუ- კრნ. ინსტ. 1961 წ.
22.	ფ. 45, ანაწ. 1, № 875	მუნაკევი ჭაბაიძი მუნას ძე	ჩეჩენი (ჩაჩინეთ-ინგ. ასსრ)		1965-1969
მათემატიკის ინსტიტუტი					
23.	ფ. 1, ანაწ. 5 ^ა , № 942	ხალეუაევა ჯანსურათ მურატის ასელი	ყაბარდოელი (ყაბარდოს ავტ. ასსრ)	ყაბარდოს სახელმწ. პედ. ინსტ. 1947 წ.	1949-1951 წ. გამოიცა პაპ. (და- უსრულე- ბელი)

1	2	3	4	5	6
შოთა რუსთაველის სახ. ქართული დაგენერატორის ისტორიის ინსტატეტი					
24.	ფ. 10, ანაწ. 2, № 121	პანეპი ლეპოვ გარენის ასული	აღილელი (კრასნოდარის მხარე)	აღილეს სახელმწ. პედ. ინსტ. 1958 წ.	1960-1963 1966-1970 წ.
ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, პრეზოლოგიისა და უთნოგრაფიის ინსტატეტი					
25.	ფ. 9, ანაწ. 2, № 222	აბრეგოვი ალექსი წერის ძე	აღილელი (აღილეს აეტ- ოლქი)	ყაბარდო- ბალკ. სახ. უნივერსიტ.	1972-1975
26.	ფ. 14, ანაწ. 2, № 1411	გადაბატლი აიგენ ასკერის ძე	აღილელი (აღილეს აეტ- ოლქი)	აღილეს სახ. პედ. ინსტ. 1978 წ.	1978-1984
შოთა რუსთაველის სახ. ქართული დაგენერატორის ისტორიის ინსტატეტი					
27.	ფ. 14, ანაწ. 2, № 1730	ხამისირეკოვა გიარემა ხიმირის ასული	ჩეჩინი (ყარაბარი-ჩერქე- ზეთის სახ. პედ. ინსტ. 1977 წ.)	ყარაბარი- ჩერქეზ. სახ. პედ. ინსტ. 1977 წ.	1980-1984
28.	ფ. 14, ანაწ. 2, № 1363	ამაევა თამარ ბელალის ასული	ჩეჩინი (ჩაჩნეთ-ინგუშ. ასსრ)	ჩაჩნეთ-ინგ. სახ. უნივერს. 1977 წ.	1981-1985
29.		ჯამბექოვი ოვხად ალიხაჯის ძე	ჩეჩინი (ფრუნიშეს ოლქი) ამეგამად ცხოვრობს ჩაჩნეთ- ინგ. ასსრ	ჩაჩნეთ-ინგ. სახ. უნივერს. 1978 წ.	ჩაირიცხა 1984 წ. ამ- თავ-რებს 1988 წ.

1	2	3	4	5	6
ენათმეცნიერების ინსტიტუტი (პსპირანგვები)					
30.	ფ. II, ანაწ. 2, № 243	კომენტი ბორის კუნის ძე	ყაბარდოული (ყაბარდო-ბალყ. ასსრ)	ყაბარდ. ბალყ. სახელმწ. უნივერს. 1968 წ.	1969-1971
31.	ფ. II, ანაწ. 2, № 241	მაცომიერობა ასლანშვაგ გაუგურის ძე	ლაქა ჩუჩინეთ- ინგუშეთის ასსრ	თუკ 1960	1962-1965
ნ. შარის სახ. ენის ინსტიტუტი					
32.	ფ. II, ანაწ. 2, № 193	მაპარიეტოვი ალექსანდრე ამირის ძე	ლამზი (დალესტრის ასსრ)	სატართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი	1945-1948

საქართველოს სსრ მუნიციპალიტეტის აკადემიის ცენტრალური არქივი
1959-1967 წწ. ანაზერი №2

1970-1977 წწ. აღწ. 1

ფი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

კოდი ნომერი, გვ.დებული	მუნიციპალიტეტის დასახლებული ადგილი	მუნიციპალიტეტის დასახლებული ადგილი	მუნიციპალიტეტის დასახლებული ადგილი	მუნიციპალიტეტის დასახლებული ადგილი	მუნიციპალიტეტის დასახლებული ადგილი	მუნიციპალიტეტის დასახლებული ადგილი
1	2	3	4	5	6	7
1.	ფ. 9, ანაზ. 1, № 1318	ძაგუროვა გაღინა თაიმურაშის ასული	ოსი (მოსკოვი) ამერად ცხოვრობს ქ. ვლადი-კავკაზში დეწენაში	ჩრ. ოსეთის სახელმწ. პედ. ინსტ. 1965 წ.	1969-1972 წ. ჩრ. ოსეთის სახელმწ. უნივერსიტ. ას.	საქ. დის. 1973 წ., თბ.
2.	ფ. 9, ანაზ. 1, № 1454- 1455	ისლამოვი ახიაგ ალავდინის ძე	ჩეჩენი (ჩაჩნეთ-ინგუმ. ასსრ)	ჩაჩნეთ- ინგუმ. პედ. ინსტიტუტი 1959 წ.	-	საქ. დის. 1974 წ., თბ.
3.	ფ. 9, ანაზ. 1, № 1464	მაპომეგოვა ვერა ჯაბალის ასული	ოსი (ჩრ. ოსეთის ასსრ)	ჩრ. ოსეთის პედ. ინსტიტუტი 1941 წ.	1950-1955 წ. სსრკ მეცნ. აკად. ისტორიის ინსტ ასპირანტ.	საქ. დის. 1974 წ., თბ.

1	2	3	4	5	6	7
4.	ფ. 9, ანაწ. 1, № 1566	ღანდამაცევი მაგომელ აპლელ-ქადირის ძე	ლაკი (ღალატნ. ასსრ)	ღელინ- გრადის სახელმწ. პედ. ინსტ.	1954-1958 წ. სსრ ქ. მეცნ. აკად. ისტ. ინსტ. ასპ.	საქ. დის. 1960 აზოვნის მიზ თათ. სად. დის. 1975 წ., თბ.
5.	ფ. 9. ანაწ. 1, № 889	შატილევი ნაერმედინ აპლერახიმის ძე	ყაბარიდ. (ყაბარიდ.-ბალკარ. ასსრ)	ყაბარიდ.- ბალკარ. სახ. უნივერს. 1960 წ.	-	საქ. დის. 1970 წ., თბ.
6.	ფ. 9, ანაწ. 1, № 961- 962, ფ. 9, ანაწ. 2, № 303 (საქანდ.)	შაგომეგროვი ახსარბეგ ხაძირულის ძე	ოსი (ჩრ. ოსეთის ასსრ)	საქ. ქ.ქ.ქ. არსებული სამწლიანი პარტიული სკოლა 1954 წ.	1957-1960 წ. ჩრ. ოსეთის ს/კ ინსტიტუტის ასპირანტი	საქ. დის. 1963 წ., თბ., სად. დის. 1971 წ., თბ.
7.	ფ. 9, ანაწ. 1, №	ასანოვი იური ნუხის ძე	ბალყარული (ყაბარიდ.-ბალყ. მმრ)	ყაბარიდო- ბალყ. სახ. უნივერსიტ. 1968 წ.	1968-1971 საქ. სსრ. მეცნ. აკად. ისტორიის ინსტ. ასპ.	საქ. დის. 1972 წ. თბ.
8.	ფ. 9, ანაწ. 1, № 1135- 1136	ბერილომირვი რუსთან ეკმალდინის ძე	ბალყარული (ყაბარიდ.-ბალყ. მმრ)	ყაბარიდო- ბალყ. სახ. უნივერსიტ. 1966 წ.	1968-1971 საქ. სსრ. მეცნ. აკად. ისტორიის ინსტ. ასპ.	საქ. დის. 1972 წ., თბ.,

1	2	3	4	5	6	7
9.	ფ. 9, ანაწ. 1, № 1158	საიდოვი იბრაელი მაკომედის ძე	ჩეჩენი (ჩამინეთ-ინგუშეთის ასსრ)	ურუნბეს ჟედ. ინსტ. 1957 წ.	1959-1962 სსრ მექ. აკად. დაღ. ფილ. ასპ.	ხელ. დოკუმენტი ქ1972-წ. მიმომარცვა თბ.,
10.	ფ. 9, ანაწ. 2, № 437	გაჯევები კლადელენ გალისის ძე	ლაქი (დაღუსტნ. ასსრ)	მოსკოვის სახ. უნივერს. 1951 წ.	-	საქ. დის. 1955 წ. (მოსკოვი) სად. დის. 1965 წ., თბ.,
11.	ფ. 9, ანაწ. 2, №	გაფესოვი აიდემირკან ხუსეინის ძე	ალალეველი (კრასნოდარის მხარე)	ყაბარდო- ბალყ. სახ. უნივერსიტ. 1959 წ.	1960-1963 საქ. სსრ. მეცნ. აკად. მსგორიის ინსტ. ასპ.	საქ. დის. 1967 წ., თბ.
12.	ფ. 9, ანაწ. 2, № 535	ჯამბულაგოვა შინაიდა კურიმის ასული	ინგუში (ჩამინეთ- ინგუშ. ასსრ)	ჩრ. კავკასიის ჟედ. ინსტ. 1941 წ.	-	საქ. დის. 1965 წ., თბ.,
13.	ფ. 9, ანაწ. 2, № 536	ჯიმოვი ბუბ მოსოს ძე	ალალეველი (აღლუს ავტ. ოლქი)	კრასნოდ. ჟედ. ინსტ. 1957 წ.	1960-1963 წ. საქ. სსრ მეცნ. აკად. მსგორიის ინსტ. ასპ.	საქ. დის. 1967 წ., თბ.,
14.	ფ. 9, ანაწ. 2, № 221	გელგოვები ასლანბეგ ახმეტის ძე	ოსი (ჩრ. ოსეთ. ასსრ)	ჩრ. ოსეთის სახ. ჟედ. ინსტ. 1941 წ.	1938-1941 წ. ჩრ. ოსეთის ს/კ ინსტ. ასპ.	საქ. დის. 1950 წ. თსუ სად. დის. 1961 წ. თბ.,


1	2	3	4	5	6	7
15.	ფ. 9, ანაწ. 2, № 235	აჩამატოვა მინ- კეტას გარეურის ასული	აღიღებელი (აღიღეს აეტ. ოლქი)	მოსკოვის მდმ. მშრ. კომუნ. უნი- ვერსიტ. 1933 წ.	-	საქართველო 1961 წ. მომზადებელი
16.	ფ. 9, ანაწ. 2, № 241	აუგლევა უმიმაფ ელაგის ძე	აღიღებელი (აღიღეს აეტ. ოლქი)	მაკელის სამასწავლ. ინსტიტუტი 1946 წ.	1958-1960 საქ. მეცნ. აკად. ისტ. ინსტ. ასპ.	საქ. დის. 1963 წ., თბ.
17.	ფ. 9, ანაწ. 2, № 365	შინაბედინოვი მაგომედ შინაბედინის ძე	ავარიელი (დაღ. ასსრ)	დაღესტნის სახელმწ. უნივერს. 1958 წ.	1961 წლიდან ასპირანტი სსრკ მეცნ. აკად. დაღ. უაღლიაღის	საქ. დის. 1963 წ., თბ.,
18.	ფ. 9, ანაწ. 2, № 303	შაგომეგოვი ახსანბეგ ხადშირეგის ძე	ოსი (ჩრ. ოსეთის ასსრ)	საქ. ქპ ცქ სამწლიანი პარტიული სკოლა 1954	1957-1960 ჩრ. ლევთის ს/კ ინსტ. ასპ.	საქ. დის. 1963 წ. თბ.,
19.	ფ. 9, ანაწ. 2, № 257	გაბიევი ჯეირან- მაპომედ საიდის ძე	ლაქი (სტავროპოლის მხარე)	თბ., პუშკინის სახ. ქედ. ინსტ. 1956 წ.	1953-1956 წწ. სსრკ მეცნ. აკ. დაღ. უაღლ. ასპ.	საქ. დის. 1960 წ. თბ.

ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი 1935-1978
აღწ. 1. 1950-1980



ეგვიპტის მთავრობის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის №	ეგვიპტის მთავრობის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის №	მისამართის აღმართობის დოკუმენტის №	დოკუმენტის დამტკიცებულების თარიღი	დოკუმენტის დამტკიცებულების თარიღი	დოკუმენტის დამტკიცებულების თარიღი	დოკუმენტის დამტკიცებულების თარიღი
1.	ფ. 45, ანაწ. 1, № 1423	ოსმანოვი აღმართობის დოკუმენტის №	დარწესდნ. სახ. უნივერსიტ. 1977	-	-	საკ. დის. 1979 წ. თბ.
2.	ფ. 45, ანაწ. 1, № 775	გაჯილევი გაჯილდახა აბდელას ძე	ლეში (დაღესტ. ასსრ)	ოდესის საერთ. ეკონომ. ინსტ. 1959 წ.	1961-1964 დაღესტნ. ფილ. ასკ.	საკ. დის. 1968 წ. თბ.
3.	ფ. 45, ანაწ. 1, № 1164	კაბინოვი კონსტანტინე არმაქის ძე	ოსი (ჩრ. თხეთის ასსრ)	ქ. თრჯორიქ. მთის სახოლუ. -სამეცნ. ინსტიტი	1970-1974 ჩრ. თხეთის სახელმწ. უნივერს. ასკ.	საკ. დის. 1975 წ. თბ.,
4.	ფ. 45, ანაწ. 1, №	შაშილევი რუმან ვალაპის ძე	ჩეჩინი (ჩაჩნეთ-ინგუმეთ. ასსრ)	ყაზახეთის სახელმწ. უნივერსიტ. 1958 წ.	1965-1969 საქ. მეცნ. აკად. ეკონომიკ. და სამართლის ინსტიტის ასკ.	საკ. დის. 1972 წ.


მოთხ რესოულის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი
1939-1968 წ. – 1977 წ.



კრებულის სახელი, №	მიმღების სახელი, მიმღების სახელი	მიმღების სახელი	(მიმღების სახელი)	მიმღების სახელი	მიმღების სახელი	მიმღების სახელი
1. ფ. 10, ანაწ. 1, № 49 (დამა- ტებითი)	ქართველი გურიაშვილი შავრიბეგიძე ქე	ოსი (ნინ. ოსერიას ასსრ)	ნინ. ოსერიას სახ. პედ. ინსტ. 1938 წ.	-	-	საქ. დის. 1952 წ., თბ.
2.	ფ. 10, ანაწ. 1, № 1481	მამია რესლან გოლიმის ქე	აღილევია (აღილევა ავტ. ოლქი)	აღილეს სახ. პედ. ინსტიტუტი 1960 წ.	-	საქ. დის. 1975 წ., თბ.
3.	ფ. 10, ანაწ. 1, № 936	შეგავევი შიხევილ ისმაილის ქე	ჩერქევი (სტავროპოლის მხარე)	ყაბაძელი- ბალკარეთის სახელმწ. უნივერსიტ. 1962 წ.	-	საქ. დის. 1972 წ., თბ.,

1	2	3	4	5	6	7
4.	ფ. 10, ანაწ. 1, № 820	ხელი შაბსუდინ ხაჯასფარის ძე	აღიღეული (აღიღეს აეტ- ოლქი)	აღიღეს სახელმწ. პედ. ინსტ. 1962 წ.	-	კარგი დღიული ბილების მიზანი თბ.
5.	ფ. 10, ანაწ. 1, № 579	გამზადოვი გაჯი გამზადის ძე	აეპრიელი (დაღესტ. ასსრ)	დაღესტნ. პედ. ინსტ. 1948 წ.	1966-1969 სსსრ მეცნ. აკად. დაღესტ. ფილ. ასპ.	საკ. დის. 1970 წ., თბ.
6.	ფ. 10, ანაწ. 1, № 521- 522	ჯოოველი ხამჩი სპირიდონის ძე	ოსი (ჩრ. ოსეთის ასსრ)	ჩრ. ოსეთის სახ. პედ. ინსტიტ. 1947 წ.	1949-1952 ჩრ. ოსეთის სახ. პედ. ინსტ. ასპ.	საკ. დის. 1971 წ., თბ.

ენათმეცნიერების ინსტიტუტი
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური არქივი
1938-1972 წ.



კვლევითი ნომერი, წელი, ადგენი Nº	კვლევითი სახელი, სახელის მენეჯერი	კრიტერიუმი (დაღუსტის აღმინი)	კრიტერიუმი (დაღუსტის აღმინი)	კრიტერიუმი (დაღუსტის აღმინი)	მასშიანებელი მდგრადი თარიღი	მასშიანებელი მდგრადი თარიღი	დაცვის დღესი თარიღი
1. ფ. 11, ანაწ. 2, № 136 ფ. 11, ანაწ. 2 № 10	მიქაელოვი შიხაბედინ ილიასის ქე	ავარიელი (დაღუსტის ასსრ)		სახ. პედ. ინსტ. (შახაჩქალა)	1934-37 წწ. (არარქ.-ულ სკოლათა ცენტრ. ს/კ იმსტიტუტის ასპირან- ტურა		1945 წ. საკ. დის., თბ. 1960 წ. სადოქტ- დის., თბ.,
2.	ფ. 11, ანაწ. 2, № 13	მეოლანოვა უნეიბათ აზიმის ასული	ლემები (დაღუსტ. ასსრ)	1945 წ. დაღუსტნ. პედ. ინსტ.	1848-1952 სსრკ მეცნ. აკად. მეცნ. ინსტიტუტი		საკ. დის. 1952 წ. მოსკოვი სადოქტ- დის. 1965 წ. თბ.,

1	2	3	4	5	6	7
3.	ფ. 11, ანაწ. 2, № 17 ფ. 11, ანაწ. 2, № 249	ალირიოვები იბრაგიმ იუნუსის ძე	ჩეჩინი (ჩრ. ოსეთის ასსრ)	ყორგამბეთის უნივერსიტეტი	-	საქ. დის. 1962 წ. თბ., სად. დის. 1972 წ. თბ.,
4.	ფ. 11, ანაწ. 2, № 250	არხანოვი ისრაილ აბდულგამოდის ძე	ჩეჩინი (დაღესტ. ასსრ)	ფერგანის სახ. პედ. ინსტ. 1951 წ.	-	საქ. დის. 1960 წ. მოსკოვი სალოქ- დის. 1970 თბ.
5.	ფ. 11, ანაწ. 2, № 251	ბალვარიოვი ბორის ხაშების ძე	ყაბარდ. (ყაბარდო- ბალკ. ასსრ)	ყაბარდო- ბალყარეთის პედ. ინსტიტუტი 1940	1948-1952 სსრ. ე. უნ. აკად. ენათმეცნ. ინსტიტუტი	საქ. დის. 1952 წ., მოსკოვი სად. დის. 1968 წ. თბ.
6.	ფ. 11, ანაწ. 2, № 35	ჩენგიევა შარიამ ჯალის ასული	ჩეჩინი (ჩაჩნიეთ- ინგუშ. ასსრ)	1934 წ. ჩაბარდ პედ. ინსტ. ხოლო მემდევ სწავლა გაატრაქტი	ეროვნებათა ცენტ სამეცნ. საკუ. პედ. ინსტიტუტის ასპირანტურაში რომელიც დაამზადება 1936 წ.	საქ. დის. 1961 წ., თბ.

1	2	3	4	5	6	7
7.	ფ. 11, ანაწ. 2, № 37	გიაურებულე ხატიქა შაკირას ძე	ყაბარდოვ ლი (ყაბარდო- ბალყარეთის სახ. პეტრიანგელია)	ყაბარდო-ბალყ. სახ. პეტ. იმსტ. 1951 წ.	1944-1964 წწ. ყაბარდო- ბალყარეთის სახ. პეტ. იმსტიტუტის ასპირანტურა	საქ. დის. 1963 წ., თბ., ერთოვენა პირამიდი
8.	ფ. 11, ანაწ. 2, № 28	ომილებულე გეორგის ასული	ინგუში (ჩამნეთ- ინგუშეთის ასსრ)	ყირგიზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1954 წ.	-	1962 წ. თბ., საქ. დის.
9.	ფ. 11, ანაწ. 2, № 27	ომილები იბრაემ აბდურასკის ძე	ინგუში (ჩამნეთ- ინგუშეთის ასსრ)	-	1934-1936 წწ. მოსკოვის ნაციონ. უნივ. სკ პეტ. იმსტიტუტის ასპირანტურა	საქ. დის. 1965 წ. თბ.
10.	ფ. 11, ანაწ. 2, № 24	მაციევი ახმედ გვხას ძე (1902 წ. დაბადებული)	ჩეჩენი (ჩამნეთ- ინგუშეთის ასსრ)	ჩამნეთ- ინგუშეთის პეტ. იმსტ. 1962 წ.	-	საქ. დის. 1963 წ., თბ.
11.	ფ. 11, ანაწ. 2, № 26	ნაბიკოვა ნინა მიშაუსტის ასული	ადილიული (ად. ავტ. ოლენი)	მაიკოპის სახელმწ. პეტ. იმსტიტუტი 1956 წ.	1957-1960 წწ. საქ. მცენ. აკად. უნაომეცენ. იმსტ. ასპირანტ.	საქ. დის. 1965 წ. თბ.,
12.	ფ. 11, ანაწ. 2, № 23	კუმახოვა შარა იუსუფის ასული	ადილიული (კრასნოდა რის მხარე)	ყაბარდო-ბალყ. სახ. პეტ. იმსტ. 1955 წ.	1959 წ. ღამითავრია სსრკ მცენ. აკად. უნაომეცენ. იმსტ. ა.პ.	საქ. დის. 1961 წ. თბ.



1	2	3	4	5	6	7
13.	ფ. 11, ანაწ. 2, № 8	კუმახოვი მუხადინ ამუშექრის ძე	ყაბარდოვი ლი (ყაბარდო- ბალკარ. ასსრ)	თსუ 1952 წ.	1952-1955 წწ. სსრკ მეცნ. აკად. ენათმეცნ. იმსტ.	საკუთრივი 1955 წ. მოსკოვი, საღოეს- დის. 1965 წ. თბ.,
14.	ფ. 11, ანაწ. 2, № 253	ვერაშვერა შეინაბ იბრაემის ასული	ადილევლი (ადილ. ავტ. ოლქი)	თსუ 1950	1950-1953 წწ. თსუ	საკ. დის. 1954 წ. თსუ სად. დის. 1969 წ. თბ.
15.	ფ. 11, ანაწ. 2, № 253 ^a	გაპამელბეკოვა გაპილარ გაპომელის ასული	ავარიელი (დალესტ. ასსრ)	დალესტ. პედ. ინსტ. 1942 წ.	თსუ 1946-1949	საკ. დის. 1969 წ. თბ., თსუ სად. დის. 1972 წ. თბ.
16.	ფ. 11, ანაწ. 2, № 257	შაგიროვი ამინ კაბუკის ძე	ყაბარდოვი ლი (ყაბარდო- ბალკ. ასსრ)	თსუ 1952 წ.	1953-1955 სსრკ მეცნ. აკად. ენათმეცნ. იმსტიტუტი	საკ. დის. 1955 წ. (მოსკოვი) სად. დის. 1971 წ. თბ.

1	2	3	4	5	6	7
17.	ფ. 11, ანაწ. 2, № 15	აბდულაევი ისა ხილიძის ძე	ლაქო (დაღესტნ. ასსრ)	თხე 1957 წ.	1957-1960 თხე	საქ. დის. 1960 შემოწმები თმის დაგენერირები
18.	ფ. 11, ანაწ. 2, № 18	ღოლაპეტრეა რაისა იღრისის ასული	ინგუში (ჩაჩინეთ- ინგუშეთის ასსრ)	ყორგიშეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1953 წ.	1956-1959 სსრკ მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინსტ. ასპ.	საქ. დის. 1962 წ. თბ.
19.	ფ. 11, ანაწ. 2, № 30	საიდოვა ფაგიშალ აბდულას ასული	ავარელი (დაღესტნ. ასსრ)	დაღესტნის პედ. ინსტიტუტი 1955 წ.	1962-1964 წწ. სსრკ მეცნ. აკად. გ ნადისის სახ. დალექსანდრისა და ლიზ. ინსტ. ასპ.	საქ. დის. 1965 წ., თბ.,
20.	ფ. 11, ანაწ. 2, № 33	ჩოკაევი კაცი გაინდის ძე	ჩეჩინი (ჩაჩინეთ- ინგუშეთის ასსრ)	ყორგიშეთის სახელმწიფო პედ. ინსტ. 1957 წ.	-	საქ. დის. 1963 წ. თბ.
21.	ფ. 11, ანაწ. 2, № 34	ჩაპანოვი მაპომედ ივანეს ძე	ინგუში (ჩრ. ოსეთის ასსრ)	ალმა-აგის უცხო უნათა პედ. ინსტ. 1954 წ.	1958-1961 წწ. სსრკ მეცნ. აკად. დაღესტნ. ფილ. ასპ.	საქ. დის. 1963 წ.
22.	ფ. 11, ანაწ. 2, № 16	აკიევი ალი შაბანის ძე	ლაქო (დაღესტნ ასსრ)	თხე 1961 წ.	1958-1961 წწ. საქ. მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინსტ. ასპირანტ.	საქ. დის. 1965 წ., თბ.

1	2	3	4	5	6	7
23.	ფ. 11, ანაწ. 2, № 20	სელეიმანოვი იაყუბ პესეინის ძე	ავარელი (დაღესტ. ასსრ)	ლენინგრადის სახელმწ. უნივერსიტეტი 1952 წ.	1953-1955 წწ. დაქანონი, ხოლო შემდეგ დასწ. ასპ. სსრკ მეცნ. აკად. უნაომეცნ. ინსტ.	საქ. ჭრის ცურული 1966 წ. თბ. მისამართი
24.	ფ. 11, ანაწ. 2, № 259	ხაიდაკოვი საიდ ყაბი-შეგომედის ძე	ლაქი (დაღესტნ ასსრ)	ქ. ორჯონიშვილის სახლოელ-სამეცნ. ინსტიტ. 1937 წ.	1949-1953 წწ. სსრკ მეცნ. აკად. უნაომეცნ. ინსტ. ასპ.	საქ. დის. 1953 წ. (მოსკოვი) სად. დის. 1970 წ. თბ.
25.	ფ. 11, ანაწ. 2, № 260	პაიდაროვი რაჯიდინ იდაიათის ძე	ლეზგი (დაღესტნ. ასსრ)	დაღესტნის სახელმწ. ქედ. ინსტ. 1950 წ.	1951-1954 წწ. სსრკ მეცნ. აკად. დაღესტნ. ფილიალის ასპ.	საქ. დის. 1955 წ. (მოსკოვი) სად. დის. 1968 წ. თბ.
26.	ფ. 11, ანაწ. 2, № 324	ხამილონი ხამილის ასული	ჩეჩენი (ჩაჩინეთ- ინგუშეთის ასსრ)	ჩაჩინეთ- ინგუშეთის სახ. ქედ. ინსტ. 1962 წ.	1956-1967 წწ. სსრკ მეცნ. აკად. დაღესტნ. ფილ. ასპ.	საქ. დის. 1972 წ. თბ.,
27.	ფ. 11, ანაწ. 2, № 313	შაორი ქორქ აშუბექრის ძე	აღილევი (აღილექ აფხ. ოლქი)	ადილეს სახელმწ. ქედ. ინსტ. 1956 წ.	1960-1963 წ. სსრკ მეცნ. აკად. უნაომეცნ ინსტ. ასპ.	საქ. დის. 1966 წ. თბ.

1	2	3	4	5	6	7
28.	ფ. 11, ანაწ. 2, № 312	ქურქევეი აღიმბეკ სოსლანბეკის ძე	ინგუში (რჩ. ოსეტის ასსრ)	1963-1965 წ. თხუ 1963-1965 თხუ	საქ. დის. 1963 წ. 10 იან. გამოცემის	
29.	ფ. 11, ანაწ. 2, № 309	პეტრევი ბორის ყენვის ძე	ყაბარდო- ლი (ყაბარდო- ბალყ. ასსრ)	ყაბ.-ბალყ. სახელმწ. პედ. ინსტ. 1968 წ.	1968-1971 წ. საქ. სსრ. მეცნ. აკად. უნაომეცნ. ინსტ.	საქ. დის. 1972 წ., თბ., თბ.
30.	ფ. 11, ანაწ. 2, № 308	თიმავევი აპტი ჯოხას ძე	ჩეჩენი (ჩაჩნეთ- ინგ. ასსრ)	ჩაჩნეთ- ინგუშეთის სახელმწ. პედ. ინსტიტუტი 1962 წ.	-	საქ. დის. 1967 წ., თბ.
31.	ფ. 11, ანაწ. 2, № 298	მიქაილოვი კამბეკ მიხაბელიანის ძე	ავარიელი (დაღესტნ. ასსრ)	თხუ 1961	-	საქ. დის. 1968 წ., თბ.
32.	ფ. 11, ანაწ. 2, № 299	მიქაილოვი კლარ მიხაბედინის ძე	ავარიელი (დაღესტნის ასსრ)	თხუ 1956 წ.	1957-1960 წწ. საქ. სსრ. მეცნ. აკად. უნაომეცნ. ინსტ. ასპ.	საქ. დის. 1968 წ., თბ.
33.	ფ. 11, ანაწ. 2, № 296	მერეტუეოვი კასიმ ხამოსის ძე	აღილეველი (აღილ, ავტ. ოლქი)	აღილეს სახელმწ. პედ. ინსტიტუტი 1956 წ.	1962-1965 წწ. საქ. სსრ. მეცნ. აკად. უნაომეცნ. ინსტ. ასპ.	საქ. დის. 1966 წ. თბ.
34.	ფ. 11, ანაწ. 2, № 293	მაგომედოვი არსლანბეგ გაუერის ძე	ლაკი (ჩაჩნ- ინგ. ასსრ)	თხუ 1960 წ.	1962-1965 წწ. საქ. სსრ. მეცნ. აკად. უნაომეცნ. ინსტ. ასპ.	საქ. დის. 1967 წ., თბ.

1	2	3	4	5	6	7
35.	ფ. 11, ანაწ. 2, № 291	მამაკვა რობა ხაშიოზანის ასული	ჩეჩინი (ჩაჩნ.-ინგ. ასსრ)	ჩაჩნ.-ინგ. პედ. ინსტიტუტი 1960 წ.	1964-1968 წ. სსრკ მეცნ. აკად. დაღუსტნის ფილიალის ასპ.	საქ. დის. 1968 წ., თბ., გილიაური
36.	ფ. 11, ანაწ. 2, № 289	მალაგრევა ლიდა დოშლუქის ასული	ინგუში (ჩაჩნ.-ინგ. ასსრ)	ყირგაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1958 წ.	-	საქ. დის. 1972 წ., თბ.,
37.	ფ. 11, ანაწ. 2, № 280	ესხაჯიევი იაკობ ემარის ძე	ჩეჩინი (ჩაჩნეთ- ინგუშ. ასსრ)	ჩაჩნ.-ინგ. სახელმწ. პედ. ინსტ. 1957 წ.	-	საქ. დის. 1972 წ., თბ.,
38.	ფ. 11, ანაწ. 2, № 276	გამუვი ნუჟ თურქეშის ძე	ადილევლი (ადილეს ავტ. ოლქი)	თსუ 1963 წ.	1964-1968 წწ. საქ. სსრ მეცნ. აკად. უნათმეცნ. ინსტ. ასპ.	საქ. დის. 1969 წ.
39.	ფ. 11, ანაწ. 2, № 272	ბიბელაგოვი ნურდინ საიმუდინის ძე	ყუმუხი (ჩაჩნეთ- ინგუშ. ასსრ)	თსუ 1960 წ.	1963-1965 წწ. თსუ ასპ.	საქ. დის. 1967 წ., თბ.
40.	ფ. 11, ანაწ. 2, № 271	ბესრიმოვი ბათირბი მაპმუდის ძე	ადილევლი (ადილეს ავტ. ოლქი)	თსუ 1963 წ.	1964-1968 წ. საქ. სსრ მეცნ. აკად. უნათმეცნ. ინსტ. ასპ.	საქ. დის. 1969 წ., თბ.

1	2	3	4	5	6	7
41.	ფ. 11, ანაწ. 2, № 269	ბაღოვა პეტრე მაცის ძე	ყაბარდოვ- ლი (ყაბარდო- ბალყ- ასსრ)	თსკ 1952 წ.	1956-1959 წწ. საქ. სსრ. მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინსტ. ასპ.	საქ. დის. 1967 წ.-ის გვიაზონის
42.	ფ. 11, ანაწ. 2, № 268	აუგლევი ყაბბეგ დაალეიხოს ძე	ჩერქეზი (ადიღეს ავტ. ოლქი)	თსკ 1956 წ.	1956-1959 წ. საქ. სსრ. მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინსტატუტის ასპ.	საქ. დის. 1971 წ., თბ.
43.	ფ. 11, ანაწ. 2, № 264	აბრეგოვი აჩერდან ნუხის ძე	ადიღელი (ადიღეს ავტ. ოლქი)	თსკ 1963 წ.	1964-1968 წწ. საქ. სსრ. მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინსტატუტის ასპ.	საქ. დის. 1971 წ., თბ.
44.	ფ. 11, ანაწ. 2, № 165	პასანოვა საიდა მაგომედის ასული	დარგელი (დაღესტნის ასსრ)	დალესგნის სახელმწ. პედ. ინსტ. 1942 წ.	1948-1951 წწ. სსრკ მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინსტატუტის ასპ.	საქ. დის. 1956 წ., თბ.
45.	ფ. 11, ანაწ. 2, № 164	შაგულავეი ბორის ბორისის ძე	ოსი (ჩრ. ოსეტის ასსრ)	ჩრ. კავკასიის პედ. ინსტიტუტი 1932 წ.	1932-1935 წ. ჩრ. ოსეტის ს/კ ინსტიტუტის ასპ.	საქ. დის. 1950 წ., თბ.

1	2	3	4	5	6	7
46.	ფ. 11, ანაწ. 2, № 150	ურუსოვი ხატალი შახიმის ძე	ყაბარდოვ- ლი (ყაბარდო- ბალყ. ასსრ)	ყაბარდოს სახელმწ. პედ. ინსტიტუტი 1950 წ.	-	საქ. დის. 1956 წ. თბ.
47.	ფ. 11, ანაწ. 2, № 145	ნალოვი ახმელ- ხან ხამურაბის ძე	ყაბარდოვ- ლი (ყაბარდო- ბალყ. ასსრ)	ყაბარდოს სახელმწ. პედ. ინსტიტუტი 1951 წ.	1952-1956 წწ. ყაბარდოს სახელმწ. პედ. ინსტ. ასპ.	საქ. დის. 1956 წ., თბ.
48.	ფ. 11, ანაწ. 2, № 139 ფ. 11 ანაწ. 2, № 11	მაპომეგოვი ალექსანდრე ამარის ძე (ქხოვრობს თბილისში და მემაობს ენათმეცნიერების ინსტიტუტში)	დარგველი (დაღესტნის ასსრ)	საქ. ინდუსტრ. ინსტიტუტი 1940 წ.	1945-1948 წ. საქ. სსრ. მუნ. აკად. ნ. მარის სახ. ენის ინსტიტუტის ასპ.	საქ. დის. 1948 წ., თბ. სად. დის. 1965 წ., თბ.

CONTRIBUTION OF THE GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES TO TRAIN SCIENTIFIC PERSONNEL FOR THE NORTH CAUCASIAN PEOPLES

It is known that the versatile relationship of Georgian and Caucasian peoples is originated from the distant past. One of the concrete expositors of the cultural relationship of these peoples is the training of scientific personnel for the North Caucasian peoples in scientific institutions of the Georgian Academy of Sciences (of history, archeology and ethnography after Ivane Javakhishvili, of economy and law, of Georgian literature after Shota Rustaveli, and others). In last years more than 100 specialists passed post-graduate course and defended candidate theses.

We can say without any exaggeration that the post-graduate course of the Academy of Sciences became a forge of training of scientific personnel for the North Caucasian peoples in the humanities-linguistics, folklorists, historians of literature, historians, archeologists, ethnographics and specialists of other fields prepared there.

The Academy not only opened its door to the North Caucasians youth but at the same time promoted a wide scientific work in order to study the history and culture of these peoples.

For their part, the most of the North Caucasian peoples, who got a scientific training in the Academy institutions, are inspired with high respect to Georgian culture and history and, together with studying history, literature and mode of life of their own people, they study and elucidate in their researches the questions of Georgian history, literature and mode of life. As a result of negative tendencies developed in last years, in fact we unfortunately lost touch with those peoples and in the relationship of Georgian and the North Caucasian peoples arose harmful tendencies.

ქართული გვარის განსახლების სტრუქტურა
(საყვარელიძეთა გვარის მაგალითზე)

ყოველ ქართულ ერთძირიან გვარს, საქართველოს ტერიტორიაზე ერთი ბუდე-პირველსაცხოვრისი აუცილებლად გააჩნდა, საიდანაც გვარის კომლთა მატებასთან ერთად აღრე თუ გვიან აუცილებლად იწყებოდა გვარის განსახლება სხვადასხვა მხარეში. ყოველ გვარს აქვს ბუდე და განსახლების არეალი. ერის საცხოვრებელი ტერიტორია შედგება საგვარეულო ბუდეებისაგან ისევე როგორც ერი შედგება გვარებისაგან.

მრავალრიცხოვანი და საქართველოში ფართოდ გავრცელებული გვარი საყვარელიძე ერთძირიანი გვარია. მისი ბუდე იმერეთშია. აქ ადგილის სახელებში მრავლად შემორჩენილა საყვარელიძეთა გვარის სახელი: „საყვარელიძები“ - უბანი იმერეთის სოფელ ჯგილათში (თერჯოლის რაიონი), „საყვარელიძის წისქვილი“ - ამავე სოფელში (15, 218), აქვე ჯგილათის მებობელ სოფელ ვარდიგორში შემორჩენილია ადგილის სახელი „საყვარელიძის გარემო“ (15, 152), თერჯოლის მახლობლად სოფელ ღვანკითში ერთ სახნავ ადგილს ჰქვია „საყვარელიძისოული“, სოფელ ღილიკაურში ვენახი - „საყვარელიძის გარემო“ და სახნავი - „საყვარელიძისოული“, სოფელ მარტოთუბანში უბანი - „საყვარელიძეები“ და საძოვარი „საყვარელიძეებისოული“, ზესტაფონის მახლობლად შორაპანში „საყვარელიძეების სერი“ და „საყვარელიძის ტყე“ - „საყვარელიძის წისქვილი“ - სოფელ კვალითში და „საყვარელიძის სერი“ - სოფელ ილემში. ეს ორივე სოფელი ზესტაფონის მახლობელი სოფლებია, „საყვარელიძისოული“ - ვენახი სარაგაულში, „საყვარელიძის ადგილი“, ტყე ჭიათურის რაიონის სოფელ ჯოუეთში და



„საყვარელიძეების ბნელა“ – ვაკე ადგილი ტყიბულიშვილის მუხლით, იონის სოფელ მუხურაში (14, 182; 15, 218).

მუხურაში საყვარელიძეებს არ უცხოვრიათ, მაგრამ აქაურ მთხოობელთა გადმოცემით ნახევარი მუხურა ჯგილათელ აზნაურ საყვარელიძეებს ეკუთვნოდათ (19, 8).

იმერელ საყვარელიძეთა აზნაურობა მრავალი დოკუმენტით დასტურდება. ამ გვარის წარმომადგენლები გვხვდებიან იმერეთის სამეფოს უმაღლეს სასულიერო თანამდებობებზეც: საყვარელიძე მელქისედეკ – გელათის მთავარეპისკოპოსად აკურთხეს 1519 წელს (8, 336; 11, 42), საყვარელიძე ექვთიმე I-აფხაზთა კათალიკოსი 1578-1616 წლებში (2, 134; 4, 19), საყვარელიძე ანდრია-მოქველი ეპისკოპოსი იხსენიება 1605 წლის საბუთში (8, 174), საყვარელიძე ევლემონ-აფხაზთა კათალიკოსი 1666-1673 წლებში (8, 483), საყვარელიძე სვიმონ-გელათელი მთავარეპისკოპოსი იხსენიება 1679 წლის საბუთში (12, 240), საყვარელიძე ექვთიმე II-დასავლეთ საქართველოს მიტროპოლიტი 1776-1820 წლებში და სხვა.

1703 წელს იმერთა მეფე გიორგის, აზნაურ საყვარელიძეთათვის ვარდიგორის, მუხურის და რცხილათის მამულები ჩამოურთმევია და რაჭიდან დევნილი თავადი იაშვილებისთვის უბოძებია (9, 126).

XIX საუკუნის 40-იანი წლების მონაცემებით იმერეთში საყვარელიძეთა ქონებრივ-სოციალური მდგრმარეობის და განსახლების შემდეგი სურათი იხატება: სოფელ ვარდიგორში საყვარელიძეები სახელმწიფო აზნაურები ყოფილან და 12 სხვადასხვა გვარის ყმებიც ჰყოლიათ, სოფელ მუხურაში საყვარელიძეთა ყმებს უცხოვრიათ მხოლოდ, სოფელ საგანოში სახელმწიფო აზნაურ საყვარელიძეებს უცხოვრიათ და 3 გვარის ყმები ჰყოლიათ ამავ სოფელში, ღვანკითელი საყვარელიძეებიც სახელმწიფო აზნაურები ყოფილან და აქ 1 გვარის ყმები ჰყოლიათ, თერჯოლაში საყვარელიძეთა ყმებს უცხოვრიათ, დილიკაურში, მარგოთუბანში და ბედა საქარაში



მცხოვრები საყვარელიძეები აგრეთვე სახელმწიფო აზნაურების ბიუოფილან და ამ სოფლებში ერთად (18) გვარის ყმებს ფლობდნენ, იღემელი საყვარელიძეები უყმო აზნაურები ყოფილან, დიმში ცეცხლიდათ საყვარელიძეებს რომლებიც საბატონო აზნაურები ყოფილან, ხოლო კვალითელი, ოფშეკვითელი და სარგვეშელი საყვარელიძენი გლეხებად იხსენიებიან (7, 21, 22, 28, 37, 41, 44, 53, 59, 65, 72, 74, 77, 79, 104).

თუ იმერეთის ყველა იმ სოფელს სადაც საყვარელიძეები ცხოვრობდნენ ან მამულებს ფლობდნენ რეკაზე მოვნიშნავთ დავინახავთ, რომ რამდენიმე სოფელი თავისი ურთიერთგანლაგებით რაღაც ერთიან ჯგუფს ქმნის. ეს არის დაახლოებით 12 კილომეტრიანი რეგიონი 6 სოფლით (ჯგილათი, ვარდიგორი, საგანო, საქარა, დილიკაური, მარგოთუბანი), ამ რეგიონს შეიძლება პირობითად ვუწოდოთ „საყვარელიძეთა მჭიდროდ განსახლების რეგიონი“ და გვარის ბუდე სწორედ ამ რეგიონში უნდა მოვიაზროთ. დანარჩენი სოფლები რეგიონს გარეთ არიან გაფანტული და მათი ურთიერთგანლაგება საგვარეულო ბუდის საძიებლად საჭირო ინფორმაციას არ შეიცავს.

იმერეთიდან საყვარელიძეთა ერთი შტო რაჭაში გადასულა. ქვემო რაჭის სოფელ კვირიკეწმინდაში საყვარელიძეები ჩანან აზნაურის ხარისხით. თუ ნიკორწმინდელი ეპისკოპოსები დავით და მელქისედეკ საყვარელიძენი, რომლებიც 1550-იან და 1560-იან წლებში იხსენიებიან (5, 91; 6, 86, 1397), რაჭის საყვარელიძეთა შტოს წარმომადგენლები არიან, მაშინ საყვარელიძეთა იმერეთიდან რაჭაში გადასულა XVI საუკუნის შუაწლებამდე უნდა ვივარაუდოთ.

საყვარელიძეთა იმერეთიდან ქართლში გადასულა იოანე ბაგრატიონის ცნობით 1512 წელს მომხდარა (1, 66), მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული 1776 წლის შიომშ საყვარელიძის საჩივრიდან ირკვევა რომ ეს გადასვლა XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე უნდა მომხდარიყო. „პაპაჩემი მკვიდრი იმერელი იყო და ქართლში გადმოვიდათ“ წერს



აზნაური მიოშ საყვარელიძე (16, 354), ქართლში საყვარელი ლიძენი თავად ციციშვილთა, თავად ორბელიანთა და თბილი გად ამილახვართა აზნაურები ყოფილან, ეს უკანასკნელნი შემდეგ სახასო აზნაურები გამხდარან (18, 59, 61, 64).

ქართლელი აზნაური საყვარელიძენი მრავალ საბუთში იხსენიებიან. ჩამოთვლილით ბოგიერთ მათგანს რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას საყვარელიძეთა განსახლების და კუთვნილი ყმა-მამულის შესახებ: 1761 წლის საჩივარი აზნაური საყვარელიძისა ტბეთში 1 საკომლო მამულის თაობაზე, რომელსაც თავადი ფავლენიშვილი ედავებოდა (16, 44-45), 1766 წლის საჩივარი აზნაური საყვარელიძისა თამარაშენში ამილახვრისაგან ბოძებული ვენახის თაობაზე, რომელსაც ურია დავითაშვილი ედავებოდა (16, 109-110), 1773 წლის თხოვნა აზნაური საყვარელიძისა, რომელიც ცხინვალში გალავანს გარეთ ცხოვრობს და ლეკიანობის გამო სხვა შედარებით უსაფრთხო ადგილზე გადასახლებას ითხოვს (16, 232), 1775 წლის საჩივარი აზნაურ საყვარელიძეთა, რომელიც ნიქობში 3 ლიდის მიწაზე დავას ეხება (16, 309), 1780 წლის საჩივარი აზნაურ საყვარელიძეთა, რომელიც ნიქობში, ტბეთში და თამარაშენში მამულზე დავას ეხება თავად ფავნელიშვილებთან, ამავე წელს აზნაურ საყვარელიძეებს თამარაშენში ნასყიდი მამულები სადაცვო გახდომიათ თავად მაჩაბლებთან (16, 466-467; 16, 479-480), 1790 წლის საჩივარი აზნაურ საყვარელიძეთა, რომელიც ისევ ტბეთის მამულზე დავას შეეხება თავად ფავლენიშვილებთან (17, 70). ამ საბუთებიდან ირკვევა რომ ქართლის საყვარელიძენი ბევრად უფრო ცოგა მამულებს ფლობდნენ, ვიდრე იმერეთში დარჩენილნი. მათ როგორც გვიან მოსულებს, უხდებოდათ ბრძოლა დამკვიდრებისათვის.

უფრო გვიან გადასულან საყვარელიძეები კახეთში. 1801-1802 წლების კახეთის აღწერაში, სოფელ მარტყოფში იხსენიება „ხიბანი იმერელი გლეხი საყვარელიძე 1 კომ-



ლი“ (3, 195). საყვარელიძეთა ეს ერთი კომლი ჯერ კინგის ხილაშვილის ხილაშვილის უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ დროისთვის დიდი ხნის გადმოსახლებული არ უნდა ყოფილიყო.

ზეპირი გადმოცემით შიგნით კახეთში, თელავის საყვარელიძეებიც იმერეთიდან გადმოსულან XIX საუკუნის I ნახევარში (20, 31).

გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს საყვარელიძეთა გვარში ვაჭრების გამოჩენა. ისინი სამცხეში ქალაქ ახალციხეში და ჩრდილო კავკასიაში, ქალაქ მოზღვიში ცხოვრობდნენ. ორივეგან კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასულან ახალციხელი საყვარელიძენი შემდეგ ხითარიშვილებად დაწერილან (21, 17).

გვარი შეუცვლიათ იმერეთიდან სამეგრელოში სოფელ სერგიეთში გადასულ საყვარელიძეებსაც. ისინი ამჟამად 3 კომლად ცხოვრობენ და საყვარელიას გვარს ატარებენ (10, 126).

საქართველოს ბედუეურმართობის გამო საყვარელიძეთა გვარის წარმომადგენლები გადახვეწილან მოსკოვში (1698 წელი, არჩილ მეფის ამაღა) და პარიზში (1921 წელი, ქართული ემიგრაციის ტალღა).

საქართველოში საყვარელიძეთა გვარის 300-ზე მეტი კომლია. აქედან დაახლოებით 150 კომლი თბილისში ცხოვრობს, 20 – ქუთაისში, 20 – თერჯოლის და 50 – ბესტაფონის რაიონის სოფლებში. საყვარელიძეები მცირე რაოდენობით არიან: სამჭრელის, ბაღდათის, ხარაგაულის, ამბროლაურის, ხაშურის, გორის, თელავის, და ლაგოდეხის სოფლებში.

არ არის გამორიცხული, რომ ქვემო ქართლში, ღმანისში მცხოვრები საყვარელიშვილების რამდენიმე კომლი, ორ ბელიანთა აზნაური საყვარელიძეების შთამომავალი იყვნენ.

ყოველივე ბემოთქმულის გათვალისწინებით საშუალება გვეძლევა ვიზუალურად წარმოვიდგინოთ განსახილველი გვარის გამრავლება-განვითარება დროში (იხ. გენეალოგიური ხე) და სივრცეში (იხ. განსახლების რუკა).

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

ପ୍ରକାଶନ କମିଶନ

三九八七九零七四八
三九八七九零七四八


08315630049073 08315630049073

ପ୍ରକାଶକ ମନ୍ତ୍ରାଲୟ

ପ୍ରକାଶକ ମନ୍ତ୍ରୀ

099 C 33

**საყვარელი ტემის გენერის განსახლება
საქართველოში**



THE STRUKTURE OF SETTLING OF A GEORGIAN FAMILY (ON THE SAKVARELIDZES EXAMPLE)

The article represents the attempt of analyzing of one Georgian family name.

Each nation consists of the families. Every family has its own nest and place of settling.

Using the cartographical method of ethnographical research or by means of space models of toponymical, statistical and historical-ethnographical facts, there become clear on the map the areals of tight settling of the family which are considered to be the first settling nests. In the present case we call this tight setting of the family a group of villages situated near each other where live or lived the representatives of this family. Here we also provide the social status and ownership of the family name.

The regularity of balance of territory and population is universal, it equally acts in every country. The population rises but the territory of settlement is unchanged. The redundant population sooner or later is obliged to leave the firstsettling territory.

As the result of the family reproduction the increased population leaves its nest divided into branches and goes to other places.

We tried to express the process of settling of the family in chronological sequence.

In order to show the growth of the branches from the main root, we represented a picture of the genealogical tree and, to show the space spreading of the family we represented a map of family settling.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. ბაგრატიონი, შემოკლებითი აღწერა საქართველო-სა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. გ. კაცელაშვილის რედაქციით, თბ., 1997.
2. ღ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987.
3. გ. ბოჭორიძე, კახეთის აღწერა 1801-1802 წლისა, საქართველოს არქივი, წიგნი II, თბ., 1927.
4. გ. ბოჭორიძე, იმერეთი, თბ., 1995.
5. ი. გუნია, საქართველოს მონასტრები, თბ., 2005.
6. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, თბ., 1963.
7. მ. კეჩევაძე, ქართული გვარსახელები იმერეთში, ქუთ., 2004.
8. თ. ქორდანია, ქრონიკები, ტ. II.
9. ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1973.
10. პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახელებანი სამეგრელოში, თბ., 2000.
11. ქართლის ცხოვრება (პარიზის ქრონიკა), გ. ალასანიას რედაქციით, თბ., 1980.
12. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ.I. თბ., 1991.
13. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 1993.
14. საქართველოს ტოპონიმია, ტ. I, თბ., 1987.
15. საქართველოს ტოპონიმია, ტ. III, თბ., 2003.
16. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. VII, თბ., 1981.
17. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. VIII, თბ., 1985.
18. გეორგიევსკის ტრაქტატი, გ. პაიჭაძის რედაქციით, თბ., 1983.



19. ავტორის საველე ჩანაწერების რვეული იმერუბისადა რაჭაში 1985.
20. ავტორის საველე ჩანაწერების რვეული კახეთში 1991.
21. ავტორის საველე ჩანაწერების რვეული მესხეთში 1999.

აშხაბთა ეთნოფსიქოლოგის გოგიართი საპითის მსტრიული წყაროების მიხედვით

XIX ს. 60-იან წლებში ევროპაში და შემდეგ რუსულ საისტორიო მეცნიერებაშიც გაგრძელდა მენტალობის საკითხის შესწავლა. ქართული ეროვნული ხასიათის დასადგენად კვლევითი მუშაობა დაწყებული იყო დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში, მაგრამ ამ მიმართულებით წარმატების მიღწევა შესაძლებელია პუმანიგარულ მეცნიერებათა მჭიდრო თანამშრომლობით. დღეისათვის ერს, როგორც სოციალურ ფენომენს სწავლობენ საბუნებისმეცყველო და საბოგადოებრივი მეცნიერებანი, მაგრამ პრაქტიკულად ისინი იხილავენ მის რომელიმე ასპექტს, მრავალი მხარე კი - შეუსწავლელი რჩება. "ეროვნული ფსიქიკა უნდა გულისხმობდეს ხასიათის თვისებების ისეთ ერთობლიობას, რომელიც მიუხედავად ერის ცხოვრებაში, მისი ისტორიის მანძილზე მომხდარი თავგადასავლებისა - ეროვნული ენერგიის გამოვლენის ხელისშემწყობი თუ შემაფერხებელი პირობებისა, სოციალური ფორმაციების ცვლილებებისა, ინარჩუნებს გარკვეული სახის სტაბილურობას. ხანგრძლივი ისტორიის პროცესში, მისი კულტურის განვითარების მსვლელობაში შემუშავებული სულიერი წყობა - ხასიათის ძირითადი ბირთვი შენარჩუნებულია" (1, გვ. 145). ამასთან დაკავშირებით, საინტერესო ფსიქოლოგიურ სიმართლეს შეიცავს მეგრული ანდაგია აფხაზების ხასიათის თავისებურებაზე. კერძოდ, "აფხაზეფი კოწიას იფუჩუანდესია დო მიხას უხუჯუანდესია // აფხაზები კოწიას იფიცებდნენ და მიხას ემხრობოდნენ (მხარს უჭერდნენ)" (2, გვ. 16).

ერის მხატვრული და ხალხური შემოქმედება, ისტორიის წყაროები, მითოლოგია, პოეზია, ბლაპრები, მუსიკა, ცეკვა, ზნე-ჩვეულებები, რიტუალები, რელიგია არის ულე-

ველი წყარო, რომელშიც შეიძლება ამოვიკითხოთ ეროვნული სამართლებრივი წყობის შესწავლა წარმოებდა ძირითადად ქართული ხელოვნების, ლიტერატურის მასალაზე და უფრო ნაკლებად უცხოელთა მიერჩვენი ხალხის დახასიათებაზე დაყრდნობით. "ასეთი მიღომა მიუხედავად დადგებითი მომენტებისა ბევრ სიძნელეს აწყდება. პირველი, ლიტერატურა, ხელოვნება საკმაოდ დაშორებული სფეროა ბაზისური მხრიდან – ეკონომიკიდან და სოციალური სტრუქტურიდან, სადაც არანაკლებ მკვეთრად ჩანს ეთნოფსიქია. შეორე, ასეთი მიღომისას უფრო ფართო ასპარეზი ემლება სუბიექტივიზმს. თითოეულ აუტორს შეუძლია თავისი განწყობისა და განწყობილების მიხედვით ამოირჩიოს ისეთი მხატვრული სახეები, ნაწარმოების ეპიზოდები, რომელთა მიხედვითაც მას სურს ამა თუ იმ ხალხის ხასიათის დანახვა" (3, გვ. 151).

ამჯამად, უცხოელი მოგზაურებისა და კათოლიკე მისიონერების ჩანაწერებს დავეყრდნობით, რომლებიც უშუალოდ თვითმხილველნი იყვნენ მათ მიერ გადმოცემული ამბებისა და შესაბამისად, ქართულ ისტორიოგრაფიაში სანდო წყაროდაა მიჩნეული.

მთის ხალხებისათვის დამახასიათებელი სამშობლოსა და თავისუფლების სიყვარული, მეომრული სულისკვეთება, უფროსისა და წინაპართა პატივისცემა, ოჯახური სიწმინდის დაცვა და სხვა ზნეობრივი თვისებები აფხაზების ხასიათსაც ამშვენებს, თუმცა გვიან შეასაუკუნეების ისტორიულ წყაროებში უფრო მეტად მანკიერ მხარეზეა ყურადღება გამახეილებული.

ეთნოსის, ხალხის გარემომცველი ბუნება მისი თვითშეგნების შინაარსში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, როგორც გარეგნობის, ისე ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებაში. "ეს ბუნება მის მიერ აღიქმება როგორც საკუთარი, მისგან განუყრელი დიდი ნაწილი, რომლისადმი მყარდება გარკვეული ემოციური მიმართე-

ბა. X ს-ში შექმნეს ჩვენმა წინაპრებმა კონცეფცია **საჯარო თვეელოს დეთისმშობლისადმი წილხვდომილობის თაობაზე**" (4, გვ. გვ. 23). სადაც არ უნდა იმყოფებოდეს აფხაზი, რაგინდ კარგად უნდა პქონდეს მოწყობილი პირადი ცხოვრება, მას თავის სამშობლოს ვერაფერი დაავიწყებს. ნიშნად უსაბღვრო სიყვარულისა, უსამართლოდ დევნილ ათასობით მუპაჯირს ათრთოლებული ხელით მიპქონდა ერთი მუჭა მმობლიური მიწისა. ასე შეინარჩუნეს მათ თვითმყოფადობა, რასაც მაღალი ეთნიკური თვითშეგნება ასაზრდოებდა. საერთოდ, აფხაზები "ბუნებასავით კეთილშობილები არიან, მაგრამ ვერაგები და ავები ხდებიან საქმე თუ სამშობლოს ეხება. წყენას არავის აპატიებენ" (25, გვ. 202).

აფხაზებსაც თავიანთი სამშობლო დეთის მიწად, სამოთხის ქვეყნად მიაჩნიათ. როდესაც წინასწარმეტყველი ქვეყნებს ანაწილებდა, მასთან დაგვიანებით მივიდა აფხაზი, ვინაიდან სტუმრი ჰყავდა და მისთვის საკალრისი პაგივისუემლად ვერ წამოვიდა. რადგან შენ ასე გცოდნია სტუმრის ფასი, შენი იყოს ის მიწა, საკუთრივ ჩემთვის რომ ამოვირჩიეთ - უთხრა წინასწარმეტყველმა და აფხაზეთის მიწა უბოძა (5, გვ. 204). ამ მითში აგრეთვე საყურადღებოა სტუმართმოყვარეობის უძველესი ტრადიცია, რომელსაც წმინდად ინახავენ სხვადასხვა ხალხები, მათ შორის აფხაზებიც. კ.ფ. გამბას ცნობით, როდესაც ქელეშ-ბეი სოხუმს განაგებდა, მას აქ თავშესაფარი მიუცია პორტას მიერ გაძვევებული ფაშისათვის და მისი ყონალი (მფარველი) გამხდარა. რაკი მასთან სტუმართმოყვარეობის ვალდებულებებით იყო დაკავშირებული, რასაც ძალგე წმინდად ინახავენ აქაური ხალხები, იგი არ დამორჩილებია დივანის ბრძანებას და თავისი ყონალი არ გაუცია (6, გვ. 85).

ამდენად, სტუმარი ისეთივე წმინდა და ხელშეუხებელი იყო, როგორც სამშობლო და ოჯახი. აფხაზურ სტუ-

მართმოყვარეობაში ნიშანდობლივია შემდეგი: "აფხაზები რაც უნდა დარიბი იყოს, ფაცხა თრი უნდა ედგას: ერთი სასტუმროდ, მეორე საჯალაბოდ თავის საცხოვრებლად. მთელი ყურადღება აფხაზს სასტუმრო ფაცხისათვის აქვს მიქცეული... მისთვის დიდი სირცხვილია სტუმარს ვერ დაუხვდეს, ვერ გაუმასპინძლდეს და დამე ვერ გაათენებინოს" (7, გვ. 397). რასაკვირველია, საქართველოს ყველა კუთხეში იყო სტუმრის მისაღები, მოსასვენებელი, ჭურჭელი და ლოგინი, მაგრამ ცალკე სასტუმროდ ფაცხასახლი ლოკალურად თავისებურია, ისევე როგორც მძიმე დანაშაულში მხილებულს, როგორიცაა სისხლის ამრევი, იყავდა სტუმართმოყვარეობის წესი, რაც ფიზიკურ არსებობას უმსუბუქებდა: "თუ განდევნილი მოასწრებდა რომელიმე ოჯახში შესვლას და ქვაბიდან უმცირესი საკვების მიღებას, პურ-მარილის პატივსაცემად არ შეეძლოთ მასზე უარი. ხოლო საზოგადოებრივი ზიზღისაგან მას ვერაუერი დაიცავდა" (26, გვ. 23-24).

მართალია, სტუმარი არ თხოულობს მასპინძლისგან დიდ პატივისცემას, მაგრამ ეს უკანასკნელი თავდაუზოგავად ემსახურება. ევლია ჩელები წერდა: ართის ტომის ბეგმა (თავადი) მოიტანა ოცი ცხვარი და სამი ირემი. "კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაო" - გვითხრა და მოწიწებით მოგვეპყრო. მისივე ცნობით, სოჩას ტომის სოფ. პადაქში სტუმრად ყოფნისას, მიუხედავად იმისა, რომ იმ დამეს ქორწილი ჰქონდათ, მოუტანეს ასი ხოჩა ცხვრის ხაშლამა, წვნიანი, თაფლის წყალი, ბობა*, ღომი, ხორცის შეჭამანდი და საწებელი. ასობით ყმაწვილი ემსახურებოდათ (8, გვ. 101-103). სტუმრის გამასპინძლებისას თვალშისაცემია აფხაზების გულუხვობა და ხელგაშლილობა. მათი აზრით, "სტუმარს რასაც გულით მიართმევ, საიქიოს წინ

* ბობა - ფეტვის ბურახი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1950, გვ. 1088.

დაგხვდება" (9, გვ. 104). თავად აფხაზი მდიდრულ სტატუსი, მას არ ეფანება. ღომის მოზრდილი და ყველის მცირე ნაჭერი საკმარისია მისთვის, რომ მსუელ ისადილოს (27, გვ. 61). კვებისას განსაკუთრებით ზომიერი აფხაზი სტუმარს თხას ან თიკანს და ხარსაც კი უკლავს, რაც მნახველისთვის ყოველთვის გასაგები არ არის. ასე, მაგ., ტორნაუს მათი სტუმართმოყვარეობა დიდად საგარალოდ მიაჩნდა (28, გვ. 57). კვებისას თავშეეავება მთიელების საერთო თვისებად ითვლებოდა. ცხადია ამის მიზეზი ისიცაა, რომ აფხაზი მხოლოდ იმით სარგებლობდა, რასაც ბუნება აძლევდა, ნაკლებად ზრუნავდა კეთილდღეობისათვის. ამრთა სხვადასხვაობაა იმაზე, თუ რატომ არ ეტანებოდა თევზს, რომელიც ძველად აფხაზეთში საეკლესიო გადასახადს წარმოადგენდა. პ. ჭარაია წერს: კიბოს და სხვას აფხაზი არ მიეკარება, თევზსაც ძლიერ ერიდება, მხოლოდ ახლა ცოტ-ცოტა შეეჩვია (10). სხვა წყაროში დაცულია ცნობა, რომ აფხაზები თევზჭერას მისდევდნენ, დელფინებიდან ქონს იღებდნენ და ჰყიდდნენ, მაგრამ "ამ საქმიანობით ზღვის სანაპიროზე მცხოვრები აფხაზები იყვნენ დაკავებული" (29, გვ. 8). სხვათაშორის ცხოვრების განსხვავებული წესის მიხედვით, მთის კალთებზე და ზღვის სანაპიროზე მცხოვრები აფხაზების ორი კატეგორია არსებობდა. ეს უკანასკნელები "ნაკლებ ველურები" იყვნენ (25, გვ. 211). "ველური" - მოვერიიდებოდით ამ სიტყვის გამოყენებას, რომ არა ერთმნიშვნელოვანი აღიარება "აფხაზები ველური და ბარბაროსი ხალხია" (არქ. ლამბერგი, უან შარდენი, უაკ ფრანსუა გამბა და სხვ.). ზღვასთან სიახლოვე და სხვადასხვა ხალხთან ურთიერთობა ბიწიერებას ავრცელებს - მიაჩნდა არქ. ლამბერგის. "შეგრელებმა შეითვისეს ბერძნებისგან ვერაგობა, სომხებისაგან - სიცრუე, რუსებისგან - თავდაუჭერლობა და ლოთობა, თვით თურქებისაგან - დალატი, აფხაზებისაგან - სისასტიკე და ქურდობა" (11, გვ. 149).

აფხაზების მძარცველობასა და მტაცებლობასთან კავშირებით არაერთი ცნობაა წყაროებში დაცული. მათ შორის ყველაზე საინგერესოა ევლია ჩელების შენიშვნა აბაზას (იგივე აფხაზ) გეჩიების ტომბე – “ძალზე შეძლებული ქურდები არიან”. მისივე ცნობით, აბაზები ერთმანეთს ებრძვიან, ბავშვებსა და ქალებს იტაცებენ, ტყვეებს ჰყიდიან და ამით ცხოვრობენ. კაცი, რომელიც ქურდი არ არის, ამ ხალხის თვალში ბედშავი და საწყალია. ამიტომაც ასეთებს არც მეჯლისებში დაუშვებენ და არც ქალიშვილებს მისცემენ ცოლად (8, გვ. 102). მეჯლისი არაბულად "მაჯლის", დიდი ლხინის, წვეულების გარდა, კრებას, ბჭობას ნიშნავს. ამდენად, მეჯლისში ანუ ჩვენს შემთხვევაში სახალხო კრებაზე, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემურ საკითხებზე თათბირობდნენ, მამაკაცი თუ ქურდი არ იყო, დასწრების უფლება არ ჰქონდა. სამეცნიელოშიც ქურდობა ვაჟკაცობად ითვლებოდა. თუ ქურდი არ იყო ცოლს არ მისცემდნენ (ე.ი. ქალს ვერ ითხოვდა). ამ სოციალური ბოროტებისადმი საზოგადოების სიმპატიამ საკმაოდ დიდხანს იარსება. აფხაზეთში ყმაწვილს პატარაობიდანვე ამზადებდნენ ამ ხელობისათვის. მშობლები უკურთხებდნენ იარაღს, აძლევდნენ და არიგებდნენ: "უფალმა სიმრთელე მოგცეს და წარმატება ყოველგვარ ქურდობაში" (12).

ცნობილია, რომ ქართველი მთიელი ვაჟის ფიზიკური აღზრდა იწყებოდა ხუთი-ექვსი წლის ასაკიდან. უფრო მოგვიანებით ყმაწვილი მიღრეკილებას იჩენდა იარაღისადმი და ათი-თორმეტი წლიდან ვარჯიშობდა თოფის სროლას ნიშანში. აფხაზები ყრმას პატარაობიდანვე აჩვევდნენ ან შუბის ხმარებას, ან მძიმე რამეების ჰაერში სროლას, ან თხრილებზე გადახტომას "რათა შეიძინოს ძალა და გაიწვროთნას სიმარდეში" (11, გვ. 155).

ხანგრძლივი დროით საავაბაკოდ წასული აფხაზის ოჯახის დაცვა ქალს ევალებოდა, რაც მისგან მოითხოვდა



იარაღის მოხმარების საჭიროებას. ქალების ჯირით მარულაში მონაწილეობა მისაღებად ითვლებოდა, მაგრამ ჩვეულებრივ საქმედ ვერ ჩაითვლება ცნობა იმის შესახებ, რომ კეთილშობილი ოჯახების აფხაზი ქალები კაცურად ჩაცმულნი დამით საქურდლად დადიოდნენ (12). კიდევ უფრო უცნაური ის, რომ მსგავს შემთხვევებს აღიაღი ჰქონდა თურმე სამეგრელოშიც (13, გვ. 33).

კავკასიის მთიანეთში არსებული ტრადიციით, უცხო მხარეში ლაშქრობა და ნადავლის წამოლება საძრახისად არ ითვლებოდა. "ისინი იკრიბებიან ოცი-ოცდაათი კაცის რაოდენობით და მიდიან სათარეშოდ, რამდენადაც შესაძლებელია შორს მათი სამოსახლოებიდან" (14, გვ. 40). ამ ხანებში აფხაზი მეკობრები აღწევდნენ გურიამდე და აოხრებდნენ მხარეს. თავად აფხაზებს გარეშე ხალხის თავდასხმის არ ეშინიათ, "ერთმანეთის ეშინიათ" (8, გვ. 105), ვინაიდან თვით აფხაზები თავს ესხმიან და სძარცვავენ ერთმანეთს (11, გვ. 155). ისეთ დაუნდობლობას იჩენდნენ, რომ მათი მხრიდან საფრთხე ემუქრებოდა აფხაზეთის მთავარსაც. კერძოდ, საღილად მოწვევული აფხაზეთის მთავარი შეპყოვნდა, როცა შეიგყო, რომ ორ თუ სამი ათასს ჩერქეზს, მაპმალიან აფხაზებთან ერთად განებრახავთ თავს დასხმოდნენ მის საცხოვრებელს სოუკსუში (ლიხნში) (6, გვ. 85). ქრისტოფორო კასტელს, მთავრისადმი დაუმორჩილებლობა აფხაზების "უკმეხი ხასიათით" აუხსნია. მისივე ცნობით, ისინი მეგრელებზე უფრო ამაყი ერია (15, გვ. 79). მთის ხალხებისთვის სიამაყე და დიდგულობა ტიპიური თვისებებია, მაგრამ აფხაზები პატივმოყვარეობითა და გაფაქიზებული ღირსების გრძნობით გამოიჩევიან. "აფხაზი ისევე როგორც ჩერქეზი ტყვედ არ გაპყიდის თავის თანამემამულეს, სამაგიეროს გადახდის შიშით. ყველაზე საწყალ, უკანასკნელ გლეხს შეუძლია გაუსწორდეს თავის ბატონს და მთავარსაც თუ

გაბედავენ და მის რომელიმე ახლობელს ტყვედ გაპყიდვის ან" (30, გვ. 121).

დასავლეთ საქართველოში ტყვეთა სყიდვას ისეთი მასშტაბური და ლეგალური ხასიათი ჰქონდა, რომ გავერნიე მის შეღებებს კიდევ უფრო მუქ უერებში წარმოაჩენს: ისე მიჩვეულნი არიან ამ ქვეყანაში ერთმანეთის გაყიდვას, რომ როგორც კი ქმარს ან ცოლს ფული დასჭირდება, მაშინათვე ერთ-ერთ შეიღს პყიდიან და ხშირად შეიღს ცვლიან ნაჭრებში ან სხვა ამგვარ საქონელში (16, გვ. 6).

მუხანათობისა და სისასტიკის გარეშე მტაცებლობას წარმატება არ მოჰყვება. ეს შარდენი დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ ვერაგულად მოიქცა აფხაზეთის მთავარი, რომელიც სამეგრელოში მოსულიყო აღთქმითა და ფიცით თითქოს მხარეს თურქებისაგან დაიცავდა. სინამდვილეში კი თავისი ლაშქარი გამოიყენა მის დასარბევად. საბოლოოდ, ათას თრასი კაცი ტყვედ წაიყვანა, პირუტყვითა და ნადავლით ისე გაბრუნდა, სამეგრელოს სასიკეთოდ არაფერი გაუკეთებია (17, გვ. 216).

სამართლიანობა მოითხოვს გიულდენშტედტის ცნობასაც არ ავუაროთ გვერდი, რომელიც შენიშნავს, აფხაზები საკმაოდ მშვიდობისმოყვარენი არიან, თუკი ისინი ვინმეს თავს ესხმიან, უმეტესად მიყენებული შეურაცხყოფისათვის შერის საძიებლად. ასეთი თავდამსხმელი ჯგუფი იკრიბება ბებერი მუხის ქვეშ, რომელშიც არჭობენ ხმალს, რამდენჯერმე გარს უვლიან მას და ამბობენ: ჩვენ მივდივართ მგრის წინააღმდეგ (მგერს ასახელებენ) დაგვაჭერინე ან დაგვახოცინე ისინი. მათი იარაღია თოფები და ხმლები, აგრეთვე მშვიდდ-ისარიც (18, გვ. 49). რაიმე მნიშვნელოვანი საქმის წინ, წმინდა ხესთან აფხაზების შეკრება და მაგიური ქმედება წარმართული გადმონაშთია, რასაც უფრო მთაში მცხოვრები აფხაზები მისდევნენ (31, გვ. 323). მთის ხალხებში დაცული სისხლის აღე-



ბის ჩვეულება, მუდმივად აღჭურვილ მდგომარეობის, მზად ყოფნას მოითხოვდა. "ყოველმა კაცმა იარაღის წარამარა ტარება მხოლოდ დაქვეითების ხანაში დაიწყო, როდესაც აღარ იყო პირადი უშიშროება და თითოეულ კაცს თავის თავზე უნდა ებრუნა, ვინაიდან მარადეამს, იმ დროსაც კი, როდესაც არ იყო საომარი მოქმედება, მოსალოდნელი იყო საერთო თუ კერძო მტერი" (19, გვ. 195).

ამდენად, აფხაზისთვის აუცილებელი ნივთი ყველა სახის იარაღი უნდა ყოფილიყო, რაც ამ პერიოდში საბრძოლო და თავდასაცავ საშუალებად ითვლებოდა. შესაბამისად ისინი ამუშავებდნენ რკინას, რომლიდანაც იღებდნენ საუკეთესო ფოლადს. "ამით კი ამზადებდნენ თოვებს, ჭედენ ხმლებს და დანებს" (20, გვ. 112). პოლ გიბალის ცნობით, რომელმაც 1818-1819 წლებში იმოგზაურა აფხაზეთის მოსახლეობასთან სავაჭრო ურთიერთობის დასამყარებლად, წერდა: მაღნეულის დამუშავება აფხაზებმა თითქოს არ იცოდნენ, მხოლოდ როცა დასჭირდებოდათ, ჩამოიგანდნენ ტყვიას საბალოდან, ვისაც რამდენი სურდა, გააღნობდნენ და აკეთებდნენ ტყვიებს (21, გვ. 155).

სამკაულ-იარაღს აღრე აფხაზები ე.წ. "ჰაერზე დაბარხვისას" მიცვალებულს ატანდნენ. ჯოვანი და ლუკა (1630 წ.) დაწვრილებით აღწერს დამარხვის უჩვეულო წესს: მიცვალებულები ოთხ ბოძე დაყენებულ მაღალი ხის ფუღუროში იყვნენ მოთავსებული. ფუღუროს შესასვლელი იხურება, მაგრამ არა მაგრად, რათა ჰაერი შევიდეს და შეხედვა შეიძლებოდეს. ამის გამოა, რომ თურქი ვაჭრები ამ ქვეყნის თაფლს უხალისოდ ჰყიდულობენ. მათ მიაჩნიათ, რომ ფუტკრები მკედრების სხეულით იკვებებიან (22, გვ. 157). მიცვალებულის ჰაერზე დაკრძალვა ცნობილი იყო კოლხეთში, თუმცა გ. ანჩაბაძე აღიღეურ კავშირებზე მიუთითებს. მიცვალებულის გარკვეული წესით ხეზე დაკიდება, კავკასიის ძველ მოსახლეობაში აღიღეური ტომების გამოკლებით არსად არ გვხვდება (32, გვ. 39).

ამ და სხვა უცნაურმა ჩვეულებებმა ათქმევინა ევლიან წერილის "აბაზას ქვეყანაში მრავალი რამ საოცარი და სასწაულებრივია, მაგრმ მათი აღწერა შეუძლებელია" (8, გვ. 104).

არც იმის გაგებაა ადვილი, თუ მოუნათლავი აფხაზი რატომ მარხავს ეზოში თავის მიცვალებულს, ხოლო მისი სულის მოსახსენებლად სხვაგან, გზაგასაყარჩე აშენებს ფარდულს - აბაყას. აյ ავდარმოსწრებულ მგზავრს შეუძლია დამე გაათიოს, დაისვენოს, სასმელ-საჭმელიც მიიღოს და შენდობა შეუთვალოს მიცვალებულის სულს. თ. სახოკიას თქმით, ამ მაღლიან შენობებს, ერთგვარი სასტუმრო შეიძლება ვუწოდოთ (7, გვ. 401). აქვე აფხაზების სხვა სათნოება უნდა გავიხსენოთ, როგორიცაა უპატრონო მიცვალებულების საფლავებზე სუფრის გაშლა, საიქიოს მყოფნი რომ უნათესავოდ არ დარჩენილიყვნენ (5, გვ. 100). კაცომოყვარეობის არაჩვეულებრივი მაგალითია ისიც, რომ მწყემსები ცხერის დაკვლის შემდეგ ხეზე ტოვებდნენ მოხარშელი ხორცის ნაწილს გამვლელი მგზავრისათვის.

აფხაზების რელიგიური შეხედულებების მკვეთრი ცვალებადობა აისახა არამარტო ფსიქიკაზე, არამედ ყოფაშიც. დავიწყებთ 8. ჭიჭინაძის ცნობით, რომ აფხაზნი მეტად ყოჩაღი, მხნე ხალხია. ესენი ერთ დროს საქართველოს ძლიერების სახელნი იყვნენ. ამიტომაც იყო, რომ ეს კუთხე დიდად უყვარდათ ქართველ მეფეებს. ხოლო გათათოების მძიმე ისტორიის შემდეგ, აფხაზნი სჯულის გულისთვის ისე იხოცავდნენ თავებს, რომ მასზე უსასეფო კესი აღარა შეიძლებოდა რა (23, გვ. 145). XVII ს-ში მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მაინც გამუსლიმანდა, გავრცელდა სუნიტერი ისლამი, ხოლო ქრისტიანობის უკიდურესი შესუსტების შედეგად, გააქტიურდა ძველი წარმართული სარწმუნოება. ამიტომ "აյ შეიძლებოდა შეხვედროდით ყველა რწმენის წეს-ჩვეულებებს, ფანაგიბ-

მიღან ქრისტიანობამდე" (33, გვ. 25). შესაბამისად აფხაზები ბი არ ცნობდნენ არც ერთი რელიგიის დოგმატებს, უუმცკმა მამა-პაპური ჩვეულების მიმდევარმა აფხაზმა ქრისტიანული მრწამსისადმი ერთგულება გამოიჩინა. "არც ერთი ხალხი, ასე მოწიწებით, სიფრთხილით არ ეკიდება საეკლესიო ნივთებს, როგორც აფხაზები და ქართველები" (30, გვ. 120). ეკლესის გაძარცვის შემთხვევაში, ნადავლში ხატს არ გაურკვდნენ. ხატთაყვანისცემა შემორჩენილი ჰქონდათ. უან შარდენი შენიშნავდა: "ჩვენს გემზე მოვიდა მაღალი წოდების აფხაზი, შვიდი თუ რვაკაციანი ამალით. მას სამი ტყვე მოჰყავდა. ამალას კი მოჰქონდა ნადავლი. მრავალნაირ საქონელს შორის იყო ხატის ვერცხლის ჩარჩო. ჩვენს შეკითხვაზე თუ სად იყო თვით ხატი, მათ გვიპასუხეს, რომ ხატი ეკლესიაში დაგოვეს. ვერ გაბედეს მისი წამოღება, რადგან შეემინდათ ხატს არ დაეხოცა ისინი" (17, გვ. 212).

ბიჭვინთის სახელგანთქმულ სალოცავში აფხაზებსა და ჩერქეზებს ხშირად მიპქონდათ საღვთო ძღვნად ნაძარცვი საქონლის ნაწილი (6, გვ. 80). მართალია, ნაძარცვი საქონლის უფლისადმი შეწირვა არაა სათნოება, მაგრამ ამ ხანებში აფხაზებს სხვა რაიმე შემოსავალი არ გააჩნდათ. აქედან გამომდინარე, შესაძლოა მათ საქციელს გამართლება მოეძებნოს.

ვაჭრობას და მრეწველობას მოკლებული აფხაზები უკიდურეს სიდუხჭირეში ცხოვრობდნენ. არსებულ სოციალურ უთანასწორობას მათი ჩატმულობა გამოხატავდა. "მეტწილად სუსტი აღნაგობისა და დაბალი ტანისანი იყვნენ. ფეხები და ბარძაყები წერილი და მოხრილი ჰქონდათ. თითქმის ყველა ცისფეროვალება იყო. მათ მზერაში უფრო შიში ჩანდა, ვიდრე ვერაგობა; ეცვათ ძალიან დარიბულად. საკმაოდ შავგვრემანებს, წაწვეტებული და არწივისებრი ცხვირი გრძელი არ ჰქონდათ. ტერფები მეტისმეტად განიერი, უდავოდ იმის გამო, რომ ჩვეულე-

ბად აქვთ უფეხსაცმლოდ და უსანდლოდ სიარული. მხედვების ლოდ გოგიერთ მათგანს თუ პქონდა ფეხებზე შემოხვეული და ტირიფის წკნელით დამაგრებული ტერის ან მგლის ტყავის ნაჭერი, რაც ფეხსაცმლის მაგივრობას უწევდათ... თავადები ჩერქეზულ ტანსაცმელს აფარებენ. ისინი საშუალობები მაღალი ტანისანი, ღონიერები იყვნენ და კარგი გარეგნობა პქონდათ. გეგონებოდათ სხვა წარმოშობის არიანო, ვიდრე ის აფხაზები, რომელთა პორტრეტი მე ეს-ეს არის აღვწერე - წერდა ჟ.ფ. გამბა (6, გვ. 90).

ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული წყაროებიდან ვახუშტი ბატონიშვილის გარდა, აფხაზებს მხოლოდ და მხოლოდ ჩერქეზებს ამსგავსებენ. აფხაზები მეტად მკერივი, დაბალი სიმაღლით და უხეში, არასწორი ნაკვთებით, მეტად ბრტყელი თავის ფორმით და ტლანქი სახის იერით გამოირჩევიან. გარეგნობით ისინი ჩერქეზებს ვერ შეეძრებიან. მათ მაღალი ტანი და დახვეწილი სწორი ნაკვთები აქვთ (34, გვ. 95). გამუდმებული თარეში და მტაცებლობა, მათ საუკეთესო მებრძოლებად აყალიბებდა, თუმცა მეომარ ჩერქეზებს არ აღემატებოდნენ. ე. კოვალევსკი ცხოვრების წესით, ჩვეულებებით, საქმიანობით, შეიძრალებით, ტანსაცმლით უამრავ საერთო თვისებას პოულობდა აფხაზებსა და ჩერქეზებს შორის (35, გვ. 95).

წყაროებში დაცული ცნობების განზოგადების მიხედვით, აფხაზები უფრო შავგვრემანები, შავთმიანები და გამხდრები არიან. უმეცრებაში მყოფნი, მკაცრნი, დაუნდობელნი და შურისმაძიებლებია. კანონების უქონლობის გამო მთავრის არ ეშინიათ. იმედოვნებენ მხოლოდ საკუთარ იარაღებ, რომელსაც არასდროს არ იცილებენ (36, გვ. 251). მათ უარყოფით თვისებებს მიეკუთვნება სიამაყე, ცრუმორწმუნეობა, გადაუწყვეტელობა, მერყეობა, ეჭვიანობა და გარმაცობა (37, გვ. 259). საერთოდ, პატიოსანი შრომისმოყვარეობა და ყაჩაღური მიღრეკილებები კავკასიელების საერთო თვისებად განიხილება. გრაფი პასკე-

ვიჩი აფხაზებს ანგარებასა და მუხანათობაში, რუსების და ქართველების მი არა კეთილგანწყობაში ამხილებს (38, გვ. 125; 128).

აღსანიშნავია, რომ აფხაზები მრისხანე მთიელებისაგან მაინც განსხვავდებიან. უპირველესად ქალთან თავაზიან დამოკიდებულებაში. კერძოდ, მამაკაცისთვის დიდ სირცხვილად ითვლება, თუკი ქალი პირველი დაასწრებს მისალმებას. ქალის მიახლოებისას პატივისცემის ნიშნად მამაკაცები ფეხზე დგებიან და არ სხდებიან სანამ რამდენჯერმე არ შეთავაზებს (39, გვ. 24). ოჯახში ქალი ქმრისადმი მორჩილებით გამოირჩევა, მაგრამ არც ისეთი დამცირებულია, როგორც ნ. დუბროვინი აღიქვამს. თითქოს ქმარს ცოლზე სიკედილ-სიცოცხლის უფლება ჰქონდეს. მისივე ცნობით, მიუხედავად იმისა, რომ ქალი მთელ ცხოვრებას ქმრის უღელქვეშ ატარებს, გასაოცარი ზნეობრივი სისპერაკით გამოირჩევა (40, გვ. 43). ძველად ქმარს უფლება ჰქონდა მოეკლა არა მარგო დალაგზი მხილებული მეუღლე, არამედ მისი მაცდენებელიც. ვახუშტი ბატონიშვილი შენიშნავს: "არა იქმნებიან მათ შორის სიძეა, მრუშება, რამეთუ დასწუენ შემცოდეთა" (24, გვ. 780). სახუკელის სიმძიმეც გასათვალისწინებელია, მაგრამ აფხაზი ქალების უფრო ბუნებრივი თვისებაა ერთგულება, რითაც მამაკაცები შინაგანად ამაყობენ.

ჩერქეზებისგან აფხაზებს დასახლების სტრუქტურა და შრომა-საქმიანობის სფერო განასხვავებს. "ჩერქეზები ცხოვრობენ დიდ სოფლებში კომლებად, აფხაზები ტყეში ცალკე ოჯახებად გაბნეულნი, როგორც სამეგრელოსა და იმერეთში" (18, გვ. 217). აფხაზები მეურნეებია და არა ჩერქეზებივით მომთაბარენი. თუმცა შრომაში თავს ძალას არ ატანენ და მეცხოველეობასა თუ მიწათმოქმედებას მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილებების შესაბამისად მისდევდნენ. ამგვარ მარტივ და ბუნებრივ ცხოვრებას ეწეოდნენ, რომელსაც თავისი ლაზათი და მიმზიდველობა აქვს.

ხალხის ხასიათი, განვითარების დონე და საყმაფო ტექნიკური ხორებო კულტურა, შესაძლებელია ქორწილისა და გლოვის რიგუალებში უფრო აისახოს, რაც მომავლის საქმედ მიგვაჩნია.

IRMA KVASHILAVA

SOME ASPECTS OF ERTHNOPSYCHOLOGY OF
ABKHAZIANS ACCORDING TO HISTORICAL
SOURCES

The work is an attempt to ascertain the psychology of Abkhazians according historical sources (mainly according to the descriptions of foreign travelers and missionaries). Like other highlanders the love of motherland and freedom, fighting spirit, honor of elders and ancestors, protection of family purity, hospitality and other moral values are peculiar features of Abkhazians. But in late Medieval sources we read that Abkhazians were involved in piracy and robbery. These sources tell us how cunning and pitiless they were. Extreme poverty of Abkhazian population, who were not enough involved in agriculture and stock-breeding, lacking trade and industry were causing predatory instincts needed being permanently armed. Boys were trained since early childhood for the activity. Notorious robber was worthy of sympathy. Much the more, if a man was not a robber he had not a right to attend a public meeting.

According to data preserved in the sources Abkhazians' are more brunets, dark-haired, medium height and thin. Their negative features are: severity, pride, ambition, mercilessness, superstitiousness, laziness, and vindictiveness. As they had not



law, they rely on ruler and trust their own weapon, which was a common feature of the Caucasians.

Ethnic character is a unit of historic-cultural varieties of an ethnic group the study of which must be carried on under the close cooperation of the researchers of humanitarian sciences.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ვლ. ნორაკიძე, ქართული ეროვნული ხასიათის კვლევის პრობლემა ეთნიკურ ფსიქოლოგიაში, ქურნალი "მნათობა", 1988, № 7.
2. ხალხური სიბრძნე, მეგრული და ლაზური ანდაზები I, თბ., 1994.
3. გ. ყორანაშვილი, ეროვნული საკითხი, თბ., 1997.
4. გ. ყორანაშვილი, ეთნიკური თვითშეგნება და ტრადიციები, თბ., 1984.
5. ს. ბუხბა, აფხაზური ბეპირსიტყვიერება, თბ., 1988.
6. ქ. ფ. გამბა, მოგბაურობა ამიერკავკასიაში, ტ. 1, თბ., 1987. ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა.
7. თ. სახოკია, მოგბაურობანი, ბათუმი, 1985.
8. ევლია ჩელების მოგბაურობის წიგნი, ნაკვეთი I, თბ., 1971. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ.
9. აფხაზური ფოლკლორი, თბ., 2003.
10. პ. ჭარაია, აფხაზეთი და აფხაზნი, გაზეთი "ივერია", 1888, № 167.
11. არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1991. გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ი. ანთელავაძემ.

12. კ. მაჭავარიანი, ეთნოგრაფიული წერილები, გამუქმნილი "ივერია", 1885, № 276.
13. კ. ბორობდინი, რაფ. ერისთავი და მურიე, ბატონყმობა სამეგრელოში, ტფ. 1927.
14. დე გრაი დე ფუას ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1985. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯ. ოდიშელმა.
15. ღონ ქრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, თბ., 1976. თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ.
16. ტავერნიეს მოგზაურობიდან, ჟურნალი "მოამბე", 1898, № 6.
17. ქან შარდენი, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თბ., 1975. ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლივილმა.
18. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. 2, თბ., 1964. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო. გ. გელაშვილმა.
19. დ. სართანია, ივანე ჯავახიშვილი და ქართული ეტიკეტის ისტორიის საკითხები, თბ., 2002.
20. ი. რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, თბ., 2002. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა.
21. მ. ეფრემიძე, გიბალის მოგზაურობა აფხაზეთში, 1818-1819 წლებში, დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის მრომები, 1963.
22. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნებაცემის, წ. III, თბ., 1984.
23. გ. ჭიჭინაძე, ქართველების გამაპმადიანება ანუ ქართველთ გათათრება, თბ., 1915.

24. З. ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოს, ქართლის ცხოვრება, გ. 4, თბ., 1973.
25. М. Селезнев, руководство к познанию Кавказа, к. II, С-Петербург, 1847.
26. Ш. Инал-ипа, очерки по истории брака и семьи у абхазов, Сухуми, 1954.
27. А. Дьячков-Тарасов, бзыбская Абхазия, известия Кавказского отдела Императорского русского географического общества, т. XVIII, 1905.
28. Торнау, воспоминания Кавказского офицера, М., 1835.
29. Кавказ, справочная книга, Тиф. 1888.
30. Ф. Дюбуа Де Монпере, *путешествие вокруг Кавказа*, т. 1., Сухуми, 1937.
31. С. Броневский, новейшая географическая и историческая известия о Кавказе, ч. 1., М., 1823.
32. З. Анчабадзе, очерк этнической истории абхазского народа, Сухуми, 1976.
33. А. Леонид, Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно-Кананитский монастырь, М., 1885.
34. Г. Мерцбахер, к этнографии обитателей Кавказских альп, известия Кавказского отдела Императорского русского географического общества, т. XVIII, 1905.
35. Е. Ковалевский, народы западного Кавказа, в кг. Природа и люди Кавказа и за Кавказом, С-Петербург, 1869.
36. П. Зубова, картина Кавказского края, т. II, С-Петербург, 1835.
37. Статистическое описание губерний и областей Российской империи, т. XVI, ч. V, С-Петербург, 1858.
38. Граф Паскевич, утверждение наше в Абхазии, Кавказский сборник, т. XIII, Тиф. 1889.
39. З. Рихтер, в солнечной Абхазии и Хевсурети, М., 1930.
40. Н. Дубровин, история войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. II. С-Петербург, 1871.

„ოქროს სანმისის“ მნიშვნელობაა და მისი ქართულ
 სამყაროში დაპრენდის იღეა სენაკას მიხედვით

„ანგიკურობას არ დაუტოვებია
 ჩვენთვის არაფერი, რაც იქნებოდა
 ესოდებ საყოველთაოდ ცნობილი,
 როგორიც არგონავტების მოგზაურობაა“
 პიერ კორნელი.

წინამდებარე სტატია წარმოადგენს არგონავტების მითიზე ჩვენს მიერ შექმნილი საკმაოდ ვრცელი ნაშრომი-დან მოკლე ამონარიდს, რომელსაც დღევანდელი ყველა-სათვის ცნობილი ვითარებიდან გამომდინარე პერსპექტი-ვითაც კი არავინ იცის თუ როდის იხილავს ფართო სა-ზოგადოება.

როგორც ცნობილია, არგონავტიკის თემაზე ქარ-თველმა, რუსმა თუ სხვა უცხოელმა მეცნიერებმა, ანგიკუ-რი პერიოდიდან მოყოლებული – პოეტებმა, მწერლებმა, ფილოსოფოსებმა, იმდენი ნაშრომი, პოემა, ლექსი თუ პრობა შექმნეს და „ოქროს საწმისის“ ამბავი იმდენად მუდმივი თემა იყო (რასაც პიერ კორნელის ბემოთ მოყ-ვანილი ციტატაც აღასტურებს), რომ წინამდებარე ნაშ-რომში მათი სულ მცირე ნაწილის მითითებაც კი (ზოგი-ერთი გამონაკლისის გარდა) შეუძლებელია.

ამჯერად, ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, პირველი საუკუნის ბოწყინვალე რომაელი პოეტის, ფი-ლოსოფოსის და საზოგადო მოღვაწის ლუციუს სენეკას მიერ თავის პოემაში - „მედეა“ გაედერებულ იღეაზე, რო-მელიც „ოქროს საწმისის“ კოლხურ სამყაროში (ქართულ სამყაროში) დაბრუნებას გადმოგვცემს; ვფიქრობთ, „ოქ-როს საწმისი“ კოლხური სახელმწიფობრიობის სიმბო-ლოდ უნდა განვიხილოთ და სწორედ მსგავსი სიმბოლო-ებისადმი პატივისცემა და მისთვის გარკვეული დატვირ-

თვის მიცემა ქართული და ბოგადად ამა თუ იმ ციფრული გაციების თავის დროზე განვითარების გარკვეულ მაღალ დონეზე მიუთითებს, რომელიც მისი ერთ-ერთი გადამრჩენი და მამოძრავებელი ძალაა. სამწუხაროდ ქართულ-მა მეცნიერებამ სენეკას ამ მიდგომას სათანადო ყურადღება არ მიაქცია, თუმცა ეს სულაც არ არის გასაკვირი იმდენად, რამდენადაც საქართველოს ისტორიის თეორია ქართველებს ჯერ კიდევ ვერ დაგვიწერია.

ამჯერად ჩეენს მიზანს არ წარმოადგენს არგონავტების და მედეას ცხოვრების მთელი თემის წარმოჩენა, მითის, რელიგიის და მათი ურთიერთმიმართების ფართოდ განხილვა; ამ საკითხების ფართოდ გადმოცემა ჩვენი სტატიის ფარგლებში შეუძლებელია. ჩვენი მიზანია „ოქროს საწმისის“ გარეშე ქართული ცივილიზაციის წარმოუდგენლობის იდეის ჩვენება, რომელიც პირველ საუკუნეში ნათლად დაინახა და გადმოგვცა სენეკამ, თუმცა სანამ უშეალოდ ამ მომენტს შევეხებოდეთ, ბოგიერთი რამის აღნიშვნა მაინც მოგვიწევს.

უძველეს ძველაღმოსავლურ ცივილიზაციებს შორის ქართული ცივილიზაცია, შეიძლება ითქვას სწორედ რომ ერთადერთია, რომელიც მრავალ ქარტეხილებს და ყველანაირ ისტორიულ გამოცდებს გადაურჩა. გადარჩა როგორც თვითმყოფადი ერი და სახელმწიფო, ის დღემდე იბრძვის და ცდილობს იყოს მსოფლიოს სხვა ცივილიზებულ ერთა შორის თავისი განსაკუთრებული კოდით. მაგრამ ვფიქრობთ, ქართველებს დღემდე ბოლომდე არა გვაქვს გაცნობიერებული, თუ რა ძალამ შეგვაძლებინა ეს ამ პატარა ერს, ამდენი უბედურების და უცხოელთა თუ „მინაურთაგან“ წამდაუწუმ ჯიჯკის შემდეგ – მარტივად რომ ვთქვათ გადარჩენა, თავის შენახვა და მსოფლიო ისტორიაში საკუთარი აღვილის და როლის შენარჩუნება. ვფიქრობთ, ისტორიის ფილოსოფიის ასპექტით თუ შევხედავთ, დღევანდელი ჩვენი განსახილველი საკითხისადმი

ჩვენებული მიღებომა სულ მცირე ასპექტით ზოგადად შპასტიკა გასცემს კითხვაზე პასუხს. ისიც აღსანიშნავია, რომ მთელი არსებით და სულით ამა თუ იმ ერისადმი კუთვნილი ადამიანი თუ შეძლებს ამა თუ იმ ცივილიზაციის შინაგანი განვითარების გზების გარკვეულწილად ბოლომდე ჩაწყდომას; ამით იმის თქმა გვინდა, რომ სულით ნამდვილ ქართველზე უკეთ საქართველოს ისტორიის და კულტურის საიდუმლოს ვერავინ ჩაწედება. აქვე მოვიშველიებთ კულტურის, ისტორიის და ფილოსოფიის გენიალური გერმანელი მკვლევრის და მოაზროვნის ოსვალდ შპენგლერის სიტყვებს: „თითოეული დიდი კულტურა ფლობს სამყაროს შეცნობის საიდუმლო ენას, რომელიც მთლიანად გასაგებია მხოლოდ იმისთვის, ვისი სულიც ამ კულტურას ეკუთვნის“ [24, გვ. 191].

კოლხეთში არგონავტების ლაშქრობის ამბავს ჩვენ სამეცნიერო ლიტერატურაში „მითს“ ვუწოდებთ. ერთი შეხედვით ის მითია, იმდენად, რამდენადც იქ აღწერილი ამბის დარი ცივილიზაცია არქეოლოგების მიერ ჯერჯერობით გამოკვეთილად აღმოჩენილი არ არის. მიუხედავად ამისა, საჭიროდ მიგვაჩნია დავსვათ შეკითხვა, თუ რა არის ზოგადად მითი? რასაკვირველია აქ ჩვენ ვერ შევძლებთ მითის გენეზისთან დაკავშირებული ყველა მოსაბრების მოყვანას (რამოდენიმეს გარდა), რადგან მისი განსაზღვრება სამეცნიერო ლიტერატურაში ხუთასზე ბევრად მეტია; ჩვენთვის ამჟამად ის საინტერესოა ზოგიერთი კუთხით.

ე.მ. მელეტინსკის აღნიშვნით, მითოლოგია, „განუწყვეტლივ გადმოგვცემს ნაკლებად გასაგებს, უფრო გასაგებად, გონებისათვის მიუწვდომელს, გონებისთვის მისაწყდომად და განსაკუთრებით უფრო ძნელად ასახსნელს. მითოლოგია არა მხოლოდ პირველყოფილი ადამიანის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებამდე დაიყვანება არამედ მისი შემეცნებითი პათოსი დაქვემდებარებულია მა-



პარმონიშირებელი და მომწესრიგებელი მიზანსწორაფულობისაკენ; ორიენტირებულია სამყაროსადმი ისეთ ერთიან მიღებომასთან, რომელშიც მცირეოდენი ქაოგურობის და უწესრიგობის ელემენტებიც კი არ დაიშვება. ქაოსიდან კოსმოსის გარდაქმნა წარმოადგენს მითოლოგიის ძირითად არსეს; ამასთან კოსმოსი დასაწყისშივე ჩართულია ფასეულ ეთიკურ ასპექტში. მითი ხსნის და აკანონებს არსებულ სოციალურ და კოსმოსურ წესრიგს მის იმ გაგებაში, რომელიც დამახასიათებელია მოცემული კულტურისათვის“ [17, გვ. 169-170].

ე. კასირესის განმარტებით, მითოსსა და რელიგიას „სათავე უდევს ადამიანური არსებობის ერთსა და იმავე ძირეულ ფაქტებში. ადამიანური კულტურის განვითარებაში ვერ მივუთითებთ თუნდაც ერთ მომენტს, სადაც მითოსი წყდება და რელიგია იწყება. მთელი თავისი ისტორიის მანძილზე რელიგია განუყრელად ერწყმის მითოსურ ელემენტებს და გამსჭვალულია ამ ელემენტებით. მეორე მხრივ, მითოსი, თვით უაღრესად უხეშსა და გადაგვარებულ ფორმებშიც, შეიცავს ისეთ მოტივებს, რომელიც ერთგვარად მიგვანიშნებს მოგვიანებით უფრო გაკეთილ-შობილებულ რელიგიურ წარმოდგენებებებს. უკვე დასაბამითვე მითოსი პოტენციური რელიგიაა“ [5, გვ. 145].

ამ თემაზე გარკვეულ პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით არსებობს ე. კასირერისაგან განსხვავებული მიღებომაც და არა ერთიც. მაგალითად ტრენჩჩინი-ვალდაპუელ იმრეს თქმით, „მითოლოგია წარმოიქმნა რელიგიის ნიადაგზე, მაგრამ მან მაინც პირველად შეძლო შემოქმედებითად პოოგრესული პოზიციებიდან წარმოედგინა და აქსნა ბუნების და საზოგადოების მოვლენები; მითოლოგიაში აირეკლა ლილის ცისკარი ადამიანთა თვითშეგნებისა“ [21, გვ. 37].

როგორც გამოჩნდა, აქ საკითხი ისმის რელიგიის და მითოლოგიის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით,

იმაზე თუ რომელია პირველი. ამჯერად ჩვენ აქ ამ კულტურული კითხზე ვრცლად არ ვიმსჯელებთ, მაგრამ აღნიშნავთ, რომ ჩვენთვის უფრო მისაღებია კასირების მსჯელობა მითოსის და რელიგიის შერწყმის შესახებ და რომ „მითოსი პოტენციური რელიგიაა“.

ნ. დუბოვის აღნიშვნით, „მითებს ჩვენ ზღაპარს ვუწოდებთ თუმცა, განაგრძობს ავტორი, ძველი ხალხებისთვის ისინი სულ არ იყო უაზრო მონაგონი, მოფიქრებული გართობისა თუ ვისმე დასარიგებლად; ისინი იყვნენ ყველაზე სერიოზული ცდები სამყაროს გაგების და ახსნისა მისი წარმოშობისა, მასში ადამიანის ადგილის და როლისა“ [13, გვ. 9].

ვ.ი. ავდიევი კი აღნიშნავს, რომ „თუ დავეყრდნობით კვლევის შედარებით-ისტორიულ მეთოდს, სხვადასხვა ხალხთა მითების მიხედვით, მაგალითად, ძველი ეგვიპტელების, ბაბილონელების, ბერძნების, რომაელების, ებრაელების, სპარსელების, ინდოელების და სხვა, შევძლებთ თვალი გავადენოთ ისეთ მოვლენებს, როგორიც არის პატრიარქატიდან მაგრიარქატებე გადასვლა, ბუნების კულტიდან მეფეების გაღმერთებამდე, გვაროვნელი წყობიდან მონათმფლობელობაზე გადასვლას, ცეცხლის და მეტალურგიის აღმოჩენას და სხვა ისტორიულ ფაქტებს“ [7, გვ. 5].

მითოლოგიის შესახებ არსებული ზოგიერთი ამ არასრული განმარტებებითაც ნათლად ჩანს, რომ მითი ქათსიდან კოსმოსისაკენ სვლის და წესრიგის დამკვიდრებისკენ მიმართული გზაა; ის წრის შეკვრისკენ ისწრაფვის, რომლის შიგნით გარკვეული მომწესრიგებელი სიმბოლოები ექცევა, რომელიც შემდგომში ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებაში, მის ჩამოყალიბებასა და ზოგადად აზროვნების განვითარებაზე გარკვეულ გავლენას ახდენს. ამ შემთხვევაში ასეთად ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ „ოქროს საწმისი“, როგორიც სიბრძნის და ერთიანობის სიმბოლო იმდროინდელი კოლხური სამოგადოებისათვის.

ისიც აღსანიშნავი და საამაყოა, რომ ამ სახის საზოგადოება ჩემ ჩვენ ისე შორეული წარსულიდან მოგვდგამს. მეორე მხრივ მითოლოგია, თავის წიაღში კაცობრითის თუ ამა თუ იმ ხალხის განვითარების ფაზებს, მომენტებს და უფრო მეტიც ისტორიულ ფაქტებსაც კი საქმაოდ რეალურად ინახავს; როგორც ჩანს, მითი იმ რეალიებზეა დამოკიდებული, რომელიც ამა თუ იმ ხალხის ცხოვრების გზაზე, ამა თუ იმ გარემოს წიაღში არსებობს. მასასადამე მითი, ჩვეულებრივ ზღაპრად თუ უაბრო მონაგონად ნამდვილად არ შეიძლება მივიჩნიოთ.

ვუიქრობთ, მითი არგონავტების შესახებ, ჩვენი ერის ისტორიბმთან, მის ისტორიულ წარსულთან ახლოს დგას. ის რეალურად გადმოგვცემს ქართული სულის ჩამოყალიბების პროცესებს და ერს მომავლისკენ უხსნის გზას, ზოგადად ვამცნობს ქართული სულის მისის მიმართულებას და სიდიადისკენ უბიძგებს. ამავე დროს სხვადასხვა ხასიათის მითებს შორის ის შეიძლება განცალკევებულადაც დავაყენოთ; ვგულისხმობთ იმას, რომ არგონავტების ამბავი შეუძლებელია პირველყოფილი საზოგადოების ნაყოფად გამოვაცხადოთ, არამედ ის უკვე გარკვეული ერთიანი სულიერი იდეის მატარებელი, კარგახნის ქაოსგამოვლილი საზოგადოების კუთვნილად უნდა მივიჩნიოთ.

როგორც გ. ლებონი აღნიშნავდა, „ერმა შესაძლოა ძალგედ ბევრი რამ დაკარგოს, განიცადოს ყველა შესაძლო კატასტროფები, მაგრამ მაინც შეინარჩუნოს აღმავლობის შესაძლებლობა; თუმცა მისთვის ყველაფერი დაკარგული იქნება და ის ვერასდროს აღმავლობას ვერ შეძლებს, თუ მან დაკარგა თავისი სული“ [15, გვ. 44].

მითში არგონავტების შესახებ, სწორედ რომ სულიერების ძიების გარკვეული იდეაა გადმოცემული, რაც გ. გამსახურდიამ სავსებით მართებულად გაიაზრა. ავტორის თქმით, „არგონავტების ლამქრობა არის წინარექოისგიანული ინიციაცია და შემთხვევითი არ არის, რომ

ოქროს საწმისს სულიერ მეცნიერებაში ეწოდება კლასიკური კური გრაალი. ოქროს საწმისი კლასიკურ პერიოდში, ანტიკურ პერიოდში არის იგივე, რაც შეა საუკუნეების გრაალი და ფილოსოფიური ქვა. ფილოსოფიური ქვა და გრაალი არის აგრეთვე იდენტური მცნებები. ფილოსოფიური ქვის ძიება არის არა მარტო ფიზიკური ოქროს ძიება, არა ამედ სულიერი ინიციაციის ძიება, დეთის ძიება, რომელიც ანტიკურ მისტერიებში გადმოცემული იყო, როგორც ოქროს საწმისის ძიება, ხოლო ოქროს საწმისი იყო კოლხეთში... ლაშქრობა კოლხეთში სიმბოლურად, იმაგინატურად არის ლაშქრობა სულიერი სიბრძნის, მისტერიული სიბრძნის მოსაპოვებლად, რომელიც იმჯამად შემონახული იყო მხოლოდ კოლხეთში და აღარ არსებობდა უკვე საბერძნეთის ტერიტორიაზე, აღარც ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში... უდიდესი გმირები საბერძნეთისა-თებერვალი, პერაკლე და იაზონი იმ ქვეყნებში ლაშქრობენ სულიერი სიბრძნის, მისტერიული სიბრძნის მოსაპოვებლად, რომელიც წარმოშობით პროგოქართული, პროგობერიული იყო“ [1, გვ. 16-17].

არის სხვა მომენტიც. კერძოდ, ვერძის ტყავის მაგიურობის იდეა უფრო ადრე არსებობდა პროგოხეგურ, ხეთურ, ურარტულ და მესოპოტამიურ სამყაროშიც, რომელსაც პ. გიორგაძე საერთოანატოლიური წარმოშობისად მიიჩნევს და უარყოფს პ. ჰაასის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „მითოსი კოლხეთში ვერ წარმოიქმნებოდა. პ. გიორგაძე, სავსებით დასაშვებად მიიჩნევს ამ მითოსის საფუძველს ან მისი ანალოგიურის ძებნას სწორედ კოლხეთში [2, გვ. 287-293]. მაშასადამე, „ოქროს საწმის“ არა მარტო კოლხები ფლობენ, არამედ პროგოხეთები და შემდგომ ხეთები და შესაძლოა ხეთების სამეფოს გაქრობის შემდეგ (ძვ. წ. აღ. XII საუკუნის დასაწყისი) სწორედ გარკვეულწილად კულტურულად ახლოს მყოფი ქართველური მასა, კერძოდ კოლხები (აյ არ არის საუბარი ხეთებისა და

ქართველური ტომების შესახებ არსებული ნათესაობის თეორიის კონტექსტში) უფლებიან ან მათაც ტრადიციით მოსდევთ სულიერი იდეის და სიბრძნის ეს სიმბოლო („ოქროს საწმისი“), სიმბოლო ძლიერებისა, ერთიანობისა თუ სამეფო ხელისუფლებისა, რომელის წართმევას ამავე სისხლის წიაღმი (პელაგერი) გამოიყენება ბერძნები ცდილობენ; და ეს მათ ერთ მომენტში შეძლეს კიდეც; თუ რატომ ერთ მომენტში, ამაზე ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ.

აქვე ბოგადად, მაგრამ ვფიქრობთ ყურადღების ღირსია ის მომენტიც, რომელიც წინაბერძნული (პელაგერი) და არა მარტო წინაბერძნული, არამედ მთელი მეღიგერიანული სამყაროს) ცივილიზაციის შემქმნელი ხალხის აღმოსავლურთან, კავკასიურთან და კერძოდ ქართველურთან ნათესაობას ეხება [იხ. 4, გვ. 9-24], [11, გვ. 6-24] და რომელსაც ევროპელი თუ ამერიკელ მეცნიერთა ნაწილიც იმიარებს [3, გვ. 163-226]. რ. გორდებიანი კი აღნიშნავს, რომ „ცივილიზაციის განვითარების ელინური გზა ძველ სამყაროში იყო მხოლოდ ერთ-ერთი და არა ერთადერთი, და რომ თვით იგიც ბევრად ძველაღმოსავლურ და წინაბერძნულ-ეგვიპტური კულტურის იმპულსებზე იყო დამოკიდებული“ [4, გვ. 10].¹

¹ აღსანიშნავია და საკითხთან ახლოს დგას წინარე ინდოევროპელების და ამ შემთხვევაში ბერძნების წინარესამშობლოს პრობლემა. თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი, ბერძნებს მცირე აზიდან გადასახლებულ ხალხად მიიჩნევენ. ისინი ბერძნებს გამოყოფენ ინდოევროპულ-საერთოანაგობლიურ დიალექტებ ჯგუფად, რომელშიც შემდგომ, მათივე აბრით, გამოიყოფა ბერძნული, სომხური, ინდოირანული დიალექტები (Т. В. Гамкrelidze, В. В. Иванов, Миграций племен – носителей индоевропейских диалектов, Вестник древней истории, М. 1981, №2, ст. 13-16). ი. დიაკონოვი არ იმიარებს ამ მოსაბრებას და ინდოევროპელთა წინარე სამშობლოდ ბალკანეთ-კარპატების რეგიონს მიიჩნევს (И. В. Дьяконов, О прародине носителей индоевропейских диалектов, 2, Вестник древней истории, М. 1982, №4, (162), ст. 18,24).

აღსანიშნავია, რომ ბერძნული თქმულებების მიხედვით, მათი დინასტიების შემქმნელი გმირები, სულ სხვადასხვა ქვეყნიდან მოსულან ან მოუტაცებიათ. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ზესის მიერ ევროპის მოტაცების მოგივი [იხ. 8, გვ. 77-79], რომელიც ვფიქრობთ, იდეის დონეზე ახლოს არის საწმისის და მედეას მოგაცებასთან. ევროპა კი სახელოვან შვილებს უშობს და უზრდის ზევსს [8, გვ. 77-79], [21, გვ. 144-146], [19, გვ. 171-173]. მითიური სამყაროს მსგავსი გმირები, შემდგომში აღაფრთოვანებენ და იპყრობენ მთელს სამყაროს, ისინი გადადიან ახალ ცივილიზაციულ მდგომარეობაში და ნ. დუბოვის სიტყვებით, რომ ვთქვათ, „ხდება ევროპის მეორედ მოტაცება“ [13, გვ. 10].

სწორედ რომ მსგავს სიმბოლოებზე იგებოდა გარკვეული იდეოლოგიის განვითარება, რელიგიური რწმენის და ცოდნის ჩამოყალიბება კაცობრიობის განვითარების დასაწყისიდან დღევანდელობამდე. როგორც ვ. ვუნდტი მიუთითებდა, „თუმცა რწმენა ადამიანთან კავშირში ბუნებრივ სამყაროსთან შეადგენს რელიგიური მისტიციზმის უახლოეს მიზებს, მაგრამ ამის გარდა ამ უკანასკნელს აქვს სხვა ფესვებიც, რომლისგანაც ის განსაკურებით იღებს ცხოველმყოფელობას ცოდნის შემდგომი განვითარების დროს. ეს არის რწმენა-სიმბოლოების მნიშვნელობისა“ [9, გვ. 358].

სწორედ რომ „ოქროს საწმისი“ იყო სიმბოლო, რომელიც ადგილობრივ ნიადაგზე, განვითარების შორეული გზის გავლის შედეგად კოლხურმა ცივილიზაციამ შექმნა და მის მამობრავებელ ელემენტად გადაიქცა; ის იყო სახელმწიფოებრიობის, მეფობის, თუგრიდ მეფე-ქურუმობის სიმბოლო, რომლის წართმევაც ბერძნულმა სამყარომ გადაწყვიტა. როგორც ბრწყინვალე ფრანგი ისტორიკოსი ფისტელ დე-კიულანჟი აღნიშნავდა, „ძეელ დროში ყელა საზოგადოების შემაკავშირებელ ელემენტს წარმოადგენს

კულტი“ [23, გვ.157], „რომელიც მეფის ხელით სრულდებოდა, რელიგიურ მისტერიებს მეფე-ქურუმი ასრულებდა და თუ ის სხვადასხვა მიზეზების გამო კარგავდა ამის უფლებას ან თუ წაართმევდნენ მას ამ სიმბოლოს (კულტის სიმბოლოს), ის კარგავდა მეფის და ქურუმის უფლებებს“ [23, გვ. 190]. როგორც ბეჭოთ არაერთხელ აღინიშნა, სწორედ ასეთი სიმბოლო (საწმისის სხვა დატვირთვასთან ერთად) კოლხთა მეფე აიეტისთვის, და არა მარტო მისთვის, არამედ მთლიანად კოლხური ცივილიზაციისთვის იყო ოქროს საწმისი, რომლის დაუფლებაზე ქიშპობა ორ სამყაროს შორის (ბერძნული და წინაბერძნული, ამავე დროს კოლხური) პირველობისთვის ბრძოლასაც კი გვაგონებს. ისმის კითხვა-დაკარგა კოლხეთმა „ოქროს საწმისი“? სწორედ ამ შეკითხვაზე პასუხის დაფიქსირება გახლავთ ჩვენი წინამდებარე სტატის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი.

საკითხთან მიმართებაში ყურადღება არ შეიძლება არ მიექცეს არგონავტიების და საერთოდ კოლხური ცივილიზაციის მკვლევარის, ქართველი მეცნიერის, ო. ლორთქიფანიძის შემდეგ სიტყვებს, „ოქროს საწმისი“ - ხელისუფლების სიმბოლო და ბერძენთა და აიეტის ცილობის საგანი, აიას ქვეყნის პოლიტიკური სისტემის განმსაზღვრელია და შესაბამისად მისი ფარია: ოქროს საწმისის დაკარგვა ქვეყნის კეთილდღეობის, აიეტისთვის კი პოლიტიკური ანუ ერთპიროვნული ხელისუფლების აღსასრულს ნიშნავს“ [6, გვ. 74]. სხვა ადგილას კი ავტორი აღნიშნავს, რომ „მედეას ცხოვრება ელადაში სხვა თემაა და იგი სცილდება არგონავტიების უმთავრეს სიუკეტს – ბერძენთა ლაშქრობას ოქროს საწმისისათვის აიეტის ქვეყანაში“ [6, გვ. 15].

ჩვენ არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო „ოქროს საწმისის“ მთავარი იდეის განსაზღვრების დროს ავტორის მიერ გაკეთებულ დასკვნებთან, თუმცა ო. ლორთქიფანი-

ძეს ვერ დავეთახმებით იმაში, რომ მედეას შემდგომი საქართველოს „ოქროს საწმისის“ ბედი სულ სხვა თემაა. თუ არგონავტიკის მთავარი თემა „ოქროს საწმისისათვის ბრძოლაა, მაშინ არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, თუ რა ბედი ეწია მედეას და კოლხთა „ოქროს საწმის“. მაშასადამე, ვფიქრობთ, მედეას ელადაში ცხოვრება, შემდგომში მისი კავშირი „ოქროს საწმისთან“ და ამ უკანასკნელის ბედი სხვა დანარჩენ საკითხებთან ერთად, არგონავტიკის ერთ-ერთ ძირითად, შეიძლება ითქვას საკვანძო თემად უნდა მივიჩნიოთ, მით უმეტეს დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე.

ამ თემას, როგორც ზემოთ, დასაწყისშივე აღვნიშნეთ, ყველაზე უკეთ ჩაწვდა ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ლეუის სენეკა, რომელმაც „ოქროს საწმისის“ ბედი და მისთვის ბრძოლის მთავარი იდეა რამოდენიმე ფრაგით ბრწყინვალედ ახსნა. კერძოდ, სენეკას „მედეა“-ში გვაქვს შემდეგი მინიშნება, რომელსაც ტექსტის ქართული თარგმანის არარსებობის გამო რუსულად მოვიყვანთ:

«Престол отца и брата – все вернула я,
Владеют снова колхи золатым руном,
Вернулис власть и отнятая девственность» (20, ст. 40).

პოემის ტექსტის სხვა რუსული თარგმანიც არსებობს:

«И скиперт мой, и брата, и отца,
вернула я, владеет вновь колхиди,
Добычем барана золотово,
Возвращено похищенное девство,
О наконец, смягчились божества!» (16, ст. 91).

შემდგომ ავტორთაგან, მსგავსი მიდგომა არა კურიერის კასეული დონის სიცხადით, მაგრამ მაინც გაუღერებულია ევრიპიდესთან (480-406), კერძოდ, როდესაც მედეა გაიგებს იმის შესახებ, რომ აიეტის კუთვნილი სამეფო კვერთის ხელში ჩაიგდო მისმა ბიძამ პერსმა, მედეა მედთან (მედეას შვილი) ერთად მიდის [18, გვ. 135-235] კოლხეთში. მედმა მოკლა პერსი, ისევ დასვა სამეფო ტახტზე აიეტი და განავრცო კოლხეთის სამეფო, რომელსაც მიღიაც შემოუერთა [12, გვ. 459], [8, გვ. 165], [18, გვ. 136].

აქეე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, როგორც აპ. ურუშაძე აღნიშნავდა, „არგონავტების მითის თქმულების უძველეს ვერსიებში არ არის საუბარი იმაზე, რომ მედეა ღალატობს სამშობლოს და შემდეგ კლავს თავის შეიღებს. აქ საერთოდ არ არის ღალატრაკი მედეას ბოროტების შესახებ. მედეა კოლხეთს სტოვებს არა თავისი სურვილით, არამედ ღმერთების ნებით. მედეას მიერ ძმის მოკვლა პირველად იხსენიება სოფოკლესთან, ხოლო შეიღების ევრიპიდესთან“ [22, გვ. 26].

სენეკას ბემოთ წარმოდგენილი ფრაზის იდეური დატვირთვა უაღრესად საყურადღებო და მნიშვნელოვანია. ჯერ ერთი ის ამით ხამს უსვამს „ოქროს საწმისის“, როგორც ძალაუფლების, სამეფო ხელისუფლების და ასევე ეთნიკური სიმბოლოს მნიშვნელობას და იმაზეც მიგვითოთებს, რომ არგონავტიების ერთ-ერთი მთავარი თემა არის ბრძოლა ორ ცივილიზაციას შორის (ბერძნული და კოლხური), რომელი ძალაუფლებაც „ოქროს საწმისის“ სახით, სულიერი მფარველის და ღვთის მნიშვნელობით არის წარმოდგენილი; მის გარეშე წარმოუდგენელია მისი შემდგომი სვლა, განვითარება თუ აღმავლობა; მაგრამ ამავე დროს, ვფიქრობთ, სენეკას ამ ფრაზებში ყველაზე მნიშვნელოვანია იმ იდეის წარმოჩენა, რაც „ოქროს საწმისის“ და მედეას კოლხურ სამყაროში დაბრუნებას უსვამს ხამს. ეს შესაძლოა სენეკას საკითხისადმი ფილოსო-

უფროი მიღეომის ნაყოფია, მაგრამ ის რაიმე ღრმა აუდიტორიული მიღების გარეშე არ უნდა შექმნილიყო, მას გარკვეული იდეოლოგიური საფუძველი ან რეალური ფაქტი შეიძლება სდებოდა საფუძვლად; თუმცა სანამ ისტორიულ მეცნიერებას ამ საკითხთან მიმართებაში რეალური ფაქტი ექნება ხელთ, მისი იდეური დატვირთვაც საკმარისად მიგვაჩნია. ამის თქმა დღევანდელი გადასახელიდან საკმაოდ აღვილია – კოლხეთმა (მთლიანად ქართულმა ცივილიზაციამ) დაიბრუნა „ოქროს საწმისი“-ს ულიერი სიბრძნის, ღვთის სიმბოლო და არა მარტო დაიბრუნა, არამედ ყოველთვის წინ მიუძღვდა (სიმბოლოები ყოველ ეპოქაში იცვლებოდა მაგრამ მთავარი ის არის რომ რაღაც სახით ის ყოველთვის არსებობდა), გადარჩა ქართული ცივილიზაცია, სახელმწიფო ობრიობა, რომელიც ყველა ეპოქაში გარკვეული იდეალებით სულდგმულობდა – ოქროს საწმისი“ იქნებოდა ეს „წმინდა გიორგი“, საერთოდ ქრისტიანობა თუ კონკრეტულად მართლმადიდებლობა. ამ იდეების გათავისებით ქართველი ერი კრიტიკული ვითარებიდანაც კი ყოველთვის ახერხებდა თავის დაღწევას. და სწორედ დღეს ერმა წარსულიდან ამოსული და დღევანდელობისთვის მისაღაგებული გარკვეული იდეოლოგია უნდა გაიხადოს გადარჩენის ძირითად საფუძვლად. გადარჩენა ჩვენისთანა პატარა და დიდი განეტიკის ერისა მხოლოდ ამ გზით შეიძლება. ვფიქრობთ, საქართველოს მისი დიდი წარსულის მიუხედავად უფრო უკეთესი მომავალი აქვს. როგორც ცნობილია, ჩვენი ერის ისტორიაში იყო აღმართიც და დაღმართიც, მაგრამ მას კაცობრიობის თვალში ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი საბოლოო სიგყვა და ჩვენი მრავალტანჯულობაც იქითკენ უნდა წავიდეს, რომ მან თავისი ჯერ არ თქმული სიგყვა თქვას – გაცოცხლდება „ოქროს საწმისი“ და საბოლოოდ დაიბრუნებს საქართველო მიძინებულ დიდებას და უფრო მეტიც, ისეთ დიდებას, რომ ძველი ბრწყინვა-

ლება უმნიშვნელოდ მოგვეჩვენება და ყველანაირი საფუძველია, როგორც ყოველთვის, საქართველოში უნდა დამარცხდეს. ჩვენ არავითარი იარაღი ამ დიდების დასაბრუნებლად დღევანდელ მსოფლიოში არ გაგვაჩნია გარდა იმისა, რომ ჩვენ გვაქვს პრეტენზიები კულტურული ერის სახით მცოდნიოს თვალში კიდევ ერთხელ წარმოჩენისა, ჩვენ იდეს და უკვდავების ერი ვართ კაცობრიობის განვითარების ბლურბლბე. სწორედ ეს არის წმ. გიორგის ქვეყანა, სწორედ აյ ინახება ქრისტეს (აღმოსავლეთ საქართველო) და მარიამ ღვთისმშობლის (დასავლეთ საქართველო) კვართი; ჩვენი შეცდომა ის არის, რომ სამოთხეს სხვაგან ვეძებთ, როცა ის აქ არის – ქართული ცნობიერების წიაღმი.

ზოგიერთს შესაძლოა საკითხისადმი ჩვენეული მიღომა არ ეხამუშოს და ამ ე.წ. „გლობალიზაციის“ ეპოქაში (რაც, როგორც ჩანს, ეროვნული ფასეულობების დაკარგვას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე მის შენარჩუნებას) სულაც არ აინტერესებდეს, მაგრამ ისინიც უნდა დარწმუნდნენ, რომ ქართველებს მხოლოდდამხოლოდ საერთო ეროვნული იდეალების წინ წამოწევა, დაცვა და მათი ტრადიციულ ყოფასთან მჭიდრო კავშირი თუ გადაარჩენს როგორც ერს, ერს რომლის მსგავსი არც ისე ბევრია დრევანდელ მსოფლიოში.



Ясон достает золотое руно. Аттическая ваза V века до н. э.
(Нью-Йорк, музей «Метрополитэн».)

“GOLDEN FLEECE” AND THE IDEA OF ITS RETURN IN THE GEORGIAN WORLD ACCORDING TO SENECA

The work deals with the idea of the Greek poet, philosopher and public man Luscious Seneca In his poem “Medea” Seneca put forward the idea of returning back of “Golden Fleece” stolen by Greeks to the Colches world (to the Georgian civilization in general).

“Golden Fleece”, belonging to the Colches civilization, was temporarily stolen by Greeks. As the fleece was a symbol of spiritual wisdom, symbol of god, symbol of king’s might and statehood the owner of the fleece was the winner in the battle for superiority between tow civilizations (Greek and Colches). The winner was also the possessor of these values. The Fleece was the essence of the existence of the highly developed Colches kingdom of those days. Creation, development and flourishing of the kingdom was unimaginable without the fleece. Greeks’ could managed to steal it but, Medea managed to return it back to her native country. Thus, the civilization was saved. It restored its old glory. From today’s view similar ideals, weather it was “Golden Fleece”, “St. George”, Christianity or particularly Orthodox faith, saved Georgia and Georgian nation through history in its fight against numerous invaders. If we continue the path we have chosen since ancient times and revitalize our national energy, we will restore not only old glory but achieve one we had never reached before. This is our weapon and shield against our enemies which will bring us to the victory.

დამოწმებული ლიტერატურა

1. გამსახურდია გ., საქართველოს სულიერი მისია, თბ., 1990.
2. გიორგაძე გ., „საწმისი“ ხეთურ წყაროებში და მისი ანგიკური პარალელები (პ. პაასის მოსაზრებანი „ოქროს საწმისის“ თქმულების გენეზისთან დაკავშირებით), თბილისის უნის „მრომები“, თბ., 1982, გ. 227.
3. გორდებიანი რ., ეგეოსური კულტურა ბრინჯაოს ხანაში, „მიმომხილველი“, თბ., 1968, გ. I.
4. გორდებიანი რ., ბერძნული ცივილიზაცია, თბ., 1988, ნაკვ. I.
5. კასირერი ე., რა არის ადამიანი?, თბ., 1983.
6. ლორთქიფანიძე ოთ., არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბ., 1986.
7. Авдиеев В.И., ჟესავალი წიგნებე – Тренчени –Вальдапфель имре, Мифология, М., 1971.
8. Альтман М.С., Греческая мифология, М., 1937.
9. Вундт В., Душа человека и животных, спб. 1886, т. 2.
10. Гамрекелидзе Т.В., Иванов В.В., Миграции племенносителей индоевропейских диалектов, Вестник древней истории, М. 1981, №2, (156).
11. Гордезиани Р.В., Кавказ и проблемы древнейших средиземноморских языковых и культурных взаимоотношений, Тб., 1975.
12. Греивс, Мифы древней Греции, М., 1992.
13. Дубов Н., Почему нужно знать античную мифологию, ჟესავალი წიგნებე – Н. Парандовский, Мифология, М., 1971.
14. Дьяконов И.М., О прародине носителей индоевропейских диалектов, 2, Вестник древней истории, М. 1982, №4 (162).
15. Лебон Г. Психология народов и массы, спб. 1896.



16. Люций Анней Сенека, Трагедии, пер. М.Ф. Дератани, М., Л. 1933.
17. Мелетинский Е.М. Поэтика мыфа, М. 1976.
18. Мицкевичий словарь, М. 1961.
19. Паандовский Н. Мицкевичия, М. 1971.
20. Сенека, Трагедии, пер. С.Ошера, М. 1991.
21. Тренчени-Вальдапфель имре, Мицкевичия, М. 1991.
22. Урушадзе А. Страна волшебницы медей, Кавказ и средиземноморье, Тб. 1980.
23. Фюстель де-Кулланж, Граждансккая община древнего мира, спб. 1906.
24. Шпенглер О. Закат европы, М-Л. 1923, т. 1.

საბერის საეპისკოპოსო XVII-XVIII საუკუნეები

ცაგერის საეპისკოპოსო, რომელიც XVII-XVIII საუკუნეებში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, სავარაუდო IX- X საუკუნეებში უნდა დაარსებულიყო. ყოველ შემთხვევაში, ცაგერის საეპისკოპოსო VII-IX საუკუნეების ბიზანტიურ წყაროებში, სადაც ჩამოთვლილია ლაზიკის საეპისკოპოსოები, არ ჩანს (2; 21). ჩვენთვის ცნობილი პირველი ცაგერელი ეპისკოპოსი იხსენიება სვიმონ მესვეტის ხატის წარწერაში. ხატი შეუკვეთავს ანგონ ცაგერელს იშხანში მოღვაწეობის დროს. ირკვევა, რომ ანტონ ცაგერელი მოღვაწეობდა XI საუკუნეში, თავდაპირველად გახლდათ ცაგერის ხოლო შემდგომში იშხნის ეპისკოპოსი (6; 323-324).

„ცხენისწყლის აღმოსავლით არს ცაგერის ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი, გის ეპისკოპოზი, მწყემსი ლეჩხუმისა და სუანეთისა“ – ვახუშტის ეს ცნობა განსაზღვრავს ცაგერის ღვთისმშობლის ეკლესიის სამწყსოს და ლეჩხუმთან ერთად მას სვანეთსაც მიაწერს (5; 729). მართლაც, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე სვანეთში საეპისკოპოსო არ ჩანს და აღბათ ამ კუთხის საეკლესიო ცხოვრებას ცაიშისა (ბალს ქვემოთ) და ცაგერის (ბალსბემო და ცხენისწყლის ხეობის სვანეთში) ეპისკოპოსები უძღვებოდნენ (7; 7. 3; 76). თვით ცაგერის ღვთისმშობლის საყდრის კუთვნილი მიწა ტაძრის სიახლოეს მდებარეობდა და საკმაოდ ნაყოფიერი და ვრცელი ჭალები ეკავა. ტაძრის კუთვნილ ტერიტორიას ქვემო სვანეთის სოფლი, ყველორეში, ნამკაშურის ხეობა და სოფელი ლუხვანოს სახნავი ადგილი მუაში საბღვრავს და ამ მიწებს საეპისკო-



პოსო გლეხები „ცაგეროვანის ხატის ყმები ამუშავებულნება“ (9; 9. 2; 81).

XVII-XVIII საუკუნის საეკლესიო დოკუმენტები ცაგერის საეპისკოპოსოს, საცაგერლოს შესახებ საკმაოდ ვრცელ მასალას იძლევა (4, 8, 9). საცაგერლო გვიან შეა საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში საკმაოდ დაწინაურებული საეპისკოპოსოა, რომელიც აქტიურადაა ჩაბმული ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში და ხშირ შემთხვევაში უმთავრეს როლს ასრულებს როგორც იმერეთის მეფის კარზე, ასევე ოდიშის სამთავროში.

XVI საუკუნის ბოლოსთვის საცაგერლოს სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობის შესახებ თითქმის ამომწურავ ინფორმაციას იძლევა „საცაგერლოს გამოსავლის დავთარი“ (11). სამწუხაროდ, დავთარს თავში და ბოლოში ფურცლები აკლია, რის გამოც დამოწმებული მონაცემები სრული არ იქნება. ამ საბუთის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ საცაგერლო საშუალო შეძლების ფეოდალური გაერთიანებაა და მის შემაღენლობაში ლეჩხუმის 8 სოფლის სულ მცირე 64 კომლი შედის (11). მისი ტერიტორია მოიცავს ლეჩხუმის ორივე ნაწილს (დღევანდელი ტრადიციები ლეჩხუმს ორ ნაწილად, ხვამლის მთის გადაღმა და გადმოღმა ზონებად ჰყოფს (17) და ჩხუფელის, ზომხას, უსახელოს, ნაკურალების, აღვის, ლახეფის, ოყურების და მახურის მაცხოვრებელთ აერთიანებს. ყველაზე მეტი ყმა – 16 კომლი, ცაგერელს ოყურებში ჰყოლია. 14 საცაგერლოს კუთვნილი კომლია ნაკურალებში, ლახეფაში 12, ჩხუფელში 9, უსახელოში 3, მახურას 2, აღვსა და ზომხაში თითო-თითო. გლეხები ბატონს უმთავრესად ღვინით, ჰურით, ღომით, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის პროდუქტებით და სანთლით ამარაგებენ. იშვიათი სახის გადასახადებია: ყველის, გამომცხვარი ჰურის, სამაჭრობო საკლავის, სამარხევო ჰურის და ნააღდგომევს ბატქნის გადასახადი. საკმაოდ გავრცელებულია ბეგარის

ისეთი ფორმა, როგორიცაა პურის (ბატონისთვის) ჭმუქრი გვირთი (ანუ ტვირთების გადაბიდვაში მონაწილეობის მიღება), მუშაობა და ლაშქრობა. საცავერლოს გამოსავალი ანუ ცაგერის ღვთისმშობლის ტაძრის ფეოდალური მეურნეობის შემოსავალი წლიურად შეადგენდა: 320 გორო (10 240 ლიტრი) ღვინოს; 335 ფოხალ, 12 კაბიწ და 12 გორო (3572 კგ) ხორბალს; 83 ფოხალ (664 კგ) ღომს; 70 ქათამს, საკლავის რაოდენობა 852 თეთრის საკლავით, ერთი ძროხით, ერთი ცხვრითა და ოთხი საკლავით განისაზღვრებოდა; სანთლის გადასახადი 13 ოკა (39 გირვანქა) იყო (წონის თანამედროვე ერთეულებში დავთრის მიხედვით მოცემული მონაცემები გადაყვანილ იქნა მ.ალავიძის მიერ მოძიებულ ცნობებზე (1; 147-148) დაყრდნობით); ტვირთების გადაბიდვაში 42 კომლი მონაწილეობდა, მუშაობაში კი 38; ცაგერელის სამსახური 15 კომლს, „პურის ჭამა“ ანუ მისი გამასპინძლება უკლებლივ ყველა გლეხს, ლაქრობა კი 23 კომლს ედო ვალად. საცავერლოში, როგორც გადასახადებიდან ჩანს, მეურნეობის ძირითად დარგებს მეღვინეობა და მემინდვრეობა წარმოადგენს. ყველაზე მსუეყველები ოყურეში, ჩხეტელი და ნაკურალეშია. ამ სოფლების გადასახადების საშუალო რაოდენობა ასეთია: ოყურეშში ღვინის საშუალო რაოდენობის 150-160 ლიტრი იყო, ხორბლის კი 60 კგ-ს; ჩხეტელის გლეხობა ძირითადად ღვინოს იხდიდა და კომლს საშუალოდ 300-320 ლიტრამდე ღვინის გადახდა უწევდა, ნაკურალეშლებსა და ლახვულებს ძირითადად ხორბლის გადახდა უკალებოდათ, და საშუალოდ 60-65 კილოგრამსაც იხდიდნენ. სოფლებს წამყვანი მეურნეობების მიხედვით პქნიდათ გადასახადი და გამონაკლის აქ მხოლოდ ოყურეშია – აქაურ გლეხებს ხორბლის, ღვინის და საკლავის საკმაოდ მაღალი გადასახადები აღევთ (11; 3-8).

საცავერლოს გლეხთა გადახდისუნარიანობა დიდად არ განსხვავდება დასავლეთ საქართველოს სხვა ეპარქი-



ების ვლეხთა შეძლებისგან. საცაგერლოს გამოსახვალდა დავთრის მიხედვით, ყმათაგან ეპისკოპოსის ხაზინაში 3450 თეთრად ღირებული ნაფურალური პროდუქტია იყრის თავს. საცაგერლოს ყმების საშუალო გადასახადი კი დაახლოებით 57,5 თეთრია, რაც ამავე პერიოდთან მიახლოებული მონაცემებით სხვა ეპარქიის გლეხთა გადასახადს ცოტათი ჩამორჩება (10; 36, 37, 38).

საცაგერლოს ყმათა რიცხვში, როგორც სხვა საბატონოები გლეხები ანუ მოინალეები ჭარბობენ – მათი რიცხვი ორმოცდაორია, მოსამსახურეები თხუთმეტნი არიან. ცაგერის ეპისკოპოსის კუთვნილი ექვსი ოჯახი პარგახტია. პარგახტთა სიმრავლე შესაძლოა რაიმე დაავადების შედეგია (10; 38). პარგახტი მიტოვებული, დროებით უპატრონოდ დარჩენილი აღიღილია, რომელზე დასახლების შემთხვევაში ახალი ოჯახის გადასახადი წინასწარ არის განსაზღვრული. მაგ: ლაჭყეპიანი კვაკვალიას, (რომლის ოჯახსაც ეკუთვნოდა ეს მიწა) პარგახტის გადასახადი, ანუ ამ პარგახტებე მოსული ოჯახის გადასახადი შეაღგენს 5 გორო ღვინოს, 9 ფოხალ პურს, 44 თეთრის საკლავს, 2 ქათამს, 1 თეთრის ყველს, აგრეთვე პურის ჭმევას, ტვირთის ზიდვას და მუშაობას). ამ პარგახტის გადასახადი საშუალო გადასახადის ტოლია, ზოგიერთი პარამეტრით საშუალობე მეტიც კი, დანარჩენ ხუთ პარგახტსაც არ აქვს თვალშისაცემად მცირე გადასახადი (11; 3, 5, 6, 7), რაც მეტყველებს იმაზე, რომ პარგახტი საკმარისი ეკონომიკური პოტენციის მქონეა და არ ნიშნავს გაპარგახებულ-გაკოტრებულ მეურნეობას. ს.კაკაბაძის აზრით, ცაგერელის ერთ-ერთი ყმა, ოყურემელი მანოელ ყრუაშვილი აზნაურია. შესაძლოა, ეს ასეც იყო, რადგან მას „პურის ჭამის“ მეტი გადასახადი არ აკისრია (10; 38), ე.ი. სხვებთან შედარებით პრივილეგირებულია. თუმცა ყრუაშვილს არც ლაშქრობა აკისრია და ვინაიდან იმდროინ-

დელი კანონის მიხედვით აზნაურები სამხედროვალდებულების ბულნი იყვნენ, მისი აზნაურობა საეჭვოა.

საცავერლოს ჩამოთვლილ მებეგრეებს, XVII საუკუნის შუა წლებისთვის ემატება 18 მოაღაპე გლეხი, რომელთაც გემოთ მოხსენიებულ გლეხთაგან ოდნავ განსხვავებული გადასახადები აქვთ – ძირითადი აქ მაინც დვინო და ხორბალია, თუმცა მნიშვნელოვანი დაგვირთვა მოდის ხორცის პროდუქტებზე (საკლავი, სალორე ღორი, ცხვარი, ყვერული) და თევზეულზე (4; 523) ესენი „თავის-და სააღაპოლ“ გაუმწესებია გაბრიელს, რაც მისი გავლენისა და ამბიციების გრძის უდავო დასტურია.

საცავერლოში, XVII საუკუნის შუა წლებში გამოცალკევებულია განსაკუთრებული გადასახადი, რომელსაც მართალია იხდის გლეხი, მაგრამ ცაგერელს თემისთვის აქვს მიცემული; მაგ: გლეხი დათუა თევდორაშვილის ბეგარა გიორგობა დღეს იკრიბებოდა ოყურეშელის (ალბათ ოყურეშის საყდრის წინამდღვრის) მიერ და მისივე ორგანიზებით იმართებოდა სახალხო ლხინი. ლხინის ოფიციალური დანიშნულება გაბრიელ ცაგერელის დალოცვა, მისი შესანდობრის თქმა გახლდათ (4; 519) და ასეთი სათემო ლხინები მეთემეთა მომადლიერებას, მათში საკუთარი გავლენის გამყარებასაც ემსახურებოდა. ასეთივე სახის გადასახადებისგან ცაგერელის სულის სააღაპოდ სათემო ლხინს, ალბათ რომელიმე საეკლესიო დღესასწაულის დღეს საკუთარ თემებში უსახელოვნელი (სოფელი უსახელო), ნაკურალეშელი (სოფელი ნაკურალეში) და ლახეთელიც (სოფელი ლახეფა) მართავდნენ (4; 523). ასევე განსაკუთრებული გადასახადი აქვს გლეხ მათვალია მამარდაშვილს, რომლის ძალიან მცირე ბეგარა (64 ლიგრი დვინო, 16 კილო ხორბალი, 16 კილო ღორი და ერთი საკლავი) ბუბელებს ეძლეოდათ. მართალი, ამის შესახებ არანაირი მითითება არ გვაქვს, მაგრამ შესაძლოა, ამ ბეგარის მიმღები აქაც სამღვდელოების წარმო-



მაღვენელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გადასძხალა, გუბელი მეციხოვნების, ან ასხის მთის საძოვრებისკენ მიმავალი გზის გადასახადს წარმოადგენდა.

საინტერესოა, რომ ლაშქრობა ოცდასამ კომლს, საცავერლოს გლეხთა მესამედს უწევდა და ამ მოლაშქრეთა უმეტესობა ოყურეშიდან (14) და ნაკურალეშიდან (7) იყვნენ. „მეომარი გლეხების“ ამგვარი თავმოყრის მიზგი, ალბათ ამ სოფლების ეკონომიკური სიძლიერე უნდა ყოფილიყო, რადგან იმ შემთხვევაშიც კი, თუ გლეხები ლაშქრობების დროს მეორეხარისხოვან როლს ასრულებდნენ, ისინი მაინც საჭიროებდნენ გარკვეული სახის საომარ აღჭურვილობას, რისი ფლობა, შენახვა და განახლება არც თუ ისე მცირე სახსარს მოითხოვდა. როგორც ჩანს, იმერეთის მეფე XVI საუკუნის ბოლოს საქმაოდ რთულ მდგომარეობაში იმყოფება, რადგანაც მას ჯარის შევსება მოინალე გლეხებით უწევდა – როგორც წესი, ამ დროისთვის ლაშქარს თავადები, აზნაურები და მსახურები შეადგენდნენ. გლეხს ანუ მოინალეს ლაშქრობის პატივი არ ერგებოდა (15; 307). საცავერლოს გამოსავალის დავთარის მიხედვით ცაგერელის კუთვნილი ოცდასამი სამხედროვალდებული კომლიდან, ცამეტი მოსამსახურისაა, ათი კი მოინალე გლეხის (11; 3-8). მოლაშქრეობის პატივი ლოგიკურად უნდა ასახულიყო გლეხის უფლება-მოვალეობებსა და ბეგარის რაოდენობაზე, თუმცა ამგეარი რამ არ შეიმჩნევა – გადასახადების რაოდენობა მოლაშქრე გლეხისთვის მაინცადამაინც შედავათიანი არაა და საშუალო გადასახადის ტოლია. ამ მხრივ გამონაკლისია ოყურეშელი მოლაშქრე გლეხის კომლის, კახნია მამარდაშვილისა და მამამისის ერთობლივი ოჯახის, გვარიანად მოზრდილი გადასახადი – ამ ოჯახს ლაშქრობასთან ერთად ბატონისა მართებს 8 გორი ღვინო, 11 ფოხალი პური, საკლავი 24 თეთრის, 2 ქათამი, პურის ჭამა, ტვირთი და მუშაობა (11; 8). ამათი გადასახადი საშუალოზე გა-

ცილებით მეტია და ხშირ შემთხვევაში მოლაშქრეობის პატივის არმქონე გლეხების გადასახადებს საკმაოდ აჭარბებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოცდასამ ჩამოთვლილ მოლაშქრე გლეხთაგან ოცდაორის მოვალეობა არა უბრალოდ მოლაშქრეობა, არამედ „მეფის ლაშქრობა“ იყო. უსახელოელი მუსელიანების ოჯახი ერთადერთია მოლაშქრეთაგან, რომელთა ლაშქრობის მოვალეობა დაუკონკრეტებელია, არაა აღნიშნული, რომ მათ მეფის ლაშქრობა ევალებოდათ. სავარაუდოდ, ამ შემთხვევაში კალიგრაფისის მექანიკურ შეცდომასთანაც შეიძლება გვქონდეს საქმე. ამდენად, თავისუფლად შევიძლია ვთქვათ, რომ ცაგერელსა და მეფეს გარკვეულწილად ერთი საყმო ჰყავს – ცაგერელის საკუთრებაში მყოფი გლეხების რჩეული ნაწილი ბოლომდე მისი საკუთრება არაა, ის ნაწილობრივ მეფესაც ეკუთვნის და ეს ფაქტი აღბათ მიგვანიშნებს, რომ მეფისა და ცაგერლის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. მეფის მოლაშქრეობა, რომ უბრალო მოლაშქრეობისგან განსხვავდება ს.კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებული ერთ-ერთი დოკუმენტითაც საბუთდება, სადაც საუბარია გლეხი თევდორაშვილის მოვალეობებზე, ამ დოკუმენტში, ცაგერელი თევდორაშვილის მოვალეობებს საზღვრავს, მის ბეგარას თემს აძლევს და აღნიშნავს, რომ ბეგარის გარეთ „სხვა ნალობა, ლაშქრობა, სამსახური ცაგერელისა არისო“ (11; 12).

XVII საუკუნის შეუბნებში ხანებში საცაგერლო და მისი მესვეურნი ლეჩხუმში იმერთა მეფის ერთ-ერთ მტკიცე დასაყრდენს წარმოადგენენ. იმერეთის მეფეები, გიორგი III და ალექსანდრე III მამულითა და ყმის სიმრავლით აძლიერებენ ცაგერელ ეპისკოპოსებს. XVII საუკუნის დასაწყისისთვის ცაგერში ეპისკოპოსი სერაპიონ აბაშიძეა, მის შემდეგ ნიკოლოზ კუჭაბიძე (6; 60), ხოლო ორმოცდათიანი წლების ბოლოს საცაგერლოს გამგებლად გაბრი-

ელ ჩიქვანი (11; 9. 4; 521. 6; 60) გვევლინება და მჰს-დოთთ
 ცაგერის ეპარქია ერთიორად იზრდება. საეპისკოპოსო
 იძრუნებს თავის სამფლობელოებს, რომლებიც მეფის ხე-
 ლისუფლების შესუსტების გამო სხვა მულობელების ხელ-
 ში იყო გადასული. ცაგერელის მოქიმპენი გელოვანთა
 საგვარეულოს წარმომადგენლები არიან. როგორც ჩანს,
 მათ უსარგებლიათ მეფის ხელისუფლების შესუსტებით,
 რაც ცაგერელისადმი სათანადო ყურადღებისა და დაცვის
 შემცირებაში აისახა და ექვსი კომლი „ნაძალადევად“ გა-
 მოურთმევია ცაგერის ღვთისმშობლის ტაძრისთვის (8;
 55). შემდგომში მეფემ ეტყობა პოზიციები გაიმაგრა, გე-
 ლოვანს შემოსწყრა და გლეხებიც ძველ პატრონს დაუბ-
 რუნა. ცაგერელი ახალ ყმებს შოულობს ოყურემშეში,
 უსახელოში, საცაგერლოს უფლებები ვრცელდება ოჯო-
 ლელ გლეხებზე. ამ პერიოდშივე ცაგერელი სოფელ უსა-
 ხელოში, საკუთარი სახსრებით ყიდულობს მიწას და იშე-
 ნებს სასახლეს/რეზიდენციას. მეფის მიერაა ნაწყალობები
 მეშვეობიანის ციხე და მისი შემოგარენი. ცაგერელს ეფუო-
 ბა საკმაოდ კარგი ეკონომიური მდგომარეობა აქვს და
 ადგილობრივი ფეოდალებისგან გელოვანებისგან, ლაშ-
 ხიშვეილებისგან, ნემსაძეებისგან, ყიფიანებისგან შესყიდუ-
 ლი გლეხებით საკმაოდ ბრდის თავის მეურნეობას (8; 55).
 ცაგერელის ქონება ძლიერი თავადების შემოწირულობე-
 ბითაც იქსება, რაც თავისთავად ამ საეკლესიო ხელისუ-
 ფალის ავტორიტეტის მრდაბე მეტყველებს – ლეჩხუმში
 მეტად გავლენიანი სათავადოს საინასარიძეოს თავადები
 ცაგერის ღვთისმშობელს თავიანთი სამფლობელოს დიდი
 ნაწილის შემოსავლის 2/3-ს სწირავენ (11; 14). მეფეს საცა-
 გერლოსთვის, ლეჩხუმის გარეთაც, იმერეთში, ქონეთში
 მიუცია ერთი გლეხი (8; 55) და ამას ალბათ თავისი ლო-
 გიკერი ახსნაც აქვს: ქონეთში მეტად გავრცელებულ ქვის
 მრეწველობას ლეჩხუმში დიდი პოპულარობა პქონია (14;
 74) და თუმცა ეს ცნობა მოგვიანო ხანისაა, ვფიქრობთ

რომ განსახილველ პერიოდშიც ქონეთის ქვის მრეწველობის დოკუმენტის მოსახლეობაში და განსაკუთრებით ქვის მრეწველობის პროდუქტის ფართო მომხმარებელ საეკლესიო გაერთიანებებში, ამ შემთხვევაში კი საცავერლოში ბლომად მუშტარი უნდა ყოლოდა. მცირე ხნის შემდგომ ცაგერელს, იმავე ქონეთში(ჯონეთი) უკვე ვამეყდადიანი სწირავს აზნაურის სახლკარს და მიწა-წყალს და ორ კომლ გლეხს (11; 15-16).

ცაგერელს, რა თქმა უნდა მჭიდრო ურთიერთობები აქვს ლეჩხუმის დანარჩენ საეკლესიო გაერთიანებებთან და მათ წინამდღვრებთან: ოყერეშელთან, ნაკურალეშელთან, უსახელოველთან, ლახეთელთან, საირმის წინამდღვრებთან, ლეხანელთან. უმრავლეს შემთხვევაში ცაგერელი, როგორც ლეჩხუმის „ეკლესის თავი“ კეთილგანწყობილი და მოწყალეა, თუმცა იმვიათად მაინც იქმნება ქონფლიქტური სიტუაციები – საკმაოდ მომძლავრებულ გაბრიელს, რომელიც უკვე ცაგერლობასთან ერთად ჰყონდიდელიცაა, ლეხანელთან მიწის თაობაზე ჰქონია დავა (8; 72). ლეხანელი, სავარაუდოდ სოფელ ლუხვანოში არსებული საეკლესიო გაერთიანების წინამდღვარი უნდა იყოს, რომელსაც გაბრიელთან სადაც მიწებზე წინამორბედ ცაგერელთან, გვარად ფულარიანთან, ჰქონია გარიგება. გაბრიელი, ეტყობა პოლიტიკური მოსაბრებით საეკლესიო კერების შემომტკიცებას – ერთ-ერთი ლეხანელისადმი კეთილგანწყობილ ლეჩხუმის ბაგონის, ხოსია ახვლედიანის, ხათრით მნიშვნელოვ დათმობაზე მიღის (8; 72).

ცაგერელი, თავის მხრივ აქტიურ საეკლესიო პოლიტიკას აწარმოებს და ცდილობს რეგიონში არსებული მძღავრი ნაბიჯი, ლეჩხუმში დიდად პოპულარული ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესის „მომადლიერებაა“. გაბრიელი წმ.გიორგის სწირავს შვიდ კომლ გლეხს, გბა ბაბუშერს, ზუბის ციხეს და ციხის გლეხებს (4; 519). თუ გავითვალისწინებთ ზუბის ციხის მაშინდელ მნიშვნელობას



და იმას, რომ ეს ციხე რეგიონის შიდა და სხვა კუთხეებში თან დამაკავშირებელი გზების გადაკვეთებზე მდებარეობდა, შენაწირი უდავოდ დიდმნიშვნელოვანია. საინგერესოა, რომ გაბრიელ ცაგერელს ზუბის ციხე და ციხის გლეხობა იმერეთის მეფისგან აქვს გადაცემული და ფაქტი, რომ ცაგერელს შეუძლია თავისი ნებისამებრ განკარგოს ასეთი დიდმნიშვნელოვანი ციხე, გაბრიელის დიდ უფლებებზე და ავტორიტეტზე მეტყველებს.

გაბრიელის ხელისუფლება დროთა განმავლობაში კიდევ უფრო იბრდება – 1669 წლისთვის ის უკვე გაერთიანებული ეპარქიების წინამდლოლია და ჭყონდიდელ ცაგერელად იხსენიება (8; 72). თითქოს გაუგებარია – ჭყონდიდის ეპარქია ოდიშის საკათალიკოსოს ექვემდებარება, ცაგერელი კი თითქოს მეფის საიმედო დასაყრდენია. ამ საკითხში გარკვევა უფრო ცხადად დაგვანახებს, თუ რა როლს ასრულებს საცაგერლოს ბატონი დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი აღალი ძმაა, იმ ხანის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიანი ფიგურის კაცია ჩიქვანისა, რომლის დაწინაურებაში და წარმატებულ პოლიტიკურ კარიერაში სწორედ გაბრიელმა ითამაშა დიდი როლი. უფრო სწორი იქნება ითქვას, რომ კაციას პოლიტიკურ ასპარეზზე გაყვანა და შემდგომი განვითარება გაბრიელის ინგრიგებისა და გამჭრიახობის შედეგია (13; 112). გაბრიელი კარგად იყენებს იმერეთის სამეფო კარისა და ოდიშის მთავრებს შორის არსებულ დაპირისპირებას და მათ დაინგერესებას ლეჩხუმით. დადიანები უკვე სერიოზულ პრეტენზიებს აცხადებენ აქამდე იმერეთის მეფის ხელდებულ ლეჩხუმზე. პირველ ხანებში, XVII საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ბოლოსთვის გაბრიელი იმერეთის მეფის ბანაკშია, რასაც 1656 წლის მახლობლად დათარიღებული ხვამლის წმ.გიორგისადმი შეწირულობის წიგნი მოწმობს – ოდიშის მთავრის კარზე დაწინაურებული ვინმე ქვარიანის სასახლეს ოყურეშში გაბრიელი თა-

ვის მფლობელობაში აქცევს და ხვამლს სწირავს, თანამდებობას დასძენს მე რომ არა „სრულიად ოყერეში“ დადიანს ჩაუკარდოდა ხელშით (4; 521). აშკარაა, რომ ცაგერელი დადიანთა ინტერესებს უპირისპირდება.

XVII საუკუნის მეორე ნახევრისთვის დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა საცაგერლოსა და სამეფო ხელისუფლების დამოკიდებულება შეცვალა. ორმოცდაათიანი წლების მიწურულს იმერეთის მეფე ალექსანდრე III თითქოს პოზიციებს იმაგრებს, თუმცა მისი სიკვდილის შემდეგ ვახტანგ V, ქართლის მეფე და ვამეყ დადიანი იმერეთს შეატე იყოფენ. ვამეყი, სწორედ ამ წელს სწირავს ცაგერის ღვთისმშობლის გაძარს სასახლესა და ორ კომლ გლეხს (11; 15-16). მალე დადიანისა და ვახტანგის შეთანხმება ირღვევა, ვამეყი გარბის სვანეთში სადაც მას ვახტანგ V-ის შეკვეთით აკვლევინებს ლეჩხუმის ბატონი ხოსია ღამხიმვილი (5; 836). სამეგრელოს მთავარი ლევან III ხდება. ვახტანგV-მ, დასავლეთ საქართველოში თავისი პოლიტიკის გაფარების უსაფრთხოების მიზნით დააგყვევა და შელავერის ციხეში გამოკეტა ჭყონდიდელი გაბრიელი (5; 836). თუმცა გაბრიელი მალევე ახერხებს ციხიდან გაპარვას და ისევ ჭყონდიდელად გვევლინება. მისი მეოხებით კაცია ჩიქვანი ჯერ იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ის კარგ წინაურდება და ლეჩხუმის ბატონობას იღებს, შემდეგ კი ლევან III დადიანისგან სალიპარტიანოს გამგებლობას. სალიპარტიანო ოდიშის სამთავროს ყველაზე მნიშვნელოვანი სამფლობელო იყო, რომელსაც დადიანის ოჯახის წევრები განაგებდნენ და მთავრების ძლიერ დასაყრდენს წარმოადგენდა. ცხადია, ოდიშის წარჩინებულებს არ სურდათ მდაბალი აზნაურული წარმოშობის კაცია ჩიქვანის განდიდება და სადადიანოში პოზიციების გასამყარებლად კაციას მათთან დაპირისპირება უწევს. კაცია გაბრიელის შეგონებით მოქმედებს და მალე ოდიშისა და ლეჩხუმის ბატონ-პატ-



რონი ხდება (5; 842, 845). ჩიქვანთა მიერ ლეჩხუმის კულტურული მისამართის მიერთება, სავარაუდოდ 1669 წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო, რადგანაც ამ დროს ლეჩხუმის ბაზონი ჯერ კიდევ ხოსია ახვლედიანია (8; 72). ასე რომ, იმერეთის მეფეებისა და ოდიშის მთავრების ქიშპობას ლეჩხუმისათვის, რომელიც რუსეთთან შეერთებამდე გაგრძელდა, გაბრიელ ჭყონდიდელ ცაგერელმა დაუღო სათავე.

ამ მოვლენების შემდეგ გაბრიელის ხელისუფლება კიდევ უფრო მაგულობს, 1675 – 1680 წლებით დათარიღებულ საბუთში იგი უკვე „ჭყონდიდელ ცაგერელ ბედიელად“ იწოდება (8; 78). შეიძლება ითქვას, რომ გაბრიელი ერთგვარი რუხი კარდინალის როლში გვევლინება – სამოცი-სამოცდაათიანი წლებში იგი ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენის თანამონაწილე უნდა იყოს. ჭყონდიდელ ცაგერელი ბატონი გაბრიელი აქტიურად მონაწილეობს ბიჭვინთის კათალიკოსად, ალბათ მისათვის სასურველი კანდიდატის დავით ნემსაძის დანიშვნაში (8; 75). გაბრიელი ნემსაძის კათალიკოსად დანიშვნის შუამავალია, გარდა ამისა იგი საეკლესიო საბუთებში დასახელებულ მოწმეთაგან ყოველთვის პირველ ადგილზე არის მოხსენიებული (8; 75, 76). ამავე წლებში გენათელი ანუ გელათის ეპისკოპოსი მარკოზ ლაშხიშვილია (4; 598). საფიქრალია, რომ ლეჩხუმური წარმომავლობის(ნემსაძე, ლაშხიშვილი) წარჩინებულთა დაწინაურება დასაკლეთ საქართველოს საეკლესიო ასპარეზზე გაბრიელ ჩიქვანის დამსახურებაა. გაბრიელი, ალბათ თავისი თანამოაზრებით აჯერებდა სტრატეგიულ თანამდებობებს და ამით თავის გავლენის სფეროებს ბრდიდა.

საინგერესოა, რომ ბიჭვინთის ანუ აფხაზეთის კათალიკოსს, ლევან III დადიანი, იმერეთის მეფის თანხმობით ნიშნავს. ამ საქმის მოთავე და მთავარი მოწმე გაბრიელია, ხოლო მისი ძმა კაცია ჩიქვანი ერთ-ერთი მოწმე (8; 75), რომელიც ამ დროს დადიანის ვეზირია და ულობს



ლეჩხუმისა და სალიპარტიანის პატრონის, ოდიშის თაფას, თოლიშისა და იმერეთის სარდალის ტიტულს (6; 82). როგორც ვხედავთ, გაბრიელ ჭყონდიდელ ცაგერელს და მის ძმას ხელთ უპყრიათ მნიშვნელოვანი საერო და საეკლესიო ხელისუფლება. თუმცა, მათ უფრო შორსმიმავალი გეგმები აქვთ და ამ გეგმას ნელნელა ახორციელებენ კიდეც. გაბრიელი ლევან III-ის დიდი ნდობით სარგებლობს და მისი ვაჟის მანუჩარის აღმზრდელია (8; 76).

გაბრიელისა და კაციას მოღვაწეობის ბოლო პერიოდში, როდესაც ისინი საკმაოდ გაძლიერდნენ, საცაგერლოს ქონება უნდა გაზრდილიყო. ლეჩხუმში, ამ დროისთვის იწყება ეკლესიების მშენებლობა – XVII საუკუნის მეორე ნახევარში და XVIII საუკუნეში, ლეჩხუმში აშენდა ნაკურალების, საირმის, მცხეთის და თყურების ეკლესიები, რომელთა მაშენებლებიც ოდიშის მთავართა ახალი დინასტიის წარმომადგენლები, გადაღიანებული ჩიქვანები იყვნენ (6; 82, 14, 35, 50). თვით გაბრიელი და კაცია ნაკურალების ეკლესიის მაშენებლები არიან. ეს ფაქტი ეკლესიის კედლის მხატვრობით დასტურდება – გაბრიელი მოხსენიებულია საყდრის აღმშენებლად და ეს წარწერა წვეროსანი მღვდელთმთავრის, რომელსაც ხელში ეკლესიის გეგმა უჭირავს, გამოსახულების ქვეშ არის გაკეთებული. მის გვერდით კი ახალგაზრდა მღვდელთმთავარი, სვიმონ ცაგერელია გამოსახული (6; 82). ექვთიმე თაყაიშვილის ვარაუდით, ეს ორი და ეკლესიის კედლებზე გამოსახული კიდევ სამი მამაკაცი ძმები უნდა იყვნენ. სვიმონის ცაგერლად მოხსენიება, ოდნავ უცნაურია, რადგან ამ დროს გაბრიელი ჭყონდიდელიცაა და ცაგერელიც. შესაძლოა, სვიმონი გაბრიელის მოუცლელობის გამო, მისი სიცოცხლის ბოლო წლებში, მართლაც განავებდა საცაგერლოს და ცაგერის ეპისკოპოსიც გახდა მისი გარდაცვალების შემდეგ. თუმცა სვიმონის ცაგერლობასა და მის მოღვაწეობაზე მეტი არაფერია ცნობილი.



XVII საუკუნის ბოლოს, დასრულდა გაბრიელ ჭყანაძე¹ დიდელ ცაგერელის წამოწყებული საქმე – 1691 წლიდან ოდიშის ტახტი მთლიანად უვარდებათ ხელში ჩიქვანებს. ახალი დინასტიის პირველი მთავარი, გაბრიელის ძმის კაციას შვილიშვილი, კაცია I მომდევნო საუკუნის დასაწყისიდან მტკიცდება.

XVIII საუკუნის მანძილზე საცაგერლოსა და ლეჩხუმის ეკლესიებს უკვე გადადიანებული ჩიქვანებისგანაც არ აკლდებათ ყურადღება – როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათი თაოსნობით მიმდინარეობს ეკლესია-მონასტრების შენება; მათივე ხელშეწყობით ეწყობა და უმჯობესდება საეკლესიო მეურნეობა, იმრდება ეკლესიათა შემოსავალი. ამგვარად, ცაგერის საეპისკოპოსო ოდიშს მთავართა ყურადღების ცენტრშია და ლეჩხუმში მათი დასაყრდენიცაა.

ცაგერის ლვთისმშობელი გიორგი ლიპარტიანისგან (კაცია ჩიქვანის ძე), რომელიც ფაქტობრივად ოდიშის მთავარია (საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურაა დასავლეთ საქართველოში), იღებს ყმად აზნაურ სეიმონ იაშვილს (8; 86). იაშვილი, რომ საჭირო კაცია და მის მამული სტრატეგიულად საინტერესო ადგილზეა, ამას თვით ლიპარტიანის სიტყვები, ჩვენთვის საჭირო ადგილზე ცხოვრობსო, მოწმობს. შესაძლოა ეს იაშვილი რაჭელი აზნაურია და მისი სამხედრო სამსახური გიორგი ლიპარტიანს აღმოსავლეთით, ლეჩხუმის მომიჯნავე რაჭის საზღვრების გასამაგრებლად სჭირდება.

გაბრიელ ჩიქვანს საცაგერლოში, ალბათ მისი გარდაცვალების შემდეგ მისივე ძმის შვილიშვილი, გაბრიელი ცვლის. მას წინამორბედის მსგავსად ცაგერლობასთან ერთად ჭყონდიდელობაც უპყრია და მასავით გავლენიანი და ბევრისმემდევ კაცი ჩანს. გაბრიელ ლიპარტიანი (იგი ძეა სალიპარტიანოს გამგებლის გიორგი ჩიქვანისა, რომელსაც ისტორიული საბუთები ლიპარტიანად მოიხსენიება, ამიტომ მის შვილსაც მოვიხსენიებთ ლიპარტიანად)

ცაგერის დვთისმშობლისა და ოყურეშის წმ. გიორგის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექციებს უამრავ მამულებსა და ყმას სწირავს. გაბრიელის ცნობა ამ შეწირულობის შესახებ იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ცაგერის ეკლესიებს ყმა-მამული ოკრიბიდან და ქუთაისიდან ეწირებათ, თანაც მათ შორის ბევრია აზნაური და მოსამსახურე (8; 110-111). როგორც ჩანს ჭყონდიდელ ცაგერელს იმერეთის მეფის ტერიტორიაზეც აქვს გავლენის სფეროები. მისი ძალაუფლების ზრდა, რაც ალბათ გაბრიელ ჩიქვანის მოღვაწეობიდან გამომდინარე ინერციულად ვითარდებოდა, ოდიშის მთავართა ოჯახში ურთიერთობებს ძაბავდა. გაბრიელსა და მამამისს, გიორგი ლიპარტიანს შორის უთანხმოებას, გაბრიელის ძმის, კაციას მემკვიდრის ბექან დადიანის გამთავრებისთანავე, გაბრიელისთვის ჭყონდიდელობის ჩამორთმევა მოყვა. „ჩევნი ძმა გაბრიელი საჭყონდიდლოში ბატონად იჯდა და ეშმაკის სიხარბით ჩევნსა მის აშლილება და ერთმანეთის მოცილება შეექმნა“ – ამბობს, ერთ-ერთ ჩვენამდე მოღწეულ საბუთში გაბრიელის განდიდებით ფრიად შეწებებული ბექან დადიანი. ბექან დადიანის, როგორც მთავრის პირველი ნაბიჯი, ალბათ გაბრიელის ჭყონდიდის ეპისკოპოსობიდან დათხოვნაა (8; 110, 111, 113). თუმცა, ცაგერელი გაბრიელ ლიპარტიანის გავლენა იმდენად დიდია, რომ იმავე წელს იგი კვლავ ორი, ცაგერისა და გელათის ეპარქიის წინამდლოლია და შესაბამისად ცაგერელ გენათელად იხსენიება (8; 114).

XVIII საუკუნეში, ოდიშის მთავრების ოჯახი ცაგერის ეპარქიას სამ ეკლესიას მატებს. საირმის მონასტრის მშენებლობა დაუწყიათ ოტია დადიანისა და დედოფალ გულქანს და 1766 წელს დაუსრულებია მათ მემკვიდრე კაცია II-ს (9; 30-32). ხალხში არსებული ტრადიციით ოტია დადიანისა და მისი მეუღლის მიერაა აშენებული სოფელ მცხეთის ეკლესია (6; 50), რომელიც ერთადერთი გუმბათიანი ეკლესიაა ლეჩხუმში. საუკუნის მიწურულს გიორგი



ოფიას ძე დაღიანი ოყურეშში წმ. გიორგის ტაძარს მართვა და დაღიანები ყოველმხრივ ზრუნავენ ცაგერისა და ცაგერის ეპარქიაში შემავალი ეკლესიების გაძლიერებისთვის (9; 8, 9, 28, 29, 30-32). განსაკუთრებული აქცენტი საირმის მონასტერზეა გაკეთებული: აქ, როგორც ვთქვით ახალ ეკლესიას აშენებენ და მას უწყვეტი შეწირულობანი აქვს კაცია II-ს, ანგონ ცაგერელის და ნიკოლოზ დაღიანისგან (კაციას ძმაა, რომელსაც დიდი მამულები აქვს ლეჩხუმში) (9; 29, 43, 44). კაცია II-სა და ნიკოლოზის მიერ გაღებული შესაწირი საკმაოდ სოლიდურია: მრავალი ყმისა და ადგილ-მამულის გარდა, საირმეს უდაბნოსა და ღვთისმშობლის მიძინების ტაძარს ეწირება მთელი ლეჩხუმიდან აკრეფილი სადაღიანო ბეგარის ათისთავი ანუ მეათედს (16; 42), შემოსავლები ოდიშის საბაჟოდან, ლაილაშში მოსახლე ოთხი სომხური ოჯახი, რომლებიც ალბათ ვაჭრები/ხელოსნები იყვნენ, მეთევზებები და კიდევ მრავალი სხვა რამ. საირმისადმი ინტერესი შეიძლება აისსნას იმ ფაქტითაც, რომ საირმე ლეჩხუმის აღმოსავლეთ ნაწილშია, შორია ოდიშის ცენტრისგან და ამიტომაც სწორედ აქ არის საჭირო პოზიციების გამყარება.

XVIII საუკუნის განმავლობაში საცაგერლოს გამგებლები ოდიშის მთავრების ოჯახის წევრები არიან – საცაგერლოს, შიდა ოჯახური დაპირისპირების შემდგომ ჭყონდიდელობაწართმეულ გაბრიელ ცაგერელ გენათელი საეპისკოპოსოს ალბათ გარკვეული წლების მანძილზე მართავდა. მის შემდეგ დადასტურებული ცაგერელი ბექან დაღიანის ძე გრიგოლია. იგი 1757 წლის საბუთით ცაგერელია (9; 8), ხოლო 1761 წელს ჭყონდიდელი ხდება. იმდროინდელი საბუთების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჭყონდიდელი ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი ფიგურაა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო და პოლიტიკურ წრეებში – ჭყონდიდელი ყოველთვის ესწრება მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად შეკრებილ თავყრილო-

ბებს და საეკლესიო პირთა შორის კათალიკოსის შემდეგ ცალკეული გაც სახელდება (12). გრიგოლის შემდეგ ბესარიონია, რომელსაც ანტონი, კაცია დადიანის ძმა ცვლის. შემდეგ ცაგერელი კვლავ მთავართა ოჯახის წარმომადგენელი, ითანე კაცია დადიანის ძეა, რომელიც 1792 წელს ჭყონდიდელი ხდება (6; 14). სამწუხაროდ, საეკლესიო საბუთები XVIII საუკუნის მიწურულის ცაგერის საეპისკოპოსოს ცხოვრების შესახებ არ შემორჩენილა, თუმცა ჩვენს ხელთ არსებული და ზემოთ განხილული მასალები საქმაოდ ნათელ წარმოდგნას გვიქმნის გვიანი შუა საუკუნეების საცაგერლოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და ისტორიის შესახებ. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცაგერის საეპისკოპოსო დასავლეთ საქართველოს XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე საშუალო შემოსავლებისა და ეკონომიკური შეძლებისაა. მისი ძალაუფლების ზრდა გაძრიელ ცაგერელის გამგებლობას ემთხვევა. გაძრიელის ეპისკოპოსობის ბოლო წლებისთვის საცაგერლოს ეკონომიკური მომდლავრება თვალნათლივია, რისი საფუძველი თვით საეპისკოპოსოსა და ამ საეპისკოპოსოს მმართველების პოლიტიკურ ასპარეზზე დაწინაურების შედეგია. შესამჩნევად მაგულობს საცაგერლოსა და მის ორგვლივ არსებული ეკლესია-მონასტრების ეკონომიკური სიძლიერე თდიშის მთავრების ახალი დინასტიის, დადიან-ჩიქვანთა მმართველობის პერიოდში – XVIII საუკუნის ბოლოსთვის ლეჩხუმში ცაგერის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძრის გარდა არსებობს თდიშის მთავართაგან საქმაოდ დაფასებული და ეკონომიკურად შეძლებული ეკლესია-მონასტრები და მათთან არსებული ფეოდალური მამულები. ამათგან აღსანიშნავია მცხეთის, ნაკურალეშის, თყერეშის, ხვამლის, საირმის ეკლესია-მონასტრები. XVII-XVIII საუკუნეები ცაგერის ეპარქისთვის ნამდვილად დიდმნიშვნელოვანია – ამ პერიოდის საბუთები გვაძლევს იმის თქმის უფლე-

ბას, რომ გვიან შუა საუკუნეებში საცაგერლო და მანისტერი შემავალი ეკლესიები დასავლეთ საქართველოს საეკლესიო და პოლიტიკურ ასპარეზებები საკმაოდ დაწინაურებულია და დიდ ავტორიტეტსაც ფლობს.

GIORGI MAMARDASHVILI

TSAGERI DIOCESE IN THE 17TH AND 18TH CENTURIES

Clerical documents of 17th-18th centuries A.D. offer a wide range of materials on Tsageri Diocese. According to these data, Satsagerlo or Tsageri Eparchy played one of the key parts in the political and ecclesiastic life of Western Georgia in the late Middle Ages. Before Gabriel Chikvani was conferred the orders of Tsageri Diocese, Satsagerlo did not stand out from other dioceses of the Western Georgia – it possessed 64 families and a moderately profitable seigniory. Satsagerlo had bondsmen in the following villages: Okureshi, Ckhuteli, Nakuraleshi, Lakhepa, Usakhelo, Makhura, Aghvi and Zokhsha. The revenue, generated by Satsagerlo, i.e. the annual income of Tsageri Church of Holy Mother comprised 10240 liters of wine, 3572 kg of wheat, 664 kg of corn, various meat and dairy products.

Paying capacity of Satsagerlo peasants did not greatly differ from that of the peasants other West-Georgian dioceses. As per Satsagerlo records, diocese treasury received from its subjects up to 3450 tetri's value in natural commodities, while the average render of Satsagerlo bondsmen amounted to 57.5 tetri, which is slightly less than the tribute, paid by the peasants of other dioceses in the period discussed.

In Satsagerlo, as well as in other dioceses, most of the bondsmen were peasants – there were 42 of them, while the quantity of servant reached 15. Six families of those owned by Tsageri bishop were extinct [partaxti]. One third of Tsageri Diocese families were bound to take part in the military actions of the king's army.

In his early career, Gabriel Chikvani used the support of Imeretian kings to return the property, illegally appropriated by squares. Later on, the king of Imereti granted him more lands, including Zubis Tsikhe, the major fortress of Lechkhumi. In the period of Gabriel Chikvani's activity as a bishop Satsagerlo Diocese, alongside with returning its lost possessions, acquired bondsmen in new villages, considerably increased its influence and gained more property outside Lechkhumi.

Gabriel Tsagereli efficiently used the controversy existing between the king of Imereti and governor of Odishi, succeeded in winning the confidence of both and granted considerable power to his own brother Katsia Chikvani – Katsia was appointed the ruler of Lechkhumi by the king of Imereti, while Odishi governor Dadiani put him in charge of Salipartiano. As regards Gabriel, besides Satsagerlo he also ruled the Ckondidi and Bedia Dioceses. From year to year, political ambitions of Chikvani brothers increased and resulted in their gaining control over Odishi Samtavro. Due to Gabriel's activities, the dynasty of Odishi governors – Dadiani, was replaced by members of Chikvani family – descendants of Gabriel's brother Katsia. In the 17th and 18th centuries, Satsagerlo and Lechkhumi churches were greatly favored by representatives of this new dynasty of Odishi rulers – they initiated construction of new churches and monasteries, supported and improved their economic activities, increased their income. Tsageri Diocese served the governors of Odishi as a stronghold in Lechkhumi, to which they paid close attention. Construction of Sairme monastery was started by Otia Dadiani and queen Gulkani and finalized in 1766 by their successor Kat-

sia the 2nd. According to the folk tradition Otia Dadiani and his spouse built a church in Mtskheta village – the only domed temple in Lechkhumi. In the end of the century, Giorgi, son of Otia Dadiani, constructed St. George church in Okureshi village. The Dadianis applied their best efforts to strengthen the churches of Tsageri in particular and Tsageri Diocese on the whole. Special accent was made on Sairme Monastery, which systematically received offerings from Katsia the 2nd, Anton Tsagereli and Nikoloz Dadiani (the brother of Katsia, who owned much land in Lechkhumi). The benefactions of Dadiani family considerably increased the economic strength of Tsageri Diocese and its churches, turned them into influential religious centers in the late 18th century and actually reinforced the Dadianis' power.

წყაროები და ლიტერატურა:

- 1) მ. ალავიძე, მასალები ლეჩხუმის ეთნოგრაფიული შესწავლისთვის, „ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მრომები“.
- 2) ღ. ბერძენიშვილი, ი. ბანძელაძე, მ. სურამელაშვილი, ღ. ჭურლულია, ლეჩხუმი, თბ., 1983წ.
- 3) გ. გასვიანი, ნარკვევები შეა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან, თბილისი, 1991წ.
- 4) ქართული სამართლის ძეგლები, III ტ., თბილისი, 1970წ., ი. დოლიძის რედაქციით.
- 5) ვახუშტი ბაგონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, “ქართლის ცვოვრება”, IV ტ., თბილისი, 1973წ.
- 6) ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, თბილისი, 1991წ.
- 7) სვანეთის საისტორიო ძეგლები, თბილისი, 1941წ., გამოსცა პ. ინგოროვეამ.



- 8) დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთების მინისტრი, თბილისი, 1925წ. გამოსცა ს. კაკაბაძემ.
- 9) დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, IIტ., თბილისი, 1925წ., გამოსცა ს. კაკაბაძემ.
- 10) ს. კაკაბაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს სოციისტური და ეკონომიკური ისტორიისთვის, საისტორიო კრებული I, თბილისი, 1928წ.
- 11) ს. კაკაბაძე, საცაგერლოს გამოსავალი დავთარი, თბილისი, 1914წ.
- 12) ს. კაკაბაძე, საეკლესიო რეფორმებისთვის სოლომონ პირველის დროს, თბილისი, 1913წ.
- 13) ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941წ.
- 14) მასალები ლეჩხუმის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბილისი, 1985წ.
- 15) ლ. მუსხელიშვილი, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოცეკონომიკური კატეგორიები, ენიმკის მოამბე V-VI, 1940წ.
- 16) სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბილისი, 1991წ.
- 17) გიორგი მამარდაშვილი, საველე-ეთნოგრაფიული დღიური (ლეჩხუმი), 2003წ.

წარდგნის მოტივი აჭარაში უოლკლორულ- ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით

წარდგნის მოტივი ერთი იმ პრობლემათაგანია, რომლის შესწავლა დიდი ხანია გასცდა თეოლოგიური ინტერესების სფეროს და განაპირობა მეცნიერებლი კვლევის ინტენსიფიკაცია.

უძველესი დროიდან მოკიდებული წარდგნის მოტივი მსოფლიოს მრავალი ხალხის ლეგენდებითა და გადმოცემებით არის შემოსილი. ეს მდიდარი მასალა უდაოდ წარმოადგენს ცალკეული ხალხის ეთნოგენეზისა და ეთნოკულტურული კავშირების პირველწყაროს. მასში თავისი სპეციფიკურობით გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართულ მითოლოგიას, რომელიც აკლენს “მჭიდრო კავშირს აღმოსავლური და დასავლური მითოლოგიის საუკეთესო მონაპოვრებთან” (11;18;21;12;21).

წარდგნის შესახებ არსებული ლეგენდებისა და გადმოცემების მეცნიერული შემოწმება ბოლო წლებამდე შეუძლებელი იყო. არ არსებობდა მყარი მასალა იმისათვის, რომ დადასტურებულიყო ან უარყოფილიყო ლეგენდებში გაღმოცემული ამბები.

უკანასკნელ წლებში ამ პრობლემისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდა. 1997 წელს ამერიკელი გეოლოგების – უილიამ რაიანისა და უოლტერ პიტმანის მიერ გამოცემულ წიგნში “ნოეს წარდგნა”, ავტორები ბიბლიურ წარდგნას უკავშირებენ 7500 წლის წინ შავ ბლვაში მომხდარ კატასტროფას. ამან, ავტორთა ვარაუდით, საფუძველი დაუდო ბიბლიაში აღწერილ ამბებს. მათ მიერ შავ და ხმელთაშუა ბლვებში ჩატარებულმა კომპლექსურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მასშგაბურ კატასტროფას რეალურად ჰქონდა ადგილი (10).



ამერიკული გეოლოგების მიერ აღდგენილი სურველით, ასე გამოიყენება: ძვ.წ.აღ-ის 6200 წელს შავი ზღვის აღილას მდებარეობდა უბარმაბარი მტკნარი ტბა. იგი ხმელთაშუა ზღვიდან გამოყოფილი იყო ბუნებრივი ბარიერით იქ, სადაც დღევანდელი ბოსფორის სრუტეა. დაახლოებით ძვ.წ.აღ-ის 5800 წელს დაიწყო სწრაფი დათბობა, რასაც მოჰყევა დიდი წვიმები. რამდენიმე დღეში გაჩნდა დრმა და მლაშე შავი ზღვა. ანგიურ სამყაროში შავი ზღვა ბერძნებისათვის იდუმალ ზღვად ითვლებოდა, ხოლო ეპითებები: “უღრმესი”, “ბნელი” კი მეტ მისტიკას მატებდა მას.

მეცნიერული კვლევა უფრო მაღალ ფაბაში შევიდა, როდესაც 2000 წელს ამერიკელი ოკეანოგრაფისა და წყალქვეშა არქეოლოგის – რობერტ ბალარდის ექსპედიციამ შავ ზღვაში, ქ. სინოპის ჩრდილოეთით, თურქეთის ტერიტორიაზე აღმოაჩინა დიდი კატასტროფის შედეგად დაგბორილი უძველესი სტრუქტურის ნაშთი. ეს არის ერთი მთლიანი, ხის შენობის ნარჩენები. ასევე, ნაპოვნია ქვის იარაღები, სავარაუდო – ნაჯახები და კერამიკული ჭურჭლის საწყობი, სწორად დაწყობილი ქვის ოცდაათი ბლოკი. არქეოლოგების აზრით, ეს არის პირველი მყარი დადასტურება შავი ზღვის რაიონში წარლენამდელი მოსახლეობის არსებობისა. მეცნიერთა ვარაუდით ამ კატასტროფას გადარჩენილმა აღამიანებმა შესაძლოა მთაში გადაინაცვლა, რომლებმაც სათავე დაუდეს სხვა ცივილიზაციებს. ამასთან, მეცნიერთა აზრით, დაღუპული ცივილიზაციები შესაძლოა უფრო აღრინდელი ყოფილიყო, ვიდრე ეგვიპტური და მესოპოტამიური (10).

წარლენის მექანიზმის შესწავლის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა ხალხური მსოფლმხედველობის საფუძველზე სამყაროს სტრუქტურის წარმოდგენა, მისი სურათის წარმოსახვა. სამყაროს შექმნა რელიგიური თვალსაზრისით ძველი აღთქმის დასაწყისშივე არის გადაწყვეტილი.

ეს საკითხი მეცნიერებაში თავისებურად იქნა ახსნილი და მას “დიდი აფეთქების თეორიის” სახელი ეწოდა, რომლის თანახმად სამყარო (რომელიც ახლა 15-20 მლნ წლისაა) ერთ წერტილში ყოფილა შეკუმშული და შემდეგ მომხდარა მისი გაფართოება (2,71).

საინგერესოა აჭარის მოსახლეობის ცნობიერებაში ასახული კოსმიური სურათი: დედამიწა, ანუ “ტყვილი ქვეყანა” ერთ კვირაზე გაჩნდა და ხარის რქებს ეყრდნობა, რომლის ქვემოთ არის წყალი. ჩვენ ვცხოვრობთ დედამიწაზე, ანუ “შეა სარტყელზე” და აქ სხვა სარტყელიდან ჩამოიიდა ხალხი “რაცხავთ”, რომლებიც შემდეგ “უჩინარდებოდნენ”. ჩვენი “შეა სარტყელია”, სადაც ადამიანები სარტყელს წელზე იკეთებენ. ქვედა “სარტყელი” იგივე პირველი სარტყელია. იგი დედამიწის ქვემოთ მდებარეობს და იქ სარტყელს ფეხებზე ირტყამენ.

დედამიწის გემოთ მესამე სარტყელი ყოფილა “გედა სართულზე”, სადაც არის მზე. ადამიანები იქაც არიან და სარტყელს კისერზე იკეთებენო.

ინფორმაციორთა განმარტებით დედამიწა შედგება რამდენიმე ნაწილისაგან. იგი “ცხრაყათია”, გეცა კი “შვიდყათიო”. მთხრობელებს უჭირთ იმის განმარტება, თუ დედამიწის რომელ ნაწილში ვართ მათ მიერ წარმოდგენილ “ცხრაყათიან” სქემაში. იმას კი დასძენენ, რომ “ერთს როცა დაკრავ ფეხს, ცხრაყათ მიწაში გაგარდენიებსო”.

თუ თვალს გავადევნებთ წარღვნის მოგივთან დაკავშირებულ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალებს, ნათელი გახდება, რომ აჭარის მოსახლეობას საკმაოდ კარგად შემოუნახავს ცნობები ამ მექანიზმის შესახებ. შეინიშნება ისიც, რომ მასალათა ნაწილი მოსახლეობაში მწიგნობრული გზით ყოფილა შესული. გემოთქმულის დასტურად თანმიმდევრულად მივყვეთ წარღვნის მოგი-

ბიბლიის მიხედვით, საყოველთაო გახრწნილებაში ერთადერთი ნოე იყო, რომელიც გამოარჩია უფალმა (5). სახელი “ნოე” ეძრაულად “ნუგეშს” ნიშნავს, მეორენაირი ახსნით კი “მართალს”. სიმართლისათვის და სწორ გზაზე სიარულისათვის ღმერთმა წარმხოცელი წარღვნის წლებში ცოცხლად გამოატარა ნოე და შექმნა იგი განახლებული კაცობრიობის მამათავრად (17,66). თუმცა კაცობრიობის ხსნა პირველცოდვათა შემდეგ, რომელიც უკვე დასცილდა თავის პირველსახეს და დაკარგა კავშირი ზესთა სოფელთან, დამბადებელთან, ნოემ საბოლოოდ მაინც ვერ შეძლო. ამიგომ სახიერმა ღმერთმა ცოდვათა გამოსასყიდად, ხსნისათვის ადამიანებს მოუვლინა თავისი ძე – ქრისტე (6,215). შენიშნულია, რომ ქრისტიანობა არის პირველი რელიგია, რომელმაც ღმერთი ჩვეულებრივ ადამიანად შობილად წარმოადგინა, ადამიანთა შორის აცხოვერა და ადამიანთავე ხელით აწამა.

ბიბლიური პატრიარქი ნოე იყო ლამექის შვილი, რომელიც ოთხმოცდაათი წლის ასაკში სამი ვაჟის მამა გამხდარა. ესენი იყვნენ: სემი, ქამი და იაფეთი. სწორედ ამ უკანასკნელის სახელს ძველი ქართველი ისტორიკოსები უკავშირებდნენ ქართველებს და იაფეთის შთამომავლებად თვლიდნენ. ივ. ჯავახიშვილის შენიშვნით, “... ლეონტი მროველს “ქართლოსიანთა” ისტორია ნოეს შვილების დროითგან აქვს მოყვანილი.”(22,183).

ნოე ასოცი წლის განმავლობაში ქადაგებდა სათნობას, მაგრამ ვერაფერს გახდა და ღმერთმა, დაინახა რა უკეთურება, ინანა, რომ შექმნა ადამიანი ამქვეყნად და შეწუხდა. თქეა უფალმა: “მიწის პირისაგან აღვგვი ადამიანს, რომელიც შევქმნი, ადამიანიდან დაწყებული პირუტყვამდე, ქვეწარმავლამდე, ცის ფრინველამდე, რაღან ვნანობ, რომ გავაჩინე. მხოლოდ ნოეს ეპოვა მაღლი უფ-

ლის თვალში (5,თავი მე-6,მ.7,8). ომერთმა ნოეს კიდობანი ნის აშენება უბრძანა, რათა თავისი მოდგმა, ცხოველთა და მცენარეთა ნიმუშებთან ერთად გადაერჩინა მსოფლიო წარლენაში.

ბიბლიის მიხედვით ნოეს კიდობანი სიგრძით ყოფილა 135 მეტრი, სიგანით – 22,5 მეტრი, ხოლო სიმაღლე 13,5 მეტრის ტოლი ყოფილა. კიდობნის “ საცხოვრებელი ფართი” ყოფილა $135 \times 22,5 = 3040\text{მ}$. ვინაიდან, კიდობანი იყო სამსართულიანი, ამიტომ საერთო ფართობი ტოლია $3040\text{მ} \times 3 = 9120\text{მ}$. ბიბლიური მონაცემების თანახმად, გემზე ყოფილა 20000 წყვილი ფრინველი, 3500 წყვილი ცხოველი (26).

ნოემ შეასრულა უფლის ბრძანება და კიდობანში შეიყვანა თავისი ცოლი, შვილები და მათი ცოლები. მოიმარავა საჭმელი და ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ღმერთმა დაარიგა. ექვსასი წლისა იყო ნოე, როცა წარლენა მოხდა ამ ქვეყნად. ეს მოხდა კიდობანში შესვლიდან შვიდი დღის შემდეგ, ანუ ნოეს ცხოვრების მე-600 წელს, მეორე თვესა და მე-17 დღეს.

“ამ დღეს მოსკელნენ დიდი უფსკრულის წყაროები და გაიხსნენ ცათა სარკმელები. აწვიმდა ქვეყანას ორმოცი დღე და ორმოცი დამე” (5, თავი VII, მ.17). ბიბლიაში, მომდევნო ნაწილში ნათქვამია – “მაგულობდა წყალი დედამიწაზე ას ორმოცდაათი დღე” (5,თ.,VII,მ.24). წარლენის წყლები დედამიწას მოადგა. ადიდდა წყალი და ასწაა კიდობანი, იგი მიწის ზემოთ – წყალზე მოუქა და გაუერდა. მომძლავრებულმა წყლებმა დაფარა ყველა მაღალი მთა, რაც კი ყოფილა ცისქვემეთში. “თხეთმეტი წყრთის სიმაღლეზე (7,5მ) აიწია წყალმა მათ (ნ.ჩ.–მთების) ზემოთ და დაიფარა მთები” (5,თ.,VII,მ.20). აღიგავა ყოველი არსება, რაც იყო მიწის ზედაპირზე. გადარჩნენ მხოლოდ ნოე და მასთან ერთად კიდობანში მყოფნი.

“გაიხსენა ღმერთმა ნოე და ყოველი ცხოველი, კულტურული კულტურული პირუტყვი, მასთან ერთად რომ იყო კიდობანში; და მოავლინა ღმერთმა ქვეყნად ქარი და დაყუდდა წყალი” (5,თ.VIII,მ.1). კიდობანი მეშვიდე თვეს, თვის მე-17 დღეს მიადგა არარატის მთებს (5,თ.,VIII,მ.4). წყალი იკლებდა მეათე თვემდე. მეათე თვის პირველ დღეს გამოჩნდა მთა-თა მწვერვალები (თავი VIII,მ.5).

ორმოცი დღის შემდეგ გააღო სარკმელი ნოემ და გამოუშვა ყორანი, მაგრამ უკანვე მობრუნდა, რადგან ჯერ კიდევ იდგა წყალი მიწის ზედაპირზე. ნოემ შეიდი დღის შემდეგ მტრედი გაუშვა და საღამოს მან ზეთისხილის ნედლი რტო მოიტანა ნისკარტით. ეს უკვე ნიშნავდა იმას, რომ “დამწდარიყო წყალი დედამიწაზე” (5,თავი VIII,მ.11;12,89). ნოემ შეიდი დღის შემდეგ მტრედი ისევ გაუშვა და იგი აღარ დაბრუნდა მასთან.

დედამიწაზე წყალი დაშრა ნოეს სიცოცხლის 601-ე წლის პირველი თვის დასაწყისში, ხოლო მეორე თვის 27-ე დღეს დედამიწა გამომშრალა კიდეც და ნოე დათის კარნახით კიდობნიდან გამოვიდა “... და მასთან ერთად მისი შვილები, მისი ცოლი და მისი შვილების ცოლები”; ყველა ცხოველი, ფრინველი, ყველა – კიდობანში მყოფი და მოეფინენ ქვეყანას.“ აუგო ნოემ სამსხვერპლო უფალს, თითო-თითო ამოარჩია ყოველი წმინდა პირუტყვიდან და ყოველი წმინდა ფრინველიდან და აღსაცემანად მიიტანა სამსხვერპლოზე” (5,თავი VIII,მ.20). როგორც კი იგრძნო უფალმა კეთილსურნელება, თქვა: „ამიერიდან აღარ დავწყევლი მიწას ადამიანის გამო, რადგან ბოროტისკენაა მიდრეუილი ადამიანის გულისთქმა მისი სიყრმიდანვე. მეტად აღარ გავანადგურებ ცოცხალ არსებას, როგორც მოვიქეცი” (5,თავი VIII,მ.21).

ნოეს უცოცხლია 951 წელი. ბიბლია მის სახელს უკავშირებს ახალი მოდგმის ისტორიის დაწყებას, რომელიც ღმერთმა აკურთხა.



წარდგნის მოტივი თავისებურად აისახა მაპმადიშვილის „ნურ საღვთო წიგნში „ყურანში” (3;24;27). ამ თემასთან პირდაპირ კავშირშია აგრეთვე 1994წ. ინგლისში გამოქვეყნებული სტატია “ყურანი და ნოეს კიდობანი”.

ნოე ყურანის მიხედვით იგივე ნუპია/ნუხია. მან ააგო კიდობანი, მაგრამ ხალხი დასცინოდა. მას არ დაუჯურა არც საკუთარმა ვაჟმა, რომელიც განცალკევებით იყო და მამას უთხრა, რომ წყალდიდობის შემთხვევაში იგი მთებს შეაფარებდა თავს. მაგრამ ვეღარ გადაირჩინა თავი და დაიხრჩო მომძლავრებული წარდგნის დროს. ნუპიას წარგვავნილ ხალხს არ უსმენდნენ, მათ სიცრუეში ადანაშაულებდნენ. ყურანის მიხედვით კიდობანი მისულა არა ბიბლიური არარაფის მთასთან, არამედ მისგან 200 მილის მანძილზე დაშორებულ მთა ჯუდასთან (აღ-ჯუდასთან). ეს წარდგნა ყურანში მონათხრობის მიხედვით არაა მსოფლიო მასშტაბის, იგი ლოკალური ხასიათისაა.

ქართულ გეპირსიგყვიერებაში წარდგნის მოტივი პირდაპირ კავშირშია არაერთი ტბის არსებობასთან, რომლებიც ქართველი ხალხის ცნობიერებაში უდიდესი კატასტროფების – წარდგნის შედეგად შემორჩენილი ე.წ. „ბლვის ნაწყვეტებია”, რომელთანაც ყოფილ დაკაშირებული აგრეთვე გემის დასაბმელი ჯაჭვების შემდეგი სახელებიც: „საბამი”/„ნამბავი”/„ნამბავები”. ამ მხრივ საკმაოდ მდიდარი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალები მოიპოვება აჭარაში, რომლებშიც მითითებულია „ბლვის ნაწყვეტის” კონკრეტული ადგილი და მოიხსენება გემის ჯაჭვები, რომლებიც თითქოსდა „შემორჩენილია” დღემდე არგინეთის მთაზე, სოფ. თაგოს ბერით – ხულოში, სოფელ ცხმორისთან, ასევე ქედაში, თ. სახოვას მიხედვით, კინგრიშის ხეობაში ელიას ციხესთან, მთა პერანგაზე, გვანცას მთაზე და ა. შ. ინფორმაციორთა თქმით, გვანცას მთაზე შემორჩენილი ჯაჭვები „სამი კაცის სიმსხო” ყოფილა.

საყურადღებოა ის მოსაზრებები, რომლებიც შეეხუჭიათ მსოფლიო წარდვნამდე არსებულ მაღალგანვითარებულ ცივილიზაციებს. ასეთი შეხედულებები ანტიკურ ეპოქაშიც იყო გაერცელებული და იგი ასაბუთებდა ეგვიპტელი სწავლულების „დიდ ცნობებს ზეციური მოვლენების“ შესახებ. ახალი მეცნიერებლი აღმოჩენების, განსაკუთრებით კი ოკეანეში დაუნჯებული კვლევის შედეგებს პროფესიონალი მკვლევარები მიჰყავთ შორეული კულტურების საოცარ მსგავსებამდე, რამაც არაერთი პიპოთების წარმოშობა განაპირობა. და მაინც, ყოველი ახალი გამოკვლევა ძირითადად ემყარება იმ გადმოცემებს, რომლებშიც ნათელია, რომ მითიურ დროში ბდეა და მდინარეები ცამდე აღიდებულა და მომხდარა მსოფლიო წარდვნა. ამ მექანიზმის გააბრების მრავალგვარობა ცალკეულ ხალხში შემონახულ თქმულებათა-გადმოცემათა ორიგინალობამ და ცალკეულმა თავისებურებებმა განაპირობა. მაგალითად, ჩინური ლეგენდის მიხედვით გველეშაპი ყოფილა წარდვნის მიზები, რომელმაც თურმე ისე მიარგვა თავი ცის საყრდენს, რომ ყველა ბოძი წაუქცევია და ამ გზით ცალედამიწაზე დამხობილა.

ქართული მითოლოგიური გადმოცემები თავისებური გასაღებია წარდვნის მექანიზმის საიდუმლოებისა. მათში გველეშაპი/გველვეშაპი ჯადოსნურ-ფანტასტიკური ჟერსონაჟია, რომლის სამოქმედო არეალი საქმაოდ ვრცელია: ხმელეთი-წყალი-კოსმოსი (9;19). გველეშაპი წყალში, უფრო ზუსტად, „ბღვის ნაწყვეტში“ წარდვნის შემდეგ დარჩენილა და იქაურობის პატრონად, ბატონად გადაქცეულა. ჩეენს მიერ შეკრებილი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, გველეშაპები ან მარცხდებიან, ან ების წყალს მიჰყებიან მდინარეების ან გამდინარე ების წყლის გზით – ბღვისაკენ. ყოველი გადმოცემა გვაუწყებს, რომ მის წინააღმდეგ მებრძოლთ გადაშენება უწერიათ, თუმცა ეს „ბრძოლები“ ხშირად გველეშაპის

დამარცხებით მთავრდება. თქმულების აღნიშნული პრინციპი, ანგრი, (ანუ რომელშიც გველეშაპი მარცხდება) ჩაწერილია კინგრიშის ხეობაში, ხინოში (სოფელ ქათამური). მოგვყავს გადმოცემის ტექსტი სრულად:

“პერანგაზე არის ჯაჭვი. იქ ბლვის ნაწყვეტია—ტიპი-ყელი. მივიდა კურო და დაიწყო ბუღრაობა, მიწის თხრა. ამ ბლვის ნაწყვეტის პატრონი—ბატონი იყო „გველვეშაპი“. ეს ტბაც ბატონიანია. ხარი სახლში რომ ბრუნდებოდა, პატრონი ატყობდა, რომ იგი გადიბიანებული იყო, ბოლოს გადაწყვიგა გაპყოლოდა ხარს და გაეგო მიზები. ხარი ტბას რომ დაუახლოედა, ტბიდან ვეშაპივით ამოვიდა და ძირბე მინდორივით არის. „გველვეშაპმა“ დაიწყო ბრძოლა. რომ გაითიშნენ ხარი და გველვეშაპი, ხარი ღმეოლით წამოვიდა სახლში, „გველვეშაპი“ კი ტბაში ჩავიდა. ხარის პატრონმა იფიქრა და გააკეთებინა სამჭედლოში ორპირიანი დანები. დაამაგრა რქებბე, კარგად აჭამა, რადგან იგი მერაყობდა//ნერვიულობდა. წავიდა ხარი ტბისკენ, ხალხი ისევ გაპყვა. იგივე განმეორდა — დაიწყო ბრძოლა, მაგრამ ხარმა რამდენიმე საათში დაჩაგრა „გველვეშაპი“, ხარს კი მხრებბე და გულმკერდებე ბეწვი აღარ შერჩა — “დოუჭოჭა”, დახაბა, ჭვანკებითაც და კბილებითაც. 2-3 საათში „გველვეშაპი“ გეექცა ხარს. ხარი დეედევნა. იღმუვლა და თხარა მიწა და მოტრიალი და ხმაურით და ბუღრაობით”.

ერთ ოჯახში, როდესაც ამ შებრძოლების ამბებს მნახველები ყვებოდნენ, გადაწყვიგებს გასულიყვნენ იარა-ლით და ენახათ მკვდარი გველეშაპი. რამდენიმე საათში ისეთი “უშნო” ამინდი მეიქმნა, ისეთი ჭექა-ქუხილი მოვიდა, რომ ხალხმა თქვა: „ჩვენ უსწორო ამბავი გავაკეთეთ ღმერთთან, გვიწყინაო და სეტყვა და კოხი მოვიდა, წვიმა და ღრმაობათ (4,160). ხალხი გადარჩა და ერთმანეთს მიუღოცეს გადარჩენა. ამის შემდეგ ტბაში იმხელა წყალი ჩავიდა, ვეშაპი წაყვა „ცხრობვანის მდინარეს“, (რომე-

ლიც ხინოში ეკლესიასთანაა) მდინარის მოსახვეებში, გველვების, ბალ წყალში „სათიბიებში” ასულა და მისი ფანის და კუ-დის ნათრევი ეტყობოდათ იქაურობას; ეს იყოთ საკირეს-თან, ხინოში, ხალხის თქმით, შეიძლება გველვებაპი ბღვაში ჩავიდათ”.

სოფელ ვარჯანაულში-ხინოს ხეობაში, ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით(19), ხინოს მთაბე არის გამოქვაბული. იქვე ყოფილა „ბღვის ერთი ნაწყვეტი”. ხალხს შეუნიშნავს, რომ იქვედან ხარი დასისხლიანებული ბრუნდებოდა. სამჯერ რომ განმეორდა ეს შემთხვევა, დააკვირდნენ და დაინახეს, რომ ბღვიდან „რაცხა” ამოდიოდა და ხარს ეჩხებებოდა. ამის შემდევ ხარი მოამზადეს საბრძოლველად, რქებზე გაუკეთეს დანები, რომლებიც სარტყელით იყო დამაგრებული ერთმანეთთან და მიძყნენ ბღვისაკენ ბრძოლის მოლოდინში. ახლოს რომ მივიღნენ, დაინახეს რომ ბღვიდან ნიანგი ამოვიდა. დაიწყო ბრძოლა, რომელშიც ხარი დამარცხდა. ამის გამო ხარის პატრონმა და ხალხმა გადაწყვიტა ამ ბღვის დაშრობა. როცა დაიწყეს თხრა, ხარის პატრონი მოკედა და წამოვიდა „სისხლის წვიმა” (ეს იგივე სიკვდილის წვიმაა, როცა კედება ადამიანიო), ეტყობა ცოდვა გამოუწიათ.

სოფელ დიდვაკეში ჩაწერილი ვარიანტის მიხედვითაც, ბღვიდან ამოსული იმარჯვებს, ამ შემთხვევაში არა გველებაპი, არამედ – ხარი. მთხრობელთა თქმით ბღვის ნაწყვეტი უძირო ბღვა ყოფილა და იქვედან სხვა ცხოველები ამოდიანო, თვით ადამიანებიც.

სოფელ კეჭიეთში (კინტრიშის ხეობა) კი გადმოცემა გვიამბობს არა გველებაპისა და ხარის ჭიდილზე, არამედ ხარების შებრძოლებაზე, რომლებიც თურმე ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს ბღვის ნაწყვეტთან. დამარცხებული ხარის პატრონს (ამჯერადაც) შეუძენია ორი „ბეიბუთი”, დაუმაგრებია ხარის რქებზე და სოფლის ხალხთან ერთად გაძყოლია ბღვის ნაწყვეტისკენ. ხარის მიახლოე-

ბაზე, გმულის ხმაზე, წყლიდან ხარი ამოსულა. შეტაცვების ან ერთმანეთს და დაჭრილა წყლის ხარი, რომელსაც ადამიანის ენაზე უთქვამს: „გამჩენელო ღმერთო, მე ამის-თვის გიანი არ მიმიუწებია, ღმერთო, ამის პატრონს ახორში კუდიანს ნუ მისცემ და სახლში ქუდიანსო”. ამის შემდეგ ხარის პატრონის ოჯახში ბიჭი არ დარჩენილა.

დაჭრილი ხარი ზღვაში ჩავარდნილა. ხალხს ნაპირის გადათხრა მოუნდომებია, რათა ამ გზით შესაძლებელი გამხდარიყო ზღვის გაშვება, მისი დაშრობა. როგორც კი დაუწყიათ გათხრა ნაპირისა, წამოსულა „ხოშკაკალი” და სახლამდე ძლივს მიუღწევიათ. ასე, რომ ზღვის დაშრობისათვის თავი დაუნებებიათ.

ზოგი გაღმოცემის მიხედვით, ხარს ზღვაში ბავშვი ჩაუყვანია. უძირო ზღვისთვის ხალხს „გაღმოსარები” გაუკეთებია, მაგრამ ზღვა აღელდათ.

ზემოთაღწერილი გაღმოცემების ყველა ვარიანტში ტბის პატრონი გველეშაპია ან ხარი, ხან ნიანგიც (?). მათ წინააღმდეგ მებრძოლთ კი გადაშენება უწერიათ მიუხედავად იმისა, ამარცხებენ წყლის ბინადარს თუ ვერ ამარცხებენ.

აჭარაში 1897 წ. მოგზაურობის დროს ცნობილი მოგზაური და მკვლევარი თ. სახოკია იმერხევს სწევევია და ჩაუწერია ლეგენდა არსიანის მთის ბირას მდებარე „ბუღაღიოლის” ტბის შესახებ (15,270). ამ ლეგენდაშიც პატრონისაგან გაძლიერებულ-შეიარაღებულ ხარს – რქებმოჭედილს – ბუღა დაუმარცხებია, რომელიც ტბაში ჩავარდნილა და „იმის სისხლს მთელი ტბა შეუდებია. იგი არ ამოსულა ტბიდან”.

ძველაღმოსავლური მითოლოგიის მიხედვით გველეშაპთან ბრძოლაში ჩნდება ახალი მიმართულებების დათავაბები, რომელთა საღიძებლად რიგუალებია შექმნილი, გველეშაპის კულტთან ბრძოლაში მაღლდებიან და უძლეველი ღმერთები ხდებიან. „ვეშაპოიდებზე ახალი სა-

კულტო სიმბოლოს გამოკვეთა, ახალი რელიგიის გამოწვევის ნაბეჭდი მეტყველებს, გრძელდება რელიგიათა შერწყმა, უძმბოლოთა კონტამინაცია. ამ ხანებში ხარი გადმოდის წინა პლანზე” (1,103-138). „ახალი პოლიტიკური რელიგია მესაქონლეობის განვითარებას უჭერს მხარს” (1,124).

საყმოს, ანუ მკვიდრი მოსახლეობის ისტორიაში ტერიტორიის შექმნა არის უმნიშვნელოვანესი ეპოქა. ღვთისშეიღებმა ეს ტერიტორია ისე გამოგლიჯეს დევებს, როგორც ძველ მითოსში სოფლისათვის წყლის დამკავებელ გველეშაპს. მათი კვალი ატყვია „ნაღევარ” ტერიტორიას და გადმოცემა გამაგრებულია მაგერიალური საბუთით – ანაბეჭდით მიწა-წყალზე. ეს ხანა „სისხლის წვიმების” ხანაა (12).

ქართულ მითოლოგიაში ასახა წარდგნის ცალკეული ტიპი, რომლის ანალოგები დამოწმდა მის ერთ-ერთ უძველეს კუთხეში – აჭარაში. ეთნოგრაფიული მასალები წარდგნას მოიხსენიებს როგორც „ქვეყნის დაქცევას”, „დუნის დაქცევას”, ან „ყიამეთს” (ეს ორი უკანასკნელი ისლამის გავრცელების შედეგად ჩანს ჩვენს ზეპირსიტყვიერებაში შემოსული). წარდგნის მოტივი დაკავშირებულია ბიბლიური ნოეს სახელთან, რომელსაც გადმოცემებში სხვადასხვანაირად მოიხსენიებენ: ნოე//ნოვე და ნური//ნუპი//ნუხი ფეიხამბერი. როგორც ეხედავთ, ბიბლიური გმირის მაპმადიანური სახელი – ნუპი აჭარის სინამდვილეში ერთობ გაერცელებული ყოფილა.

რაც შეეხება წარდგნის მექანიზმის მთავარ და ძირითად მხარეს – სიუკეტს, იგი საკმაოდ მდგრადია, თუ არ ჩავთვლით მისი ცალკეული ღეტალის ცვლილებასა და პერსონაჟთა წრის გაფართოების საკითხს.

აჭარის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით მოწმდება საქმაოდ საინტერესო თქმულებები წარდგნის შესახებ. ერთი ვარიანტის მიხედვით, რომელიც ჩემთ აჭარაში ჩავიწერეთ, „ნოვე” არისო „ნუხი ფეიხამბე-



რი”. მისთვის გამოუეგბავნია ღმერთს პირველი მოციქულები, „ჯებრაელი”, რომელსაც უთქვამს, რომ „ქვეყანა წყალმადა ეიღოს და შენ ამფერი გემი უნდა გააკეთო, დედალ-მამალი გადაარჩინეთ”. მართლაც გაუკეთებია გემი, ჩაუხებამს დედალ-მამალი და წარღვნის დროს ამ გზით გადარჩენილან. „ნუხს”, სანამ ხმელეთის მიაღწევდნენ, ამბის გასაგებად გაუგბავნია ყორანი, მაგრამ მას ლემის ჭამა დაუწყია თურმე. შეძლებ მტრედი გაუშვა, რომ მოეტანა ხმელეთის ამბავი. მართლაც მოუტანია მტრედს ფოთოლი და მიაღგნენო მთას და გემი დააბეს არარატის მთაზე.

ქობულეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით წარღვნის გადმოცემა შემდეგნაირია: ნოემ, ანუ ნუხიმ//ნურიმ იცოდა – „ფურნეში რომ წყალი გამუა, ქვეყანა დეიქცევათ”. ქვეყანას „წყალი დეიქავსო”, „ყველაფერი ამობრუნდებათ”. მან 950 წელიწადს იყოცხლაო და როცა პკითხეს განვლილი ცხოვრების შესახებ, უპასუხნია: „ერთი კარიდან შევედი და მეორედან გამოვედი, არაფერი არ მახსოვსო”. ამ გადმოცემაშიც არის ნათქვამი, რომ ნუხიმ//ნურიმ ყველა სახის დედალ-მამალი გადაარჩინა და გემში მათვის გამრავლება აუკრძალია. მაგრამ „სასირცხოდ” მოქცეულა ძაღლი და კატა და ისინი დაუწყევლია: „თქვენი გამრავლება ყველას გაეგოსო”. ამიგომ ისინი დღემდე არიან დაწყევლილები. გემიდან გაპარვა უცდია თაგვს და დაუწყია გემის გამოხრა. იგი კატას დაუჭერია და ნუხის მაღლიერების ნიშნად კატისათვის ზურგზე ხელი გადაუსვამს. ამიგომაა, რომ კატა ზურგით არ ეცემაო, გვამცნობს გადმოცემა. როცა თაგვს გემი გამოუხრაეს, იქ გველი „გამიედგა” და სანაცვლოდ ნუხისთვის ჩვილი ბავშვის ხორცი მოუთხოვია. მართალია, ნუხი შეპირებია გველს თხოვნის შესრულებას, მაგრამ როდესაც ხმელეთზე გადასვლის შეძლებ გველს დაპირების შესრულება მოუთხოვია, პასუხად ნუხს უთქვამს: „წადი შენ აქედან, შენ რომ მაგის უფლება მოგცე, გამ-

რავლება არ მექნებაო. შენ წადი შანში (ჭაობში) და მექუნი ბაყაყები ჰამეო”. ამის შემდეგ ებრძვისო გველი ჩვილ ბავშვებს, გვაუწყებს გადმოცემა (20).

გადმოცემის ამ ვარიანტში ლაპარაკია იმ გაჭირვებაზე, რომელიც გემზე მყოფთ დააგყდათ თავს პროდუქტის გამოლევის შემდეგ. თურმე გემი მიადგა კუნძულს, სადაც მსხმოიარე ბლის ხეს საიმედოდ იცავდნენ მოხუცები. ნუხის შეურჩევია გემზე საუკეთესო ვაკეაცები და ისინი დაურიგებია: ზოგმა მოხუცები ვაართეთ და დანარჩენებმა კი ბალი მოკრიფეთო, იმ შემთხვევაში, თუ მოხუცებმა ბლის მოკრეფის ნება არ დაგროტოთ. მართლაც, მოხუცებს ბალი არ მიუციათ მათთვის და ამიტომ მოხპარავთ სიჩქარისაგან ბოლებდაგეხილით. ამიტომ არისო ბალი უფრო გემრიელია თავისი ბოლებით დაკრეფილი, ხოლო თავის გადასარჩენ ქურდობას კი „საფარი” ანუ სამაღავი აქვსო.

შიმშილისაგან თავის დასაღწევად ნოეს სხვა გზისთვის მიუმართავს. ეს ვარიანტი ყველაზე მეტად არის გავრცელებული გადმოცემებში. ნური ფეიხამბერმა აშურის მთვარეზე „გამოსცალა 400 თუ 4000 „მემკი” მტკერი სხვადასხვა პროდუქტისა, მოადუდეს საჭმელი და ამით გადარჩნენო. აშურა მზადდება რამდენიმე თავი პროდუქტისაგან, 9-10 კი აუცილებლად უნდა მის მოსამზადებლად: გაურჩეველი სიმინდი, პურის კაკალი, ღომი, ლობით, ბრინჯი, ხურმის ჩირი, ვაშლი, შაქარი, თაფლი, თხილი, ნიგოზი, ქიშმიში, ხაპი. ეთნოგრაფ ჯ. ნოდაიდელის თქმით, იმ მთვარეს, რომელზედაც აშურას დღესასწაულებრივი, აშურას მთვარეს ეძახიან. არაბულად მას „მუხერრემე” ეწოდება. აშურას დამზადება ამ მთვარის მეათე დღეს ხდებოდა (13,15;14,62). ზოგი ინფორმაცირის თქმით აშურაში ფულს (კაპიქს) აგდებდნენ. ამასთან, ზოგი ცნობით, აშურა გემზე დაუმზადებიათ, სხვა ცნობით კი – გემიდან გადმოსვლის შემდეგ. მთხოვთა გადმოცე-

მით (20), აშურის მთვარეზე ამბადებდნენ აფრეთვე ატაბელი ლას და მას ყველთან ერთად მიირთმევდნენ. საერთოდ გაბლა საახალწლო კერძია, იგი „თორმეტი სახეობიდან” მჩადრებოდა: მაკიდო, სოიო, პრასი, ბროწეული, ნიგოზი, პურის კაკალი, ჭადის ფქვილი, ნიორი, მარილი, ცოტა ზაფრანი, ბიბერი (პიმპილი) და ბრინჯი. როგორც ვხედავთ, მისი მომზადება, მრავალფეროვნება შედგენილობისა, რაღაცით წააგავს აშურას, ოღონდ აშურა უფრო ფაფისებურია, ტაბლა კი ცხვებოდა კეცტე და იგი მშრალი კერძია.

წარდგნის მოტივთან პირდაპირი კავშირი ვლინდება „სადილის მიგანის” ჩვეულებაში, რომელიც ქორწინების ციკლის ერთ-ერთ საინტერესო ეტაპს წარმოადგენს. ჯ. ნოლაიდელის ეთნოგრაფიული ჩანაწერების მიხედვით(14,61), როცა ქვეყანა წყლით დაფარულა, ნუხს (ფეხდამბერს) თავის გემზე პყოლია მისი სამი ვაჟი: „სემ”//„სამ”, „ქამ” და „იაფეთი”, ერთი ქალი და ყველა ჯურის ცხოველები წყვილად, დედალ-მამალი. ხალხი ხომ გაწყვეტილა, ნუხს გადაუწყვეტია, ხალხი რომ გამრავლებულიყო, თავისი ქალის თავისსავე ვაჟზე მითხოვება. მაგრამ ქალი ერთი პყავდა და ვაჟი კი სამი. ნუხს ფეხდამბერი დაღონებულა, მაშინ ღმერთს ჯებრაელი მიუგზავნია ნუხისთვის და უბრძანებია, შენ რომ დედალი ვირი და ძაღლი გყავს, დამე შენს ქალთან ერთად ოთახში დაამწყვდიეთ. ნუხს ბრძანება შეუსრულებია და დილას ოთახში სამი ქალი დახვედრია. ნუხს თავისი ასული ვეღარ უცვნია. თითო ვაჟისთვის თითო ქალი დაურიგებია. შემდეგ ნუხს თავისი ქალის ცნობა გადაუწყვეტია. ერთი კვირის შემდეგ მიუგანია ერთ-ერთი ვაჟისთვის სადილი და უკითხავს: როგორია ჩემი ასულიო? პასუხად მიუღია ერთი ასულის თაობაზე – ჯიუტიათ, მეორესთან სტუმრობის დროს – ბევრს ლაპარაკობსო, მესამე კი შეუქეს და „ამ გზით ნუხს ფეხდამბერს თავისი პირმშო ასული გამოუცნია

და უნდა ვიფიქროთ, რომ ქორწილის შემდეგ „სადილის მიზანი“ ჩვენში ამ ნიადაგზე უნდა იყოს გაერცელებული” (14,61).

„სადილის მიზანის“ შესახებ არსებული გადმოცემა ჩვენთვის მრავალმხრივ საინტერესოა, რომელსაც მომავალში დავუძრუნდებით უკეთ შესწავლის მიზნით. აქვე დავამატებთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალები გვაწვდის ცნობებს არა მარტო ნოეს შვილების შესახებ, არამედ იმათ შესახებაც, ვინც ნოეს ებმარებოდა კიოდობნის მშენებლობაში. გადმოცემის ჩვენეულ ვარიანტებში, ნოემ სამი არაჩვეულებრივი დამხმარე ხელოსნისათვის- „უსტივებისათვის“ ინაგრა სამი ქალიშვილი სასიძოების შესანარჩუნებლად და მათი გულის მოსაგებადაც. მთავარი ამ გადმოცემათა შესახებ ის უნდა ითქვას, რომ ყველა უკავშირდება ნოეს და, საერთოდ, წარდგნის თემას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „სადილის მიზანის“ ჩვეულება აჭარაში დღემდე არის შემორჩენილი და მოსახლეობა მას აიგივებს „ქალების სტუმრობასთან“. იგი „ოდითგან წამოსული წესია“ – გვამცნობს მოსახლეობა. მას, ანუ „სადილის მიზანის“ წესს სხვაგვარადაც მოიხსენიებდნენ: „პირველი პირის ახსნა“, „ძღვენით მისვლა“. ტრადიციულად მშობლებს გათხოვილი ქალიშვილისათვის „სადილი მიაქვთ“ ქორწილიდან რამდენიმე დღის (25,173-174) შემდეგ; მე-8, მე-9, მე-10, მე-15, ან 21-ე, 22-ე დღეს; „სადილის მიზანა“ იმდენად აუცილებლად მიიჩნეოდა, რომ სიცოცხლეში თუ ერ მიიგანდნენ, მისთვის საფლავებე მაინც უნდა მიერთმიათ. ეს აუცილებლობა მდგომარეობდა იმაში, რომ ხალხური რწმენით იმ ქვეყანას დედა-შეილი ერთმანეთს ვერ შეხვდებოდა, ასევე გარდაცვლილი მშობლის სულისათვის გათხოვილი გოგოს ოჯახიდან არაფერი არ მიუვიდოდა მშობელს. დედამ „ძუ-

თუ უნდა უქნას შვილს აღალი”, რადგან მისი „ამაგრისათვის გამეიხსნებაო”.

„სადილზე” აუცილებლად უნდა მიეტანათ ტკბილეულობა, ღვებელი. კერძოდ, ინფორმაცორთა თქმით, აუცილებელი იყო: სამი ცალი ხაჭაპური, ერთი ცალი ქათამი (აუცილებლად კენტი) და ტკბილეულობა და ღვებელი. სხვა ვარიანტის მიხედვით: ცხრა ხაჭაპური, სამი ღვებელი/ „ღვიძელი” მთვარის ფორმის, ყეთმერი, „შექერლამა”// „შაქარლამა”, ბაბთიანის ინდაური, ან ღედალი-ღედოფლისათვის, მამალი-სიძისთვის. ასევე, ღვებელიც სიძე-ღედოფლისათვის განკუთვნილ კერძად ითვლებოდა.

წარლენის სიუჟეტი არაერთ მცირე და დიდი ბომის ლიტერატურულ ჟანრში აისახა, რომელსაც, ჩანს, სხვადასხვა ვარიანტით ქმნიდნენ შუმერები და სემიტები. წარლენის შესახებ არსებული მითის შუმერულ ვარიანტში გადმოცემულია, რომ ბოგიერთი ღვთაება კაცთა მოდგმის მიმართ მკაცრი განაჩენის წინააღმდეგია. მასში მოთხრობილია, რომ ღვთისმოშიში მეფე ზიუსუდრა მოქმედებს მხოლოდ სიბმარში გამოცხალებული ღმერთების ნების მიხედვით და ამ კარნახით ააგო მან ხომალდი კაცთა მოდგმის გადასარჩენად. გადმოცემაში ნათქვამია, რომ დიდმა ღმერთებმა ზიუსუდრას, „მცენარეთა და კაცთა თესლის გადამრჩენელს” მიანიჭეს მარადიული უკვდავება.

წარლენის აღნიშნული სიუჟეტი რამდენადმე გადამუშავებული სახით ვრცლად წარმოადგინეს სემიტებმა ცნობილ გილგამეშის ეპოსში. იგი იყო შუმერების საყვარელი ეპიკური გმირი, რომლის შესახებ შეიქმნა მთელი ციკლი საგმირო მითებისა. ეს პოემა ჩვ. წ. აღ-მდე II ათასწლეულის დასაწყისში დაიწერა აქადერი ენის ბაბილონურ დიალექტზე და თავის მხრივ წარმოადგინს გილგამეშის შესახებ არსებული შუმერული პოემების ფაბულის ვრცელ ვარიანტს.



ნაწარმოებში ნაჩვენებია გილგამეშის ტრაგედიული რადგანაც მას, როგორც ადამიანს, არ ძალუბს გადალახოს სიკვდილ-სიცოცხლის კანონზომიერების საბლვრები და მთელი თავისი არსებით მას ემორჩილება.

წარლვნის დროს კაცთა მოდგმის გადარჩენისათვის ღმერთებმა მარადიული სიცოცხლე უბოძეს მხოლოდ უთნაფიშიმს. სწორედ მასთან მისვლა გადაწყვიტა გილგამეშმა, რათა ესწავლა მისგან უკვდავების მოპოვების საშუალება. სწორედ გილგამეშთან შეხვედრის გამო ჰყვება უთნაფიშიმი წარლვნის ისტორიას: დიდმა ღმერთებმა დედამიწაზე ყოველი სულდგმულის მოსასპობად მოავლინეს წარლვნა. ენლილმა და ეამ გაანდეს ეს საიდუმლოება მას – შურუფაქის მეფეს და ურჩიეს, დაენგრია სახლი და აეგო დიდი ხომალდი, რომელშიც შეიძლებოდა ყოველი სულდგმულის მოთავსება. დათქმულ დროს დაიწყო კოკისპირული წვიმა და გრიგალი, რომელმაც შვიდ ღღუდამეს გასგანა. ამის შემდეგ ჩადგა ქარიშხალი. უთნაფიშთმის ხომალდი მიადგა ნიცირის მთას (არარაგის მთა – ძველი იუდეველებისათვის, ხოლო შუამდინარეთის მოსახლეობისათვის – ნიცირი), სადაც მან დაიბანაკა და მსხვერპლი შესწირა ღმერთებს. ღმერთთა კრებულის გადაწყვეტილებით, ბრძენი ეას რჩევით ენლილმა ადამიანთა მოღვმის გადარჩენისათვის უთნაფიშთმსა და მის ცოლს მიანიჭა უკვდავება.

წარლვნის მოგივი თავისებურად აისახა ძველი აღმოსავლეთის ხალხთა მითოლოგიაში. საგულისხმოა, რომ უძველესი მითების უმრავლესობა დაცულია არქაულ რიტუალებში.

ბიბლიური დროის განსაბლვრა მეტად რთულია (8). ძველაღმოსავლურ საზოგადოებაში უძველესი დროიდან არსებობდა დროის განსაბლვრის ესა თუ ის წესი, ანუ წელთაღრიცხვა. ზოგ ქვეყანაში კალენდარი იყო მზის, მთვარის, ან კიდევ შერეული – მზისა და მთვარის. ცნო-



ბილია, რომ დათარიღების ამოსავალი წერტილი ანუ „მართვისა და გარე ერა” ყოველ ქავებაში ცვალებადი იყო, ხოლო წელიწადს კი ბოგჯერ აძლევდნენ რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის სახელწოდებას.

ბიბლიაში წარდგნის დრო, თეთო ნოეს დაბადება, წინაპართა მოღვაწეობის წლებთან მიმართებაში არის ათვლილი. წარდგნის მოგივის მნიშვნელობას გვიჩვენებს შეამდინარებულში შედგენილი „მეფეთა სიები”, რომელშიც მათი მართვა-გამგეობა ორ ქრონოლოგიურ ჩარჩოში არის მოქცეული. ესაა „წარდგნამდე” მეფეთა მოღვაწეობის კალენდარი და შემდეგაა – მეფენი „წარდგნის” შემდეგ:

დროის განსაზღვრის საკითხში საყურადღებოა ბიბლიურ-ქრისტიანული გაგება, რომელიც ესწრაფვის ყოფითი დროის საკრალიზებას. მაგალითად, სიმბოლიზებულია კვირის შვიდდღიანი ციკლი, ასევე სამოცდათი წელი, როგორც ერთი ეპოქის მომცველი. კავშირი, რომელიც არსებობს დროსა და რიცხვს შორის, არის წმინდა, რადგან თრივე – დროცა და რიცხვიც არის წმინდა.

დროის ათვლას განსაზღვრავს მზის მოძრაობა, რაც შეეხება დროის მთლიანობას – მას გამოხატავს ცა, როგორც ხილული, ასევე გონებით შესაწვდომი (16,127). რიცხვის ცნებას განსაკუთრებული ადგილი უკავია ავრეთვე მითოსური მსოფლმხედველობის სტრუქტურაში. მითოსური რიცხვი არის ორმაგი ბუნების (8,14).

წარდგნის დამთავრება ბიბლიის მიხედვით მოხდა ნოეს სიცოცხლის 601-ე წელს. მეცნიერთა შორის სადაოა „სამყაროს შექმნის” თარიღი, რამაც წარდგნის ხანგრძლივობა არაერთგვაროვნად განსაზღვრა. ბიბლიის ბერძნული თარგმანის მიხედვით წარდგნის თარიღი შეიძლებოდა ყოფილიყო ჩვ.წ. აღ.-ის 3553–2349 წლებში.

საერთოდ, დროის შესწავლის საკითხი მეტად სადაოა და მისი განსაზღვრა ოდითგანვე იძენდა ფუნდამენ-

ტურ მნიშვნელობას. თავდაპირველად დრო წარმოიშვებული მზის გაჩენით, რაღაც მზეა დროითი გამყოფი დღის და დამისა. მანამდე რაღაც დროისებური ვრძლითაბა მაინც არსებობდა და ის ქმნიდა მარადიულობას. საყოველთაო აღდგომის შემდეგაც აღარ იქნება დროის აღრიცხვა, დადგება ერთი დაუსრულებელი დღე, რომელსაც გაანათებს მზე სიმართლისა თავისი უსაბღვრო ბრწყინვალებით. ასე იქნება კეთილთათვის, ხოლო ბოროტათვის დადგება უსასრულო დამე, მარადიული უკუნით (16,125).

ბიბლიის მიხედვით „დრო ადამიანამდეა, დრო იწყება შესაქმით“. მანამდე არ იყო დრო, იყო ბედროულობა.

წმ. იოანე დამასკელმა, რომელმაც ჩამოაყალიბა დროის ქრისტიანული კონცეფცია, „საუკუნე“ რამდენიმე მნიშვნელობით გამოიყენა: 1. ერთია ადამიანის ცხოვრება, 2. ესაა ათასი წელი. (ფსალმუნი 89:4: „ათასი წელი წინაშე თუალთა შენთა, უფალო, ვითარცა გუშინდელი... მეშვიდე „საუკუნე“ მკვდრეთით აღდგომის საუკუნეა, ხოლო მერვე „დღე“ შემდგომი მომავლის „საუკუნეა“. მკვლევარ რ. სირამის შენიშვნით, ფრიად საყურადღებოა წმ. იოანე დამასკელის ახსნა იმის თაობაზე, რომ აწმყო დრო შეიცავს მრავალ საუკუნესო, რაღაც ის შეიცავს მრავალი ადამიანის ცხოვრებას და ამიგომ აწმყო ყველა წინარე საუკუნეს მოიცავს (16,125).

ხალხური შეხედულებით, წარღვნა მხოლოდ ერთხელ ყოფილა, ხოლო აწი რომ იქნება, დაძინებული მკვდრები გაცოცხლდებიან, ცხოვრება „აღდგინდება“ და ცაში წასული სულები დაბრუნდებიანთ. „ქვეყნის დაქცევა რომ მუა, ზღვა იქ უნდა ევიდეს (მთაგე) და „ზღვის ნაწყვეტს“ შეუერთდებათ. სხვა შეხედულების მიხედვით „აწე იქნება მე-6 წარღვნა, შემდეგ კი მემვიდეო. გაჩნდება პატარა ხალხი, რომლებიც მიწიდან ამოვლენ – „ამეიქულებიანთ“ ეწერივით“ (23). „ეს პატარა ხალხი ჩინეთის კედლიდან გამოვათ“, ასე განმარტავს სხვა ინფორმაცო-

რი. მანამდე, სანამ პატარა ხალხი გაჩნდება, შეჩერდება
ადამიანთა გამრავლება 40 წლის განმავლობაში. ამის
შემდეგ გაჩენილი ადამიანები კი ისეთი პატარები იქნები-
ან, სამმა კაცმა ერთი კვერცხის აწევა რომ შესძლოსთ.

ჩვენამდე მოღწეული ერთი საინტერესო გადმოცემა „ამირანის” ეპოსის ფაბულის თავისებურ ვარიანტს წარ-
მოადგენს. სამყაროს, უფრო ზუსტად ქვეყნიერების მომა-
ვალი საფრთხე მოსალოდნელია „ჯერდალისაგან”. ეთ-
ნოგრაფი ჯ. ნოღაიდელი საკუთარი მასალების საფუძ-
ველზე დაასკვნის, რომ „ჯერჯალი” და „დედჯალი” არა-
ბელ და თურქულ ენებზე გადატანილი „ამირანდარეჯანი-
ანია”(14,209). ამ გადმოცემის ჩვენს მიერ ჩაწერილი ვა-
რიანტი შემდეგნაირია: “იყო ერთი ფეხიამბერი ეუბი.
იპოვა თავის ქალა წარწერით „ვიცოცხლე ... წელი და კი-
დევ ვიცოცხლებ”. წამოიღო იგი სახლში და სკივრის კი-
დეში ჩადო. ეუბის გოგომ სკივრში მიაგნო ნაცარს და ენა
დააწო – გემო გაუსინჯა. „გახდა ფეხძიმეთ”. ცხრა თვის
შემდეგ ეყოლა დიდი ბავშვი. იბრდებოდა იგი დღიდან
დღებზე. არავინ არ იცოდა ბავშვი ვისგან შეეძინა გოგოს.
ეს ბავშვი იყო „ჯერდალი” (ანუ მუსლიმანთა მტერი). მან
„გასწყვიგა მტრები”. ბოლოს იგი იქსო ქრისტემ დაიჭირა,
წაიყვანა და „დააბა საცხა”(11,32-33). იგი კავკასიის მთებ-
ში დღესაცაა დაბმულიო. „ეიძვებს მარა, მაბზაკუნა ჩიგი
მივა, წამოვა მოსაკლავათ და ჯერდალი თავის თავს
ასობსო ამ მოქმედებით. მას იქ ყველაფერს აწვდიან, რო-
მელიც თავის სარჩენად მეორე წლამდე ჰყოფისო”.

ხალხური რწმენით, ჯერდალი ერთ დროს აიძვებს –
პირველ ენეენისთვეს და ქვეყანას გადაწვავსო. ხალხს
ემინია მისი აშვების. მათი აზრით, იქსო ქრისტეს ძლიერი
კაცი უნდოდა, კაცის სიკვდილი არ უნდოდათ.

ამრიგად, წარღვნის მოტივთან დაკავშირებით აჭა-
რაში საკმაო ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასა-
ლები არის შემონახული, რაც ნათლად ულინდება ამ მო-

ტივის გავრცელების ფართო არეალში – როგორც აჭარის მთიანეთში, ისე მის ზღვისპირეთში. ამასთან, მოსახლეობას კარგად შემოუნახავს წარღვნასთან დაკავშირებული სათანადო ლექსიკური საფუძველი (ზღვის ნაწყვეტი, გვ. მის “საბმურა” და ა. შ.).

სამყაროს კოსმიური სურათი მოსახლეობის მსოფლმხედველობაში ორიგინალურად არის გააზრებული და მოცემულია წარღვნის ცალკეული სპეციფიკური მომენტიც. მათი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული კელევის შედეგით ირკვევა, რომ წარღვნის ყველა ვარიანტი შესატყვისობაშია ბიბლიური წარღვნის ფაბულასთან. თუმცა უთოგრაფიულ ყოფაში შეინიშნება აგრეთვე მისი ცალკეული სიუჟეტით დამატება-შევსების ან დამოუკიდებელ ვარიანტად განვითარების, ახალ პერსონაჟთა შემოყვანისა და სხვა სპეციფიკური ნიშნების გამოვლენა.

პრობლემის შესწავლით ჩანს, მოსახლეობა ცდილობს წარღვნასთან დაკავშირებული ცალკეული მომენტის გათავისებას, მის მატერიალიზებას. ეს შეეხება „ზღვის ნაწყვეტს“, გემის საბმურა ადგილებს, რიგუალურ კერძ „აშურას“ და სხვა.

ჩნდება, აგრეთვე, ძველი და ახალი ღვთაებების ბრძოლა, ცალკეული ზნეობრივი შეხედულებებისა და სიმბოლოთა დამკვიდრება.

რაც შეეხება ეთნოგრაფიულ ყოფაში მომავალი წარღვნის პროგნოზირების საკითხს – იგი არა მარგო ამ მოვლენის ორიგინალური გააზრების შედეგია, არამედ გვიჩვენებს მოსახლეობის ღვთისმოშიშობას და მის რელიგიურ მსოფლმხედველობას.

NAILA CHELEBADZE

FLOOD MOTIVE IN AJARA BASED ON THE ETHNOGRAPHICAL AND FOLK DATAS

Flood motive is widely spread in Ajara and it is confirmed with the ethnological and folk datas as well as appropriate lexical elements.

The research results help to find out that the world's space picture is realized in a very interesting way within the population.. All versions of Flood corresponds with the biblical Flood. Ajarian ethnological reality shows up the Flood motive to be developing as an independent version; completing it with the various plots or adding some new figures.

While learning the Flood motives it is obvious that the people try to assume some of its episodes (spots for tying ships; ceremonial meals); the fight between the old and new divine beings also shows the religious outlook of the people.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბ. აბაშიძე, ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ., 1991.
2. ს. ავალიანი, ბუნებრივი ოთვლოგია და დიდი აფეთქების თეორია, თბ., 1998.
3. აბ. ასლანიძე, იუდაიზმისა და ქრისტიანობის მოტივები ყურანში, ჟ. „რელიგია”, №1-3.
4. ღ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987.
5. ბიბლია, თავი მე-6, გ. 7,8.
6. ო. გოლიაძე, ბიბლიური ნაკადი ქართულ პაგიოგრაფიაში, ჟ. „ბლდეგარი”, №1. თბ., 1998.
7. ს. გოლოვინი, მსოფლიო წარღვნა. თბ., 2005.



8. ანასტ. ზაქარიაძე, სიცოცხლე და რიცხვთა სისტემის, მითოსში, ქ. „რელიგია”, №1-3, 2000.
9. ზ. თანდილავა, წყლის კულტი ქართული ფოლკლორი, ბათ., 1996.
10. „კვირის პალიტრა”, №27, 2000.
11. ზ.კიკნაძე, ქართული ხალხური ეპოსი. თბ., 2001.
12. ზ.კიკნაძე, ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა, თბ., 1985.
13. ე. მახარაძე, ეთნოგრაფიული მასალა, აჭარის სახ. მუზეუმის არქივი, №68, 1945.
14. ჯ. ნოღაიდელი, ნარკევები და ჩანაწერები, წიგნი I, ბათ., 1971.
15. თ სახოკია, მოგზაურობანი, ბათ., 1985.
16. რ. სირაძე, დრო და ჟამი, ქ. „ცისკარი”, №7, 1992.
17. ქ. ტრაპაიძე, ქართულ პიმნოგრაფიაში გამოვლენილ ბიბლიურ პირთა სახისმეტყველებითი შინაარსისათვის, ქ. „რელიგია”, № 4-6, 1997.
18. ქართული მწერლობა, ტ. I, თბ., 1987.
19. ნ. ჩელებაძე, 2001 წლის ხინოს ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, რვეული №1.
20. ნ. ჩელებაძე, 2002 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, რვეული №1.
21. აპ. ცანავა, ფოლკლორი და თანამედროვე ქართული მწერლობა. თბ., 1986.
22. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.VIII, თბ., 1977.
23. მ. ჯანაშვილი, „ოდუზები” (ინგილოური მასალის მიხედვით), ხალხური ხიბრძნება, ტ.III, თბ., 1964.
24. „Ата-Джурт”, №13, 2002.
25. Н.Державин, свадьба у гурийцев-мусульман в окрестностях Батума, смомпк, №31, 1902
26. А. Кондратов, великий потоп, мифы и реальность, Л-д., 1984.
27. Коран, М., 1963.

ლაგური ქორწილი

ლაგური ქორწილი ნიშნობიდან გარევეული (უფრო ხშირად - ხანგრძლივი) პერიოდის გასვლის შემდეგ იმართებოდა.

ქორწილს ლაგურად ჰანდა ერქვა, სხვაგვარად დუგუნსაც ეძახდნენ.

ქორწილის დროის შერჩევა. ქორწილის დღებე უფრო ხშირად ქალის ოჯახში თანხმდებოდნენ. ამ მიზნით სტუმრად მოდიოდნენ ვაჟის მამა, ბიძა ან ბაბუა. საქორწილო სუფრის ხარკი ორივე ოჯახს თავ-თავისი ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ XX ს-ის შუახანებამდე ქალის ოჯახში არ იმართებოდა დიდი სუფრა დიდი ხარკით. უფრო მეტად მაგიდაზე ტყბილეული ელაგა.

ქორწილი, მთხრობელთა გადმოცემით, შემოდგომაზე უნდა გამართულიყო. გაზაფხულზე და ზაფხულში ქორწილის დანიშვნა არ იყო მიზანშეწონილი - ამას სსნიან იმით, რომ ეს სამეურნეო სამუშაოების დროა. ახალ მთვარეზეც კი არ დანიშნავდნენ ქორწილს - ოჯახი ბედნიერი ვერ იქნებოთ¹. ლიტერატურაში კი აღნიშნულია, რომ ქორწილი „არ შეიძლება მოეწყოს ახალი თვის 3, 5, 7, 16, 21 რიცხვებში. აგრეთვე, თვის მიწურულში მოსული თოხმაბათობით - ეს დღე ყველაზე უკუღმართად ითვლებოდა“².

საქორწინო სამზადისი. სუფრა ძირითადად იმართებოდა სასტუმრო ოთახში, რომელსაც დიდი ოდა ერქვა, ანუ იქ, სადაც შუაცეცხლი ან ბეხარი ენთო. დადგამდნენ ერთ გრძელ მაგიდას სახლში დამზადებული დაწნული სკამებით. ასეთი სკამები საპატიო სტუმრებისათვის იდგა.

¹ პვეტრის საველე ეთნოგრაფიული მასალები, სოფ. სარფი, 2004 წ.

² მ.განილაში, ა.თანდილავა, ლაგეთი, თბილისი, 1964, გვ. 115-116.

ქორწილამდე სამი დღით აღრე ეპატიუებოდნენ ქართული მრებს - ნათესავებს და მეზობლებს. ქორწილში თითო ოჯახიდან ორი კაცი მაინც მიდიოდა. „ვაჟის მხარე დედოფლისთვის ამბადებდა მისატანს ერთი აბრეშუმის, ორი ჩითის კაბას, საგარეო და საშინაო ფეხსაცმელებს და აბრეშუმის ჩაჩაბს (ჩაღრს)“³.

პატარძლის განსაცმელს ხშირად ვაჟის ოჯახი იძენდა, ანდა ახლობელი უკერავდა ქალს თეთრ კაბას და ფატას; იცოდნენ თხოვებაც. თუ ვაჟი ვერ შეიძენდა საგანგებოდ ამ დღისათვის შარვალს და პიჯაკს, შეიძლებოდა რომელიმე ახლობელს ეთხოვებინა მისთვის⁴.

მეზობლებსა და ახლობლებს მოქმედნდათ თეჭსით (ლანგარით) ბაქლავა, ბურელი, ქათამი. „დეოფლის მხრიდან დაპატიუებულთაგან ახლო ნათესავებს დედოფლისათვის მიაქვთ საცვლები, ხალათი და 50-100 ცალი შაქარლამა, მეზობლებს კი - აბრეშუმის ცხვირსახოცი, ზოგს კი პირსახოცი, ვაჟის მხრით დაპატიუებულთ სურსათ-სანოვაგე (ბურელი, ბაქლავა, ქათამი და კვერცხი) მოაქვს⁵.

მზიგთი. ქორწილამდე პატარძლის მშობლები მზითევს ამბადებდნენ. მზითვად აგანდნენ საოჯახო ნიერებს, ლებ-საბანს, ჭურჭელს: „ორი ქვეშაგებული საბანი, კამოდი, სარკე, საწოლი, ათი სპილენძის თეუში თავსახურით, ხუთი უბრალო თეუში, სამი ქვაბი: დიდი, პატარა, შუათანა, გაშტი - დიდი და პატარა“⁶.

ქორწილის დღეს ქალს გაატანდნენ „300-500 ცალს შაქარლამას, 100-200 ჩურჩხელას, ჩირს, 5-6 თყა მოხალულ თხილს. გოგოს მხარეს ქორწილისათვის ამბადებდნენ შერბეთს, ბაქლავას, ბურელის. საგანგებოდ სიძისათვის ხუთშაბათს 100 ცალ შაქარლამას (მჭადის ფქვი-

³ მ.ვანილიში, ა.თანდილავა, ლაბეთი, თბ., 1964, გვ. 115-116.

⁴ ავტორის საველე ეთნოგრაფიული მასალები, სოფ. სარფი, 2003 წ.

⁵ მ.ვანილიში, ა.თანდილავა, ლაბეთი, თბ., 1964, გვ. 115-116.

⁶ მ.ვანილიში, ა.თანდილავა, ლაბეთი, თბ., 1964, გვ. 116.



ლით გაკეთებულს) და ჩურჩხელებს სიძისათვის დამტკიცებულ თჯახის წევრებისათვის.

ვაჟის ოჯახს მეტი სურსათ-სანოვაგის მომზადება ჭირდებოდა, ვიდრე ქალისას. ვაჟის მდიდარი ოჯახი ძროხას ან ხარს კლავდა, საშუალო ცხვარს ან თხას. ოჯახის უფროსი ხშირად თავად ხელმძღვანელობდა საქორწინო სამზადისს, ან ვინმე ახლობელს დაავალებდა.

ქალის მხარეს სუფრა დამით იმართებოდა. მაგიდაზე ელაგა სპილენძის კარგად გაპრიალებული ტეპსები (სინები), მოკალული, მბბინავი. მასზე ელაგა ტკბილეული - ბაქლავა, ბურელი. აყოლებდნენ შერბეთს.

ქორწილისათვის მზადებას იწყებდნენ დილიდან, რადგან საქორწილო ლხინი საღამოს იყო. ქორწილში ღვინო არ შეიძლებოდა. მაღლა ახალგაზრდები თუ დალევადნენ ცოტას, ასევე მაღლა დღ, სიძესაც ასმევდნენ. ყველა კერძს ოჯახის წევრები ამზადებდნენ (მამიდები, დეიდები, ბიცოლები).

მზადდებოდა - სახლის ქათმის ბრინჯონი, ძროხის ხორცის ტოლმა, ლაბური ჩირბული, ნივრით შემწვარი ყველი, დერგში გაკეთებული ლობიოს და ბაღრიჯნის მჟავე.

ვაჟის მხარე ნათესავებს მოჰქონდათ კერძებიც და შემდეგ არჩევდნენ ვისი მომზადებული კერძი იყო უკეთესი. მებობლების და ნათესავების მოსაკითხი ვალი იყო და უკან უნდა დაებრუნებინათ სათანადო შემთხვევაში.

მაყაი (მაყარი) უფრო ახალგაზრდები იყვნენ. მაყარს წინა დღეს აფრთხილებდნენ. ვაჟის მხარე ცდილობდა, რაც შეიძლება ცოტა კაცი გაეგბავნა მაყრად, რადგან ქალის მხარე სამჯერ მეტს გამოუშვებდა. გოგოს მხრიდან მაყრად აუცილებლად მიღიოდნენ და-ძმა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძა, მამიდა. დედ-მამა თითქმის არ შეიძლებოდა. ძველად მაყრად ქალები ნაკ-

ლებად მიღიოდნენ. ისინი ცხენით ან ნავით მგბაჟურიდნენ.

სასიძოსა და საპატარძლოს მომზადებაში მონაწილეობდნენ ახალგაზრდები და დადიანი. დადიანი ჩვეულებრივ ბიცოლა იყო. სიძეს ერქვა ნოდამე, პატარძალს - ნოდამისა.

სიძის მაყრიონის მოხელა. ვაკის წასვლა პატარძლის მოსაყვანად არ იყო მიბანშეწონილი, მიღიოდა ვაკის მამა და მდადა. მაყრიონს წასვლის წინ ლოცავდა ოჯახის უფროსი - ბაბუ.

მაყარს გამოეყოფოდა მახარობელი, რომელიც უფრო ხშირად ახალგაზრდა და მოხდენილი ჭაბუკი იყო. მახარობელს დიდი სიხარულითა და 1 ლანგარი ბაქლავით ასაჩუქრებდნენ (მუკდევა). შეიძლებოდა მისთვის ქოთუმეში დოლარი (ბრინჯით გამოტენილი ქათამი) მიერთმიათ. აღსანიშნავია, რომ ეს კერძი საგანგებოდ მჩადრებოდა ქორწილში სიუხვისა და სიმდიდრის სიმბოლოდ.

ვაკის მაყარს ჭიშქართან შეეგებებოდა გოგოს მამა ან ბიძა, ერთმანეთს მოიკითხავდნენ, სტუმრებს ოჯახში შეიძაგიერებდნენ. წინ სასიდედრო შეეგებებეოდათ ტკბილეულით ხელში.

აქვე ხშირად ხოჯაც მოჰყავთ (სამამამთილოს) და სრულდებოდა „ახდი ნიშავი“. შეიძლებოდა ქორწინების მუსლიმანური რიტუალი ჯამეშიც შეესრულებინათ. სამამთილო გასამრჯელოს აძლევდა ხოჯას⁷. შემდეგ შერბეთს სვამდნენ.

საპატარძლო აქვე იღებდა საჩუქრებს - სპილენძის მოკალულ ჭურჭელს: გუგუმებს, დანებს, პირსახოცებს, თეთრეულს, ცხვირსახოცებს, საცვლებს და სხვ. უფრო მდიდრები ქალიშვილს ხალიჩას ატანდნენ („ქილიმი“),

⁷ ავტორის სავალე ეთნოგრაფიული მასალები, სოფ. სარფი, 2003 წ.

მმითვის წიგნის დაწერა და, მითუმეტეს, წაკითხვასთანავე ხალხოდ ლაპებმა არ იყოღენ.

გამოსასყიდვი. ვაჟის მამა, ვიდრე ქალს წაიყვანდა, რამდენჯერმე იხდიდა „გამოსასძიდს“.

1. ჩადრჩამოფარებული დედოფალი სახლიდან გამოსვლის წინ კარებში ჩერდება ახლო ნათესავის (ხშირად ძმის) მითითებით: „ახლო ნათესავი კედელზე დანებს მიაკრავს და არ უშვებს დედოფალს. ითხოვს „კაფიხარჭეს“ (კარის ხარჯეს)⁸.
2. პატარძლის სახლიდან გამოსვლის წინ ახალგაზრდები, ხშირად ბავშვები, თოქს გააბამენ და არ უშვებენ გამოსასყიდვის აღებამდე⁹.
3. თუ მაყრიონი ნავით მიდიოდა, მენავეები „წრისებურად ატრიალებდნენ მანამ, სანამ მეფის მაყარი მათ ფულით არ დაასაჩუქრებდა, შემდეგ კი სწრაფად გასრიალდებიან“¹⁰.

პატარძლის სახლში შემოსვლა. სიძის სახლში მიყვანილი დედოფალი შეყავდათ დიდ ოთახში. დედოფალს ანთებულ ბუხარზე ან ღუმელზე ფეხს მიადებინებდნენ. პირში შაქარს ან ტკბილეულს ჩაუდებდნენ. შესვლისას თეოშს გაატეხინებდნენ.

უფრო ადრეულ პერიოდში - XIX საუკუნეში და XX ს-ის დასაწყისში შედარებით მრავალნაირი იყო საქორწინო რიტუალში შემავალი წეს-ჩვეულებები. მაგ. მაყრები ამტვრევდნენ სიძის ებოში ზოგიერთ შენობას, ითხოვენ ძროხას, ხარს, შემდეგ „ტყვეებს - ერთ-ორ ბალდს, ბოლოს სიძეს, რომელმაც უნდა შეიპატიქოს სახლში სტუმრები. დედამთილი საგანგებოდ გაშლილ ჭილოფებები დამ-

⁸ მ.ვანილიში, ა.თანდილავა, ლაბეთი, თბ., 1964, გვ. 116.

⁹ ავტორის საველე ეთნოგრაფიული მასალები. სოფ. სარჯი.

¹⁰ მ.ვანილიში, ა.თანდილავა, ლაბეთი, თბ., 1964, გვ. 116.

დგარ დედოფალს აწვდის ღომის მარცვალში არეჭალ
წვრილ ფულს - აბაზიანებს და ორშაურიანებს და სხვ.¹¹

ქორწილი ერთ-ორ დღეს გრძელდებოდა. მაგიდები არ იცოდნენ. სინები იაგაკბე იყო დალაგებული. სმა-ჭამას არ ენიჭებოდა დიდი მნიშვნელობა, მხიარულებას - კი. გოგო-ბიჭები ერთად მდეროდნენ, ცეკვავდნენ. პატარძალი ამ დროს სხვა ქალებთან და დადიანებთან ერთად ცალკე თთახში იჯდა. იმართებოდა შაირობა, უკრავდნენ ქემენჩებე, პილილებე, მოპჰავდათ მომღერლები¹².

პატარძალი ჯერ კერასთან მიპყავდათ. პატარა დედმამიანი ბიჭი ფეხსაცმელს გახდიდა, შემდეგ სიძე პატარძალს ქალების თთახში მიაცილებდა, დანის წვერით მანდილს ხდიდა და დანითვე მიაკრავდა კედელზე. ამის შემდეგ პატარძალს თავზე კაბს (აბრეშუმის ნაქსოვი გამჭვირვალე თავსაფარი) დაახურავდნენ¹³.

დედამთილი სიძე-პატარძალს ხანჯლის ქვეშ გაატარებდნენ, შემდეგ ამ ხანჯლებს მამამთილი და მაბლი კარებზე დაასობდნენ¹⁴.

8.თანდილავა საგანგებოდ გამოყოფდა საქორწილო მაყრულ სასიმღერო ფოლკლორს. იგი აღნიშნავს, რომ სპეციალურ ყურადღებას იმსახურებს „თირამოლა“, რომელსაც მაყრები ასრულებდნენ სასიძოს სახლთან მიახლოებისას. ჭიშკართან შეაჩერებდნენ დედოფალს და სიძლერით პირველად „დამთირეს“ დედამთილს უხმობდნენ:

„მუღუნ მოლა, მოხთას მოლა,

დამთირე მოხთას, თირამოლა“.

„მოდის მოლა, მოვიდეს მოლა,

დამთირე მოვიდეს, თირამოლა“.

¹¹ მ.ვანილიში, ა.თანდილავა, ლაბეთი, თბ., 1964, გვ. 116.

¹² ავტორის საველე ეთნოგრაფიული მასალები, სოფ. სარფი, 2002.

¹³ მ.ვანილიში, ა.თანდილავა, ლაბეთი, თბ., 1964, გვ. 118.

¹⁴ ავტორის საველე ეთნოგრაფიული მასალები, სარფი, 2003 წ.



ამ სიტყვებს ორჯერ იმეორებდნენ მაყრები დამთილის გამოჩენისას პატივისცემის ნიშნად პატარდალს ეზოში უეხს შეაღვმევინებდნენ.

დედამთილთან შეხვედრის შემდეგ მაყრები იხმობენ მთირის (მამამთილს) და სოჭას (სიძეს). მოაქვთ სიძის თოფი, დატენილი და გადასცემენ მაყრების მეთაურს. იგი ჯერ შეათვალიერებს და შემდეგ უმიზნებს სახლის საკვამლე მიღლს. მას სხვებიც ბაძავენ და მთელი შეიარაღებული მაყარი ერთად ესვრის საკვამლე მიღლს. თუ მიღლი წააქციეს, მაყრები თავს გამარჯვებულად თვლიან და ისევ სიმღერით განაგრძობენ სხვადასხვა ნივთების (დამბაჩის, დანისა და მისთანა) მოთხოვნას. ბოლოს საჩუქრად ითხოვენ ძროხას, ცხვარს და ა.შ. მაყრებს შეუძლიათ მორთმეული საქონელი იქვე დაკლან, ან უკან დაბრუნებისას წაიყვანონ ანდა პატარძლის სახელზე დატოვონ. კმაყოფილი მაყრები „ჰელესა“-ს თქმით დაიძურიან ადგილიდან და თანდათან სახლს უახლოვდებიან¹⁵.

გ.თანდილავა „თირამოლა“-დ ახსნის, როგორც „ღუგის თრევა“ (თირა, თმირუ - თრევა, მოლა - ღუგი): „ქორწილში სასიძოს ეზოსთან შეჩერებაც ასეთ ხანმოკლე შესვენებას გულისხმობს და საქორწილო სიმღერაში ეს შეძახილი სწორედ ანალოგის საფუძველზე უნდა დამკვიდრებულიყო“¹⁶.

ლაზურ საქორწილო სიმღერათა შორის აღსანიშნავია ჭუგა ნუსა (პატარძალი), წულუ ბობო (ქალწულო).

ქორწილის მეორე დღეს პატარძალი იღებდა საჩუქრებს. მებობლები, ნათესავი ვაჟები და ქალები დედოფალს უელს ჩუქნიდნენ. პატარძალი თითოეულ მათგანს მაღლობას უხდიდა, თავადაც უმასპინძლდებოდა – ჩურ-

¹⁵ გ.თანდილავა, ლაზური ხალხური პოემია, ბათუმი, 1972, გვ. 125-127.

¹⁶ გ.თანდილავა, ლაზური ხალხური პოემია, ბათუმი, 1972, გვ. 127.

ჩხელათი და შაქარლამით და აბრეშუმის ხელსახლცხლისა
ასაჩუქრებდა.

მაყრების წასვლის შემდეგ პატარძალს ქალები სი-
მდერით შეაცილებდნენ ყველაზე მყუდრო და კარგ სა-
ძინებელში. ოთახში მზითვეში მოგანილი ავეჯი იღვა.
მდადე შეიყვანდა პატარძალს საძინებელში და ცდილობ-
და მორცხვობის მიუხედავად იქ დაეფოვებინა. სიძე ან
უკვე საძინებელში იყო, ან უჩუმრად შეიძარებოდა, რომ
აბებარ ამხანაგებს მორიდებოდა.

მესამე დღეს, დიღას პატარძალს მჭადს დააკერევი-
ნებდნენ. ამ დღიდან იწყება მისი რძლობა, რაც გამოიხა-
ტება იმაში, რომ ყველაზე აღრე უნდა ამდგარიყო და
გვიან დაწოლილიყო, სულ მუდამ საქმეში იყოს გარ-
თული და სხვ.

კუჩხეშ ქთალაში. ქორწილიდან მე-4 დღეს პატარ-
ძალი ტკბილეულობით მშობლების სახლში ბრუნდებოდა.
ამას კუჩხეშ ქთალაში ერქვა. ერთი ღამის გათევის შემ-
დეგ პატარძალი კვლავ ბრუნდებოდა ქმრის სახლში. ამ-
ით საქორწინო ცერემონიალი სრულდებოდა.

СВАДЬБА В ЛАЗЕТИИ

Свадьба по -лазски "чанда", по другому "дугун". О дне свадьбы договаривались в семье невесты. В гости к ней приходил отец, дядя или дед жениха. До середины XX-го века в семье по этому поводу не накрывали большой стол. Свадьбуправляли осенью, на молодой месяц свадьбу не делали.

Стол накрывали в большой комнате, которую называли "дили ода", там всегда горел огонь. Стоял один длинный стол со сплетенными стульями для важных гостей. За три дня до свадьбы приглашали гостей - близких, соседей. Из семьи на свадьбу приходили как минимум два человека. Свадебный наряд для невесты покупала семья жениха или шила кто-то из родственников. "Макай" (сопровождавшие молодые люди) была только молодежь, старались, как можно меньше людей послать в "макай" так как невестына сторона могла прислать втрое больше. Раньше в "макай" женщин практически не было. В одевании невесты принимали участие молодежь и "Дадиани", т.е. жена дяди. Жениха по -лазски называли "ногамэ", невесту - "ногамиса". Не рекомендовалось жениху ехать за невестой, по этому отправлялись его отец и "мдаде". "Макари" напутствовал перед отъездом глава семьи - "бабу" (дед). Отец жениха несколько раз платил выкуп, пока невесту приводили в его дом.

В доме жениха, первым делом, невеста касалась ногой горящего очага или печки. Невеста с женщинами сидела в другой комнате. Свекровь жениха и невесту проводила под кинжалами, а свекор и деверь вонзали кинжал в дверь. Гости пели свадебные песни: "Тирамолу" или "чуга нуса", "цулу бозо". На второй день невеста принимала подарки, на третий день она пекла лепешку "мчади". На четвертый день после свадьбы, невеста со сладостями возвращалась в родительский дом, это называли "кучхеш кталаши". Проводя ночь у родителей, невеста возвращалась к мужу. На этом свадебный церемониал заканчивался.

გამოყენებული ღიტერატურა

1. ვანილიშვი მ., თანდილავა გ., ლაზეთი, ბათუმი, საბჭო-თა აჭარა, 1964.
2. თანდილავა გ., ლაზერი ხალხური პოეზია, ბათუმი, საბჭოთა აჭარა, 1972.
3. რურუა პ., წინასაქორწინო პერიოდი ლაზერ ტრადიციულ საზოგადოებაში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, VII, თბილისი, 2005, გვ. 438-352.
4. რურუა პ., საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, სოფ. სარფი, 1992-2003.

ქართული ხალხური საფეხბურთო
(მიკვის საუნიადი თუშეთილან)

ქართულ ხალხურ საფეხ-საგებელს შორის ყურადღებას იქცევს საფეხნის ერთი ტიპი, რომელიც დღემდე შესწავლილი არ არის და საერთოდ, ყურადღების მიღმაა დარჩენილი. ესაა სხვადასხვა ფორმის, ზომისა და ხარისხის ფაბრიკული ქსოვილის ნაკუწებისაგან შექმნილი კედლის სამშვენისი ან ლოგინისა და ტახტის გადასაფარებელი საფეხი. ქსოვილის ნაკუწები ერთი ფერის ფაბრიკული ქსოვილისავე დიდ, საერთო ფონზე მიკერებული ფერად-ფერადი ნაჭრებისაგან იქმნება საფეხნის კომპოზიცია. მათ თიკვის (ქსოვილის ნაკუწები – ხალხურიც, ფაბრიკულიც – თუშეთი), მატერიის, ან ფართლის (ზოგადად ფაბრიკულ ქსოვილს ასე აღნიშნავენ) საფეხნებს უწოდებენ.

თიკვის საფეხნებს იყენებდნენ როგორც კედლის სამშვენისებად, ისე ოთახის გასაგიხო ფარდად, საწოლებისა და სხვადასხვა დგამ-ავეჯის გადასაფარებლად, ბალიშისა და მუთაქის პირებად და საბის სამშვენის გულადაც. ცხადია, ყველა ეს საფეხი თავისი ფორმითა და კომპოზიციური შინაარსით ერთიმეორისაგან განსხვავებულია: კედლის სამშვენ საფეხნებზე მეტწილად სიუჟეტური ხასიათის კომპოზიციებია წარმოდგენილი, მაგ., ხე და მის გარშემო ყვავილები, ცხოველები, ფრინველები; ასეთივე საფეხნების ზოგ ტიპს ამშვენებს ანთროპომორფული ფიგურებიც... ასეთივეა, ოღონდ ზომით უფრო დიდია ოთახის გასაგიხოად გამოყენებული საფეხნები. საწოლებისა და ტახტების გადასაფარებლად იყენებდნენ ისეთი ტიპის საფეხნებს, რომელთა ერთი ფერის საერთო ფონზე ყვავილებისა და ვარსკვლავების, ან რაიმე ერთი ფორმის, უმეტესად გეომეტრიული ფიგურებია სიმეტრიულად გამეორებული. გე-

ომეტრიული ფიგურები ზოგჯერ ფონის გარეშეა ერთმშეობის თრებე აკერებული.

უფრო მცირე გომის სხვადასხვა ფერის და სხვადასხვა დაჩითულობის ნაკუწებია გამოყენებული საბნის გულებად. ეს ნაკუწები გარკვეული სიმეტრიით, ზოგჯერ კი ასიმეტრიულად მეორდება და მთლიანობაში ქმნის საერთო ფერადოვან არეს, რაც თვალისფარის მეტად საამო სანახავია. ამ სახის საფენებსა და საღამურებბე (საბნები) ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ მცირე გომის ნაშრომი. გვაქვს საუბარი ამ ტექნიკის აღმნიშვნელ ტერმინოლოგიასა და მისი გავრცელების არეალზე¹. ამჟამად საუბარი გვექნება დღემდე შემორჩენილ რამდენიმე კონკრეტულ ნიმუშზე, აგრეთვე მათი დამზადების ტექნიკაზე. სანიმუშოდ ავიდეთ ორი საფენი ნაბდის ფონით და ერთიც მთლიანად ფაბრიკული ქსოვილისა. ამათგან ერთ-ერთი მცირე გომის (0,30X0,40 სმ) კედლის სამშვენი საფენის, შავი ფერის ნაბდის ფონზე დაკერებულია სხვადასხვა ფერის ფაბრიკული ნაკუწები და ამ ნაკუწებისგან შექმნილია მცენარეული მოტივი. ყვავილების ფურცლები გამოყვანილია თხელ მუყაობები გადაკრული ფერადი ქსოვილებისაგან, რომელთაც წინასწარ ამზადებენ. ყვავილების ფურცლებს, აბრეშუმის ან მულინეს ძაფებით, ორ-ორი პარალელური ხაზიც აქვს ამოქარებული. ღეროები მწვანე ფერის მულინეს ძაფითაა ნაქარგი. ყვავილების კოკრებად ან პაგარა ყვავილებად გამოყენებულია სიგრძივ შუაბე ჩაჭრილი აბრეშუმის ჭიის თეთრი ფერის პარკები. საფენი გაკეთებულია XX ს-ის 40-იან წლებში მელანო გიგოიძე-აფთარაულის მიერ და ინახება თუშეთის სოფელ ბუხურთაში (გომეწრის ხეობა) აფთარაული პოლაგეს ოჯახში.

¹ ნ. აბიქური, ნაფთული და თიკვი ქართულ ხალხურ ქსოვილებსა და შესამოსელზე, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XXVI, თბ., 2004, გვ. 19-21.

ამ საფენზე კარგად ჩანს ფერადი ნაკუწების გამოყენებისთვის
ტრადიცია, რომელიც საერთოდ იყო გავრცელებული სა-
ქართველოში.

შემორჩენილია უფრო დიდი ზომის, შავი ფერის ნაბ-
დისფონიანი საფენიც. ესაა უნიკალური და ტიპიური ნიმუ-
ში ამგვარი საფენებისა. ფონი წარმოადგენს კახური ქუ-
ლების შეკრევისას მორჩენილ, ერთმანეთზე აკერებულ,
სამკუთხა ნაჭრებს. მასზე ცენტრალური აღგილი უჭირავს
ხეს, რომლისკენაც საპირისპიროდ მიმართულია ირმების
ორი ფიგურა. დანარჩენი ფონი შევსებულია სხვადასხვა
შინაარსის, ზომისა და ფორმის დეტალებით. აშკარად გა-
მოკვეთილია სიცოცხლის ხის და სამყაროს იდეა. ყველა
ეს ფიგურა და დეგალი ფაბრიკული და ჭრელი ქსოვილის-
განაა და ფონზე მიკერებულია ძაფის ამოხვევით. საფენს
აქვს სარჩულიც; იგი კარგადაა შენახული და დაცულია
არქიტექტორ ვიქტორ ჯორბენაძის კერძო კოლექციაში.
საფენი XX ს-ის პირველ ნახევარშია შექმნილი.

შეგვიძლია დავაკვირდეთ კიდევ ერთ კედლის სამ-
შვენ საფენს, რომელიც უფრო დიდი ზომისაა (4, 6 მX2მ).
ესაა შავი ფერის საფინის ქსოვილის ჩარჩოში ჩასმული
წითელი ფერის ჩითის ქსოვილი, რომელიც წარმოადგენს
ძირითადი კომპოზიციის ფონს. თვით ჩარჩოს შავი ფერის
ფონზეც სიმეტრიულადაა განლაგებული ფერადი ნაკუწე-
ბისგან გამოჭრილი ოთხფურცლა და მრგვალფულიანი
ყვავილების წყება. „გულის“ მუქი წითელი ფერის, ფონზე
განლაგებულია ქალის და ცხენზე ამხედრებული კაცის
ფიგურები. ფონი სიმეტრიულადაა დაყოფილი „კბილა“
(სამკუთხედის გაბმული წყება) ორნამენტით და ფონის
სიცარიელეს ოსტატურად ავსებს ცხოველების – ირმების,
ძალლების, კაფების... და სხვადასხვაგვარი ფრინველების
ფიგურები. ძირითადად გამოყენებულია ჩითის ქსოვილი,
აქვე გვხვდება შგაპელისა და ატლასის მასალაც. ეს საფე-
ნები შექმნილიაXX ს-ის პირველ ნახევარში. ავტორია სი-

დო ჭაბუკაიძე, თუშეთის სოფელ დართლოდან, რაზეც სამართლია, უენბე წარმოდგენილი, ამოქარგული წარწერაც - „სიღ ჭაბუკაიძე“ - გვამცნობს. მას ორი შვილი მეორე მსოფლიო ომში დაეკარგა და თავისი ქონება ნათესავებს დაუტოვა. „ეს საფეხი დედაჩემს ერგო, მან მოიგანა ზემო ალვანიდან და ამით ოთახი გვქონდა გადატიხული“ - გადმოგვცემს არსენ პლატოს ძე ოსორაული (45 წლის), სოფელ ქვემო ალვანიდან (თუშეთში სოფელ დიკლოდანაა). ეს საფეხიც ძალიან ტიპიური და უნიკალურია; იგი, საბედნიეროდ, შემოგვინახა მხატვარმა თენგიზ მარგაშვილმა. თუშეთში რომ დარჩენილიყო, მასაც ისეთივე ბედი ელოდა, რაც ასობით მისნაირ საფეხს.

სამწუხაროდ, ამ ტიპის საფეხები თუშეთში დღეს ცოტადაა შემორჩენილი. ძველისადმი უსულგულო დამოკიდებულების გარდა, მათი შემოუნახაობის მიზები ისიცაა, რომ ფაბრიკული ქსოვილი ხმარებაში ადვილად ცვდება, მზეც აღვილად სწვავს და განსაკუთრებულ მოფრთხილებას საჭიროებს.

XX ს-ის 40-50-იან წლებში, როცა ევროპიდან მასიურად შემოვიდა რიშელიეს ტექნიკით ქარგვის სტილი და შაბდონები, ქალებმა თავი მიანებეს თიკვებით, მატერის ნაკუწებით საფეხების კერვა-ქარგვას და მთლიანად გადავიდნენ ამ, ახალი ტიპის ნაქარგობაზე. ამჟამად ასეთი ნაქარგები ბლომადაა, ყველა ოჯახში. სამაგიეროდ ძველს დაუდევრად მოექცნენ. უკვე გაცვეთილებს იყენებდნენ იაგაյის საწმენდ ტილოებად და ჩითილების საგრილობლებად. ასე დაიკარგა საფეხების ერთი სახის საოცარი სილამაზე და ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა მისი კეთების ტექნიკაც. ამჟამად ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მხოლოდ შემორჩენილი ერთეული ცალებისა და ხალხის მეხსიერების მიხედვით. მეც კარგად მახსოვეს ამგვარი საფენები და მათი მრავალფეროვნება და ძალიან გავოცდი,

როცა იმ სიუხვიდან, რაც ჩემს ბავშობაში იყო, აშენებად თითქმის აღარაფერია შემორჩენილი.

ამ ტიპის საფენები მცირე რაოდენობით მხოლოდ თუმეთის სოფლებში – ომალოში, დიკლოსა და დოთლოშია შემორჩენილი, სადაც მსურველს შეუძლია იხილოს ისინი. მათ ამჯამადაც იყენებენ ოთახის სამშვენისებად. თუმეთში მათ შემონახვას ხელი შეუწყო იმან, რომ გამთრობით მიზოვებულ სოფლებში მხოლოდ გაფხულობით აღიოდნენ და გაქურდვის შიშით ძვირფასეულობისაგან დაცლილ სახლებში უფრო უბრალო და ძველი ნივთების დატოვება საშიში არ იყო – ამით ძვირფასი საფენები შეიცვალა. ამ საფენებით იქ კედლის სიცარიელეს კარგად ფარავენ და აღამაბებენ დღესაც.

ამგვარი საფენების კერვა-ქარგვა მასიურად დაიწყეს XIX ს-ის ბოლოსა XX ს-ის პირველ ნახევარში, როცა ფაბრიკული ქსოვილები ადვილად ხელმისაწვდომი გახდა. თვით აპლიკაციის ტექნიკა, რომელსაც იყენებდნენ ამ ტიპის საფენებში ერთ-ერთი უძველესია საქართველოშიც. ეს კარგად ჩანს ხევსურული კოსტიუმიდანაც.

თიკვის იგივე მატერიის საფენებს ამზადებდნენ ქალები, რომელთაც კერვა-ქარგვაში ხელი ჰქონდათ გაწაფული და უყვარდათ ეს საქმე. ძირითადად კი ის ქალები მისდევდნენ ამ საქმიანობას, ვინც კერავდა, სოფლის მერავი იყო და ტანსაცმლის კერვისგან შემორჩენილ ნაკუწებს კარგად იყენებდა. ცხადია, სასურველია მდიდარი ფანგაზია და ხატვის უნარიც. ასეთი საფენები ჰქონდათ შეძლებულ ოჯახებსაც, ვინც ფაბრიკული ქსოვილისგან ნაკერ ტანსაცმელს იყენებდა და ნარჩენი ნაკუწები ბლომად ჰქონდათ.

თიკვის საფენების კერვისას იყენებდნენ წინასწარ დამზადებულ შაბლონებსაც, მაგალითად, ამა თუ იმ მცნარის ფოთლებისაგან ან ყვავილის ფურცლებისაგან გადაღებულს.

ქალები ამგვარი საფენების შესაქმნელად აკვიტანული მოდნენის ბუნებას, მცენარეებს, ცხოველებს... ნიმუშებად იყენებდნენ სხვადასხვა მცენარეების ფოთლებსა და ყვავილებს. ბარში საუკეთესოდ თვლიდნენ კომშის წაწვეტებულ ფოთლებს და მისმაგვარს გამოჭრიდნენ, მთაში აპყის (თეთრი დიყი, *Heracleum villosum* Fisch; H. Leskovigrosch) ფოთოლს არაფერი შეეღრებოდა. მოსწონდათ გვირილისა და ღიღილოს ყვავილთა ფურცლებიც. ზოგჯერ ფონჩე დასაკერებელ ნაკუწს წინასწარ გადააკრავდნენ მუყაოსგან გამოჭრილ ფორმაზე და მერედა დააკერებდნენ, უმეტესად (უფრო ღიღილი ბომის საფენებზე) კი ნაკუწებს დაჭრიდნენ სასურველი ბომასა და ფორმის ნაჭრებად (ფოთლები, ყვავილთა ფურცლები, აღამიანთა, ცხოველთა და ფრინველთა ფიგურები...) და სიმეტრიულად განალაგებდნენ კომპოზიციური ჩანაფიქრის მიხედვით, მათ „ნაპირშეტეხვით“, (კიდევმე კეცვით) და ძაფის ამოხვევით ხელით მიაკერებდნენ ფონს, იყენებდნენ საკერავ მანქანებსაც. ამ საქმეში გამოცდილი, ყოფილი მკერავის, ლიგა ივანეს ასული კახოიძე-აბაიძის (85 წლის, სოფ. ქვემო ალვანი) გადმოცემით, ის სხვებისგან ცოგათი განსხვავებული ტექნიკით მუშაობდა: წინასწარ გაამზადებდა ღიღ, ცენტრალურ ფიგურებს, შემდეგ მათ ნაპირებს ისე შემოჰკეცავდა და ისე ამოქარგავდა, შემოაგვირისტებდა, რომ თითოეული ფიგურა დამოუკიდებელი და დასრულებული დეტალი იყო. ფიგურების წინასწარ ასე გამზადების შემდეგ აკერებდა ერთი ფერის საერთო ფონზე. ფონისთვის ძირითადად შავი ფერის ქსოვილს იყენებდა. შემდეგ, პერიოდულად, როცა საფენი დაიმტვერებოდა ან გაჭუჭყიანდებოდა, ფონის შავი ფერი რომ არ გადასულიყო, მას ააძრობდა ღია ფერის დეტალებს, რეცხავდა ახამებდა და ისევ აკერებდა. სახამებელსაც თვითონვე ამზადებდა კარტოფილისაგან. ფოთლების ფორმებისთვის აპყის ფოთლებს იყენებდა. ყვავილებსა და მცირე ბომის დეტალებს

კი, წინასწარი შემოქარევის გარეშე, პირდაპირ აკლებებით, და ფონზე. ამავე მთხოვთხელის გაღმოცემით „ნაჭერი თვითონ გასწავლიდა“ რაში გამოდგებოდა.

თიკვის ანუ მატერიის საფენებზე, ზემოთადწერილი ფიგურების გარდა, იყენებდნენ „კბილა“ ორნამენტს. ის ამ ტიპის საფენებზე ერთ-ერთი უნივერსალური მოტივია ამ ნაჭრელით ავლებდნენ ჩარჩოსაც და მას იყენებდნენ მაშინაც, როცა ფონის დაყოფა უნდოდათ.

საბნის გულად გამოსაყენებელ ნაკუწებს უფრო გეომეტრიული ფიგურების ფორმას აძლევდნენ. ამგვარი საბნის გულები მთელს საქართველოში იყო გავრცელებული, მათ „ჩანაჭრულს“ (სამცხე-ჯავახეთი) ან „ჭინჭის საბანს“ (გურია) უწოდებდნენ. გეომეტრიულ ფიგურებიანი საბნის გულები თუშეთშიც გვხვდება.

ამჟამად ამ სახის საფენებს როგორც უკვე აღვნიშნეთ, თუშეთში აღარავინ აკეთებს. ამ საქმის ოსგაგმალიბა აბაიძემ გადაწყვიტა თავის შვილიშვილებს და მებობელ ბავშვებს გადასცეს თავისი გამოცდილება.

ფაბრიკული ნაკუწებისაგან შექმნილი ნიმუშები მეტად მცირე თდენობითაა დაცული ჩვენს მუზეუმებში, რამდენიმე ცალი კი – კერძო კოლექციებში. ჩანს ხალხში ისინი ჯერ კიდევ არის შემორჩენილი. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის, რომ 2005 წლის შემოდგომაზე, ქარვასლაში მოწყობილ გამოფენის შესახებ ტელევიზიაში გასულ ინფორმაციას ბევრი გამოეხმაურა: გამოფენაზე მოსულ დამთვალიერებლებს თავიანთი ოჯახებიდან მოჰქონდათ დედების და ბებიების ნამუშევრები. ბევრი მათგანი გაცრეცილი, მაგრამ მაინც ნალოლიავები და შემონახული, როგორც სანუკვარი სახსოვარი დიდი ბებიებისგან.

ამ ტიპის საფენების გაჩენა ფაბრიკული ქსოვილების გაცრეცილებას უკავშირდება მთელს მსოფლიოში და ჩვენთანაც იგი შედარებით გვიანდელი მოვლენაა. მიუხედა-

ვად ამისა, ჩვენი შინამრეწველობის ეს მხარე მეტად ინტენსიური ინტერესოა და საგანგებო ყურადღების ღირსია. სასურველია აღდგეს და მომავალ თაობებს შემოვუნახოთ ეს ლამაზი საქმიანობა, მით უმეტეს რომ ამისი საფუძველი არის: ამ საფენებში გამოყენებული აპლიკაციის ტექნიკა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში და საქართველოშიც. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ჩანს, რომ ფაბრიკული ქსოვილების გაჩენამდე და გაერცელებამდე საქართველოში ხალხი ფონად და ორნამენტებისთვისაც თავისი ხელით ნაქსოვ ბამბის ან შალის ქსოვილებსა და ნაბდებს იყენებდა. თუ რამდენად ოსტატურად აღწევდნენ ამას, კარგად ჩანს ხევსურული კოსტიუმის უძველესი ნიმუშებიდან. შეიძლება ითქვას რომ ხალხური რეწვის ეს სფერო საქართველოში ტრადიციული იყო.

თიკვის საფენები, რომელიც შედარებით გვიანდელია, მაგრამ იყენებს აპლიკაციის ტრადიციულ გამოცდილებას, ქართველი ხალხის მხატვრული აზროვნების ერთ-ერთი ღირსეული გამოვლინებაა.

GEORGIAN TRADITIONAL CARPETS AND BER-COVERS (TIKVA CARPETS AND BED-COVERS IN TUSHETI)

Among Georgian hand-made carpets, rugs and bed-covers there is one particular type which is not properly studied and which is worth special attention. These are waii-carpets and bed-covers, made of fsbrik pieces of colours, form and size. They were also used as partitions of rooms.

According to their function, the carpets and covers differ in form and compositional content. Waii-carpets depict compositions e.g. a tree surrounded with flowers, animals and birds, sometimes even human figures. Bed-covers have symmetrically spread flowers and stars over plain background. Quilt covers and pillow-covers are made of symmetrically and asymmetrically spread pieces of fabric. The latter became popular after factory-made cloth appeared in Tusheti. Etnographic materials confirm that before the appearance of factory-made cloth, people knitted these cloths by cotton or wool thread. Naturally, the ornaments were made of the same cloth. Old patterns of Khevsurian clothes prove how skilled people were in knitting and embroidering.

In conclusion it should be mentioned that this popular industry is traditional for Georgia and Tikva carpets and bed-covers are a brilliant expression of the creative thinking of Georgian people.

მარიამ ჯვარი

აღგეთის ხეობაში, ეწ. „საკრისის მთაბე”¹, რომელ-საც მანგლისელი რუსები „Желтая гора”-ს ეძახდნენ, მდე-ბარეობს პრეისტორიული ხანის ძეგლი „მარიამჯვარი”. მანგლისელი რუსები მას „Каменная невестка”-ს („ქვა-თარძალი”) უწოდებდნენ, ხოლო ოსები – მამიდას. ძეგ-ლის ადგილზე ნახვისას მაშინვე თვალში გვეცემა მისი არქაულობა. იფი იმ პერიოდს განეკუთვნებოდა, რომე-ლიც ისტორიულ წყაროებში არც კი დაფიქსირებულა, მხოლოდ ფოლკლორმა თუ შემოგვინახა ცნობა მცირე თქმულების, ან ლეგენდის სახით. ძეგლის სრული აღწე-რილობა ლ. მელიქეთ-ბეგმა მოგვცა თავის ნაშრომში: ქვაჯვრის სიგრძე 2,50 მ-ა, სიგანე 1,35, სისქე 40 სმ. მკვლევრის გადმოცემით, „... მის ქვედა ნაწილს ახასია-თებს „ტარი”, რომელიც თუმცა თევზის ბოლოს ჰგავს, მაგრამ ქვაში ჩასარჭობი ნაწილია” (16, გვ. 113). ამ მო-ნოლითური ქვის ერთ-ერთი აღმწერი ვ. გურკო-კრისინი მას ქრისტიანობის პერიოდში გადაეთებულად მიიჩნევ-და. მისი აღწერილობიდან მეტად საინტერესოა შემდეგი:

¹ ლ. მელიქეთ-ბეგის აბრით, ამ მთას ვახუშტი ბაგრონიშვილი „ლაქ-ვის მთას” უწოდებს (ბოგჯერ მას მოიხსენიებს ლაკვის მც. მთა, ან ლაკვის გორა – 2, გვ. 318, 325), საიდანაც გამოდის აღგეთის ერთ-ერთი შენაკადი ლაკვის წყალი. ს.ს. ორბელიანის მიხედვით, „ლაქ-ვა ლათინთა ენითა წყალს ეწოდების, ხოლო ჩუენთა წერილთა ში-ნა ჯურდმულად უჩენიათ (რომელი ნაგები იყოს) (26, I, გვ. 404). ერთ ადგილას იფი შემდეგნაირად განმარტავს: „ჭაი არს მთხრებ-ლი კლიფისა, ანუ ნაგები წყალთათვის სადგომელად, ვიეთი (რო-მელსაც - ქ.) ლაკვას უხმობენ (26, I, გვ. 477). იფი განმარტავს, ასე-ვე, „ლაკვას”, რომელიც წვიმის გუბეს ნიშნავს (26, I, გვ. 404). ერთი სიგყვით, ლაკვა/ლაკვა წვიმისა და წყლის რეგერვუართან უდა ყოფილიყო დაკავშირებული.

„Что форма креста была придана камню позднее, обнару-
живает его закругленное подножие, не дающее возмож-
ности поставить его в вертикальном положении, как это
полагается всякому кресту. Еще любопытнее форма „не-
весты” сбоку. Она имеет определенный вид рыбы и не-
сомненно именно это сходство какой-то фигурой застави-
ло дать камню имя „каменной невесты” а не „каменного
кресцста” (31, гл. 216). ქვის არქაულობაზე უნდა მიუთი-
თებდეს ასტრალური ნიმანი ორი წრით შემოფარგლული
ამობურცული ღისკოს სახით. გურკო-კრიკინი მას მზის
ღისკოდ მიიჩნევდა (31, იქვე). თუმცა, შესაძლოა, იგი
ნაყოფიერების გამომხატველი სიმბოლო ყოფილიყო, რაც
უფრო შეეფერება ამ ქვის ფუნქციებსა და თვისებებს, რო-
მელთაც ქვემოთ შევეხებით.

სახელწოდება „მარიამჯვარი” ქრისტიანული ეპოქის
ეუთვნილებაა. თქმულებაში, რომლის სიუკეტი საქართვე-
ლოს სხვადსხვა მხარეში ოდნავ განსხვავებული ინტერპ-
რეტაციით არის წარმოდგენილი, მთავარი მოქმედი გმირი
ქალია, რომელიც მგრის ხელში ტყვედ ჩავარდნას გაქვა-
ვებას ამჯობინებს. სახელი „მარიამი” უნდა მიუთითებდეს
ძეგლის ქალურ საწყისსბე, რომელიც ქრისტიანულ ეპო-
ქამი ჩანაცვლა მას. არ არის ცნობილი უძველეს ხანაში
თუ რა ერქვა ამ ძეგლს, თუმცა თქმულებაშიც და ერთ ხა-
ლხურ ლექსშიც, რომელიც მანგლისის აშენებას ეხება,
ყოველთვის ქალი ფიგურირებს (იხ. ქვემოთ). აქედან გა-
მომდინარე, ძეგლის რესული სახელწოდება „Каменная
невестка” („ქვათარძალი”) ამ მონუმენტის უფრო ქალური
თვისებიდან გამომდინარე იყო, რომელიც უოლკლორში
შემორჩა და არა გარეგნული ნიშნის მიხედვით. რაც
შეეხება „ჯვარს” – ქრისტიანულ ეპოქაში იგი ტიპიური
ჩანაცვლებაა ნებისმიერი კერპის თუ ნიშის (ხე, ქვა). მით
უმეტეს თუ დაუმატებთ იმასაც, რომ ქვას ქრისტიანულ
ეპოქაში ჯვრის ფორმა მისცეს.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვერ გავიზიარქებთ მკელევარ მ. ჩხაიძის აზრს, რომელიც მეგალითებში არ განიხილავს მარიამჯვარს, რომელსაც უპროპორციო ჯვრის მკლავები და ნაყოფიერების სიმბოლო – ამობურ-ცული დისკო აქვს. მას ლ. მელისქეთ-ბეგის აზრის გასაქარწყლებლად, რომელიც ძეგლს „ძველი წარმართული ღვთაების დეფორმირებულ ობიექტად“ მიიჩნევდა (16. გვ. 112), მოჰყავს არქიმანდრიტ რაფაელის ნაშრომიდან – „საუბრები მართლმადიდებლობაზე“ ციტატა, სადაც აღნიშნულია, რომ სიმბოლიკა ყველა ეპოქისათვის ერთია. მართლაც, აქ არაფერი არ არის განსაკუთრებული და სიახლე, რადგან კაცობრიობის განვითარების ნებისმიერი ეფაპი და ეპოქა დაკავშირებულია ადამიანის ცნობიერებასთან და ფასეულობები ხშირ შემთხვევაში ზოგადი არის და საერთო. მ. ჩხაიძის აზრით „ჯვრების (იგულისხმება მარიამჯვარი და მის გარშემო პატარა ჯვრები) დისკოსებრი თრნამენტით შემკობა არ წარმოადგენს საფუძველს მტკიცებისათვის, რომ ისინი ადრე მენტირები იყვნენ. მსგავსი თრნამენტული სიმბოლიკა მრავლადაა გამოყენებული ქართულ და შუა საუკუნოვანი ხუროთმოძღვრების თუ ოქრომჭედლობის ნიმუშებზე“ (28, გვ. 12). ერთი სიტყვით მ. ჩხაიძე მარიამჯვარს არ განიხილავს, როგორც წარმართული ეპოქის საკულტო ძეგლს. არა და ყურადღება რომ არ მივაქციოთ ქვის ასტრალურ ნიშანს, მის ზომებს, მის გარშემო არსებულ მონოლითურ ქვებს, რომელთაც ასეთივე ნიშანი აქვთ, უგარმაბარი ლოდებით ნაშენებ ძველ ეკლესიის ნანგრევებს (სადაც შესაძლოა წარმართული შენობის ნაშთი იყო), ამ მთის სამხრეთით არსებულ გოხნარის ნაქალაქევს და ბედენის ლოდოვანს, ჩრდილოეთით ასეთივე ლოდოვანის ნაშთს, ხოლო მთის წვერზე არსებულ ერაგიპას, აშკარად თვალში საცემია, რომ საქმე გვაქვს პრეისტორიულ მონუმენტთან, რომ ეს საკულტო ქვა რომელიმე წარმართულ ღვთაებასთან იყო

დაკავშირებული. ქვის უხეში გამოკვეთილი ფრთხოები შემდგომი ეპოქის ხელწერა უნდა იყოს.

მანგლისის (ასევე მცხეთის) „ჯვართან“ დაკავშირებით ორიგინალურ მოსაზრებებს გამოთქვამს ლ. მელიქ-სეთ-ბეგი. „მარიამჯვრის“ მსგავს მონუმენტურ ქვებთან დაკავშირებით ყურადღებას იმსახურებს ჯავახეთში სოფ. მურჯახეთისა და განძის მახლობლად აღმართული ქვების სახელები. ქართველები მას „ძუძუ-ქვას“, სომხები კი „ჭავჭავარი“-ს („რძის ქვა“) უწოდებენ. ეს ქვები რომ ნაყოფიერების გამომხატველი იყო თუნდაც ის ამტკიცებს, რომ აქ ბერწი, და ურძეო ქალები, ან საქონელი მოჰყავდათ (13, გვ. 138). ლ. მელიქსეთ-ბეგი ფიქრობს, რომ „უთუოდასეთი „ძუძუს ქვა“ უნდა ყოფილიყო მცხეთის პირდაპირ და არაგვს გაღმა მდებარე ბორცვის ჯვარბედაც, რომლის ფერდობბე „ძუძუს-წყარო“ ცნობილი, ხოლო თვით ეწ. „ჯვარი პატიოსანი“ ქრისტიანული დროის გადაფორმება უნდა იყოს წარმართულის „ძუძუ-ქვისა“, რომლის ანალოგიასაც პირდაპირ მოუღწევია მანგლისის პირდაპირ აღგეთს გაღმა „მარიამჯვარ“-ზე, სადაც ეწ. კამен-ჩა სამართლის ქადაგი (ქალქვა), ანუ ოსების თქმით „მამიდა ასვენია“ (16, გვ 18). მკვლევრის აზრით, „ძუძუს წყაროს“ თანხვდომა „ჯვარ-პატიოსანთან“ მცხეთაში და „ქვათარძალის“ – „მარიამჯვართან“ მანგლისში შემთხვევითი არ ყოფილა (ზოგადად მანგლისისა და მცხეთის ჯვარებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ როგორც ქართველებისთვის, ასევე სომხებისათვის), ისევე როგორც „ჯვარი პატიოსნისა“, და „სვეტიცხოვლის“ კულტის დამთხვევა. მაგრამ მკვლევარი ფიქრობს, რომ აქ მდგარი სვეტი ქვის უნდა ყოფილიყო და არა ხის, როგორც ქართლის ცხოვრებაშია მოთხოვნილი (16, გვ. 18-19). ლ. მელიქსეთ-ბეგი მცხეთისა და მანგლისის ჯვრების ანალოგიაში სავსებით დარწმუნებულია: „როგორც მცხეთის ჯვრად ბორცვის ჯვარი, ე.ი. ჯვარის მონასტერი,

იგულისხმება ძველ მცხეთასა და არაგვს გაღმა, ისე მანავის გლისის ჯერად იგულსიხმება მარიამჯვარი, ძველ მანავის გლისა და აღვეთის გაღმა“ (16, იქვე, გვ. 112). საინტერესოა ის ფაქტი, რომ მანგლისის მიღამოებში შემორჩენილი იყო ტოპონიმი „ბორცვისჯვარი“. ბაგრატ IV 1057/1058 წწ.-ით დათარიღებულ სიგელში შიო-მღვიმის მონასტრისადმი წერია, რომ მეფე მონასტერს კლდეკარის საერისთავოში შემავალ მანგლისის ხევის აღვილ „ბორცვისჯვარის“ სწირავს (20, გვ. 36). გიორგი III სიგელში ბორცვისჯვარი იწოდება „ძუელუდვე მღვიმისაი, ლიპარიგეთგან წაღებული“ (20, გვ. 68). როგორც ჩანს, ბაღვაშები ბაგრატ IV სიგელის ბოლოს მოგანილ წყევლა-კრულვას არ შეუმინდნენ და ბორცვისჯვარი მიიგაცეს. საბოლოოდ ეს სოფელი დავით აღმაშენებელმა დაუბრუნა მონასტერს ბაღვაშთა დამორჩილების შემდეგ (23, გვ. 252). ბორცვისჯვარი („ბოციჯვარი“) ვახუშტი თავის რუკაზე მოიხსენიებს. მას ასახელებს, აგრეთვე, ითანე ბატონიშვილი ქართლ-კახეთის აღწერაში „ბოციჯვარის“ ფორმით, მანგლისისა და მისი ხევის ზემოთ (1, გვ. 47). მაგრამ მარიამჯვარის აღვილმდებარეობის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანი უფრო უნდა იყოს ვახუშტის მიერ რუკაზე მოხსენიებული დაბა „მარიამი“, რომელთან ახლოს დასახელებულია, აგრეთვე „საკრისი“ და „აბიკი“ (აბიკე - დღევანდელი სოფ. გოხნარი), რომლის თავზეა გოხნარის ციქლოპური ნაქალაქარი.

ერთი სიგვყით, ლ.მელიქსეთ-ბეგს მიაჩნდა, რომ „ეპისტოლეთა წიგნში“ მოხსენიებული „მანგლისის ჯვარი“ („მცხეთის ჯვართან“ ერთად), სადაც საალოცავად სომხებიც დადიოდნენ და აბრამ სომებთა კათალიკოსმა თავის საყოველთაო ეპისტოლეში მათ აუკრძალა იქ სალოცავად წასვლა, იყო არა მანგლისის ჯვრის სახელობის ეკლესია, არამედ „მარიამჯვარი“, რომელიც ცის ქეეშ თავისუფალ აღვილბე იყო აღმართული (15, გვ. 71-76). იგი



იმოწმებს გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებას მცხეთის „**ჯვარის ქადაგი**“ შესახებ, რომ ჯვარი ჯერ დია ცის ქეშ იღვა და შემდეგ ააშენეს ეკლესია. მაგრამ გ. ჩუბინაშვილი ამას მხოლოდ მცხეთის ჯვარზე ამბობდა და არა მანგლისის ჯვარზე (26). ამ უკანასკნელის შესახებ მკვლევარი ფიქრობს, რომ „მანგლისის ეკლესია უძღვნეს ცხოველმყოფელ ჯვარს და მისი ამაღლების-აღმოჩენის ხსოვნას, საიდანაც, გვეორნია წარმოდგა მისი სახელი „მანგლისის ჯვარი“. ამ ტაძარმა და აგრეთვე მცხეთის პირდაპირ გორაბე აღმართულმა ჯვარმა უცებ დიდი სახელი გაითქვეს და მათ სალოცავად მოდიოდნენ სომხეთის მცხოვრებნიც“ (27, გვ. 24). ლ. მელიქეთ-ბეგის თავის მოსაზრების არგუმენტად მხოლოდ ბემოაღნიშნული მცხეთის ჯვრისა და მარიამჯვრის იდენტური მდებარეობა მოჰყავს – მცხეთის ჯვარი არაგვს გაღმა მცხეთის პირდაპირ იდგა მთაბე, რომელსაც „ბორცვისჯვარს“ უწოდებდნენ, ასევე „მარიამჯვარი“ – ალგეთსს გაღმა მანგლისის პირდაპირ. ბემოაღნიშნული მოსაზრება შესაძლოა საინტერესო იყოს, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ მანგლისის ბემოთ ფიქსირდება ტოპონიმი „ბორცვისჯვარი“, მაგრამ ლ. მელიქეთ-ბეგის მოსაზრება ნაკლებ მისაღებია. საქმე ის გახლავთ, რომ მანგლისსა და მცხეთაში დიდი თაყვანისცემის რომელიმე წარმართული ღვთაების ტაძრები უნდა მდგარიყო, რომელთა პირდაპირ მთებბე კერპების დგომა ჩვეულებრივი მოვლენაა წარმართულ ეპოქაში, ისინი გარკვეულ კავშირში იქნებოდნენ მთავარ ღვთაებასთან. მანგლისთან მიმართებაში, მისი სახელწოდებიდან გამომდინარე, ჩვენ შევეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ ეს იყო მთვარის (ახალი მთვარის – ბრდისკენ მიღრეკილი) ტაძარი, რომელთანაც პირდაპირ კავშირში უნდა იყოს ნაყოფიერების გამომხატველი „მარიამჯვრის“ კერპი. ქრისტიანულ ეპოქაში კი წარმართული ცენტრების ქრისტიანული სიწმინდეებით და იმავე ადგილას ეკლესიების მშენებლობით

ჩანაცელება მოხდა, კერძებისა კი ჯვრებით. მცხვეთმიწა პირდაპირ კერძის სანაცელოდ სასწაულთმოქმედი ხის ჯვარი დაიდგა, „მარიამჯვრის” (რომელიც ასვე ქრისტიანული ეპოქის ხელწერაა) სახელით ცნობილ საკულტო ქვას კი ჯვრის ფომა მისცეს. მცხვეთის ჯვრის შემთხვევაში მოგვიანებით აქ ბრწყინვალე ტაძარი აშენდა. როგორც ვხედავთ, მანგლისში არსებულ მთვარის წარმართულ ტაძარს ქრისტიანთა უდიდესი „უფლის ფერხის ფიცარი”, ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი დაუპირისპირეს და მის ადგილას ქრისტიანული ტაძარი ააგეს. ამიტომ თქმაც არ სჭირდება იმას, რომ „მანგლისის ჯვარში” მანგლისის ჯვრის სახელობის ტაძარი იგულისხმება და ამასთან დაკავშირებით ჩვენთვის აბსოლუტურად მისაღებია მ. დვალის მოსაზრება (6, გვ. 34). აქევე გვინდა დაესძინოთ, რომ სომხების „მანგლისის ჯვარში” სალოცავად წასვლა, მარტო ქრისტიანული ეპოქიდან არ უნდა მომდინარეობდეს, არამედ ეს პროცესი შესაძლოა წინარე ქრისტიანულ ხანასაც უკავშირდებოდეს, როდესაც მანგლისში მთვარის ტაძარი იდგა. სომხერში ენაში „მანგალის” იგივე ფორმით – „მანგალ”- „მანგალ” არსებობა გვიმყარებს ამ აბრს. არ არის გამორიცხული, რომ მანგლისში სალოცავად კავკასიის სხვა ხალხებიც მოდიოდნენ, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ მანგლისის ხელსაყრელ მდებარეობას, სადაც ერთმანეთს კვეთდა საქართველოსა და კავკასიის ტერიტორიაზე გამავალი სხვადასხვა სტრატეგიული გზები.

მარიამჯვართან არსებული ლეგენდის მიხედვით, ლეკითა შემოსევის დროს მტერი გოხნარის თავზე გამოჰკიდებია ერთ ქალს, რომელსაც ღმერთისთვის მტრის ხელში ჩაგდებას გაქვავება უთხოვია. ღმერთსაც შეუწყინარებია მისი თხოვნა და ქალი ქვად ქცეულა. „გვალვის

დოოს რუსები მიღიან იქ, პარაკლისს იხდიდნენ, დამუშავდნენ, ვენ ქვასა და ეტყვიან აგვივე მამიდაო, და ასწევენ სუბუქათა, ისე კი დიდი ქვაა, მძიმეა, გადააბრუნებენ და მერე გაავდრდება² (12, გვ. 70.). აღსანიშნავია ისიც, რომ ქვათარძალთან 1914 წლამდე ხალხი მღვდელთან ერთად აღიოდა და იქ ლოცულობდა. თუ წვიმიანი სეზონი იყო, დიდ ჯვარს აღმართავდნენ, გვალვის შემთხვევაში კი ჯვარს ძირს დაუშვებდნენ (12, გვ. 72). ხალხის წარმოსახვაში მამიდას ქვებს რომ მაგიური ძალა ჰქონდათ, ამას ამტკიცებს ის, რომ თ. კალმახელიძის ერთ-ერთი ეთნოგრაფიული ჩანაწერით წალექლი ბერძნები ამ ჯვრებს გადარეულ ქვებს (დელი ხაჩის) უწოდებდნენ: „მათი გადმოცემით, ჯვრებს ერთი ურწმუნო უპატიოდ, არასაკადრისად მოქცევია. ღმერთს ჯვრების შეურაცყოფა ამ კაცისათვის არ უპატიობია და გაუგიერია“ (12, იქვე, გვ. 72).

ანალოგიური ფუნქცია ჰქონდა იმ ქალქვას, რომლის შესახებ თქმულება ჩერწერილია კახეთის სოფ. საბუეში ქ. ვირსალაძის მიერ 1947 წ.-ს. ყიბილბაშთა შემოსევის დროს, როდესაც კახეთი აოხრდა სოფ. საბუეში გოგილაშვილის ქალი გაქცევია მტერს. ერთ ხელში ბავშვი ეჭირა, მხარბე კი აკვანი ედო, სადაც ძუძუთა ბავშვი ჰყოლია.

² თ. კალმახელე თავის ეთნოგრაფიული შასალიდან წარმოგვიდგენს ლეგნდის განსხვავებულ ვარიანტს: „ხუთ ძმას მშეთუნახავი და პყოლია. საპატარძლოდ რომ გამშადებულა, სასიძოს მგრებს მისი მოტაცება და ამ გვით ქორწილის ჩაშლა განუზრახავთ. მომხდურებსა და ქალის ძმების შეტაცების დროს ძმები დაღუშულან. უპატრონოდ დარჩენილი ქალი ღმერთს შევეღრებია, მგრის ხელში ნუ ჩამავდებ, ღმერთოო, და ქცეულა ქვად, რომლისთვისაც „ქვის პატარძალი“ შეურქმევიათ. ძმების საფლავზე საპატარძლო დაკარგულ სასიძოს ჯვრები აღუმართავს. ამეამად „ქვის პატარძლის“ სიახლოეს თთხი ჯვარია. ერთი მათგანი, ყველაზე დიდი, მიწაზე დევს, სამი აღმართულია. მთხრობლების ნაამბობით, მეტეთ ჯვარი აღგეთის ზემოთ, ქვის პატარძლისგან 10-12 კმ-ის დაშორებით, ბროლიერი გამჭირვალე წყაროსათან დაუდგამთ“ (12, გვ. 71).

ქალს მტრის ხელში ჩაგდებას გაქვავება უნატრია და მართლაც ქალი ქვად ქცეულა. „გლია იქ წყლის პირას, ეს ჭროდა ქვა და ორიც პატარა გვერდს უწყვია“. გვალვის ღროს სოფლის ქალები ქვასთან შეიკრიბებოდნენ, ერთ-ერთი აუცილებლად გოგილაშვილის ქალი უნდა ყოფილიყო, რომელიც ქალქვას დაატირებდა:

„ჩემო მამიდაო, ამ გაჭირვებაში რომ იყავო ...

როგორ მენანებაო
შენი ქალობაო ... გოგილანთ ქალი იყავ, ამყე
მაიდაო” ...

და მართლაც აპყვებოდა ქვა. ააგორებდნენ მას ქალები და იქვე მდინარე წყალში გადაუშვებდნენ, ავდარი მოვაო, გოგილაანთ ქალის მადლი შეგვეწევაო“ (29, III, გვ. 209-210). მსგავსი ლეგენდა არსებობს აგრეთვე, მურჯახეთთან ორი მონოლითური ქვის შესახებ, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა და-ძმად მიიჩნევდა. და მელიქსეთ-ბეგი მათ ვეშაპ-ვეშაპოიდებად თვლიდა. ერთი ქვა დგას, მეორე კი წაქცეულია. გადმოცემის მიხედვით, მურჯახეთს მტერი შემოსევია და ერთი ყმაწვილი დაუტყვევებია, მას და დასდევნებია. ამ უკანასკნელს ღმერთისთვის გაქვავება უთხოვია. ორივე იქვე გაქვავებულან, სადაც მდგარან. დას მარინე რქმევია (16, გვ. 99).

განსხვავებული ლეგენდა არსებობს იმ ქალ-ქვის შესახებ, რომელიც ბოლბის ყოვლადწმინდის ეკლესიის კარებში ძევს. გადმოცემის მიხედვით, როდესაც წმ. ნინო ბოლბეში ქადაგებდა, „ერთ ცოლ-ქმარს ბარნაბიანთას ჰყვანდა შვიდი ვაჟი და ერთი ქალი“, რომელზეც ოჯახს მზე და მთვარე ამოსდიოდა. ეს ოჯახი შეძლებული ყოფილა და თავის მზეთუნახავი ქალისთვის, რომელსაც ასევე ნინო ერქვა, არაფერს იშურებდა. „ბარნაბიანთ ნინო“ 15 წლის რომ გახდა წმ. ნინოსთან მივიდა და მონათვლა სთხოვა. ამის შემდეგ პატარა ნინო არ შორდებოდა ქართველთა განმანათლებელს, ყველგან თან დაპყვებო-



და. ეს უკანასკნელი 20 წლის რომ გახდა, წმ. ნინო³ ვალა, „ბარნაბიანთ ნინოს” ოჯახს კი მისი სილამპაზით მონუსხულმა სასიძოებმა დაუწყეს სტუმრობა. მას კი გათხოვებას ქალწულად დარჩენა ერჩივნა, რომ წმ. ნინოს გბას გაჰყოლოდა. როდესაც ოჯახის წევრებმა შეაწუხეს რომ გათხოვილიყო, ერთ მშვენიერ დღეს ნინო სახლიდან გაიპარა და გაჭირვებულ მოხუც ქალს შეაუარა თავი. „იმ დედაბერთან იმაღლებოდა პატარა ნინო და ევედრებოდა ღვთის-მშობელს, რომ ქვად ქცეულიყო და ამით მაინც ასცდენიდა გათხოვებასა. ღვთის-მშობელმა შეიწყნარა პატარა ნინოს ვეღრება და ერთხელ, ღოცვის დროს გარდაიქცა ქვადა, რომელსაც ეხლა ხალხი ეძახის „ქალ-ქვას”. ამ ადგილას ააშენეს ეკლესია ღვთისა-მშობლისა და ეკლესის კარებში პირქვე სძევს ქალ-ქვა”. ამ ქვის გაღმობრუნება არავის არ შეეძლო, „მაგრამ ბარნაბიანთ ჩამომავლობისა რომ უსუსური ბავშვიც მივიდეს, ხელი ახლოს და შესძახოს: „ბარნაბიანთ გვარისა ვარ, ამყე მამიდაო!” – ქვა მაშინვე გაღმობრუნდება. ამ ქვას ისეთი მშვენიერი სახე აქვს თურმე, რომ დუნიაზე ისეთი ლამაზი სახე არ ექნება ქალსაო”. ამ გვარის ჩამომავალი ერთი დედაბერიდა დარჩენილიყო, რომელსაც შეეძლო ქვის გაღმობრუნება (11, გვ. 3-4). ქვის ფუნქციის შესახებ არაფერია ნათქვამი, თუმცა შესაძლებელია, მასაც ისეთი დანიშნულება ჰქონოდა, როგორც ზემოთ აღნიშნულ „გოგილაანთ ქვას”³.

³ ბერძნული მითოლოგიდან, მწეხარების გამო გაქვავებული ქალის შესახებ მაშინვე ვკახსენდება თებეს დედოფალი ნიობე, რომელიც მრავალშეიღიანობით გამოირჩეოდა. სხვადასხვა ვერსიებით მას 7-7, 9-9, ან 10-10 ქალ-ვაჟი ჰყავდა. იგი დასცინოდა ქალრმერთ ლეგოს – ტყეპი აპოლონისა და არტემიდეს დედას, რომელმაც ორი შეილი ძლიერ გააჩინაო და თებეს ქალებს ლეგოსა და მისი შვილების თაყვანისუება აუკრძალა. ლეგომ შეილები მიუქსია ნიობეს. აპოლონმა უხილავი ისრებით ვაჟები დაუხოცა, არტემიდემ კი ქალები. მწეხარებისა და დარდისგან გაოგნებული ნიობე ქვად იქცა.

საქართველოში საკულტო დანიშნულების ღოღების მართლაც რომ სცემდნენ თაყვანს, ამას ვახუშტი ბაგონიშვილიც ადასტურებს: „პატივანს ქვევით ვაკეს არს ღოღი, რომელი გვალვასა თუ გადააბრუნო და შენამო მოვალს წეიმა, ხოლო წვიმიანობასა შინა თუ შეაყარო ნაცარი და გადააბრუნო, იქმნების უწვიმობა“ (2, გვ. 326).

აღნიშნული ღოღები წყლის ნაყოფიერებასთან უნდა ყოფილიყვნენ დაქავშირებული. თავის დროზე ეს მოსაბრება გამოთქვეს ნ. მარმა, ბ. პიოგროვსკიმ ვეშაპ-ვეშოიდებზე, რომლებიც ირიგაციულ სისტემას უკავშირდებოდნენ. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია, რომ ვეშაპ-ვეშაპიდები, ქვის უბარმაბარი თევზები ნაყოფიერების გამომხატველი ღვთაებებია. ამ ძეგლებზე ხშირად არის გამოსახული ისეთი ცხოველები, რომლებიც თვითონ წარმოადგენდნენ ნაყოფიერების სიმბოლოს. მაგ. კამეჩი, ხარი, ირემი, ცხვარი (ხშირ შემთხვევაში ტყავის სახით, რაც სიმდიდრის და კეთილდღეობის სიმბოლოა (შდრ. ხეთურ და კოლხურ მითოლოგიაში ცხვრის ტყავი), ურინველები (წერო, ყარყაფი), ქვეწარმავალები. ლ. მელიქ-სეთ-ბეგი და შ. ამირანაშვილი ოთხფეხს მიწას უკავშირებდნენ, ფრინველს და ასტრალურ ნიშნებს – ცას, ქვეწარმავლები, გარდა იმისა, რომ ნაყოფიერების გამომსახველი ცხოველებია, დაქავშირებული არიან წყლის სტიქიასთან, როგორც ბუნების ნაყოფიერების და სიცოცხლის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტთან. გემოაღნიშნულს

იგი თავის სამშობლოში ღიდიაში ჩაიგანეს და სიპილოსის მთაბე დადეს. მწუხარება იმდენად ღიდი იყო, რომ ქვაც გრძნობდა მას და უმრეგი ცრემლი ჩამოსდიოდა (5, გვ. 54). მართალია, ბერძნულ მითოლოგიაში ქალის ქვად ქსევის სიუქეგი განსხვავებულია, მაგრამ მასშიც ხაზსგასმულია ქალის ნაყოფიერება (შრავალშეკილიანობა), მწუხარება და ცრემლი – უმრეგი წყაროს სიმბოლო.



იმიარებს მ. ჩხაიძე, რომელმაც თავისი მოსაზრებებული აფიქსირა დისერტაციაში (28).

როსთვისაც გემოაღნიშნულ ლოდებს თაყვანს სცემ-დნენ საქართველოს ძირითად ნაწილში ამინდის ღვთაება ლაბარეს ეხვეწებოდნენ, რომელიც მნათობთა თაყვანის-მცემასთან იყო დაკავშირებული. მას ძირითადად წვიმის მოყვანისთვის უმდეროდნენ გვალვის დროს. მაგ. „ლაბარე მოდგა კარსა, აბრიალებს თვალსა, მიდგა-მოდგა თაროსა, დაემსგავსა მთვარესა“. ამ სტრიქონიდანაც ჩანს, რომ მთვარე (მზესთან ერთად) უგენაესი ღვთაება იყო და იგი წარმართავდა ბუნების მოვლენების ცვალებადობას. 8. თანდილავა მთვარესთან შედარების შესახებ (აჭარული ტექსტის ერთ-ერთ ვარიანტთან დაკავშირებით: „აბლაც (ბიცოლა) მიადგა თაროსა ლიემზგავსა მთვარესა“) აღნიშნავს, რომ ეს „მზიანი ამინდის აღმნიშვნელ სიმბოლურ გამონათქვამს წარმოადგენს“ (9, გვ. 7). აჭარულ ვერსიებში მეტად საინტერესოა ბოლო სტროფები, სადაც ჩანს, რომ გვავლის დროს ღვთაებას წვიმა-წყლის მოსვლის და მზის თვალის („ბიბა თვალი“, „ბისა თვალი“, „მზისა თვალი“), ან მზისა და მთავრის („შეგვინახე მზე და მთვარე“) შენახვას ეხვეწებიან, წვიმიანობის შემთხვევაში კი პირიქით (9, გვ. 6-8). მეტად საინტერესოა, აგრეთვე, შეახვევის რნ-ის სოფ. გოგაძეებში ერთ-ერთი მცხოვრებისგან ჩანაწერი, რომლის მიხედვით ლაბარობის დროს „ოც-ოცდაათ ბავშვს მორთავდნენ, თავზე ლამაზ რაიმეს დაახურავდნენ მთვარის ფორმისა, ან ვარსკლავის ფორმისა“ (9, იქვე, გვ. 8). ამასთან დაკავშირებით, როგორც სამართლიანად შენიშნავს 8. თანდილავა, „...მთვარისა და ვარსკლავების ფორმის თავსაბურავებით შემკობა მნათობთა თაყვანისცემისა და მზიანი ამინდის მოვლენისათვის ტაროსის ღვთაებისადმი ვედრების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს“ (9, იქვე). თუ გავითვალისწინებთ, რომ ტრადიციული ქართული ასტროლოგი-

ური ამონვნების მიხედვით, ს.ს. ორბელიანის თქმით, „რომელიანი დესაც მთვარე დანარჩენ 6 ცდომის (მზე, მერკური, ვენერა, იუპიტერი/მუშთარი, სატურნი) „რომელსამე გაუპირდაპირდების ... (მით იქმნებიან) გვაღვა, წვიმა, სეტყვა, ქარნი და ყოველივე დარი“ (19, II, გვ. 335), აღვილი მისახვედრია თუ რატომ არის ლაბარობა კავშირში მნათობთა თაყვანისმცემასთან.

საინგერესოა ის ფაქტი, რომ ლაბარობის დღესასწაულთან ქალები იყვნენ დაკავშირებულნი. ქალებისა და ბავშვების ჯგუფი, რომელთაც გაეკეთებული ლაბარეს თოჯინა ეკავათ ხელში, კარდაკარ დადიოდნენ და ღვთაებას წვიმის მოსვლას, ან გალახის გამრობას სიმღერით ეხვეწებოდნენ. წვიმის მოთხოვნის შემთხვევაში ლაბარეს თოჯინას და მის მაგარებელ ქალს წყალს დაასხამდნენ, შემდეგ სხვა მონაწილეებსაც გაწუწავდნენ. ამ საკითხით დაინგერესებულ მეცნიერთა აღწერილობით, ლაბარობის პროცესიაში ხანში შესული და ქვრივი ქალებიც მონაწილეობდნენ. ბოვჯერ ადგილი ჰქონდა ქალების გუთანში შებმასა და „წყლის მოხვნის“ ფაქტს (18, გვ. 358, 14, გვ. 11; 25, გვ. 224–226). ძალიან საინგერესოა აგრეთვე, ლაბარობის ერთ-ერთი ვარიანტი, რომლის მიხედვით ლაბარეს თოჯინის ნაცვლად ამოირჩევდნენ ერთ ქალს და იგივე რიტეალით კარდაკარ დააგარებდნენ, შემდეგ მას წყლით გაწუწავდნენ (30, გვ. 77–78), ქალების მონაწილეობა ლაბარობის დღესასწაულში, როდესაც ისინი თოჯინას ჩამოაგარებდნენ, ან რომელიმე ქალის პატარძლის ფორმაში გამოწყობილის კარდაკარ მიყვანა 8. თანდილავას ამრით, „წყლისათვის ქალიშვილის შეწირვის ისტორიული სინამდვილის სიმბოლური გამოხატულებაა“ (10 გვ. 36). არ არის გამორიცხული, რომ ასეც ყოფილიყო, მაგრამ, ვუიქრობთ, აგრეთვე, რომ წყლის სტიქიასთან ქალური საწყისის დაკავშირება არ უნდა იყოს შემთხვევითი და იგი ნაყოფიერების ფუნქციის გამოვლინებად უნ-

და ჩაითვალოს. თავისთავად წყალი ერთ-ერთი აუცილებელი ბელი ატრიბუტია ნაყოფიერებისა და სიცოცხლისპირუს, მისი შემდგომი გამრავლებისათვის, რომლის არსი ქართულ მითოლოგიაში ვრცელდება როგორც ადამიანებზე ასევე ცხოველებსა და მცენარეებზე. 8. თანდილავას სამართლიანი შეინიშვნით, ქართულ მითიოლოგიაში წყალს ყოველთვის ფალოსური, ანუ გამნაყოფიერებელი ბენება აქვს. ამ მხრივ, მეტად საინტერესოა ფშაური ჩვეულება „წყალში პატარძლის განბანვა“ – მათურის ხევზე „მარიამ წმიდის, ანუ მარიამ დედოფლის ადგილის დედის ხატთან“ (3, გვ. 162), რომელსაც ბედიანობას და მრავალშვილიანობას თხოვდნენ. იგი შეა ზაფხულში ტარდებოდა, კერძოდ ათენგენობას, ან მარიამობას (3, გვ. 164), აუცილებლად მზის ჩასვლის შემდეგ. მთავარი მომენტი იყო ის, რომ პატარძალს ტანსაცმელი ტანზე უნდა შემრობოდა (10, გვ. 42; 17, გვ. 164-165). საინტერესოა, აგრეთვე, ის, რომ თ. ოჩიაურის თქმით, „ივრის ხეობაში ჩაწერილი მასალის მიხედვით (სოფ. სიონი), ბარში გადმოსახლებულ მათურის ხატის ყმებს პატარძალი მათურაში უნდა წაეყვანათ და იქ უნდა შეესრულებინათ წყალზე გაყვანის რიტუალი“ (17, გვ. 165). მსგავსი რიტუალი ტარდებოდა ლაზებშიც ძვ. სტილით 7/VIII, ასევე საღამო ხანს, ხდებოდა ქალების მასიური განბანვა ზღვაში (10, გვ. 43). 8. თანდილავა ზემოაღნიშნულ ფშაურ რიტუალთან პარალელს ავლებს, როდესაც განიხილავს აჭარაში არსებულ ხალხურ დღესასწაულს „შუამთობას“, რომელიც ივლისის ბოლოსა და ავგისტოს დასაწყისში იმართებოდა და ისიც ქალთა დღესასწაულად იყო მიჩნეული. მასში საპატარძლოები, ან ახლად მოვეანილი რძლები მონაწილეობნენ (10, იქვე). ასევე ანალოგიურ რიტუალად უნდა მივიჩნიოთ წალკაში სოფ. ოლიანგის, რომელსაც ბერძნები „აიაბმას“ უწოდებენ, ერთ ეკლესიასთან ჩატარებულ რიტუალი. ეკლესიასთან პატარა აუბია, სადაც კალმახები

არიან გაშეებული. მათი დაჭერა, ან შეჭმა სასტრუქტო, აკრძალულია. „აიაზმა” წმ. წყალს ნიშნავს. ა. რობაქიძე მოგვითხრობს რომ ამ აუგში უშვილო ქალები ბანაობდნენ, აფრეთვე გვალვის დროს ამ წყლით მიწას ნამავდნენ, რომ წვიმა მოსულიყო და მიწა გაენოყიერებინა (34, გვ. 126). იგივე იდეა უნდა იყოს ჩადებული ერთ-ერთი ბლაპრის სიუკეთში, რომლის მიხედვით ერთ ქვეყანაში ჯადოსნური ტბა ყოფილა, რომლის წყალს გამნაყოფიერებული ძალა ჰქონია. მასში ჩამჯდარი ქალი ორსულდებოდა და შვილად მხოლოდ ქალიშვილი მიეცემოდა (10, გვ. 44). ფშავსა და ლაზეთში ქალთა წყალში საღამოს პირს ბანაობასთან და აკაეშირებით გ. თანდილავა აღნიშნავს, რომ „საღამო პერიოდი ითვალისწინებდა მობანავეთა განგენ ნესტის (სისველის) ხანგრძლივად შენარჩუნებას, რაც წყლის ცხოველმყოფელი უხილავი ძალის მოქმედების მიზნით იყო ნაკარმახევი“ (10, იქვე). მაგრამ სავარაუდოა და არ არის გამორიცხული, რომ ზემოაღნიშნულ რიტუალებს ასტრალური საფუძველიც ჰქონდა. კერძოდ, ეს რიტუალები ტარდებოდა კირჩხიბის ზოდიაქოს პერიოდში, რომელიც მთვარის სახლს წარმოადგენდა.⁴ „კირჩხიბისა ბურჯი მთოარისა სახლი არს ... წყლი-

⁴ მთვარე ყოველთვის განსაზღვრავს წყლის მიქსევ-მოქცევას დერდამიწაგე. თუ გავიგიარებთ მოსაზრებას, რომელიც შემერთა ცის ღმერთის „ან”-ს მთვარის ღმერთად მიიჩნევს, მაშინ ძალგედ საინტერესოა ამირანის ეპოსის რაჭული ვერსიიდან ამირანის გამზრდელის იამან ბაგონის სიგყვები, რომელიც წყაროს განაგებს:
 „ანი დაგვიშრეს წყარონი,
 ანი დაგვიგყდეს კოკანი,
 ანი დაგვგაბუქს მერწყელნი“ (41, III, გვ. 39).

საინტერესოა თვით იამანის განმარტება, რომელიც ს.ს. ორბელიანმა მოგვცა და იყი პირდაპირ უდგება წყლის სიგიქიას. „იამინ“-ასურსა და ებრაელსა იამინისა წყლად ჰნებავს თქმაი“. „იამინისა“-იგივე იამინ, წყალი (21, I, გვ. 320). ფშავერ ვერსიაში იამანის ნაცვლად სახელი სულკალმახი გვხვდება, რომელიც ამირანის მამა



საად არს და ღამისაა არს“ (8, გვ. 20), ანუ „მისი სტიქერნი წყალია და იგი ღამის ეტლია“ (22, გვ. 7). ამ გოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანები მრავალშვილიანებად ითვლებოდნენ (8, იქვე; 22, იქვე) წყაროში ვკითხულობთ, რომ მისი ადგილებია „.. ზღვის პირნი და მდინარეთა პირნი (ნაპირები-ქ.ქ.), წყალთაგან წყაროს თუალნი და წყალნი იგი, რომელ მიწასა შინაგან გათხრით დიან (მიწის ქვეშ გამდინარე წყლები – ქ.ქ.“ (8, გვ. 21; 22, იქვე) კირჩხიბი „წვიმისა ბურჯი არს“, ანუ „წვიმის ეტლია“. „წყლისაგან და მას შინა მყოფთა სულიერთაგან კირჩხიბი, კუმ, წურბელი, მყუარი და მიწისა ჭიათ – ყოველი მისი არს“ (8, იქვე). კირჩხიბის დღე კვირის დღე-ებიდან ორშაბათია, რომელიც ქართული წარმართული კალენდრის მიხედვით, ასევე მთვარის დღედ ითვლებოდა. ზემოაღნიმნული ცხოველებიდან ბაყაყის მოკვლა ქართულ სინამდვილეში წვიმის გამომწვევი ერთ-ერთი ტრადიცია იყო (10, გვ. 35), ხოლო კუ ზოგჯერ გვხვდება მეგალითურ ძეგლებზე, რომლებიც ადრე წყლის ირიგაციულ სისტემასთან იყვნენ დაკავშირებულნი და წყლის ნაყოფიერების გამომხატველ საკულტო ძეგლებს წარმოადგენდნენ.

იმ ადგილებში, სადაც უგარმაზარი მონოლითური ქვები, ქალ-ქვები, ქვა-კაცები იდო, მათთან ჩატარებულ ლაბარობის ანალოგიურ რიგუალსაც წვიმის მოყვანა – არ მოყვანასთან დაკავშირებით ქალები ასრულებდნენ. მაგ.: სოფ. საბუემი ქალქვასთან (გაქვავებული გოგილაშვილის ქალთან – იხ. ზემოთ) სოფლის ქალების მონაწილეობა. 8. თანდილავას ცნობით, აჭარაში ე.წ. „პაჯეთამაზი სერის“ (სურვილის ლოცვის სერი) გარშემო მთებ-

არის. კალმახი ძვ. ქართულად თევზს ნიშნავს, რომელიც წყლის სტიქიას ეკუთვნის და ნაყოფიერების გამომხატველი ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია.



გე, რომელთაგან ყველაზე დიდი დიდგორას მთა არის, აღმართულ „ქვაკაცებთან“ (ქვის პატარ-პატარა ნაგეხების ერთი მეორეზე დაწყობით აღმართული ქვის კონსისებრი ფიცერები) ასული ხალხი მათ წვიმიანობას, უხვ ჭირნახულს, კეთილდღეობას ეხვეწებოდა. მართალია, მუსლიმანური ტრადიციის შედეგად ქალთა როლი აქ მებრუდული იყო, მაგრამ არსებობდა ტარდიცია, რომლის მიხედვით, „ცალცალკე ადიოდნენ დედაბრები, რომლებიც დიდგორის ძირში ე.წ. „ობოლ ქვასთან“ ლოცვის შესრულების შემდეგ შეექცეოდნენ თან წამოდებულ ნამცხვრებს და იქვე წყაროს წყალს დააყოლებდნენ“, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ტრადიცია, „ობოლი ქვაც“ და წყაროც ამჟამად მიერწყებულია (9, გვ. 16).

მ. ჩართოლანის ცნობით, სვანეთში იუარის სოფ. ლენჩამში ყოფილა ე.წ. „სალოცავი ქვები“ დიდი ლოდების სახით. „აქვეა ახლოს წმიდა გბა (მგვ), რომელსაც შეუძლია წვიმის მოყვანა. ხალხის რწმენით თუ მასში ერთ წვეთ სისხლს ჩააწვეთებ, ან მენსგრუაციანი ქალი მივა ახლოს წვიმა მოვა“ (24, გვ. 136). ქალთა სალოცავები და სალოცავი ქვები ყოფილა, აგრეთვე, სოფ. ნაკიფარსა და ბოგრეშს შორის, სოფ. ლადამისა და დაბა მესტის მიდამოებში (24, გვ. 136–137).

საინგერსოა აგრეთვე ისიც, რომ ქალქვებად ცნობილი მეგალითები ქვები – ქალ-ქვა სოფ. საბუედან, მარიამჯვარი – მანგლისიდან, ქალ-ქვა („ქვათარძალა“) გურიის სოფ. ლეხაურიდან, რომელიც „... თითქოს ქალის ფორმისაა და „გაცხოველება-გაცოცხლების“ მნიშვნელობით აღჭურვილი“ (16, გვ. 19, 110), მურჯახეთის ზემოაღნიმნული ქვა (მარინე), რომელსაც ადგილობრივი ქართველები „ძუძუს ქვას“ უწოდებდნენ (16, გვ. 98), ქალურ საწყისთან არიან დაკავშირებულნი. ეს აღბათ ნაყოფიერებისა და გამრავლების პროცესის სიმბოლური გამოხატულება უნდა ყოფილიყო. ეს აბრი ჩადებული უნდა იყოს

ერთ ხალხურ დექსმი, რომელიც პირდაპირ შეიძლება იყოს, დაუკავშიროთ „ქვათარძალს“ მანგლისში.

„მანგლისი რო ააშენეს, წყარო ადინეს მიღითა,
ადგანან კალატობები, გვერდებს ულესენ კირითა
შიგ ქალი ჩასვეს ლამაზი, თმა შეუღებეს ინითა“

(29, IV, გვ. 347).

ან კიდევ:

„მანგლისი რო ააშენეს, წყარო ადინეს მიღითა,
სასახლეები დამართეს თეთრად ნალესი კირითა
შიგ ქალი ჩასვეს ლამაზი, ხელშეღებილი ინითა“

(12, გვ. 62-63).

აღნიშნული მონოლითური ქვები არა მარტო წყლის ნაყოფიერების გამომხატველნი, არამედ ზოგადად ნაყოფიერების სიმბოლურ საკულტო ძეგლებს წარმოადგენენ. მაგ. ზემოთაღნიშნული მურჯახეთის „ძუძუს ქვა“ „მარინესთან“ ოძის ნაყოფიერებისათვის ქალები ლოცულობდნენ, საკმეველს უკმევდნენ და ცხიმს უსვამდნენ⁵ (16, გვ. 98-99), აგრეთვე სამშვილდის ნაქალაქარის მენპირზე სალოცავად გადიოდნენ უმვილო და გასათხოვარი ქალები, ასევე ორსული ქალები მშვიდობიანი მშობიარობისთვის, დღეობა დვთისმმობლის მიძინების დღეს ტარდებოდა (16, გვ. 91). საინტერესოა აგრეთვე ლეგენდა კახთუბნის, ანუ გურჯაანის „ყოვლად-წმიდას“ ეკლესიაზე, რომელიც ლ. მელიქსეთ-ბეგს ჩაუწერია სოფ. გურჯაანში. გადმოცე-

⁵ საინტერესო პარალელი შეიძლება გავავლოთ სვანეთში, უშგულის ლამარიას ეკლესიაში ქალთა ხალოება თეთრი მარმარილოს ქვასთან, „რომელსაც ხალხი ხაჭაპურის გულს – „ქუთი ყვაბა“-ს უწოდებს“ (22, გვ. 133). ქალები მას ყველის ბარაქას და მეწველი საქონლის გამრავლებას ეხვეწებოდნენ.

მის მიხედვით, ამ ტაძარში ბერები ცხოვრობდნენ. აქ მოუდინებოდა მორწმუნეთა დიდი ნაკადი, რათა თაყვანი ეცათ ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატისთვის. ერთხელ ომიანობის დროს, როდესაც ხმა გავრცელდა, რომ მტერი ტაძარს უახლოვდებოდა, ბერები და მლოცველები დაიმალნენ. დარჩენილა მხოლოდ ერთი ქალი ძებუთა ბავშვით, რომელიც ხან ერთ მხარეს მიაწყდებოდა, ხან მეორეს. საბოლოოდ ტაძრის ერთ-ერთი კედელი გაიხსნა და იგი თავის წიაღში შეიფარა. ქალმა მკერდზე საშინელი ტკივილი იგრძნო, საიდანაც რძემ დაიწყო წვეთა. იმ ადგილას ტაძრის კედელი დასველებულა. ამ დღის შემდეგ როცა მეძუძურ დედას რძე გაუქრებოდა ან რძის საკმარისი რაოდენობა არ ჰქონდა, მას მაშინვე წაიყვანდნენ ძველი კახთუბის ეკლესიაში, თითებით კაწრავლნენ კედლის იმ ნაწილს, სადაც სინესტე შეიმჩნეოდა, მოთეთოთ წვეთებს აგროვებდნენ და სვამდნენ, რის შედეგად ინკურნებოდნენ (33, გვ. 309-310). ლ. მელიქევობეგის თქმით, ადგილობრივი მოსახლეობის წარმოდგენით კახთუბის ტაძარი აგებულია ქვითა და რძეში (და არა წყალში) გახსნილი კირით, რადგან ეშინოდათ, რომ ახალი ნაგებობა არ დანგრეულიყო (33, იქვე). გურჯაანის, ანუ კახთუბის ტაძარი გათხოვილი ქალების მფარველად ითვლებოდა, რომელიც მეძუძურ დედებს შველოდა რძის შემცირების, ან სრული გაქრობის დროს. წელიწადში ორჯერ აღდგომის II დღეს და ღვთისმშობლის მიძინებას აქ იმართებოდა დღესასწაულები. როგორც ჩანს, გურჯაანის ყოვლად-წმიდის ეკლესის ადგილას წარმართულ პერიოდში ქალური ნაყოფიერების გამომხატველი საკულტო ძეგლი იქნებოდა, რომელიც ქრისტიანულ ეპოქაში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელით შეიცვალა და მის ადგილას შემდეგ ეკლესია ააგეს.

8ემოაღნიშნულის მსგავსი დანიშნულება შესაძლებელია ჰქონოდა მარიამჯვარსაც მანგლისში. ამის

⁶ ქვისა და ქალური საწყისის ურთიერთმიმართუბასთან დაკავშირებით საინტერესოა სვანურ ყოფიერებაში დაცული ქვის კულტი ეწ. „ჩხუდანი“ და „ბაჩა გვიგვი“ – სახლის კერპები, რომლებიც ქალთა სალოცავებად ითვლებოდა. ასეთი ქვები ინახებოდა სახლების სარდაფებში, მარანში და სხვა სათავსოებში. მათ ოჯახის ბარაქას, ადამიანებისა და პირუგვის გამრავლებასა და კეთილდღეობას ეხუეწებოდნენ. რიცვალს ძარითადად ქალები აგარუბდნენ ახალ მთვარეზე. შესაწირავის ნაწილსაც ისინი ჭამდნენ მამაკაცების გარეშე. ასეთი კერპები რამოდენიმე გვარის სახლშია (ბერიანების, დადგანების, ნაკანების) აღმოჩენილი. მათ სრულყოფილ აღწერილობას მ. ჩართოლანი წარმოგვიდგენს თავის ნაშრომში (22). მათ უფრო ადამიანის მსგავსი, ან ქალის ბიუსტის ფორმა აქვს. ზოგიერთებმა გომორფული გამოსახულებებიც კი შეიმჩნევა (22, გვ. 129, 130).

მ. ჩართოლანის მიერ მოგანილი ბერიანების ოჯახის დასახლისის გადმოცემით, ჩხუდანის ლოცვას ასრულებდნენ ორშაბათს და ხეთშაბათს ახალ მთვარეზე. ქალი სუფთა უნდა ყოფილიყო. ახალი მთვარის თრშაბათს იწყებდნენ ვეღრებას, აცხობდნენ ხაჭაპურებს 3, 6, ან 9-ს და ჩხუდანი შეავეღრებდნენ: „დიღება მოგვსვლოდეს შენს ძალს მაღლს), შენი წყალობის გარეშე ნუ დაგოვებ ჩეენს საქონელს და ადამიანს“ (22, გვ. 129). შემდეგ ოჯახის ქალები ხაჭაპურებს მამაკაცების გარეშე ჭამდნენ. ქალები ასევე წელიწადში სამჯერ აღდგომის ორშაბათს, ამაღლებას და მარიამობას აღიოდნენ მუქფანდის მწვერვალზე (თარენგზელის ეკლესიასთან ახლოს), საიდანაც ჩამოუგანიათ ეს ჩხუდანი. მათ ეწ. „ლამარიას კვერები“ მიძქონდათ და იქ ლოცვალობდნენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქალებისათვის დაწესებული დღეების გარდა დიდ დღესასწაულებზე ჩხუდანებთან ლოცვა და შესაწირავის მიგანა მამაკაცებსაც შეეძლოთ, რომლებიც ასევე ხვავსა და ბარაქას ევედრებოდნენ კერძს (22, გვ. 129, 131). ძალგედ საინტერესოა ნაკანების გვარის ქვის კერპი ეწ. „ბაჩა გვიგვი“ (ქვის გული), რომელიც უფრო ღიოლითის მსგავსი ძეგლია. მ. ჩართოლანის აღწერით „ბაჩა გვიგვის“ ფორმა ქალის ზედა განს უფრო ჰგავს და ქალის მკერდის მსგავსად „შეა წელზე, ორივე მხარეს თდნავ ამობურცული აქვს ორი ბურთულა“ (22, გვ. 131). ყოველ ახალ მთვარეზე და ახალ წელს მთელი ოჯახი მასთან შეიკრიბებოდა. მოიგანდნენ შესაწირავ ჰურებს, სანთლებსა და არაქს. ოჯახის უფროსი მას კეთილ-



ნაყოფიერების ბუნების გამომხატველ წარმართულ დყოფაზე ებას უნდა წარმოადგენდეს, რომელიც ქალურ საწყისთან იყო დაკავშირებული.

როგორც ცნობილია, „ჯვარი” ხევსურეთში დათა-ების და მისი ამქვეყნიური სამფლობელოს სახელწოდება არის. ფშავები მისი ეკვივალენტია „ხატი”. მათ სინონიმებად მიიჩნევდა ვ. ბარდაველიძე (3, გვ.11). ფშავ-ხევ-სურული ჯვარ-ხატი სხვადასხვა ფუნქციის მატარებელი იყვნენ. ვ. ბარდაველიძის აზრით, ისინი ზეციური არსებები იყვნენ, რომლებიც შემდეგ ასტრალურ დათაებებად გარდაიქნენ. აღმოსავლეთ საქართველოში კი მათ დვისშვილებად მოიხსენიებენ (3, იქვე). მათ კუთვნილი მამულები ჰქონდათ, საღაც დღესასწაულისთვის საჭირო მოსავალი მოჰყავდათ. აქვე იყო ე.წ. „ხატის ტყეები”. ხევ-სურეთში ასეთ მიწებს ჯვარის ბორტვი ეწოდებოდათ, ფშავები – ხატის ბუსნო, მთიულეთში – ხატის სამკვიდრო. ასეთ ჯვრებს ან ხატებს თავიანთი ყმებიც ჰყავდათ. მათგან ზოგი თემის წევრი იყო, ზოგი კი შემოხიბნული, შეწირული, მოყვანილი, ხელდებული, გვიან დასახლებული. ისინი თემის მფარველი დათაების მსახურებად ითვლებოდნენ. ჯვარ-ხატი მიმდინარეობდა დათაების საპატივ-ცემულოდ გამართული დღესასწაულები, ასევე მნიშვნელოვანი საქმეების გადაწყვეტა (21, გვ. 443, 558, 559). თუ გავითვალისწინებთ აღნიშნულს, მაშინ გამოდის, რომ სახელწოდებები „მარიამჯვარი” და ზემოაღნიშნული „მარიამ წმიდის ხატი”, შესაძლოა, ერთი და იგივე დანიშნულების დათაების საკულტო ძეგლის პარალელური ფორმის

დღეობასა და სიუხვეს ევედრებოდა. გადმოცემების შიხედვით, ამ ქვას ზოგჯერ ახასათებდა „გათულიანება”, ანუ სინოგივე, რაც ქვის კერპის განრისხების ნიშნად იყო მიჩნეული. ასეთ დროს მას შეეძლო ოჯახისათვის ზიანი მიეყნებინა. ასეთ შემთხვევაში ხალხი განსაკუთრებით ევედრებოდა კერძს და შესაწირავს აძლევდნენ კვერებისა და არყის სახით (22, გვ. 125–126, 132).

სახელწოდებები იყოს. ორივე დაკავშირებული იყო  ლურ საწყისთან და წყლის ნაყოფიერებასთან. „მარიამ ჯვარი”, რომელიც „ქვათარძალის” სახელწოდებითაც არის ცნობილი და მასში ქალური ნაყოფიერების ფუნქცია იგულისხმება, ლაზარობის მსგავს რიტუალთან იყო დაკავშირებული წევის მოყვანა არ მოყვანასთან მიმართებით, რაც თავისთავად განსაზღვრავდა წყლის ნაყოფიერების მაგიურ ძალას. მაგრამ თ. ოჩიაურის სიგყვებით რომ ვთქვათ, „წყალი ადამიანთა, ცხოველთა თუ მცენარეთა ნაყოფიერებას კი არ უბრუნველყოფს მარტო, არამედ თვითონ დოვლათის მაგარებლადაა მიჩნერული” (17, გვ. 168). ამიტომ იყო, რომ წყლის მაგიური ძალა სიცოცხლისათვის ზოგადად გადაჯაჭველი იყო ნაყოფიერებასთან. კონკრეტულად ნაყოფიერებასთან დაკავშირებით მასთან გამართული რიტუალები არ არის შემორჩენილი, თუ არ ჩავთვლით ნაყოფიერების სიმბოლოს – ამობურცულ დისკოს, თუმცა სავსებით შესაძლებელია ვივარაულოთ, რომ „მარიამ წმიდის ხატის” მსგავსად ისიც „ქალთა სალოცავი” ყოფილიყო. პარალელი შეიძლება გავავლოთ ასევე „მარიამჯვრის” მსაგავსი ქვის მონუმენტურ საკულტო ძეგლებთან, რომლებიც ცნობილი იყვნენ რბის ნაყოფიერების ფუნქციით.⁷ „მარიამ წმიდის ხატთან” და-

⁷ „მარიამწმინდის” ხატები ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთში დიდი რაოდენობით აღწერილი აქვს ვ. ბარდაველიძეს, რომელიც ზოგიერთის დამნიშნულების შესახებ გვაწვდის ინფორმაციას. ამ მხრივ, მეტად საინგერესოა თუშეთში „მარიამწმინდის” ის ხატები, რომელთაც გემოაღნიშნული ზოგიერთი ლოდის მსგავსად საქონლის ნაყოფიერებას შესთხოვდნენ. მაგ.: პირიქითას ხეობაში, სამციხის თემის სოფ. ჩილოში არის „მარიამწმინდა”, სადაც უმთავრესად მოხუცი ქალები ლოცულობდნენ. მას „ძროხების ხატსაც” ეძიხდნენ, რადგან ამ ხატს საქონლის სიმრავლეს და წველადობას ეხვეწებოდნენ. ვ. ბარდაველიძის ცნობით, „დეკეული რომ პირველად ხბოს მოიგებდა, აქ უნდა დაეკლათ ცხრა დღისა, ძროხას ან ძუძუარ გაუჟუჭდეს, ან რაც არ გადაელახოსო. დალოცვითაც მოხუცი

ცელი რიგუალი ყოფიერებაში გადასული თანამედროვეთა თბამდე შემორჩენილა. რაც შეეხება „მარიამჯვარს”, მისი თაყვანის მცემელი მოსახლეობა და შემდგომი ეპოქის მკვიდრნიც გადაშენდნენ. შემორჩა მხოლოდ შაბლონური ტრადიცია ლოდის გადაბრუნებისა წვიმის მოყვანა არ მოყვანასთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს სხვა მხარებისთვისაც იყო დამახასიათებელი. არ არის გამორიცხული, რომ მანგლისში შემდგომში ჩასახლებულ-მა მოსახლეობამ ეს ტრადიცია ნაყოფიერების გამომხატველ საქულტო ძეგლს დაუკავშირა და ღვთაება „მარიამჯვრად” მიიღო. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მანგლისში ჩასახლებული რუსები ძეგლს ამ სახელწოდებით არ მოიხსენიებდნენ, არამედ იგივე ქალური ნაყოფიერების ფუნქციიდან გამომდინარე მას „каменная невестка” -

„დედაკაცი დალოცავდა ხოლმე” (4, გვ. 25). საინგერესოა ის, რომ ამ ხატის სახელწოდება პატარა სალ კლდეს ჰქვია, რომელიც სოფლის თავზეა. ასევე, სოფ. გირევში დევს დიდი თეთრი ლოდი, რომელსაც „მარიამწმინდას” უწოდებენ. ვაბარდაველიძის ცნობით, აქაც „...უმობლის ხბოებს სწირავდნენ და თან დაიღოცებოდნენ: ოხეუხი გამიმრავლე, ბარაქა მომეციო” (4, გვ. 50). მსგავს საღლიცავად უნდა მივაჩნიოთ სოფ. ჩიგილაურთაში სოფლის ჩრდილოეთით ფიქალი კლდე, რომელსაც „ძროხების სალოცავს” უწოდებდნენ (4, გვ. 63). თუშეთში კლდის თაყვანისცემას იღია წინასწარმეტყველის დღეს ვახუშტიც ადასტურებს (2, გვ. 555). აღნიშნულ ხატებთან ყოველთვის ფიგურირებს ხე და ქვა, როგორც მარადიული სიცოცხლისა და ნაყოფიერების სიმბოლო. მაგ: ჩაღმის თემის სოფ. ომალოს „მარიამწმინდის” „ხატიდან ჩრდილოეთით დიდი ფიჭვის ხეა, სადაც გადმოცემით ხაგის განძს ინახავდნენ: მის ძირში დიდი სამკუთხა ფორმის სიპა ქვა დევს” (4, გვ. 72). ფიჭვის ხე დგას ასევე გომეწრის ხეობის, გომეწრის თემის სოფ. ჯვარბოსელის „მარიამწმინდის” ხატის ჩრდილოეთით (4, გვ. 90). საინგერესოა აგრეთვე წოვათაში სოფ. მობართას და სოფ. ინდურთას „მარიამ ღვთინშობლის ხაგი”, რომლის შენობაც მთის თეთრი ბროლის ქვებით არის გაწყობილი (4, გვ. 117). ერთი სიტყვით, აქ წარმოდგენილი მასალის მიხედვით, „მარიამწმინდა” სალ კლდეს, ან ლოდს ჰქვია, რომელსაც საქონლის ნაყოფიერებას ეხეეწებოდნენ.



„ქვეათარძალი” უწოდეს.⁸ საქართველოს თითქმის ყველა კიბე, მხარეში, სადაც ნაყოფიერებასთან დაკავშირებით რაიმე წარმართული სალოცავი არსებობდა, ქრისტიანულ ეპოქაში „მარიამწმიდის”, ან „მარიამღვთისმშობლის” სახელით არის ჩანაცელებული. ანალოგიური უნდა იყოს „მარიამჯვარის”.

„მარიამჯვარი”, როგორც ნაყოფიერების ღვთაება, ქრისტიანობამდელ ეპოქაში პირდაპირ კავშირში უნდა ყოფილიყო მანგლისის მთავარ ტაძართან, რომელიც ჩვენი აზრით, მანგლისის ტოპონიმიდან გამომდინარე, მთვარის ტაძარი უნდა ყოფილიყო. წინა სტაგიაში შევეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ მანგლისის სახელწოდების მთავარი ნაწილი „მანგ” ძველქართულად მოხსრილ, ნამგალა მთვარეს ნიშნავს, რომელსაც მთვარის ფაზებიდან ახალი მთვარე შეეფარდება. ახალი მთვარე კი თავისი ბუნებიდან გამომდინარე მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის ცნობიერებაში გრძისა და გამრავლების, მაგრების სიმბოლო იყო. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წყლის ნაყოფიერებასთან დაკავშირებული რიტუალები კავშირში იყო მნათობთა თაყვანისცემასთან, მაშინ აღვიდი წარმოსადგენია ის ფაქტი, რომ მანგლისსა და მის გარშემო არსებული საკულტო ძეგლები ერთ გარკვეულ მაგიურ წრეს ქმნიდნენ. არ არის გამორიცხული, რომ მარიამჯვართან ახალი მთვარის პერიოდში ნაყოფიერებასთან დაკავშირებული რიტუალებიც სრულდებოდა.

⁸ ბუნებისა და წყლის ნაყოფიერების ერთ ღვთაებაში გააჩრება მითოლოგიური სამყაროდან მაშინვე გვაგონებს „ანაიგის” (სპარს. „ანაპიგა”) კულტს, რომელიც ოთვლებოდა ბუნების გამნოყიერებელ, გამნაყოფიერებელი წყლების სპრსულ ღვთაებად. „ნოტიო მიწისა და წმ. წყალთა ქალღმერთს თქროს გვირგვინი ადგას”. ბერძნელ სამყაროში იგი გააიგივეს არტემიდე ეფესოელთან (დია დეა – ღვთაებრივი, სხივოსანი ქალღმერთი, ღიღი დედა) (5, გვ.54; 4ა, გვ.32).

KETEVAN KUTATELADZE

MARIAMJVARI

Opposite Manglisi, on Sakrishi hill (cald „Yellow hill”) stands Mariamjvari. The Russians living in Manglisi call it „Kammenaia nevestka” (The stone daughter-in-law) and the Ossets „Mamida” It’s the monument of the heathen epoch. The sizes of the stone and the prominent disk-symbol of fertility on it, a lot of monolithic stones with the same mark around it, the ruins of ancient church built with huge stones (or maybe what is more possible the remainders of the heathen epoch building), on the south of the hill Gokhnari cyclopean site of ancient town, Bedeni hedge stones and the remainders of the same kind to the north, give us the possibility to consider it as the monument of the heathen epoch. All these outlines evidently prove that we have dealings with prehistorical monument and that this worship stone was connected with some heathen idol. The rude form of the cross must be the result of the next epoch – the development of Christianity.

The name „Mariamjvari” is the property of the Christian epoch. This monolithic stone was connected with water fertility. While drought in order, to bring the rain, the boulder was overturned defined the magic force of water strength. But as water itself is necessary for life it is in common is connected with the fertility.

„Mariamjvari”, which is also known under the name of „Kvatardzali” is considered to be of woman’s fertility because there exist the notes of alike monolithic stones. Such stones are: „Veshap-veshapoid” stone „Marine” of Murjakheti, Menhir of Samshvilde, „Kvatardzala” – the big stone of revival meaning in Guria near the village of Lekhauri. Childless, unmarried and pregnant women used to go to the hill to pray for milk fertility, people brought there unproductive cattle and so on. The name of



the monument „Mariamjvatri” or „Kvatardzali” and symbol of fertility – prominent disk give us the chance to draw this parallel. It must have been the women’s chapel.

Almost in all the parts of Georgia, where existed any kinds of women’s chapels connected with fertility are changed into „Mariamtsminda” or „Mariamkhvtismshobeli” of Christian epoch. Analogous to it, must be „Mariamjvari”. It is interesting to mention that in mountain part of Georgia the place of existing of idol is called „Jvari” (Khevsureti), or „Khati” (Pshavi)

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ი. ბაგრატიონი, ქრთლ-კახეთის აღწერა, თბ. 1986.
2. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოისა საქართველოისა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, თბ. 1973.
3. ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საგოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ.I, ფშავი, თბ. 1974.
4. ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საგოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ.II, თუშეთი, თბ. 1985.
- 4^o. მითოლოგიური ლექსიკონი. შეადგინა ნ. გაფრინდაშვილმა. თბ. 1972.
5. აკ. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ. 1983.
6. მ. დვალი, მანგლისის ხერთმოძღვრული ძეგლი, თბ. 1974
7. ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარით გამოსცა გ. ალექსიძემ, თბ. 1968.



8. ეტლთა და შედთა მნათობთათვის, გამოსცა, წინპიროვანი ყვაობა და ენობრივი მიმოხილვა დაურთო ა.კ. შანიძემ, თბ. 1975.
9. გ. თანდილავა, ლაბიარობა და ქვაგაცები აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, I, თბ. 1974.
10. გ. თანდილავა, წყლის კულტი ქართულ ფოლკლორში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, VII, თბ. 1984.
11. ივერია, №9, 1888.
12. თ. კალმახელიძე, მანგლისი, თბ. 2001.
13. მ. მაკალათია, წყლის კულტან დაკავშირებული გოგირთი საკითხის შესწავლისათვის, მასალები საქართველოს ეთნოგრაფისათვის, ტ.XVI-XVII, თბ. 1972.
14. ს. მაჯალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბ. 1937.
15. ლ. მელიქეთ-ბეგი, მანგლისის რაიონი ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით, ახალი სკოლისაკენ №2-3, თბ. 1924.
16. ლ. მელიქეთ-ბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში, მასალები არქაიკული მონუმენტალური ხელოვნების ისტორიისათვის, თბ. 1938.
17. თ. ოჩიაური, წყლის კულტის ელემენტები საქორწინო რიტუალში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფისათვის, ტ.XVIII, თბ. 1975.
18. თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ. 1979.
19. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული I, თბ. 1991; II, თბ. 1993.
20. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი IX-XIII. შეაღვინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ. 1984.
21. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.XI, თბ. 1987.



22. 8. ქოქრაშვილი, ბიბლიურ პატიოსან ქვათა და ეტალონები, შესახებ, თბ. 2001.
23. ქ. ქუთათელაძე, ქვემო ქართლი, პოლიტიკური ისტორიის საკითხები,, თბ. 2001.
24. მ. ჩართოლანი, ჩხუდანი – სვანური სახლის კერპი, სვანეთი I, თბ. 1977.
25. გ. ჩიგაია, ეთნოგრაფიული მოგზაურობა აღბულალის რაიონში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, IV, 1928.
26. გ. ჩუბინაშვილი, მცხეთის ჯვრის მცირე გაძარი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, 11, ტფ. 1922-23.
27. გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტფ. 1936.
28. მ. ჩხაიძე, საქართველოს მეგალითური კულტურა და ქვა-კაცი გეიანის მიწებიდან, სადისერტაციო ნაშრომი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსამართებლად, თბ. 1997.
29. ხალხური სიბრძნე, ტ. III, თბ. 1964.
30. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხმულებანი 12 ტომად, ტ. I, თბ. 1979.
31. В. А. Гурко-Кряжин, Циклопические сооружения в Закавказье, „Новый Восток, №15, 1926.
32. Легенды и сказания древней Греции и древнего Рима, Мос. 1987.
33. Л. Меликсет-Беков, Кахтубанский храм, Христианский Восток, Т.III, в.Ш, Тб. 1914.
34. А. Робакидзе, К вопросу о некоторых пережитках лульта рыбы, С.Э. 1948, №3.

ქათევან ქათათელამა

მანგლისის სახელწოდებისათვის

მანგლისის ტოპონიმთან დაკავშირებით სპეციალური კვლევა არ ჩატარებულა. მას გაკვრით მოიხსენიებენ და თავიანთ აზრს გამოთქვამენ ნ. ბერძენიშვილი და ლ. მელიქეთ-ბეგი. ნ. ბერძენიშვილის თქმით, „მანგლისი საყურადღებო მაგალითია „ცენტრის“ სახელის შერქმევისა ქვეყნისათვის. იყო აღგ ტომი, აქედან ერთის მხრით მივიღეთ აღგ-ეთ-ი, მეორე მხრით აღგისი, მაღგისი, მანგლისი ... აღგეთი დარჩა ქვეყნის სახელად („აღგეთის ლეკვები“), ხოლო მანგლისი ჰუნქის სახელად და ამავე ღროს ქვეყნის სახელად („მანჯალის“) (9, გვ. 646). ერთი შეხედვით სახელწოდება მანგლისი ნამგლიდან უნდა მომდინარეობდეს (ასე ვფიქრობდით ჩვენი მონოგრაფიის წერის დროს 34, გვ. 23), რომლის ძველი ქართული შესატყვისია მანგალი (26, I, გვ. 434) ს.ს. ორბელიანი მას განმარტავს, როგორც ყანის მოსაჭრელს (26, I, გვ. 434). სახელწოდება მანგალი ხშირად გვხდება ბიბლიის ტექსტებში (II, გვ. 578 (ნაწ. I), გვ. 373, 841-842 (ნაწ. II). გაქარია წინასწარმეტყველი „მანგლისმხილველად“ არის ცნობილი.¹ მას ციდან ჩამომავალი დიდი ზომის (80 წყრთა) მანგალი უნახავს, განმარტებული, როგორც შურისძიების სიმბოლო ყოველი მპარავისა და ცრუ ფიცის მიმცემის მიმართ, „მომასწავებელი ქრისტეს ამქვეყნად მეორედ მოსვლისა, როცა „სამქალი ფრიად იქნება“ (1, გვ. 96). მნიშვნელოვანია ის, რომ ნამგლის სახელწოდება მეგრულ ენაში ძველი ქართული შესატყვისის მანგალის

¹ გაქარია წინასწარმეტყველის სახელი უიგურირებს ყანა-სათიბების დასაცავად განკუთვნილ რიგუალებში. მაგ.: მთიულეთში ელიასა და გაქარიას ციკანს უკლავდნენ. „კვირას ან ორშაბათს შეიკრიბუბოდნენ დამისსათვევად“ (1, გვ. 96).

(მაგალ/მაგანა) ფორმით შემორჩა. ასევე არანაკლები ინტერესოა ის ფაქტი, რომ ს.ს. ორბელიანის ცნობით ძველ სომხურ ენაშიც მანგალი იგივე ფორმით მასაფათ - „მანგალი” არის ფიქსირებული (26, II, გვ. 527, 541).

ლ. მელიქეთ-ბეგი ზემოთ აღნიშნულს დასაშვებად მიიჩნევს, – „ნამგლისი (ნამგ [ა] ლ-ის-ი)–„მანგლისი” „ლამგლისი” (19, გვ. 168), თუმცა ერთ ადგილას აღნიშნავს, რომ „მანგლისში”–„ნამგალი”, როგორც ასეთი არა-ფერ შეაშია (20, გვ. 123).

მანგლისში მცხოვრებ მოსახლეობაში გავრცელებული გადმოცემის მიხედვით, მანგლისის წარმოშობასთან დაკავშირებით ორი ვერსია არსებობს:

1. „იგი მომდინარეობს მანგლისიდან, რაც ძველი ქართულით მანგალს ნიშნავს. გადმოცემის თანახმად თითქოს მახლობელ სოფელ ქველთაში ამზადებდნენ საქართველოს გარეთაც ცნობილ ნამგლებს”.

2. „ტერიტორიას ეს სახელი დაერქვა ბიგანგიელი ხუროთმოძღვრის მანგლის პატივსაცემად, რომელმაც IV ს-ში აქ ამჟანა ფაძარი (18).

როგორც ვხედავთ, I ვერსია იმეორებს ტრადიციას სახელწოდება მანგლისის ნამგალ/მანგალთან დაკავშირებით. ერთი შეხედვით ის მართლაც ტოვებს ამის შთაბეჭდილებას. მაგრამ თუ მოვიშველიებთ უმდიდრესი ქართული ენის არქაულ პლასტებს, ჩვენი ლექსიკისთვის მივიწყებულ სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობა უკვე არ გვესმის, აგრეთვე გავაანალიზებთ სხვადასხვა მითოლოგიურ სიუკეთებს, გადმოცემებს და თქმულებებს, დავრწმუნდებით, რომ „მანგლისის” სახელი დაკავშირებული უნდა იყოს უძველეს, პრეისტორიულ დათავასთან და სალოცავთან. ამის განხილვა ქვემოთ გვექნება.

„ქრთლის ცხოვრების” მიხედვით, იმპერატორმა კონსტანტინემ, რომელსაც თავის მეფობის დროს 500 ეკლესია აუმენებია, ქართლში გამოგზავნილ იოანე ეპის-

კოპოსს დიდმალი განძი გამოატანა და უბრძანა: „ხელმცირავ ჯერ იჩინო ადგილსა ქართლისათა, აღაშენენ ეკლესიანი... და ნიჭნი ესე დაამკვიდრენ ქალაქთა ქართლისათა” (28, გვ. 117). ერთი სიტყვით, კონსტანტინემ ეპისკოპოსს უბრძანა, რომ სადაც საჭიროდ ჩათვლიდა და აუცილებელი იქნებოდა, იქ აემენებინათ ეკლესიები და დაეცოვებინათ სიწმინდეები. ეპისკოპოს იოანეს ასეთ ადგილებად საქართველოში ერუშეთი, წუნდა და მანგლისი მიუჩნევია. სამივე ადგილას ეკლესიის მშენებლობა დაიწყეს. ერუშეთში „სამსჭუალნი უფლისანი“ დატოვეს (იგულისხმება ხელის სამსჭუალნი), წუნდაში განძი, მაგრამ თუ რა, არ არის მოხსენიებული. მანგლისში კი „უიცარნი იგი უფლისანი“ (28, იქვე) როგორც ჩანს, ამ ადგილებში წარმართული სარწმუნოების ცენტრები უნდა ყოფილიყო, რომლის საპირისპიროდ იოანე ეპისკოპოსი ეკლესიებს აგებს და ქრისტიანთა უდიდეს სიწმინდეებს ტოვებს.

როდესაც მირიან მეფემ უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ პირველად არა სამეფო ქალაქ მცხეთაში მოვიდნენ, მოიგანეს სიწმინდეები და დაიწყეს ეკლესიების მშენებლობა, არამედ სხვა ქალაქებში, ამასთან დაკავშირებით წმიდა ნინომ მეფეს უთხრა: „ნუ სწუხ მეფეო, რამეთუ ესრეთ ჯერ არს: სადაცა მოვიდოდიან, დასთესვიდნენ სახელსა ღმრთისასა. ხოლო არს ქალაქსა ამას შინა სამოსელი იგი დიდებული უფლისა“ (28, იქვე). წმიდა ნინოს ნათქვამი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ქრისტიანულ სიწმინდეებს სწორედ იმ ადგილებში ტოვებდნენ, სადაც ყველაზე ძლიერი წარმართული სალოცავები იქნებოდა და ხალხის მოქცევისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა.

ს.ს. ორბელიანმა თავის უკვდავ ნაშრომში „ლექსიკონი ქართული“ მოგვცა აღნიშნული საკითხისათვის მეტად საინტერესო ერთი სიტყვის განმარტება: „მანგი“,

მარგალიგი², გინა მთვარე” (26, I, გვ. 434). „მთოვარისა სახესა ქალისასა იტყვიან, კელთა აქვს(ო) ისარით (26, გვ. 476). ს.ს. ორბელიანის მიხედვით, მთვარე, რომლის არაბული შესაბეჭდისია ყამარ (შდრ. ქართულ მითოლოგიაშიც ყამარიც ქალის სახეა) ცის ქვედა ფენას განეკუთვნება „კერძოდ პაერისა და ეთერის შემდეგ, რომელსაც „ჭირანო “ ჰქვია (26, I, გვ. 475). ჩვენი სახელოვანი მეცნიერი „მთოვარე-ყამარს“ ერთ-ერთ ცდომილად თვლის, რომლის ასტრალური ნიშანი ასე გამოიხატება დ დანარჩენი 6 ცდომილი, რომლებშიც შედის აგრეთვე მზე, მერქური, ვენერა, იუპიტერი – (ზევსი/მუშთარი), საფურნი, მისი თქმით, „ესენი არიან რომელნიმე განმანათებელად ქვეყანისა, რომელნიმე დარებთა სასწაულებად, რამეთუ რომელსამე გაუპირისპირდების მთოვარე, (მით იქმნებიან) გვალვა, წეიმა, სეგვა, ქარნი და ყოველივე დარი. ხოლო ათოთხმეტისა დღისა მთოვარე ოდეს გაივხების, პირისპირ უჭირობს მზეს და სრბასა შინა უკეთუ ორთავე შორის დაეპყრა ქვეყანა და ქვეყანისა ზედათ იყოს მთოვარე და ქვეშე მზე და ვერდარა იხილავს მზე პირსა მთოვარისასა და მოაკლდების მთოვარესა ნათელი, რამეთუ აჩრდილი ქვეყანისა დააბნელებს, ვინათგან (რამეთუ) მთოვარესა თავით თჯისით არა აქვს ნათელი, არამედ ვითარცა სარკე ჰქედავს მზესა. ამისთვის უნაკლო არს და უკეთუ სრბასა შინა უნათლო მთოვარემან განვლო ქვეშე სისწორ მზისა, დაპუარავს ნათელსა მზისასა და მოაკლდების მზესა და დაბნელდების” (26, II, გვ. 325).

² მარგალიგი ძეირფასი ქვაა, მაგრამ გადატანითი მნიშვნელობით ამ შემთხვევაში თ. სახოვიას მსგავსად უნდა გავიგოთ: “ადამიანი ანდა საგანი, ყოვლად სრული, სიმშვერიერით მოსილი, ნაგიფი, ძვირუასი” (24, გვ. 72). “ვითარცა მარგალიგნი პაგიოსანნი გამოვჩნდეთ” (2, გვ. 216).

მველმა ტექსტებმა მანგალ-ნამგლის კიდევ უფლისი
შესატყვისი შეემოგვინახა. ეს არის „მღული” – „მოავლინის
მანგალი”, „მოავლინის მღული”; „მიმსგავსებულ არს ბარ-
კალი ესე ჩემი მანგალსა მრუდსა” (1, გვ. 215, 303). ზოგი-
ერთი მეცნიერის აზრით, „მანგალი” უცხო სიტყვაა და იგი
ჩვენში სომხურის გავლით სირიულიდან უნდა იყოს შემო-
სული (მაგ.: სირიული მაგგელა ებრ. მაგგალ, სომხ. მან-
გალ). „უცხოური მანგალ ფეხის სინონიმი მღული თითქო
ქართულ-კოლხური ძირისაა (შდრ. ქართ. ლუნვა, მეგრ.
ლულ-ა მოღუნული, „არასწორი”, „მრუდი”: ლულა ბიგა
„არასწორი ჯოხი”) და უფრო სამხრეთული ქართული
რეგიონისა ჩანს, სადაც კოლხურის ენობრივი ელემენტე-
ბი ძველადვე საგრძნობი იყო. ნასესხები მანგალი აღრევე
შესულა კოლხურში ... შდრ. მეგრ. მაგანა-მანგალა, ლაბ.
მანგალი. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთის
მხრივ ლული დღეს დაცულია აღმოსავლურ (ხევსურულ,
ფშაურ, კახურ, ინგილოურ კილოებში ნამგლის მნიშვნე-
ლობით, ხოლო მეორეს მხრივ, მას შესატყვისი მოეპო-
ვება სვანურში ლულ („მუხლი”) სიტყვის სახით (გ. სარ-
ჯველაძე), მაშინ ლულ საერთო ქართულ ფუძედ უფროა
მისაჩნევი” (33, გვ. 614). მართლაც, ხევსურულ, ინგილოურ
და ფშაურ დიალექტში მღული ნიშნავს ნამგალს, აგრეთვე
წვრილ-კბილა ნამგალს და პატარა ნამგალს (30, გვ. 596)
ს.ს. ორბელიანის განმარტებით მღული ხერხივით მანგა-
ლია (26, II, გვ. 259). მისი ანალოგი უნდა იყოს ქიბიყური
ლულა დაკბილული ხერხივით ნამგალი. აქელან უნდა
მომდინარეობდეს ისევ ქიბიყურ კილოში არსებილი
მღული – „ოჯახის ყველა მამაკაცი წევრისათვის საახალ-
წლოდ გამომცხვარი ჰური, რომლის თხელი მხარე ას-
ტმით დაჭრილი და დაკბილულია” (30, გვ. 596). კვლავ ქი-
ბიყურ კილოში ლული კიდევ ნიშნავს „ნალის დახვრეტის
დროს ნალის ქვეშ ამოსადებ მრგვალ, გულამოლებულ
რკინას (30, იქვე) ლულიდან მომდინარეობს შემდეგი სიტ-

ყვები: „ღუნია” (მთიულ. მხრებში მოხრილი, „მღუნამუდო” „მღონარედ” – მოხრილად, მოხრით (2, გვ.303-304); იღუნალი-„დაღრეკილი”, მოხრილი (2, გვ.189); „დაღონება”, „დაღონებული” – მოხრა, მოხრილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სიტყვა „მანგანა” გამოიყენება მარწუხის, ან მისი მსგავსი იარაღის აღსაღნიშნავად (30, გვ. 342; 39, გვ. 594). მარწუხის სინონიმად. სს. ორბელიანი ასახელებს ქავს, რომელსაც განმარტავს როგორც „მოკაკული რეინა თუ ხე” (26, I, გვ. 345). ს.ს. ორბელიანი თავის ლექსიკონში მოიხსენიებს აგრეთვე ფრინველს ცელმანგალას რომელსაც მერცხლის მდევარს უწოდებს (26, I, გვ. 333) ცელის ნამგლის მსგავსი სათიბი იარაღია, ოღონდ გრძელტარიანი. ამრიგად, „მანგი შეიძლება გავიგოთ, როგორც მრუდე, მოღუნული, ანუ ნამგალა მთვარის აღმნიშვნელი, ანუ სიტყვა „მანგი” მთვარის ნამგალს აღნიშნავდა. იგი მთვარის ერთ-ერთი სახეობის გამომხატველია (განსხვავებით ბაღრი-მთვარესაგან, რაც სავსე მთვარეს ნიშნავს). თუ მას, მოღუნულის მნიშვნელობითაც გავიგებთ, მაშინ გამოდის, რომ მოღუნული ფორმის მსგავსების გამო, შემდეგ ეს სახელი ეწოდა მკის უძველეს შრომის იარაღს ნამგალს, რომლის სახელწოდების ძველი ფორმა მაგალ-მანგალია. არ არის გამორიცხული, რომ იგი გარეგნულად მიემსგავსებინათ ნამგალა მთვარესთან, რადგან მიწათმოქმედი ხალხის ცნობიერებაში მთვარეს განსაკუთრებული აღვილი ეჭირა.

მთვარე (ანუ მთვარის ფაზები) მჭიდრო კავშირში იყო მჩესთან. მთვარის ფაზების მონაცემება მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის ცნობიერებაში საფუძვლად დაუდო სიცოცხლის განახლებისა და კვლავ აღდგენის არსეს. მზე და მთვარე უძველესი მიწათმოქმედი ხალხის ცნობიერებაში განუყოფელია ერთმანეთისაგან. მათი ურთიერთქმედება განსაზღვრავდა დედამიწაზე სიცოცხლის განახლებისა და ნაყოფიერება - გამრავლების პროცესს. მზე

და მთვარის ურთიერთმიმართება და დამოკიდებულება მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის მითოლოგიაში მა-დალმხატვრულად არის წარმოდგენილი. ისინი ერთმანეთის ხან და-ძმა, ძმები, ცოლ-ქმარი, დედა-შვილი („მზე დაწვა და მთვარე შობა, მზევ შინ შემოდიო“) არიან. ხალხურმა სიბრძნემ ერთი მეტად საინტერესო გამოცანა შემოგვინახა რომელიც მზეს და მთვარეს გულისხმობს: „ორნი არიან, სწორნი არიან, ერთ ტახტზე სხედან, ერთად სამეფოდ“ (41, V, გვ. 450.) ტოლ-სწორობას მიუთითებს მეგრული გამოთქმა „მანგი რე“ („ათენა თიშ მანგი რე“ – ეს მისი ტოლია), რაც ნიშნავს ტოლია, სწორია. იგი ძალიან ძველი უნდა იყოს და შესაძლოა მომდინარეობდეს ხალხის ცნობიერებაში არსებულ მზისა და მთვარის ტოლ-სწორობიდან. ზოგიერთი ხალხის ცნობიერებაში კი ისინი თვალნი (მაგ.: ძვ. ეგვიპტური, ჩინური, სკანდინავიური) არიან. მითოლოგიაში მზისა და მთვარის ურთიერთგადაჯაჭვულობას მიუთითებს ხარის რქებისა და მზის ღისკოს ერთობლიობა. ამ მხრივ, განსაკუთრებით მდიდარია ეგვიპტური მითოლოგია. ხარის რქებში ჩახატული მზე ამშვენებს ისიდას, ფარაონებს, გაღმერთებულ ძროხას, რომელსაც ფარაონი ძუძუს სწოვს. ეგვიპტური სიმბოლიკის – ხარის რქებში ჩახატული მზის ღისკოს ერთგვარი პოეტური გამოხატულებაა სეანური ლექსის ნაწყვეტი: „მზე შემოაქვთ რქებით ხარებს“. ხარის რქები ნამგალა მთვარის სიმბოლო იყო, ხოლო თვით ხარი, როგორც მთვარის სამსხვერპლო ცხოველი, ასევე მიწის გამნაყოფიერებელი ღვთაება. როგორც ცნობილია, შუმერულ მითოლოგიაში მთვარის ღვთაება ხარის სახით გამოისახებოდა. ივ.ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ხადაც ქართველებს უცხოვრიათ, მთვარის თაყვანისცემა შერჩენილია; ამის გამო მთვარის ვითარცა, მთვარ მეუფისა და ღვთაების თაყვანისცემა, ყველა ქარ-

თველი ტომების უძველეს რწმენად უნდა ჩაითვალისწინოს (43, გვ. 99).

როგორც ცნობილია, მთვარე ცივი სხეულია და იგი მზის სხივების არეკვლით ნათდება. მიუხედავად ამისა, მთვარე გაღმერთებული ჰყავდათ მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხს და ეს განპირობებული იყო მთვარის ფაზების გამო. მზისგან განსხვავებით მთვარე დაახლოებით თვეში ერთხელ არის მრგვალი (ანუ სავსე). დანარჩენ დღეებში ის „ნაკლულია”, თანაც მისი ხილული ნაწილი ყოველდღიურად იცვლება, ან იესება, ან იკლებს. მთვარის ხილული ფორმის ამ ყველასათვის ცნობილ ცვალებადობას მთვარის ფაზების ცვლას უწოდებენ. მთვარის ფაზებს განსაზღვრავს მთვარის გარემოქცევა დედამიწის გარშემო; მთვარის, დედამიწისა და მზის ურთიერთგანლაგების ცვალებადობა. მთვარის მოძრაობა მზისა და დედამიწის გარშემო განაპირობებს ასტრონომიულ მოვლენებს, რომლებიც განსაზღვრავს და პირდაპირ კავშირშია ხენა-თესვასთან და სიცოცხლის გახანგრძლივება-გამრავლებსთან. მთვარის ასტრალურ ნიშანს, რომელიც მანგლის გრაფიკული გამოსახულებაა, მთვარის ფაზებიდან ახალმთვარეობა შეესაბამება. ახალმთვარეობის დროს მთვარე მზესა და დედამიწას შორის იმყოფება და იგი თავისი ბნელი ნაწილით არის მოქსეული, ამიგომ ცაგე არ ჩანს. შემდეგ მთვარე მარცხნივ მოძრაობს და მზეს შორდება. ცაგე ჩნდება მზის სხივებით განათებული მთვარის ძალიან წვრილი, მომცრო ნაწილი, რომელსაც ასეთი ჟორნმა აქვს, კერძოდ ნამგლის, რასაც „ახალ მთვარეს” უწოდებენ. იგი საღამოს ჩნდება მზის ჩასვლისთანავე. შემდეგ მთვარე განაგრძობს მოძრაობას მარცხნივ და უფრო მორდება მზეს. ნამგალი თანდათან ფართოვდება, მთვარის ნახევარზე მეტი ნათდება და მას უკვე გამობურცელი ფორმა აქვს. მთვარის გავსებას („მომვარის გავსა”) ს.ს. ორბელიანი „მოვანებას” უწოდებს (26, I, გვ. 496).

შოთა რუსთაველი ამ მოვლენას ვეფხისტყაოსანშოთა ტოვნად იყენებს: „უგავს პირისა სინათლე (თინათინს-ქ.ქ.) მთვარისა მოვანებასა”. პოეტი, როდესაც ახდენს პოემის პერსონაჟთა შედარებას მნათობებთან, ხშირად ასახელებს „მთვარე პირ-გავსებული”, „მსგავსი მთვარისა სრულისა”, „გამოემართა იგი მზე პირითა სავსე მთვარისა”. ასეთი მთვარის აღმნიშვნელია „პირ-ბაკმიანი”, რომლის განმარტება სხვადასხვა მეცნიერთა მიერ მოცემული აქვს გ. თევებაძეს თავის წიგნში (15, გვ. 21-22). მათი უმრავლესობა ბაკმიანს ისეთ მთვარედ მიიჩნევს, როდესაც მთვარის სიმრგვალეს თეთრ, მოელვარე ფერად კიდევ რეალი მოვლება. აქედან გამომდინარე რუსთაველის ხაგოვანი გამოთქმა „ბროლ-ბაკმული” ბროლივით მოელვარეს, გასხივოსნებულს ჰგულისხმობს. როდესაც მთვარის დისკო მთლიანად ნათლება მას სავსე მთვარეს უწოდებენ. ამ დროს მთვარე მზის საწინააღმდეგო მხარეს არის მოქცეული. სრულმთვარიანობის დროს მთვარე მთელი დამე ანათებს. იგი მზის ჩასვლისას ამოდის და მზის ამოსვლისას ჩადის. ამის შემდეგ მთვარე მზისკენ აგრძელებს მოძრაობას. მისი დისკო მთლიანად აღარ არის განათებული, ისიც შეაღამისას ამოდის და მისი განთებული ნაწილი თანდათან ვიწროვდება. ასეთი მთვარის აღმნიშვნელ სიტყვად ს.ს. ორებელიანი მოიხსენიებს სიტყვას – „მცხრალი” – გავსილის მთოვარის დაკლება, სავსე მთოვარებე მცირე ნაკლები” (26, I, გვ. 542) (შდრ. მისივე „ცხრომა-გავსებულის მთოვარის მოკლება”, 26, II, გვ. 349). ხევსურულ დიალექტში არსებულ გამოთქმას „მთვარე უკუღმ ცხრების”, დიდი მწეხარების აღსანიშნავად იყენებდნენ. საბოლოოდ მზესთან მიახლოების დროს მთვარე კვლავ ნამგლად იქცევა, იმ განსხვავებით, რომ ნამგლის კუბი ამჯერად მარცხნივ არის მიმართული – ც. ასეთი ე.წ. „ძველი მთვარე” მხოლოდ განთიადის დროს გამოჩნდება ხოლმე. მთვარე ამ გზის გავლას 29,5 დღე

ანდომებს, შემდეგ იწყება ახალი ახალმთვარეობაზე დაუკავშირდა, ახალი სრულმთვარეობა. მთვარის ფაზების მონაცემებას და მის გარემოქცევას მზის გარშემო არაჩვეულებრივი სრულყოფით წარმოგვიდგენს შოთა რუსთაველი თავის უკვდავ პოემაში “ვეფხისტყაოსანი”, სადაც მედავნდება პოეტის ღრმა ასტროლოგიური ცოდნა. პოემაში ავთანდილისა და ტარიელის შეხვედრა თავიანთ მიჯნურებთან ხშირად შედარებულია მთვარისა და მზის შეხვედრასა და დაშორებასთან:

„მჩესა მთვარე შეეყაროს, დაილევის, და-ცა-ჭნების”

(22, გვ. 45).

„ნახეს მზისა შესაყრელად გამოემვა მთვარე გველსა”

(22, გვ. 447)³

„მთვარე მზესა მოეშორეოს, მოშორვება გაანათლებს.

მო, მთვარეო, შემიბრალე, ვილევი და შენებრ

ვმჭლდები,

მზე გამავსებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ვსხვდები,

ზოგჯერ ვწვლდები” (22, გვ. 311).

„ლურჯად ჩანს შექი მთვარისა მზისაგან

შუქნაკრთომისა”⁴ (22, გვ. 424)

„ვითა გავაზი გაფრინდა არ გაშვებული ხებითა,

ან მთვარე მზისა შემყრელი, მზე სინათლითა

გებითა”⁵ (22, გვ. 66)

„ავთანდილ-ა გალევული შესაყრელად მთვარე მზისად”

„ახალ შეყრილსა მთვარესა, მზეო, ვით მოეშურები?”

(22, გვ. 489).

³ ძველი ქართული ასტროლოგიური გადმოცემით, მზისა და მთვარის დაბნელებას მათი ჩაყლაპვით გველეშაპი ახდენდა.

⁴ აქ იგულისხმება, როდესაც მთვარე მზეს უახლოედება, მთვარე შექს კარგავს, ანუ ილევა (22, გვ. 430).

⁵ ანუ მზე უბრწყინვალესი შექით მოსილი. (22, გვ. 74).

შსოფლიოს თითქმის ყველა ხალხი ახალი და ასეუსტები მთვარის ფაზების დაღვომას სხვადასხვა რიგუალებით, სიმღერებით, წესჩვეულებებით ხვდებოდა და მთვარეს სიცოცხლის ხანგრძლივობას, მატერიალურ დოკლათს, პირუტყვისა და მოსავლის სიუხვეს ეხვეწებოდა. ხალხის რწმენით, მთვარე წარმართავდა ხვნა-თესვას, მფარველობდა მცენარეების ზრდას, მისგან მოსავლის აღებას, პირუტყვის გამრავლებას. ამასთან დაკავშირებით სვანურ ყოფიერებაში მეტად საინტერესოა ე.წ. რიგუალური გაბლა „კირკალდუ”, რომელიც იყო როგორც მრგვალი ქიმებიანი, ასევე რკალისებური ქიმებიანიც (37, I, გვ. 108). რკალისებურ კირკალდუზე ეთნოგრაფიული მასალიდან ცნობილია, რომ მას ნაკურთხი წყლით ზელდნენ, შემდეგ შეაბამდნენ იმ კალათას, სადაც სათესლე ხორბალს ინახავდნენენ. თესვის დრო რომ მოვიდოდა კირკალდუს ჩაფშენიდნენ და დასათეს ხორბალთან აურევდნენ, შემდეგ დასთესდნენ (5, გვ. 58; 37, გვ. 109). 6. წერედიანი აღნიშნავს, რომ კირკალდუს მრგვალი ფორმა მზის გამომსახველი უნდა ყოფილიყო, ხოლო რკალისებური – მცხრალი მთვარის (37, იქვე). მაგრამ ვფიქრობთ, იყი უფრო ახალი მთვარის გამომხატველი უნდა ყოფილიყო, რადგან, როგორც ვ. ბარადაველიძე გადმოგვცემს, სვანეთში მცხრალ მთვარეზე, რომელსაც ცუდ მთვარედ თვლიდნენ, ხალხი არცერთ შემთხვევაში არ დაიწყებდა რაიმე საქმეს. ახალ მთვარეზე კი ყველა ემურებოდა საქმის დაწყებას. განსაკუთრებით ეს ეხებოდა თესვას, რადგან ახალი მთვარე, ზრდისკენ ორიენტირებული, განსაზღვრავდა მათი მოსავლის ზრდას. ვ. ბარდაველიძის შენიშვნით, თესლის საცავზე „... კირკალდუს შებმით და შემდეგ თესლთან ერთად მის მიწის ქვეშ მოქცევით ოდესლაც სვანი უეჭველია მნათობის ემბლემა-კვერს თესლთან და მიწასთან აახლოვებდა, რომ ამ გზით მათ მნათობის ცხოველმყოფელური ძალა განეცადათ და პუ-



რეული აღმოცენებულიყო” (7, გვ. 85). სვანეთში ახალი მთვარებები იყო დამოკიდებული აგრეთვე, ე.წ. თიბვის დღე („ახანახა”- დღესასწ. 15ა, გვ. 95), რაც ერთ სვანურ ლექტოში შემდეგნაირად აისახა: „ახანახა დომდულ მახე” – „თიბვის დღეს მთვარე ახალი” (24ა, გვ. 119). საინგერესოა აგრეთვე, ე.წ. „ალაგი ლიხელებს” დღესასწაულზე, რომელიც ოჯახის ბარაქისა და კეთილდღეობისათვის იმართებოდა, გამომცხვარი კვერები, რომელთვან ერთს ნამგლის ფორმა ჰქონდა. მათ „ზენახარი” ეწოდებოდათ (7, გვ. 90). მათ ნ. წერედიანი ხსნის, როგორც „მიწაში ჩასატნევი ლემზირები” (37, გვ. 113). მართლაც, გარკვეული რიტუალისა და ლოცვის ჩატარების შემდეგ ოჯახის უფროსი ქალი კვრის პირას მიწაში ჩამარხავდა აღნიშნულ ზენახარებს. თქმაც არ სჭირდება იმას, რომ ნამგლის ფორმის კვერი ახალ მთვარეს გამოხატავდა, რადგან ვ. ბარდაველიძის თქმით, „...ალაგი ლიხელებს მეორე ლენტეხურ ვარიანტში, რომელიც დღეობა ჩიგობს სრულდებოდა, ანალოგიურ კვერს დომდულ-მთვარე ეწოდებოდა (7, გვ. 91). სვანურ დღეობათა კალენდარში ვ.ბარდაველიძე წარმოგვიდგინს ზენახარის ნიმუშებს, რომელთაგან ორს ადამიანის (ქალისა და მამაკაცის) ფორმა აქვს, მესამეს, რომელსაც მთვარე ჰქვია – ნახევარმთვარის, მეოთხეს კი ჯვრის (5, გაბ. II). ნახევარმთვარე ახალი მთვარის გამოხატველი უნდა იყოს. ჯვარში ნ. წერედიანი მზის სიმბოლოს ჰგელისხმობს. იგი ხამს უსვამს ქალური და მამაკაცური საწყისის ერთობლიობაზე, როგორც მიწიერი სახით, ასევე ზეციურითც – რასაც მზე (მდედრ. ბუნება) და მთვარე (მამრ. ბუნება) გამოხატავდნენ (37, იქვე).

განსაკუთრებულია, ქართველთა დამოკიდებულება მთვარის კულტისადმი. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებს თუ დავიმოწმებთ, „მზე ქართველებს ისე არ სწამდათ, როგორც მთვარე, მაშასადამე ქართველების ჩვეულებრივ

უქმე დღედ ორშაბათი⁶ უნდა ყოფილიყო” (43, გვ.97). მარტინის
თლაც, ხევსურები ორშაბათობითაც უქმობლნენ, ქართლ-
ში კი ნააღდგომევის I კვირიდან მოყოლებული მკის დამ-
თავრებამდე ორშაბათობით ხალხი არ მუშაობდა (43, იქ-
ვე), რომ არაფერი ვთქვათ მეგრელებზე. „მეგრელებს ისე
ეშინიათ მთვარისა, რომ არც ეშმაკისა, არც წვიმისა, არც
ანგელობებისა და არც თვით ღმერთის იმდენად არ ეში-
ნიათ, სწამთ, როგორც სიმბოლო სარწმუნოებისა, რომ
მთვარისგან არის დამოკიდებული ყოველი მათი ბედი და
უბედობა და განრისხებული მთვარე უგზავნის მათ ყო-
ველსავე უბედურებას, სხეულებას და თვით სიკვდილსაც.
ამიგომაც დიდის გულმოღვინეობით პატივსა სცემენ ორ-
შაბათ დღეს. ამ დღეს ისინი მარხულობენ, არ საქმიანო-
ბენ, არსად არ წავლენ, სახლიდან არაფერს არ გაიგანენ.
„ერთი სიყვათ ისე უქმობენ, როგორც ებრაელები შა-
ბათს” (33, გვ. 405). მათ განსაკუთრებით ახალი მთვარის
მიმართ აქვთ თაყვანისცემა, რასაც ამტკიცებს დღევან-
დელ დღემდე შემორჩენილი გამონათქვამები მეგრულ ენ-
აში:

1. „თუთა ახალი, ღორონთი სი გმახარე
მთვარე ახალო, ღმერთო შენ გამახარე”
 2. „თუთა ახალი, ღორონთი ჯგირ ქმახარე
მთვარე ახალო, ღმერთო კარგი რამ მითხარი”
- მეგრულ ტექსტებში შემორჩენილია აგრეთვე სხვა
ფორმები:
1. „თუთა ახალი, ღორონთი გუმახალი
მთვარე ახალო, ღმერთო გამაახლე” (33, გვ. 11)
 2. „თუთა ახალი, ღორონთი სი გაახარი ჩქიმი
ჩილი და სქეა
მთვარე ახალო, ღმერთო შენ გაახარე ჩემი

⁶ ორშაბათი ქართული კალენდრის მიხედვით, მთვარის დღეს აღნიშ-
ნავდა. მეგრულად მას „თუთაშხა” ეწოდებოდა, ხოლო სვანურად
„ღორძიშ”.

ყველა მეგრელი ცდილობდა ახალი მთვარის დანახვას. „მის დანახვაზე ბოგი ხელებს გააშვერს მთვარისაკენ, ბოგი-ქარქაშიდან ამოღებულ ხმალს, ბოგი-დანას და ბოგი ქუდს მოუხდის და თაყვანსა სცემს”⁷ (33, გვ. 405). როდესაც სვანი ახალ მთვარეს დაინახავდა, შემდეგ წინადაღებას წარმოთქვამდა: „ხოჩა დომდლიერ (დომდულ მახე) ენცალ დიდაბი ლეთედ” – „კარგი მთვარე (ახალი მთვარე) მომივლინე (შემივცალე) დიდება მოსასვლელო” (37, II, გვ. 49). ახალ მთვარეს ბარაქიანობას რომ სთხოვდნენ, ადასტურებს შელოცვა „ახალმთვარისა”:

– „შენ – დიანი, მე – ძმიანი!

შენ – ქაჩალი, მე – თმიანი!

შენ - თხიანი, მე – ცხვრიანი!” ან კიდევ:

„მთვარე ვნახე ნებაზედა, ჩემსა გუნებაზედა.

პურის ცომი ღვიერი, საქმე ბარაქიანი.

მე ვცხონდე და შენ იგარდე” (32ა, გვ. 205).

ახალი მთვარე (ანუ მთვარის I ფაზა) იყო საწინდარი და სიმბოლო ყოველი სულიერი არსების (მცენარე, პირუტყვა, ადამიანი) მაგებისა და ბრდის, რადგან თავად მთვარე ამ ფაზაში ნელ-ნელა იწყებდა ბრდას. მთვარებე დაუუძნებული ხალხური წინასწარმეტყველებიდან, რომელიც 28 დღის განმავლობაში ყოველი დღის მთვარეს ახასიათებს, ნათქვამია: „პირველს მთვარეს ყოველისფერი კარგი: „თესვა, ნერგვა, საძირკვლის ჩაყრა, გზას წასვლა, ნოემ კიდობნის საძირკველი ჩაყარა და მოსემ საძირკველი გაბაჟთა და მიქელგაბრიელმა ყოვლად წმიდა ღვთისმშობელს ახარა ამ დღეს, რომელმაც ტაძარს საძირკველი ჩაპყარა. ავადმყოფი მორჩეს, დაკარგული იპოვნოს, სიგმარი კეთილად ახდეს” (23, გვ. 76). სვანეთში

⁷ „მრავალი ეკროპელიც კი დაინახვს თუ არა ახალ მთვარეს, მაშინვე ჯიბიდან ამოიღებს ბრჭყვიალა ხურდა ფულს, უჩვენებს ახალ მთვარეს და სთხოვს – ბევრი ფული გამომიგზავნეო” (17, გვ. 4).

ახალ მთვარეზე არავითარ შემთხვევაში არ გახსნილება ახალი მოსავლით დატვირთულ კიდობნებს მხოლოდ იმის გამო, რომ ახალი მთვარის ზრდის მსგავსად მოსავლის დანაკლისი გაიზრდებათ. ამას მხოლოდ სავსე მთვარეზე (10-დან-15-მდე) ანხორციელებდნენ, რადგან სავსე მთვარეზე გაკეთებული საქმე არც დაიკლებდა და არც გაიზრდებოდა. ამ დღეს ხალხი ცდილობდა სურსათსანოვაგის მარაგი შეევსო, რადგან სავსე მთვარის მსგავსად ჭურჭელი სავსე იქნებათ. მოსახლეობა ყოველთვის ცდილობდა ყოველნაირი საქმე ახალმთვარეზე დაეწყო და სრულმთვარეობამდე მოესწრო. მათი რწმენით ახალმთვარეობაზე დაწყებული საქმე გაიზრდებოდა და სრული მთვარის მსგავსად სრულყოფილი იქნებოდა. როდესაც მთვარე „ცხრომას“ დაიწყებდა ხალხი ყოველგვარი სამეურნეო საქმის დაწყებას ერიდებოდა. სვანეთში ახალ მთვარეს „კარგ“ და „ბედნიერ“ მთვარედ თვლიდნენ, ხოლო ძველ მთვარეს (უკვე დამცხრალს განსაკუთრებით 18-25 დღის) „ცუდ“ ან „უბედურ“ მთვარედ. ამასთან დაკავშირებით, როგორც სამართლიანად შენიშნავს კ. ბარდაველიძე, „დუალისტური კონცეფცია „ბედნიერი“ ანუ „კარგი“ და „უბედური“ ან „ცუდი“ მთვარის შესახებ ამ მნათობის განახლებასთან, დალევასთან, სამოგადოდ მისი ფაზების ცვლასთან დაკავშირებით იყო შემუშავებული“ (6, გვ. 61). ადამიანთა აზრით, მთვარეზე, ან მისი ფაზების მონაცვლეობაზე დამოკიდებული იყო არა მარგო მოსავლისა და პირუტყვის სიმრავლე, არამედ თვით მათი სიკვდილ-სიცოცხლისა და დღეგრძელობის საკითხი. ქართულ ცნობიერებაში მთვარე ბეღთან ან უბედობასთან არის დაკავშირებული. ერთ-ერთ მეგრულ ლექსში ნათქვამია: „დამეა და ჩეგოლას“ (თეთრი მთა) ახალი მთვარე ანათებს, ჩემი მთვარე არ მთვარობს (ჩქიმი თუთა ვათუთენს)“ (33, გვ. 388). კ. ბარდაველიძის ცნობით, სვანეთში ქალს რომ ბავშვი დაებადებოდა ეტყოდნენ – „კარგი

მთვარისა იყავით” ან „შენი მთვარით გახარებულიყო შენი დედმამაო”, ხოლო მშობლებს – დაბადების გამჩენს „ბედნიერი მთვარისა გაეხადოს”. ახლად დაქორწინებულებს ბედნიერ მთვარებეგ შეყრას უსურვებდნენ. როდესაც ქალი კარგად გათხოვდებოდა მას ეტყოდნენ, „ბედნიერი მთვარისა ყოფილხარ”. ხოლო ცუდად გათხოვილ ქალს – „დახრაკული შენი მთვარე”. პატარძალს დაწყეველის შემთხვევაში ეტყოდნენ – „დამწვარ-დახრაკულ მთვარებეგ შემოგედგას ფეხი სამამამთილოში”. როცა ქალს შვილი მოუკვდებოდა, მოთქმის ღროს ამბობდა: „ჩემისთანა საბრალო მთვარისა ვინმე სხვა იქნება”? (6, იქვე). აღნიშნული საკითხიც მთვარის ფაზებს („კარგი” და „ცუდი” მთვარე) უკავშირდება.

როგორც ვნახეთ, ახალ მთვარეს ნამგალა მთვარეს უწოდებენ და შესაძლოა სწორედ მას გულისხმობს ს.ს. ორბელიანი, როდესაც მოჰყავს მთვარის არაბული შესატყვისი „ყამარ”⁸, რადგან სავსე მთვარეს არაბულად „ბადრი” ჰქვია. იგი ჩვენში მამაკაცის სახელად დამკვიდრდა და გადატანითი მნიშვნელობით „სრულქმნილს” ნიშნავს. ბადრი⁹ ერქვა ქართული მითოლოგის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის ამირანის ძმას. ს.ს. ორბელიანიც ბადრის მნიშვნელობას ხსნის აგრეთვე როგორც „გავსილი მთვარი, სავსე მთოვარი” (62, I, გვ. 50), რომლის სინონიმად ასახელებს აგრეთვე, „პირბადრის” (26, II, გვ. 624). როგორც, 8. ჭუმბურიძე წერს, „ყამარი” სხვა ეტიმოლოგით „ცის თაღს”, „კამარას” (ხურიგულად) ნიშნავს (40, გვ. 181) მართლაც, ამირანის ეპოსის მიხედვით:

⁸ ივ. ჯავახიშვილი კამარ-ყამარს (სვანურ ვერსიაში ქთუ) აფროდიტად მიიჩნევს. უფრო დაწვრილებით იხ.: (43, გვ. 196).

⁹ სვანურ ვერსიაში “უსიპს ბეჭებმუა-მმის მსგავსი ნიშანი აქვს და ბადრს მთვარის მსგავსი”-ო (43, გვ. 191).

„საყამაროსა კაბასა შვიდი დღე უნდა მზიანი,
შვიდ კვერცხლი საპონი, შვიდმეტი კოკა წყლიანი”

(41, III, გვ. 12).

გვ. ქართული ენის გარმარტებით ლექსიკონში კამარას სინონიმად დასახელებულია “თაღი” (2, გვ. 191), რომელიც ხუროთმოძღვრულ ლექსიკონში განმარტებულია, როგორც ორ საყრდენს შორის ამოყვანილ მრუდხაზოვანი გადახურვა (16, გვ. 16), ამრიგად, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ “კამარ-ყამარი” მრუდს-მოხრილს ნიმნაეს და ამ ფორმით ეს სახელწოდება ნამგალა მთვარის აღსანიშნავად იყენებოდა. მდიდარმა ხევსურულმა დიალექტმა იგივე ფორმიდან გამომდინარე ნახევარმთვარის ხატვანი სახელწოდები შემოგვინახა: “მთვარის ნალი და მთვარის ნავი” (39, გვ. 597). ახალ მთვარეს ხევსურები „მთვარისახალი”-ს სახელწოდებით მოიხსენიებდნენ, ან თვის იმ დროს უწოდებდნენ როდესაც ახალი მთვარე იყო. სრულ, ბაღრი მთვარეს კი „მთვარისბერი”-ს სახელწოდებით იხსენიებდნენ (დედა გენაცელა თამარო, მთვარისბერივით პირსაო) (39, იქვე). ანალოგიურია მეგრული “თუთარჩელა” რომელსაც სავსე მთვარეს ეძახდნენ (სქანი თუთარჩელა სახე-შენი ბაღრი სახე) (33, გვ. 74).

ამრიგად, სიტყვა „მანგ“ მანგლისის ტოპონიმის მთავარი განსამზღვრული ნაწილია (მანგ - მანგ[ა]ლ-ის-ი (შდრ. მანჯალის) - მანგლისი) და იგი მთვარის დვთაბების უძველეს სახელს წარმოადგენს. საქართველოში სწორედ მანგლისის ტოპონიმმა შემოგვინახა ამ ცდომილის პრეისტორიული სახელი, რომლის ბუნებრივ ფორმასთან პირდაპირ კავშირშია უძველესი შრომის იარაღი მანგალნამგალი. შესაძლებელია, მანგლისში მთვარის ერთ-ერთი ძლიერი სალოცავი იყო, საიდანაც მომდინარეობს ამ დასახლების სახელწოდება. იგი საერთო იყო არა მარტო ქართველთათვის, არამედ კავკასიის სხვა მცხოვრებთათ-



თვისაც. ამას თუნდაც ამტკიცებს ის ფაქტი, რომ, რესტაურაცია, ბეჭოთ გვქონდა აღნიშნული, ძველ სომხურ ენაში მანგალი იგივე ფორმით („მანგალი“) შემორჩა. სად უნდა მდგარიყო მანგლისში მთვარის ტაბარი? ამის შესახებ სწორ დასკვნამდე ისევ ისტორიული ფაქტების შეჯერება და განალიზება მიგვიყვანს. სომხური წყაროების „ეპისტოლეთა წიგნისა“ და უხტანესის „ისტორია განყოფისა ქართველთა სომეხთაგან“, მიხედვით „მანგლისისა და მცხეთის ჯერებში“ სალოცავად სომხებიც მიღიოდნენ. საბოლოოდ, საეკლესიო განხეთქილების შემდეგ, აბრაამ სომეხთა კათალიკოსმა თავის საყოველთაო ეპისტოლები აუკრძალა სომხებს იქ სალოცავად წასვლა (11, გვ. 121-122; 24, გვ. 203). ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ჯვრებთან დაკავშირებით სხვადასხვა ამრი გამოითქვა. პირველი ვინც მანგლისის ჯვარს ყურადღება მიაქცია ლ. მელლიქქეთ-ბეგი იყო. მას მიაჩნდა, რომ „მანგლისის ჯვარი“ არა ჯვრის სახელობის ეკლესიაა, არამედ მანგლისის პირდაპირ აღგთხ გაღმა მდგარი ქვის საკულტო ძეგლი ეწ. „მარიამჯვარი“, რომელიც ლია ცის ქვეშ იდგა. იგი გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებას იმოწმებს მცხეთის ჯვრის შესახებ, რომ ჯვარი ჯერ ლია ცის ქვეშ იდგა და შემდეგ ააშენს ეკლესია. მაგრამ ამ ამრს გ. ჩუბინაშვილი მხოლოდ მცხეთის ჯვარზე ავითარებდა და არა მანგლისის ჯვარზე (35). თავის მოსაზრების დასამტკიცებლად ლ. მელიქქეთ-ბეგი პარალელს აკლებდა მცხეთის ჯვართან, რომელიც ასევე აღმართული იყო არაგვს გაღმა მცხეთის პირდაპირ „ბორცვისჯვრის“ გორაზე (19, გვ. 71-75; 20, გვ. 112). ი.ბატონიშვილი მანგლისის გემოთ მართლაც მოიხსენიებს „ბორცვიჯვარს“ (ბორცვისჯვარი) (2, გვ. 47), რომელიც ბაგრატ IV-ის შიომღვიმისადმი 1057 წლის საბუთშიც ფიქსირდება (29, გვ. 35) მაგრამ ვფიქრობთ, ლ. მელიქქეთ-ბეგის მოსაზრება ნაკლებ მისაღები უნდა იყოს.

ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, „რომ სახელი „ჯერთი გემოაღნიშვნულ საყდრებს თვით ტაძრის გეგმის გამო მიაკუთვნეს და ყოველ შენობას არ ეწოდებოდა, იმითაც მტკიცდება, რომ მანგლისის გაძარი „ეკლესიად“ იწოდება. მაგრამ შემდეგ ბოგიერთ ეკლესიას ეს გეგმის დამახასიათებელი სახელი საკუთარ სახელად შერჩა (42, გვ. 77). ერთი სიტყვით, ივ. ჯავახიშვილის თქმით, „ჯვარი ეწოდებოდა ჯვრის გეგმაზე აგებულ ეკლესიას“ (42, იქვე). მართალია, მევლევარი სამართლიანად მიიჩნევს „ჯვარს“ ძველ ტერმინად, რომელიც სხვადასხვა სახით წარმართულ ეპოქაშიც თაყვანისცემის ობიექტი იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში არც ივ. ჯავახიშვილის მოსამრებაა მისაღები. ვფიქრობთ, ჭეშმარიტებასთან ყველაზე ახლოს გჩუბინაშვილის მოსაზრება დგას, რომლის მიხედვით, „მანგლისის ეკლესია უძღვნეს ცხოველმყოფელ ჯვარს და მისი ამაღლების-აღმოჩენის ხსოვნას, საიდანაც გვგონია წარმოდგა მისი სახელი „მანგლისის ჯვარი“ (36, გვ. 24).

გემოთ ვნახეთ, რომ ითანე ეპისკოპოსმა წმ. ნაწილები, სადაც საჭიროდ ჩათვალა, იმ ადგილებში დატოვა, რომელთა შორის იყო მანგლისი. ქრისტიანულ სიწმინდეს განსაკუთრებით ძლიერ და ცნობილ წარმართულ სალოცავს უპირისპირებდნენ. ერთ-ერთი ასეთი უნდა ყოფილიყო მანგლისი, რომლის რელიგიურ ცენტრად ყოფნას მისი ხელსაყრელი ადგილმდებარეობა უწყობდა ხელს. მანგლისს განსაკუთრებული მნიშვნელობა რომ ექცეოდა ქრისტიანულ ეპოქაში, ამას მიუთითებს აქ ძველი ეკლესიის მშენებლობა, ოდნავ გვიან კი იგი საეპისკოპოსოს ცენტრად აქციეს. „ფერხის ფიცრის“ დატოვება და ეკლესიის აშენება უპირველეს ყოვლისა მიმართული იქნებოდა ძველი წარმართული კულტის ფუნქციის დასაკარგავად, მისი დავიწყებისა და აღმოფხერისათვის. ერთი ხელის მოსმით ამის გაკეთება რთული იქნებოდა, რაც მრავალ წინააღმდეგობას გამოიწვევდა. ქრისტიანული სიწ-

მინდით კი, რომელიც გარკვეულ მაღლს მატებდა **ჭხატული** ქრისტიანულ სამლოცველოს, ეს უფრო ადვილი იქნებოდა, რადგან ხალხი იდეოლოგიურადაც ეჩვეოდა ახალ სარწმუნოებას. თუმცა, საქართველოს მრავალ მხარეში უკვე ტრადიციაში გადასულმა ძველმა ჩვეულებამ, ბევრისთვის გაუთვითცნობიერებელმა, თითქმის დღევანდელ დღემდე შეინარჩუნა თავი. იმ წარმართული ღვთაების სალოცავი თუ ტაძარი, რომელსაც დაუპირისპირეს „უფლის ფერხის“ ფიცარი მანგლისში მთვარის ტაძარი უნდა ყოფილიყო. პირდაპირ მინიშნება წყაროებში, მართალია არ გვაქვს, მაგრამ ეს ვარაუდი ახლოს უნდა იყოს სწორ აზრთან. „ფერხის ფიცარი,” იმ ადგილას უნდა დაესვენებინათ, სადაც მანგლისის მთვარის ტაძარი უნდა მდგარიყო, შემდეგ კი მასზე ეკლესიის აშენებით საბოლოოდ წერილი დაესვა წარმართული კულტის თაყვანისცემას, რაც საწინდარი იყო ახალი სარწმუნოების გამარჯვებისა. ერთი სიგყვით, მანგლისის მთვარის ტაძარი იმ ადგილას უნდა ყოფილიყო, სადაც შემდეგ მანგლისის ჯერის სახელობის ეკლესია აშენდა. ამიტომ, როდესაც საუბარია „მანგლისის ჯვარზე”, აქ იგულისხმება არა „მარიამჯვარი”, ან ჯერის ფორმის ტაძარი, არამედ ის ცხოველმყოფელი ჯვარი, რომლის სახელსაც დაუკავშირდა მანგლისი და მისი ტაძარი. ამასთან დაკავშირებით ჩვენ აბსოლუტურად ვეთანხმებით მ. ღვალის მოსაბრებას (12, გვ. 34). აქვე უნდა დავსძინოთ, რომ „მანგლისის ჯვარზე“ სალოცავად კავკასიის მცხოვრებთა წასვლა მარტო ქრისტიანული ეპოქის შედეგი არ უნდა ყოფილიყო, არამედ მას წინარე ქრისტიანულ პერიოდში უნდა ჩაყროდა საფუძველი, როდესაც ხალხი მთვარის ღვთაების თაყვანისცემისათვის ივლიდა იქ. ქრისტიანულ ეპოქაში წარმართულ კულტს წმიდა ჯვრის ნაწილები ჩაენაცვლა.

ძველქართულად მთვარეს „მანგ“ ძირით რომ აღნიშნავდნენ, ამას ქართლის დიალექტში არსებული სიგ-

ყვა „მთვარელა” ამტკიცებს – „მთვარელა - ცხვარის წოდება, მეღსაც შებლებე სხვაფერის ნიშანი აქვს” (30, გვ. 361-362). ამ სიტყვის ანალოგიური უნდა იყოს სახელწოდება „შებლმთვარიანი” (ლექსი ჩაწერილი ეკ. გაბაშვილის მიერ ქართლში 1887 წელს, 41, V, გვ. 361-362). ხევსურულ დიალექტში მთვარია ძროხის საქუთარი სახელია (39. გვ. 596). „მთვარელას” პარალელურ სიტყვად უნდა მიეიჩნიოთ „მანგე” – დედა ცხვარი”, რომელიც მთიულურ (გუდამაყრულ) დიალექტში გამოიყენება (30, გვ. 343), ასევე სვანურში „მანგი”-ით მსხეილფეხა საქონელს აღნიშნავდნენ (15ა, გვ. 556). საინტერესოა ისიც რომ, „მანგია” კაცის საკუთარი სახელია ხევსურეთში. „მანგს” მთვარის სინონიმად იყენებს, აგრეთვე, შ. რუსთაველი, როდესაც თინათინს ახასიათებს: „ტანი ალვა, პირი მანგი” (22, გვ. 45), ანუ მთვარის შსგავსი, მთვარისებრი. ნესტან-დარეჯანს კი პირდაპირ მთვარედ მოიხსენიებს: „მთვარისა მსგავსი, შვენებით მზისაგან ვერ შეფრთბილი” (22, გვ. 102), ანუ მთვარის შსგავსი, რომელსაც მზეც კი ვერ შეედრება. ყოველივე ეს უფრო სარწმუნოს ხდის ზემო აღნიშნულ მოსამრებას.

მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიაში მთვარე ბოგან ქალია და ბოგან მამაკაცი. ქართულ მითოლოგიაში იგი მამაკაცური საწყისია, რომელსაც ქრისტიანულ ეპოქაში წმ. გიორგი ჩაენეცვლა, თუმცა ს.ს. ორბელიანი „ყამარმთვარეს” ქალის სახედ ასახელებს. იგი აღბათ ბერძნული მითოლოგის მონაცემებს ითვალისწინებს, სადაც მთვარის ღვთაება სელენე ქალღმერთია. მისი ატრიბუტია მთვარის ნამგალი. ლუკრიტი დაცულ სამსხვერპლობე სელენეს თავ-მკერდი ნახევარმთვარის ნამგალზეა გამოსახული (10, გვ. 444). ბერძენთა რწმენით, სელენეს ეტლში ხარებია შებმული, „რომელთა რქები ნამგალა მთვარის სიმბოლური გამოსახულებაა” (21, გვ. 272; 44, გვ. 71). სელენეს ბოგჯერ „მენსაც” უწოდებენ (21, იქვე), რომელიც

ურიგიელთა მთვარის ღვთაების („მენი-მენე“) სახელმცავია არის. მითოლოგიურ ლექსიკონში იგი განმარტებულია როგორც „მთვარის ღვთაება, ნაყოფიერებისა და მცენარეების ღმერთი, სიკვდილის მბრძანებელი ... ატრიბუტები ნახევარმთვარე (მხარჩე გადაკიდებული) და გამომცხვარი პური (თავზე ედო).“ (10 გვ. 309; 21, გვ. 197). ბერძნულ მითოლოგიაში მთვარის ქალღმერთის სახედ გაიგივებულია, აგრეთვე, არტემიდე¹⁰ და პეკატე¹¹. მათი გაიგივება

¹⁰ არტემიდე გარდა ნაღირობისა, ნაყოფიერებისა და შვილიერების მფარველადაც ითვლებიდა. მას თაყვანს სცემდნენ გასათხოვარი და უეხმძიმე ქალები. ამ უანასკნელთ შესაწირავიც მიპქონდათ. უძღვიდნენ თმის კულულს და სამოსის ნაწილს. მას როგორც მთვარის ღმერთს, ზოგჯერ გამოსახავდნენ თავზე ნახევარმთვარით და ჩირაღლით ხელში (17, გვ. 6). აკ. გვლოვანი თვლის, რომ არტემიდეს მთვარის კულტთან გაიგივება შესაძლოა, უფრო გვიანდელი კერძია იყოს, რადგან მისი ტყუპისცალი აპოლონი მზის ღმერთადაც აღიარეს (10, გვ. 76). ბერძნებმა არტემიდესთან ადრევე გააიგივეს ურიგიელთა მთვარის ქალღმერთი „ბენდიდა“ (10, გვ. 103; 21, გვ. 61).

¹¹ ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, პეკატეს სამთავიან გამოსახულებებს ჩირაღლით ხელში გზაჯვარედინებჩე დგამდნენ. მის ქანდაკებებს სახლებშიც ინახავდნენ. პეკატეს კულტთან გამართულ რიგუალებში მხოლოდ ქალები მონაწილეობდნენ. მაგ.: მათ გზაჯვარედინებჩე მიპქონდათ ნაგავი, სანამ მთვარე გამოჩნდებოდა და შემდეგ უკანმოუხედავად შინ ბრუნდებოდნენ. ხალხის რწმენით პეკატე თითქოს ამ ნაგვით ვახშმობდა და მასში ბოროტი ძალების მაგიურ ძალებსაც ჭამდა, რითც ოჯახს კეთილდღეობას მოუგანდა. როდესაც 16-ე დღეს მთვარე ცხრომას, ანუ კლებას დაიწყებდა, ქალები პეკატეს გზაჯვარედინებჩე გამომცხვარ კევრებს მიართებდნენ ანთებული სანთლით, რაც სიმბოლური გამოხატულება იყო მთვარის სინათლის შენარჩუნებისა (17, გვ. 5-6). პეკატეს სამი თავით გამოსახვა მთვარის ფაზების გამოხატვა იყო. პეკატეს კულტთან, რომელიც თითქოს დაკავშირებული იყო მთვარესთან, ჩატარებული რიგუალების ღროს მხოლოდ ქალების მონაწილეობა შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო, რადგან „მორეულ წარსულში მთელ რიგ ხალხებს ისიც სჯეროდათ, რომ მთვარე მართავდა ქალის სიცოცხლეს, რამეთუ ქალთა უმრავლესობის ორგანიზმში ყო-

მთვარის კულტთან, ალბათ განპირობებული იყო ზმრთა, რომ ორივე ქალღმერთი ფეხმიმე და მშობიარე ქალებს მფარველობდა და ეხმარებოდა, ხელს უწყობდნენ გამრავლებას, ნაყოფიერებას, მცენარეებისა და პირუტყვის ზრდას. ყოველივე ეს მთვარის ღვთაების ფუნქციებში შედიოდა. არტემიდეს ატრიბუტებიდან ჩვენთვის საინტერესოა ისარ-კაპარჭი. ჰეკატე, გარდა ნაყოფიერებისა და მშობიარეთა მფარველობისა, მიწის წიაღის, ქვესკნელის და სიბრძნის ქალღმერთია. იგი მისანთა და გრძნეულთა მფარველიც არის, რომლებიც მთვარის, შუქჩე ბალახ-ბულახებისაგან ათასგარ წამლებს ამზადებდნენ და შელოცვებს ამბობდნენ. ა. გელოვანი ჰეკატეს ქურუმად კოლხ მედეას მიიჩნევს (10, გვ. 579-580; 21, გვ. 319). აქ მოყვანილ ქალღმერთთა ფუნქციები ძველ ხალხთა წარმართული ცნობიერებით მთვარის ღვთაებას მიეწერება. არ არის გამორიცხული, რომ „ყამარი,” რომელიც არაბულად მთვარეს ნიშნავს, ასევე მიუთითებდეს ამ ღვთაების ქალურ საწყისს. ამირანის ეპოსის მიხედვით ყამარი კოშკი ბის, რომელიც ცაშია აზიდული. ყამარს დედ-მამა ცაში ჰყავდა. როდესაც ამირანმა ყამარი თან წაიყვანა, მას მამამისის ჯარი დაედევნა. მიუხედავად იმისა, რომ ცაშე საავდრო ნიშნები არ ჩანდა, „ცოტა გზა რომ გაიარეს, საშინელი ქარი ამოვარდა, გრიგალი აგყდა, კარგა გზა რომ გაიარეს და დაუშვა წვიმამაც (41, III, გვ. 19-20). ყამარს ამირანისთვის განუმარტავს: „—ეგ ქარი მამაჩემის ლაშქრის ფეხის მტვერიაო ... — ეს წვიმა კიდევ დედაჩე-

ველ 28 ღღეში ერთხელ ხდება უიზიოლოგიურ-ბიოლოგიური ცვლილებები, ხოლო ფეხმიმობიდან მშობიარობამდე, ნორმალური ფეხმიმობის შემთხვევაში, გადის 10 მთვარის 28-ღღიანი თვე (28N10=280 ღღე)“ (13, გვ. 5). ამიგომაც იყო ჰეკატე მიჩნეული ნაყოფიერებისა და მშობიარეთა მფარველ ღვთაებად. ჰეკატეს ორუელად ითვლებოდა, აგრეთვე, ფრიგიელთა მთვარის ღვთაება „ბენდიდი“ (10, გვ. 103; 21, გვ. 61).

მის ცრემლია” (41, იქვე, გვ. 20). ბუნების ამ მოვლენების განსაზღვრა სწორედ მზისა და მთვარის მოძრაობის ციკლს შეეძლო. ატმოსფერული მოვლენების წარმოშობას ს.ს. ორბელიანი, როგორც ვნახეთ, მთვარისა და დანარჩენი 6 ცდომილის ურთიერთგანლაგებას უკავშირებს (იხ. გემოთ). მთვარის მოძრაობაზე კი გავლენას ახდენს მზისა და პლანეტების მიზიდულობა (32, ტ.VI, გვ.666). გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყამარი თვისაუფლად შეიძლება მიუიჩნიოთ მთვარის ცდომილად, რომელიც ცასთან არის დაკავშირებული. ამირანის ეპოსში კარგად ჩანს, რომ ყამარი ბერძენთა პერიტესათვის დამახასიათებელ საიდუმლოებებსაც ფლობს სიკვდილ-სიცოცხლესთან დაკავშირებით. მაგ.: როდესაც იგი ასწავლის თუ როგორ უნდა მოკლას ამირანმა მამამისი, ასევე როდესაც იგი გააცოცხლებს მკვდარ ამირანს რაღაც ბალახით (41, III, გვ. 23-24).

მთვარე მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიაში სხვადასხვა სახელით მოიხსენიება. ბერძნულ მითოლოგიაში მას სელენე პერია (ქალი), რომაულში ლუნა (ქალი). ფრიგიულში მენი/მენე (მამაკაცი), ეგვიპტურში თოთი/თოტი (მამაკაცი), შემერულში ნანა/ნანარი/ზუენა (მამაკაცი), აქადურში სინი/სუენი (მამაკაცი), მეგრულად მთვარეს თუთა პერია (მამაკაცი), სვანურად დომდულ (მამაკაცი). არაბულად ყამარ (ალბათ იგებულისხმება ნახევარმთვარე) და ბადრი (სავსე მთვარე). ძველ ქართულად მანგ (მრუდი, ნამგალა მთვარე) და კიდევ ერთი სახელი, რომელსაც ქვემოთ შევეხებით.

მანგლისის პირდაპირ მნიშვნელოვანია ე.წ. “საკრისის” მთის ტოპონიმი, სადაც მდებარეობს უძველესი საკულტო ძეგლი “მარიამჯვარი,” რუსების მიერ „Каменная невестка“-დ წოდებული, ანუ “ქვათა რძალი.” ამ მთას მან-

გლისელი რესები „Желтая гора”-ს უწოდებდნენ. ლ. შელიქშვილის აზრით, აღნიშნულ მთას ვახუშტი ლაკვის მთას უწოდებს (ზოგჯერ მოიხსენიებს ლაკვის მც. მთა, ლაკვის გორა 4, გვ. 318, 325), საიდანაც გამოდის ალგეთის ერთ-ერთი შენაკადი ლაკვის წყალი. ლ. მელიქშვილის საკრისს საკრივისის გამარტივებულ ფორმად მიიჩნევს, საკრისი-საკრივისი, კრივის, ანუ ჭიდაობის ადგილს უნდა ნიშნავდეს. ეს ადგილი ამირანის ეპოსს უნდა დაკუპაშიროთ, რომლის მიხედვით, როდესაც ამირანი და დევი ერთმანეთს შეებრძოლნენ:

“ამირანმა დევი დასცა, ადგილი შეხვდა ქვიანი,
დასცა და მხარი მოსტეხა დააწყებინა ღრიალი”

(41, III გვ. 12).

ამ ორთაბრძოლის შესახებ ადგილობრივ მოსახლეობაშიც თქმულება ყოფილა გაერცელებული, რომლის მიხედვით, საკრისის მთის ძირში ისინი ერთმანეთს შერკინებიან. ამირანს დევი ამ მთის იქით გადაუსვრია (20, გვ. 13).

ამირანის მოგზაურობას მართლაც რომ ადგილი ჰქონდა აღგეთის ხეობაში ამას ეპოსში დაცული შემდეგი ფრაგმები მიუთითებს:

“სანადიროდ წამოვიდნენ ამირან და ძმანი მისნი,
გადიარეს ცხრანი მთანი მეათენი აღგეთისნი,
მინდორს კვალი მიაკვლიეს დანაჭლიერი ეშმაკისნი,
მთას ირემი წამოუხგათ ოქრო იყო რქანი მისნი
უცხო მთაზე კოშკი ნახეს, ანაგები ბროლის ქვისი
მაუარეს გარემურგვალთ, ვერ იპოვეს კარი მისი”

(41, III, გვ. 11).

ან კიდევ: როდესაც ყამარის მამის ლაშქართან შერკინების შემდეგ ამირანმა, ძმების სიკვდილით დაღონებულმა თავი მოიკლა:

„ცხრათა ფრინველთა მხარგრძელთა აღგეთის ჭალა
გაექნა,

უძმოსა, უმამიძმოსა ამირანს თავი მაეკლა”

(41, III, გვ. 23).

„ალგეთის მთა” ამირანის ეპოსის რაჭულ ვერსიაშიც
არის მოხსენიებული (41, III, გვ. 40)

აქ აღნიშნულ ბროლის ქვით ნაგებ ციხეში, რომელ-
საც კარი ვერ უპოვეს, გოხნარის, ან მანგლისის მიდამო-
ებში არსებული ლოდოვანთა ციკლოპერი ნაგებობანი
იგულისხმება, რომლის შემქმნელი მოსახლეობა თაყვანს
სცემდა მნათობებს, კერძოდ მთვარის კულტს და მასთან
დაკავშირებულ ღვთაებებს (იხ. მარიამჯვარი).

ამირანისა და დევის შერკინება, აგრეთვე ტოპონიმ
საკრისის, ანუ საკრივეს არსებობა, მაშინვე გვაგონებს
მეგრულ თქმულებას ალერგის ხაგბე, რომელსაც დევი
მოუკლავს ორკინეს (შესარკინებლი ადგილი გამოქვა-
ბულთან). მითის მიხედვით ზუგდიდის რაიონის სოფლების
ოდიშის, კორცხელისა და ნაცატუს გვერდით მთაგორიან
ადგილზე ერთი გამოქვაბული ყოფილა, რომელსაც ორკი-
ნეს უწოდებდნენ, სადაც მეგრელთა წინაპები ცხოვრობ-
დნენ. გადმოცემის მიხედვით: „ოდესლაც გამოქვაბულს
ურწმუნო კაციჭამია დევი დაცა, ამოწყვიგა შიგ მცხოვ-
რებნი და თვითონ დაეპატრონა. დევი ღამდამობთ გამო-
დიოდა და ქოხმახებში შემორჩენილ ადამიანებს მუსრს
ავლებდა.

დევისგან შეძრწუნებულმა ხალხმა თხოვნით მიმარ-
თა მზე ღმერთს, მოეკლა და განედევნა გამოქვაბულიდან
ეს ურწმუნო დევი. მზე ღმერთმა ასე უპასუხა მთხოვნე-
ლებს: – მე ღდისა და სინათლის ღმერთი ვარ, ბნელი გა-
მოქვაბულის უფსკრულმი ძალა არა მაქვს – იქ ვერ შე-
ვალო!. სამაგიეროდ მზე ღმერთმა ასწავლა: წასულიყვნენ
შორეულ ქვეყანაში, სადაც ცხოვრობდა უფსკრულ-ბნე-
ლეთის ღმერთი ალარგი, ჩემი სახელით მიდით და იგი
გამოგაყოლებთ ალარგის ხატს, რომელიც დაამარცხებს
თქვენს მაწიოკებელ დევს. ალარგის ღვთაებას მოციქუ-

ლები გაუგზავნეს. ალარგმა მათ მისცა თავისი ხატი. შეუკუთხებები რელებმა მას ალარგის ხატი უწოდეს.

დევის გამოქვაბულის პირდაპირ მეორე გორაკის ფერდობზე ააშენეს საღრმოთ სახლი და იქ დაასვენეს ალარგის ხატი. უჩვენეს გამოქვაბულის კარი საიდანაც დამ-დამობით დევი გამოდიოდა.

ხატი დევის გამოსვლას დაელოდა. იგი დამეში ყველაფერს კარგად ხედავდა. გამოვიდოდა თუ არა დევი გამოქვაბულიდან, ალარგის ხატი კისერზე დაახტებოდა და მათ შორის საშინელი შერევინება იწყებოდა, ღროთა განმავლობაში ხატმა მოქანცა დევი, ავად გახდა და მოკვდა. ამის შემდეგ ხალხმა ისევ დაიწყო ორკინეში ცხოვრება” (33, გვ.116).

ამირანის ეპოსსა და ამ გადმოცემას შორის მაშინვე თვალში საცემია ამირანისა და ხატის ორთაბრძოლა კაციჭამია (ქრისტიანთა) ურწმუნო დევთან, როგორც ბოროტებისა და ბნელი ძალების სიმბოლოსთან. დევი ორივე შემთხვევაში კვდება, ამირანი და ალერგის ხატი იმარჯვებენ, ასევე შინაარსობრივად იღენტურია ტოპონიმები: საკრისი-საკრივე-შესარკინებული და ორკინე. შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს ერთი და იგივე სიუჟეტის მეგრულ და ფშავ-ხევსურულ) ვერსიასთან, რომელიც გოგადად საერთოა ქართული ცნობიერებისათვის.

მეგრული ვერსიის მიხედვით, ალარგ-ალერგი უფ-სკრულ-ბნელეთის ღმერთად არის მოხსენიებული. არსებობს აგრეთვე გადმოცემა ალერგის წმინდა გიორგიზე, რომელსაც უკავშირდება ხარის კულტი (33, გვ.412; 31, გვ. 109-110). მეგრული გადმოცემები მოგვითხრობენ აგრეთვე ილორის წმ. გიორგის მიერ თურქეთიდან თეთრი ნასუქი სამსხვერპლო ხარის ჩამოყვანის შესახებ (33, გვ. 407, 410, 411) (შდრ. მთვარის სამსხვერპლო ცხოველი). ალერგის წმინდა გიორგის საღოცები სამეგრელოში სამი ყოფილა: ბუგდიდიდან 7 კმ-ზე მდებარე ალერგიარში, მარტვილის

რაიონის სოფელ ალერტში და წალენჯიხის რნ-ის სოფელებარჩილებში ალერტ-ხარჩილის სახელწოდებით (38, გვ. 111). ალერტის წმინდა გიორგი დაკავშირებული იყო ილორისა და უკლის წმინდა გიორგის სალოცავებთან, გადმოცემის მიხედვით ისინი ძმებად ითვლებოდნენ, დღესასწაული 10 ნოემბერს იმართებოდა. დ. ჭითანავას თქმით, მთხოობელები „ალერტ“-ს „ყულის ალერტი“-სა და „ილორის ალერტ“-ის ფორმითაც იხსენიებენ (38, იქვე). აღნიშნული მიუთითებს, რომ „ალერტი“ კონკრეტულად ერთი კულტის სახელია, რომელიც ყულისა და ილორის სალოცავებისთვისაც საერთო იყო. ამ აზრს ამყარებს სამივე სალოცავის წმინდა გიორგის სახელობაც. დ. ჭითანავა, „ალერტ“-ს თეონიმური წარმოშობის სიტყვად მიიჩნევს და მის ეტიმოლოგიურ ახსნას შემდეგნაირად წარმოგვიდგენს: „თუ ალერტ-ში „ალ“ კომპოზიტს ცალკე გამოვყოფ ქართული „ალი-“ს მნიშვნელობით, რომელსაც განათების, ანუ სიკამაჟამის ასლციასთან მივყავართ, ხოლო, „ერტ“-ს ეტლის-ვარსკვლავის, ანუ პლანეტის მნიშვნელობით, მაშინ მივიღებთ კაშკაშა მანათობელ ვარსკვლავს, რომელ ფაქტსაც ამ თეონიმის სახით მნათობთა თაყვანისცემასთან, მნათობ ღვთაებასთან მივყავართ ... მისი გაიგიება მითრას, როგორც სინათლის ღვთაებასთან დასაშვებად მივგაჩნია, რომელიც ამ ციურ ეტლთა, ანუ მჩის, მთვარისა და ვარსკვლავების დახმარებით ბოროტ ძალებს ებრძვის“ (38, გვ. 119).

მიუხედავდ ზემოაღნიშნული საინტერესო მოსაზრებისა, თავის არგუმენტის დაკონკრეტებაში დ. ჭითანავას მეტად დაეხმარებოდა ერთი ძეველი ქართული სიტყვა „ალა“, რომელსაც ს.ს. ორბელიანი „მთოვარის პირის ლიბრი“-თ განმარტავს (26, I, გვ. 44). უფრო ბუსტად „ალა ეწოდების მთოვარესა, რომელი აჩნია პირთა“ (26, I, გვ. 45). ლიბრს ჩვენი სახელოვანი მეცნიერი განმარტავს, როგორც ჩალურჯებულს, მოღურჯოს (26, I, გვ. 414, 500),

ან ლურჯ-იისფერს (26, II, გვ.15). ერთი სიტყვით „მთვარების ვარისა პირის ლიბრში” შეგვიძლია მთვარებები ჩრდილები ვიგულისხმოთ, ან „მთვარესა, რომელი აჩნია”, მთვარის ლაქები გვეფიქრა. მართლაც ნებისმიერ ადამიანს შეუიძრაღებელი თვალით შეუძლია მთვარებები მოლურჯო-მონაცრისფრო ლაქები დაინახოს. საინტერესოა აგრეთვე, „ალას” მეორე განმარტება, რომელიც დაკავშირებული უნდა იყოს მის პირველ მნიშვნელობასთან. ს.ს. ორბელიანის განმარტებით, იგი „სიგრძებედ ამართულს “ ნიშნავს, უფრო ბუსტად: „ცხოველი რა აღემართოს და ფერხი აღმართ იქნას, ყირად ვიტყვით, ხოლო უსულოსა რა აღემართოს, ანუ კაცმან აღმართოს ალას აღმართვად ვიტყვით ” (26, II, გვ. 267). ალას აღმართვა რაიმე ძეგლის ან კერპის დადგმად უნდა გავიგოთ, ან კიდევ რაიმე სვეტის (ქვა, ხე, ნიში), რომელიც დაკავშირებული იქნებოდა მთვარის ღვთაებასთან. „ალა” ალბათ, სავსე (ან ნახევრად სავსე) მთვარის აღსანიშნავად გამოიყენებოდა, რომელსაც ლაქები ემჩნევა და დამე განსაკუთრებით ანათებს.

მთვარის ნათელით განათებულ დამეს, ან „მთვარიანს დამეს” ს.ს. ორბელიანი „კაკაჩს” უწოდებს (26, I, გვ. 347). 6. ჩუბინაშვილი მას ხსნის, როგორც „კაქშკაშს მთვარისა”. ეს სიტყვა მეგრულ-ჭანურ ლექსიკაშიც გვხვდება. მეგრულში დღვასაც ცოცხლობს გამოთქმა: „კაკაჩია სერი” – „მთვარის ნათელით გაჩახჩახებული დამე” (33, გვ. 618). არსებობს გვარი კაკაჩიაც (33, იქვე). იგივე ფორმა „კაკაჩ” შემორჩენილი გვაქვს ინგილოურ დიალექტშიც, სადაც იგი ნიშნავს – „დამე მთვარით ნათელი” (30, გვ. 266). ეს სიტყვა, მართლაც დაკავშირებული უნდა იყოს კაშკაშთან. მაგ.: მესხურ დიალექტში არის გამოთქმა – „მთვარეს კაკაჩი გაუდიოდა” (30, იქვე). ზემოთ ვნახეთ, რომ სავსე მთვარის აღსანიშნავად მეგრულში არსებობს, აგრეთვე „თუთარჩელა”, ხევსურულში კი „მთვარისბერი”.

სავსე მთვარისადმი მიძღვნილი დღესასწაულები წაქართველოში ბევრგან გარდებოდა. უფრო მეტიც, ხალხი უქმობდა მთვარის თითქმის ყველა ფაზის ორშაბათს. ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია რა სტრაბონის მიერ აღწერილი აღბანეთ-იბერიის საბღვარზე მთვარის ტაძარში ჩატარებულ რიტუალთან აწყურის თეთრი გიორგის დღესასწაულის მსგავსებას, დაასკვნა, რომ „მთველი ეს თეთრი-გიორგის ხატობის ჩვეულება ... მთვარის ძველი, წარმართობის დროინდელი დღესასწაულის ნაშთია“ (43, გვ. 93). მკვლევარს საკმაოდ მყარი არგუმენტები მოჰყავს და ძნელია არ დავეთანხმოთ, რომ აწყურის თეთრი გიორგობა, რომელიც 14/VIII საღამოს იწყება და მთველი დამე გასტანს, მამინვე არ გვახსენებდეს სრული მთვარის დადგომის ფაზას, რომელიც თვის 14-ე-15-ე დღეს ემთხვევა. ასეთი მთვარე საღამოს ამოდის მზის ჩასელასთან ერთად და დილით ჩადის მზის ამოსვლასთან ერთად. სრული მთვარე განსაკუთრებული სიკაშაშით ანათებს დამე და, როგორც ბემოთ ვნახეთ, უმდიღრესმა ქართულმა ენამ მისი აღმნიშვნელი მრავალი სახელწიდება შემოგვინახა. შემთხვევითი არ უდა იყოს თეთრი ფერი, რომელიც სრული მთვარის დისკოს გარშემო დამახასიათებელია. მაგ.: სავსე მთვარის აღმნიშვნელი „თუთარჩელა“ სიტყვა-სიტყვით, მეგრულად „მთვარე თეთრს“ ნიშნავს. აწყურის თეთრი გიორგის ე.წ. „მონა ქალებიც“ თეთრ განისამოსმი არიან გამოწყობილნი.

14-15/VIII წმ. გიორგის დღესასწაული რამოდენიმე კვირის განმავლობაში იმართებოდა გერის წმ. გიორგის ეკლესიაში. მას თავი გერისთაობა ერქვა, მეორეს დიდს ან შუა გერისთაობას, მესამეს ბოლო გერისთაობას ეძახდნენ (1, გვ.110). საინტერესოა ის ფაქტი, რომ „სწორი 21-22 აგვისტოს არის ხოლმე, მეორე სწორი კიდევ ერთი კვირის შემდეგ ... ვისაც აღთქმული აქვს თეთრები აცვია“ (43, გვ. 94). ისინი ეკლესიას სწორავდნენ ცვილის აღამია-

ნის ფიგურას, რომელსაც თეთრები ეცვა (შდრ. მთვარის ქალღმერთის სელენეს ტანისამოსის თეთრი ფერი). III კვირას „გერის ბოლოს” მღლოცველები მიღიოდნენ სოფ. არბოში, სადაც იგივე წესები სრულდებოდა (1, გვ. 111). ვუიქრობთ, თქმაც არ სჭირდება იმას, რომ დღესასწაულის უქმობა აქ მთვარის ფაზებთან არის დაკავშირებული. უფრო ბუსტად, ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „15-ს იმიტომ არის, რომ მთვარე ამ დროს სრულია, ხოლო სწორბე მთვარე მესამე მეოთხედში, ხოლო სწორის სწორბე მეოთხე მეოთხედში, ანუ მცხრალი იქნება იგი; ერთი სიტყვით სწორის უქმობა მთვარის მეოთხედებზე არის დამყარებული” (35, გვ. 94-95).¹²

¹² 15/VIII-ს გამართული გიორგობისა და სხვა დღესასწაულებიდან კიდევ აღსანიშნავია: „ბლურღობა” – განხრდვეულის (აღდგომიდან IV) კვირის ორშაბათს კახეთში, ხოლო ქართლში სამარიგელის (აღდგომიდან V) კვირის ორშაბათს; „ოქროეპრიანობა” – დუშეთის რნ-ში, „რკონისობა” და „სოლოდაშენობა” – ქართლში; „ხხოერის გიორგობა” – რაჭაში, მარიამობის შემდეგ ორ მომდევნო კვირას (25, გვ. 115-116). ზოგიერთ მხარეში გიორგობა იმართებოდა რომელიმე დღესასწაულის ორშაბათ დღეს. მაგ: „ლომისობა” და „ჯვარპატიოსნება” – სულიწმიდის მოფენის შემდეგ ორშაბათს ქართლში; „ლავრობა” – აღდგომის ორშაბათს ქართლში; „ტბეთობა” – ოქტომბრის ბოლო ორშაბათს გემო იმერეთში; „კვირგობა” – ამაღლების შემდეგ ორშაბათს ლეჩხუმში (25, გვ. 116-118). „დიღგორობა” – 7 მაისს დიღმის ბემოთ (საინტერესოა, რომ 7 მაისს ქართლში იმართებოდა „ჯვარპატიოსნებაც”. 7 მაისი ქართულ ფოლელორში ბეკიურ ნამს უკავშირდება. 7 მაისის ღამეს ჩამონადენ ნამს ქალები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მის ხაპატიულებულოდ „შერხულს აბამდნენ და მღეროდნენ: „შეიდი მაისის ნამი თავშე დამედინა, შეიდ-შეიდი ნაწნავი ბურგბე დაბეჭიმა” (14, გვ. 50-51). ყიფრი 7 მაისის გვაგონებს იმ შეიდ ყდომილს, რომელიც ფიგურისტებს ქართულ ახტოლოგიაში და მათ უკავშირებდნენ ახტონომიულ მოვლენებს (26, II, გვ. 335). როგორც ჩანს, ეს რიგუალიც მნათობთა თაყვანისცემასთან იყო დაკავშირებული), ხოლო 15/VIII-ს შემდეგ პირველ კვირას ქვათახევის მონასტრის გემო მთავა; „ვარდობა” – მაისის თვეში ქიბიყში,

თითქმის ანალოგოურია „ნაციხერობის” დღესასწაული რაჭაში. იგი იმართება სოფ. სორში. „ნაციხერობა ნააღმდეგის, მეოთხე კვირას, ორშაბათობით არის ხოლმე და სამი კვირის განმავლობაში ყოველ ორშაბათობით „ნაციხერობას” უქმობენ. ამგარად, თავი ნაციხერობის გარდა, კიდევ სამი სწორი იცის ... ნაციხერობა სოფ. სორის „ვაჟების ბედზეა” დაწესებულით” (43, გვ. 95). ნაციხერობასაც თეთრი-გიორგის მსგავსად დამით აღნიშნავდნენ. თავი ნაციხერობა და დანარჩენი სამი სწორი კვირა საღამოს იწყებოდა და ორშაბათობით (მთვარის დღეს) გრძელდებოდა „იმიტომ, რომ მთვარის მსახურება და თაყვანისცემა მხოლოდ დამით შეიძლებოდა. სამი სწორისა და თავი ნაციხერობის უქმობის ჩვეულებაც აგრეთვე მთვარის მეოთხედის თაყვანისცემაზეა დამყარებული” (43, იქვე). აქედან თავი ნაციხერობა ახალმთვარეობას აღნიშნავდა, დანარჩენი სამი კი მის მომდევნოფაზებს.

ახალმთვარეობისა და სრულმთვარეობის აღნიშვნა ქართულ ყოფიერებაში ძლიერდ მკაფიოდაა გამოხატველი, რაც თაყვანისცემის გამოხატველება იყო, მთვარის ბუნებიდან გამომდინარე, ყოველგვარის ბრდისა და გამრავლების (ახალმთვარეობა), სიუხვისა და სრულყოფილების (სრულმთვარეობა). ძალიერდ საინტერესოა ბემოღნიშნულ დღესასწაულებზე მთვარის III და IV მეოთხედების უქმობა, ეს შეიძლება ავხსნათ იმით, რომ ხალხი „მცხრალი” და „ძველი” მთვარის „გაჯავრებას” ერიდებოდა, რადგან იგი, როგორც ბემოთ ვნახეთ, „ცედ” და „უბე-

ჰეტრე-პავლობის მარხვის პირველ ორშაბათს კი ზემო იმერეთში (25, გვ. 115). ძალიერდ საინტერესოა ატოცობის დღესასწაული (გორგობა-ქაშვეთბა). 15/VIII-დან იმერეთიდან გადმოღილდნენ სექტემბრის უკანასკნელ კვირა დღემდე. ამის შემდეგ სექტემბრის უკანასკნელი კვირა დღიდან დეკემბრის პირველამდე იწყებოდა ქაშვეთობა (25, გვ. 115).

დურ” მთვარედ ითვლებოდა (კლებისკენ და გაქრობისკენ მიღრეკილი). მართლაც, ხევსურულ დიალექტში არსებული გამოთქმები: „მთვარე უკუღმ ცხრების” და „მთვარე შავს [შა]იცვამს პირს” – დიდი მწუხარებისა და გლოვის აღსანიშნავად გამოიყენებიდა (39, გვ. 596). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მეგრული სიტყვა ალარგ-ალერტი მთვარის კულტს უნდა უკავშირდებოდეს. ამას ემატება მისი წმ. გიორგის კულტით ჩანაცვლება. საინტერესოა ისიც, რომ „ალიორგობა იმერეთში საღვთო საღოცველად ითვლება (30, გვ. 30), რაც ამ კულტის არსებობას მარგო სამეგრელოში არ აფიქსირებს, არამედ თითქმის მთელ დას. საქართველოში. საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ „ალ“ გურულ დიალექტშე სახის გამომეტყველებას ნიშნავს, რომელიც ს.ს. ორბელიანის „ალას“ ზემოაღნიშნულ განმარტებას ნაწილობრივ უდგება (მთოვარის პირი/სახე). ადამიანისთვის ძველ დროში შეუიარარებელი თვალით მთვარის ლაქებისა და ჩრდილების დანახვა სავსე, ან სრულმთვარიანობის დროს რომ იყო შესაძლებელი, ამ ამრს მხარს უჭერს აჭარულ დიალექტში არსებული სიტყვა „ალა-ა-მალა-ა“, რაც სულ, მთლად (მთლიანი), სავსებით (სავსეს), სრულად (სრული) ნიშნავს. (30, გვ. 27). მთვარე, როგორც ღამით მანათობელი (მზის სხივების არეკლვით) ცდომილი პირდაპირ კავშირშია ზემოაღნიშნულ მეგრულ ლეგენდაში გადმოცემულ უფსრკულ-ბნელეთის ღმერთ ალარგთან, რომლის ძირითადი ნაწილი „ალა“ რა თქმა უნდა დაკავშირებული იყო სინათლესთან, რომელთანაც კავშირშია სიტყვები ალი, ალიონი, ალია. ალა ისეთ მთვარეს უნდა ჰქოლისხმობდეს, რომელიც განსაკუთრებით ანათებს, ღამით და სინათლეს ჰფენს ბნელეთით მოცულ არემარეს.¹³

¹³ „ალასთან“ უნდა იყოს დაკავშირებული ალავერდის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის სახელწოდებაც, რომელიც სიტყვა-სიტყვით (ალა + ერდი/ველი) მთვარის ღვთაებისადმი თხოვნას, უედრებას

ამრიგად, ზემოაღნიშნული ფოლკლორული და ენთოლური რიცი მასალის გაანალიზებამ საშუალება მოგვცა დავასკვნათ, რომ საქართველოში მთვარის ღვთაების თაყვანისცემის მრავალფეროვანი სახე არსებობდა, რომელიც მთვარის ფაზებიდან გამომდინარე მზისა და მთვარის ურთიერთქმედების შედეგად იყო განპირობებული „ალა“ სავსე (ბადრი) მთვარის ერთ-ერთი აღმნიშვნელი სახელი უნდა ყოფილიყო, „მანგ“-ი კი ნამგალა (მოღუნელი), ახალი მთვარის.¹⁴ შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ მანგლისის ტოპონიმმა ახალი მთვარის კულტის თაყვანისმცემის

უნდა ნიშნავდეს. მართლაც, როგორც ცნობილია, „ალავერდობა“ მოსავლისა და ჭირნახელის აღებასა და დაბინავებასთან დაკავშირებული დღესასწაული იყო, რომელსაც ქრისტიანულ ეპოქაში ალავერდის მონასტრის დამარსებლის იოსებ (ამბა) ალავერდელის სახელი ჩაენაცვლა, თუმცა წარმართული დღესასწაულის ნაშთი დღესაც არის შემორჩენილი. ქრისტიანობამდელ ეპოქაში იგი მთვარის კულტთან რომ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ამას ამტკიცებს თუნდაც ის, რომ „ალავერდობა“ იწყებოდა 28/IX-ს და სამი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. მას სამსაფეხურიანი ციკლი ჰქონდა (თავი ალავერდობა, შეა ალავერდობა და ბოლო ალავერდობა). ცფიქრობთ, თქმაც არ სჭირდება იმას, რომ სამსაფეხურიან ციკლში მთვარის ფაზები იგულისხმება, კერძოდ, მთვარის თაყვანისცემა მომდევნო ფაზების დროს. ამ დღესასწაულის მთვარის კელტთან დაკავშირების შესახებ ამრის ამყარებს თუნდაც ის, რომ „ალავერდობას“ არა მარგო კახეთისა და ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობა ჩამოდიოდა, არამედ ჩრ. კავკასიის ხალხებიც, კერძოდ ლეკები და ქისტები. მოდიოდნენ აგრეთვე, თვით მომთაბარე ელებიც (32, XI, გვ. 262). კახეთის ალავერდის მსგავსად მთვარის კულტს უნდა უკავშირდებოდეს სოფ. ალავერდი ზესგაფონის რნ-ში და თერჯოლის რნ-ის სოფ. ზედა ალისუბნის ეკლესია, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ალავერდს“ ეწოდებს.

¹⁴ ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ, როგორც ქართული ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, ყამარმთვარე (ნახევარმთვარე-ახალი მთვარე) ქალური საწყისი უნდა ყოფილიყო, ხოლო ბაღრი მთვარე (სრული მთვარე) კი მამაკაცური, რომელსაც შემდეგ წმ. გიორგის კულტი ჩაენაცვლა.

ფაქტი შემოგვინახა. მანგლისში ამ მნათობის ერთ-ერთი ძლიერი სალოცავი უნდა ყოფილიყო კავკასიაში. აქედან გამომდინარე აისსნება აღბათ ის ფაქტი, რომ სწორედ მანგლისში არსებულ უძლიერეს წარმართულ სალოცავს „უფლის ფერხის ფიაცარი“ დაუპირისპირეს. მანგლისის ჯვარში სომეხთა და შესაძლოა ამიერკავკასიის სახვა ხალხთა სალოცავად წასვლას, როგორც ვთქვით, შესაძლოა წინარე ქრისტიანულ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი, რაც განაპირობა კავკასიაში არსებულმა მანგლისის მთვარის დვთაების ერთ-ერთმა ძლიერმა სალოცავმა.

მანგლისში საკულტო ცენტრის შექმნა უნდა განესაზღვრა მის ხელსაყრელ ადგილმდებარეობას. მანგლისის სტრატეგიულობაზე კლასიკური განმარტება მოგვცა ღვაწლმოსილმა ისტორიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა: „მანგლისს ფრიად ხელსაყრელი ადგილი უჭირავს აღმოსავლეთ საქართველოში. მანგლისის მხარე ეკვრის შიდა ქართლს, თბილისს, სომხეთ-საბარათიანოს და წალკა-ჯავახეთს. იმყოფება რა აღგეთის, თეძამის (სამაჭალოს ხევი), სკვირეთის და ვერეს გამოსასვლელებში. მანგლისის ხეობა სტარტეგიულად ბატონობს აღნიშნულ მხარეებზე“ (8, გვ. 26). „გზა ქვათახევ-კავთისხევში და ქვათახევ-ნიჩბის-ძეგვში, დიდგორ-მცხეთაში, ვერეს ხევით თბილისში (საბურთალოში), კოჯორ-თბილისში, ფარცხის-სამშვილდემი, კლდეკარბე (აქედან სათარხნო-საჯავახიანოში) წალკა-ჯავახეთში, ყველა ესენი აქ მანგლისში ეჯვარებიან ერთი მეორეს“ (8, იქვე). მანგლისის მხარესთან ერთად „აქ გამოივლიდა ყველაზე უმოკლესი და უმნიშვნელოვანესი გზა ბიზანტიიდან-ქართლში“ (მცხეთაში, თბილისში), კახეთში, სომხეთიდან ქართლში, თრიალეთ-მანგლისბე გადიოდა გზები შიდა ქართლში: ძამის ხეობით, ფანას ხეობით, თეძმის ხეობით, კლდეკარით, მანგლის-კავთისხევით, მანგლის-მცხეთა, მანგლის-თბილისი. კახეთში – მანგლის-მცხეთის ხიდით მანგლის-ისანი, ჰე-

რეთში – მანგლის-სამშეილდე, გარდაბანი; სომხეთში, ქვემო ქართლში: მანგლის-სამშეილდე, გომარეთ-დმანისი; ჯავახეთში: ნარდევან-ფარავანა-ფოკანი, სამსარი, წითელი ეკლესია-თრიალეთ-ფაბისყური. მანგლის-თრიალეთი ზეგანია და სტრატეგიულად ბატონობს შიდა და ქვემო ქართლსა“ (8, გვ. 32). ასეთი განმარტების შემდეგ ადვილი წარმოსადგენია ვიზიქროთ, რომ მანგლისის სტრატეგიულობას მარგო სავაჭრო და სამხედრო დატვირთვა არ უნდა პქონოდა. მანგლისის ხელსაყრელმა მდებარეობამ აღბათ განაპირობა ისიც, რომ აյ არსებული სალოცავი, რომელიც სახელგანთქმული იყო საქართველოსა და სომხეთში, ერთნაირად აღვილად მისადგომი ყოფილა ამიერკავკასიაში მცხოვრები თითქმის ყველა ხალხისათვის. ეს ფუნქცია უნდა შეენარჩუნებინა მას, როდესაც ქრისტიანობას გავრცელდა საქართველოში. „ფერხთა ფიცრის“ დასეენება მანგლისში განპირობებული უნდა ყოფილიყო არა მარგო მთვარის (ახალი მთვარე) ძეველი წარმართული სალოცავის ჩანაცვლებით და აღმოფხვრის სურვილით, არამედ, მანგლისის სტრატეგიული მდებარეობის გამოც. როგორც აღვნიშნეთ, მანგლისის მთვარის სალოცავი იმ აღვილას უნდა ყოფილიყო, სადაც ქრისტიანობის პერიოდში ჯვრის სახელობის ტაძარი აშენდა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ბიბანგიიდან მანგლისში გამოიღიდა უმოკლესი გზა, რომელიც მიემართებოდა მცხეთაში, მაშინ აღვილი მისახვედრია, რომ სწორედ ამ გზით უნდა გამოევლოთ ბიბანგიიდან კონსტანტინე იმპერატორის მიერ გამოგზავნილ იოანე ეპისკოპოსს და მღვდლებს.

ABAUT THE NAME OF MANGLISI.

The mane determinative part of the toponim „Manglisi” is „mang”, which by S.S. Orbeliani means moon („mtvare”). The word „mangal” must have been developed from this word. The richest Georgian language preserved one synonym of the same stem. It is „mguli”, wich means crooked, wry. Hence, the word „mangi” we can understand as crooked, wry or half-moon, crescent. Because of the crooked form, afterwards this name was given to the ancient trade tool - Sickle ancient form of which is „magal-mangal”.

It is not excepted that this tool was associated with half-moon because in the mind of the agricultural people the moon had a particular place. To the astral mark of the moon ☽, which because of its crooked form we can associate with „mangal-namgali” (Sickle), is corresponded to the new moon. Almost to the all peoples of the world and to the Georgians too the new moon was the symbol of growing, becoming full of all living beings (a man, cattle, plants), because the moon in this phase began to grow by and by. They tried to begin all kinds of work at the new moon: to plough, to sow, to lay the foundation, to marry and so on. The new moon together with the full moon was considered as „happy” and „good” moon in contrast to the „not full”, „old” moon (the III and the IV phases of the moon), which considered as „unhappy” and „bad” moon. Hence people connected their happiness or unhappines with the moon. People always asked the new moon to bring them novelty and happiness.

The fact that „mangi” was the synonym of the moon (mtvare) is confirmed by the names kept in the dialects, e. g. „mtvarela” is the sheep with the mark on the forehead (compare with „Shublmtvariani” - (Kartli), „Mtvaria” is the name of the cow (Khevsureti). The paralel word of „mtvarela” we consider

„mange” - mother sheep (Mtiuleti-Gudamakari), in Svaneti „mangi” means cattle. It's very interesting that „Mangia” is the proper name of a man in Khevsureti. Shota Rustaveli in his undying poem „Vepkhistkaosani” mentions the moon as „mang”, when he characterizes Tinatin, says: „Slender and „mangi” by face” i.m. that face is like the moon.

In the mythology of many peoples the moon is the woman, somewhere it's a man. In Georgian mythology it's of the man's origin, as to S.S. Orbeliani it has the woman's origin and names its with Arabian word „Kamari”, which in the other ethimology (in Khuritian) means „Firmament”, vault (Arch). Arch is known as a crooked roofing between two supports. Thus, once again we make sure that „Kamari” means crooked, curved and this form was used to name the half-moon. In Georgian language, its dialects and in mengrelian and Svaneti languages there exist a lot of figurative expressions such as „mtvaris navi” and „mtvaris nali” (Khevs.), „mtvarisaxali” (Khevs.), „tuta-axali” (Mengr.), „doshdul maxe” (Svan.), „namgala-mtvare” (Kart.). Crescent or new moon in its outward appearance is differ from the full moon, which has the Arabian name „Badri” and it also means „good” and „happy” moon. In Georgia „Badri” exists as man's name and figuratively it means „perfect”. It is quite possible that „Kamar-mtvare (half-moon or new moon) is of the woman's origin and „Badrti-mtvare (full moon) is of the man's origin, which later was replaced by Saint George.

We may think that Manglisi toponym preserved the fact of worship to the new moon cult. Here, in Manglisi, must have been one of the strongest chapel for this heavenly body in the Caucasus. Hence we can explain the fact that just in Manglisi existed the moon's strongest cult chapel was contrasted „Uplis ferkhis fitsari” („God's foot board”). It is possible that going to „Manglisi Jvari” (Cross) to pray by the Armenians and maybe the other Caucasian people descends to the prechristian period, what is determined by the existance in



Manglisi for all the Caucasus, one of the strongest moon deity ^{ცოდნა} chapel (in old Armenian language „mangal” is mentioned by the same form „*mangau*”). The creation of cult centre in Manglisi must have been determined by the convenient position of Manglisi, where crossed each other all the strategic roads passing Georgia and the Caucasus. The Manglisi moon chapel must have been on the territory, where was placed „Uplis pherkhis phitsari” („God’s foot board”) and afterwards was built the Manglisi Cross church.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. 6. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი, 6. ღამბაშიძე, ქართულ დღეობათა კალენდარი.
2. იღ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1973.
3. ი. ბაგრატიონი, ქრთლ-კახეთის აღწერა, თბ. 1986.
4. ბაგონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოისა საქართველოისა, ქართლის ცხოვრება, გ.IV, თბ. 1973.
5. ვ. ბარდაველიძე, სვანურ დღეობათა კალენდარი, თბ. 1939.
6. ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან IV, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, V, თბ. 1951.
7. ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ. 1953.
8. ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ. 1966.
9. ნ. ბერძენიშვილი, „ქვემო ქართლი”, სის, წიგნი VIII, თბ. 1990.

10. პ. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ. 1983.
11. დაბადება (ბიბლია), ნაწ. I და II, თბ. 1884.
12. მ. დვალი, მანგლისის ხუროთმოძღვრული ძეგლი, თბ. 1974.
13. ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარით გამოსცა 8. ალექსიძემ, თბ. 1968.
14. გ. თანდილავა, წყლის კულტი ქართულ ფოლკლორში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიგყვიერება, VII, თბ. 1984.
15. გ. თევზაძე, რუსთაველის კოსმოლოგია, თბ. 1979.
- 15a. ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ. 2000.
16. თ. კეირკეელია, მოქლე რუსულ-ქართული ხუროთმოძღვრული განმარტებითი ლექსიკონი, თბ. 1961.
17. ვ. კოპალეიშვილი, მითებიდან კალენდრებამდე, თბ., 1991.
18. ლენინური გბა, 1965 30/VIII, 1970 12/IX.
19. ლ. მელიქსეთ-ბეგი, მანგლისის რაიონი ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით, ახალი სკოლისაკენ № 2-3, თბ. 1924.
20. ლ. მელიქსეთ-ბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში, მასალები არქაიკული მონუმენტალური სელოვნების ისტორიისათვის, თბ. 1938.
21. მითოლოგიური, ლექსიკონი, შეადგინა ნ. გაფრინდაშვილმა, თბ. 1972.
22. მ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ. 1992.
23. საქართველოს კალენდარი 1897, შედგენილი და გამოცემული ვ. გუნიას მიერ.
24. თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ. 1979.

- 24a. სვანური პოემია I, სიმღერები შეკრიბეს და ქართველობის თულად თარგმნეს აკ. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯევიანმა, თბ. 1939.
25. აკ. სოხაძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოებისა და მის გადმონაშთებთან ბრძოლის ისტორიიდან, თბ. 1964.
26. სულხან-საბა თრბელიანი, ლექსიკონი ქართული I, თბ. 1991; II, თბ. 1993.
27. უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომებთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და კომენტარით გამოსცა გ. ალექსიძემ, თბ. 1975.
28. ქართლის ცხოვრება, (“ძველი ქართლის ცხოვრება”), გამოსაცემად მოამზადეს, წინასიცეფვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს აკადემიკოსებმა ილ. ანიელავამ და ნ. შოშიაშვილმა, თბ. 1996.
29. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი IX-XIII. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ. 1984.
30. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ღლონგი, თბ. 1984.
31. ქართული მითოლოგია, შეადგინა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო აპ. ცანავამ, თბ. 1992.
32. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 1, თბ. 1975, ტ. 6, თბ. 1983;
- 32a. ქართული შელოცვები, წიგნთა და ხელნაწერთაგან გამოკრიბა მ. მოსულიშვილმა.
33. ქრთული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, II, კ. დანელიას და აპ. ცანავას გამოცემა, თბ. 1991.
34. ქუთათელაძე, ქვემო ქართლი, პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ. 2001.
35. გ. ჩუბინაშვილი, მცხეთის ჯვრის მცირე ტაბარი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, 11, ტფ. 1922-23.
36. გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტფ. 1936.

37. 6. წერედიანი, საენურ ხალხურ დღეობათა საწელიანობის
წადო კალენდარი, ნაწ. I, ამირანი, კავკასიოლოგთა
საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საგოგადოებ-
რივი ინსტიტუტის მოამბე XI (1) და ამირანი XI (2),
მონიკეალი-თბილისი 2003.
38. დ. ჭითანავა, „თეონიმ „ალერგ“-ის ეტიმოლოგიისათ-
ვის, საქართველო და ქრისტიანობა, თბ.2001.
39. ალ. ჭინჭარაული, ხევსურული დიალექტი, თბ. 2005.
40. ბ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ თბ. 1992.
41. ხალხური სიბრძნე, ტ. III, თბ. 1964, ტ. IV, თბ. 1965, ტ.V,
თბ. 1965.
42. ივ. ჯავახიშვილი, მშენებლობის ხელოვნება ძველ სა-
ქართველოში, მასალები ქართველი ერის მაგერია-
ლური კულტურის ისტორიისათვის, I, თბ. 1946.
- 43.ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზულე-
ბანი 12 ტომად, ტ.I, თბ. 1979.
44. Легенды и сказания древней Греции и древнего Рима,
Мос. 1987.

პოსტ-რევოლუციური საქართველოს აღქმა ბალტიის ქვეყნებში

საქართველოში და საერთოდ სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენები მსოფლიო სამოგადოებრიობის ყურადღების ნაკლებობას არასდროს განიცდიდა. ეს ყურადღება განსაკუთრებით „ვარდების რევოლუციის“ შედეგ გამახვილდა. ამას მოწმობს დასავლეთის წამყვან საინფორმაციო გამოცემებში საქართველოს შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციების სიმრავლე. ბევრი რამ შორიდან უკეთ მოჩანს. აქედან გამომდინარე, ჩვენი დაინტერესება გამოიწვია იმან თუ რა გამოხმაურება პპოვა ბალტიის ქვეყნებში ქართულმა რევოლუციამ. მართალია რევოლუციის შემდეგ გარკვეული დრო გავიდა, მაგრამ ინტერესი საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ ბალტიისპირეთში არ ჩამცხრალა. ბალტიის ქვეყნების ადმინისტრაციისა თუ კვლევითი ცენტრების წარმომადგენლები აქტიურად უჭერენ მხარს და იმავდროულად დიდ იმედებს ამყარებენ პოსტ-რევოლუციურ საქართველოში რეფორმატორული ძალების წარმატებაზე. მათ შეფასებებსა და რეკომენდაციებს ვფიქრობთ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის.

ამჯერად, „უოლ სირიით ჯორნელში“ საქართველოს შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციის „არ დაუშვათ რუკიდან საქართველოს გაქრობა“ (ავტორი – ესტონეთის ექს პრემიერ-მინისტრი 1999–2002 წ.წ. მარტ ლაარი), მიმოხილვას გთავაზობთ.

პუბლიკაციაში აქცენტირებულია საქართველოს ეპოპეული წარსული, ხაზგასმულია რომ ეს ქვეყანა ელინისტური სამყაროსა და რომის იმპერიის ნაწილი იყო, სანამ რუსეთი დაიპყრობდა და რომ ისტორიული ბედუკუდმართობის გამო ის გარკვეული დროით დამორდა ეპ-

როპას და ევროპაც მას დღემდე შორეულ ქვეყნად შინჩილდება.

ავტორის აზრით, ამგვარმა სიბრმავემ კონტინენტი არაურთ თმში ჩაითრია, რამაც შესაძლოა ახალი გართულებები გამოწვიოს კავკასიაში. ამასთან, იგი აღნიშნავს იმასაც, რომ თანამედროვე სამყაროში ვერავინ იარსებებს იზოლიაციაში და რომ ევროპის მომავალი ისეთ ქვეყნებზეა დამოკიდებული, როგორიც საქართველოა, რომელიც დღეს ჯერ კიდევ მის პორიტონგს მიღმაა. შემდეგ ავტორი პარალელს ავლებს ესტონეთთან და შენიშნავს, რომ ათიოდე წლის წინ მისი ქვეყანაც შორს იყო ევროპისაგან: 1992 წელს ესტონეთიც ეკონომიკურად დაქცეული იყო, ხოლო ხალხი პესიმისტურად განწყობილი. ინფლაცია წელიწადში 1000%-ს აღემატებოდა, უმუშევრობა 30%-ს აღწევდა, მაგრამ მტკიცნეული და გაღამჭრული რეფორმების გაფარების შედეგად ესტონეთი დასაცლურ სამყაროს დაუბრუნდა.

მარგ ლაარი თვლის, რომ მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ქართველებმა რევოლუციის შემდეგ დიდი ენთუზიაზმით აირჩიეს პრეზიდენტად, საქართველოს ახალ და სავარაუდოდ უკანასკნელ შესაძლებლობას თავაზობს რომ ქვეყანა დასავლურ სამყაროში დააბრუნოს, ფსონი ძალგე მაღალია, ხალხი იმედს ამყარებს, რომ ახალი პრეზიდენტი ქვეყანას სტაბილურობას მოუტანს.

სტატიის ავტორს კარგად აქვს გაცნობიერებული რომ საქართველოს ესტონეთისაგან განსხვავებული ისტორია და კულტურული მემკვიდრეობა გააჩნია და ის ევროპის სხვა ნაწილშია განთავსებული. ამდენად, სახელმწიფო მოწყობის ესტონური მოდელი დაუმვებელია უცვლელად იქნას გადმოღებული, თუმცა კი ესტონეთის გამოცდილების გაზიარება საქართველოს გამოადგება.

ავტორი გარკეებულ რჩევებსა და რეკომენდაციებს თავაზობს საქართველოს ხელისუფალთ. მისი ხედვით,



ქვეყანაში ჯერ პოლიტიკური საფუძვლების შექმნას და გადამცველობის შემდეგ ეკონომიკური რეფორმების გატარებაა საჭირო: სახელმწიფომ გადამჭრელი რეფორმები უნდა გაატაროს და ხელი არ უნდა აიღოს მათ განხორციელებაზე მოკლე-ვადიანი სირთულეების მიუხედავად. ავტორი თვლის რომ მთავრობამ ეკონომიკური სფეროს სტაბილიზაცია უნდა მოახდინოს და ამით საფინანსო ბაზრების ნდობა მოიპოვოს, ამის მისაღწევად კი საბიუჯეტო დეფიციტი უნდა შეამციროს და გადასახადების აკრეფა დაიწყოს. მოლოდინი ძალგე მაღალია, ახალ ხელისუფლებას საგანგებო ღონისძიებების გატარების შესაძლებლობა მაქსიმუმ ერთი წელი ექნება და თუ საქართველო ამ ისტორიულ შანსს არ გამოიყენებს, მაშინ ჩვენ ყველანი ერთად წაგებულნი დავრჩებით, — დაასკვნის იგი.

ავტორის აზრით, თუ საქართველო რეფორმების კურსს გაატარებს მას რეალური შესაძლებლობა ექნება აშშ-სა და ევროპისაკენ მტკიცედ იაროს. ნატოს მეშვეობით კი დასავლეთთან თანამშრომლობა რუსელი ბაზების ქვეყნიდან გასაყვანად და ტერიტორიული მთლიანობის აღსაღენად ერთადერთი საშუალებაა.

მე-XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა იმპერიის 50 წლიანი სოვეტიზაციისაგან განთავისუფლებული ბალტიის ქვეყნებისა და საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებში იყო ძალიან დიდი მსგავსებაცა და განსხვავებაც. დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენების დასაწყისი გაცილებით უმტკიცნეულო იყო ბალტიისპირეთში, განსხვავებით საქართველოსაგან: — ბალტიის არცერთ ქვეყანაში არ ყოფილა სამოქალაქო ომები, არ დაკარგულა ტერიტორიული ერთეულები, რამაც საქართველოს სახელმწიფოებრივ განვითარებას მნიშვნელოვანი დაღი დაასვა. ქაოგური პრივატიზაციის პროცესები, საბიუჯეტო კრიზისები, ტოტალური კორუფცია მაღალ სამთავრობო ემელონებში, არაკეალიფიკაციური

კადრები – ეს ფაქტორები ერთნაირად დამახასიათებულია იყო როგორც საქართველოს ისე ბალგიის სამიევე სახელმწიფოსათვის. ესტონეთმა, ლიგვამ და ლატვიამ ამ პრობლემებს ბევრად სწრაფად და ეფექტურად გაართვეს თავი, ვიდრე ეს საქართველომ მოახერხა. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველომ სამოქალაქო ომები და პოლიტიკური კომფლიქტები გადაიტანა, ჩაეფლო უკიდურეს სიღარიბესა და კორუფციაში. პოსტრევოლუციური საქართველო უაქტიურად ახლა დაადგა იმ გზას, რომელიც ბალგიის ქვეყნებმა დამოუკიდებლობის აღდგენიდან მე-14-ე წელს წარმატებით დაასრულეს: 2004 წლის გაბაფხულზე ეს ქვეყნები ერთდროულად გახდნენ ნაფოსა და ეკროკავშირის სრულუფლებიანი წევრები.

ბალგიის ქვეყნების წარმატებისა და მიღწევების ასენა შეიძლება რიგი მიზებებით:

1. ამ ქვეყნების მომგებიანი გეო-პოლიტიკური მდგომარეობა;
2. პოლიტიკური კულტურის მაღალი დონე;
3. დემოკრატიულ რეფორმათა გააბრებელი პროგრამები და რაც მთავარია – მათი მკაცრი და ზუსტი შესრულება.

ბევრ ბალგიისპირელს მიაჩნდა და დღესაც მიაჩნია, რომ ისინი საბჭოთა იმპერიიდან განთავისუფლებას ქართველი ერის თავგანწირვას უნდა უმადლოდნენ. ეროვნული მოძრაობის დროს საქართველო და ბალგიის სამი ქვეყანა ერთად იმრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის. ახლა დადგა საქართველოსათვის დახმარების დრო.

როგორც ცნობილია, 2004 წლის ოქტომბერში ლიტვისა და საქართველოს პრეზიდენტები გამოვიდნენ ახალი საერთაშორისო ინიციატივით 3+3 ფორმატით შეიქმნას სამი ბალგიის და სამი კავკასიის ქვეყნის კავშირი, რომლის საშუალებითაც ბალგიის ქვეყნები დაგვეხმარებიან ევროპაში ინტეგრირების პროცესში. აღსანიშნავია, რომ



ამ დეკლარაციის ფარგლებში საქართველო გამოვლენა
როგორც რეგიონალური ღიძერი. პრეზიდენტი მიხეილ
სააკაშვილი ბალტიის ქვეყნებში ოფიციალური ვიზიტიდან
დაბრუნების შემდეგ შეხვდა სომხეთისა და აზერბაიჯანის
პრეზიდენტებს და მიიღო მათგან საქართველო-ლიტვის
ახალი საერთაშორისო ინიციატივის – 3+3 მხარდაჭერა.
ამ ინიციატივის მხარდაჭერის შესახებ, არაერთხელ აცხა-
დებდა უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო. მოსა-
ლოდნელია, რომ ამ კავშირში აუცილებლად ჩაერთვება
უკრაინა და მოლდოვა, მაშინ ჩვენ მივიღებთ პოსტსაბჭო-
თა სივრცეში სრულიად ახალ გეოპოლიტიკურ რეალო-
ბას.

ცხადია, რომ საქართველო თავისი კურსით, მენტა-
ლიტეტით, ფინანსონით არ უნდა დარჩეს XX საუკუნე-
ში, ამისათვის კი მიხეილ სააკაშვილის მართებული გამო-
ნათქვამით „ჩვენ მუდმივად უნდა ვიმუშავოთ, რათა სა-
ქართველო არ დაივიწყონ და საქართველო გარე თუ ში-
და ბნელმა ძალებმა ევროპის რუკიდან ვეღარასოდეს
მოამორონ, ევროპაში ჩვენი კუთვნილი აღგილი საბო-
ლოოდ უნდა დავიმკვიდროთ“.

დაბრუნდება თუ არ ჩვენი დროების საქართველო
ევროპის რეგიაზე, ამას უახლოესი პერიოდი დაგვანახებს.
მართალია არსებული მომენტისათვის საქართველო არ
იმყოფება ევროკავშირის მხრიდან „რადარებით გაშუქე-
ბის“ ქვეშ, მაგრამ დღეს ჩვენ არ გვაქვს სხვა აღტერნა-
ტივა, გარდა იმისა რომ წინ წავიდეთ ევროპული და
ტრანსაგლანტიკური ხედების გზაზე, სადაც ჩვენი ქვეყანა
დაიკავებს თავის ადგილს, როგორც დემოკრატიული სა-
ზოგადოების სრულუფლებიანი წევრი. არავის შეუძლია
ხელი შეგვიშალოს იმაში, რომ საქართველო დაუბრუნ-
დეს ევროპული ფასეულობების ოჯახს.

THE IMAGE OF POSTREVOLUTIONARY GEORGIA IN BALTIC COUNTRIES

In this work is described the image of postrevolutionary Georgia in Baltic Countries. Is given the analytical survey of current dynamical Economic and political process of recent period in Georgia and Baltic Countries. Proper conclusions have been got about it.

The work is based on the analytical publications and informative materials published in recent period Georgian, Baltic and Russian press and periodicals.

ლიტერატურა

1. Return to the western world: Cultural and Political Perspectives on the Estonian Post-Communist Transition. Tartu University Press, 1997, 378р..
2. Быков И. Демовестернизация: Эстонский вариант. В журн. «Мировая экономика и международные отношения», 2000, №7, 124-128ст..
3. ლაარი მ. – არ დაუშვათ რუკიდან საქართველოს გაქრობა. გაზ. „24 საათი“, №18, 2004 წ.
4. ჯონსი ს. – თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური პროცესები. კრებული „წელიწდეული“, თბ., 2002 წ., გვ. 34-39.
5. ადელმანი კ. – რეფორმა საქართველოში. ქურნ. „პოლიტიკა“, 1-2¹, 2005 წ. გვ. 46.

“ფესტოსის ღისეო – პოლხური ოქროდამნერლობა”

სამეცნიერო საზოგადოებას, დაინტერესებულ პირებს მინდა მივაწოდო ფრიად სასიხარულო ინფორმაცია, რომელიც ეხება დღემდე ამოუკითხავი, ევროპის უძველესი (ოთხი ათასი წლის წინანდელი) რელიგიურ-ლიტერატურული დოკუმენტის – საყოველთაოდ ცნობილი “ფესტოსის ღისეოს” (Δίσκος της Φαιστού) წარწერის ჩემს მიერ სრულად გაშიფრას.

♦ უფრო დაწვრილებით ბემოაღნიშნულის შესახებ დაინტერესებულ მკითხველს შეეძლება იხილოს ჩემს წიგნში, რომელიც სპონსორის გამოძებნის შემთხვევაში გამოქვეყნდება ახლო მომავალში.



“ფესტოსის ღისეოს” ისტორია

ღისეო აღმოაჩინა იგალიელმა არქეოლოგმა, ღოქტორმა ლუიჯი პერნიემ (1874-1937) 1908 წლის 3 ივნისს, კუნძულ კრეტაზე, საარქეოლოგო ქალაქ ფესტოსში. იგი პირობითად დათარიღებულია ძვ.წ. 1850-1600 წწ.-ით (ძრინჯაოს ხანა, “პროფოპალატიალური”/“ძველი სასახლის” და “წეოპალატიალური”/“ახალი სასახლის” პერიოდი,

კერძოდ, მუამინოსური IIIA – IIIB მუალედი) და წარმოქმნაში, გენეს თიხის ფირფიტას, რომლის დიამეტრი დაახლოებით 16 სმ-ია, წონა კი – 380 გრ. ამეამად დისკო ინახება საბერძნეთში, კრეტის მთავარ პორტ-ქალაქ პერაკლიონის არქეოლოგიის მუზეუმში (III გალერეა, 41 ფერი, №EP-1358).

1992 წლის დეკემბერს ვლადიკავკაზში ნაპოვნი იქნა “ფესტოსის დისკოს” მსგავსი თიხის ფირფიტის ფრაგმენტი (დიამეტრი: 10 სმ), რომლის შესახებ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვლ. კუჩნევოვმა გამოაქვეყნა მეცნიერული გამოკვლევა: “კავკასიის არქეოლოგიური გამოცანა” (2001).



ამ დრომდე იყო “ფესტოსის დისკოს” ნიშანთა კომპლექსის გამიფვრის მცდელობები [მაგ.: გ. ჭემპლი (1911), ფ. სტაუელი (1911), ალ. კუნი (1914), ფ. გორდონი (1931), ბ. შვარცი (1959), პ. ბალოფა (1974), ქ. ფოჯუნი (1975), გ. იასენი (1976), ლ. პომერანისი (1976), ვ. გეორგიევი (1976), პ. ალეფი (1982), რ. ბურდულაძე (1986), ს. ფიშერი (1988), ოლე ჰაგენი (1988), ქ. ჰაარმანი (1990), კ. აარტუნი (1992), ლ. ოლენინთი (1996), ს. რიაბჩიკოვი (1998), ქ. ვენცელი (1998), ად. მარგინი (2000), ფ. გილი (2000), ი. იარალიევი (2001), აქს. პაუპმანი (2002), რ. ვიენი (2002), ბ. კორსინი (2003), ვ. ახტერბერგის

ჯგუფი (2004) და ა.შ.] ძველ ენებზე (მაგ: იონურ-ბერძნულ დიალექტზე, კვიპროსელზე, ხეთურზე, ლუვიურზე, ფილისტიმურზე, ეგვიპტურზე, სემიტურ ენებზე და ა.შ.).

დისკოს იკვლევლნენ: სერ ართურ ევანსი (1851-1941, ინგლისელი არქეოლოგი), ალესანდრო დელა სეგა (1879-1944, იგალიელი არქეოლოგი), ელის კობერი (1907-1950, ამერიკელი არქეოლოგი, კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტი), მაიკლ ვენტრისი (1922-1956, ინგლისელი არქიტექტორი და უნათმეცნიერი) და ჯონ ჩედვიკი (1920-1998, ინგლისელი მიკენოლოგი).

დისკოს მეცნიერულად სწავლობენ: ივე დიუ (ბელგიელი მკედლევარი), ლუი გოდარი (იგალიელი მიკენოლოგი, ეგეოსერი და პრებერძნული კულტურის სპეციალისტი), დიტერ რუმფელი (გერმანელი მკედლევარი), მარკო გუიდო კორსინი (იგალიელი მკედლევარი), ტორსტენ ტიმი (გერმანელი მკედლევარი), ქევინ და ქით მეისები (ამერიკელი მკედლევარები), გარეთ ალენ ოუენსი (ბერძნული ენის, კულტურის, ისტორიისა და ცივილიზაციის სპეციალისტი) და სხვები.

განსაკუთრებული აღნიშვნის დირსია ავსტრიელი მოყვარული ენათმეცნიერის ჰერბერტ ძებიშის ჰიპოთეზა “ფესტოსის დისკოს” წარწერის სავარაუდო ენის თაობაზე, რომელიც მოცემულია მის წიგნებში: “იბერიული – ღმერთების ენა” (“Iberisch: Die Sprache Der Götter”, 1991), “ჰელაზგური – იბერიული ენა” (“Pelasgisch: Eine iberische Sprache”, 1988) და “ჰელაზგები: ისტორია და კულტურა მათი დროის წერილობითი ნიმუშებიდან” (“Die Pelasger: Geschichte und Kultur aus Dokumenten Ihrer Zeit”, 1988). ძებიში ამტკიცებს, წინარებერძნული მოსახლეობის ენა¹⁰, კერძოდ, “ჰელაზგური ქართველურ ენათა დედაპი”. მან 1988 წელს ბუდაპეშტში, ეირენეს კომიტეტის XVIII საერთაშორისო კონგრესზე განაცხადა, რომ “ფესტოსის დისკოს” წარწერის ენა ქართულია.



① წინაბერმნული მოსახლეობის ენისა და კაცქართვია სიური ენების ნათესაობის შესახებ პიპოთებები წამოაყენეს გამოჩენილმა პროფესორებმა: ვილჰელმ ჟებბოლდტმა (1767-1835, გერმანელი ენათმეცნიერი), ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოღვაწე), პაულ კრეჩმერმა (1866-1956, ავსტრიელი ენათმეცნიერი), ანგონ მეიემ (1866-1936, ფრანგი ენათმეცნიერი), ედუარდ შეიცერმა (1874-1943, შვეიცარელი ენათმეცნიერი, ძევლი ბერძნულისა და ბერძნული დიალექტების სპეციალისტი), ფრიი შახერმერმა (1895-1987, ავსტრიელი ისტორიკოსი, არქოლოგი და წარწერათმეტლენე), სიმონ ყაჟხჩიშვილმა (1895-1981, ფილოლოგი), არნოლდ ჩიქობავაშ (1898-1985, ენათმეცნიერი), ფილოლოგი), სიმონ ჯანაშიაშ (1900-1947, ისტორიკოსი), ვლაბდიმირ გეორგიევმა (1908-1986, ბულგარელი ენათმეცნიერი), აკაკი ურეშაძემ (1918-1988, ლიტერატურათმეტლენე და წყაროთმეტლენე), ედგარ იოან ფერნევემ (1926-1996, პოლანდიელი ენათმეცნიერი), თამაზ გამყრელიძემ (1929, ენათმეცნიერი, აღმოსავლეთმეტლენე), რისმაგ გორდეგიანმა (1940, კლასიკური ფილოლოგის სპეციალისტი), გვიად გამსახურდიაშ (1939, საქართველოს პირველი პრემილენტი, მეცნიერი-ფილოლოგი და მწერალი) და სხვებმა.

ჩემს მიერ “ფესტოსის დისკოს” წარწერის გაშიფრის შედეგები

ქართველური ენების შესწავლითა და ხანგრძლივი მეცნიერეული კელევა-ძიებით მივედი შემდეგ დასკვნამდე:

1). კოლხი კორიბანგების^② მიერ შექმნილი “კირიბიშის”, “კირბის,”^③ ანუ წერილ-ფირფიტის – “ფესტოსის დისკოს” წარწერის ენა ქართველურია, კერძოდ, კოლხერია – მეგრულ-ლაბურია;^④

② “ანგიკურ წყაროთა ჩვენებით კორიბანგები მცირე აბიის ავტოხთონური ტომებისა და წინაელინურ პერიოდში კრეტაზე მოსახლე პელასგების მაგრიბარქალური ლვთაების კუბელეს ქურუმები იყვნენ. . . კორიბანგები, რომელთაც დამწერლობის – კურბების შექმნა მიეწერებათ, კოლხთაგანნი არიან და მჭიდროდ უკავშირდებიან რეინის მეტალურგიის, მჭედელობის

მფარველ დემოსელ კაბინებს” (აკაკი ურუშაძე, “ტექურის და კოლხეთი არგონავტების თქმულებაში”, თბილისი, 1964, გვ. 160, 162, 424. იხ.: სტრაბონის “გეოგრაფია”, X წიგნი, 3, 19, 231).

③ კირბებებშე/კურბებებშე (ძერდ.: კურბეიც, მხ. რ. კურბეიც <= კოლხ.: “კურბი”/“კირიბი” – კრავი) ცნობა შემოგვინახეს ბერძენმა ავტორებმა: კრატინემ (ძვ.წ. 490-423/421), ლისიამ (ძვ.წ. 459-380), პლატონმა (ძვ.წ. 428/427-348/347), თეოპომპე ქიოსელმა (ძვ.წ. 377/376-300), ტიმეოსმა (ძვ.წ. 356/352-260/256), აპოლონიოს როდოსელმა (ძვ.წ. 295-215), არისგოფანე ბიბანგიონელმა (ძვ.წ. 257-180), აპოლოდოროს ათენელმა (ძვ.წ. II ს.), სტრაბონმა (ძვ.წ. 64/63-ა.წ. 23/24), პლუტარქემ (46/50-125/127), ფოდიოსმა (810/827-891/897), სვიდამ (X ს.) და ა.შ. (იხ.: აკაკი ურუშაძე, თბილისი, 1964, გვ. 151-160, 165-166, 296-297, 368-370).

♦ “[კოლხებმა] შემოინახეს თავიანთი მამათა ნაწერები, ამოკევეთილი კირბებებშე, ქვის წერილს ვეტებშე, რომლებბზედაც ორგვლივ, ყოველ მხარეს მოგზაურობის დაბეჭდილია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და სამღვარი” (აპოლონიოს როდოსელი, “არგონავტიები”, IV წიგნი, 275-281).

④ “შეგრული და ლაბური კოლხური ენებია”, – ამბობს ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი და ფილოლოგი, პროფესორი აკაკი შანიძე (1887-1987).

♦ “კირკეს სურდა ქალწულის [მედეას] პირიდან მშობლიური ხმა გაეგონა. მართლაც, მრისხანე აიეგის ასეულმა, კირკეს წყნარი ხმით უამბო ყველაფური კოლხურ ენაზე (აპოლონიოს როდოსელი, “არგონავტიები”, IV წიგნი, 731. იხ.: აკაკი ურუშაძის თარგმანი, თბილისი, 1948, გვ. 175).

♦ “[მედეა] კოლხური ენით გრძელი ლოცვის წარმოთქმას შეედგა” (დიოდორე სიცილიელი, “ისტორიული ბიბლიოთეკა”, IV წიგნი, 52-3. იხ.: აკაკი ურუშაძე, თბილისი, 1964, გვ. 402).

♦ “ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში ეპვე არსებობდა მეგრულ-ჭანურის წინაპარი “ზანური” დიალექტი. . . აია-ქვეყნის მეფე აიეტი და მისი მემკვიდრენი. . . დასავლურ-ქართულ დიალექტები მეტყველებდნენ, რომლის დღვევანდელი გაგრძელებაა



ჩვენთვის ცნობილი მეგრული და ლამური” (თამაზრებული ყრელიძე, “ოქროს საწმინი” და ძველი კოლხეთის შოსახლეობის ეთნიკური ვინაობა, ანუ რა ენაშე მეტყველებდა მეცე აიეფი?”, “ლიტერატურული საქართველო”, 1998 წ., 20-27 მარტი, გვ. 3).

2). დისკობე დაბეჭდილი ნახატნიშნები “კოლხური ოქროდამწერლობაა”^④

^④ “კოლხური ოქროდამწერლობის” (ძერდ.: ხრისიერაფია <= ხრისის; მიკენური ძერდ.: ḪURU [ku-ru-so] – ოქრო) შესახებ ცნობები უმთავრესად დაცულია ბერძენი ავტორების: ევპემეროსის (IV ძვ.წ.), ხარაქს ჰერგამონელის (II-III სს.), იოანე ანგიოქელისა (VII ს.) და თესალონიკეს არქიეპისკოპოს ევსტათეოსის (1120-1194) თხბულებებში (იხ.: აკაკი ურუშავე, თბილისი, 1964, გვ. 447).

3). მისი ტექსტი წარმოადგენს საგალობელს – “ნენანას”,^⑤ რომელიც ეძღვნება “აია-ნეშკარის” მფარველ, პელაგერ-კოლხურ დიდ დედაღვთაება ნანას/რეა-კიბელებებს/ სიბელას (Μεγάλη Θεά Νάνας/Ρέα-Κυβέλη/Ρείη-Κυβέλη/Κυβῆβη; Magna Mater deorum Idaea, Dea dia Nana/Rhea-ybele/Cibela/Kubau/Kubaba/Kebat/Hepat/Heba; ძერდ.: ებრ.: חַוָּה [bə'və], Chavoh/Hawwāh/Havah/Hava/Eva – ყოველი ცოცხალის დედა).

^⑤ მოგვიანებით, ქრისტიანულ ეპოქაში, “ნენანას”, როგორც რელიგიის ისტორიიდან ცნობილია, ივერონის მონასტრის ძერები ათონის წმინდა მთაზე უგალობდნენ ვითარცა ღვთისმმობელს (იხ.: მთავარეპისეკომოს ანანია ჯაფარიძის წიგნი – “შობა, ჯვარემა, აღდგომა და ამაღლება უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იქნო ქრისტები”, I თავი).

ლექსიკურ პარალელებთან ერთად ქვემოთ მოცემულია “უესტოსის დისკობე” ამოტვიფრული შემდეგი სიტყვები:

I. “ნენა”/“ნენანა” – ახალი ნანა, პირველი დედა, წმიდა დედა;



♦ ლაბ.: “ნენა” – ქნა, სიტყვა; მეგრ.: “ნინა” – უძრავი სიტყველება;

♦ მეგრ.: ”ნე”; ლაბ.: “აღანი”, “აღანე”; მიკენური ბერძ.: წილ [ne-wa]; ბერძ.: νέφα, νέος, νέα, νέη, νέον; ლათ.: nouus – ახალი;

♦ მეგრ.: “ნეში”/”ნეშა”/”ნეჩი”/”ნერჩი” – დედამიწისა და ქასხახლის] ფუძე-ადგილის მფარველო დედა-ღვთაების გეწოდება; ფუძისა და მიწის ღვთაება, დედა-მიწის ღვთაების სახელი, აღვილის დედა (ივ. ჯავახიშვილი, X ტომი, 1992, გვ. 84); ქვედა [მიწის] კერძო (სელხან-საბა);

❖ შეად.: აფხაზ.: “ანგ’ში”/”ანგ’შვ” – მიწა, ნიაღავი;

❖ კოლხ.: “ნანა”/”ნანაია”/”ნაია”/”ნა” – დედა; დედა-მიწის დედაღვთაება; “ჰანი” – მამის დედა (სელხან-საბა); აფხაზ.: “ან” (მრ. რ. “ანაუა”/”ანაუვა”) – დედა/ნანა; აფხაზ.: “ნან!” – დედიკო; “ანანა” – ქართული ქალ-ღვთაება; ბერძ.: ’Ανάνικη – ბერძნული ქალღვთაება, მოირების (ბერძ.: μοῖραι – 1. ნაწილი, წილი; 2. ხელორი, ბედი, რომელიც ეძღვევა ყოველ დაბადებულს) დედა; ხურიგული: hannah – დედა/ნანა; Hannahannah – დედა-მიწის დედაღვთაება და ხეთური ღვთაებების დედა/ნანა; სვან.: “ნენე” – დედა/ნანა; უდიური (ლეგბიური ქვეყნების ენებიდან): “ნანა” – დედა; ბერძ.: ოპა-კუბელა – პელაბგურ-კოლხური მოღვის მაკრონების დიდი დედაღვთაება რეა-კიბელე; ხენძური (დაღესტნური ქვეყნის ენებიდან): “ებელ” (მრ. რ. “ულბელ”) – დედა; ფრიგიული: Matar Kubileya – დედა ქუბილია/კიბელებისად;

❖ შეად.: მეგრ.: “ქობალი” – ხორბალი, პერი (კიბელების შეხაწირავი); ტომონიში “ქობულეთი”; ტომონიში “ხიბულა” – შემოყორილი აღვილი და ხოჭელი ხობის რ-ნში; მეგრ.: “ხიბილი”/”ხიბირი” – სხლტკ; ყორე; ხერგილი/ხერგული; მეგრ.: “ხიბუა”/”ხგბუა” – ქვის კედლის ამოყვანა მშრალი წყობისთ; მეგრ.: “ხიბა”/”ხიბა” – კარი; ტომონიში “სიბარისი” – კოლხთა დედა-ქალაქი (დიოდორე სიცილიელი, IV წიგნი, 48-1).

II. “ნეშკარე” – ახალი კარი, პირველი კარი, წმინდა კარი, მთავარი კარი; დედის კარი;



❖ მეად.: ტოპონიმი “ნე[ნე]შკარი” (მარტვილის მუნიციპალიტეტის ნი;

❖ ლაბ.: “ნექნა” – კარი.

III. “ფაგარგთგ” – 1. ფაგარი/ფაგარი – ძვირფახი ქვა; 2. ხაამო;

❖ მეად.: ბერი: πάγκαλος – მშვენიერი, მესანიშნავი; ბერი: παγκάλως – ძალიან ლამაზი; მეგრ.: ”ფაქარი დიხა”/”ფაგარი დიხა” – მძრალი, მსუბუქი, ფხვიერი და უნაყოფუ მიწა, ადვილად დასამუშავებელი, – ფაშარი.

3. პელასგი, კრეტელები;

❖ ხეთური: Parista – ფილისტიმელები, პელასგები (წინასაბერძნებელის მკიდრი მოსახლეობა);

❖ მეად.: მეგრ.: “ფარდი” – ბღეარი; მიჯნა; ხამლები;

❖ ბერი: Πελασγοί – თესალიელთა ტომი (პომერი); ბერი: Πελασγός – პელასგთა მითიური წინაპარი; ბერი: Πελασγία – პელასგთა ქვეყანა, ნახევარკუნძული პელოპონესი (აპოლონიოს როდოსელი, პერიდოტე);

❖ მეად.: ბერი: πέλλαγος – ბღეა; ქართ.: “ფარგვლა” – /მემოსაბღერა, მემოსაბღედვა; “ფარაგი” – კონტური, რკალი; ბერი: πέλλας – ახლო, მახლობლად;

❖ მიკენური ბერი: ΚΕ-ΡΕ-ΣΙ-ЈΟ]; ბერი: Κρήτη, Κρήσιος; ევვიპტ.: ΚΕ-ΡΕ-ΣΙ-Α [ქჟომ-ჟ]; ებრ.: יָהָרְכָה, קֶרֶחֶם [ტქრთა]; Ριμπά, Κελάχ [ტქრმ] – კრეტა, პელასგთა ხაეხთვრისი (იხ.: ბიბლიი: I მეუეთა 30.13-14; იეρუმია 47.4; ამო 9.7);

❖ მეად.: Κρητέα – პასიფაეს დედა (დიოდოროს სიცილიელი, IV წიგნი, 60); “ქართუ” – უძევლები ქართველები; მეგრ.: ტოპონიმი “ქართი” – თბილისი; ტოპონიმი Καιρατος – ქნოსოსი (სტრაბონი, IV წიგნი, 8, 270); ტოპონიმი “კარიეთი” – მესაქრებელი ადგილი, კუნძული (სოფ. ნოსირი, სენაკის რ-ნი); მეგრ.: “ქართა” – 1. ირგვლივ მობღედელი, მემოფარგლელი, გამაგრებული და მესაქრებელი ადგილი; 2. მთვარის გვირვენინი, რკალი. მაშასაღამე, “კრეტა” კოლხერად ნიმნაეს ბლვით გარემოულ, მემოფარგლელ მიწას;

♦ ბერძ.: Κρήτες; ებრ.: כְּפָתָרִים, לְבָנָן [ქუთრმაშ] – კრეტელები (იხ.: ბიბლია: დაბადება 10.14; II რჯელი 2.23; II მეფეთა 20.23; ეგვიყნი 25.16; სოფონია 2.5);

♣ შეად.: ლათ.: capital – მთავარ-ქალაქი, დედა-ქალაქი.

IV. “თურგ”/“თურგნე” – I. გვარი, მოგვარე, სის-ხლით ნათეხაობითი ერთობა; 2. ეტრუსეკები;

♦ ბერძ.: τύρρης/τύρσις; ლათ.: turris – I. ციხე-ხი-მაგრე; 2. კოშკი;

♦ ბერძ.: Τυρρήνια/Τυρσηνία; ლათ.: Etruria – ოირე-ნია, ტირსენია, ეტრურია (მხარე იტალიაში);

♦ ბერძ.: Τυρρηνοί/Τυρσηνοί; ლათ.: Etrusci, Tusci; ეტრუსკ.: Rasena/Rasna; ეგვიპტ.: የኩርኩያ/ቻቻ [თურმა/თურმა] – ტირენები, ტირსენელები, ეტრუსეკები;²

♣ შეად.: მეგრ.: “თურგსკა”, “თუსკა” – ნათეხავი ხალხი.

⑦ “ჰლუტარქეს გადმოცემით ჰელასგური წარმომავლობის ტირენები (ეტრუსეკები) ჯერ თესალიაში მოსახლეობდნენ, მერე ლიდიაში გადასახლდნენ, ლი-დიიდან კი იგაღიაში გადავიდნენ. ჰლუტარქე ჩვენთვის უცნობ, უძველეს წყაროებზე დაყრდნობით გვიმოწმებს ამას და რომის დაარსების შესახებ ამბობს, რომ ძვე-ლი ცნობებით ეს ქალაქი დაფუძნებულია საბერძნეთი-დან ლგოლეილი ჰელასგების ან კოლხთა წინამდო-ლის აიეგის დის კირკეს ვაჟის – რომანოს მიერთ (“რომულუსი”, თ. I; 2)” (აკაკი ურუშაძე, თბილისი, 1964, გვ. 123).

ძელებერძენი ლოგოგრაფოსი ჰელანიკე მიტილენე-ლი (ძვ.წ. 480-395) თავის თხებულებაში, “უორონიდში” (Φιρωνίδος, I, 4(1)) ამბობს, რომ თესალიის მეუე ჰე-ლასგეს მთამომავლის, ნანას მეფობის დროს ელინების მიერ უწინ ჰელაზებად წოდებული ეტრუსეკები განდევ-ნილ იქნენ იგაღიაში (იხ.: აკაკი ურუშაძე, 1964, გვ. 109, 272).

V. “გარგფე”/“გარგფენე” – I. კორიბანტები;

♦ ბერძ.: Κύρβας/Κορύβας (მრ. რ. კოρύβანთეς/ კირბანთეς); ლათ.: Cyrbas/Kyrbas/ Corybas/Korybas

(მრ. რ. Cyrbantes/Kyrbantes/Corybantes/Korybantes) კორიბანტესი
კორიბანტესი და მეცნიერებების ფურულები;

¶ შეად.: ბერძ.: კურბაც (მრ. რ. კურბაც) – კარბი, სამწახნავოები პირამიდული წერილ-სკეტი; ბერძ.: კურბაცია – ”გიარა”, სპარსული წერილიანი ქუდი; ბერძ.: კორუფე – წვერი, კენწერი; მეგრ.: “კორობუა” – მუშაობები, მუშაობა; მეგრ.: “გურაფა” – სწავლა.

2. კაბირები;

♦ ლათ.: Cabiri; ბერძ.: Κόβερος, Κόβαλος (“ფუძის ანგელოზი”) => Κάβειροι, Καβειρώ – კაბირები, ჰელენოსის შვილები;

¶ შეად.: ხევს.: ”კოპალა”; მეგრ.: ”ცობალგა” – ძვ. ქართული ღვთაება; გვარები: ”კოპალიანი”, ”ქობალია”, ”კობერიობე”.

3. კურებები;

♦ ბერძ.: κόρος, κοῦρος, κοῦροι => Κούρητας, Κούρητες, Κούρητες – კურებები, რეა-კიბელების და მეცნიერების ქუდები;

¶ შეად.: მიკენური ბერძ.: ΦΔ [ko-wo]; ბერძ.: κόρφοι, κόροს, κοῦρος – γθαΐζοιლი; ბერძ.: κύρος – ძალა, ძალა-უფლება; ბერძ.: κύριος – ძალონი, მეთაური; მეტყ.; უფალი; ბერძ.: κόρυς – თავი (?) ; მიკენური ბერძ.: ΦΡ [ko-ru]; ბერძ.: κόρυς – მუტარადი; ბერძ.: კურიაკოს (κύριος) – ღვთაერი; ”კურია”.

4. კარიელები;

♦ ბერძ.: Κάρες – კარიელები; ბერძ.: Κάρι, Κάρ, Κάρ, Κάρος – კარიელთა მამამთავარი.

5. გარები/გალები => ”განგარელები”/”განგარელები”;

¶ შეად.: ტომონიში “მინგარიე”/”მიგარია” – მთა მარტვილის რ-ნში, ეგრისის ქედზე; ბერძ.: Μέγάρα – ქალაქი კორინთოს უბესთან; ბერძ.: Μεγαρίς – მხარე ძვ. საბერძნეთში; ბერძ.: Μεγαρεύς, Μεγαρέες – მეგა-რელები; მეგაროν – წმიდათაწმიდა დელფოს ტაძარში.

6. გოლხები/კოლხები, კოლხები;

♦ ბერძ.: Κολχίς (<= ”კოლ”+”ხი” = ”კოლი ხალხი”, ძვ. მეგრ.: ”ხი” – ხალხი); Κολχίδიς – კოლხებითი;

შ მეად.: მიკენური ბერძ.: $\oplus\ddot{\circ}$ [ka-ko]; ბერძოლის ჯალკინ – სპილენძი.

7. ეგრეთი/ეკრები \Rightarrow მეგრელები/”მარგალები”;

♦ ბერძ.: **მაკრეს** <= **მაკრეს**, მხ. რ. **მაკრენი** (<= **მაკრის/მაკრი** – ჟღაბევთა ღვთაება ჰელიოსის ვაჟიშვილი), **მანგრალი/მაგრალი**, **მაკრონეს**, **მიკრელი**, **მაგრალი**, **მაგრალი**, **ეკრიტიკე/ეგრისტიკე** – მაკროსელები, მაკრელები, მაკრონები, ^{მაკრელები}¹⁰ მეგრელები, ეგროსელები;

♦ აფხაზ.: “აგრეა”; ძვ. სომხ.: ხეტელ [ეგერქ] \Rightarrow ხეტელაგი [ეგერალი] – მეგრელი;

♦ ევროპ.: **Mingrelia/Mengrelia/Megralia/Megrelia** – სამეგრელო;

♦ მეად.: მეგრ.: „მარგეალი“ – დამრგელი, ბერძ.: „**Αργος Πελασγικόν** – ორგონი, ჸელაბგური ქალაქი თესალიაში (ჸომერონი); ბერძ.: ორგოს – 1. სწრაფი, მარდი; 2. თეთრი; 3. მბრწყინვავი, მზინვარე, კაშკაშა. “გამოთქმულია მოსაზრება, რომ სიტყვის ძირია ქართველური “მარგალი” (მეგრელი, ეგრისელი)“ (აკაკი გელოვანი, „შითოლოვიური ლექსისითინი“, თბილისი, 1983, გვ. 65).

⑧ “სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ “მაკრონი” (სან-ი/გან-ი) მეგრელთა საგომო სახელი იყო” (აკაკი ურუმაძე, თბილისი, 1964, გვ. 136; იხ.: ავანე ჯავახიშვილი, “ქართველი ერის ისტორია”, თბილისი, 1913, გვ. 29; სიმონ ჯანაშვალი, “თუბალ-თაბალი, გაბარენი, იძერი”, “შრომები”, III, თბილისი, 1956, გვ. 6; სიმონ ყაუხჩიშვილი, “რას ვკიამბობენ ძეელი ბერძნები საქართველოს შეხახებ”, თბილისი, 1964, გვ. 18).

♦ ბერძნელი წყაროების მიხედვით, “მაკრონების უფრო ძეელი სახელი უნდა იყოს დაცული – ეს სახელია მაკრისელები ანუ მაკრელები” (აკაკი ურუმაძე, თბილისი, 1964, გვ. 126).

♦ “მაკრისელების ლაშქარი პელასგურად მოიხსენია [როდოსელმა პოეგმა], ვინაიდან ისინი [მაკრისელები] ეგბეელთაგან არიან გადმოსახლებულნი. [კუნძული] ევბეა [ანუ მაკრისი, ხალკოდოგისი, ახლანდელი ნეგროონგი, ევია, ეგრიბოსი] კი მდებარეობს მახლო-

ბლად პელომონესისა, რომელსაც მეეღად პელასტის კურქვა” (*Scholia in Apollonii Argonautica ex recensione Henrici Keilii, ed. R. Merkel, Lipsiae, 1854. ob.: ოქაკი ურუშაძე, თბილისი, 1964, გვ. 130-133, 136-139, 321).*

♦ “პელასტია ოდინდელი სამკვიდრებელი კორინთო – ეფირე (*Εφύρη*) ძველი წყაროების ჩვენებით (ევ-მელოსი, ეპიმენიდე, სიმონიდე, ლიკონტრონე და სხვ.) პელიოსის ძის აიეტის და მისი შთამომავლობის საგამგებელო მხარე იყო. იასონი და მედეა კორინთოში ჩადიან როგორც წილნახველრ ქვეყანაში” (აკაკი ურუშაძე, 1964, გვ. 17, 122).

♦ “აიეტი ეფირესთან, ანუ წინაბერძნული ტომების გავრცელების ერთ-ერთ ძირითად რეგიონთან არის და კავშირებული, კირკეს სამეუფო მისი კოლხიდიდან დასავლეთით გადასახლების შემდგომ ტირსენიის, ანუ ეტრუსკების ქვეყანაში მდებარეობს, ხოლო პასიფაე კრეტის მეფის, მინოსის მეუღლე ხდება. კრეტა კი წინაბერძნული მინოსური კელტურის გავრცელების ძირითად რეგიონს წარმოადგენს ძვ.წ. II ათასწლეულში. თანამედროვე გამოკვლევების მიხედვით, შესაძლებლად არის მიჩნეული, რომ ძვ.წ. III-II ათასწლეულთა მიჯნაზე კავკასიის ფარგლებიდან ქართველურ ტომთა ერთი ნაწილი ეგიიდაში გადასახლდა, რაც აქ პელასგური ეთნოსის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. აქედან მოხდა ქართველიბებული ტომების ერთი ნაწილის კ. კრეტაზე, ხოლო მეორე ნაწილის იგალიაში გადასახლება. ამ პიონერების საფუძველს წარმოადგენს ეწ. წინაბერძნულ, მინოსურ და ეტრუსკელ ენობრივ მთაცემებში მნიშვნელოვანი ამკარად ქართველური ელემენტების გამოყოფა” (“არგონავტები”, ბერძნული მითების სამყარო, თხრობა და კომენტარები რისტაგ გორდებიანისა, “ლოგოთი”, თბილისი, 1999, გვ. 50).

VI. “გლემფუ”/“გლემფუნე”/“გლემფუ[რგ]ნ[თ]ე” /“გ[რ]ჩხეგმფუ”/“გ[რ]ჩხეგმფუ[რგ]ნ[თ]ე” – I. ლაბირინთი; განსაწმენდელი სასახლე;

♦ მეგრ.: “ოლგურინთე”, “ოფურინთე”, “დოფურინთე”, “დაფურინთე”; ლაბ.: “დოფუთხინუ” (< მეგრ.: ”ურინიი”/”ურინუა”; აფხაბ.: “აფურრა” – ურენა, გაფრენა);

¶ მეად.: მეგრ.: “დოფონე” <= “დოფონუჭულუსის” /დაფარვა, დაფარება; დამაღვა;

♦ მეგრ.: “გლე”/“ოლ”/“ოლე”/“ოლგ” – ხავალი; გზა; გასასეღველი; მეგრ.: “ულა” – ხელი, წასეღვა; მეგრ.: “ულე”/“ულეუ” – 1. წასეღვა; 2. დაელეველი; ლაბ.: “ულ”/“ულე” – ხიარული, მგბავრობა;

¶ მეად.: ინდო-ევროპული: ას = uelu – ტრიალი, ბრუნეა;

♦ მიკენური ბერძ.: Πυρίττη ἡλιχή [da-pu-ri-to-jo po-ti-a]; ბერძ.: Λαβυρίνθειο (Λαβύρινθος) Ποτνία – ლაბირინთის ქალღვთაება (არიადნე?);

¶ მეად.: მეგრ.: “ჰაგვნი”, “ჰაგვნია”, “ჰაგვნი”, “ჰაგვნი”; ეტრუსკ.: punthni; ბერძ.: Πρύτανις – ბატონი; მიკენური ბერძ.: †† [pa-te]; ბერძ.: πατέρ – მამა.

2. ოლიმპო;

♦ ბერძ.: “Ολυμπίος, Ουλυμπίος; δვ. ქართ.: “ულუმბო”; მეგრ.: “ოლუმფუ” – ოლიმპი, მთა საბერძნეთში, ოქსალიაში (ბერძ.: Θεσσαλίας/Θετταλία <= Θεσσαλός/Θετταλός – მედვას მეოღი. იხ.: დოოდორე ხიცილიელი, IV წიგნი, 54-1, 55-2);

¶ მეად.: “ულუმბია” – მოელგარე (სულხან-ხაბა).

VII. “ნაყო” – 1. მეგრ.: “ნოყო” – ნაყოფი; 2. ნაყარი, განმგოება;

VIII. “ჩხოფა[გ]ურგნენა”/“ჩხოფა[გ]ურგნენანა” – გახხიფოსნებული/ცხებული [ახალი, პირველი, წმიდა] დედაღმერთი/სიტყვაღვთაება/ენაღვთაება;

¶ მეად.: მეგრ.: “ჩხორია” – ხხიფი; მეგრ.: “ჩხონა”/“ჩხანა” – მმჯ; ლაბ.: “ჩხოფა” – ხიტხე, გვალვა; მეგრ.: “ჩხონაფა” – ცხონება; ლაბ.: “ჩხიმოლაფა”, “ცხიმოლაფე”, “შხიმოლაფა” – ბრწყინვა;

♦ ძვ. მეგრ.: “გრგნე”, “გრგნი”, “გრგნე”, “ორონი”, “ორონე”; მეგრ.: “ღორონთი” – ღმერთი.

¶ მეად.: “ორონი” – ძეგლი წერილისა (სულხან-ხაბა); ხვევი (იხ.: ბიბლიი: დაბად. 28.18-22; 31.13; გამოხ. 20).

IX. “აგაბგშვე მაგჩხე” – გამწმებდელი/წინაძღვოლი აია-ჭაბუქები;

* ძვ. მეგრ.: “აგა”/“აკა”; მიკენური ბერძ.: ἡττί [a-wat-ti] – აია; მიკენური ბერძ.: ΚΟ- [ko-ki-de], ΚΟ- [ko-ki-de-jo] – კოლხეთი; ბერძ.: Αἴα Κολχίς, Αἴα Κολχίδος – აია-კოლხეთი (პერიოდოგ, I წიგნი, 2);

* კოლხ.: ბეგშ; მეგრ.: “ბოში”; სეან.: “ბეფშ”/“ბობშ”; უბისეური (აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ენები-დან): თავა; დაღესტნური ჯგუფის ენებიდან: ანდიური: “ვოში”; თაბასარანული: “ბიწი” – ბიჭი;

* ძვ. მეგრ.: “მარჩხისი” (<= “ჩხუალა”/“რჩხუალა” – რეცხვა) – გამწმენდელი;

* შეად.: “მაჩხი” – [თვალი] მოთეთრო და მშვენი-ერი (ხულხან-ხაბა).

X. “ფათუ” – ტოპონიმი 1. ფეხსტოს; 2. ფოთი;

* მიკენური ბერძ.: πάτος [pa-i-to]; ბერძ.: Φαιστός – ფეხსტოს;

* ბერძ.: Φάσις^④ Φάσιδος; ლაზ.: “ფაში”, მეგრ.: “ფუთი” – 1. ფოთი; 2. “ფუბე” – ფუბე, პირველი საზ-კეილონ;

* შეად.: ბერძ.: Πότις – τηλεატი (?) ეგვიპტ.: Πατός [ფოპ] – τηλεატ-ღვთაება, ცუცხლის ღვთაება; ბერძ.: Ἡφαιστος; რომ.: Vulcanus – ძვ. ბერძნული ცუცხლის ღვთაება და დო-ლოსტაგი.^⑤

④ “ბერძნული ფასისი მიგვანიშნებს ქართველური ენების განვითარების იმ დონეზე, როდესაც ქართულ-ბანური ა-ს ო-ში გადასცვლა ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი. შესაბამისად, ბერძნულში გმირთა ეპოქაში სახელწოდება ჯერ კიდევ *ფათი ფორმით უნდა შესუ-ლიყო, რომელიც შემდგომ მეგრულ ფოთი-ში გადა-ვიდა” (“არგონავთები”, ბერძნული მითების სამყარო, თხრობა და კომენტარები რისმაგ გორდებიანისა, “ლოკოსი”, თბილისი, 1999, გვ. 100).

⑤ “მეც ეგვიპტელთა ღვთაებანი თითქმის ერ-თიანად კოლხური ჩამომავლობისა არიან, ფინიკიურ-თან და პელასგურთან ერთად, ეგვიპტერი სახელები და ხალხის ხასიათი კი თვითონ შეუქმნეს” (ეკურ ითა-ხიმ შპრენგელი [1766-1833], ცნობილი გერმანელი ბენ-ბისმეტყველი, ბოტანიკოსი, მედიცინის ისტორიკოსი], “უძველესი კოლხური მედიცინა”. იხ.: არნოლდ ვილა-

ნოველი, „სალერნოს ჯანმრთელობის კოდექსის მუზეუმის დაცვისთვის 1989, გვ. 28), ხოლო “ელლადაში თითქმის ყველა ღმერთის სახელი ეგვიპტიდანაა შემოსული” (პერო-დოტე, II წიგნი, მუხლი 50).

ჩემი გამოკვლევით დადასტურდა:

1). სერ ართურ ევანსის, ჯონ ჩედვიკის, ჟან-პიერ ოლივესა (ძელგის სამეცნიერო კელევების ნაციონალური ფონდის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი) და ფრანსუაზა რუქმონის (საფრანგეთის არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის სახლის თანამშრომელი, ევეოსური პროფოსიტორის სპეციალისტი) უმთავრესი მოსაზრება, რომ “ფესტოსის დისკოზე” აღნიშნული ნიშანთა ერთობლიობა ტექსტია;

2). ვიქტორ ქეანის (1931-2003, გერმანელი მკედველი) პიპოთება, რომ დისკოს A გვერდის ცენტრში წარმოდგენილი მზის სიმბოლო, რვაფურცლიანი რობეტი ♦ დასაწყისის ნიშანია;

♦ მეგრ.: “აგა”/“ალგა”/“ელია” – დასაწყისი;

♦ მეგრ.: “აია-ჟამხა” – აია-მზის დღე;

♣ შეად.: ბერძ.: ოლიო, ოლიო; მეგრ.: “ალგნი”, “ალონი”, “იალონი” – აისი, ალიონი, განთიადი; მეგრ.: “ბეაიოლუ”/“ბეაიოლუ”/“ბეაიო” – აღმოსავლეთი.

3). ლ. პერნიეს პიპოთება, რომ დისკოს A და B გვერდებზე წარმოდგენილი სიმბოლო ვერტიკალური ხაზი ხუთი წერტილით დასასრულის ნიშანია;

♦ მეგრ.: “ლგა”/“დაგა”/“დალგა” – დასახრული, ბოლო, დამლევე;

♣ შეად.: მეგრ.: “ბეადაპლუ”/ “ბეადაპლუ”/ “ბეადაპლი” – დასავლეთი.

4). ლ. პერნიესა და ვ. ქეანის არგუმენტები, რომ ნახატნიშნები იკითხება მარცხნიდან მარჯვნივ, ანუ ცენტრიდან ნაპირისაკენ;



5). ეან ფოკუნოს (პარიზის ლინგვისტური სამოქანაკთხოების დოკოდის წევრი, მათემატიკოსი), მარკო გუილო კორსინისა და ჩემს მიერ გაშიფრული მარცვლების ნაწილობრივი დამთხვევა;

6). სერ ევანსის პიპოთება, რომ წარწერა საგალობრელია და ეძღვნება ნაყოფიერების ქალღვთაებას.

P.S. მადლიერებით მინდა აღნიშნო, რომ უკვე მივიღე უცხოელი მეცნიერების: ქით მესისის (აშშ), მარკო გუილო კორსინის (იგალია), ტორსგენ ტიმის (გერმანია), ივე დიუს (ბელგია), დიგერ რუმფელისა (გერმანია), გარეთ ალექ ოუენსის (საბერძნეთი) და კარინა ვამლინგის (შვედეთი) წერილები, რომლებშიც ისინი გამოხატავენ დაინტერესებას “უესტოსის დისკოს” წარწერის ჩემს მიერ გაშიფრის გამო.

ბოლოს, მივმართავ მეცნიერებს, დაინტერესებულ პირებს წინადადებით – გაიმართოს დიალოგი ამ მეცნიერული გამოკვლევის გარშემო.

Gia D. Kvashilava
giakvashilava@yahoo.com

The Phaistos Disc – the Colchian Gold-Writing

In this work is deciphered a syllabic-logogram writing of the Phaistos Disc. A text is written in the ancient Colchian, on Cretan dialect of the one. The disc is the oldest European religious and literary document, a verse of a hymn to the Aea and Chthonian (Colchian: "Aia-Neshkari/Nerchi") Palasgo-Colchian Magna Mater deorum Idaea, "Dea Dia", Great Mother Goddess Nana/Rhea/Cybele/Cibela/Kubau/Kubaba/Kebat/Hepat (Greek: Μεγάλη θεά Νόνας/Πέα-Κυβέλη/Ρείη-Κυβέλη/Κυβῆβη; Colchian: "Nana" – *mother*; Greek: Πέα-Κυβέλη – *Macronian (Colchian) Great Mother*; Phrygian: Matar Kubileya; Cf. Hebrew: חַוָּה [chwh], Chavoh/Hawah/Hawwāh/Havah/Hava/Heba/Eva – *the mother of all the living*).

1. Luigi Pernier, 1908. "Il Disco di Phaestos con caratteri pittografici", in "Ausonia", III, 1908, pp. 255-302.
2. Sir Arthur J. Evans, 1909, 1952. "Scripta Minoa", vols. I, II, the written documents of Minoan Crete. London, Oxford: At the Clarendon Press, 1909; 1952.
3. Alessandro Della Seta, 1909. "Il disco di Phaistos", in "Rendiconti dell'Accademia dei Lincei", XVIII, 1909, pp. 297-367.
4. Alice E. Kober, 1948. "The Minoan Scripts: Fact and Theory", in "American Journal of Archaeology", Vol. 52, No. 1, S. 102, 1948, pp. 82-103.
5. Jean-Pierre Olivier, 1975. "Le disque de Phaistos", Edition photographique, in: "Bulletin de Correspondance Hellenique", Bd, numéro 99, volume 1, Paris, 1975, pp. 5-34.
6. Jean Faucounau, 1975, 1999. "Le Déchiffrement du Disque de Phaistos: Preuves et conséquences", L'Harmattan, Paris, 1975, 1999.
7. Yves Duhoux, 1977. "Le Disque de Phaistos, Archéologie. Épigraphie. Éditions Critique". Éditions Peeters, Louvain, 1977.
8. Victor J. Kean, 1985. "The Disk from Phaistos", Efstathiadis Group, Athens, 1985 (122 p.).
9. John Chadwick, 1987. "Linear B and Related Scripts – Reading the Past", Vol. 1, Berkeley, University of California Press and London, British Museum Publication, 1987, p. 44-61.
10. Louis Godrat, 1995. "The Phaistos Disk: The Enigma of an Aegean Script", Translated by Alexandra Doumas, Editions Itanos, Iraklio, 1995.
11. Emmett L. Bennett, 1996. "Aegean Scripts", in The World's Writing Systems, edited by Peter T. Daniels and William Bright. Oxford: University Press, 1996.
12. Kousnetzov, V.A. 2001. "Une Enigme Archéologique du Caucase", L'Archéologue No. 52 Fevrier-Mars, Paris, 2001, pp. 26, 27; Electronic Publishing, 2004.
13. Ծաղկա Բոտալովյան, 2003. "Եցառելու գամբյերլուծատա և ստեղծման", Երացրած "Ընթացութեան", տօնածառ, 2003.
14. Gareth Alun Owens, 2006. "Evidence for the Minoan Language (5) – the Phaistos Disk", Heraklion, pp. 41-99, Electronic Publishing, 2006.

**ჩრდილო ახალშენები ჩრდილოკავკასიაში
(VIII-X საუკუნეები)**

ჩრდილოკავკასიის ტერიტორიაზე დღემდეა შემორჩენილი ქრისტიანული მატერიალური კულტურის ძეგლები, რომელთა უმეტესობა IX-X საუკუნეებით თარიღდება (1; 2, გვ. 4; 3, გვ. 14, 18, 20). ქართულ თუ უცხოურ წერილობით წყაროებში გვაქვს ცნობები ამავე პერიოდში აქ ქრისტიანთა არსებობის შესახებაც. მაგ. იოანე საბანიძის “ამო თბილელის წამებაში” აღნიშნულია: “მრავალ არს ქალაქები და სოფლები ქვეყანასა მას ჩრდილოსასა, რომელი სარწმუნოებითა ქრისტესითა ცხონდებიან უგრუნველად” (4, გვ. 453). იბნ-რუსტეს აღნიშნული აქვს, რომ დაღესტანში (სერიოზი) “ციხის ყველა მფლობელი ქრისტიანია, დანარჩენები – წარმართები” (5, გვ. 118).

როდესაც ჩრდილოკავკასიის ისტორიის მკვლევარები ამ რეგიონის ქრისტიანიზაციაზე საუბრობენ, სწორედ ეს არგუმენტები მოჰყავთ. არსებობს საწინააღმდეგო მონაცემებიც, რაც აქ მცხოვრები ხალხების ქრისტიანობას არ ადასტურებს. იგივე და სხვა წყაროებიც იუწყებიან, რომ ეს ხალხები არა თუ IX-X საუკუნეებში, არამედ მოგვიანო პერიოდშიც არც მყარი ქრისტიანები იყვნენ და არც მყარი მაპმალიანები (7, გვ. 552, 553, 638, 639, 653...; 14; 11, გვ. 38, 32, 40; 9, გვ. 264, 267). არქეოლოგიური გათხრების შედეგად ქრისტიანულ კულტურასთან ერთად, მისგან განსხვავებული კულტურული მრევებია აღმოჩენილი (3, გვ. 89, 107, 187, 190, 201...). ერთმანეთის გვერდით ორი კულტურის თანაარსებობის კვალი აშკარაა. ერთი ქრისტიანულია, ხოლო მეორე არა მარტო წარმართული, არამედ მისგან რაღიკალურად განსხვავებულიც. ეს უკანასკნელი რომ აღგილობრივ მცხოვრებლებს ეკუთვნის ამაზე არაერთ დავობს. მკვლევრები თანხმდებიან იმაზეც,

რომ ქრისტიანული კულტურა აქ ქართული სახელმწიფოს
პოლიტიკური და კულტურული გავლენის შედეგია. ჩვენის
აზრით, გავლენა სხისი მიბაძვით, სხვა კულტურაში უკვე
არსებულის მიხედვით განსხვავებულის, რაიმე ახლის
შექმნას ნიშნავს. ამ ტერმინის ჩრდილოკავკასიაში არსე-
ბულ ქრისტიანულ კულტურასთან მიმართებაში ხმარება,
ვუიქრობთ, უადგილოა, რადგანაც ისინი ქართული კულ-
ტურის გავლენას კი არ განიცდიდნენ, არამედ მის ორგა-
ნულ ნაწილს წარმოადგენდნენ, და ქართველების მიერ
(რა თქმა უნდა, არ გამოირიცხება აღვილობრივი მოსახ-
ლეობის მონაწილეობაც) არის შექმნილი და დანაგოვა-
რი, რასაც ლოგიკურად მივყავართ ამ ტერიტორიებზე
ქართველთა დასახლებების არსებობასთან. ამ მოსახრე-
ბას ამყარებს: ქართულ და ქართულ-ხუნძურწარწერიანი
ქვა-ჯვრების აღმოჩენა, რომლებიც აქ ქართველთა სა-
საფლაოს არსებობაზე მიგვანიშნებს (15, გვ. 185-197); და-
დესტნერ ფოლელორსა და გადმოცემებში შემორჩენილი
უამრავი ცნობა აქ ქართველების ცხოვრებასა და ქართუ-
ლი წარმომავლობის შესახებ (17, გვ. 255-257); და ბოლოს,
ქართულ საისტორიო წყაროებში მოყვანილი არაერთი
ფაქტი ამ პერიოდში ჩრდილოკავკასიაში ქართველთა მა-
სიური გადასახლების შესახებ.

ჩრდილოკავკასიაში ქართველთა გადასახლებები
ადრეული პერიოდიდან ხდებოდა და მისი გამომწვევი ძი-
რიითადი მიზეზი მტრის შემოსხვა ან შინააშლილობა იყო.
“ქართლის ცხოვრებაში” შემორჩენილია ცნობა, როდესაც
თვით ვახტანგ გორგასალი მოუწოდებს მოსახლეობას
მთებს შეაფარონ თავი. სპარსელების ერთ-ერთი შემოსე-
ვის დროს მან “წარავლინა ქადაგნი, რათა დაუტეონ
სოფლები და ქალაქები, რომელი იყო არა ძლიერი, და
შეივლგოდიან კავკასიანთა და კახეთად, რამეთუ კახეთი
ტყე იყო და შეუვალ მტრისა მიერ” (6, გვ. 200).

გახიბნული მოსახლეობის უმეტესობა საომარი მუქ მედების დამთავრების შემდეგ თავის კერას უბრუნდებოდა: ამ შემთხვევაში მთას ბარის მოსახლეობისთვის თავ-შესაფრის ფუნქცია ეკისრებოდა.

ქართველების ჩრდილოეთ კავკასიაში გადასახლებამ არნახულ მასშტაბს არაბობის დროს მიაღწია. მათი ბაგონობა საქართველოში დაბაზოებით სამას წელიწადს გაგრძელდა. VII საუკუნის 50-იან წლებში საქართველოში შემოსული არაბების შედარებით მშვიდობიანი და შემწყნარებლური დამოკიდებულება მაღა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ მტრული, აშკარა თუ ფარული, სარწმუნოებრივი თუ ეკონომიკური შევიწროება-დევნით შეიცვალა. VIII საუკუნიდან გახშირდა არაბების დამსჯელი ექსპედიციები ამიერკავკასიაში. ქვეყნისთვის განსაკუთრებით დამანგრეველი არაბების და ხაზარების დაპირისპირება იყო, რომელიც ხშირად საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. არნახული უბედურება დაატეხა თავს საქართველოს არაბთა სარდალმა მურვან-ყრუმ. მას პირველ რიგში აჯანყებული ქართველების სამაგალითო დასჯა პქონდა გადაწყვეტილი. სახალიფოში ამ ლაშქრობით ხაზართა საკითხის გადაჭრასაც იმედოვნებდნენ. მურვან-ყრუს მრავალათასიანი არმია ჰყავდა. მან მთელი კავკასია დალაშქრა, ციხეები დაანგრია, მოსახლეობის უმეტესობა ამოხოცა, ნაწილმა კი გაქცევით უშველა თავს.

ქართლის წარჩინებულებმა უაზროდ ჩათვალეს მასთან შებრძოლება და ოჯახებიანად მიუვალ მთებში გაიხიბნენ. ტყე-ღრეს შეაფარეს თავი მდაბიოებმაც. ჯუანშერი წერს: “ყოველნი მთავარნი და პიგიახმნი, ნათესავნი ერისთავთა და წარჩინებულთანი, შეიმეოგნეს კავკასიად, და დაიმალნენ ტყეთა და ღრეთა” (9, გვ. 234). ხოლო ქვეყანა ისე გაპარტახდა, რომ “არღარა იშოვებოდა ნაშენები, არცა საჭამალი კაცთა და პირუტყვთა” (6, გვ. 239).

მშვიდობა არც მურვანის ლაშქრობის შემდეგ დამყარებული იყო. სახალიფოს ხელისუფლებაში აბასიდების დინასტიის მოსვლის შემდეგ (749წ.) არაბთა ბატონობა უფრო დამძიმდა. მათ გააღიდეს გადასახადები. დაიწყო არამუსლიმანთა დევნაც.

არაბთა ბატონობის მთელ მანძილზე ხდებოდა მოსახლეობის მასიური გადასახლებები ჩრდილოეთის მიმართულებით: საქართველოს მთიანეთი, ჩრდილოკავკასია, ეგრის-აფხაზეთი ის ადგილები იყო, სადაც უსაფრთხოდ ცხოვრება შეიძლებოდა. მოსახლეობის კონცენტრაციაც აქ ხდებოდა, ამ კუთხებში ინაცვლებდა ქვეყნის კულტურული ცხოვრებაც. არაბები განსაკუთრებით ქართველ წარჩინებულებს ემტერებოდნენ. მათი უმეტესობა აჯანყებებს ედგა სათავეში. ამიტომ ქვეყნის განაპირა კუთხეებში მათმა გადასახლებამ მასიური ხასიათი მიიღო. “უკეთე ვინმე გამოჩნდის რომელიმცა ღირს იყვის მეუედ შეიღთა მორის ვახტანგისათა, იქმნის შემცირებულ სარკინობთაგან” (11, გვ. 250). ჯერ კიდევ VII საუკუნის ბოლოს ეგრისს თავი შეაფარა სტეფანობ ერისთავმა ოჯახითურთ. ის და მისი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე მირი ეგრისში გარდაიცვალნენ. მეორე ვაჟი არჩილი დაბრუნდა მშობლიურ ადგილებში და ქვეყნის აღდგენას შეუდგა. მას არაბებმა მოგვიანებით (VIIIს.) თავი მოჰკვეთეს (6, გვ. 235, 241, 247-248). არაბების რისხეას გაექცა ქართლის ერისთავი ნერსეც (VIII საუკუნის ბოლო). იგი ჯერ ხაგარეთში, იქედან კი აფხაზეთში გადავიდა. მან წინდაწინ აფხაზეთში გახიბნა თავისი ოჯახი. ლტოლვილობაში ნერსეს მხოლოდ მამაკაცებისგან შემდგარი სამასკაციანი ამაღლა გაპყვა. გასაგებია, რომ მათ ოჯახები წინასწარ პყავდათ გახიბნული (4, გვ. 453). მარტო ამ ერთი ცნობიდანაც აშკარა ხდება ამ დროს მიმდინარე მიგრაციისა და შესაბამისად ქვეყნის პერიფერიებსა და ჩრდილოეთ კავკასიის მოსაბღვრე რაიონებში მოსახლეობის კონცენტრა-

ციის მასშტაბები. როგორც ჩანს, ლტოლეილებს ადგინდეთ ლობრივი მოსახლეობისგან პრობლემები არ ხვდებოდა. ვუიქონდო, ჩრდილოკავკასიის მოსახლეობის დამოკიდებულებას შეხიბნულების მიმართ კარგად გამოხატავს ითანე საბანისძე: “ხაზართა ხაკანმა ნერსე შეიწყნარნა უხოებისათვის და სივლგოლისათვის მტერთა მისთაისა და სცა მას და ყოველსა ერსა მისსა საბრდელი და სამოსელი” (4, გვ. 453).

ქართველი დიდებულების და მათ კვალდაკვალ მდაბიოების ქვეყნის განაპირა მხარეებში გადასახლებამ ხელი შეუწყო პერიფერიების კულტურულ დაწინაურებას. წარჩინებულთა სახლები ხომ ამ დროს ეკლესია-მონასტრებთან ერთად მწიგნობრობისა და კულტურის ერებს წარმოადგენდა, მოხდა ადმინისტყრაციული ცენტრების ჩრდილოეთით გადანაცვლებაც, მეტად ნიშანდობლივი ფაქტია, რომ კახეთის ერთ-ერთი ძლიერი სამეფოს ორგანიზაცია ჩრდილოეთ რაიონებში იწყება (12, გვ. 9-37; 16, გვ. 383, 384...). ვინქრობთ თამამ განცხადებაში არ ჩაგვეთვლება თუ ვიტყვით, რომ ძალაუნებურად მოხდა პერიფერიებისა და ცენტრის ერთად თავმოყრა, რამაც ხელი შეუწყო არა მარტო განაპირა მხარეების დაწინაურებას, არამედ ქართველი ხალხის კონსოლიდაციას და საქართველოს ერთიანობას მყარი საფუძველი შეუქმნა.

კომპაქტურად დასახლებული ქართველები ჩვეული რიგმით აგრძელებდნენ ცხოვრებას: აშენებდნენ ეკლესიებს, ატარებდნენ ღვთისმსახურებას, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეობასთანაც და, რათქმა უნდა, მათ გაქრისტიანებასაც ცდილობდნენ, რასაც ნაწილობრივ ახერხებდნენ კიდეც.

IX-X საუკუნეების მიჯნაზე ქართლ-კახეთში დიდი აჯანყება მოხდა. აჯანყებულთა წინააღმდეგ ხალიფა ჰარუნ-არ რაშიდმა (786-809წწ.) გააგზავნა დიდი ლაშქარი საიდ-აბ-ხაისამის მეთაურობით, რომელიც იქამდე ებ-

რძოდა ქართლისა და კახეთის მცხოვრებლებს, ვიზუალურად ქვეყანა არ დააგოვებინა (12, გვ. 104-105). რა თქმა უნდა, გადასახლებულებს ახალი ნაკადი მიემატებოდა. მასიურ მიგრაციას უნდა ჰქონოდა ადგილი ბუღა თურქის შემოსუვის დროსაც (853წ).

ჩვენი ღრმა რწმენით, სწორედ არაბობის დროს გადასახლებულ ქართველებს მიეკუთვნება ჩრდილოეთ კავკასიაში დღემდე შემორჩენილი ქრისტიანული კულტურა. მისი გაჩენა ხომ დროში სწორედ ქართული ისტორიული წყაროების მონაცემებს ემთხვევა. X საუკუნის შემდეგ ქვეყანაში შედარებით მშვიდობიანი ვითარებაა. მოსახლეობამაც ცენტრისკენ – ბარში ჩამოსვლა დაიწყო. მაგალითისთვის – თიანეთიდან თელავში გადავიდა კახეთის აღმინისტრაციული ცენტრი (12, გვ. 118, 119; 16, გვ. 384-385). შესაბამისად, მთის იმ მოსახლეობაში, საღაც ქრისტიანობის გავრცელებისთვის აუცილებელი სოციალური საფუძველი არ არსებობდა და ის მხოლოდ იქ მოსახლე ქართველების დამსახურება იყო, თანდათან იკლო ქრისტიანულმა რწმენამ, რომელიც არც მათი იქ ყოფნის დროს იქნებოდა საკმარისად მყარი.

გადასახლების ორი საუკუნის მანძილზე ქართველები განუწყვეტლად ელოდებოდნენ სამშობლოში დასაბრუნებლად ხელსაყრელ დროს. ისინი ხომ ქართული სახელმწიფოს სიახლოეს, სწორედ საქართველოსკენ მომავალ გზებთან ცხოვრობდნენ (აյ შეიმჩნევა სწორედ ქრისტიანული ეკლესიების სიმრავლე, როგორც ჩრდილო-დასავლეთ, ასევე ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში). არც ქართულ სახელმწიფოს განუმრახავს მათ მიერ ათვისებული ტერიტორიების შემოერთება. იმდროინდელ ქართულ პოლიტიკურ წრეებში კარგად იცოდნენ საკუთარი მოსახლეობის ფასი და ძალა. მათ ქართველები საკუთარ სამშობლოში, ერთად თავმოყრილი უნდოდათ და არა სხვადასხვა ადგილებში გაბნეული, დაქსაჭ-

სული და ასიმილაციისთვის განწირული. სავსებით დაკავშირდა, კურია, რომ X საუკუნიდან სწორედ ამ მოსახლეობაზე დაყრდნობით დაიწყო ქართველი ხალხის კონსოლიდაციისა და ქართული სახელმწიფოს გაერთიანების პროცესი.

ჩრდილოკავკასიის ტერიტორიაზე კი დღმდე შემორჩა ქართული ქრისტიანული მატერიალური კულტურის ძეგლები – ქართველების აქ ცხოვრების უტყუარი მოწმე. ხალხში კი თაობიდან თაობას გადაეცემა თქმულებები ქართველების აქ მშვიდობიანი ცხოვრებისა, მათი პატივისცემისა და ზოგიერთი გვარის ქართული წარმომავლობის შესახებ.

MZIA TKAVASHVILI

NEW GEORGIAN SETTLEMENTS IN THE NORTHERN CAUCASIA (VIII-X CENTURIES)

Most of the historians ascribe the monuments of the Christian culture (IX-X cc.) extant till now in the territory of Northern Caucasia to political, cultural and religious impact of the Georgian State. But to our strong belief they denote existence of the Georgian settlements there. This suggestion is supported not by one reference preserved in the Georgian annals about mass resettlement of the Georgians, both the nobles and commoners, in VIII-X centuries - the Arabian period, to the Northern Caucasia and Egris-Abkhazia.

Compactly settled Georgians continued living they customary lives: they were building churches, carrying out public worship, having close relations with local population, even trying to christianize them.

In the X century comparatively peaceful situation established in Georgia. Population which during two centuries had been waiting for favourable time for returning back to their mot-

herland began coming down to the plain. Neither the Georgian State had any intentions to use settled by them territories for any purposes. The Georgian political circles of that time knew well the value and strength of their own population. They wanted to see the Georgians altogether in their own motherland and not scattered in different places, separated and doomed to assimilation. It's quite logical that from the X century just based on this population began the process of consolidation of the Georgian people and unification of the Georgian State.

Accordingly, with the mountain population when there was not any social basis necessary for dissemination of Christianity and its existence was only the merit of the Georgians inhabited there, the Christian faith began gradually declining which would not be steady in the times of their being there.

წყაროები და ლიტერატურა

1. Гамбашидзе Г., Вопросы христианской культуры и истории географии Аварии, Мацне, Т. 1, ТБ., 1985.
2. Гамбашидзе Г., Беридзе Т., Магомедов Д., Макаилов К., Зов веков, к истории культурно-исторических отношений между Грузией Дагестаном. Газ. «Дагестанская правда», 1977, 14 сентябрь.
3. Нагорный Дагестан в раннем средневековье (по материалам археологических раскопок Аварии), Махачкала, 1963.
4. იოანე საბახიძე, პატი წამება, ქართული მწერლობა, I.
5. А. Шихсаидов, Ислом в средневек Дагестане (11-15), Махачкала, 1969.
6. ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955.

7. ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუხჩიშვილის რედაქტურით, თბ., 1973.
8. 6. ომარაშვილი, ქვის ხელოვნება და ეპიგრაფიკა, ძეგლები ავარიიდან, კრ. “მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის”, XXVI, თბ., 2004.
9. 6. ომარაშვილი, ისლამი დადესტანში, კრ. “ისტორიულ ეთნოგრაფიული ძიებანი”, VI, თბ., 2004.
10. ს. ჯანაშია, შრომები, II, თბ., 1952.
11. გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1969.
12. დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, თბ., 1966.
13. დ. მუსხელიშვილი, ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების საკითხისთვის, კრ. საერთაშორისო კონფერენცია – რელიგია და საზოგადოება – რწმენა ჩეენს ცხოვრებაში, თბ., 2004.
14. მ. გუგეტიშვილი, მ. ჩხარგიშვილი, მ. ხუციშვილი, ქრისტიანობის გავრცელების ისტორიიდან კავკასიაში – ოსეთის სასულიერო კომისია; კავკასიის მაცნე, № 13, თბ., 2005.
15. ტ. გუდავა, ორი წარწერა დაღესტნიდან, კრ. “მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის”; თბ., 1954.
16. მ. ლორთქიფანიძე, ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, სინ, ტ. III.
17. Р. П. Магамедов, Дагестан, Исторические этюды, вып. 2, Махачкала, 1975.

მგია ტყავაშვილი, თამარ შაპიაშვილი

ჩრდილოეთი მიგრაცია საქართველოში (ძვ. ნ. III ს.)

მსოფლიო ცივილიზაციების არსებობა განუყრელადაა დაკავშირებული მიგრაციულ პროცესებთან. კაცობრიობის ისტორია ხალხთა მრავალ დიდ გადაადგილებას იცნობს. აღნიშნული პროცესი ხშირად გამხდარა დაპირისპირების, დიდი ომებისა და მრავალი ხალხის გაქრობის მიზეზი; თუმცა, ისტორიამ იცის სხვადასხვა ერების მშეიდობიანი თანაცხოვრების მაგალითებიც.

დღევანდელი მსოფლიო შემფოთებულია რელიგიებსა და ეროვნებებს შორის არსებული კონფლიქტებით, რომელთა უმეტესობას საუკუნეების წინ მომხდარი მიგრაციების შედეგად წარმოშობილი ტერიტორიული პრეტენზიები უდევს საფუძვლად. დაპირისპირებები წლების განმავლობაში გრძელდება. თანამედროვე სახელმწიფოები საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ცდილობენ შექმნან მოქნილი საკანონმდებლო ბაზა, რომლითაც შეძლებენ მიგრაციების გაკონტროლებას, თავიდან აიცილებენ ვითარების შემდგომ გართულებას, მოაწესრიგებენ და დაარეგულირებენ ეროვნებათა და რელიგიურ მიმდინარეობებს შორის ურთიერთობებს, არ დაუშევებენ კონფლიქტებს, რომლის განმუხტვა და დაპირისპირებული მხარეების მორიგება ხშირ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება. ეს კი უარყოფითად მოქმედებს არამარტო უშეალოდ კონფლიქტში მონაწილე მხარეებზე, არამედ მთლიანად რეგიონის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებასა და ბოგადად პოლიტიკურ ვითარებაზე მსოფლიოში. სეპარატიზმი ხელს უმლის გლობალიზაციას.

აქედან გამომდინარე, საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც ეროვნება-

თა შორის კონფლიქტის რამოდენიმე კერას შეიცავს ტახტათავის შორის: აფხაზეთისა და ცხინვალის (ე.წ. სამხრეთ ოსეთის), კავკასიაში მიმდინარე მიგრაციული პროცესების შესწავლა ბუცილებელია და მას დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

საკითხის კვლევა ხდებოდა ფრაგმენტულად, ერთმანეთისგან იზოლირებულად, ცალკეული მხარის ისტორიის შესწავლისას და არ ისახავდა მიზნად თვით მიგრაციის პროცესში გარკვევას. ეს კი ხელს უშლის მიგრაციის გამომწვევი მიზებების, მიმდინარეობის, მოსალოდნელი შედეგების განვითარებას, არ იძლევა პროცესის დინამიკაში წარმოდგენისა და სწორი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

წყაროების მონაცემების არასრულყოფილი გამოყენება და არასწორი ინტერპრეტაცია, ტენდენციურობასთან ერთად (რომელიც ხშირად თან სდევს ამ საკითხს) ართულებს პრობლემის ობიექტურ კვლევას და ზოგჯერ არსებულის სრულიად საპირისპირო ვითარებას წარმოგვიდგენს.

ერთის მხრივ ტენდენციურობა, ხოლო მეორეს მხრივ დაპირისპირებულ მხარეებს შორის დაბაბულობის განმუხტვის მიზნით სინამდვილის შეღამაზებით გადმოცემის მცდელობა ისტორიის გაყალბებას იწვევს. ეს უკანასკნელი კი შეიძლება გამოყენებულ იქნას ტერიტორიული პრეტენზიების დასაბუთების მიზნით, რამაც გამოუსწორებელი ბიანი შეიძლება მოუფანოს კონფლიქტში მონაწილეებს.

საჭიროდ მიგვაჩნია პასუხი გაეცეს კითხვას - ვინ ცხოვრობდა სადაც ტერიტორიაზე პირეელად და კონფლიქტი რატომ არ გვარდება? დღეს ისტორიული თუ მრავალი სხვა ფაქტორის გათვალისწინებით დადგენილია სახელმწიფოთა საზღვრები და ეს განმტკიცებულია საერთაშორისო სამართლის ნორმებით. წარსულის გა-

ყალბებაზე დამყარებული გამოკვლევა კი მხოლოდ მასში ხოლო რეგიონალური კონფლიქტების გაღვივებას ან არსებულის კიდევ უფრო გასამწვავებლად მასების ეგზალტირებას ისახავს მიზნად.

ვითარების ობიექტები და სრულყოფილი შესწავლა მიგრაციული პროცესების წარმოშობის, მიმდინარეობის, ხასიათის, შესაძლო შედეგებისა და მოსალოდნელი გართულებების წინასწარ განჭერება-გააზრების შესაძლებლობას მოგვცემს. იგი დაეხმარება პოლიგონებს არეგულირონ ქვეყანაში მიმდინარე მიგრაციები და თავის წვლილს შეიტანს საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის ევლევის საქმეში.

კავკასიის რეგიონში ყოველთვეს ინტენსიურად მიმდინარეობდა მიგრაციული პროცესები. მიგრაციებს სხვადასხვა მიზები იწვევდა, განსხვავებული იყო მათი მასშტაბები და შედეგებც. ხალხთა მცირე გადასახლებასთან ერთად ხდებოდა დიდი ეთნიკური ჯგუფების გადაადგილებები და მეტობელ ქვეყანაში მათი კომპაქტურად დასახლება. გადასახლებულების ნაწილი ასიმილირებულ იქნა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. უმეტესობა საკუნეების მანძილზე ინარჩუნებდა ენას, რელიგიას, ტრადიციებს და განაგრძობს კომპაქტურად ცხოვრებას.

საქართველოდან ჩრდ. კავკასიაში მოსახლეობის გადასვლის ძირითადი მიზები მგრის შემოსევა ან შინააშლილობა იყო, რომლის დროსაც კავკასიის მთიანეთი საქართველოს მკვიდრთათვის ერთგვარი თავშესაფრის როლს ასრულებდა. მაღალმთიანი ზონიდან მოსახლეობის ბარში ჩასახლებას კი ძირითადად ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ნაყოფიერ მიწებზე მთის მოსახლეობის ბუნებრივი ლტოლვა განაპირობებდა.

კავკასიის რეგიონში მიმდინარე ხალხთა დიდი გადასახლებების შესახებ საინტერესო და მდიდარ მასალას შეიცავს "ქართლის ცხოვრება".

ამჯერად ძვ. წ. III ს-ში ჩრდ. კავკასიიდან საქათვეულო
ლოში დურძუებით ჩამოსახლებაზე შევჩერდებით. ამ პერი-
ოდში დურძუებით იყო დასახლებული ჩრდ. კავკასიის
მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ ქვეყნის საბღვრები სხვადას-
ხვა ეპოქაში იცვლებოდა. მკვლევართა უმეტესობა თან-
ხმდება იმაზე, რომ დურძუები ვაინახები იყვნენ და მათი
ძირითადი საცხოვრისი ჩრდ. კავკასიაში, თერგსა და და-
ღესტანს შორის დღევანდელი ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერი-
ტორიაზე მდებარეობდა (1). თუმცა აღვნიშნავთ, რომ
ჩვენს საკვლევ პერიოდში, ძვ. წ. აღ. IV-II საუკუნეებში,
დურძუებით გაცილებით უფრო ვრცელ ტერიტორიაზე
განთასებული პოლიტიკური ერთეულია (2), ყოველ შემ-
თხვევაში, ამაზე მიუთითებს ლეონტი მროველის თხზუ-
ლება.

საკითხის შესწავლისას დავეყრდნობით ლეონტი
მროველისა და ვახუშტი ბაგონიშვილის თხზულებების
მონაცემებს, რომლებიც ერთიდაიმავე ფაქტს აღწერენ.
თუმცა, ცხადი ხდება, რომ ერთსაც და მეორესაც სხვადას-
ხვა ან ერთიდაიმავე, ოღონდ უფრო ძველი და სრული
დედნით უსარგებლია. მ. სანაძის აზრით, "ქართლის ცხოვ-
რების" უძველესი, ვახტანგ გორგასლამდელი ნაწილი
შედგება ცალკეული ქრონიკებისა და "ცხოვრებებისაგან",
რომლებიც, უკველია, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ავ-
ტორთა მიერ დაიწერა" (3).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დურძუებით
გადმოსახლება დაბახლოებით ოცდასამი საუკუნის წინ
მოხდა და იგი XI და XVIII სს-ის ისტორიკოსების მიერაა
აღწერილი, მოვლენათა თანამიმდევრობა სხვადასხვა
დროსა და ადგილას მომხდარი მიგრაციების იდენტურო-
ბის გამო იმდენად ლოგიკურია, რომ მოყვანილი ფაქტე-
ბის სისწორე ეჭვს არ იწვევს.

ძვ. წ. აღ-ის III საუკუნე აღმოსავლური ქართული სა-
ხელმწიფოს გაძლიერების პერიოდია. ამ დროს ქართლში

ფარნავაზი (ერთ-ერთი ძლიერი ქართული დინასტიის უარნავაზისათვის) გამეფა (ძვ. წ. 328-263). ტერიტორიულ-ადმინისტრაციული და სამხედრო ორგანიზაციების გატარებას ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება მოჰყვა. მან ქვეყანა რვა საერთაშორისო და ერთ სასპასპექტო დაყო. ერთსთავებს ექვემდებარებოდნენ სპასალარნი და ათასისთავნი.

ქვეყნის პოლიტიკურ წარმატებებს სამხრეთში (ბერძნებთან) მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჩრდილოეთ მეზობლებთან კეთილმებობლურმა ურთიერთობამ. ფარნავაზს დურძუკი ცოლი ჰყავდა. იგი დანათესავებული იყო ოსთა მეფესთანაც - მისი ერთ-ერთი და ოსთა მეფის ცოლი იყო (4).

აღმ. საქართველოსა და დას. საქართველოს დიდი ნაწილის პოლიტიკური და კულტურული გაერთიანებით დაიწყო ქართველი ხალხის კონსოლიდაციის პროცესი (5). ამ საქმეში განსაკუთრებულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ფარნავაზის მიერ ქართული მწიგნობრობის შექმნა და ქართული ენის გავრცელება ქართული სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე (6).

უნდა აღინიშნოს, რომ ის მიწა-წყალი, რომელზედაც თანდათან გავრცელება იწყო ქართულ გაერთიანებათა პოლიტიკურმა გავლენამ, ქართველურ ტომებთან ერთად დასახლებული იყო ცალკეული ჩრდილო-კავკასიური, ჩრდილო-ირანული, ხეთური, ხურიტული, ურარტული და სხვა მოდგმის ტომებით. დროთა განმავლობაში ბევრი ამ ტომთაგანი გაითქვიფა ამა თუ იმ ქართველ ტომში. მათ დაკარგეს საკუთარი ენა და ტომობრიობის სხვა ნიშნები, მაგრამ თავის მხრივაც ერთგვარი გავლენა მოახდინეს ქართველი ხალხის ენისა და კულტურის ჩამოყალიბებაზე (7).

კონსოლიდაციის პროცესი შეაფერხა შინააშლილობამ, რომელიც ფარნავაზის სიკედილს და ტახტზე მისი ვაჟის საურმაგის ასკლას მოჰყვა (ძვ. წ. 263-230 წ.). ხელისუ-



ფალთა ცელის მომენტში გამეფებული გაურკვევლობა
ხელსაყრელ პირობებს ქმნის არეულობებისთვის. ლ.
მროველი წარჩინებულთა უქმაყოფილების რამდენიმე მი-
ზებს ასახელებს. მოვიყვანთ მის სიტყვებს: "მას უამსა ში-
ნა გრახვა ყვეს ერისთავთა ქართლისათა და თქვეს: არა
კეთილ არს ჩვენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავსა
ჩუენსა, არამედ ვიყოთ ერთად, და მოველათ ჩუენ საურ-
მაგ, და ვიყვნეთ ჩვენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვენით
პირველ, და მივსცემდეთ ხარქსა ვინცავინ გამოჩნდეს
მძლე. რამეთუ ესროთ ყოფითა უფრო განვისუენებთ" (4,
გვ. 26).

ამ ნაწყვეტიდან აშკარაა, რომ ქართლის წარჩინე-
ბულები იმდენად ძლიერ ცენტრალიზებულ ხელისუფლე-
ბას არ ებრძვიან, რამდენადაც თავისნაირის გაბატონებას
ეწინააღმდეგებიან. მეტად ნიშანდობლივია შემდეგი ფრა-
გა: "არამედ ვიყოთ ერთად". აშკარაა, რომ განკერძოებუ-
ლობას ერთიანობამ, სახელმწიფო ინტერესებმა სძლია.
ისინი გამოთქვამენ ერთად ყოფნის სურვილს, ერთიანი
სახელმწიფოს უძირადესობის ფაქტს. აქ ერთმანეთშია
არეული პირადი და საქვეყნო ინტერესები. მათ "თავი-
სუფლება" ქვეყნის შიგნით, ერთიანი სახელმწიფოს შე-
ნარჩუნებით სურთ.

მათთვის განსაკუთრებით მიუღებელი კი სამეფო ძა-
ლაუფლების მემკვიდრეობით გადაცემაა. მათ სურთ სუბე-
რენი. მაგრამ ეს პიროვნება, რომელსაც ისინი დაემორჩი-
ლებიან უნდა იყოს "მძლე". "მძლე", ბუნებრივია, უკეთესს,
ძლიერსს, გამორჩეულს, სხვებზე არა მარგო ძალით, არა-
მედ გონებრივი შესაძლებლობითაც აღმაგებულს ნიშნავს.
აქ მოცემულია იმ საფრთხეებებით გადაცემას თან სდევს. ხომ შეიძ-
ლება რეგალიებით პირველი სულაც არ იყოს სხვებზე აღ-
მაგებული, "მძლე". უფრო მეტიც, იგი შესაძლოა ერთობ
უდირსი და ტახტისთვის შეუფერებელი პირვენებაც აღ-

მოჩნდეს. მაშინ როგორ წავა ქვეყნის საქმე. რა თქმაულია და, საფუძვლიანი შიშია.

დაპირისპირება იმდენად ძლიერი იყო, რომ საურმა-
გი დედის ძმებთან, დურძუებეთში, გაიხიბნა. აյ მან შეაგ-
როვა ოსებისა და დურძუებისაგან საქმაოდ დიდი ლაშ-
ქარი და საქართველოსკენ გამოემართა. მემატიანის სიტ-
ყვებით: საურმაგ "წარმოემართა ქართველთა ზედა და
ვერაეინ წინ აღუდგა მას" (4, გვ. 27). ამ ერთი ფრაზის
ქვემ შეუძოვარი ბრძოლები იგულისხმება. შეძლეს თუ
არა ქართლის წარჩინებულებმა სუბერენის არჩევა, გა-
ერთიანება და საერთო ძალით ერთი გენერალური
ბრძოლის გამართვა მაინც, ძნელი სათქმელია. ვფიქ-
რობთ, რომ რაღაც ამდაგვარს ნამდვილად ექნებოდა ად-
გილი. თუმცა ამის შემდეგ მათ თავიანთი მამულების დაც-
ვა ცალ-ცალკე მოუწევდათ. საურმაგმა ცეცხლით და მახ-
ვილით დაიმორჩილა ფარნავაზის დროინდელი საერის-
თავოები და ქვეყანა პირვანდელ საზღვრებში აღადგინა. ასეთი ბრძოლები დიდხანს გრძელდება, რასაც გამოუს-
წორებელი შედეგები მოსდევს. მას ეწირებიან არა მარ-
ტო მოლაშქრები, არამედ მშვიდობიანი მცხოვრებლებიც:
ქალები, ბავშვები, მოხუცები. ისინი ან საომარი მოქმედე-
ბის მსხვერპლი ხდებიან, ან უსაფრთხო ადგილებში
იხიბნებიან. საურმაგის მიერ ტახტის დაბრუნების შემდეგ
განდგომილები (წარჩინებულები და მათი ინგერესები-
სათვის მებრძოლი მდაბიოები) "მოისრნენ". მოდალატე-
ებს სასტიკად გაუსწორდნენ. უმტესობა სიკვდილით და-
საჯეს. მხოლოდ მცირე ნაწილი იქნა შეწყალებული. სა-
ურმაგმა "დაამდაბლნა ქართლოსიანნი (ადგილობრივები)
და წარჩინებულ ყვნა აზნაურნი, ხოლო განმრავლებულ
ყვნა დურძუები, ნათესავნი კავკასიენი" (4, გვ. 27).

ტახტის დაბრუნების შემდეგ საურმაგს აუცილებლად
სჭირდებოდა დასაყრდენი. გასაკვირი არ არის, რომ იყი
ადგილობრივებს აღარ ენდობოდა (ის წარჩინებულები,

რომლებსაც იქნობდა და რომელთა შორისაც გაიზარდებოდა შინააშლილობას შეეწირნენ). თუმცა რამდენად ენდობოდა ან ენდობოდა თუ არა საერთოდ კავკასიელებს, ესეც ძნელი სათქმელია. ვფიქრობთ, რომ მას სხვა გრა არც ჰქონდა და მეფობის საწყის ეტაპზე მაინც იძულებული იყო მათთვის ანგარიში გაეწია. მისი დასაყრდენი კი აბნაურნი ("პრომნი") იყვნენ, რომლებიც ლტოლვილობისას დურძუებეთში გაპყვნენ.

"დურძუების გამრავლება", ანუ მათი ჩამოსახლება საურმაგმა რამდენიმე მიზების გამო გადაწყვიტა. ლ. მროველისეული და ვახუშტისეული ტექსტები ისეთ კონტექსტში იკითხება, რომ უნებურად ქმნის იღუზის, თითქოს საურმაგმა დურძუები სამსახურის სანაცვლოდ დაასახლა ქართლის მთიანეთში. ქართველი მეფეების მიერ გარეშე თუ შინაური მგრის წინააღმდეგ კავკასიელთა გამოყენების ეს არც პირველი და არც უკანასკნელი შემთხვევა არ იყო. თუმცა დახმარების სანაცვლოდ მათ ქირას უხდიდნენ და ქვეყნის ტერიტორიაზე მასიურად არ ასახლებდნენ. ხომ არ ჩამოუსახლებიათ ამ ლაშქრობის სხვა მონაწილეები - ოსები? საურმაგის მიერ დურძუების გადმოსახლებას სხვა უფრო ღრმა მიზებები ჰქონდა და ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებით იყო განპირობებული. რაც შემდეგში მდგომარეობდა: გამუდმებულმა ბრძოლებმა ქვეყანაში მოსახლეობა საგრძნობლად შეამცირა, რამაც საფრთხე შეუქმნა ქვეყნის ეკონომიკას და პოლიტიკურ სტაბილიტაციას. საურმაგს გარეშე მტერთან ბრძოლაც გაუჭირდებოდა, რომ არაფერი ვთქვათ, შინა ოპობიციაზე. ამიტომ მან დურძუების ჩამოსახლება გადაწყვიტა. გადმოსახლების შემდეგ დურძუები, აღბათ, მის მთავარ დასაყრდენ სამხედრო ძალად იქცნენ" (8, გვ. 56). ამ დროს ისინი ისე იყვნენ გამრავლებულნი, რომ "დურძუები ვერდა-რა იტევდა კაცთა სიმრავლისაგან" (9, გვ. 58). ლეონტი მროველი ამ გამრავ-

ლების მიზებსაც ასახელებს: "ხოლო ტყუენვასა მაცხოვებელთა გართასა ყოველნივე მშეიღობით დარჩომილ იყვნეს, სიმაგრისაგან ქუეყანისა, და ვერდარა იტევდა დურძუეთი" (4, გვ. 27). ე.ი. რადგან მტრები აღარ ესხმოდნენ თავს და მშვიდობა იყო, დურძუები გამრავლებულან.

ეს ფაქტორი (ჭარბი მოსახლეობა) გარდა იმისა, რომ მოსახლეობის გადმოსახლებისთვის აუცილებელი წინაპირობა იყო (თუ არ იქნებოდა მოსახლეობის სიმრავლე, დურძუეთის მესვეურნი არ დათანხმდებოდნენ საკუთარი მოსახლეობის სხვაგან გადასახლებას), სხვა უმართავ პროცესებთან იყო დაკავშირებული.

მცირემიწიან და მწირ მთას მოსახლეობის მხოლოდ გარევეული რაოდენობის გამოკვება შეეძლო. ჭარბი მოსახლეობა საკმაოდ დიდ თავსაგეხს წარმოადგენდა როგორც მთის მესვეურთათვის, ასევე მეტობელი ბარის რაიონის მოსახლეობისთვისაც. ჩრდილოკავკასიელები ისე-დაც იძულებული იყვნენ მოსაზღვრე ქვეყნებზე თავდასხმითა და ქურდობა-ავაზაკობით გადაჭრათ თავიანთი ეკონომიკური პრობლემები. მოსახლეობის ზომაზე მეტად გამრავლების შემთხვევაში შიმშილი გარდავალი იყო. დურძუეთიდან ქართული ტერიტორიების რბევა გახშირდებოდა და ქართულ სახელმწიფოს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა. ეს კი ამ ორ ხალხს შორის შეიარაღებულ კონფლიქტს გამოიწვევდა.

ქართული სახელმწიფო ყოველთვის იყო დაინტერესებული თავისი ჩრდილოეთი საზღვრების გამაგრებით და აქ მშეიღობიანობის შენარჩუნებით, რასაც სხვადასხვა სამუალებით აღწევდა. ჩრდილოეთ მეტობელთან კარგ ურთიერთობაზე ბევრად იყო დამოკიდებული ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა. გართულებული ურთიერთობის მოსაგარებლად ქართველი მეფები იმებსაც მიმართავდნენ, თუმცა პრობლემის მშვიდობიანად მოგვარებას ანიჭებდნენ უპირატესობას. როგორც ზე-

ვითაც აღვნიშნეთ, მთა ბარისთვის განსაკუთრებით საქართველოს ში ჭარბი მოსახლეობის დროს იყო. ამ დროს ხდებოდა მათი ბარში ჩამოწოლა ე.ი. მეტობელ ბარის რაიონებში ჩამოსახლება. მით უმეტეს თუ აქ მოსახლეობა შემცირებული იყო.

მსგავსი საშიშროება დაემუქრა საქართველოს საურმაგის დროსაც. ამ უკანსკნელმა გადაწყვიფა მთიელთა საქართველოში გარდევალი ჩამოსახლების პროცესი თავისი კონტროლისთვის დაექვემდებარებინა და ქვეყნის ინტერესების შესაბამისად წარემართა: გაეზარდა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა, ხელი შეეწყო დაუსახლებელი ადგილების ათვისებისთვის მისთვის სასურველი, ერთგული და საერთოდ საქართველოსთვის კეთილმებობლურად განწყობილი ხალხის მიერ, დაესახლებინა დურძუები იქ, სადაც საჭიროდ მიიჩნევდა და არა, სადაც მათ სურდათ ან მოახერხებდნენ. ამით გადაჭრიდა მეორე პრობლემასც - დაციავდა ამ ადგილებს არასასურველი, მტრულად განწყობილი ელემენტების ჩამოსახლებისაგან. ეს ღონისძიებები ხელს შეუწყობდა მთაში (გადაუჭრიდა მათ უმიწობის პრობლემას) და მთასა და ბარს მორის ერთგვარი ბალანსის შენარჩუნებას, რითაც თავის ქვეყანას სერიოზულ საფრთხეს აარიდებდა გამუდმებული თავდასხმებისა და მათი მოგერიებისთვის გატარებული ღონისძიებების სახით.

სასურველი იყო, რომ დურძუების ადაპტირება ახალ გარემოსთან უმტკივნეულოდ მომხდარიყო. ამიტომ ჩასახლების ადგილის განსაზღვრისას აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული მათი საქმიანობაც. დურძუები მესაქონლები იყვნენ, ამიტომ მათი დასახლება ბარში, ინტენსიური მიწათმოქმედების რაიონში, გარკვეულ სირთულეებს გამოიწვევდა.

როგორც ცნობილია, საურმაგმა დურძუები ქართული სახელმწიფოს მთელ ჩრდილოეთ გოლში დაასახლა:

"საურმავ... წარმოიყვანნა იგინი ყოველთა კავკასიის ნარის თესავთა ნახევარნი... და დასხა მთიულეთს, დიდოეთიდან, ვიდრე ეგრისამე, რომელ არს სვანეთი" (4, გვ. 27).

ვფიქრობთ, მან შექმნა ე.წ. ბუფერული გონა. გაითვალისწინა, როგორც ჩანს, კავკასიონის გადაღმა მცხოვრები ხალხებისგან მოსალოდნელი თავდასხმის საშიშროება და მათი მონათესავეობა, რის გამოც დურძუებს შესაძლოა გადმოსახლებული თანამომებების რბევისგან თავი შეეკავებინათ. კავკასიის სხვა ხალხების თავდასხმისას კი ისინი საკადრის პასუხს მიიღებდნენ, რადგანაც დურძუები კარგი მეომრები იყვნენ.

ასეთი დიდი მასშტაბის მიგრაცია საკმაოდ დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული - შესაძლო თავდასხმებისა, აგრესიის კერა უშეალოდ საქართველოს ტერიტორიაზე ყოფილიყო გადმოგანილი. ისტორიული სამშობლოს მოსაბალერე რაიონებში მათი ჩასახლება კი ტერიტორიის მიგაცების რეალურ საშიშროებას შეიცავდა. ჩვენთვის უცნობია ითვალისწინებდნენ თუ არა ქართულ პოლიტიკურ წრეებში ამ სირთულეებს და რა ღონისძიებებს ატარებდნენ არასასურველი შედეგების თავიდან ასაცილებლად.

მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ გვიჩვენა, რომ გადმოსახლების პროცესს უმტკიცნეულო არ ჩაუვლია. საურმაგის შეილობილის მირვანის, მეფობისას "დურძუეკთა დაივიწყეს სიყვარული ფარნავაზისი და საურმაგისი, და გარდამოვიდეს დურძუეკეთს მყოფნი, და გაერთნეს თანა ჭართალეთსა მსხდომნი კავკასიანნი, მოტყუენებს კახეთი და ბაზალეთი" (4, გვ. 27-28), ე.ი. დურძუები შეუამხანაგდნენ საურმაგის მიერ ჭართალში ჩასახლებულ თანამოძმებებს და ქვეყნის რბევა დაიწყეს. ფიქრობთ, მათ მიერ ქართულ ტერიტორიებზე თავდასხმის ეს არც პირველი და არც უკანასკნელი შემთხვევა იყო. მოვლენათა ასეთი განვითარება მოსალოდნელიც იყო. მოსაბალერე რაიონებ-

ში უცხოგომელთა ჩასახლება ყოველთვის იწვევს აზრის მიმდევარის, ნასკნელთა გაძლიერებას და საფრთხეს უქმნის ქვეყნის **გერიფორიულ მთლიანობას**. ასეთი შიგრაცია ხშირად ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროვებით და მათი განდევნით ან ასიმილაციით მთავრდება. ამის საუკეთესო დადასტურებაა ლ. მროველის მიერ მოყვანილი შემდეგი ცნობა:

"ყოველი კავკასიანი იყვნეს სარწმუნოდ მორჩილებასა ზედა მირვანისსა, რომელი გარამოვლინებულ იყვნეს საურმაგ მეფისაგან, თვინიერ ჭართალთასა" (4, გვ 28). ვფიქრობთ, ეს ნაწყვეტი მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. იმ დურძუკებთან, რომლებსაც არ ჰქონდათ თავიანთ ისტორიულ სამშობლოსთან რეგულარული ურთიერთობის საშუალება, ქართულ სახელმწიფოს არავითარი პრობლემა არ შეჰქმნია. ისინი მშვიდად ცხოვრობდნენ, ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ მათ ასიმილაცია განიცადეს. ასეთ მოკლე დროში, ლაპარაკია დაახლოებით ერთ ან ორ თაობაზე, მათ გაქართველებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ქართულ სახელმწიფოს არასოდეს არ ჰქონია პრეტენზია საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნოსების გაქართველებაზე. ქართველი მეფეები დამსჯელ დონისძიებებს მაშინ-და მიმართავდნენ, როდესაც ჩასახლებულები საქართველოს მოსახლეობასა და ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხეს უქმნიდნენ.

სულ სხვა შემთხვევასთან გვქონდა საქმე ჭართალში მცხოვრებ დურძუკებთან მიმართებაში. ისინი დარიალის გზით განუწყვეტელ კონტაქტში იყვნენ თანამოძმებთან, და, ვფიქრობთ, არამარტო. ასეთი ახალშენები ხშირად აძლევს დასაბამს უკონგროლო გადმოსახლებებს, რასაც აუცილებლად ექნებოდა ადგილი აღნიშნულ შემთხვევაშიც. როგორც რ. თოფჩიშვილი აღნიშნავს: გადასახლებები არ არის "ერთდროული აქტი, როგორც დროის, ისე

ტერიტორიის თვალსაზრისით" (10, გვ. 47). მართალია, ეს ფრაზა ოსების საქართველოში ჩამოსახლების შესახებპანათქეამი, თავისუფლად მიესადაგება ნებისმიერ (მათ შორის დურძუების) მიგრაციულ პროცესს.

ნებისმიერი გადმოსახლება მეტად მტკიცნეული პროცესია. მითუმეტეს, რომ გადმოსახლებულებს სამშობლოში თითქმის ყოველთვის რჩებათ ფუძულჯახები (მშობლები, ძმები, ნათესავები). ვფიქრობთ, მთელი კომლების გადმოსახლებას ადგილი არც ექნებოდა. იყრებიან ისინი, ვინც მეტნი არიან. ანუ კომლის კუთვნილ მიწას აღარ შეუძლია მათი რჩენა და სხვა მიწაც არსად არის). აქედან გამომდინარე მათი კავშირი ისტორიულ სამშობლოსთან მეტად ძლიერია. ტრადიციები, სარწმუნოება, ახლობლები, იმ ადგილების სიყვარული, სადაც გაიგარდნენ - არის ის ძლიერი მასტიმულირებელი, რომელიც მათ სამშობლოსთან აკავშირებს. ეს გადმოსახლება არ ნიშნავს, რომ დურძუები ყველაფერი (ეკონომიკური პრობლემები) მოგვარდა. აქეთ მიწები ნაყოფიერია, ცხოვრების პირბებიც უკეთესი, სახელმწიფოც ხელს უწყობს, მაშინ როც მათი ახლობლები კვლავ გაჭირვებაში არიან. ისინი უკან სამშობლოში ვეღარ დაბრუნდებიან. ამისი არც სურვილი აქვთ, სამაგიეროდ, კარგი იქნება თუ რაც შეიძლება მეტი ახლობელი ეყოლებათ გვერდით. ამით ხომ ახლობლებსაც დაეხმარებიან და ძლიერებიც იქნებიან. ძნელი პირველი დასახლებაა, უცხო ხალხის გვერდით, ახლებისთვის ის უკვე მტკიცნეული აღარ არის. მათ აქ აუარებელი ნაცნობი და თვისტომი ჰყავთ. ეს პროცესი სავარაუდოდ, გადმოსახლებულებსა და ადგილობრივ, ავტოქტონურ მოსახლეობას შორის გამუდმებული კონფლიქტებისა და დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა. შესაბამისად ვთარებაც იმის არააღერთული ხდებოდა, რომელიც გადმოსახლების თრგანიზაციონებს წარმოედგინათ. თუ მაშინდელი ჭართალი იმ ტერიტორიაზე ლოკალიზდებოდა,

სადაც მომდევნო პერიოდში მდებარეობდა (11, გვ. 151-156), ნელ-ნელა ხდებოდა ჭართალსა და დურძუების შორის არსებული გოლის ათვისება და მკვიდრი მოსახლეობის შემცირება, რაღაც ადგილობრივები ასეთ შემთხვევაში იძულებული ხდებიან ან აიყარონ და სხვაგან გადასახლდნენ, ან ასიმილირებულ იქნენ. ამ შემთხვევაში მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ დურძუები ნაწილი საურმავმა წარჩინებული გახადა. ე.ი. მათ საქმაოდ ძლიერი მფარველები პყავდათ მეფის გარემოცვაში, რაც უკონტროლო გადმოსახლებებს კიდევ უფრო აძლიერებდა.

აღნიშნული ცნობა მნიშვნელოვანი წყაროა ხელოვნურად (და არა მარტო) ჩატარებული მიგრაციის მიმდინარეობაზე და შეიცავს მეტად საყურადღებო რჩევებს სხვა ქვეყნის მოსახლეობის ჩამოსახლების შემთხვევაში მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ. ერთ-ერთი უპირველესთაგანი, ალბათ, მათვის დასახლების ადგილის შერჩევაა. როგორც დურძუები ჩამოსახლების გამოცდილებამ გვიჩვენა ისტორიული სამშობლოს მოსაზღვრე რაიონებში ჩასახლებული უცხო ეთნოსი უმეტეს შემთხვევაში შეიცავს კონფლიქტის, განდგომის საშიმროებას და საფრთხეს უქმნის ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის პოლიტიკურსა და ეკონომიკურ მდგომარეობას; თუმცა ვინაიდან ამ ფაქტორების წინასწარი პროგნოზირება არ ხერხდება და შეუძლებელია იმის განჭერება, თუ რა მოხდება საგარეო პოლიტიკურ არენასა თუ ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში თუნდაც ნახევარი საუკუნის შემდეგ – ამდენად მიგრანტების ჩასახლების ადგილის შერჩევას, მათი რაოდენობის განსაზღვრას, ხოლო სასაზღვრო გოლში არსებულ დასახლებებში უკონტროლო ჩამოსახლებების აღკვეთას და სხვა ღონისძიებების ჩატარებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ბუნებრივია, ღონისძიებებში მათი ასიმილაცია, ტრადიციების, ენის, სარწმუნოების და ა.შ. ხელყოფა არ იგულისხმება.

დურძუების ჩამოსახლებასთან დაკავშირებით დურძუების ახლოებით ასეთი ვითარება გვაქვს: საურმაგის მიერ ჩატარებულ ხელოვნურ მიგრაციას მოსდევეს დურძუება ნებაყოფლობითი გადმოსახლება, რომელიც უკონგროლოდ მიმდინარეობს და უმართავ სახეს იღებს. ამის შედეგად შევიწროვებული ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი იძულებულია საეუთარი ნებით აიყაროს და სხვაგან გადაეიდეს საცხოვრებლად. შედეგი მეტად სავალალოა. სახელმწიფო იღებს უცხო ეთნოსით დასახლებულ საკმაოდ დიდ ტერიტორიას და მთელ რიგ უმართავ პროცესებს, პირველ რიგში კი ტერიტორიის დაკარგვის საფრთხეს. ე.ი. მიგრაცია იწვევს სხვა მიგრაციებს.

მირვანი იძულებული გახდა დურძუების წინააღმდეგ დიდი ლაშქრობა მოეწყო. "მაშინ მირვან მეფემან მოუწოდა ყოველთა ერისთავთა ქართლისათა, და შემოკრიბნა ყოველნი სპანი, მხედარი და ქვეითი... და წარემართა დურძუებეთს" (4, გვ. 28). დურძუებმა დარიალის მისადგომები ჩაკეთეს შეუპოვარ ბრძოლებს ორივე მხრიდან მრავალი ადამიანი შეეწირა. დურძუები დამარცხდნენ და გაიქცნენ. "მიუდგეს უკან ქართველნი, მოსრნეს და ტყვე ქმნეს. და შევიდა მირვან დურძუებეთს, და მოაოხრა დურძუებით და ჭართალი" (20).

ამჯერად ამ პრობლემის მოგვარება ქართველებმა, მართალია, ძალის გამოყენებით, მაგრამ მაინც შეძლეს.

ლ. მარგოშვილის აზრით, გადმოსახლებული დურძუები, მართალია, ქართლოსიანები არ იყვნენ, მაგრამ ქართლის მკვიდრნი, ე.ი. ქართველები არიან. დროთა განმავლობაში ისინი "ქართველობას" ეგიარნენ ანუ გაქართველდნენ (12).

ძვ. წ. აღ-ის III ს-ში ჩრდ. კავკასიიდან საქართველოში განხორციელებული მიგრაცია განხილვის საგნად განგებ ავირჩიეთ. ეს უმტკიცნეულო თემაა - დურძუები აღრ არსებობენ და ამ საკითხის განხილვასაც არავითარი პო-

ლიტიკური დატვირთვა არ გააჩნია. ეს კი მიგრაციის
პროცესის ობიექტური შესწავლისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ერთს კი აღვნიშნავთ, დურძუების საქართველოში ჩამოსახლების პროცესი კარგად მიესადაგება და თითქმის აღექვატურია კავკასიაში მომდევნო საუკუნეებში მომხდარი სხვა ეთნოსების მიერ განხორციელებული მიგრაციებისა.

MZIA TKAVASHVILI, TAMAR SHAKIASHVILI

THE NORTHERN CAUCASIANS MIGRATION TO
GEORGIA
(III CENTURY B.C.)

The progress of mankind is impossible without peoples displacement although this often becomes the reason for ethnic and religious confrontation.

There are some hearths of ethno conflict in today's Georgia. Thus awareness of migration causing reasons, their duration and results is of much importance.

We specially avoided transferring of a question to a political aspect and studied resettlement of the Northern Caucasian people, the Durdzuks, to Georgia by the Georgian king Saurmag (263-230 B.C.) in the III century B.C.

The reason for resettlement of the Durdzuks to Georgia became depopulation and excessive propagation of the Durdzuks what caused danger of their massive and chaotic migration to Georgia. Saurmag took this process under his control and directed it according to the country's interests. Resettled Durdzuks lived peacefully. The Georgian State had problems only in Chartali (new settlement near the historical Durdzukia opportu-

ne for having contacts with homeland). Uncontrolled resettlement of Durdzuks took place there what changed correlation between the local population and the Durdzuks in favour of the latter. The natives were assimilated or moved to other places. The Georgian State faced the threat of loss of territories. Saurmag's successor Mirvan (230-180 B.C.) had to carry big campaign in Durdzukia and keep the frontiers this way. This is that migration caused other migrations what put basis first for local war which then grew to the wars between the states.

This scheme of migration can be adapted to most of the migration processes.

We think that our work will assist the politicians in controlling of migrations and conflict management.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. მ. სანაძე, ნ. შოშიაშვილი, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1994, გვ. 105; ვ. ითონიშვილი, "კავკასიანთა ეთნიკური ვინაობისა და ისტორიულ-გეოგრაფიული ღოკალიზაციის საკითხები, კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგბანი, II, თბ., 2000, გვ. 49, 79,... ო. მელაძე, "დურძუეთის" ღოკალიზაციის საკითხისათვის, კრ.: ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგბანი, II, გვ. 2000, გ. 83-93.
2. მ. სანაძე, თ. ბერაძე, კ. თოფურია, საქართველოს ისტორიის ატლასი, თბ., 2003, რუკა 6, 7.
3. მ. სანაძე, "ქართლის ცხოვრება" და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე), თბ., 2001, გვ. 149.
4. ლ. მროველი, ცხოვრება ქართუელთა მეფეთასა და პირველთაგანთა შამათა და ნათესავთა, კრ: "ქარ-

თლის ცხოვრება", I, რედ. ს. ყაუხჩიშვილი, თბ., 1955,
 გვ. 25.

5. დ. მუსხელიშვილი, ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემებისათვის, კრ: ქართველი ხალხის ეთნოგენეზი, თბ., 2002, 5-17 გვ; რ. თოფჩიშვილი, ქართველი ერის ეთნოკური განვითარება (მოქლე ეთნო-ისტორიული მიმოხილვა, დასახ. კრებული, გვ. 136-149).
6. ლ. მროველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.
7. საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, რედ. ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი..., თბ., 1958, გვ. 57.
8. მ. სანაძე, თ. ბერაძე, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1, გვ. 56.
9. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, რედ. ს. ყაუხჩიშვილი, თბ., 1973, გვ. 58.
10. რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები. თბ., 1997, გვ. 47.
11. ვახტ. იონიშვილი, არაგვის ხეობა, თბილისი, 1986, გვ. 151-156.
12. ლ. მარგოშვილი, პანკისის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბილისი, 2002, გვ. 17; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975, გვ. 257, 259, 260.

დანისი და მისი გაობრაფიული გარემო

დმანისის ნაქალაქარი და მასთან ერთად მისი ციხე (შიდა ციხე) უნიკალური ძეგლია. ეს პატარა ტერიტორია მოიცავს 13 ჰექტარს, ხოლო მის სამხრეთით ფინებაურის ორივე ნაპირზე მდებარე გარეუბანი კი დაახლოებით 12 ჰექტარს.

კონცხი, რომელიც მაშავერის და ფინებაურის შესართავთან მდებარეობს, თავის ისტორიას იწყებს ფაქტიურად იქიდან, როდესაც ამ მხარეში უულკანური პროცესები შეწყდა და გაცივებულ ლავაზე დაიწყო ამ პუნქტის ისტორია, უძველესი ადამიანის სადგომიდან დაწყებული შეა საუკუნეების ძლიერი ქალაქის დაცემამდე. აქ გაიარა ცივილიზაციის ყველა პერიოდმა.

ამჟამად, ჩვენს ყურადღებას შევაჩერებ მის გეოგრაფიულ დახასიათებაზე, რომელსაც უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც პირველყოფილი ადამიანის არსებობისათვის, ისე შემდგომში ჯერ დასახლებული პუნქტის (დაბის) და შემდეგ ქალაქის გაშენებისათვის.

დმანისის ნაქალაქარი ასიოდე კილომეტრითაა დაშორებული თბილისის სამხრეთ-დასავლეთისაკენ. იგი მდებარეობს: „თბილისიდან კალინოვკაში მიმავალ ვზაბეჭალაქს ჩრდილო-დასავლეთიდან მდინარე მამავერი ჩამოუდის. აქ, ნაპირის სიმაღლე საშუალოდ 90მ. აღწევს, იგი თითქმის ციცაბო კედლადაა ამართული და ამიტომ გამაგრება განსაკუთრებით არ ჭირდებოდა: აქედან ქალაქს ზღუდე არ ჰქონია. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ქალაქს ფარგლავს ფინებაურის ხევი. აქაც ნაპირი მაღალია, თუმცა იმდენად არა, საშუალოდ იგი 80მ. აღწევს და მიუხედავად იმისა, რომ ისიც ძალიან ქარაფოვანია, მაინც

იმდენად დაქანებული არაა, როგორც მაშავრის ნამდვი
 რი“ (10, 298).

ბაშქიჩეთის (ახლა დმანისის) რაიონი, რომლის ფარ-
 გლებშიც მოქცეულია ნაქალაქარი დმანისი, მთიანი მხა-
 რეა. სამხრეთით ის შემოფარგლულია ლოქის მთით, და-
 სავლეთით კეჩუის ქედით, რომელიც მას ჯავახეთისა-
 გან საზღვრავს და ბოლოლის მთებით, ჩრდილოეთით
 მდინარე ქციით. იგი ესაზღვრება წალკისა და აღბულადის
 (დღევანდელი თეთრი - წყარო-ნ.მ.) რაიონებს, ხოლო აღ-
 მოსავლეთით ლუქსემბურგის (დღევანდელი - ბოლნისის.
 ნ.მ.) რაიონთან მას ბუნებრივი საზღვარი არა აქვს. ჩრდი-
 ლო ნახევარი ბაშქიჩეთის რაიონისა ტყეებით დაფარულ
 ლუკუნის მთას უჭირავს, რომლის სამხრეთითაც გაშლი-
 ლია მაღალი და ფართო, ხეს სრულებით მოკლებული
 ბაშქიჩეთის პლატო. იგი ვულკანური წარმოშობისაა. და-
 სავლეთში მდებარე ცენტრიდან მეოთხეულ პერიოდში
 წამოსულა ბაზალტის ძლიერი ნაკადი, რომელიც მდინარე
 მაშავრის კალაპოტს გაპყოლია, თვითონ მდინარე კი
 სამხრეთისაკენ გადაუგდია. იქ სადაც მაშავერს მარჯვნი-
 დან მდინარე ფინებაური ერთვის, ლავის ერთი პაგარა
 შტო სამხრეთისაკენ წასულა. ორივე წყალს ბაზალტის
 ნაკადში ღრმა კანიონები ჩაუჭრია. ასე შექმნილა ამ ორი
 მდინარის შესართავში ეს 90-100მ. სიმაღლის ქარაფოვანი
 კონცხი, რომელზეც მოთავსებული იყო ძველი დმანისი.
 ე.ი. აწინდელი დმანისის რაიონის გარდა, ის მოიცავს
 ლუქსემბურგის (ბოლნისის-ნ.მ.) რაიონის უდიდეს ნაწილ-
 საც. იგი ბუნებრივად იყოფა ორ ნაწილად: აღმოსავლეთი,
 სადაც ჩრდილოეთიდან ხინწისა და გეგის ხევებია, ხოლო
 სამხრეთიდან ბალიჭისა და კაბრეთის ხევები ჩამოდის
 (ყველა მაშავრის შემდინარეებია), ვახუშტის ჩვენებით კი:
 „ურიად ნაყოფიერი ყოველთავე, პავით მშვენი, არამედ
 გამთარსა ცივი, გაფხულს ცხელი, უვენახო, უხილო, შენო-
 ბა მრავალი, არამედ შემუსვრილი. არს აქა წყარო, რო-

მელი დაამსხვრევს ქვასა შირიმისასა და დააყრევინებს სმითა“ (1, 39). დასავლეთით კი უდიდესი ნაწილი დმანისის ხევისა გაცილებით მაღალია.

ვახუმტის თავის აღწერაში „დბანის ხევი“ ცალკე გეოგრაფიულ ერთეულად აქვს გამოყოფილი: „ყარადაჯისა და ტაშირის მთის ჩრდილოთ კერძ არს დბანისის ხეობა და მდინერე მაშავერი, მიმდინარე მის შორის. ხოლო იწოდა ქციის რთვისათვის: „მაშა ვერიე ქციას“ და აწ მაშავრად წოდებული. არამედ გამოსდის კეჩუთის მთასა და მიღის აღმოსავლით და მიერთვის ქციას ნახიდურის ბოლოს. ხოლო განპყოფს ხეობასა ამას: სამხრეთით მთა ყარადაჯი და ლოქის, აღმოსავლით. მცირე მთა ბოლნისისა. არიან უფყეონი, და ხევთა შინა არს არყნალი და მთა ბალახოვანნი, შამბნარიანი, ყვავილოვანნი და წყაროიანნი. აქ არს ყვავილი სუმბული, ფერით სპეტაკი, მგზავი ნარისა და მიწასა ზედა განრთხმული, სურნელი ვითარცა ამბარი, და უმეტეს ფშოსანი და ეკლოვანი... ხოლო კეჩუთის მთასა შინა არს ირემთა სიმრავლე და ნაღირთა... ხოლო სამხრით ფინებაურის ხევი არს, მიმდინარე ლოქის მთიდამ, ეგრეთითავე ნაყოფიერებითა, ვითარცა ტაშირი და დბანის ხეობა. დბანისის ქვეით არს, ჩრდილოთ კერძ ხინწის ხევი. მას ქვეით დაბა აბულმუგი. აქ ითხრება ლითონი რკინისა, სპილენძისა და ლაქვარდისა“ (2, 421). მაშავრის აუგი რომ მდიდარი წიაღისეულით გამოირჩევა, ამას ადასტურებს ასევე გერმანელი მეცნიერი გიულდენშტედტი: მაშავრის აუგის მარჯვენა შენაკადზე განაღგურებულ სოფელ დამბლუგთან არის ერთი საჟენის სიმძლავრის ძარღვი ტყვიის კრიალასი (ვერცხლი), სპილენძის და ლაქვარდისა და სპილენძის აღმადანთან ერთად. ეს უკანასკნელი ძარღვი და გარშემომდებარე აღგილები, რომლებიც 10 ვერსის მანგილზე ბევრ რკინისა და სპილენძის ძარღვებს შეიცავენ, იმსახურებენ ყველაზე მეტ



ყურადღებას“ (6, 243) წერდა 1770-იან წლებში მეცნიერებების როდესაც მან საქართველოში იმოგზაურა.

მაშავერას, კამრეთსა და ბალიჭს შორის, აბულმუგის წინ, ასევე კამრეთის ხევში, რომელიც რეინის მთიანან მოედინება, მოიპოვებოდა ოქრონარევი ქვიშა.

არქეოლოგიურმა გათხრებმა კამრეთის ხევის ნასოფლარებში გამოაედინა ლითონის სადნობი ქურები, რომლებმიც ჩანს, ადგილობრივ მადანს აღნობდნენ. ისინი XI-XIV საუკუნეებს განეკუთვნება“ (3, 7).

დმანისი მდიდარი ყოფილა ასევე ბაზალტით, ამას ადასტურებს ციხის გალავნის კედელი, რომელიც ნაგებია ქვიშა-ქვითა და ბაზალტით. ბოგიერთი ბურჯი მთლიანად მხოლოდ ქვიშა-ქვითაა ნაგები, მაგრამ გალავნის კედლები და ბურჯები უპირატესად ბაზალტის ქვით არის აგებული.

„ადსანიშნავია, რომ ციხეებისა და ქალაქების გალავანთა თუ შიგნითა ნაგებობების მშენებლობაში, სამშენებლო მასალის შერჩევისას გათვალისწინებული იყო ადგილობრივი კარიერები, ეს ნათლად ჩანს დმანისის ნაქალაქარისა და ციხის მაგალითებები. მშენებლებს სხვა ადგილიდან თითქმის არ მოუტანიათ ქვა. მათ იქვე ადგილზე მოიპოვეს და დაამზადეს ქვის სამშენებლო მასალა ე.ი. იმ ქვის მასივებიდან, რომელთა კარიერებიც აქვე იყო. ქალაქის ირგვლივ კი ბაზალტის დიდი მასივებია“ (7, 69).

საყურადღებოა ასევე, ბუჩქუნის მახლობლად მდებარე ციხე: „რომელიც ბოლნის-ლმანისის საზღვრად აუგიათ, მის სიახლოვეს რეინის წარმოების ნაშთებია, რაგეც აშკარად მიუთითებს მადნის შემცველი კლდეები და წილის დიდი რაოდენობა“ (4, 96-175).

XIX საუკუნეში ცნობილი იყო მაშავერის ხეობის სპილენძის საბაღოების არსებობა: დამბლუტში, აბულმუგში – აქ, სპილენძის გარდა ოქრონარევი ვერცხლის მადანიც მოიპოვებოდა, დამბლუტში კი ტყვიანარევი ვერცხლი.

ბევროთქმულს უნდა დაემატოს ისიც, რომ ბოლო წლების არქეოლოგიურმა გათხრებმა ამ ხეობაში დაადასტურეს მაღნის მოპოვება და წარმოება აღრერკინის ხანიდან – ფეოდალური ეპოქის ჩათვლით. ასეთი წარმოებისათვის საჭირო საწვავი კი ხე-ტყის სახით, აქ მრავლად იყო.

რაც შეეხება ნიადაგის ქერქს, ის კარბონატულია, რომელიც შედგება, როგორც ბაზალტური ქანებისაგან, ისე მაგნიუმის შემცველი კალციტისაგან.

მდინარის ხეობები (მაშავრისა და მისი შემდინარეების – გეტისხევის, ბოლნისწყლის, შულავრისწყლის) ამოვსებულია თიხნარებითა და რიყნალებით, ამიტომაც მატ ბრტყელი, ხშირად ტერასისებური ფსკერი აქვთ: „მაშავრას და დებედას შორის ლავური ღვარებია ჩაწოლილი, თავისი კალაპოტები ზოგან ამ ლავებში ჩაუჭრიათ და კანიონისებური ფორმები გამოუმუშავებიათ“ (9, 266). ხეობები თითქმის მთლიანად სასოფლო-სამეურნეო კულტურებს უკავია, მთისწინეთის ფერდობები კი დაფარულია ბუჩქნარებით, ძემვით და სხვა მცენარეებით, ნიადაგი კი აქ, ყავისფერი და რუხ-ყავისფერია.

მცენარეულ საფარს და ცხოველთა სამყაროს ვახუშტიც ეხება: „არს მთა ესე ტყიანი, ნადირიანი და მდინარე მაშავერი თევზითა არადიდითა სავსე, და მთის კერძად-კალმახითა. ხოლო ღმანისს ქვეით ქციამდე ფრიად ნაყოფიერი ყოვლითავე ვენახ-ხილითა, თესლ-მარცვალთათა, ფრინველნი მრავალნი გარეულნი და შინაურნი. ზამთარს თბილი და მშვენი, გაფხულს შეზავებული. წყარონი ცივნი, მშვენნი, ჭალა-ტყიანი, ბალახნი და ყვავილნი მრავალნი“ (2, 421-423).

მაშავრის მთიანი ნაწილის მცენარეული საფარი ფოთლოვანი ტყეების ძირითადი ფონით ხასიათდება (წიფუელი, მუხა, რცხილა და შერეული). ტყიანი სარტყელის ბედა საბღვარი, როგორც წესი, ხელოვნურად დაწეულია



(ზოგან 1600-1700 მმ). „ჭალის ტიპის ტყეები მაშავერისთვის და მისი შენაკადების ხეობებში ისტორიულ პერიოდიდან განადგურებული. ლოქის მწვერვალი ძირითადად ტყითაა შემოსილი. მაღალ სარტყელში, როგორც უკვე ვთქვით, წიფელი, დაბლა კი მუხა და რცხილაა. ლოკალურად არის ფიჭვნარიც“ (4, 96-175).

შინდლარის (ლუკუნის) სიმაღლე 1900 მ-ს აღწევს. იგი გომარეთისა და დმანისის პლატონებს მორისაა ამართული. მასზე ტყის ნამდვილი საფარი მხოლოდ ჩრდილო კალთებზე და იმ ორ შტო ქედზეა, რომლებიც ჩრდილო აღმოსავლეთით არიან მიმართულნი და ორივე მხრიდან ბლუდავენ გეტის ხეობას. თხემი და სამხრული კალთები, რომლებიც დმანისის პლატონს დაჰყურებენ, ძირითადად უტყეოა, დაფარულია მეორადი ბუჩქნარით (თხილი), ხარობს აგრეთვე ნაძვი, მურყანი, ნეკერჩხალი, არყი. გვხვდება ქოლგოსნები და გვიმრისნაირები. „შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დმანისის შემოგარენში, ლავების გაფრცელების ზოლში, გაბაგონებული იყო სავანების ტიპის ლანდშაფტი, ხოლო მთის ფერდობებზე და მდინარეთა ხეობებში ფართოფოთლოვანი ტყის მასივები“ (8, 198). ხშირია აქ აკაკის ხის თესლიც, რომელიც აფრიკული სავანის დამახასიათებელი ელემენტია, თუმცა გვხვდება ამიერკავკასიის და შუა აზიის მეჩხერ ტყეებშიც. „არ არის გამორიცხული, რომ აკაკის ნაყოფს დმანისის ადამიანი საკვებად იყენებდა“ (5, 160-170). აღსანიშნავია ასევე: „ნამდვილი ასლი“ (11, 162), რომელიც წითელ წიგნშია შეტანილი, როგორც გადაშენების პირას მდგარი მცენარე.

რაც შეეხება ცხოველთა სამყაროს, აღრიცხული პერიოდიდან გვხვდება ოლდუვაის სირაქლემა, ბიბონი, მღრღნელები, სამხრეთის სპილო, რომელიც ასკარად არქაული ფორმაა. დმანისის ფაუნა მსგავსებას იჩენს წალკის ფაუნასთან, მაგრამ ანალოგი არ მოეპოვება, დასავლეთ ევროპაში. აღსანიშნავია დმანისისა და უბეიდის (ის-



რაელი) ფაუნების მსგავსება, მაგრამ მიუხედავად ფაუნის გადაცემის შემთხვევაში საერთო ელემენტის არსებობისა, უძვიდის კომპლექსი აშკარად უფრო ახალგაზრდა ჩანს დმანისბეჭ. ინდივიდთა საერთო რაოდენობის 22% ტყის ბინადარი ფორმებია, 12% კი ჭაობის ცხოველია. დმანისში ფართოდაა გავრცელებული ძუძუმწოვრები, რომლებიც ტყეში ბინადრობენ; აღინიშნება ირმის სიჭარბე (წყვილჩლიქოსნების საერთო რაოდენობის 8%). გოგიერთი ცხოველი დროთა განმავლობაში გადაშენდა, ახლა კი ბინადრობს გარეული ღორი, მგელი, დათვი.

რაც შეეხება კლიმატს, გოგიერად ნოტიოა. მაშავერისა და უინებაურის გემო წელი ერთიანდება ხრამ-სომხითის მთიან რაიონში. აქ კი წლიური ტემპერატურა სიმაღლის მიხედვით ცვალებადობს 11-12 გრადუსიდან 6-7 გრადუსამდე, ყველაზე ცივი თვეს კი 0,3-0,0 გრადუსია. წლიური ამპლიტუდა უდრის 21-23 გრადუსს (მცირდება ქვევიდან ზევით). აგმოსფერული ნალექთა წლიური რაოდენობა 500-700 მმ-ია. სამცხე-ჯავახეთთან შედარებით ამ რაიონის უხვი განესფიანების მიზებია ზღვის მხრიდან მომავალი, აღმავალი ჰაერის მასები.

განვიხილოთ დმანისის მდინარეული სისტემაც. რაიონის მთავარ მდინარეულ არტერიას წარმოადგენს მდინარე მაშავერი. იგი, სათავეს იღებს ჯავახეთის ქედის თხემისპირა სარგებელში და მისი კალთები ესაბღვრება დასავლეთით მის აუზს. ვახუშტი ბაგონიშვილი მათ „კეჩუუთისა და ბოლოლის მთებს“ უწოდებს, ჩრდილოეთიდან მაშავერ-ქციის აუზთა წყალგამყოფი მასივი („მთა ლუკუნისა-ვახუშტი“), სამხრეთიდან-სომხითის ქედის მთები („მთა ყარაბაჯისა და ლოქისა“ - ვახუშტი), აღმოსავლეთით კი მაშავერ ფოლადურის აუზთა წყალგამყოფი მთები („მცირე მთა ბოლნისისა-ვახუშტი“).

მდინარე მაშავრის სათავედ მიიჩნევენ აღვილს, სადაც ერთმანეთს ერთვის მდინარეები არყნალის ხევი და



პანგიანის ხევი. 1861 მეტრის სიმაღლეზე მდგრადი დონეზე მდინარე მიედინება V-ს მაგვარ, ზოგჯერ ასიმეტრიულ ხეობებში: „იღებს რა სათავეს კეჩუთის მთებში, მაშავერა გზად იერთებს სხვადასხვა წვრილ თუ მობრდილ ხევებსაც და ნახილერის ქვევით ერთვის ქციას“ (4, 96-175)., მდინარე მაშავრის ყველაზე მნიშვნელოვან შენაკადებს შორის გამოიჩინება მდინარე ფინეგაური, რომელიც სათავეს იღებს სომხითის ქედზე, ლოქის უღელტეხილის რაიონში. ხეობა ჩაჭრილია პალეობორი ასაკის კრისტალურ და მეტობურ დანალექ ქანებში და კანიონისებური ფორმები გამოუმუშავებია.

საყურადღებოა ასევე აქ არსებული ტბა, რომელიც დაახასიათა ვახუშტიმ: „არს ტბა ორმობანისა არა დიდი და უთევგზო“. (2, 59).

ამრიგად, როგორც გამოჩნდა, მაშავერის ხეობა მოსახლეობის მიერ უძველესი დროიდანაა ათვისებული და თითქმის უწყვეტია ადამიანის აქ ცხოვრების კვალი. ოდითგანვე შერჩეულია ადგილები ბუნებრივ-კლიმატური, სამეურნეო პირობებით, წიაღისეული სიმდიდრით, ბუნებრივი დაცულობით. ჩვენს მიერ მოგანილი მონაცემები დმანისის საარსებო პირობების შესახებ გვიჩვენებს, რომ „ადამიანი აქ არ განიცდიდა არც წყლისა და არც საკვების ნაკლებობას. მისი სადგომი მდებარეობდა ტბისა და მდინარეების ახლოს, რომლის მიღამოებში უხვად იყო გავრცელებული, როგორც მრავალფეროვანი მცენარეულობა, ისე ხერხემლიანთა მდიდარი ფაუნა“ (5, 164).

ადამიანს არც იარაღის დასამზადებელი მასალის მოსაპოვებლად უხდებოდა შორს წასვლა, რადგან მახლობელი ხეობები სავსე იყო იარაღის დამზადებისათვის საჭირო რიყის ქვით.

შემდგომში რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში იცვლებოდა გარემო პირობები და ეს ტერიტორია პირველყოფილი ადამიანის მარტივი სადგომიდან გარდაიქ-

მნებოდა ჩვეულებრივ დასახლებულ პუნქტად (დაბად), დაბიდან յо ძლიერ და მნიშვნელოვან ფეოდალურ ქალაქად, რომელიც ჰყვაოდა და თანდათან წინაურდებოდა სწორედ რომ მისი გეოგრაფიული გარემოს, გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ეს იქნებოდა მდინარეთა შესაყართან ხელსაყრელი მდებარეობა თუ მოხერხებული სავაჭრო გზა, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო ვაჭრობისა და ეკონომიკის აღმავლობისათვის, კულტურის განვითარებისათვის, რაც ქალაქის სიძლიერის საწინდარი იყო.

NINO MIQELADZE

DMANISI AND ITS ENVIRONMENT

Available written sources corroborate the fact that Dmanisi turned from a small city into a city. It is obvious, that geographical location of Dmanisi had promoted the process.

Dmanisi lies in highland. It borders the Logi Mount to the south, Qechuti ridge to the west, and the Qtsia River to the north. Dmanisi borders Tsalka and Tetritskaro regions. It lacks natural border with Bolnisi to its east.

Dmanisi borders two gorges in its east- Khintsi and Geti, as well as Baliqi and Kazreti to the south.

Two rivers flow near it: Mashavera and Pinezauri. Mashavera proper lacks fish. Lake Orozman in vicinity is rich in fish.

What concerns mountains: Dmanisi is encircled by Qaraghagi and Lukuna Mounts, woodless Qechuti and Bololi Mounts.

There are found iron and copper ore deposits near a small town of Abulmugi. Gold sands were collected in the Mashavera River. Dmanisi was also rich in basalt. Here is plenty of cobble-



stones from which a primitive man produced different implements.

Cereal and forage crops are collected in the valleys along the rivers. Foothills are covered with bushes. Mainly thorny-bush grows here. The following species of wood grow in the highland of Mashavera gorge: beech, oak, hornbeam, fir, and maple. Mixed forests are also found. Here grow pine forests and the bush. one should note nettlewood seeds, characteristic of savannas, as well as a rare plant "Real asli" found here. The latter is on Red data book.

Deer, wild boar, wolf and bear live in the forests. fossil bones of elephants and bisons are found at the site.

The climate is moderately moist. Brown and dark-brown soils are characteristic of the area.

Taking into consideration the above-mentioned, there were favourable conditions in Dmanisi to give shelter and to feed man, and to be developed into a powerful and rich city.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბატონიშვილი ვახუშტი - „საქართველოს გეოგრაფია“, - ქართლი, წგ. II მ. ჯავახისვილის გამოცემა. თბ. 1895წ გვ. 39.
2. ბატონიშვილი ვახუშტი - „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ქართული პროგა - ტ. V. გვ. 421-423;
3. ბერძენიშვილი დ. - „ქვემო ქარტლის ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის მოქლე მიმოხილვა“, გვ. 7. „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. თბ.,
4. ბერძენისვილი დ. - „დმანისხევი“ - კრებული „დმანისი“, თბ. 2000წ, გვ. 96-175;
5. გაბუნია ლ. ვეკუა ა. ლორთქიფანიძე დ - „დმანისის პომონიდის ეკოლოგიური გარემო“, კრებული „დმანისი“ I, თბ. 1998წ, გვ. 160-170;
6. „გიულდენშტედის მოგზაურობა საქართველოში“, I გამოსცა გ. გელაშვილმა, თბ. 1962წ, გვ. 243.
7. კოპალიანი ჯ - „დმანისის ციხე“ თბ. 1996წ, გვ. 69.
8. მაისურაძე გ. ახვლედიანი რ. კლოპოტოვსკაია ნ - „ქვემო ქართლის გეოლოგიური – გეომორფოლოგიური და პალეოგრაფიული ნარკვევები, კრებული „დმანისი“ I, გვ. 198.
9. მარუაშვილი ლ - „საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია“, თბ. 1964წ. გვ. 266.
10. მუსხელაშვილი ლ - „ქალაქის ისტორია და ნაქალაქბრის აღწერა“. შ. რუსთაველის ეპოქის მაგერიალური კულტურა“, თბ. 1938წ, გვ. 298.
11. საქართველოს წითელი წიგნი, თბ. 1982წ. გვ. 162.

ოსთა განსახლება შიდა ქართლში XIX ს-ის მეორე ნახევარში

კავკასიის მთიანეთიდან ოსების მოძრაობა შიდა ქართლის ბარის ტერიტორიაზე მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში დადასტურებული მოვლენაა. იგი შედარებით მეტ მასშტაბებს იმენს XIX ს-ის მეორე ნახევარში, რესეთის იმპერიაში წარმოებული რეფორმების შემდეგდროინდელ პერიოდში, კერძოდ ბატონიუმობის გაუქმების შემდეგ, ეს პროცესი ძირითადად ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის მოვლენა გახდავთ, რაც განპირობებული იყო ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის დანერგვით. ქვეყანაში ფეხს იკიდებდა ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური წყობა მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით.

ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარებამ, გლეხთა ფენის დიფერენციაციამ, გლეხთა იურიდიული თავისუფლების მოპოვებამ, ფულადი მიმოქცევის მნიშვნელოვანმა ზრდამ და სახელმწიფო გადასახადების კომუტაციამ განაპირობა მოსახლეობის მიგრაციული პროცესების შედარებით ფართო განვითარება სოფლიდან – სოფელში და ქალაქის მიმართულებით. 1843-1845 წლებში გაგარებული საფინანსო რეფორმებით ყველა კატეგორიის გლეხს (საბაგონო, საეკლესიო, სახაზინო) სახელმწიფოსთან ანგარიში მხოლოდ ფულით უნდა გაესწორებინა, რაც გლეხს ძალგედ მძიმე მდგომარეობაში აყენებდა. თუ გლეხი აქამდე ნატურით ახდენდა ანგარიშსწორებას, აბლა იძულებული იყო თავის მიერ წარმოებული პროდუქცია ჯერ ბაზარზე გაეყიდა და შემდეგ ფული გადაეხადა მებატონისათვის, ამან კი გლეხი აიძულა ბაზარს დაკავშირებოდა და საშოვარზე გასულიყო.

მრავალგვარი ეალდებულებით გადატვირთული ცოდნისა
წო და მცირებიშიანი გლეხები ქალაქში მიღიოდნენ იმ
მიზნით, რათა მძიმე შრომით ეშვეათ ფული მემამულისა
და ხაზის გასასტუმრებლად, ოჯახის წევრების მოთ-
ხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად (1, გვ. 51).

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება
იწვევდა გლეხთა მესარეწეობასა და გარე საშოვარზე
გასვლას, ძირითადად დიდ ქალაქებში. ამ მოვლენას ეხე-
ბა გ. წერეთლის ერთი პუბლიცისტური წერილი, რომე-
ლიც 1873 წელს გამოქვეყნდა ქურნალ „კრებულში“ - „სა-
ცა არ გაიხედავ, ყველგან შენიშნავ უცხო ამბებსა ამ
ჩვენს პაწაწინა ქვეყანაში. მიხვალ სურამის სტანციაზე და
იქ დაგხვდებიან იმერლები, რომელნიც გზაზე გადასარბენ
ცეცხლის ეტლს ეშმაკივით ებლაუჭებიან და როგორც უნ-
დათ და საითაც უნდად, იქით წაყვანენ. იქევე გადმოხ-
ვალთ ცეცხლის ეტლითგან და შეხედავთ მეკურტნებს...
„ბაგონო მიბოძეთ თქვენი ბარგი, მოვიკიდებ ბურგზე და
გასტინიცისკენ გავშპები“ - ეს გურულებია. იი, დიდება
შენთვის ღმერთო, გურული და მეკურტნე, ეს რა ამბავია. გურულს იარაღი ხელში და წინ მტერი, - აი, მისი საქმე...
უწინ რომ გურულისათვის კურგანი მოგეცა, თოფს გეს-
როდა; ახლა კი თვითონ გეხვეწება, მიბოძე მე წავიღებო,
და თან კურგანსაც იკიდებს. გახვალ ბაზარში და შეხვალ
ცეცხლის გემზე. იქ მაგროსი ვინ არის? მეგრელი ან იმე-
რელი... იქიდან ჩაჯდები ცეცხლის ეტლში და წამოხვალ.
გზაზე ხონელი მიღის, ძარში ქათმები დაუმწყვდევია და
კალთები კვერცხით აქვს სავსე... (1, გვ. 13-14).

როგორც ვხედავთ, ახალმა საბოგადოებრივმა ფორ-
მაციამ აამოძრავა მოსახლეობა, გლეხობამ სოფლიდან
ქალაქს მიაშურა და იქ სავაჭრო საქმიანობა დაიწყო, ანუ
გარე საშოვარზე გავიდა.

1842 წლის კამერალური აღწერით საინგერესო მა-
სალები მოგვეპოვება ქ. ცხინვალის შესახებ. აღწერის მი-



ხედვით იმ დროისათვის ცხინვალში 120 კომლი სახელმწიფო მწიფო გლეხი ირიცხებოდა, რომელთაგან მიწათმოქმედებას 50 კომლი ანუ 41.6% ეწეოდა. დანარჩენი 70 კომლი ანუ 58.4% ვაჭრობით იყო დასაქმებული (1, გვ. 50).

ასევე საინგერესოა, ახალგორის მაგალითიც, საღაც ჯერ კიდევ 1831 წლის აღწერით, ირიცხებოდა 98 კომლი საბაგონო გლეხი, რომელთაგან 96, ანუ საერთო რაოდენობის 97.9%, თავის ერთადერთ საქმიანობად ვაჭრობას, მესარეწაობასა და დღიურ ქირაბე გასვლას თვლიდა. იმავე ახალგორში 10 სახაზინო გლეხი ცხოვრობდა და ათივე არასამიწათმოქმედო შრომით ირჩენდა თავს (1, გვ. 51). მაშასადამე, ახალგორი მთლიანად მესარეწე გლეხებით დასახლებულ სოფელს წარმოადგენდა.

გლეხების ასეთმა მასიურმა გასვლამ საშოვარზე გაბარდა ქალაქის მოსახლეობა და შესაბამისად ეს იწვევდა სამიწათმოქმედო მეურნეობის დაცემას.

აღსანიშნავია, რომ ქალაქის მოსახლეობის ზრდა მიმდინარეობდა უმთავრესად და პირველ ყოვლისა თვით საქართველოს სოფლის მკვიდრთა ხარჯზე (1, გვ. 7).

საქალაქო ცხოვრების განვითარების პარალელურად და მასთან ერთად მიმდინარეობდა ქალაქების მოსახლეობის აბსოლუტური ზრდა. საქმარისია ითქვას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (თბილისი, გორი, თელავი, სიღნაღი, დუშეთი) მოსახლეობა 1821-1865 წლებში გაიზარდა 4-ჯერ და მეტად (22513 სულიდან 9336 სულამდე). განუხრელად იმრდებოდა ქალაქების მობინადრეთა ხვედრითი წონა, რაც აღმოსავლეთ საქართველოში 1821 წელს უდრიდა 12.2%-ს, 1865 წელს კი 18.3% დასავლეთ საქართველოშიც საქმე გვაქვს ქალაქური ცხოვრების შემდგომ განვითარებასთან, თუმცა მისი ტემპები და მასშტაბი გაცილებით უფრო ნელი და ზომიერი იყო (1, გვ. 7).

საქართველოს მოსახლეობის ზრდის გემპები გაგრძელდა რეფორმის შემდგომ 80-90-იანი წლების მიჯნაზე,



მაგალითად 1886 წელს საქართველოს ქალაქების მცხოვრები რეგიონი რაოდენობა 175069 სულ უდრიდა, 1897 წელს ამ ციფრს საგრძნობლად გადააჭარბა და 300590 მიაღწია, ე.ი. სულ რადაც 11 წლის განმავლობაში 71.7%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ქალაქების მობინადრეთა ზრდის ტემპი გაცილებით უფრო სწრაფი იყო, ვიდრე სოფლის მოსახლეობისა. პირველი მეორეს ოთხჯერ უსწრებდა (1, გვ. 14).

ქვეყანაში მიმდინარე პროცესები თავისთავად შეეხო შიდა ქართლის ოსეურ მოსახლეობასაც. ისინიც ხშირად გადიოდნენ საშოვარზე, რადგან ეს მათაც აძლევდა ხელს. საშოვარზე გასვლა მაგერიალური მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთი საშუალება იყო ოსებისათვისაც. ამის შესახებ გ. თოვლიშვილი წერს: „საშოვარზე გასვლა კლებთა კეთილდღეობის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. მთის სოფლებში მოსავლის აღება უფრო გვიან იწყება, ამიგომ ოსები მიდიან მოსავლის აღებაზე ამიერკავკასიის სხვადასხვა ადგილებში. სოფლების ძამოდის, ზღუბირის, კიმასის, სბას, საბელეთის, ჭერითის და შუა ერმანის მოსახლეობა გაფხულში თერგის ოლქში მიდის, დანარჩენი სოფლების მცხოვრებნი კი გორის დუშეთის და თბილისის მაზრებში. გამთარში გემოთ ჩამოთვლილი შვიდი სოფლის მცხოვრებნი, აგრეთვე ბელოთის, გერის და ლარსის მოსახლეობა მიდიან საქართველოს სამხედრო გზაზე, სადაც მუშა თავის ხარჯით 15-ს, სახელმწიფო ხარჯით კი 10 მანეთს იღებს თვეში. ისინი აქ ექვსი თვის მანძილზე რჩებიან და გზის გაწმენდაზე მუშაობენ. სხვა ოსეური სოფლების მცხოვრებნი გამთარში მიდიან გორსა და დუშეთის მაზრებში, სადაც ბაღებში დღიურად მუშაობენ. ბევრი ახალგაზრდა ოსი შედის საერობო დაცვის სამსახურში. ოსი ქალებიც დროებით სტოვებენ სამშობლოს და მიდიან ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქებში, სადაც მათ ქირაობენ ძიძებად და შინა მოსამსახურებად.



შეიძლება თამამად ითქვას, რომ 80-იან წლებში ქართველი ლისის ძიძების 3/5 ოსის ქალებია“ (2, გვ. 57).

საყურადღებოა აკად. გ. ჩიტაიას შეხედულება მთის მოსახლეობისათვის დამახასიათებელ მიგრაციული პროცესების თავისებურებებზე. იგი აღნიშნავს, რომ „თავის-თავად მოსახლეობის მოძრაობის პროცესი მთიდან მთის-ძირა და ბარში მეტად საგულისხმო გარემოებას წარმოადგენს, ვინაიდან ეს მოვლენა დაკავშირებულია ალპური ლანდშაფტის მეურნეობის თავისებურებებთან. ეს თავისებურება პრიმიტიული, არა ინტენსიური მეურნეობის არსებობის პირობებში ჰქმნის მოსახლეობის რაოდენობის სტაბილურობას, რომლის ნამატი იძულებულია მთიდან გადმოსახლდეს... ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქცია მთაში განსაზღვრულია იმდენად, რომ ამ ზოლის მოსახლეობის სიმჭიდროვე მთელ მსოფლიოში მეტად მცირეა... ამის გამო როგორც კი მთის ზოლის მოსახლეობა მიაღწევდა თავის საზღვრებს, მოსახლეობის ზედმეტი რაოდენობა იძულებული იყო პირველ რიგში მთის ძირში გადმოსახლებულიყო, სადაც ნაწილობრივ, ამის გამო, მოსახლეობის სიმჭიდროვე მაღალ დონეს აღწევდა. შემჩნეულია, რომ მეტად შემჭიდროვებული სოფლის მოსახლეობა მსოფლიოში უმეტესად მთის ძირა ზოლს ეკუთვნის (3, გვ. 284).

ეს ზოგადი სურათი ჩვენის ამრით, ზედმიწევნით გუსტად მიესადაგება შიდა ქართლის მთიანეთში და მთისწინა ზოლში განსახლებულ ოს მოსახლეობას, რომელიც როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთელი მე-19 საუკუნის და განსაკუთრებით მისი მეორე ნახევრის შიდა ქართლის სამხრეთით მდებარე ბარის რაიონებისაკენ, საიდანაც აგრძელებდნენ გადასახლებას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

ოსების სამხრეთით მოძრაობის გასაანალიზებლად, მისი მასშტაბების წარმოსადგენად, საყურადღებოა



რ. თოფჩიშვილის მიერ წარმოებული კვლევა, სადაც დაუკავშირდებოდა გადამდებრებული შიდა ქართლის მთიანეთის, დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ოსი მოსახლეობის მიგრაციული პროცესის. როგორც რ. თოფჩიშვილი წერს: „1886 წლის საოჯახო სიებით, მდინარეების დიდი ლიახვის და პატარა ლიახვის ხეობების 76-8ე მეტი სოფლიდან XIX ს-ის 60-70-იან წლებში 1340 კომლზე მეტი ოსი აყრილა და ბარის სხვადასხვა სოფელში დამკვიდრებულა. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ორივე ლიახვის მთიან ნაწილში არ დარჩენილა სოფელი, საიდანაც, აღნიშნული დროის მონაკვეთში ოსები არ გადმოსახლებულიყვნენ, ბევრი სოფელი ფაქტიურად დაიცალა, ბევრში კი მოსახლეობა განახევრდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ XIX ს-ის მოსახლეობის აღწერის დავთრებში დიდი ლიახვის და პატარა ლიახვის ხეობებში მცხოვრები ოსების საკმაოდ დიდი ნაწილი ხიბნის კატეგორიითაა ჩაწერილი, რაც თავისთავად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ისინი აქ მკვიდრ მოსახლეობას არ წარმოადგენდნენ და არც თუ ისე დიდი ხნის დასახლებული იყვნენ. მაგალითად, ხიბანი იყო სოფ. კოშკი ფიქსირებული 169 კომლი ოსი, რომელთაგან 113 კომლი ფაქტიურად ამ სოფელში აღარ მკვიდრობდა და ბარის სხვადასხვა სოფელში იყო განსახლებული“ (4, გვ. 194-195).

როგორც ეხედავთ, მარტო დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრები ოსერი მოსახლეობა, რომლებიც საკუთარი სამოსახლოდან აყრილან და ქართლის ბარის სხვადასხვა სოფლებში ჩამოსახლებულან, საკმაოდ სოლიდურ რიცხვს, 1340 კომლზე მეტს შეადგენდნენ. აღნიშნული რაოდენობის უტყუარობა სხვადასხვა წყაროებიდანაც დასტურდება. მათ მორის საინტერესოა ოსი მკვლევრის პ. ვ. დოგუგოვის მონაცემებიც, რომლის მიხედვით შემდეგი სურათია წარმოადგენილი: „ბელოთის სამოგადოების 583 საგადასახადო კომლიდან გადასახლდა 206

კომლი, ორგევის საბოგადოების 906 კომლიდან ას483, როგოს 732 კომლიდან – 392, ჯავის საბოგადოების 1178 კომლიდან – 451, ყემულთის 398 კომლიდან – 194 კომლი, მთლიანად გადასახლებულია ორგევის სასოფლო საბოგადოების სოფ. კობიასა და ჯავის ხეობის სოფელ ელბაჩითის ყველა მცხოვრები“ (5, გვ. 62).

პ. ვ. დოგუბოვის მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით აღნიშნული სოფლებიდან გადასახლებულთა საერთო რაოდენობა 1726 კომლზე მეტს უდრიდა. თუ შევადარებთ რ. თოფჩიშვილის მონაცემებს (1340 კომლზე მეტი), პ.ვ. დოგუბოვის ინფორმაციას (1726 კომლზე მეტი), ვნახავთ, რომ სხვაობა ამ ორ მონაცემებს შორის არცთუ ისე დიდია და დაბალოებით 400 კომლს უდრის, რაც არ სებითად ვერ ცვლის გოგად სურათს.

ორიოდე სიცყვით გვინდა შევჩერდეთ საქართველოში მაცხოვრებელი ოსური მოსახლეობის მთლიანად რაოდენობის შესახებ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, რადგან ამ საკითხის გაანალიზება იძლევა საშუალებას, დავადგინოთ ოსთა საქართველოში მიგრაციის მასშტაბი. ჩვენ უკვე აღნიშნუთ, რომ XIX ს-ის პირველ ნახევარში საქართველოში სავარაუდოდ 14-15 ათასი სული ოსი ცხოვრობდა. ეს რიცხვი იმავე ასწლეულის მეორე ნახევარში საგრძნობლად გაიზარდა, რის მიზეზებზეც უკვე გვქონდა საუბარი. ბროკპაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიის საუკველბე, საინტერესო დასკვნები შემოგვთავაზა ანზორ თოთაძემ. კერძოდ: „1860 წელს ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები ოსების რაოდენობა 47 ათასს უდრიდა, ხოლო საქართველოში, კერძოდ ქართლის მთიანეთში 19 ათასი ოსი ცხოვრობდა. ასე, რომ ამ პერიოდში ჩრდილოეთ ოსეთში 2.5-ჯერ მეტი ოსი ცხოვრობდა, ვიდრე საქართველოში. ცნობილია, აგრეთვე ისიც, რომ 1833 წელს რუსეთის იმპერიაში 36 ათასი ოსი ცხოვრობდა და თუ ბემოთ აღნიშნულ პროპორციას მივიღებთ მხედველო-

ბაში, მაშინ 1833 წელს საქართველოში ოსების რაოდენობა... ბა 14 ათასს უდრიდა...

1880 წელს ჩრდილოეთ ოსეთში 59 ათასი, ხოლო საქართველოში უკვე 52 ათასი ოსი ცხოვრობდა. ასე, რომ ოცი წლის განმავლობაში – 1860- წლიდან 1880 წლამდე ჩრდილოეთ ოსეთში ოსების რაოდენობა 12 ათასით, ანუ მხოლოდ 1.2-ჯერ გაიზარდა, ხოლო საქართველოში 33 ათასით, ანუ 2.7-ჯერ. ამ პერიოდში ჩრდილოეთ ოსეთიდან საქართველოში საცხოვრებლად ოსები დიდი რაოდენობით გადმოდიან. ჩვენ ზუსტად შეგვიძლია განვსაზღვროთ საცხოვრებლად გადმოსული ოსების რაოდენობა. კერძოდ, ცნობილია, რომ გასული საუკუნის 70-იან წლების ბოლოს საქართველოში ყოველ ოს მოსახლეზე გაანგარიშებით საშუალოდ წელიწადში 35.7 ბავშვი იბადებოდა და 14.3 კაცი კვდებოდა. ასე, რომ ბუნებრივი მაგება ოსებში ყოველ ათას სულ 21,4 კაცს შეადგენდა. ამასთან 1860 წელს საქართველოში ოსების რაოდენობა 19 ათასს, ხოლო 1880 წელს 52 ათასს უდრიდა... ამრიგად, ერთი წლის განმავლობაში საქართველოში ოსების ბუნებრივი მაგება 749 კაცს შეადგენდა (35X21.4), ხოლო 20 წლის განმავლობაში 14980 კაცს. ამდენად, თუ 1860-1880 წლებში ოსების რაოდენობა საქართველოში 33 ათასი კაცით გაიზარდა და აქედან ბუნებრივი მაგება 14980 კაცს შეადგენდა, მაშინ ცხადია, დანარჩენი 18020 ოსი, ანუ თითქმის იმდენივე, რამდენი თსიც საერთოდ ცხოვრობდა საქართველოში 1860 წელს, გადმოსახლებულია ჩრდილოეთ ოსეთიდან. აქ ერთი არსებითი მომენტიც უნდა მივიღოთ მხედველობაში. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1870-იან წლებში საქართველოში მცხოვრებ ყოველ ათას ოსგებულის განმავლობაში 14.2 ოსი კვდებოდა. მოკვდავობის ეს მაჩვენებელი უაღრესად დაბალია იმ პერიოდისათვის... ამ მოვლენის ასახსნელად ის უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩრდილოეთ ოსეთიდან საქართველოში საცხოვრებ-



ლად გადმოდიოდა ძირითადად მხოლოდ ახალგაზრდა აგრეთვე შუახნის ასაკის მოსახლეობა, რომელთა შორის სიკვდილიანობა დაბალია“ (6, გვ. 210-211).

ამრიგად, როგორც თვალნათლივ ჩანს, ოსების ჩამოსახლება როგორც შიდა ქართლის ასევე საქართველოს სხვა რეგიონების ტერიტორიაზე, განსაკუთრებულ მასშტაბებს იძენს მე-19 საუკუნის 60-90-იან წლებში. უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში, ოსთა ჩამოსახლება და ამ პროცესის განსაკუთრებით გააქტიურება XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ხასიათდება ძირითადად როგორც ეკონომიკური ხასიათის მოვლენა, რაც სავსებით რეალურია, თუმცა ამ მოვლენის დაქონკრეტება და მასში უფრო ღრმად ჩახევის მცდელობა არ ყოფილა. ამ კუთხით საკითხი ჯერ კიდევ საკმაოდ შესასწავლია. სწორედ ამიტომ, ჩვენ შევეცადეთ გაგვეანალიზებინა XIX ს-ის მეორე ნახევარში ოსთა მიგრაციის გააქტიურების ძირითადი მიზეზები, რათა უფრო კონკრეტული ფორმა მიგვეცა საკითხისათვის. ჩვენს ხელთ არსებული მასალების საფუძვლიანად შესწავლის შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ ოსების გადმოსახლება ან უფრო სწორად მათი ჩამოსახლება შიდა ქართლის მთიანეთიდან და მთისწინა ზოლიდან უფრო სამხრეთით ანუ ქართლის ბარში მდებარე ტერიტორიებზე, გამოწვეული იყო ბაგონ-ყმური წყობილების რღვევით და ქვეყანაში ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ანუ კაპიტალისტურ-ბურჯუაზიული ურთიერთობის დანერგვით, ასევე იურიდიული თავისუფლების მოპოვებით.

უელად-სასაქონლო ურთიერთობის მნიშვნელოვანმა განვითარებამ, გამოიწვია ქალაქის მოსახლეობის გაზრდა და ეს პროცესი მიმდინარეობდა ძირითადად სოფლის მოსახლეობის ხარჯზე. ეს კი იწვევდა შიდა ქართლის (და არა მარტო შიდა ქართლის) ბარის სოფლების გამეჩერებას, ანუ ნასახლარების გაჩენას, რითაც დაუ-

ყოვნებლივ სარგებლობდა მთაში და მთისწინეთში (ჭაველაშვილისად) მოსახლე თსური მოსახლეობა. თავდაპირველად თსური მოსახლეობა ინდივიდუალური განსახლების პრინციპით სახლდებოდა ასეთ ადგილებში, ანუ მთისანი რაიონებიდან თსური მოსახლეობის მასიურად აყრას და შიდა ქართლის ბარის რაიონებში ჩამოსახლებას ადგილი იშვიათად ჰქონდა, მაგრამ იმდენად გახშირდა მათი ინდივიდუალური გადმოსახლება, რომ ბევრი ისტორიულად ქართული სოფლებიდან მხოლოდ სახელიდა შემორჩა ქართული. მაგალითად: ყორნისი, ველები, გვირგვინა, წუნარი, მსხლები, გუფთა, ღომი, ღმენისი, ხელჩუა, სარაბუკი და სხვა, ეს სია საკმაოდ გრძელია.

მაშასადამე, ქართლის ბარის რაიონის ქართული სოფლების მოსახლეობის მიგრაციას ქალაქისაკენ და მათ ადგილებზე შესაბამისად თსური მოსახლეობის განსახლებას, ხელს უწყობდა ქართული სამოგადოებაში ახალი, კაპიტალისტურ-ბურჯუაზიული ურთიერთობის ჩასახვა, კერძოდ:

1. ფელადი მიმოქცევის მნიშვნელოვანი ზრდა;
2. სახელმწიფო გადასახადების კომუტაცია;
3. გლეხთა ფენის დიფერენციაცია;
4. გლეხთა მიერ იურიდიული ანუ პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება.

ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ოთხი ძირითადი მომენტი იწვევდა გლეხთა მასიურად გარე საშოგარებელ გასვლას, რაც თსთა ქართლის თემებში ჩამოსახლების პროცესის განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა და აღნიშნული მოვლენა მნიშვნელოვნად დააჩქარა, რის გამოც, ქართლის ბარის ტერიტორიაზე არსებულ სოფლებში XIX საუკუნის მეორე ნახევარში საკმაოდ მნიშვნელოვნად შეიცვალა ეთნიკური სურათი.

THE OSSETIANS' SETTLEMENT IN SHIDA KARTLI IN THE SECOND HALF OF 19th CENTURY

In the second part of the 19-th century, especially in 1860-1890, the migration of the Ossetians in Shida kartli and also in the different districts of Georgia has special sizes.

The main problem of this is the new social-economical formation-the developing of the capital-bourjoise relations in Georgia, the comutation of payment and the diferenciation of peasants. This was the result of growing the number of population in the city. This processe was growing especially on the basement of the country population. The result was-increasing population in the places of Kartli, and the front side of shovel. The Ossethians, who lived in the mountains and below, used this problem for their future. They, became the owners of the Georgian's houses and moved to the districts of shovel and on this places new Ossethians came from the historical places, like Dvaleti.

The most important thing is that until 1860, the quantity of the Ossethians was nearly 19000 and in 1886 it was nearly 52000.

Today the real face of Georgian from the wiev of the migration of the Ossethians to the South is deeply changed.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970.
2. გ. თოვლიშვილი, ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობა 1801-1921 წწ., თბ., 1969.
3. გ. ჩიგაია, ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, ენიმკის მოამბე IV, გფილისი, 1939.
4. რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997.
5. П. В. Догузов, Револ. Движение в Юго-Осетии в конце XIX в начале XX вв., Сталинир, 1960 г.
6. ქრებული „ოსთა საკითხი“, თბ., 1996.

სომხეთ-საქართველოს კონფლიქტის
 ისტორიიდან 1918-1921 წ.

XX საუკუნის დასაწყისში, დამოუკიდებლობის გა-
 მოცხადების შემდეგ, თავი იჩინა აზერბაიჯანს, სომხეთსა
 და საქართველოს შორის საბღვრების შესახებ ბოვიერ-
 თმა საღავო საკითხებმა. აღსანიშნავია, რომ რუსეთის
 მიერ ამიერკავკასიის დაპყრობამდე სომხეთის სამეფო
 აღარ არსებობდა. მისი მიწები განაწილებული იყო მეზო-
 ბელ მუსულმანურ სახელმწიფოთა შორის. ერევნის ხანი
 ითვლებოდა ქართველი მეფის მოხარკედ. აზერბაიჯანი,
 როგორც ერთი მთლიანი სახელმწიფო არ არსებობდა. ის
 დანაწილებული იყო პაგარა სახანოებად და ზოგი მათგა-
 ნი იყო საქართველოს მოკავშირე, ზოგიც მისი გავლენის
 ქვეშ იმყოფებოდა. მაშინ საბღვრებზე დავაც არ არსებობ-
 და. რუსების მოსვლის შემდეგ მდგომარეობა არსებითად
 შეიცვალა. მათ შემოიგანეს რუსული ადმინისტრაციული
 დანაწილება და წაშალეს ძველი ეთნიური და პოლიტიკუ-
 რი საბღვრები. ამავე დროს, მოხდა მოხახლეობის შერე-
 ვა. რუსები სომხებს ასახლებდნენ აზერბაიჯანსა და სა-
 ქართველოში. რევოლუციის შემდეგ, რაც ამიერკავკასიის
 ხალხებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, ვითარება
 მკვეთრად შეიცვალა. საქართველომ ბუნებრივად თავისი
 ძველი ტერიტორია დაიკავა, რის გამოც წარმოიქმნა
 უთანხმოება მეზობელ სახელმწიფოებთან. ერთის მხრივ,
 აზერბაიჯანი და მეორეს მხრივ, სომხები პრეტენზიებს
 აცხადებდნენ ყველა იმ ტერიტორიებზე, სადაც მათი მო-
 სახლეობა ჭარბობდა. ისინი ტერიტორიების გადანაწილე-
 ბას მოიხოვედნენ მოხახლეობის პრინციპით, რაც ბუნებ-
 რივია მიუღებელი იქნებოდა საქართველოსათვის, ვინაი-
 დან ამ თვალსაზრისით, საქართველოს თვით დედაქალა-
 ქი თბილისიც სომხებისთვის უნდა დაეთმო, რადგან ამ



დროს ისინი ქალაქის მოსახლეობის დიდ ნაწილს შემდეგული გენდნენ. როგორც ვაჭრობის მიმღევარი ხალხი სომხები აქ იყრიდნენ თავს “მთელი კავკასიისათვის პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ ცენტრში” [1].

სომხეთის პრეტენზიები განსაკუთრებით გამოაშეარავდა 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. სომხური გამოები მათ შორის “აშხაგავორი” (დამნაჯუტუნის ორგანო) და არა მხოლოდ ერევანსა და სამცხე-აჭარისათვის გამომავალ, არამედ თბილისურ სომხურენოვან გამოებშიც კი დამნაჯუტუნის ნაციონალისტური პარტიის ოფიციალური თუ შენიდბელი იდეოლოგები პირდაპირ და შეუფარავად აცხადებდნენ, რომ თბილისი ნეიტრალურ ქალაქად უნდა გამოცხადდეს, რომ თბილისი სომხების აშენებულია და მოსახლეობის უმრავლესობაც სომებია, ამიგომ არავითარი საუკუნეელი არ არსებობს მისი საქართველოს დედაქალაქად გამოცხადებისა.

მდგომარეობა სომხეთთან მნიშვნელოვნად გართულდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. ორ მოძმე ხალხს-ქართველებსა და სომხებს შორის გაღვივებულმა ნაციონალურმა შედლმა, 1918 წლის დეკემბერში, კულმინაციურ წერტილს მიაღწია და ხანმოკლე ომშიც კი გადაიბარდა. ჯერ კიდევ 1918 წლის ოქტომბერში სომხები თავს დაუსხნენ ლორესთან მდგარ ქართულ ჯარს, რასაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ საპროგესტო ნოტით უქასება.

აზერბაიჯანის მხრივ, როდესაც ქართველებმა დაიკავეს ბორჩალოს მაგრა, მათ პროგესტი განაცხადდეს, თუმცა საქმე შეთანხმებით გათავდა. საქართველოს მთავრობამ მიიღო აზერბაიჯანის წინადაღება, რომ შედგარიყო საარბიგრო კომისია და სადაც საკითხები მას გადაეწყვიტა. ასე მოხდა მათთან შავი.

სომხებმა ლორესთან მომხდარი შეტაკების შემდგამა
თავი გაიმართლეს და ამ ფაქტს “გაუგებრობა” უწოდეს.
სინამდვილეში სომხები დროს წელავდნენ და საქართვე-
ლოდან გერმანული სამხედრო ნაწილების გასვლას ელო-
დებოდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1918 წლის 27 აგ-
ვის გოს რუსეთ-გერმანიას შორის ხელმოწერილი ბრესტ-
ლიტოვსკის დამატებითი ხელშეკრულების ძალით გერმა-
ნელებმა რუსებისგან საქართველოს დამოუკიდებლობის
ცნობის პირობა მოიპოვეს. ხელშეკრულების მე-13 მუხ-
ლში ნათქვამია: “რუსეთი თანხმობას აცხადებს მასზედ,
რომ გერმანია სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას
სახელმწიფოებრივ ორგანიზმად” [2].

თუ თავდაპირველად ქართველებს გერმანიაზე
ჰქონდათ გები აღებული, სომხები ანგანგის ორიენტაციას
დაადგნენ. პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხე-
ბის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. 1918 წლის 11 ნოემ-
ბერს გერმანია ხელს აწერს არმისტისს, რომლის ძალით
უქმდება ბრესტ-ლიტოვსკის ხერლშეკრულება, რითაც
მართალია ოსმალეთის უფლებაც კი იხსნება მის მიერ
დაკავებულ ტერიტორიებზე, მაგრამ ამავე დროს რუსე-
თის მხრივაც უქმდება გერმანიის მიერ საქართველოს
დამოუკიდებლობის ცნობა, რაც გათვალისწინებული იყო
ბრესტ-ლიტოვსკის დამატებითი ხელშეკრულებით, რითაც
ფაქტიურად დასრულდა გერმანიის ორიენტაცია საქარ-
თველობე. 1918 წლის ნოემბრის ბოლო დღეებში პირველ
მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიის უკანასკნელი
რაზმები იძულებული გახდნენ საქართველო დაეტოვები-
ნათ. გერმანიის, რომელიც საქართველოს მფარველობდა,
მარცხით ისარგებლეს სომხებმა. 1918 წლის 9 დეკემბერს
სომხეური ნაწილები თავს დაესხნენ სოფელ სანაინთან
მდგარ ქართულ სასაზღვრო ძალებს, რომელსაც ბორჩა-
ლოს მაგრის გენერალ-გუბერნატორი წულუკიძე მეთაუ-
რობდა. ეს ის სანაინია, სადაც სომხეთზე იერიშით წასუ-



ლი ოსმალები ქართულმა ჯარმა შეაჩერა და უკუაქცევის გერმანელთა დახმარებით. მაშინ გერმანიის მიერ გამოწვდილი დახმარების ხელი სომხებმაც ისევე მიიღეს როგორც ქართველებმა. უფრო მეტიც, სომხებს თითიც არ გაუნდრევიათ, რის შემდეგაც, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, სწორედ აქ იქნა გავლებული საქართველო-სომხეთის საზღვარი.

9 დეკემბრის პროვოკაციას მოჰყვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის საპროგესტო დეპეშა სომხეთის მთავრობისადმი, სადაც იგი იმედს გამოთქვამდა, რომ სომხეთის მთავრობა საკადრისად დასჯიდა “იმ უპასუხისმგებლო პირებს, რომლებიც არღვევენ ორ მეობარ რესპუბლიკას შორის ურთიერთობას” [3]. სომხეთის მთავრობის მაშინდელი მეთაური ტიგრანიანი დაბეჯითებით განუმარტავდა საქართველოს მთავრობას, რომ ლორებორჩალოს მხარე ნამდვილად არ არის საქართველოს ტერიტორია, თითქოს ის შეადგენდა სომხეთის განუყოფელ ნაწილს და საქართველოს ჯარს იგი ძალით პქონდა დაკავებული. ლორე-გამირი საქართველოს ბოლშევიკებმა 1921 წელს ჩამოაცილეს [4].

თავდაპირველად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ სომხების წინააღმდეგ გაგზავნილი იქნა მცირერიცხოვანი სახალხო გვარდიის რაზმი, რაც რასაკვირველია არ იყო საქმარისი მტრის-თვის წინააღმდევობის გასაწევად, რის გამოც ქართული ჯარები წელუკიძის მეთაურობით მარცხს მარცხზე განიცდიდა. 1918 წლის 16 დეკემბერს სომხებმა რამდენიმე დასახლებული პუნქტი აიღეს. საქართველოს მთავრობა დარწმუნდა, რომ სამშვიდობო დეპეშებით საქმე ვერ მოგვარდებოდა, საფრთხე რეალური იყო და იძულებული გახდა საყოველთაო მობილიზაცია გამოეცხადებინა.



რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს გაურკვეველია სომხეთ -საქართველოს ომის დაწყების ბუსტი თარიღი. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა მოსაზრება ამასთან დაკავშირებით. მაგალითად, გ. ღამბაშიძე მიიჩნევს რომ საქართველოს მთავრობამ „18 დეკემბერს გამოაცხადა ოთხი ასაკის მობილიბაცია, 20 დეკემბერს დაიწყეს მოხალისეთა შეგროვება, ხოლო 21 დეკემბერს დაიწყო კიდევ საომარი მოქმედება. 22 დეკემბერს გამოიკვეყნდა ცნობა, რომ სომხეთმა ომი გამოიცხადა საქართველოს და შეწყდა დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსა და სომხეთს შორის“ [5]. გ. ღამბაშიძე ძირითადად ეყრდნობა გამოიკვეყნებულ ცნობებს. სინამდვილეში სომხები ჯერ კიდევ ოქტომბერში დაესხნენ თავს ლორესთან მდგარ ქართულ ჯარს, რაც ნათლად ჩანს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ სომხეთის მთავრობისადმი გაგავნილი ნოტადან. მასში ნათქვამია: „.... 18 ოქტომბერს, სომხეთის რეგულარული ჯარის, კერძოდ, პირველი და მეოთხე მსროლელთა პოლკის მიერ დაკავებული იქნა ქობერიდან სასაზღვრო ხიდთან მდებარე სოფელი სანაინი. საქართველოს მთავრობა შვადაბ შშვილიანი გზით გადაწყვიტოს მეგობარ სომხეთის რესპუბლიკასთან საზღვრების საკითხი“ [6]. სამშვიდობო ნოტას ხელს აწერენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გვარჯალაძე და კანცელარიის უფროსი ლორთქიფანიძე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიები, განსაკუთრებით ეროვნულ-დემოკრატები, აფრთხილებლენენ ქართველ ხელისუფალთ, რომ სომხები ომისათვის ემზადებოლნენ, ქართველი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც მმართველ პარტიას წარმოადგენდნენ, მათ ყურს არ უგდებდნენ. თავის მხრივ, სომხეთის მთავრობა მომზდარ ფაქტს „სამწუხარო გაუგებრობად“ აფასებდა. საქართველოს სოციალ-დემოკრა-



ტიული პარტიის გამეოთ “ერთობის” 16 დეკემბრის ნოტიფიცირებულ ში არაუერია ნათქვამი სომხეთ- საქართველოს ომშე. მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა საყოველთაო მობილიბაცია. ეს აისახა 18 დეკემბრის ყველა გამეოთის პირველ გვერდზე, გარდა ბოლშევიკური გამეოთებისა. ზოგადად აღნიშნული მოვლენების შესახებ, სხვადასხვა პოლიტიკური მოღვაწის, მათ შორის ნოე ქორდანიას, გენერალ მაზნიაშვილის, გენერალ კვინიგაძის, ეროვნული გვარდიის შეფის ვალიკო ჯუდელის, პოლკოვნიკ დავით ვაჩინაძის მოგონებები განსხვავებულია, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ მოგონებები დაწერილია საქმაო დროის გასვლის შემდეგ, ასევე განპირობებულია ავტორთა განსხვავებული პარტიული შეხედულებებით, რის გამოც სავსებით შესაძლებელია, რომ ბევრ რამებები გვიერთი მათგანი დუმილსაც კი ამჯობინებს. თუმცა ამ მემუარების შეჯერებითა და მაშინდელი ქართული და სომხური პრესის ინფორმაციების გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება საქმაოდ რეალური სურათის წარმოდგენა.

ჩვენი მიზანი არ არის წარმოვაჩინოთ საომარი მოქმედებები სამხედრო თვალსაზრისით, ეს სამხედრო ექსპერტების საქმეა, ჩვენ მხოლოდ ამ საომარი მოქმედებების ისტორიული თვალსაზრისით შეფასებით შემოვიყარვლებით. სომეხთა გენერალური შეტევა დაიწყო 13 დეკემბერს ბამბაკიდან. სომხების რაზმი თავს დაესხა ბორჩალოს რაიონის სოფელ ვორონცოვკაში დისლოცირებულ ქართველთა ასკაციან რაზმს, რომელსაც გენერალი ივანე ციციმვილი მეთაურობდა ქართველების მცირერიცხვანი რაზმი 6 დღის განმავლობაში მამაცურად იბრძოდა, ისინი ერთადერთი გარბაზნით უწევდნენ წინააღმდეგობას ძლიერი არტილერიით აღჭურვილ ექვს ასეულს. ციციმვილმა მთავარ ამოცანად სოფელ ეკატერინიულდისკენ ბრძოლით უკან დახევა განიბრახა. ის იმე-

დოვნებდა, რომ რამოდენიმე დღეში ქართული რამდენიმე მოასწრებდნენ აյ თავმოყრას და მთავრობაც სათანადო გომებს მიიღებდა. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ნოემბრიდან ციციშვილი რეგულარულად აცნობებდა საქართველოს მთავრობას სომხების მზადების შესახებ, თუმცა მთავრობა ამაზე სათანადოდ არ რეაგირებდა, უფრო მეტიც, ციციშვილმა სამხედრო მინისტრს გრიგოლ გიორგაძეს იმ სომეხი ოფიცირების გვარებიც კი შეატყობინა, რომლებიც 9 დეკემბერს სანაინთან, სოფელ უზუნლარში მომხდარ ხოცვა- ჟღეტას და საომარ ოპერაციას ხელმძღვანელობდნენ. ესენი იყვნენ: პოლკოვნიკები ტოლმაზოვი, ფირუზოვი, მირმანოვი და ხაჩატუროვი. საქართველოს მთავრობა თითქოს გაერკვია მომხდარში და 18 დეკემბერს, ბრძოლით დაქანცულ გენერალ ციციშვილს, ცოცხლად დარჩენილ 70 ქართველ ჯარისკაცთან ერთად ეკატერინფელდში შესვლისას სოციალ-დემოკრატების პარტიული ლაშქრის-ეროვნული გვარდის მესვეურები ვალიკო ჯუდელი და გენერალი სტეფანე ახმეტელი დაახვედრა, თუმცა აღნიშნული სამხედრო პირები ციციშვილის ცნობებს სომხეთი ძალების შესახებ გადაჭარბებულად მიიჩნევდნენ. ქართველმა სამხედრო მესვეურებმა არ გაითვალისწინეს ციციშვილის არც ის რჩევა, რომ ქართველ რაგმებს დაესწროთ სომხებისათვის ეკატერინფელდის გარშემო მდებარე მაღლობების დაკავება. 19 დეკემბერს, სწორედ ამ მაღლობებიდან შემოუტიეს სომხებმა და ქართველ გვარდიელთა უმეტესობა ამოწყვიტეს. სწორედ, მაშინ დაიღუპა სიმამაცით განთქმული ქართული გვარდის თფიცერი სანდრო მაისურაძე, რომლის დაკრძალვა თბილისში საერთო-სახალხო გლოვისა და მგრისადმი გიბდის გამოხატულებად იქცა. ამ პერიოდში თბილისში ჩამოასვენეს სომხეთ-საქართველოს ფრონტზე დაღუპული 26 ქართველი მებრძოლი [7]. 19 დეკემბერს, საღამოს, უკვე მთელმა თბილისმა იცოდა, რომ სომხებმა ქართველი



გვარდიელები დახოცეს და თბილისისაკენ მოიწევდნენ სამხედრო გამწვევ ჟუნქტებს უამრავი მოხალისე მოაწყდა. მობილიზაცია მართლაც საყოველთაო იყო და არა მარტო სამხედრო თვალსაზრისით. იმ თანხების გარდა, რაც მთავრობამ ომის საჭიროებისათვის გამოყო შეიქმნა თავდაცვის ფონდი, რომელშიც ხალხს უკანასკნელი დანაბოვი შეპქონდა. დამფუძნებელი კრების ებრაელმა წევრმა მიხეილ დავარაშვილმა (ებრაელებს ორი ადგილი ჰქონდათ საქართველოს პარლამენტში, მეორე წევრი იყო ი. ელიგულაშვილი - ლ. ს.) განაცხადა, რომ გაიღებდა სოლიდურ ფინანსურ დახმარებას საქართველოს თავდაცვის ფონდისათვის. 20 ლეკემბერს ჯულელს დასახმარებლად სულბე მიუსწორო კვალიფიციურმა სამხედრო ძალამ, ფაქტიურად სომხერი არმიის შემოსვლას თბილისში წინ არაფერი ედგა. ნოე ქორდანიას განკარგულებით ქართული არმიის მთავარსარდლად გენერალი მაზნიაშვილი დაინიშნა. ომის ხარჯებისათვის საქართველოს მთავრობამ 25 მილიონი მანეთი გამოყო. სამხედრო მინისტრის ძირითადი ფუნქციის შესრულება სამოქალაქო პირის გრ. გიორგაძის ნაცვლად პროფესიონალ სამხედროს - დავით ვაჩნაძეს დაევალა. მან შეძლო გენერალ მაზნიაშვილისათვის 1500 კარგად გაწერონილი და შეიარაღებული ჯარისკაცი გაეგბავნა ბრძოლის ველზე, გამოცდილი ოფიციების პოლკოვნიკ ბალუაშვილის, კაპიტან შერვაშიძის, კავალერიის პოლკოვნიკ ხატიშვილის და პორუჩიკ მესხიშვილის მეთაურობით. ამავე დროს, თბილისში ჩამოლიოდა მოხალისეთა და მობილიზებულთა ეშელონები გურიიდან, სამეგრელოდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან. 29 დეკემბერს გენერალმა მაზნიაშვილმა შედავერი აიღო, ბრძოლები ათი დღის მანძილზე გრძელდებოდა [8]. ეს იყო სომხეთ-საქართველოს ომში გარდატეხის მომენტი. ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგის უამრავი დაჭრილი და დახოცილი დარჩა, დიდი იყო სამხედრო ნა-

დავლიც: 4 გარბაბანი, 15 ტყვიამრფქვევი, უამრავი შამხან
ნა და ხელყუმბარა [9]. სომხები თავქედმოგლეჯილი გარ-
ბოდნენ აღავერდისაკენ. ქართველი მეომრების მიზანს
აღავერდის აღება წარმოადგენდა, რომელიც უხსოვარი
დროიდან საქართველოს კუთვნილ ტერიტორიას წარმო-
ადგენდა. ბოლო მომენტში კონფლიქტში ჩაერთო ინგლი-
სური მხარეც, რომელთა კავკასიაში მოსვლით ფაქტიუ-
რად ფრთხები შეესხა სომხეთის პოლიტიკურ წრეებში პო-
პულარული “დიდი

სომხეთის” შექმნის იდეას, რასაც მხარს უჭერდნენ ინ-
გლისის გავლენიანი პოლიტიკური წრეები. როგორც აღ-
მანველიშვილი აღნიშნავს, საქართველოს დემოკრატიუ-
ლი რესპუბლიკის მთავრობის საგარეო პოლიტიკური
კურსის, კერძოდ გერმანული ორიენტაციის ინგლისურით
შეცვლა ”ოდნავადაც ვერ ამსებუქებდა კავკასიაში შექ-
მნილ სიტუაციას, ხელს უშლიდა კავკასიელი ხალხების
ურთიერთდაბახლოებას. უფრო მეტიც, კავკასიაში ინგლი-
სელების გამოჩენა ამხნევებდა სომხეთს პრეტენზიები
პქონოდა ზოგიერთ ქართულ ტერიტორიაზე, სადაც ბო-
ლო საუკუნეების განმავლობაში თურქებისა და სპარსე-
ლებისაგან დევნილმა სომხურმა მოსახლეობამ შეაფარა
თავი, ისარგებლა ადგილობრივი სფურვართმოცვარებითა
და ტოლერანტობით, რის გამოც ისინი დიდი რაოდენო-
ბით ცხოვრობენ ამ რეგიონებში. მათ მოთხოვნებს ამ ტე-
რიტორიებზე არავითარი გამართლება არა აქვს” [10].

აღნიშნულ პერიოდში საქართველოსა და ამიერკავ-
კასიის ქვეყნების ბედს ანგანგის ქვეყნების სამხედრო
საბჭო წყვეტდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბ-
ლიკის მთავრობის მეთაური ნორ ქორდანია თავის მოგო-
ნებებში წერს: ”პირველი ინგლისელი, რომელიც მოვიდა
ჩემთან სადაბაზოდ თავისი ჯარების სახელით, იყო გე-
ნერალი ბრაიდფორდი. მქონდა მთავრობის სხდომა. შე-
მოვიდა, მაგრამ პირველი ფრაგიდან აშკარა იყო, რომ

შემოვიდა როგორც უქმეხი და უზრდელი მბრძანებელები და დატონი. მომიხდა სასტიკი შეტაკება. დაგვემუქრა-დიდ-ხანს აქ ვერ იბატონებთო და წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ მუქარა სისრულეში მოიყვანა-სომხები შემოგვისად” [11].

1918 წლის 25 დეკემბერს, სომხეთის რესპუბლიკის მთავრობისადმი გაგზავნილი დეპეშით, რომელსაც ხელს აწერენ რაიკფორტი, შარდინი და ქორდანია სომხეთის მთავრობას ეუწყა, რომ დიდი ბრიტანეთის გენერალ-მაიორმა რაიკფორტმა, რომელიც იმდროისათვის თბილისში იმყოფებოდა, ასევე საფრანგეთის მისიის მეთაურმა პოლკოვნიკმა შარდინმა კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის თავმდომარე ნ. ქორდანიასთან და საქართველოში სომხეთის ელჩ ჯამალიანთან ერთად დაადგინეს, რომ სამხედრო მოქმედებები დაუყოვნებლივ უნდა შეწყვეტილიყო. მიუხედავად ჯამალიანის პროგესტისა გენერალმა რაიკფორტმა, პოლკოვნიკმა შარდინმა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ქორდანიამ დაადგინეს, რომ “შერეული კომისია, რომელშიც შედიან ინგლისის, საფრანგეთის, საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენლები, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაემგზავრონ ფრონტზე. კომისია განსაზღვრავს იმ გარნიზონების რაოდენობას, რომლებიც დატოვებულ უნდა იქნენ ბორჩალოს მამრის ჩრდილოეთ ნაწილში ქართველების მიერ და სამხრეთ ნაწილში სომხების მიერ, ასევე ქართველების მიერ ახალქალაქის მაგრაში. გარნიზონები მცირერიცხოვანი უნდა იყოს. ქართული ჯარები იდგებიან იმ ხაზზე, რომელიც მათ ამ მომენტისათვის უჭირავთ, ხოლო სომხურმა ჯარებმა უნდა დაიწიონ უკან თურქული დისიხ-ჯელალ-ოღლის ხაზისაკენ. ბრიტანული პიკეტები ქართულ და სომხურ ჯარებს შორის მოთავსებულ სარკინიგზო ხაზებზე იქნება განლაგებული. ამ სადავო ნაწილის ადმინისტრაცია იქნება შერეული. ახალქალაქის მამრაში ქართუ-



ლი ადმინისტრაციის დაკვირვებას განახორციელებს სამართლიანობა ფანგის წარმომადგენელთა კომისია, რომელშიც შევღებ ადგილობრივი სომხური და მუსულმანური მოსახლეობის წარმომადგენლები. საქართველოსა და სომხეთის დელეგაციები უმოკლეს ხანში გაგზავნილი იქნებიან ევროპაში, სადაც საზღვრებთან დაკავშირებული ყველა საკითხი გადაწყვეტილი იქნება დიდი სახელმწიფოების მიერ” [12].

1918 წლის 30 დეკემბერს სომხეთის მთავრობამ მიიღო აღნიშნული დადგენილება და 31 დეკემბერს, 12 საათზე, საქართველო-სომხეთის ომი შეწყდა. ქართული კავალერიის ნაწილები ფაქტობრივად აღარ არსებობდა, ქვეითებმა კი, თავგანწირული ბრძოლის მიუხედავად, ვერ მოასწრეს აღავერდამდე მისვლა და საზღვარიც მისგან დასავლეთით, რამდენიმე კილომეტრის დაშორებით დაფიქსირდა. ქართველ ოფიცირებს სულ რამდენიმე საათი სჭირდებოდათ, რომ თვით ერევნამდე მიეღწიათ.

საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკამ წარმატებით გაართვა თავი პირველ სერიოზულ სამხედრო გამოცდას. სომხეთის მცდელობა-განეხორციელებინა თავისი დიდი გეგმა - უშედეგოდ დასრულდა. მიუხედავად ამისა მომხდარმა ფაქტმა ზიანი მიაყენა საქართველოს, რადგან ჯავახეთის ტერიტორია, ანუ ახალქალაქის მაზრა, ედაოდ ქართული ტერიტორია, სადაც გახდა ინგლისელების თვალშიც და მაზრის ქართული ადმინისტრაცია ანგანგის სახელმწიფოთა კომისიის მეთვალყურეობაში დარჩა, თუმცა დროებით.

საქართველო-სომხეთის კონფლიქტს თავისებურად განიხილავდნენ თვით სომები მესვეურები. მომხდარი ფაქტიდან საქმაო ხნის გასვლის შემდეგ ნიუ-იორკის ცნობილ სომხურ ჟურნალ “აირენიკში” დაიბეჭდა ავეტის აგარონიანის წერილი “სომხეთი, საქართველო და დასავლეთი”. აღნიშნული წერილის ნაწყვეტი დაიბეჭდა პარიზში გამომავალ საქართველოს ნაციონალ-დემოკრატიული

პარტიის ორგანო, ქურნალ „სამშობლოში“ 1933 წლის 14 ნოემბერს, სათაურით: „რას ფიქრობენ სომეხი და ქართველი ბელადები“. ამ წერილში ავეტის აგარონიანი აღნიშნავს: ”დიდად სამწუხაროა და საწყენიც, რომ კავკასიის ეს ორი მოძმე ერი (ქართველები და სომხები - ლ.ს.). ერთს გეოგრაფიულს და კლიმატურ პირობებში მყოფნი, აღმრდილნი ერთ მშობელ ბუნების ძუძუბედ, ჩამოქნილნი და განვითარებულნი ქრისტიანული სარწმუნოებით, ერთი და იმავე ადათ-წესებით, ერთი კულტურისა და ცივილიზაციის მქონენი, ამასთანავე 3 000 წლის განმავლობაში მეზობლად მცხოვრებნი, რომელთაც არასდროს ერთმანეთის წინააღმდეგ არ უომიათ - 1918 წლის კონფლიქტი, ეს მხოლოდ უმნიშვნელო გაუგებრობად ჩაითვლება, თუმცა ამასთანავე ისინი არც არასდროს შესაფერისად შეთანხმებულან საერთო მფრის დასაძლევად, პირიქით, უბედურების ქამს ხშირად უვნიათ ერთმანეთისათვის. ნუთუ ისტორია არ მოგვცემდა ამისათვის რაიმე დარიგებას? სომებ-ქართველთა არშაკიდები, სომებ-ქართველთა ბაგრატიძები, თამარ მეფე თავისი ორი სომები სპასალარით, ივანე და გაქარია მხარგრძელებით, რომლებმაც ერთად შექმნეს ძლიერება და დიდება საქართველოსი“ [13].

ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა ნათლად დაინახეს, რომ მესამე ძალა, რომელსაც ხელს არ აძლევდა კავკასიაში დამოუკიდებელი ქვეყნების არსებობა, უხემად ერეოდა მათ ურთიერთობაში, თესავდა მათ შორის შედლსა და შოვინიზმს. ამ ძალებიდან უპირველესი რესეთი იყო. ქართველი მეცნიერი ვიქტორ ნობაძე მართებულად შენიშნავს: „... სწორედ ჯავახეთისათვის დავაში იჩინა თავი იმ პოლიტიკამ, რომელიც გააგარა პასკუკიმა იქ სომხების ჩასახლებით. რესის მთავრობის ამ ვერაგულმა პოლიტიკამ შესაფერი ნაყოფიც დატოვა ერთა ურთიერთგადაკიდებისათვის“ [14].

საქართველოს სომხური მოსახლეობა პრეტენზიებს აცხადებდა როგორც მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე, ასევე კულტურის ძეგლებზე. 2002 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად, სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობს 207598 ადამიანი, აქედან სომხები 113347, ხოლო ქართველები 89995 [15].

როგორც შენიშნავს ივანე ჯავახიშვილი, სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობით განსაკუთრებულად დაინტერესებულ სომხობას არ უჭირდა უცხო ქვეყნის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ჩართვა, საქართველოში კი ეს განსაკუთრებით უაღვილდებოდა, რადგან ქართველი ხალხი ტოლერანტულად იღებდა ყველა უცხოს, თანამემამულესავით ექცეოდა, ამასთან ქართველობა

სავაჭრო-ეკონომიკურ პროცესებში ნაკლებად მონაწილეობდა და ამ ასპარეზს სომხები ადვილად იჭერდნენ, რომლებიც სასაზღვრო რაიონებიდან შემოდიოდნენ, სახლდებოდნენ თავიანთ მშობლიურ ადვილებიან ახლოს და ამით გარკვეულწილად შეებასაც პპოვებდნენ [16].

სომხეთ-საქართველოს კონფლიქტმა უარყოფითი როლი შეასრულა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობის საქმეში. საზღვრების გაურკვევლობის საკითხი თავიდანვე ჭირვეულ მოვლენად და უცხო სახელმწიფოთა ჩარევის საბაბად გადაიქცა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ არაერთხელ მოითხოვა სადაც საკითხების გადასაჭრელად სომხეთ-საქართველოს კონფერენციის მოწვევა. თავის მხრივ, სომხები შეეცადნენ იარაღით გადაეჭრათ ეს საკითხი.

1919 წელს პარიზში გამოვიდა სომხები დიპლომატის მ. ვარანდიანის წიგნი “სომხეთ-ქართველთა კონფლიქტი” [17]. ეს წიგნი გამოვიდა მაშინ, როდესაც იგაღიას ქალაქ სანრემოში იკრიბებოდნენ ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლები, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო ამიერკავ-

კასიის და მაშასადამე, სომხეთის საკითხიც. ამ წიგნის მიზანი ნაარსი და სულისკვეთება იქითკენ იყო მიმართული, რომ საქართველო გაესაღებინა როგორც გერმანიის მოკავშირე. აეტორი ურცლად ჩერდება ომის დროს ქართველ ნაციონალისტთა მუშაობაზე გერმანელებთან. იმ დროს, როდესაც ვერსალის უმაღლეს საბჭოში საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი იდგა, ასეთი წიგნის გამოცემა მოკავშირეთა წინაშე საქართველოს დასმენას ნიშნავდა. თუმცა ეს სომხეთის საქმესაც ვნებდა, რადგან საერთაშორისო ასპარეზზე სომხეთის საკითხი საქართველოს საკითხის გარეშე ვერ გადაწყდებოდა, რაც ხელ-ფეხს უხსნიდა უცხო ქვეყნების ძალებს თავისუფლად ემოქმედათ ამიერკავკასიაში [18].

სომხეთ-საქართველოს კონფლიქტს კიდევ უფრო ართულებდა პარიზის საბავო კონფერენციაზე (1918 წლის 18 იანვარი-1920 წლის 21 იანვარი) ქართველი და სომეხი დეპუტატების არათანმიმდევრული მოქმედება უცხოეთის წამყვანი ქვეყნების მიერ ამიერკავკასიის სახელმწიფოების ცნობის საქმეში. ყოველივე ეს, ფაქტიურად, გამოწვეული იყო შეთანხმების მიუღწევლობის გამო სომეხ პოლიტიკოსებთან, რომლებიც ცდილობდნენ წარმოეჩინათ საქართველოს ბრალეულობა სომხეთ-საქართველოს კონფლიქტში და ამით ხელი შეემალათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარებისათვის [19].

ამრიგად, სომხეთ-საქართველოს კონფლიქტმა მნიშვნელოვნად დაამარალა ორივე ქვეყნის საერთაშორისო ინტერესები.

FROM THE HISTORY OF ARMENIAN-GEORGIAN CONFLICT IN 1918-1921

The rescans of the conflict between Armenia and Georgia are based on the analysis of the archive materials. The paper deals with the claim of Armenia on creating "A United Greater Armenia" along with the efforts of the authority of Georgian Democratic Republic to peacefully solve the conflict. In October 1918, after the Armenian army assaulted Georgian troops at Lore, the Georgian authority confined only with the protest note. The Armenians seemed to show their concern by referring to the conflict as a "misfortunate misunderstanding". The Armenians made the most of the defeat of Germany in the I World War that has actually put an end to the orientation on Germany on the part of the authority of Georgian Democratic Republic. It is noteworthy that at a certain time the Armenians made use of the help provided by the Germans. The Armenian army was attacked by the Ottomans at the village Sanain and the Georgian army with the help of the Germans managed to stop the intruders and to banish them. The Armenians did not take part in this battle and as a matter of mutual agreement the Georgian-Armenian border was drawn by the village of Sanain. This fact was soon forgotten an on 9 December, 1918 the Armenian army assaulted the Georgian frontier guards. The paper deals with the wide range plan of Armenia aiming at annexation of Tbilisi and occupation of Mestheti allowing free access to the sea along with Batumi.

The policy of the United Kingdom in this situation was to instigate Armenia against Georgia. From the moment of declaring the independence Armenia was oriented to the Antante countries and the Armenian authority decided to start war aga-

inst Georgia hoping that the United Kingdom that was just ste
pping in Caucasia Would Support Armenia.

As soon as the authority of the Georgian Democratic Republic proclaimed general mobilization and a hefty amount of money was allotted to wage the war, the advantage of the Georgian army became vivid; taking into consideration the fact that the head of Georgian government Noe Zhordania appointed General Giorgi MazniaShvili at the head of Georgian army. On December 29 the Georgian army won back Shulavery that became a turning point in the was for the good of the Georgians.

The Armenians fled the place for Alaverdi. At that time the United Kingdom together with France decide that the war should stop on December 31, at midnight and the border should be at the place where the Georgian army happened to be then. Georgian infantry was only several kilometers away from Alaverdi and therefore the border line was drawn to the west of the place. But for the interference of the Antante countries Georgian army would have come to Erevan within several hours.

The emphasis of the work is that the young Georgian State passed its first serious military exam with great success.

1. ალ. მანველიშვილი "რესეთი და საქართველოს დამოწმებლობა", სან-ფრანცისკო, 1984, გვ. 203.
2. 8. ავალიშვილი "საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში", თბილისი, 1929, გვ. 55.
3. "გამეთი საქართველოს რესპუბლიკა", № 77, 1918.
4. ეპისკოპოსი გენონი "სამხრეთის კარიბჭე", დმანისისა და ლორე-გამირის მხარის და მისი საეპისკოპოსოს ისტორიული ნარკვევები, თბილისი 2005, გვ. 9.
5. გ. ღამბაშიძე "ინგლისისა და აშშ-ს აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ", გამომც., "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1964, გვ. 50-51.
6. Нота Министра Иностранных Дел Грузинской Республики на имя поверенного въ делахъ Республики Армении при Правительстве Грузии, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ქართველოლოგიის ცენტრში დაცული აკ. რამიშვილის არქივი, საქმე № 229 (IV).
7. ღოდო ჭუმბურიძე "ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს-ის სასაწყისში 1918-1921 წწ.", საქართველო-სომხეთის ურთიერთობა 1918-1921 წწ და ქართული სამოგადოებრივი ამრი, თბილისი, "მემატიანე", 2003, გვ. 234.
8. გიორგი მაგნიაშვილი "მოგონებები", ბათუმი, 1990, გვ. 125-133
9. გამეთი "სახალხო საქმე", № 408, 1918.
10. Alexandre Manvelichvili, "Histoire de Géorgie", La Géorgie et les Alliés, ed. de la Toison d'or, Paris, 1951, p. 429
11. ნოე ქორდანია "ჩემი წარსელი", გამომც., "სარანგი", თბილისი, 1990, გვ. 92.

12. Телеграмма Предсъедателю Армянской Республики, յարլամենտի ցրուցնելու ծրագրութեայի վեհական դաշտում այս ժամանակում արքունիքի և ազգային պատմութեան պահպանութեան համար առաջին սայմե № 254 (XXIV).
13. ռաս Յօվել Տեղապահի գաղտնաբառը՝ յարտապահութեան պահպանութեան առաջին սայմե № 254 (XXIV).
14. Հայոց ազգային պատմութեան պահպանութեան առաջին սայմե № 254 (XXIV).
15. Հայոց ազգային պատմութեան պահպանութեան առաջին սայմե № 254 (XXIV).
16. Հայոց ազգային պատմութեան պահպանութեան առաջին սայմե № 254 (XXIV).
17. M. Warandian “Conflict Armeno-Georgien”, Paris, 1919
18. Serge Afanasyan “L’Armenie, L’Azerbaïdjan et la Géorgie de l’indépendance à l’instauration du Pouvoir Soviétique 1917-1923”, Paris, ed. l’Harmattan, 1981, p. 87
19. ՍԵՍԱ, Հարցարձութեան պահպանութեան առաջին սայմե № 1483.

მოახლოვებული იუბილე

კულტურის უდიდესი მონაპოვრის ქართული ანბანის განვითარებულ მწერლობას შედეგად მოჰყვა უნიკალური ქართული ხელნააწერი და ნაბეჭდი წიგნების შექმნა.

აღრეფეოდალურ ხანაშივე, ქართულმა ხელნააწერმა წიგნმა განვითარების მაღალ საფეხურზე მდგარი ქვეყნების დონეს მიაღწია. შემდგომ ეპოქებში ქართულმა წიგნმა გაუსწრო მებობელი ქვეყნების კულტურასა და დიდად შეუწყო ხელი ქართველი საზოგადოების განვითარებას.

წიგნი ხალხთა კულტურული წინსვლის სიმაღლის გამომხატველია. მრავალგზის შემოსუვებისაგან გაჩანაბებულ ჩვენ სამშობლოს წიგნის ახალი ისტორიის პერიოდში გაუსწრეს დასავლეთის ქვეყნებმა, რომლებმაც ბიბლიის დასაბეჭდად მოახერხეს სფამბის შექმნა. მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრი აღრევე გამოხატავდა ევროპის დაწინაურებულ ქვეყნების მსგავსად, წიგნიერი კულტურის განვითარების სურვილს.

გაბედული ძიებით ქართველმა კულტურის მოღვაწეებმა შესძლეს ბეჭდვის ხელოვნებაში ევროპის დაწინაურებულ სახელმწიფოებში მესტამბეჭდითან დაკავშირება. ამ მხრივ გამორჩეულია ნიკიფორე ჩოლოყაშვილის, მეფე არჩილის, ალექსანდრე ბატონიშვილისა და სხვათა წამოწყებანი, რის შედეგადაც, დიდი განჯვისა და ხარჯების ფასად, მოხერხდა უცხოეთში ქართული ნაბეჭდი წიგნების შექმნა. ამით დაიწყო ჩვენში წიგნის ისტორიის განვითარების ახალი ეტაპი.

ბეჭდურმა წიგნმა დიდი გავლენა მოახდინა ქართველთა იდეურობის განმგებელაზე, ყოფაცხოვრებაზე.

ქართველმა საერთ და სასულიერო მოღვაწეებმა ყურადღება აღრევე მიაპყრეს ქართველთა ძველისძველ

კავშირებს უეროპის ქვეყნებთან, მათ შორის ვლახეფთას სახელმწიფოში იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის მამულების არსებობას, რაც მკვლევრებს ჯეროვნად აქამდე არ გაუთვალისწინებიათ.

ქართველთა ჯვრის მონასტრის საგონიერობლის არსებობა ძირეულად ცვლის გამოთქმულ ვარაუდებს და ახლებურად ჰქონდება შექს, როგორც ჩვენ ეკონომიკურ, ისე კულტურულ-პოლიტიკურ ხანგრძლივ ურთიერთობას ამ ქვეყნასთან და მკვიდრ ნიადაგზე აფუძნებს კავკასიაში მაშინ პირველი და ერთადერთი ქართული სტამბის შექმნის წინაპირობებს.

ურთიერთობათა იმ ფართო წრის შექმნა, რომლის შემზადება ქართველმა საერო და სასულიერო მოღვაწეებმა შესძლეს, აინტერესებდათ გერმანელ, რუმინელ, რუს, შვედ და სხვა მკვლევრებს.

ჩვენი მუშაობის პროცესში პოლანდიური წიგნის შემცირებით დაინტერესდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ხელოვნებათმცოდნე ა. სიდოროვი, რომელმაც დაგვიდასტურა ქართული და პოლანდიური წიგნების შემცირების რამდენიმე ჩვენს მიერ გამოვლენილი ახალი დეტალი.

ქართულ-ოსურ კულტურულ ურთიერთობას იკვლევდა ა. შანიძე, რომელმაც გამოავლინა ქართული ანბანით აწყობილი ოსური წიგნი.

გალაქტიონი ელოლიავებოდა ჩვენი კულტურული გზის მანათობელ ძველისძველ ქართულ ანბანს. მანვე წერილობით გამოთქვა აზრი წიგნის მუზეუმის შესაქმნელად.

ასეთი მუზეუმის დაფუძნებაზე თავის დროზე იმსჯელა საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ყრილობამ, რომელმაც დაიმოწმა წიგნის შესანიშნავი მუზეუმის არსებობის ფაქტი ჩეხეთში.

გაწეული მუშაობა არ აღმოჩნდა საკმარისი საქმით ადგილიდან დასაძრავად.

1973 წელს წიგნის მუზეუმის შექმნის აუცილებლობასა და ამოცანებგე მოხსენებითი ბარათი წარვედგინეთ ხელისუფლებას, მაგრამ ამან შედეგი გვიან გამოიღო.

ასე, რომ წიგნის მუზეუმის დაარსება მხოლოდ ჩვენი დამოუკიდებლობის ქამს ხერხდება.

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკაში რამდენიმე წელია დაარსდა წიგნის ეროვნული მუზეუმი, რომლის სრულფასოვნად ჩამოყალიბებისა და აღორძინებისთვის, უპირველესად მკვლევრებმა, გამომცემლობის ხელმძღვანელებმა და სხვებმა, ვისაც კი წიგნთან შეხება უძება, მუდმივად უნდა იმრუნონ.

კავკასიაში პირველი ქართული სტამბის სამასწლოვანი იუბილის ჯეროვნად აღნიშვნა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

მართალია, ტექნიკური პროგრესის შედეგად საზოგადოების ნაწილი წიგნის კითხვას ვიზუალური საშუალებების გამოყენებას ამჯობინებს, მაგრამ წიგნი რჩება ცოდნა-განვითარების მიღების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად.


ვახტაგ იტონიშვილი	
იორდან ანტონ გიულენშტედის ცენტრის კარიერაზე მთიალთა შესახებ.....	3
VAKHTANG ITONISHVILI	
I. GIULDENSCHTED'S DATA ABOUT GEORGIAN HIGHLANDERS.....	14
ვალერიან იტონიშვილი	
ეთნოგრაფიული მონაცემები ელენ ვირსალაძის მროვებში.....	15
VALERIAN ITONISHVILI	
ETHNOGRAPHICAL DATA IN THE WORKS OF ELENE VIRSALADZE.....	26
თამარ შარაბიძე	
წინაკართა ცოდნის ინფორმაცია სამყაროს შექმნისა და დასასრულის შესახებ ("უკანონი უკანონსამღე").....	27
TAMAR SHARABIDZE	
ANCESTORS' KNOWLEDGE ABOUT THE CREATION AND THE END OF THE UNIVERSE.....	54
ქეთევან პავლიაშვილი	
საბჭოური იდეოლოგიის ფორმირება და საეპლოსო მოძრაობა /XX ს-ის 20-30-იანი წლები/.....	58
QETEVAN PAVLIASHVILI	
THE FORMATION OF SOVIET IDEOLOGY AND CHURCH MOVEMENT (20-30S OF XX CENTURY).....	66
მარიამ ილურიძე	
სოფელ მარტყოფის მოსახლეობა (XVIII საუკანის დღეები).....	68
MARIAM ILURIDZE	
THE POPULATION OF MARTKOPI VILLAGE.....	93

გულნარა ზეზჩლაძე	
ალექსანდრ პეტზოლდის ცხოველი ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის მესახებ.....	95
GULNARA ZEZCHLADSE	
BERICHTE VON ALEXANDER PETZOLDT ÜBER GEORGIEN.....	108
გიორგი გუდუშაური	
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წვლილი ჩრდილო კავკასიის ხალხებისათვის სამეცნიერო კაღრების მომგადაბაზი.....	110
GEORGI GUDUSHAURI	
CONTRIBUTION OF THE GEORGIAN ACADEMY OF SCIENSIS TO TRAIN SCIENTIFIC PERSONNEL FOR THE NORTH CAUCASIAN PEOPLES.....	145
ალექსანდრე ალექსანდრე	
ქართული გვარის განსახლების სტრუქტურა (საყვარელიმეთა გვარის მაგალითები).....	146
ALEKSANDRE NAZGAIDZE	
THE STRUKTURE OF SETTLING OF A GEORGIAN FAMILY (ON THE SAKVARELIDZES EXAMPLE).....	153
ირმა კვაშილავა	
აზეათა ეთნოფსიკოლოგის გოგიართი საკითხი ისტორიული წყაროების მიხედვით.....	156
IRMA KVASHILAVA	
SOME ASPECTS OF ERTHNOPSYCHOLOGY OF ABKHAZIANS ACCORDING TO HISTORICAL SOURCES.....	169
დავით ჭითანავა	
„ოქროს სანმისის“ მიმდევალობა და მისი ქართულ სამყაროში დაბრუნების იდეა სენეკის მიხედვით.....	173
DAVIT CHITANAVA	
“GOLDEN FLEECE” AND THE IDEA OF ITS RETURN IN THE GEORGIAN WORLD ACCORDING TO SENECA.....	188

გიორგი მამარდაშვილი საბერის საეპისკოპოსო XVII-XVIII საუკანიერებლი	191
GIORGİ MAMARDASHVILI TSAGERI DIOCESE IN THE 17 TH AND 18 TH CENTURIES.....	208
ნაილა ჩელებაძე წარდგნის მოზიდი აჯარაში ზოლების ურთიერთება- მთხოვნის მონაცემების მიხედვით.....	212
NAILA CHELEBADZE FLOOD MOTIVE IN AJARA BASED ON THE ETHNOGRAPHICAL AND FOLK DATAS.....	234
პირიმზე რურა ლაგერი ქორნიშვილი.....	236
ПИРИМЗЕ РУРУА СВАДЬБА В ЛАЗЕТИИ.....	244
ნანული აზიკური ქართული ხალხური საფეხბი (თიქვას საფეხბი თუშეთისან).	246
NANULI AZIKURI GEORGIAN TRADITIONAL CARPETS AND BER-COVERS (TIKVA CARPETS AND BED-COVERS IN TUSHETI).	254
ქეთევან კუთათელაძე მარიამ ქვარი.....	255
KETEVAN KUTATELADZE MARIAMJVARI.....	279
ქეთევან კუთათელაძე მანგლისის სახელწოდებისათვის.....	283
KETEVAN KUTATELADZE ABAUT THE NAME OF MANGLISI.....	319

დარეჯან ბუაჩიძე პოსტ-რევოლუციერი საქართველოს აღქმა ბალტიის ქვეყნებში.....	325
DAREJAN BUACHIDZE THE IMAGE OF POSTREVOLUTIONARY GEORGIA IN BALTIC COUNTRIES.....	330
 გია კვაშილავა	
“ფაისტოსის ღისკო – კოლხური ოქროდამწერლისა”.....	331
GIA KVASHILAVA THE PHAISTOS DISC – THE COLCHIAN GOLD-WRITING.....	346
 მზა ტკავაშვილი	
ქართული ახალგენები ჩრდილოკავკავიაში (VIII-X საუკუნეებში).....	348
MZIA TKAVASHVILI NEW GEORGIAN SETTLEMENTS IN THE NORTHERN CAUCASIA (VIII-X CENTURIES).....	354
 მზა ტკავაშვილი, თამარ შაკიაშვილი	
ჩრდილოკავკავიაში მიგრაცია საქართველოში (ძ. წ. III ს.).....	357
MZIA TKAVASHVILI, TAMAR SHAKIASHVILI THE NORTHERN CAUCASIANS MIGRATION TO GEORGIA (III CENTURY B.C.).....	372
 ნინო მიქელაძე	
დმანისი და მისი გეოგრაფიული გარემო.....	375
NINO MIQELADZE DMANISI AND ITS ENVIRONMENT.....	383
 მალხაზ ვახტანგიშვილი	
ოსთა განსახლება მიზან ქართლში XIX ს-ის მიზანი ნახევარში.....	386
MALKHAZ VAKHTANGISHVILI THE OSSETIANS' SETTLEMENT IN SHIDA KARTLI IN THE SECOND HALF OF 19 th CENTURY.....	396

ლელა სარალიძე	
სომხეთ-საქართველოს პოლიტიკის	
მსგანებელთა 1918-1921 წწ.	398
LELA SARALIDZE	
FROM THE HISTORY OF ARMENIAN-GEORGIAN	
CONFLICT IN 1918-1921.....	412
შრიღონ სიხარულიძე	
მოახლოვებული იუბილე.....	416



Հասնելու մատուցության և գործառնության վեհականությունը
0162, Երևան, Հանրապետական պողոտա, 3

0. 1/4

4 -

